უილიამ ფოლკნერი

„სასახლე“

თავი პირველი

მინკი; ვ. კ. რეტლიფი

ნაფიცმა მსაჯულებმა თქვეს: „დამნაშავეა“, მოსამართლემ განაცხადა: „სამუდამო პატიმრობა“, მაგრამ მას არაფერი გაუგონია. არც უსმენდა. კაცმა რომ თქვას, პირველივე დღიდან ასე იყო, როდესაც მოსამართლემ ხის ჩაქუჩი დაჰკრა შემაღლებულ ადგილას მდგარ მაგიდას და მანამ არ გაჩერდა, სანამ მან, მინკმა, მზერა არ მოაშორა სასამართლო დარბაზის შორეულ კარს, რათა, ბოლოს და ბოლოს, გაეგო, რა უნდოდა მისგან ამ ადამიანს, ის კი, მოსამართლე, წინ გადმოიხარა და შესძახა: „სნოუპს! თქვენ მოკალით ზაკ (ტრილოგიის პირველ ორ რომანში – ჯეკ ჰიუსტონი (რედ.)) ჰიუსტონი თუ არა?“ მან კი, მინკმა, მიუგო: „ნუ მაწუხებთ. ვერ ხედავთ, რომ არ მცალია?“ შემდეგ თავი კვლავ დარბაზის ბოლოში მდებარე კარისკენ მიაბრუნა და თვითონაც შეჰღრიალა მის წინ ფერმკრთალი სახეებისგან აღმართულ კედელს: „სნოუპსი! ფლემ სნოუპსი! ვინმე წავიდეს და აქ ფლემ სნოუპსი მოიყვანოს! გადაგიხდით – ფლემ სნოუპსი გადაგიხდით!“

ასე რომ, მოსმენის დრო ნამდვილად არ ჰქონდა. ფაქტობრივად, პირველივე ჯერზე, როდესაც საკნიდან სასამართლოს დარბაზში ხელბორკილდადებული წამოიყვანეს, ეს სისულელე, აღმაშფოთებელი სისულელე იყო, უაზრო ჩარევა და ზედმეტი დაბრკოლება, და სასამართლოში ბადრაგის თანხლებით ყოველი მსვლელობა მხოლოდ ხელს უშლიდა საქმის, მისი საქმის, ასევე ამ წყეული მოსამართლეების საქმის სწორად გადაწყვეტას. თუ ასე გაჭიანურებას აპირებდნენ, ჯობდა, მარტო დაეტოვებინათ: დაპატიმრებასა და სასამართლოს შორის ამ გრძელი თვეების განმავლობაში მას მხოლოდ ერთი რამ სჭირდებოდა – ქუჩაში გამავალ ციხის ფანჯარაზე გაკრულ ჟანგიან გისოსებზე ხელების ჩაჭიდება, ლოდინი და ყურება.

როგორც კი რკინის ცხაურის მიღმა აღმოჩნდა, მაშინვე გული დასწყდა საკუთარი მოუთმენლობისა და – ამას კარგად აცნობიერებდა – სულელური საქციელის გამო. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იმ მომენტის დადგომამდე, სანამ იარაღს შემართავდა და გაისროდა, იცოდა, რომ მისი ბიძაშვილი ფლემი (მათი ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელსაც შესაძლებლობაც ჰქონდა და საფუძველიც, – ყოველ შემთხვევაში, ამგვარ ქმედებას მხოლოდ მისგან თუ ელოდა, – იგი უსიამოვნებისგან გამოეხსნა) წავიდა და ვერაფერს გააკეთებდა. ისიც კი იცოდა, რატომ არ იქნებოდა ფლემი, სულ ცოტა, ერთი წელი: ფრენჩმენსბენდი (ტრილოგიის პირველი ორი რომანის

თარგმანში – ფრანგისხევი (რედ.)) პატარა დასახლება იყო და აქ ერთმანეთის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა, ისიც კი, თუ რატომ გაემგზავრა იგი ტეხასში, თუნდაც უორნერის ქალიშვილის გამო ამდენი ხმაური და წივილ-კივილი არ აეტეხათ მას შემდეგ, რაც თვითონ (ან იქნებ სხვამ) აღნიშნა, რომ პირველი ღინღლი ამოუვიდა, გასულ გაზაფხულსა და ზაფხულზე რომ არაფერი ვთქვათ, როდესაც მაკკერონების თავაწყვეტილი ყმაწვილი სულ მის გარშემო ტრიალებდა და განუწყვეტლივ ჩხუბობდა – სწორედ ასე იქცევა ძაღლების ხროვა ამძუვნების პერიოდში.

ასე რომ, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ ფლემი მას ცოლად მოიყვანდა, მან, მინკმა, და ყველამ, ბენდიდან ათი მილის რადიუსში, უკვე იცოდა, რომ ბებერ უილ (ავტორი სახელის – უილიამ – ორივე შემოკლებულ ვარიანტს – "ბილ" და "უილ" იყენებს (რედ.)) უორნერს ქალიშვილი სასწრაფოდ უნდა გაეთხოვებინა, სულერთია ვისზე, თუ არ უნდოდა, რომ გაზაფხულზე ეზოში ნაბიჭვარი ეხილა. როდესაც მასზე, საბოლოოდ, ფლემმა იქორწინა, ამას იგი სულაც არ გაუოცებია – ფლემს ხომ ყოველთვის უმართლებდა. კარგი, კარგი, არა მხოლოდ უმართლებდა: ფლემი ერთადერთი იყო, ვინც თავს არავის დააჩაგვრინებდა და არც უილ უორნერს დაუდებდა ტოლს. მას ისედაც თითქმის გამოძევებული ჰყავდა მაღაზიიდან ჯოდი, ბებერი უილის ვაჟიშვილი, ახლა კი, მას შემდეგ, რაც სიძე გახდა, მთლიანად სურდა მისი ხელში ჩაგდება. დიახ, ფლემი დაქორწინდა, თანაც დროულად – უორნერის ოჯახი შერცხვენისგან იხსნა და კანონიერი ქმარიც გახდა იმ ქალიშვილისა, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკიდან მხოლოდ თავისი სიარულითა და მიხრა-მოხრითაც კი ჭკუაზე შლიდა ნებისმიერ, თუნდაც ოთხმოც წელს მიტანებულ მამაკაცს. თავგანწირვამ ფლემს გვარიანი სარგებელი მოუტანა: მან არა მხოლოდ ამ ქალისთვის კაბის ქვეშ საკუთარ გემოზე ხელის ფათურის კანონიერი უფლება მიიღო, – კაცს ამის წარმოდგენაც კი გააგიჟებდა, – არამედ ბებერი ფრენჩმენსბენდის მთელი მამულიც უფასოდ ერგო.

ამგვარად, მინკმა იცოდა, რომ ფლემი მისთვის საჭირო დროს არ მოვიდოდა, რადგან კარგად უწყოდა, იგი ახალგაზრდა ცოლთან ერთად დასახლებიდან შორს მანამდე უნდა ყოფილიყო, სანამ იმ არსების შესახებ, მათ რომ უნდა შესძენოდათ, გაბედულად არ იტყოდნენ, ერთი თვე შეუსრულდაო და ამაზე არავის გაეცინებოდა. მაგრამ როდესაც ბოლოს მოვიდა ის წუთი, ის წამი, და მას უკვე არაფრით შეეძლო, არ დაემიზნებინა და სასხლეტისთვის თითი არ გამოეკრა, ეს გადაავიწყდა. თუმცა ტყუილია. არაფერი დავიწყებია. უბრალოდ, ლოდინი ყელში ამოუვიდა. ჰიუსტონმა მას დალოდების შესაძლებლობა წაართვა და ეს უკანასკნელი შეურაცხყოფა იყო, რომელიც ზაკ ჰიუსტონმა საკუთარი სიკვდილის აქტით მიაყენა: აიძულა, იგი ისეთ დროს მოეკლა, როდესაც ერთადერთი ადამიანი, მინკის გადარჩენა რომ შეეძლო და აუცილებლად გადაარჩენდა კიდეც, ნებსით თუ უნებლიეთ,სისხლით ნათესაობის მუდმივი, უცვლელი კანონების წყალობით, – ეს ადამიანი ათასი მილის დაშორებით იმყოფებოდა, და ამ შეურაცხყოფას აღარაფერი ეშველებოდა, ვინაიდან ჰიუსტონი სამუდამოდ გაჰქცეოდა ყოველგვარ შურისძიებას.

მინკს არ დავიწყებოდა, რომ მისი ბიძაშვილი აქ ვერ იქნებოდა. უბრალოდ, მეტი ლოდინი აღარ შეეძლო. იძულებული გახდა, მათ მინდობოდა – ხომ

ამბობენ, მათ უნებართვოდ ცაში ჩიტიც კი ვერ გაიჭაჭანებსო. მათ სულაც არ მიიჩნევდა იმად, რასაც ხალხი მოხუც ბატონს ეძახდა. არც ამ მოხუცი ბატონის არსებობის სჯეროდა. ცხოვრებაში იმდენი რამ გადაეტანა, მართლა რომ ყოფილიყო ვიღაც ბატონი, თანაც, როგორც მასზე ამბობდნენ, ყოვლის დამნახავი და ყოვლისშემძლე, ის აუცილებლად ჩაერეოდა. ამასთან იგი, მინკი, მორწმუნე არასდროს ყოფილა. თხუთმეტი წლის ასაკიდან ეკლესიაში აღარ დადიოდა და ამას არც მომავალში აპირებდა: რა უნდა ეკეთებინა იქ, სადაც კაცი, რომელსაც მუცელი უბუყბუყებდა და შარვლის უბეში რაღაც ეწვოდა, – რასაც შინ ვერაფერს უხერხებდა, – საკუთარ თავს ღვთის სიტყვების მქადაგებელს უწოდებდა, რათა ამ საბაბით, შეძლებისდაგვარად, მეტი დედაკაცისთვის მოეყარა თავი და, მომსახურების სანაცვლოდ, ჯილდოთი ეცდუნებინა – ისინი მას მუცელს ამოუყორავდნენ, თვითონ კი ვალში არ დარჩებოდა და როგორც კი ქმარი მინდორში სამუშაოდ წავიდოდა, ცოლი კი მოახერხებდა და ბუჩქებში დურთავდა თავს, ეს ჩვენი მქადაგებელიც იქ დახვდებოდა. ცოლები ამ სალოცავში იმიტომ დადიოდნენ, რომ სხვაგვარად შემწვარ ქათამს ან კარტოფილის ღვეზელს ხელსაყრელად ვერ გაცვლიდნენ. ქმრების იქ სიარულის მიზეზი ამ გარიგებათა ჩაშლა არ გეგონოთ – ისინი ხვდებოდნენ, რომ ამას ხელს ვერ შეუშლიდნენ, ამის ძალა არ შესწევდათ. თითოეულს მხოლოდ ის აინტერესებდა, მოუწევდა თუ არა დღეს რიგი მის ცოლს, ან ბოლომდე დაფარცხვას თუ მოასწრებდა, შემდეგ კი, თუ საჭიროება მოითხოვდა, მეუღლეს თოკით საწოლზე მიაბამდა, თვითონ კი კარს უკან დაიმალებოდა და დაელოდებოდა, რა მოხდებოდა. ახალგაზრდობა ეკლესიაში საერთოდ არ დადიოდა, სხვების დასანახადაც კი, და წყვილ-წყვილად გარბოდა უახლოეს ბუჩქებში.

მინკს მიაჩნდა, რომ მათ-ისინი-ის – რაც უნდა დაგერქვათ მათთვის – ადამიანთა ცხოვრებაში ბუნებრივი სამართლიანობისა და თანასწორობის განსახიერება უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად, წინააღმდეგობას აზრი ეკარგებოდა. აბა, როგორ შეიძლებოდა, რომ ისინი, ის, მათ – სახელი თქვენი გემოვნებით შეარჩიეთ – განუწყვეტლივ მოებეზრებინათ თავი და გაეთანგათ ადამიანი და ნება არ მიეცათ მისთვის, რომ რომელიღაც დღეს, რომელიღაც წამს თვითონ გადაეხადა სამაგიერო, თვითონ გაეცა სამართლიანი და საკადრისი პასუხი. მათ შეუძლიათ, თავი მოაბეზრონ და გათანგონ იგი, გულხელდაკრეფილნი ისხდნენ და უყურონ, როგორ გროვდება მის თავზე ღრუბლები – ეს თითქოს განზრახ ხდება. ისინი გულხელდაკრეფილნი სხედან და უყურებენ, შესაძლოა (რატომაც არა? ის, ადამიანი, ამას დიდ ყურადღებას არ მიაქცევს, რადგან ადამიანია და ეს სამართლიანობად მიაჩნია), უხარიათ კიდეც; შესაძლოა, ისინი მას ცდიან, ამოწმებენ – ნამდვილი ადამიანია თუ არა, გაუძლებს თუ არა ამდენ თავმობეზრებასა და გათანგვას, რათა სამაგიეროს გადახდის უფლება მოიპოვოს, როდესაც მისი რიგი დადგება. მაგრამ საათი ოდესღაც ჩამოჰკრავს და იგი ამ უფლებას სამართლიანად, კანონიერად მოიპოვებს, ისევე, როგორც მათ მოიპოვეს მისი გამოცდისა და ამ გამოცდით სიხარულის განცდის უფლება. მოვა დრო და მათაც მოუწევთ მისთვის იმის დამტკიცება, რომ ისინი ნამდვილები არიან, როგორც მან დაუმტკიცა მათ, რომ ნამდვილი ადამიანია. იგი არა მხოლოდ შეძლებს მათ იმედად ყოფნას, არამედ მოიპოვებს უფლებას, რომ მათი იმედი იქონიოს და იცოდეს, რომ ისინი მას არ უღალატებენ. ისინი ვერ გაბედავენ, ვერაფრით გაბედავენ მის ღალატს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ საკუთარი

თავი შეზიზღდებათ, როგორც მას შეზიზღდა თავი, რადგან ყველაფერს ითმენდა ზაკ ჰიუსტონისგან.

ასე რომ, მან დილითვე იცოდა, რომ ფლემი იქ ვერ მოვიდოდა. მაგრამ ლოდინის თავი აღარ ჰქონდა. დადგა დრო, როდესაც ის და ზაკ ჰიუსტონი ერთი ჰაერით ვეღარ ისუნთქებდნენ. მაშასადამე, ვინაიდან მისი ბიძაშვილი იქ არ იყო, მას მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდა – უფლება, რომ მათი იმედი ჰქონოდა. ეს უფლება კი იმით დაემსახურებინა, რომ მათთვის ცხოვრებაში არაფერი ეთხოვა.

ყველაფერი გაზაფხულზე დაიწყო. არა, უფრო ადრე, გასულ შემოდგომაზე. არა, მანამდე, დიდი ხნით ადრე. სწორედ იმ წამს, როდესაც ჰიუსტონი დაიბადა თავხედობის, მოუთმენლობისა და სიჯიუტის ნიშნებით. არა, იმ წუთს არა, როდესაც მათ, ჰიუსტონმა და სნოუპსმა, ერთი ჰაერით – ჩრდილოეთ მისისიპის ჰაერით სუნთქვა დაიწყეს, რადგან იგი, მინკი, არასდროს არავისთან კამათობდა. მისთვის ცხოვრებას ისე მოებეზრებინა თავი და ისე გაეთანგა, ისე არ უმართლებდა, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, დაჟინებით და ჯიუტად უხდებოდა საკუთარი სულ უბრალო უფლებების დაცვაც კი.

მაგრამ ზაფხულიდან, იმ პირველი შემოდგომის წინ, ჰიუსტონისა და მინკის ბედი მტკიცედ და საბოლოოდ გადაეჭდო ერთმანეთს. ესეც აღშფოთების კიდევ ერთ თანამდევ მიზეზად იქცა: არავის გაუფრთხილებია, – მათაც კი, და ყველაზე ნაკლებად მათ, – თუ რა მოჰყვებოდა ამ ორი ადამიანის შეხვედრას. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჰიუსტონის ახალგაზრდა ცოლიქათმების საბუდრების საძებნელად საბძელში წავიდა, სადაც ულაყი იდგა, და იმ ულაყმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ცხადია, ნებისმიერი წესიერი ადამიანი გადაწყვეტდა, რომ წესიერი ქმარი მეორე ასეთივე ულაყს აღარ შეიძენდა. მაგრამ ჰიუსტონი მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. საკმარისად მდიდარ ჰიუსტონს წმინდა სისხლის ულაყის შენახვაც შეეძლო და იმდენად თავხედი და ჯიუტი გახლდათ, რომ მეუღლის მკვლელი ულაყისთვის თავში ტყვიის დახლის შემდეგ, წესიერების ყველა ნორმას გადააბიჯა და სხვა, ზუსტად ისეთი ცხენი იყიდა, შესაძლოა, იმ შემთხვევისთვის, თუ კვლავაც მოუწევდა დაქორწინება. თუმცა ხალხს თავს აჩვენებდა, თითქოს მეუღლის დაღუპვას ძლიერ განიცდიდა. ეს ისე კარგად გამოსდიოდა, რომ მეზობლებს მასთან მისვლაც კი ერიდებოდათ. მიუხედავად ამისა, კვირაში ორ-სამჯერ იმავე გზაზე ამ ცხენს, მომავალ მკვლელს დააჭენებდა, გვერდით კი, მწევარივით თუ კვიცივით, უშველებელი ნაგაზი მისდევდა. უორნერის მაღაზიასთან მიახლოებისას დაქვეითებას არც კადრულობდა, სამივენი გზაზე ჩერდებოდნენ: ჯიუტი და თავხედი მხედარი, ბოროტად მომზირალი ულაყი და ძაღლი, რომელიც ვინმეს მიახლოებისთანავე აიბურძგნებოდა და იღრინებოდა. ჰიუსტონი გარეთ მსხდომთაგან ვინმეს ისე უბრძანებდა მაღაზიაში შესვლასა და იქიდან მისთვის საჭირო ნივთის გამოტანას, თითქოს ზანგებს ელაპარაკებოდა.

იმ დილით იგი, მინკი, მაღაზიისკენ ფეხით მიეშურებოდა (მას ხომ ცხენი არ ჰყავდა, რათა ზედ ამხედრებული წასულიყო თამბაქოს, ქინაქინის ან ხორცის საყიდლად) და ის იყო, პატარა ბორცვზე შედგა ფეხი, რომ აჩქარებული და ხმამაღალი თქარათქური მოესმა. დაუთმობდა კიდეც

ჰიუსტონს გზას, რომ მოესწრო, მაგრამ ულაყი ლამის ზედ შეასკდა მინკს, თუმცა ბოლო წამს ჰიუსტონმა მისი შეკავება მოახერხა; აი, საზიზღარი ძაღლი კი ლამის მკერდზე შეახტა მას და ბრაზიანად უღრენდა სახეში. ჰიუსტონმა აწრიალებული ცხენი მკვეთრად მოატრიალა და შესძახა: „რას გაშეშებულხარ, ვერ გაიგე, რომ მოვდიოდი? გზიდან ჩამომეცალე! გინდა, რომ ტვინი გაგასხმევინოს? ხომ ხედავ, ძლივს ვაჩერებ!"

შესაძლოა, სწორედ ამას ჰქვია მეუღლის დაღუპვის გამო ურვა-წუხილი, თითქოს ამაში მას ბრალი არ მიუძღოდა, თითქოს საკუთარი ხელით არ მოეკლა ის ულაყი. იმის თავხედობაც ან, უბრალოდ, ფულიც ეყო, რომ სხვა ცხენი ეყიდა, იმის ალი-კვალი, ცოლს რომ სიცოცხლე მოუსწრაფა. ეს ყველაფერი მინკს დიდად არ ანაღვლებდა. ახლა ყველა იმას ელოდებოდა, წყეული ულაყი თვითონ ჰიუსტონსაც როდის მოუღებდა ბოლოს, მაგრამ ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რასაც ვერაფრით ივარაუდებდა, ვერც განჭვრეტდა და ვერც წარმოიდგენდა.

მას ერთი მეწველი ძროხა ჰყავდა, ერთადერთი ძროხა, ვინაიდან ჰიუსტონივით მდიდარი არ იყო, უბრალო, დამოუკიდებელი ადამიანი გახლდათ, დახმარებას არავის სთხოვდა, ყველაფერს თავისით უმკლავდებოდა. ისე გამოვიდა, რომ ეს ძროხა არ დამაკდა და მინკმა მთელი ზამთარი ურძეოდ გაატარა, მომავალშიც იგივე ემუქრებოდა; არც ხბო შეემატა, არადა, დასამაკებლად ორმოცდაათი ცენტიც გადაიხადა, რადგან დოლარზე ნაკლებად ძროხას მხოლოდ უჯიშო მოზვერთან თუ მიიყვანდა, რომლის შავკანიანი პატრონიც ფულს წინასწარ ითხოვდა.

ჰოდა, მთელი ზამთარი აჭამა ძროხას ხბოს მოლოდინში, ის კი არ გაჩნდა. იძულებული გახდა, ძროხა კვლავ სამი მილის დაშორებით მცხოვრებ იმ შავკანიანთან წაეყვანა - არა თავისი ორმოცდაათი ცენტის დასაბრუნებლად, არამედ მოზვერთან მეორედ შესაწყვილებლად, მაგრამ ზანგმა უარი განაცხადა და ფული წინასწარ მოითხოვა. ეზოში მდგარი ზანგის ლანძღვას შეუდგა, რომელიც სახლში შევიდა და კარი გაიჯახუნა. ერთხანს მარტო დარჩენილი ქოხში შეყუჟული შავკანიანისა და მისი ოჯახის წევრების „ტკბილი" სიტყვებით შემკობას განაგრძობდა, ბოლოს ხმა ჩაეხლიჩა და ძროხასთან ერთად შინისკენ მიმავალ სამი მილის სიგრძის გზას დაადგა.

დაუმაკებელმა და გაბერწებულმა ძროხამ ჯერ მისი მწირი საძოვარი გადაჭამა, შემდეგ კი ბოსელში, ბაგიდან მიირთმევდა საკვებს ზაფხულის დარჩენილი ნაწილისა და შემოდგომის განმავლობაში, რადგან ფერმერებმა მოილაპარაკეს, რომ საქონელი მხოლოდ მოსავლის აღების შემდეგ გამოეშვათ. ასე რომ, ნოემბრამდე შინ ჰყავდა და მხოლოდ მერეღა მოახერხა ზამთრის საძოვარზე მისი გაშვება. ამასთან, ძროხის ეზოში შემოსატყუებლად ცოტაოდენ საკვებს დასასუქებლად გამომწყვდეულ ღორებს ართმევდა. შემდეგ იგი სამი-ოთხი დღით საერთოდ დაიკარგა და, ბოლოს, როგორც იქნა, ზაკ ჰიუსტონის საძოვარზე მიაგნო მის მოზვრებთან.

დახვეული თოკით ხელში იგი, ფაქტობრივად, უკვე ჰიუსტონის სახლისკენ მიმავალ განაკაფ ზოლში იდგა, როდესაც მოულოდნელად, გაუცნობიერებლად, გაუჩერებლად და ნაბიჯის შეუნელებლად, მკვეთრად შეტრიალდა და შინისკენ გაემართა, თან აჩქარებით იჩურთავდა დახვეულ

თოკს უბეში, რათა ის არავის შეემჩნია, მაგრამ შეუღებავ და შელანძღულ ქოხში კი არ შევიდა, სადაც ცხოვრობდა, არამედ მყუდრო ადგილის ძებნას შეუდგა, სადაც თავისუფლად ფიქრს შეძლებდა, გზის პირას დაგდებულ მორზე ჩამოჯდა და მკაფიოდ გაისიგრძეგანა ცოტა ხნის წინ თავში გაელვებული აზრი.

თუ ამ უმაქნის ძროხას იქ დატოვებდა, სადაც მიაგნო, პირუტყვი კიდეც გამოიზამთრებდა და ათჯერ უკეთეს პირობებშიც იქნებოდა. გამოზამთრება გამოზამთრებად (ჰიუსტონი, უბრალოდ, შეძლებული კაცი კი არ იყო, რომელიც სახორცე ჯიშის ხარებს ამრავლებდა და ასუქებდა, მდიდარიცგახლდათ. იმდენად მდიდარი, რომ ზანგიც ჰყავდა აყვანილი, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ ევალებოდა – ამ ხარების გამოკვება და მოვლა, და ეს ზანგი გაცილებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდა, ვიდრე ის, მინკი, თეთრკანიანი ადამიანი, თავის ცოლთან და ორ ქალიშვილთან ერთად), და როდესაც გაზაფხულზე თავის ძროხას მიაკითხავდა, იგი მაკედაც იქნებოდა, თანაც ჰიუსტონის ჯიშიანი ხარისგან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახალი რძეც ექნებოდა და ძვირფასი, საუკეთესო ხბოც ეყოლებოდა, მაშინ, როცა იმ ზანგის დაჩიავებული მოზვერი არაფრად ვარგოდა.

ცხადია, ცნობისმოყვარეთა შეკითხვებს ვერსად გაექცეოდა: ფრენჩმენსბენდი პატარა, ძალიან პატარა დასახლება იყო, სადაც ადამიანი ვერც იმას გააკეთებდა, რაც სურდა, და ვერც იმ ყველაფრის შოვნას მოახერხებდა, რაც სჭირდებოდა. სამი-ოთხი დღის განმავლობაში ზედიზედ ჩაუარა უორნერის მაღაზიას შინისკენ მიმავალმა. ეს ყველა მეზობელმა დაინახა, რომლებმაც ბოლოს გადაწყვიტეს გაეგოთ, რა ხდებოდა. ვიღაცამ ჰკითხა – ახლა აღარ ახსოვდა, ვინ, და ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა:

– აბა, იპოვე შენი ძროხა?

– რომელი ძროხა? – ჩაეკითხა იგი.

კაცმა კი მიუგო:

– ზაკ ჰიუსტონმა გიბრძანა, შენი პირუტყვი მისი საძოვრიდან წაიყვანო. ასე თქვა, მომბეზრდა მისი გამოკვებაო.

– აი, თურმე რა ყოფილა, – თქვა მინკმა, – ის ძროხა ჩემი აღარაა. შარშან ზაფხულში ერთ კაცს მივყიდე, გაურის, კალედონია-ჩეპელიდან.

– ძალიანაც კარგი, – განაცხადა მეზობელმა, – რადგან შენს ადგილას რომ ვიყო და ჩემი ძროხა ზაკ ჰიუსტონის საძოვარზე ბალახობდეს, თოკს ავიღებდი და შევეცდებოდი ისე წამომეყვანა, რომ ეს ვერავის შეემჩნია, ზაკ ჰიუსტონისთვის კი ნიავსაც არ მიეტანა ამბავი. შემეშინდებოდა და მადლობის სათქმელად მისვლასაც კი ვერ გავბედავდი.

დიახ, ფრენჩმენსბენდის თითოეული მცხოვრები შესანიშნავად იცნობდა ზაკ ჰიუსტონს: იჯდა თავის სახლში პირქუშად და შუბლშეკვრით, მუდამ მარტო იმ დღიდან, რაც ოთხი წლის წინათ ულაყმა ცოლი მოუკლა, თითქოს, მის გარდა, მეუღლე არავის დაჰკარგოდა, თუმცა, შესაძლოა, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, ზოგიერთ ქმარს არც უნდოდა ცოლისგან თავის დაღწევა.

იჯდა პირქუში და შუბლშეკრული მარტოკა უზარმაზარ სახლში, სადაც მხოლოდ ორი ზანგი მოსამსახურე ტრიალებდა – ერთი მამაკაცი და ერთიც მზარეული ქალი; ჰოდა, კიდევ ულაყი და ძაღლი, უშველებელი ნაგაზი, ჰიუსტონივით ჯიუტი, თავხედი და უკარება. ის კი, წყეული უჟმური, ვერც ხვდებოდა თავის ბედნიერებას: ისეთი მდიდარი იყო, თავისუფლად შეეძლო, ცოლი მოეყვანა, წუწუნა და შარიანი არსება, ჯიბეში დოლარსაც რომ არ დაუტოვებდა; თავისი სიმდიდრის წყალობით, უცოლოდაც მშვენივრად გაძლებდა, საჭმლის მოსამზადებლად ქალს დაიქირავებდა და მასზე დაქორწინება არ დასჭირდებოდა. იმდენად მდიდარი იყო, ზანგის დაქირავებაც შეეძლო, რომელიც მის ნაცვლად ადგებოდა გამთენიისას, სიცივეში, ნესტსა თუ წვიმაში გარეთ გავიდოდა და არა მარტო მის ჯიშიან ხარებს აჭმევდა – ზაკი ყოველთვის დიდ მოგებას ნახულობდა მათგან, რადგან არასდროს ჩქარობდა მათ გაყიდვას, – არამედ იმ წმინდა სისხლის ულაყსაც და იმ გადარეულ ნაგაზსაც, ყოველთვის ცხენის გვერდით რომ მირბოდა, როდესაც გზებზე დაქროდნენ და ადამიანს, მთელი ცხოვრება ფეხით რომ დადიოდა, გზისპირა ბუჩქებში გადახტომას აიძულებდნენ, რათა წყეულ ულაყს ნალდაკრული ჩლიქით მისთვის თავი არ გაეჭეჭყა, თორემ თხრილში აღმოჩნდებოდა და ის შეშლილი ძაღლი მანამ გამოღადრავდა ყელს, სანამ ჰიუსტონი მის დაძახებას მოასწრებდა.

კარგი, რახან ჰიუსტონი ისე იბზეკდა ცხვირს, რომ კაცი მადლობის თქმასაც ვერ მოახერხებდა, ის, მინკი, მიუპატიჟებლად არ შეაწუხებდა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ არ სურდა, ვინმესგან თავი დავალებულად ეგრძნო. ჯერ ერთი კვირა გავიდა, შემდეგ ერთი თვე, შობამაც ჩაიარა და ცივი, ნოტიო და უხალისო ზამთარიც დადგა. ყოველ საღამოს პირს ის, მინკი, მავთულით დაკემსილი და ავტომობილის სალტის ნაჭრებისგან დაბებკილი ლაბადით – ეს ერთადერთი ზედა სამოსი დაკერებულ, ძველ, ბამბის კომბინეზონზე მოეცვა – ჩამავალი მზის მიმქრალ შუქში ატალახებულ გზას მიუყვებოდა იმის სანახავად, თუ როგორ აუჩქარებლად მიემართებოდა ჰიუსტონის ჯიშიანი ნახირი მის საცოდავ პირუტყვთან ერთად შინისკენ, ბაგებისკენ, რომლებიც იმ ქოხზე გაცილებით თბილი და ავდრისგან დაცული იყო, სადაც თვითონ ცხოვრობდა; ბაგებისკენ, სადაც საქონელს საგანგებოდ დაქირავებული ზანგი აჭმევდა – მინკსა და მისი ოჯახის წევრებზე თბილად ჩაცმული, რის გამოც პირიდან გამოსულ ორთქლთან ერთად წყევლა-კრულვას უთვლიდა მსახურს იმის გამო, რომ შავ კანს კარგი ტანსაცმელი უთბობდა, უკეთესი, ვიდრე მას, თეთრკანიან მამაკაცს ჰქონდა. არც მსუყე საკვები ავიწყდებოდა, საქონელს რომ აჭმევდნენ და არა – ხალხს, თუმცა მისი ძროხაც შეექცეოდა მას სხვებთან ერთად. მაგრამ ყველაზე მეტად იმას თათხავდა, რაც შურისძიებაში, სამაგიეროს გადახდაში უშლიდა ხელს, – ეს კი მას ბუნებრივ სამართლიანობად და თავის განუყოფელ უფლებად მიაჩნდა, – რაც დაუყოვნებლივ, ერთბაშად უნდა განეხორციელებინა. არადა, ლოდინი უწევდა, სანამ საკვები თანდათანობით ცოცხალ წონად არ გადაიქცეოდა, თანაც არც ის გახლდათ ადვილი გამოსაცნობი, როდის მიუშვებდა ძროხა მოზვერს, შემდეგ კი ხბოს მოგებამდე კიდევ ცხრა გრძელი თვე უნდა გასულიყო. იგი საკუთარ თავსაც ლანძღავდა იმის გამო, რომსამართლიანობის მიღწევა მხოლოდ ასეთი ხანგრძლივი და უმოქმედო ლოდინით შეეძლო.

სწორედ ეს ტანჯავდა. ლოდინი. არა მხოლოდ იმედის აღსრულების დროში გაწელვით წუხილის ან უბრალო სამართლიანობის გადავადებით აღშფოთების

გამო, არამედ იმის გაცნობიერებით, რომ როდესაც ჰიუსტონის ჯერი დადგებოდა, ეს მას, მინკს, რვა დოლარი დაუჯდებოდა: რვა დოლარი იმის დასამტკიცებლად, რომ ძროხის წარმოსახვითმა მყიდველმა იგი მას გადაუხადა, რათა ტყუილი პირუტყვის გაყიდვის შესახებ დამაჯერებლად გამოიყურებოდეს. გაზაფხულზე, როდესაც თავისი საქონლის მოსათხოვნად მივიდოდა, ამ დოლარების მიცემა ჰიუსტონისთვის მოუწევდა იმის დასასაბუთებლად, რომ აქამდე თვითონაც სჯეროდა, თითქოს ძროხა გაყიდული ან, ყოველ შემთხვევაში, რვა დოლარად შეფასებული იყო – იგი ჰიუსტონთან მივიდოდა და ეტყოდა, რომ დღეს დილით მასთან, მინკთან, მყიდველი მივიდა, უთხრა, რომ ძროხა მისგან იმავე ღამეს გაიქცა, როდესაც მან ის იყიდა და შინ მიიყვანა, და თავისი რვა დოლარი უკანვე მოითხოვა. ამგვარად, ის, მინკი, ჰიუსტონის ქედმაღლურ, ზიზღიან გამოხედვასაც აიცილებდა თავიდან და სოფლელების ცნობისმოყვარეობასაც შეამცირებდა, თვითონ კი ყველას დაუმტკიცებდა, რომ საკუთარი ძროხის დასაბრუნებლად თექვსმეტი დოლარი დახარჯა.

მის აღშფოთებასაც ეს იწვევდა: ენანებოდა რვა დოლარი. ცხადია, რვა დოლარად ძროხას ვერ გამოაზამთრებდა, წონის მომატებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაშიც საკუთარი თვალით დარწმუნდა. მაგრამ ამას არ ითვალისწინებდა. მთავარი ის იყო, რომ ეს ფული ჰიუსტონისთვის უნდა მიეცა, რომელიც ვერც მისი ძროხის მიერ შეჭმულ საკვებს შეამჩნევდა და ვერც ამ რვა დოლარს, ის კი ამ თანხით საშობაოდ მთელ გალონ ვისკისაც შეიძენდა და ცოლსა და ქალიშვილებსაც უყიდდა საჩუქრებს, ჭინჭების გამო ტვინს რომ უბურღავდნენ.

სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ამაყობდა კიდეც, რომ ეს აღაშფოთებდა. არც ისეთი ღარიბი, წვრილმანი და უძლური კაცი იყო, რომ მორჩილად გადაეყლაპა ყოველგვარი წყენა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერჯერობით გამოსავალი არ ჩანდა. მეტიც – ასეთი უსამართლობა კიდევ უფრო უძლიერებდა ბრაზსა და აღშფოთებას. მაშასადამე, როდესაც ძროხის წამოსაყვანად წავიდოდა, თავი უნდა დაემცირებინა, ფეხქვეშ გაგებოდა, ეცრუა, რათა რუდუნებით შეგროვილი იმ რვა დოლარის მიცემით დაეძვრინა თავი, მას რომ ასე სჭირდებოდა. თანაც ვისთვის უნდა მიეცა – ადამიანისთვის, რომელსაც იგი არაფერს შემატებდა, ასე მცირე თანხას ვერც კი შეამჩნევდა, და არც ის იცოდა, რომ მისთვის ამის მიცემას აპირებდნენ. ზამთრის მიწურულს, როგორც იქნა, დადგა ის მომენტი, ის დღე, როდესაც მეპატრონეები შემოდგომის შემდეგ მინდვრებში თავისუფლად მოხეტიალე საქონელს საჩიხეებში ერეკებოდნენ, რათა მიწა დაეხნათ და დაეთესათ. იმ დღეს, უფრო სწორად, საღამოს, დაელოდა, სანამ მის ძროხას უკანასკნელად დაუყრიდნენ საკვებს ჰიუსტონის მთელ ნახირთან ერთად, და მხოლოდ შემდეგ მიუახლოვდა ბაკს. ხელში გაცვეთილი ბაწარი, ასევე რამდენიმე გაცვეთილი ერთდოლარიანი ეჭირა, კომბინეზონის ჯიბეში კი ერთი მუჭა მონეტა ეყარა. მაგრამ არც თავის დამცირება მოუხდა და არც ფეხქვეშ გაგება, ვინაიდან იქ მხოლოდ ფიწლიანი ზანგი დახვდა, მდიდარი ბატონი კი სახლში იჯდა, თბილ სამზარეულოში, ჭიქაში პუნში ესხა, აყროლებული და გულის ამრევი შინნახადი არყისგან მოდუღებული კი არა, რომლის ყიდვაც მინკს ამ რვა დოლარად შეეძლო, თუ მისი მიცემა არ მოუწევდა, არამედ მემფისიდან ჩამოტანილი კარგი წითელი სამარკო ღვინისგან. დიახ, არც ფეხქვეშ გაგება მოუხდა, არც თავის დამცირება. მან მხოლოდ თეთრკანიანისთვის

დამახასიათებელი თავშეკავებით მიმართა ზანგს, რომელსაც ბაკის კარებში მოჰკრა თვალი:

– გამარჯობა. როგორც გავიგე, ჩემი ძროხა თქვენთან ყოფილა. აი, ეს თოკი კისერზე ჩამოაცვით და წავიყვან, აქ რომ ხელი არ შეგიშალოთ.

მაგრამ ზანგი მასთან არ მივიდა და ბაწარი არ გამოართვა, თუმცა ის ამას არც ელოდა, არამედ ბოსლიდან სახლისკენ გაემართა, რათა თეთრი ადამიანისთვის ეკითხა, როგორ მოქცეულიყო. მინკმა ეს წინასწარ განჭვრიტა, ამიტომ იდგა, ძალზე მოკლე, გაქუცული სახელოებიდან გამოყოფილი, სიცივისგან დამსკდარი და გაწითლებული ხელები თეთრი ღობის ზედა ლატანისთვის ჩაევლო და ელოდებოდა. ჰიუსტონი კი იჯდა, ხელში კარგი, წითელი ვისკისგან დამზადებული პუნშით სავსე ჭიქა ეჭირა, ჩექმები გაეხადა და ვახშმობამდე წინდებწამოცმულ ფეხებს ითბობდა. ახლა გინებით ჩამოწევდა მათ, კვლავ რეზინის ცივ, სველ, ტალახიან ჩექმებში ჩაყოფდა და ბაკისკენ გაემართებოდა. ჰიუსტონი ასეც მოიქცა. აღშფოთება და ბრაზი ყველაფერში იგრძნობოდა: სამზარეულოს კარის გრუხუნშიც და რეზინის ჩექმების ჭრაჭუნსა და ტყაპუნშიც. იგი ბაკთან მივიდა, უკან, ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, ზანგი მისდევდა.

– გამარჯობა, ზაკ, – მიესალმა, – ვწუხვარ, ასეთ სინესტესა და სიცივეში რომ შეგაწუხეთ. ეს ზანგი ამას უთქვენოდაც მოახერხებდა. მხოლოდ დღეს შევიტყვე, რომ ჩემს ძროხას თქვენთან გამოუზამთრებია. ზანგმა კისერზე ბაწარი შეაბას და წავიყვან, რათა აქ ხელი არ შეგიშალოთ.

– მეგონა, რომ ძროხა ნებ გაურის მიჰყიდეთ, – თქვა ჰიუსტონმა.

– მეც ასე ვფიქრობდი, – მიუგო მინკმა, – დღეს დილით კი ჯორზე ამხედრებული ნები მეწვია და მითხრა, რომ ჩემი ძროხა პირველივე ღამეს შინიდან გაექცა და მას შემდეგ აღარ უნახავს, რისთვისაც გადახდილი რვადოლარი წამართვა, – აქ მან ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან დაჭმუჭნილი და გაცვეთილი ერთდოლარიანები, აგრეთვე ხურდა ფული ამოიღო, – ჰოდა, რახან ამ ძროხის ფასი რვა დოლარია, მისი გამოზამთრებისთვისაც ამდენივე უნდა გადაგიხადოთ. მაშასადამე, ახლა იგი თექვსმეტი დოლარი ღირს, თუმცა მან ამის შესახებ არაფერი იცის. აჰა, აიღეთ ფული, თქვენმა ზანგმა ბაწარი ჩამოაცვას, მე კი...

– შემოდგომაზე ეს ძროხა რვა დოლარიც არ ღირდა, – თქვა ჰიუსტონმა, – ახლა კი გაცილებით ძვირი ღირს. საკვებიც თექვსმეტ დოლარზე მეტის მიირთვა. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ გასულ კვირას ჩემმა ხარმა დაამაკა. ეს წინა კვირას მოხდა, არა, ჰენრი? – ჰკითხა მან ზანგს.

– დიახ, სერ, – დაუდასტურა ზანგმა, – გასულ სამშაბათს. ჩაწერილიც მაქვს.

– ადრე გეთქვათ და არც თქვენი ხარი გაწვალდებოდა და არც ეს ფიწლიანი მსახური, – განაცხადა მინკმა და ზანგს მიუბრუნდა: – აბა, აიღე ბაწარი და...

– მოიცადეთ, – თქვა ჰიუსტონმა და ჯიბეში ჩაიყო ხელი, – ძროხის ფასი თქვენვე დაასახელეთ – რვა დოლარი. რახან ასეა, ვყიდულობ მას.

– ახლა არ ბრძანეთ, გაძვირდაო, – შეეპასუხა მინკი, – თვითონაც ვაპირებდი ფულის დამატებას. მის სანაცვლოდ თექვსმეტ დოლარსაც არ დავყაბულდები, არათუ რვას. ასე რომ, წაიღეთ თქვენი ფული. და თუ ამ ზანგს ბაწრის ჩამოცმა ეზარება, ამას მე გავაკეთებ, – ამ სიტყვებით იგი ღობეზე გადაძრომას შეუდგა.

– მოითმინეთ, – თქვა ჰიუსტონმა და ზანგს მიმართა: – შენი აზრით, რა ეღირება ახლა იგი?

– ალბათ, ოცდაათი დოლარი, – მიუგო მსახურმა, – იქნებ ოცდათხუთმეტიც.

– ხომ გაიგონეთ? – იკითხა ჰიუსტონმა.

– არა, – თქვა მინკმა და ღობეზე შემოჯდა, – ზანგებს ყურს არ ვუგდებ. მათ მხოლოდ ვუბრძანებ. თუ ბაწრის ჩამოცმა არ შეუძლია, უთხარით, ხელი არ შემიშალოს.

– გირჩევთ, ღობეზე არ გადაძვრეთ, სნოუპს, – გააფრთხილა ჰიუსტონმა მეზობელი.

– კარგი, კარგი, – თქვა მინკმა, რომელსაც ერთი ფეხი უკვე ღობის მეორე მხარეს გადაეტანა, გაწითლებული ხელით კი ბაწარი ეჭირა, – ახლა არ მითხრათ, რომ ძროხის საყიდლად პისტოლეტით დადიხართ ხოლმე. ბამბის ან სიმინდის თესვის დროსაც იარაღით დაბრძანდებით?

კარგი სურათი იყო: მინკს ცალი ფეხი ღობის იქით გადაეყო, მოშორებით ჰიუსტონი მოჩანდა ძირს დაშვებული პისტოლეტით, ზანგი კი გაუნძრევლად, თვალმოჭუტული იდგა და არავის უყურებდა.

– წინასწარ გაგეფრთხილებინეთ და იქნებ მეც წამომეღო პისტოლეტი.

– კარგი, – თქვა ჰიუსტონმა და ფრთხილად დადო იარაღი იქვე, ღობის ერთ-ერთ ბოძზე, – დააგდეთ ბაწარი. გადმოძვერით ღობეზე იმ ბოძთან, სადაც დგახართ. მე იმ ბოძისკენ დავიხევ. სამამდე დათვალე – ვნახოთ, ვინ მოასწრებს იარაღის აღებას, და ვაჭრობას შევუდგეთ.

– აჯობებს, ზანგმა დაითვალოს, – მიუგო მინკმა, – მას მხოლოდ „სამის“ თქმა მოუწევს. მე კი არც ზანგი მყავს. როგორც ჩანს, თქვენთან უზანგოდ და უპისტოლეტოდ ძროხაზე ვაჭრობა არ შეიძლება.

მან ფეხი უკან წაიღო და მიწაზე დახტა.

– ასე რომ, მაღაზიაში წავალ და ბიძია ბილისა და კონსტებლს დაველაპარაკები. თავიდანვე მათთვის უნდა მიმემართა, სიცივეში თქვენთან სიარულის ნაცვლად. ამ ბაწარს აქ დავტოვებდი, აბა, სახლში ხომ არ წავიღებ, მაგრამ თქვენ მისი შენახვისთვის შესაძლოა, ოცდათხუთმეტი

დოლარი მომთხოვოთ – როგორც ჩანს, ასეთ ფასს ადებთ უცხოთა ნებისმიერ ქონებას, რაც კი შემთხვევით თქვენს ნაკვეთზე აღმოჩნდება. – წასვლისას კი დაამატა: – აბა, დროებით! თუ საქონლის რვა დოლარად გაყიდვას დააპირებთ, ფრთხილად იყავით, ყალბი ფული არ შემოგაპარონ.

იგი საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით გაუდგა გზას, თუმცა ისე იყო გაბრაზებული, რომ თავდაპირველად წინ ვერაფერს ხედავდა, ყურებიც საშინლად უწიოდა, თითქოს ვიღაცამ თავთან თოფი დაუცალაო. სიმართლე ითქვას, ვარაუდობდა კიდეც, რომ ასე გააფთრდებოდა, მარტო ყოფნა კი მრისხანების დაცხრომაში დაეხმარებოდა. რაც მთავარია, იცოდა, რომ ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა, ახლა კი აზრი უნდა დაელაგებინა. შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ ბოროტი ბედი აუცილებლად რაღაცას გამოჩხრეკდა და ის, რომ მას, როგორც ჩანს, კიდევ ორ-ნახევარი დოლარის გადახდა მოუწევდა მომრიგებელი მოსამართლე უორნერისთვის იმ ქაღალდის სანაცვლოდ, რომელსაც კონსტებლი ჰიუსტონს წარუდგენდა და ამის საფუძველზე ძროხას წაართმევდა, სულაც არ გაჰკვირვებია: ეს კვლავ ისინი იყვნენ, ერთხელაც ცდიდნენ მას და აინტერესებდათ, რამდენს გაუძლებდა და აიტანდა.

ასე რომ, სულაც არ გაუოცებია იმას, რაც ამ ყველაფერს მოჰყვა. კაცმა რომ თქვას, თვითონ მიუძღოდა ამაში ბრალი, სათანადოდ ვერ დააფასა ისინი – ეგონა, რომ ჰიუსტონისთვის რვა დოლარის შეთავაზება, ძროხისთვის კისერზე ბაწრის შებმა და შინ წამოყვანა იმდენად უმნიშვნელო და მარტივი საქმე იყო, რომ ისინი არაფრის დიდებით არ ჩაერეოდნენ. მაგრამ შეცდა: მათგან თავის დაღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა. უორნერმა საბუთის გაცემაზე უარი განაცხადა. პირიქით, ორი დღის შემდეგ შვიდი კაცი, ზანგის ჩათვლით, თვითონ, ჰიუსტონი, უორნერი, კონსტებლი და ორი გამოცდილი საქონლით მოვაჭრე ჰიუსტონის საძოვრის ღობესთან იდგა. ზანგმა ექსპერტების წინ ძროხა ჩაატარა.

– აბა, რას იტყვით? – იკითხა ბოლოს უორნერმა.

– ოცდათხუთმეტს მივცემდი, – მიუგო პირველმა ვაჭარმა.

– თუ ჯიშიანი ხარისგან დამაკებული აღმოჩნდებოდა, ოცდაჩვიდმეტამდე გავზრდიდი, ოცდაჩვიდმეტ-ნახევრამდეც კი, – თქვა მეორემ.

– ორმოცამდეც ხომ არ ასწევდით? – ჰკითხა უორნერმა.

– არა, – თქვა მეორემ, – ვაითუ არ დამაკდა?

– ამიტომ არც ოცდაჩვიდმეტ-ნახევარს მივცემდი, – ჩაურთო პირველმა.

– კარგი, – განაცხადა უორნერმა, მაღალმა, გამხდარმა, ვიწროთეძოებიანმა მამაკაცმა, რომელსაც ისეთივე ხშირი ულვაში ჰქონდა, როგორიც მის განსვენებულ კავალერისტ მამას ფორესტის რაზმიდან, – ოცდაჩვიდმეტ-ნახევარი ავიღოთ. მაშასადამე, შუაზე ვყოფთ, – მან მინკს შეხედა, – გადაუხადეთ ჰიუსტონს თვრამეტი დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი და ძროხა წაიყვანეთ. მაგრამ თქვენ, ალბათ, არ გაქვთ თვრამეტი დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი, არა?

მშვიდად იდგა, სახელოებიდან გამოჩრილი, ქარისგან გაწითლებული და დამსკდარი ხელები ღობის ზედა ლატანზე შემოეწყო, თვალთ დაუბნელდა, ყურები ისე აუწუილდა, თითქოს ვიღაცამ თავთან თოფი დაუცალაო, მაგრამ სახეზე უხალისო, თვინიერი, ღიმილის მსგავსი გამომეტყველება აღჰბეჭდოდა.

– არ მაქვს, – თქვა მან.

– იქნებ მისმა ბიძაშვილმა, ფლემმა ჩაასესხოს? – იკითხა მეორე ვაჭარმა. მას არავინ უპასუხა, არც კი შეუხსენებიათ, რომ ფლემი ჯერაც ტეხასში იყო, სადაც აგვისტოში, ქორწილის დასრულებისთანავე გაემგზავრა თაფლობის თვის გასატარებლად.

– მაშინ – გამოიმუშაოს, – თქვა უორნერმა და ჰიუსტონს მიუბრუნდა: – მისთვის რამე სამუშაოს ხომ ვერ გამოძებნიდით?

– კიდევ ერთი ღობის დადგმას ვაპირებდი, – მიუგო ჰიუსტონმა, – დღეში ორმოცდაათ ცენტს ვუანგარიშებ. ოცდაჩვიდმეტი დღე იმუშაოს და კიდევ ნახევარი დღე დაამატოს გათენებიდან სადილამდე, ბოძებისთვის ორმოები ამოთხაროს და მავთული გაჭიმოს. მაგრამ ძროხას რა ვუყოთ? ჩემთან დარჩეს თუ ქვიქი (ქვიქი კონსტებლს ერქვა) წაიყვანს?

– გინდათ, რომ ქვიქმა წაიყვანოს? – ჰკითხა უორნერმა.

– არა, – მიუგო ჰიუსტონმა, – იგი აქ იმდენ ხანს იყო, რომ შესაძლოა, მოიწყინოს. ამასთან, თუ დარჩება, სნოუპსს მისი ნახვა ყოველდღე შეეძლება. როდესაც იცი, რისთვის მუშაობ, ამას მეტი ხალისით აკეთებ.

– კარგი, კარგი, – აჩქარებით დაეთანხმა უორნერი, – მაშასადამე, მოვილაპარაკეთ. მომბეზრდა ამდენი ყბედობა.

ასე გადაწყდა მისი მუშაობის ამბავი. მაგრამ იგი ამაყობდა, რომ ამას არასდროს, არაფრით შეეგუებოდა. თუნდაც ძროხაც დაეკარგა, არც წამოეყვანა, და, ასე ვთქვათ, დამშვიდებულიყო. ეს კი – ძროხაზე უარის თქმა – ყველაზე მარტივი იყო. მეტიც, დათანხმების შემთხვევაში, მის სანაცვლოდ თვრამეტ დოლარსა და სამოცდათხუთმეტ ცენტს მიიღებდა და მაშინ, იმ რვა დოლართან ერთად, ჰიუსტონმა უარი რომ განაცხადა, თითქმის ოცდაშვიდი დოლარი დაუგროვდებოდა. მას კი აღარც ახსოვდა, როდის ეჭირა ხელში ამხელა თანხა, რადგან შემოდგომაზე, ბამბას რომ გაყიდდა და უორნერს იჯარისა და მის მაღაზიაში აღებული საქონლის ფულს გადაუხდიდა, დიდი-დიდი, რვა-ათი დოლარი დარჩენოდა, რაც ჰიუსტონისგან ძროხის გამოსასყიდად აშკარად არ ეყოფოდა.

კაცმა რომ თქვას, ჰიუსტონმა თვითონ შესთავაზა მას ეს გამოსავალი. უკვე მეორე თუ მესამე დღე მიდიოდა, რაც ორმოებს თხრიდა და მათში მძიმე ბოძებს დგამდა, როდესაც ულაყზე ამხედრებული ჰიუსტონი მიუახლოვდა და მიაშტერდა, მაგრამ მას მუშაობა არ შეუწყვეტია, თავიც კი არ აუწევია.

– ეი! – დაუძახა ჰიუსტონმა, – შემომხედე!

მან თავი ასწია და მუშაობა განაგრძო. ჰიუსტონმა ხელი გაუწოდა, რომელშიც მან, მინკმა, უორნერის მიერ ნაანგარიშევი ფული დაინახა: თვრამეტი დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი.

– აჰა, აიღე. აიღე და წადი, ძროხა კი დაივიწყე.

მაგრამ მან უკვე დახარა თავი და მხარზე ბოძი შემოიდო, რომელიც მასზე მძიმე და დიდი ჩანდა, ორმოში ჩააყენა, მიწა შემოუყარა და ნიჩბით ტკეპნას შეუდგა. მოესმა, როგორ შეტრიალდა ულაყი და იქაურობას ჭენებით გაშორდა. შემდეგ მეოთხე დღე დადგა. კვლავ მოესმა ულაყის მოახლოებისა და გაჩერების ხმა, მაგრამ ამჯერად თავიც კი არ აუწევია, როდესაც ჰიუსტონმა ხმამაღლა მიმართა:

– სნოუპს, – და კვლავ: – სნოუპს... ... – მან კი, მინკმა, მუშაობის შეუწყვეტლივ და თავაუღებლად უპასუხა:

– ჰო, მესმის.

– გეყოფა. შენი ნაკვეთი გაქვს დასახნავ-დასათესი. თავი ხომ უნდა ირჩინო. შეგიძლია, შინ წახვიდე, იქაურობას მიხედო და მერე დაბრუნდე.

– თავის სარჩენად დრო არ მაქვს, – მიუგო მინკმა შეუჩერებლივ, – ჯერ ძროხა უნდა დავიბრუნო.

მომდევნო დილას ულაყზე წამოსკუპებული ჰიუსტონის ნაცვლად, თვით უორნერი გამოჩნდა თავისი ღია ოთხთვალით. მინკმა არ იცოდა, რომ უორნერს შეშინებოდა, მევახშის რკინის ხელით, მაღაზიის სეიფში დამალული საგირავნო ფურცლებითა და თამასუქებით მოპოვებული სოფლის სიმყუდროვე და სიმშვიდე არ დარღვეულიყო. როდესაც მან, მინკმა, თავი ასწია, უორნერის მუხლებზე დადებულ მომუშტულ ხელში ფულს მოჰკრათვალი.

– ეს თანხა მაღაზიაში შენს ანგარიშზე ჩავწერე, – უთხრა უორნერმა, – ახლა კი შენს ნაკვეთში წადი. იქ ჯერ ერთი კვალიც არ გაგიტარებია. სამუშაო იარაღი მოაგროვე, ფული აიღე, ზაკს მიეცი, ის წყეული ძროხა წაიყვანე და ხვნას შეუდექი.

რადგან ეს უორნერი იყო, შეჩერდა და ნიჩაბს დაეყრდნო.

– ერთი ჩივილი თუ გსმენიათ ჩემგან ძროხის თაობაზე თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით? – იკითხა მან.

– არა, – მიუგო უორნერმა.

– მაშინ ხელს ნუ მიშლით, თქვენს საქმეს მიხედეთ, მე კი ჩემსას მივხედავ, – თქვა მინკმა.

უორნერი ოთხთვალიდან მარჯვედ ჩამოხტა – თუმცა უკვე ისეთი მოხუცი იყო, რომ მევალეები პირფერულად „ბიძია ბილის" ეძახდნენ, ერთი ხელი სადავეებისთვის ჩაევლო, მეორეში მათრახი ეჭირა.

– დალახვროს ეშმაკმა! – შესძახა მან, – ახლავე მოაგროვე იარაღი და შინ წაეთრიე. საღამოს დავბრუნდები და თუ დავინახავ, რომ ხვნა არ დაგიწყია, შენს ავლადიდებას გზაზე დავყრი, ხვალ დილით კი ქოხს სხვას მივაქირავებ.

მას კი, მინკს, სახეზე კვლავაც უხალისო, თვინიერი, ღიმილის მსგავსი გამომეტყველება აღებეჭდა.

– სწორედ რომ თქვენი შესაფერისი საქციელია, ვიმედოვნებ, ასეც გააკეთებთ, – თქვა მან.

– გავაკეთებ კიდეც, დალახვროს ეშმაკმა! – შესძახა უორნერმა, – ახლა კი წადი. ახლავე. ნუღარ აყოვნებ.

– რა გაეწყობა, წავალ, – დაეთანხმა, – მაშასადამე, ეს მოსამართლის მეორე გადაწყვეტილება იქნება ჩვენს საქმესთან დაკავშირებით. ვერაფერს ვიზამ, წესიერი ადამიანი კანონს უნდა დაემორჩილოს.

თქვა და წასვლა დააპირა.

– ეი! – მიაძახა უორნერმა, – ფული აიღე.

– რატომ? – მიუგო მინკმა და გზა განაგრძო.

შუადღისთვის თითქმის მთელი აკრი ჰქონდა მოხნული. როდესაც გუთანი ახალი კვლის გასაყვანად მოაბრუნა, გზაზე ღია ოთხთვალას მოჰკრა თვალი. ამჯერად მასში ორნი ისხდნენ – უორნერი და კონსტებლი ქვიქი. ნელა მოდიოდნენ, რადგან უკანა ღერძზე თოკით ძროხა გამოებათ. არ აჩქარებულა: კვალი ბოლომდე გაიყვანა, ჯორი გამოხსნა, ღობეზე მიაბა და მხოლოდ შემდეგ მიუახლოვდა ოთხთვალას, რომელში მსხდომნიც მას მისჩერებოდნენ.

– ჰიუსტონს თვრამეტი დოლარი გადავუხადე. აი, შენი ძროხა, – თქვა უორნერმა, – და თუ კიდევ გავიგებ, რომ შენ ან რომელიმე შენმა არსებამ ზაკ ჰიუსტონის მიწაზე ფეხი შედგით, ციხეში გამოგამწყვდევ.

– დარჩენილ სამოცდათხუთმეტ ცენტზე რას იტყვით? – ჰკითხა მინკმა, – სად არის ექვსი მონეტა? ძროხის შესახებ სასამართლომ დადგენილება მიიღო და მის შესრულებამდე მას ვერ ჩავიბარებ.

– ლონ, – მოზომილი, თითქმის მშვიდი ხმით უთხრა უორნერმა კონსტებლს, – საქონელი იმ ბაკში შეიყვანე, ბაწარი მოხსენი და ეტლში ჩაჯექი.

– ლონ, – განაცხადა მინკმა ისეთივე მოზომილი, თითქმის მშვიდი ხმით, – თუ ამ ძროხას ჩემს ბაკში შეიყვან, თოფს ავიღებ და მოვკლავ.

იქით აღარ გაუხედავს, ჯორთან დაბრუნდა, ღობიდან ახსნა, გუთანში შეაბა და სახლისა და გზისკენ ზურგშექცევით მყოფმა ახალი კვალი გაიყვანა, ასე რომ, მხოლოდ მობრუნებისას მოჰკრა წამით თვალი ნელა მიმავალ ოთხთვალას, რომელსაც ძროხა მისდევდა. დაბნელებამდე შეუპოვრად ხნავდა,

შემდეგ დაბალი ხარისხის ქონითა და აშმორებული ფქვილისგან დამზადებული კვერით და ბადაგით ივახშმა. რასაც კი ჭამდა, ყველაფერი უილ უორნერს ეკუთვნოდა, სანამ ის, მინკი, მომავალ შემოდგომაზე ჯერაც დაუთესავ ბამბას არ შეაგროვებდა და გაყიდდა.

ერთი საათის შემდეგ მან ნავთის ფარანი აიღო, რათა დაენახა, სად ამოეთხარა ორმოები და ჰიუსტონის ღობის დასამთავრებლად გაემართა. ერთხელაც არ წამოწოლილა, არ გაჩერებულა, თუმცა დილას აქეთ მუშაობდა. და როდესაც კვლავ გათენდა, აღმოჩნდა, რომ ოცდაოთხი საათი შეუსვენებლივ, თვალმოუხუჭავად უმუშავია. მზის ამოსვლისთანავე თავის მინდორში დაბრუნდა, ჯორსა და გუთანთან, და მხოლოდ შუადღით გადაერთო სადილიდან ხვნაზე, შემდეგ კვლავ მინდორს დაუბრუნდა და ხვნა განაგრძო. შესაძლოა, ეს მხოლოდ მოეჩვენა, რადგან როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ ბოლო კვლის გვერდით ეგდო მიწაში ჩასული, მაღლა სახელურაშვერილი გუთნის გვერდით, ჯორი გაქვავებულივით იდგა, მზე კი თანდათან ჩადიოდა.

ამას კვლავ გუშინდელი ვახშმისა და დღევანდელი საუზმის მსგავსი ვახშამი მოჰყვა, შემდეგ ანთებული ფარნით ისევ ჰიუსტონის საძოვრისკენ გაეშურა, სადაც ნიჩაბი დაეტოვებინა. ვერც კი შეამჩნია გამზადებულ ბოძებზე შემომჯდარი ჰიუსტონი, სანამ იგი თოფით ხელში არ წამოიმართა.

– წადი და მზის ჩასვლის შემდეგ ჩემს ნაკვეთში ფეხი აღარ შემოდგა. თუ თავის მოკვლა გსურს, შენი ნებაა, ოღონდ ამას აქ არ გაგაკეთებინებ. უკან დაბრუნდი. შესაძლოა, ძროხის დასახსნელად დღისით მუშაობის უფლება კი გაქვს, მაგრამ ღამით მუშაობას კატეგორიულად გიკრძალავ.

მან ამასაც გაუძლო. ვინაიდან იცოდა, ეს როგორ ხდებოდა. ყველაფერი საკუთარ ტყავზე გამოეცადა, თვითონ ესწავლა, ვინაიდან სხვა გამოსავალიარ არსებობდა: მიხვდა, რომ ადამიანი ყველაფერს გაუძლებდა, თუ უბრალოდ და მშვიდად იტყოდა უარს რამის მიღებაზე, აღიარებაზე ან დათანხმებაზე. ახლა უკვე ძილიც შეეძლო ღამღამობით. იმიტომ კი არა, რომ გამოძინებისთვის დრო ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ დამშვიდდა, აღარსად ეჩქარებოდა. იჯარით აღებული ნაკვეთი ბოლომდე მოხნა, ხნულები გააფხვიერა, სანამ კარგი ამინდი იდგა, ავდარში კი ჰიუსტონის ღობის დასრულებაზე მუშაობდა, ზუსტად აღნუსხავდა ყოველ ნამუშევარ დღეს, ძროხის გამოსახსნელად გამომუშავებულ ყოველ ორმოცდაათ ცენტს. ყოველგვარი აჩქარებისა და ფაციფუცის გარეშე. ამასობაში გაზაფხულიც დადგა, მიწა გათბა და თესვისთვის შეემზადა. მინკმა დაინახა, რომ თესვის გამო ბევრი დროის დაკარგვა და ღობის მშენებლობის შეჩერება მოუწევდა. ამასაც მშვიდად შეხვდა, უორნერის მაღაზიაში ბამბისა და ხორბლის თესლი აიღო და საკუთარ ნაკვეთზე ჩვეულებრივზე სწრაფად დათესა – მას ხომ ღობის აღმართვა და გარჯითა და ოფლის ღვრით ნახევარ-ნახევარი დოლარის გამომუშავება უნდა გაეგრძელებინა. საკუთარი მოთმინებითაც ამაყობდა: არ ნებდებოდა, რადგან მათ მხოლოდ ასე თუ დაამარცხებდა: ცხადია, მათ ნებისმიერ წამს შეეძლოთ მისი გადაძალვა, მაგრამ ვერავინ გაძლებდა მასზე მეტხანს, იცოდა, რომ მხოლოდ ლოდინი დაეხმარებოდა, შეეხიდებოდა და შეეწეოდა მას.

როგორც იქნა, დადგა ის საღამო, როდესაც მას აღარც ლოდინი სჭირდებოდა, აღარც ნიჩაბი, ურიკასა და მავთულის ნარჩენებთან ერთად. ჰიუსტონსაც ეცოდინებოდა, რომ ეს ბოლო დღე იყო. ალბათ, დილიდანვე ელოდებოდა, როდის მოუახლოვდებოდა იგი ბილიკის გავლით ბაკს, და სწორედ იმ წუთს, როდესაც მზე დასავლეთით, ტყის პირას მდებარე ხეების მიღმა ჩაესვენებოდა, ძროხას წაიყვანდა. როგორც ჩანს, ჰიუსტონი ალიონიდან სამზარეულოს ფანჯარასთან იჯდა, რათა საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ მოვიდოდა ბოლო სამუშაო დღეს და თოკსაც მოიტანდა ძროხის შინ წასაყვანად. კაცმა რომ თქვას, ამ ბოლო დღეს ამოთხრილ ორმოებში ბოძების ნაცვლად მათ მიერ მიყენებული წყენის ნარჩენებს ფლავდა. იცოდა, რომ ბებერი უილ უორნერი მხოლოდ იარაღი იყო მათ ხელში მის გამოსაცდელად და იმის გასაგებად, თუ კიდევ რამდენ ხანს გაუძლებდა. წარმოიდგინა კიდეც, როგორ ამაოდ დაეხეტებოდა ჰიუსტონი გზის გასწვრივ და ყოველ ბუჩქსა და თხრილს სინჯავდა მის მიერ გადამალული ბაწრის საპოვნელად.

მას კი თოკი არც მოუტანია, შეუპოვრად მუშაობდა, სანამ მზე საბოლოოდ არ მიეფარა თვალს და ვეღარავინ იტყოდა, დღე არ გასრულებულა ან მუშაობა დააკლოო. მხოლოდ ამის შემდეგ შეაგროვა ნიჩაბი, წერაქვი და ურიკა, ბაკში წაიღო და აკურატულად დააწყო კუთხეში, ღობესთან, სადაც ზანგიც, ჰიუსტონიცა და ნებისმიერი სხვა ცნობისმოყვარეც აუცილებლად შეამჩნევდა მათ, თვითონ კი ერთხელაც არ გაუხედავს ჰიუსტონის სახლისკენ, ერთხელაც არ შეუთვალიერებია ძროხა, რომლის შესახებაც ვერავინ იტყოდა, რომ იგი მისი არ იყო. ბოლოს ადგა, ფეხით გაიარა ორი მილი და თავის ქოხს მიაღწია.

მშვიდად, აუჩქარებლად ივახშმა, არც კი მიუყურადებია, მოჰყავდათ თუ არა მასთან ძროხა, არც ის აინტერესებდა, ამას ვინ გააკეთებდა. შესაძლოა, ეს თვითონ უორნერს აეღო საკუთარ თავზე. სიმართლე ითქვას, ის და ჰიუსტონი ერთმანეთს ჰგავდნენ. ვერც ჰიუსტონს შეაშინებდა კაცი ადვილად. დაე, უორნერი შეფუცხუნებულიყო და საქმე მოემთავრებინა, კონსტებლი გამოეგზავნა და ძროხა დაებრუნებინა – მინკმა ხომ სასამართლოს გადაწყვეტილება პირწმინდად შეასრულა და ბოლო ცენტიც კი გამოიმუშავა. ახლა იჯდა, ქონსა და კვერს შეექცეოდა და ყავას აყოლებდა, სახეზე კი ისევ ის უხალისო, თვინიერი გამომეტყველება აღბეჭდოდა, ღიმილს რომ ჰგავდა. ცხადად წარმოედგინა, როგორ მოდიოდა გზაზე ქვიქი თოკით ხელში, ბორძიკითა და ლანძღვა-გინებით, რადგან მას დაავალეს სიბნელეში ხეტიალი, ნაცვლად იმისა, რომ ჩექმები გაეხადა, შინ მჯდარიყო და არხეინად ევახშმა. მინკს უკვე მოეფიქრებინა, რასაც ეტყოდა მას და გუნებაში იმეორებდა: „მე ზუსტად თვრამეტ-ნახევარი დღე ვიმუშავე. დღე გათენებიდან გათენებამდე ითვლება. მაშასადამე, დდღევანდელი დღე მხოლოდ ხვალ, განთიადზე დასრულდება. ასე რომ, ეს ძროხა იქ წაიყვანე, სადაც უილ უორნერთან ერთად თვრამეტ-ნახევარი დღის წინ დააყენეთ, ხვალ დილით კი მოვალ და თვითონ წამოვიყვან. იმ ზანგს შეახსენე, ცოტა ადრე აჭამოს, ლოდინი რომ არ მომიხდეს“.

მაგრამ მან ვერაფერი გაიგონა. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ძროხას ელოდებოდა, ვარაუდობდა, რომ შინ მიუყვანდნენ. უეცრად შეშინდა და თავზარდაცემულმა გაიფიქრა, თუ რაოდენ მყიფე იყო ის სიმშვიდე, რომელთან ერთადაც იმ ორი თვის წინანდელი ღამის შემდეგ ცხოვრობდა,

როდესაც ბაკთან ჰიუსტონს შეეჩეხა და ეს უკანასკნელი მას იარაღით დაემუქრა. მიხვდა, რა სუსტ ფეხებზე იდგა ის, რაც მას მყუდროება ეგონა. ახლა გამუდმებით ფხიზლად მართებდა ყოფნა, რადგან, როგორც ჩანს, ნებისმიერ წვრილმანს შეეძლო, იგი კვლავ უკან გადაესროლა, იმ წუთისკენ, როდესაც უილ უორნერმა უთხრა, რომ თვრამეტი დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი უნდა გამოემუშავებინა, დღეში ორმოცდაათი ცენტი, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი ძროხა დაებრუნებინა. ახლა თავის საძოვარზე გასვლა და იმის ნახვა მოუწევდა, ქვიქმა საქონელი ჩუმად ხომ არ მოუყვანა, რის შემდეგაც გაიპარა. მინკს ფარანი უნდა აენთო და სიბნელეში ეძებნა ის, რასაც ვერ მიაგნებდა. ამასთან, ცოლისთვისაც უნდა აეხსნა, სადმიდიოდა ამ სიბნელეში. ქალს, ცხადია, უხეში, უწმაწური, მოკლე სიტყვით უპასუხა, როდესაც მან ჰკითხა: „სად მიდიხარ? ვფიქრობ, ზაკ ჰიუსტონი გაგაფრთხილებდა", – თან დაამატა, არა უხეშობისადმი მიდრეკილების, არამედ იმის გამო, რომ ცოლი არ ასვენებდა:

– თუ გინდა, წადი და ეს ჩემ მაგივრად გააკეთე.

– რა საძაგელი ხარ! – შესძახა ცოლმა, – გოგოების არ გრცხვენია?

– ჰო-ო, – თქვა მან, – იქნებ ისინი გაგეგზავნა? ნუთუ ორივე მათგანი ერთ მოზრდილს აღარ უდრის? თუმცა იმდენს ჭამენ, ერთიც გაუმკლავდება.

იგი ბოსლისკენ გაემართა. ცხადია, ისედაც იცოდა, რომ ძროხა იქ არ იქნებოდა, და გაუხარდა. წარსულმა – მან წინასწარ განჭვრიტა, რომ თუ რომელიმე მათგანი ძროხას მოუყვანდა, მოუწევდა გასვლა და ამის შემოწმება – კარგი სამსახური გაუწია, ასწავლა (თუმცა ჯერ ცუდი არაფერი მომხდარიყო), თუ რა განეზრახათ მათ. მისი გვერდზე მოსროლა, წაქცევა და ჩაწიხლვა, საბოლოოდ დაღუპვა სურდათ: ვერაფრით დაამარცხეს იგი – ვერც ფულით და ვერც გაჭირვებით. ვერც მის მოთმინებას დააკლეს რამე. გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეეძლოთ: თუ მოულოდნელად დაესხმოდნენ თავს და წარსულში მოისროდნენ, როდესაც გამძვინვარებისგან თვალთ უბნელდებოდა და გონებას კარგავდა.

მაგრამ ახლა არაფერი ემუქრებოდა. აწყობდა კიდეც ასე: ხვალ დილით, როდესაც თოკს აიღებდა და ძროხის წამოსაყვანად წავიდოდა, უკვე ქვიქი კი არა, თვით ჰიუსტონი ჰკითხავდა: „წუხელ რატომ არ მოხვედი? შენი უკანასკნელი თვრამეტდოლარნახევრიანი დღე გუშინ საღამოს დასრულდა". ის კი ასე უპასუხებდა თვით ჰიუსტონს: „დღე გათენებიდან გათენებამდე აითვლება. მაშასადამე, თვრამეტდოლარნახევრიანი დღე ამ დილით გავიდა, თუ თქვენმა დალეულმა ზანგმა მოასწრო და ჩემს ძროხას აჭამა".

ღამით კარგად გამოიძინა. გამთენიისას ისაუზმა და თოკით ხელში აუჩქარებლად გაუყვა ჰიუსტონის საძოვრისკენ მიმავალ გზას. ღობესთან მისული ზედა ლატანს დაეყრდნო, სანამ ჰიუსტონი არ მიუახლოვდა და მისგან ათიოდე ფუტის დაშორებით არ შეჩერდა.

– ანგარიში არ გაგისწორებიათ, – თქვა ჰიუსტონმა, – კიდევ ორი დღე უნდა იმუშაოთ.

– კარგია, კარგი, – მიუგო მან ხმადაბლა და მშვიდად, თითქმის ალერსიანად, – რასაკვირველია, როდესაც ადამიანს ჯიშიანი ხარებითა და დეკეულებით სავსე საძოვარი აქვს, მუქთად გაკეთებულ ახალ ღობეზე რომ არაფერი ვთქვათ, მას შეიძლება, რამე წვრილმანი შეეშალოს დოლართან და ცენტებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე სულ რაღაც თვრამეტ დოლარსა და სამოცდათხუთმეტ ცენტს ეხება. მე მხოლოდ რვადოლარიანი ძროხა მყავს. მეგონა, რომ მისი ზღვრული ფასი რვა დოლარი იქნებოდა. არც ისე მდიდარი ვარ, რომ თვრამეტ-ნახევრამდე დათვლა შემეშალოს.

– ამ თვრამეტ დოლარს არ ვგულისხმობ, – თქვა ჰიუსტონმა, – მე...

– და სამოცდათხუთმეტ ცენტს, – ჩაურთო მინკმა.

– ...მეცხრამეტე მაქვს მხედველობაში. ერთი დოლარი კიდევ გმართებს.

არ განძრეულა, არც გამომეტყველება შეცვლია, მხოლოდ იკითხა:

– ეს რაღაა?

– საჯარიმო დოლარია, – აუხსნა ჰიუსტონმა, – კანონის თანახმად, თუ ვინმე მოხეტიალე საქონელს შეიფარებს, პატრონი კი იმავე დღის საღამომდე არ მივა მის წასაყვანად, მისი შენახვის სანაცვლოდ, ჯარიმის სახით, ერთი დოლარის გადახდა მოუწევს.

კვლავ გაუნძრევლად იდგა, თოკისთვისაც კი არ მოუჭერია ხელი უფრო მაგრად.

– აი, თურმე, რატომ აჩქარდით ასე იმ დღეს და ძროხა ლონს არ გაატანეთ, – თქვა მან, – ზედმეტი დოლარი მოგინდათ.

– ეშმაკსაც წაუღია ზედმეტი დოლარიცა და ლონიც, – განაცხადა ჰიუსტონმა, – წაეყვანა, ვინ უშლიდა, ჩემთან კი იმიტომ დავიტოვე, რომ ზედმეტად ლონთან არ წასულიყავით. თანაც მე ყოველდღიურად ვაჭმევდი, რასაც ლონ ქვიქი, ალბათ, არ იზამდა. წერაქვი, ნიჩაბი და ურიკა იქ არის, კუთხეში, სადაც წუხელ დატოვეთ. შეგიძლიათ, როცა მოგესურვებათ...

მაგრამ უკვე შეტრიალდა და მშვიდად და აუჩქარებლად გაუყვა გზას თოკით ხელში, მაგრამ არა შინისკენ, არამედ საპირისპირო მხარეს, ოთხი მილის დაშორებით მდებარე უორნერის მაღაზიისკენ. მტკიცედ მიაბიჯებდა ზაფხულის ამ მზიან, ალერსიან, ახლად დაწყებულ დილას ამწვანებულ წარაფებს შორის, სადაც დიდი ხნის წინათ ეყვავილა ასკილს, კვრინჩხსა და ველურ ქლიავს, დათესილ მინდვრებს შორისაც მოუწია გავლა – იქ უხვად ამოწვერილიყო ბამბა და სიმინდი, თუმცა არც ისე უხვად, როგორც მის პატარა ნაკვეთში (მისი აზრით, მათ მეპატრონეებს მასავით მშვიდად და აუჩქარებლად ვერ ემუშავათ); მშვიდად მიიწევდა წინ გაზაფხულის ნაყოფიერ, სიცოცხლით სავსე მიწაზე. შიგადაშიგ ჟივილ-ხივილით ჩაიფრენდნენ ხოლმე ჩიტები, აქა-იქ კურდღლები დახტოდნენ, რომელთა პატარა სხეული ორგანზომილებიანად ეჩვენებოდა, ცხადია, თუ სისწრაფეს

მესამე განზომილებად არ მიიჩნევდა, – უორნერის მაღაზიისკენ მიემართებოდა.

ფუტურო ხის პარმაღის ზემოთ მდებარე ასევე ფუტურო ხის ვერანდა ახლა, ალბათ, დაცარიელებული იქნებოდა. კომბინეზონებში გამოწყობილი მამაკაცები – სამუშაოს დამთავრების შემდეგ ისინი, როგორც წესი, მთელი დღის განმავლობაში ან ჩაცუცქულნი ესაუბრებოდნენ ერთმანეთს გარეთ, ან კედელზე მიყრდნობილნი მაღაზიის შიგნით – დღეს, როგორც ჩანს, მინდვრადგასულიყვნენ: არხებს თხრიდნენ, ღობეებს ასწორებდნენ, შესაძლოა, პირველად მარგლავდნენ კიდეც ხელით ან კულტივატორით. მაღაზიაში არავინ იყო. მან გაიფიქრა: „აქ რომ ფლემი ყოფილიყო...“ – იცოდა, რომ ფლემი აქ ვერ იქნებოდა. სხვებზე უკეთ უწყოდა, რომ თაფლობის თვე მანამდე გაგრძელდებოდა, სანამ ფრენჩმენსბენდში დაბრუნებისას ყველას შვებით არ განუცხადებდნენ, ბავშვი, რომელიც შეგვეძინა, მაისზე ადრე ვერაფრით დაიბადებოდაო. ასეც რომ არ ყოფილიყო, აქ სხვა რამეც იგულისხმებოდა: მისი ბიძაშვილის არყოფნით, როდესაც იგი ასე სჭირდებოდა, მას ცდიდნენ, დასცინოდნენ, ამასხარავებდნენ. ისინი ამას იმიტომ კი არ აკეთებდნენ, რათა ენახათ, გაუძლებდა თუ არა, – ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ, – არამედ, უბრალოდ, სიამოვნებდათ იმის დანახვა, რომ რომ იგი ზედმეტ, უაზრო, ყოვლად უსარგებლო ნაბიჯებს დგამდა.

მაღაზიაში არც უორნერი დახვდა. ამას არ ელოდა. სჯეროდა, რომ ისინი შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდნენ და იქაურობას იმ ხალხით გაავსებდნენ, რომლებიც მინდორში უნდა ყოფილიყვნენ სამუშაოდ გასულნი – დაე, ყველა ზარმაცსა და უსაქმურს დაეცქვიტა ყური და მოესმინა, თუ რაზე დაელაპარაკებოდა იგი უილ უორნერს. მაგრამ უფროსი უორნერი მაღაზიაში არ აღმოჩნდა. იქ მხოლოდ ჯოდი უორნერი იყო და კიდევ – გამყიდველი ლემპ სნოუპსი, რომელიც ფლემმა თავის ნაცვლად დატოვა, როდესაც გასულ ზაფხულს სამუშაოს თავი დაანება და ცოლი მოიყვანა.

– თუ ქალაქში წავიდა, დაღამებამდე არ დაბრუნდება, – თქვა მინკმა.

– ქალაქში არ არის, – მიუგო ჯოდიმ, – პანკინკრიკში წავიდა წისქვილის სანახავად. დაიბარა, სადილობის დროისთვის დავბრუნდებიო.

– დაღამებამდე არ მოვა, – გაიმეორა მინკმა.

– როგორც გენებოს, – თქვა ჯოდიმ, – შეგიძლია, შინ წახვიდე და ხვალ კვლავ მოხვიდე.

არჩევანი არ ჰქონდა. ცხადია, შეეძლო, აუჩქარებლად გაევლო ხუთი მილი სახლამდე და კიდევ ხუთი მილი შინიდან მაღაზიამდე და ეს შუადღემდე მოესწრო, მხოლოდ გასეირნების სურვილი რომ ჰქონოდა. შეეძლო, იმ დრომდე მაღაზიასთან დაეცადა, მაგრამ მაშინ ბებერი უორნერი მხოლოდ ვახშმობისთვის დაბრუნდებოდა, რადგან ისინი ვერაფრით გაუშვებდნენ ხელიდან შესაძლებლობას, რომ მას, მინკს, მთელი დღე დაეკარგა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰიუსტონის ღობისთვის ორმოები შუაღამით უნდა ეთხარა, ვინაიდან ზეგ შუადღემდე ორი დღე უნდა ემუშავა, რათა ის საქმე დაემთავრებინა, რაც დასრულებას საჭიროებდა და რისთვისაც ქალაქშიც უნდა გაევლო.

ცხადია, შეეძლო, შინ წასულიყო,ეჭამა და მერე კვლავ მოსულიყო, – ეს დღე ისედაც დაკარგულად მიაჩნდა, – მაგრამ ისინი ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ: მისი წასვლისთანავე პანკინკრიკიდან ოთხთვალა დაბრუნდებოდა და იქიდან უილ უორნერი გადმობრძანდებოდა. ამიტომაც, შუადღემდე მაღაზიაში დარჩა და როდესაც ჯოდი სადილად შინ წავიდა, ლემპმა ცოტაოდენი ყველი და გალეტი უწილადა.

– იქნებ შეჭამო? – ჰკითხა მან, – უილი ვერაფერს შეამჩნევს.

– არა, – მოუჭრა მინკმა.

– თუ ასეა, შენს ანგარიშზე ჩავწერ, რახან უორნერის ერთი ცენტის გამო სინდისი გქენჯნის.

– არ მშია, – მიუგო მინკმა. მაგრამ შეეძლო, ერთი რამე გაეკეთებინა, მოემზადებინა, რადგან ამისთვის შორს წასვლა არ დასჭირდებოდა. წავიდა კიდეც იქით, წინასწარ შერჩეულ ადგილას, და ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა, – მან ხომ იცოდა, უორნერი რასაც იტყოდა, – შემდეგ კი მაღაზიაში დაბრუნდა. და მართლაც, როგორც ვარაუდობდა, საღამოსთვის – ასე რომ, ის დღე მთლიანად დაკარგა – ოთხთვალა ჩამოდგა, საიდანაც უორნერი გადმოვიდა და, ჩვეულებისამებრ, ცხენს ბოძზე აბამდა, როდესაც მას მიუახლოვდა.

– აბა, ახლა რაღა მოხდა? – ჰკითხა უორნერმა.

– კანონის შესახებ მინდოდა რაღაცის დაზუსტება, – მიუგო მინკმა, – კანონისა, რომელიც შენახვის ხარჯს ეხება.

– რაო? – ჩაეკითხა უორნერი.

– დიახაც, – განაცხადა მინკმა მშვიდად, ხმადაბლა, აუღელვებლად, წყნარი სახით, თითქმის ღიმილით, – ვიფიქრე, საღამოსთვის ის ოცდაჩვიდმეტ-ნახევარი დღე, ყოველდღიურად ნახევარი დოლარის ანგარიშით, უკვე დავასრულე-მეთქი. დღეს დილით ჩემი ძროხის წამოსაყვანად გავემართე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ორი დღე ჯარიმის სახით, პირუტყვის შენახვისთვის, კიდევ უნდა ვიმუშაო.

– ჯანდაბა! – შესძახა უორნერმა და ტანდაბალი მინკისკენ დაიხარა, – ეს ჰიუსტონმა გითხრა?

– სწორედ მან, – უპასუხა მინკმა.

– ჯანდაბა! – გაიმეორა უორნერმა, შემდეგ უკანა ჯიბიდან ტყავის უზარმაზარი, გაცვეთილი, ჩემოდანივით ქამრით შეკრული საფულე ამოაძვრინა და იქიდან ერთდოლარიანი ბანკნოტი ამოიღო, – აიღე, – თქვა მან.

– მაშასადამე, კანონში მართლა წერია, რომ ერთი დოლარი კიდევ უნდა გადავიხადო, სანამ ძროხას დამიბრუნებენ?

– დიახ, – უთხრა უორნერმა, – რახან ჰიუსტონი ითხოვს. აიღე ეს დოლარი.

– არ მჭირდება, – თქვა მინკმა და წასასვლელად მოემზადა, – მე და ჰიუსტონი ანგარიშსწორებას ფულით კი არა, ორმოებით ვახდენთ. თქვენთანმხოლოდ ამ კანონის დასაზუსტებლად მოვედი. თუ ამას კანონი ითხოვს, უნდა დავემორჩილო კიდეც. კანონს ვერ დავარღვევ. თუ კანონებს არ შევასრულებთ, მათ შესაქმნელად ფულს ტყუილუბრალოდ ხომ არ ვხარჯავთ.

– მოიცადე, – თქვა უორნერმა, – იქ წასვლა არ გაბედო. ჰიუსტონს არც კი მიუახლოვდე. შინ წადი და დამელოდე. ძროხას მე მოგიყვან, ოღონდ ჯერ ქვიქს ვიპოვი.

– არ არის საჭირო, – მიუგო მინკმა, – შესაძლოა, მე უფრო ნაკლები ორმო აღმომაჩნდეს მარაგში, ვიდრე ჰიუსტონს – დოლარი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ორი დღისთვის მეყოფა.

– მინკ! – შესძახა უორნერმა, – მინკ! დაბრუნდი!

მაგრამ მინკი წავიდა. თუმცა არსად ეჩქარებოდა, რადგან იმ დღეს უკვე ვერაფერში გამოიყენებდა. გათენებისთანავე ჰიუსტონის ახალი ბაკისკენ გაემართა და იქ მზის ჩასვლამდე დაყო. ამჯერად სამუშაო იარაღები ბუჩქის ქვეშ დამალა, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა, როდესაც მეორე დილით დაბრუნებას აპირებდა, და შინ წავიდა, სადაც ვახშამზე დამარილებული ქონი, სალაფავი და ნახევრად უმი კვერი მიირთვა. სახლში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა – თუნუქის მაღვიძარა, რომელიც საღამოს თერთმეტი საათისთვის დააყენა. ვახშმიდან ყავადანში ცოტა ყავა მოიტოვა, აგრეთვე ცოტაოდენი ხორცი გაცივებულ ტაფაზე და რამდენიმე კვერი, ასე რომ, თითქმის შუაღამე იდგა, როდესაც ზანგი ძაღლის გაავებულმა ყეფამ გააღვიძა. ქოხიდან გამოსულს მან, მინკმა, უთხრა:

– მისტერ სნოუპსი ვარ. სამუშაოზე გამოვცხადდი. ახლა შუაღამეა. ჩაინიშნე.

მას უნდა ეთქვა, რომ აქ იყო, რადგან შუადღეს წასვლას აპირებდა. ჰიუსტონთან ერთად ისინიც აკვირდებოდნენ. როდესაც მზემ ზენიტს მიაღწია და მან სამუშაო იარაღები ღობის კუთხეში დააწყო, იქ უკვე იდგა თოკით მიბმული მისი ძროხა, მაგრამ მან სხვისი თოკი მოხსნა, რქებზე საკუთარი ბაწარი მიამაგრა და კი არ წაიყვანა, ძუნძულით გაჰყვა უკან, თან შიგადაშიგ გვერდებზე თოკის ბოლოს ურტყამდა.

სწრაფად უნდა მიეყვანა სახლამდე და ბოსელში დაემწყვდია. დღეს კვლავ ვერ მოასწრებდა სადილობას, რადგან ხუთი მილის გავლას აპირებდა უორნერის მაღაზიამდე, რათა ორ საათზე ჯეფერსონისკენ მიმავალი საფოსტო ოთხთვალასთვის მიესწრო – უორნერი ხომ ვაზნებს არ ყიდდა. ცოლ-შვილი, ალბათ, მაგიდასთან იჯდა და სადილს შეექცეოდა, ასე რომ, ლანძღვა, ხმადაბლა ბურტყუნი აღარ დასჭირდებოდა, იქნებ დარტყმაც, ცოლისთვის ხელის კვრა, რათა ბუხრამდე მიეღწია, აგური გამოეძვრინა დაიქიდან სათუთუნე გამოეღო ერთადერთი ხუთდოლარიანი ბანკნოტით, შავი დღისთვის რომ გადაენახათ – იმ მენავის მსგავსად, მთელი ქონება რომ გაეყიდა და

თამაშში წაეგო, რომელიღაც ქერქეჭელას ან მაშველ რგოლს კი ვერაფრით შელეოდა. მას ხუთი ვაზნა ჰქონდა ძველი მსხვილკალიბრიანი ორლულიანი თოფისთვის, ძირითადად, საფანტი და მხოლოდ ერთი – სავათზე ან ბატზე სანადიროდ. მაგრამ ვინ იცის, რამდენი წელი ედო ასე – თვითონ აღარც კი ახსოვდა. გარდა ამისა, დარწმუნებული რომც ყოფილიყო მათ ვარგისიანობაში, ჰიუსტონი უკეთესს იმსახურებდა.

მან ფრთხილად შეინახა ქაღალდი კომბინეზონის ჯიბეში და საფოსტო ოთხთვალაში ჩაჯდა. დღის ოთხი საათისთვის ბოლო უღელტეხილიც გადაიარეს და ჯეფერსონიც გამოჩნდა. მან ინსტინქტურად, შეშინებულმა ჩაყო თითები საათის ჩასადებში, ისე, რომ სახეზე არაფერი დასტყობია, შემდეგ კი გაშმაგებით შეუდგა ქექვას ცარიელ ჯიბეში, სადაც – მშვენივრად ახსოვდა – საგულდაგულოდ ჩაიდო ქაღალდი. ახლა გაუნძრევლად იჯდა ფოსტალიონის გვერდით, სანამ ოთხთვალა მთიდან ეშვებოდა. „საჭიროა, – გაიფიქრა მან, – თანაც დაუყოვნებლივ", – ხმამაღლა კი მშვიდად წარმოთქვა:

– კარგი, ვაპირებდი, ხუთდოლარიანიდან გადამეხადა.

– რა? – ჰკითხა ფოსტალიონმა.

– ჩემი ფული, ხუთი დოლარი. ამ ჯიბეში მედო, როდესაც უორნერის მაღაზიასთან თქვენს ოთხთვალაში ჩავჯექი.

– ოხ, შე ჯუჯა ბოზიშვილო! – შესძახა ფოსტალიონმა, ოთხთვალა გზის პირას გააჩერა, სადავე მათრახზე დაახვია, გადმოვიდა და მინკს მიუახლოვდა, – გადმოეთრიე, – თქვა მან.

„ახლა უნდა ვეჩხუბო, – გაიფიქრა მინკმა, – დანა კი არ მაქვს. ჯოხისკენ რომ გავიწიო, დამასწრებს. მოხდეს, რაც მოსახდენია". იგი ეტლიდან ჩამოვიდა. ფოსტალიონი დაელოდა, სანამ იგი გამხდარ, გასაცოდავებულ ხელებს ასწევდა, შემდეგ კი ღონივრად სთხლიშა. დარტყმაზე მეტად მაგარ მიწაზე დაცემამ შეაწუხა. იგი გულაღმა ეგდო, გაუნძრევლად, თითქმის მშვიდად, და დაინახა, როგორ აძვრა ფოსტალიონი ოთხთვალაზე და გზა განაგრძო.

წამოდგა და გაიფიქრა: „არ უნდა ჩავმჯდარიყავი და ხუთი დოლარიც მექნებოდა". ეს აზრი თავში გაელვებისთანავე სადღაც გაუჩინარდა და თანაბარი ნაბიჯებით გაუყვა გზას, თითქოს იცოდა, რატომაც მიდიოდა. თუმცა იცოდა, უკვე ყველაფერი გაახსენდა: ორი-სამი წლის წინათ სოლონ ქვიქმა თუ ვერნონ ტალმა – მნიშვნელობა არა აქვს, ვინ – დათვი აღმოაჩინა, უკანასკნელი დათვი ამ მხარეში, რომელიც უორნერის წისქვილთან მდებარე კაშხლის გავლით ტყეში შევიდა. იგი ალყაში მოიქციეს, ვიღაცამ ჯეფერსონისკენ გაქუსლა აიკ მაკკასლინისა და უოლტერ იუველომის – იმ არემარეში საუკეთესო მონადირეების მოსაყვანად. ისინი მსხვილკალიბრიანი იარაღით გამოცხადდნენ, ძაღლებიც მოიყვანეს, ალმები დააყენეს და ისხეობა გაჩხრიკეს, სადაც დათვს მოჰკრეს თვალი. მაგრამ მას იქაურობა უკვე მიეტოვებინა. ახლა მინკმა იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ყოველ შემთხვევაში, უნდა ეცადა. მან მოედანი გადაჭრა და რკინა-კავეულის მაღაზიაში შევიდა, რომლის თანამესაკუთრეც მაკკასლინი გახლდათ, მას თვალებში მიაცქერდა და გუნებაში გაივლო: „ამასთან ვერაფერს გავაწყობ, იმ

ტყეებში ნამყოფია. იქ კი ან არის ირემი, დათვი ან ფოცხვერი, ან არ არის. ან ასეა, ან – ისე, ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე. ტყუილის თქმა რომც შევძლო, არ დამიჯერებს". მაგრამ უნდა ეცადა.

– ორი ვაზნა რისთვის გჭირდებათ? – ჰკითხა მაკკასლინმა.

– დღეს დილით ვიღაც ზანგმა განაცხადა, თითქოს ჭაობთან, ბლექუოტერის კაშხალთან, დათვის კვალს წააწყდა.

– არა! – თქვა მაკკასლინმა, – რისთვის გჭირდებათ ეს ორი ვაზნა?

– როგორც კი ბამბას ავიღებ, მაშინვე გადაგიხდით, – უთხრა მინკმა.

– არა, – გაიმეორა მაკკასლინმა, – ვერ მოგყიდით. იქ, თქვენთან, ფრენჩმენსბენდში, არაფერია, რასაც ტყვია სჭირდება.

არ შიოდა, თუმცა გუშინდელი დღის შემდეგ არაფერი ეჭამა. მაგრამ დილამდე დრო როგორმე უნდა გაეყვანა, სანამ არ გაირკვეოდა, წაიყვანდა თუ არა ფოსტალიონი უკან, უორნერის მაღაზიამდე. შუკის ბოლოში ერთი პატარა უბრალო დუქანი იცოდა, რომელიც ფრენჩმენსბენდის ყველა მცხოვრებისთვის ცნობილ, რეტლიფის საკერავი მანქანების გაყიდვის აგენტს ეკუთვნოდა. ნახევარი დოლარი ან თუნდაც ორმოცი ცენტი რომ ჰქონოდა, ორი ჰამბურგერი მოუვიდოდა, ხუთ ცენტად ბანანებსაც დააყოლებდა და ოცდახუთი ცენტი კიდევ დარჩებოდა.

ამ ფასად ღამის გასათევსაც იშოვიდა კომერციულ სასტუმროში – ეს შეუღებავი ორსართულიანი ბარაკიც შუკის ბოლოში მდებარეობდა. ორი წლის შემდეგ მას მისი ბიძაშვილი ფლემი დაეუფლება, მაგრამ ეს მინკმა ჯერჯერობით, ცხადია, არ იცოდა. კაცმა რომ თქვას, ერთხელაც არ გახსენებია თავისი ნათესავი გუშინდელი დილის შემდეგ, როდესაც უორნერის მაღაზიაში შევიდა, სადაც ფლემი, სანამ ცოლთან ერთად ტეხასში გაემგზავრებოდა, ყოველთვის გამოსაჩენ ადგილას იდგა, – მაგრამ მას მხოლოდ დილის რვა საათამდე უნდა გაეყვანა დრო, და თუ ლოდინისთვის ყოველ ჯერზე ნაღდ ფულს გადაიხდიდა, დიდი ხნის წინათ მოხვდებოდა დავრდომილთა თავშესაფარში.

მოსაღამოვდა, მოედანზე სინათლე აანთეს, აფთიაქიდან გამოსულიშუქი ცერად ეცემოდა ქვაფენილს, ქვებზე მკრთალად ციმციმებდა ფანჯარასთან მოთავსებული, მწვანე და წითელი სითხით სავსე ბურთულებიდან წამოსული მოვარდისფრო და მომწვანო ლაქები. დახლსაც ხედავდა, სადაც გაზიანი წყალი იყიდებოდა, ახალგაზრდობა კი – ქალაქურ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკები და გოგონები – სხვადასხვა ფერის ტკბილ სიროფს მიირთმევდა. იმასაც ამჩნევდა, რომ როგორც წყვილები, ისე მოხუცებიცა და ბავშვებიც ერთ მხარეს მიემართებოდნენ. შემდეგ მუსიკაც მოესმა – როიალზე უკრავდნენ, თანაც ძალიან ხმამაღლა. იგი ხალხს მიჰყვა და უშენ ადგილას მაღალ ფიცრულ ღობესა და შესასვლელთან სალაროს განათებულ ფანჯარას მოჰკრა თვალი. ამ ყველაფერს „მანათობელ გუმბათს" უწოდებდნენ. ადრეც ენახა გარედან, უმეტესწილად, დღისით, როდესაც შაბათობით ქალაქში ჩამოდიოდა, სამჯერ კი – საღამოს. მაშინაც ასე იყო განათებული. შიგნით არასდროს ყოფილა, რადგან სამივე შემთხვევაში, როდესაც ჯეფერსონში

საღამოს აღმოჩნდა, სოფლიდან თანამგზავრ მამაკაცებთან, თავის ტოლებთან ერთად ჯორით იყო ჩამოსული, რათა დილის მატარებლით მემფისში მდებარე საროსკიპოში მოხვედრილიყვნენ, და იმ რამდენიმე საცოდავ დოლარს, ჯიბეში რომ ედო, საკუთარ, ისედაც მწირ საზრდოს, ძალისძალად აკლებდა, ისევე, როგორც იმ ორ დღეს – სახლში მუშაობას. იმ დროს სისხლიც გაცილებით ჯიუტად და ხარბად აღუძრავდა ხორციელ ჟინს, ვიდრე კინოში წასვლის სურვილს.

ახლა, რა თქმა უნდა, შეეძლო რამდენიმე ცენტის დახარჯვა. მაგრამ განზე გადგა, სანამ რიგი ნელა მიიწევდა წინ სალაროს ფანჯრის გავლით და ბოლო მსურველიც შიგნით არ შევიდა. შემდეგ კაშკაშა სინათლე ტიხარს მიღმა ათინათებად და ანაბზინებად იქცა და ცივად აციმციმდა. ღობეს მიუახლოვდა, ჭუჭრუტანიდან გაიხედა და გრძელ, ვერტიკალურ ჭრილში მაყურებელთა ნაწილს მოჰკრა თვალი – უძრავი თავების ჩაბნელებულ რიგს, რომლის ზემოთაც სინათლის მობზუილე კონუსი გარდაუვლად ტყდებოდა მგზნებარედ და არაერთგვაროვნად მოძრავ სხეულებთან შეხებისას. მათი ცეკვა აუხდენელი, მაცდუნებელი და არეულ-დარეული სიზმრებისა და ოცნებების ნაზავად ეჩვენებოდა, რადგან ეკრანის მხოლოდ ვიწრო, ვერტიკალურ ზოლს ხედავდა. ასე იდგა, სანამ სალაროს ფანჯრიდან ხმა არ მოესმა:

– გადაიხადეთ ხუთი ცენტი და შებრძანდით. იქ ყველაფერი ჩანს.

– არა, გმადლობთ, – თქვა მან და გზას გაუდგა. ახლა მოედანზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ სეანსის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობა, ჭაბუკები და გოგონები, სახლში წასვლამდე კვლავ მოეფინებოდნენ აქაურობას და ისეთი ტკბილეულით ჩაიკოკლოზინებდნენ ყელს, რომელიც მას ცხოვრებაში არასდროს გაესინჯა. იმედი ჰქონდა, რომ ავტომობილს მოჰკრავდა თვალს: ჯეფერსონში უკვე ორი მანქანა დადიოდა – წითელი სარბოლო, რომელიც მერს, მისტერ დე სპეინს ეკუთვნოდა, და თეთრი „სტიმერი", ბანკის პრეზიდენტის საკუთრება (პოლკოვნიკი სარტორისი, ასევე მდიდარი ადამიანი, სხვა, ახალი ბანკის პრეზიდენტი, მანქანის შეძენას არ აპირებდა. უფრო მეტიც, სამი წლის წინათ, მისი ძალისხმევით, კანონიც კიმიიღეს, რომელიც ჯეფერსონის ქუჩებში ავტომობილის გადაადგილებას საერთოდ კრძალავდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ვინმე ბაფალოს მიერ საკუთარ ეზოში აწყობილმა მანქანამ პოლკოვნიკის წმინდასისხლიანი ბედაურები ისე დააფრთხო, რომ მათი დაოკება ძლივს მოხერხდა). მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მოედანი რომ გადაჭრა, კვლავ არავინ ჩანდა. შემდეგ სასტუმრო „ჰოლსტონ-ჰაუსი" მდებარეობდა. ტროტუარებზე დადგმულ ტყავის სავარძლებში კომივოიაჟორები ისხდნენ: თბილი საღამო იდგა, იქვე ერთი დაქირავებული ეტლი ჩამოეყენებინათ და შავკანიანი მსახური შიგ ისეთ ჩემოდნებსა და ყუთებს აწყობდა, რომ მათი მფლობელი უეჭველად სამხრეთისკენ მიემგზავრებოდა.

მაშასადამე, აჩქარება მართებდა, რათა მატარებლისთვის მიესწრო, თუმცა საქალაქო სასამართლოს თავზე აღმართული საათის ოთხივე ციფერბლატი მხოლოდ ცხრის ათ წუთს უჩვენებდა. საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ნიუ-ორლეანის მატარებელი მემფისიდან ჯეფერსონში რვა საათსა და ორმოცდათვრამეტ წუთზე ჩამოდგებოდა. თუმცა ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ სატვირთო მატარებელს ნებისმიერ დროს შეეძლო შემოსვლა,

ჩრდილოეთიდან მომავალ ხუთისნახევრიან სამგზავრობზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლითაც აგრეთვე უმგზავრია. ასე რომ, შეეძლო გაუნძრევლად მჯდარიყო მთელი ღამე და გათენებამდე ორი, იქნებ ხუთი ან ექვსი მატარებელიც კი ენახა.

მოედანს რომ გასცდა, ჩაბნელებულ სახლებს ჩაუარა. იქ მოხუცები, რომლებიც კინოში არ დადიოდნენ, სარწეველებში ისხდნენ, ბუნდოვნად რომ მოჩანდა ეზოების გრილ სიბნელეში. ამას ზანგების კვარტალი მოჰყვა, სადაც დენიც კი გაეყვანათ. ისინი მშვიდად, უზრუნველად ცხოვრობდნენ, გათითოკაცებულად აღარ იბრძოდნენ სიმართლისა და სამართლიანობისთვის, რადგან ეს დიდი ხნის წინათ დაეკარგათ, ან – ყველაზე აუცილებლისთვის, მათზე საკუთარი უფლებებისთვის. ამის მაგივრად, შეეძლოთ, ერთმანეთს გასაუბრებოდნენ, შემდეგ კი შინ წასულიყვნენ, თუნდაც ეს შავკანიანთა ქოხმახი ყოფილიყო, და დასაძინებლად დაწოლილიყვნენ, ნაცვლად იმისა, რომ ვაგზლამდე მთელი გზა ფეხით გაევლოთ, რათა იქ თავი შეეყოლიებინათ, სანამ ის წყეული ფოსტალიონი დილის რვა საათზე არ გამოცხადდებოდა.

ესეც რკინიგზის სადგური – შუქნიშნების წითელი და მწვანე თვალები, სასტუმროს ომნიბუსი, ლუციუს ჰოგანბეკის თვითმავალი ეტლი, გრძელი, გაჩახჩახებული ბაქანი, სადაცუამრავ მამაკაცსა და ბიჭს მოეყარა თავი – მათ აქ ჩავლილი მატარებლებისთვის თვალის შევლება სურდათ: ისინი აქ იმ სამ ჯერზეც იდგნენ, როდესაც იგი მატარებლიდან ჩამოვიდა. მასაც ასე უყურებდნენ, გეგონებოდათ, რომელიღაც ღირსშესანიშნავი ადგილიდან ჩამობრძანდა და არა მემფისის ბორდელიდანო.

ამას მატარებელი მოჰყვა, საყვირის ოთხჯერადი ხმა ჩრდილოეთის გადასასვლელიდან, ფარების შუქი, გრუხუნი, ორთქლმავლის ზარი, მემანქანე და ცეცხლფარეში, ბუნდოვნად რომ მოჩანდნენ ზემოთ ატყორცნილი მოშიშინე ორთქლის ნაკადის სიახლოვეს, მუხრუჭები, სატვირთო და სამგზავრო ვაგონები, ვაგონ-რესტორანი და კვლავ ვაგონები, სადაც მგზავრებს გზაში ეძინათ ხოლმე. მატარებელი ჩერდება. იქიდან ჰიუსტონის მსახურზე გაცილებით თავხედი ზანგი ჩამოდის დასაკეცი სკამით ხელში. მას გამცილებელი მოჰყვება. მდიდრები მხიარულად ადიან და სხდებიან ვაგონებში, სადაც სხვა მდიდრებს უკვე სძინავთ. ბოლოს დასაკეცსკამიანი ზანგი და გამცილებელი იკავებენ თავიანთ ადგილებს. ეს უკანასკნელი თავს გამოყოფს და ორთქლმავალს ხელს უქნევს, ორთქლმავალი კი მას გამგზავრების მაუწყებელი, ჯერ მოკლე, შემდეგ კი გაბმული საყვირის ხმით პასუხობს.

მალე ბოლო ვაგონის ორმაგი ლალისფერი შუქი ერთმანეთს ერწყმის, მოსახვევში, დამშვიდობების ნიშნად, თვალს აპაჭუნებს, სამხრეთის გადასასვლელთან საყვირი ოთხჯერ შეჰყვირებს, და მინკს შორეულ ადგილებზე ფიქრი იტაცებს, ნიუ-ორლეანზე, სადაც არასდროს ყოფილა და ვერასდროს მოხვდება, ნიუ-ორლეანის იქით მდებარე დასახლებებზე, ტეხასზე. რეალურად, პირველად ახლა გაახსენდა თავისი ბიძაშვილი, ერთადერთი სნოუპსების გვარიდან, ვინც თავის დახსნა და წინ წამოწევა მოახერხა – ან ასეთი დაიბადა, ან ისწავლა, საკუთარი თავი გამოწვრთნა, მათთან საბრძოლველად, მათგან თავის დასაცავად, მათ დასამარცხებლად

აუცილებელი მოხერხებულობა, უნარ-ჩვევები და ბედის წყალობა შეიძინა. მინკს კი ეს ყველაფერი საკმარისი რაოდენობით არ აღმოაჩნდა. „უნდა დავლოდებოდი, სანამ დაბრუნდებოდა", - გაიფიქრა მან, როდესაც უკვე დაცარიელებულ პლატფორმაზე გაიარა. თავში მყისვე გაუელვა, რომ „უნდა დავლოდებოდი" წამოსცდა და არა „უნდა დაველოდო", თითქოს ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა.

არც რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში იყო ვინმე, სადაც ხის მაგარი ძელსკამები და ნაფურთხი თამბაქოთი გავსებული რკინის ცივი ღუმელი იდგა. ხედავდა გამოკრულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ფურთხება იკრძალებოდა, მაგრამ არსად ეწერა, რომ უბილეთო ადამიანს დარბაზში ყოფნა არ შეეძლო. ესეც მალე გაირკვეოდა. ის კი იდგა - უთვალტანადო, მთელი დღის უჭმელობისა და უძილობისგან გამხდარი კაცი, გარეგნულად მოზარდივით, პატარა ბიჭივით უმწეო და დაუცველი, გახუნებული, დაბებკილი კომბინეზონითა და პერანგით, შიშველ ფეხებზე წამოცმული გაცვეთილი, მძიმე, ქვასავით მაგარი ფეხსაცმლით, გაოფლილი,დალაქავებული შავი ფეტრის შლაპით, და ერთადერთი ნათურით განათებულ ცარიელ ოთახში იყურებოდა. სალაროს ფანჯრის მიღმა ტელეგრაფის წყვეტილი ტკაცატკუცი და ორი ადამიანის ხმა ესმოდა: ღამის მორიგე შიგადაშიგ ვიღაცას ელაპარაკებოდა. შემდეგ ხმები მიწყდა და მწვანეწინსაფრიანმა ტელეგრაფისტმა ფანჯრიდან გამოიხედა.

- რამე გინდოდათ? - იკითხა მან.

- არა, გმადლობთ, - მიუგო მინკმა, - შემდეგი მატარებელი როდის იქნება?

- ოთხ საათსა და ოცდაორ წუთზე, - უთხრა ტელეგრაფისტმა, - იმას ელოდებით?

- დიახ, დიახ, - თქვა მინკმა.

- ექვსი საათი მოგიწევთ ლოდინი. აჯობებს, შინ წახვიდეთ, გამოიძინოთ და შემდეგ მოხვიდეთ.

- მე სოფლიდან ვარ, ფრენჩმენსბენდიდან, - აუხსნა მინკმა.

- აჰა, - თქვა ტელეგრაფისტმა და თავი უკან შეყო. კვლავ დაჯდა. სიჩუმე იდგა. მინკს ესმოდა კიდეც, როგორ შარიშურობდნენ და ჭრიჭინებდნენ კუტკალიები ლიანდაგებს გადაღმა, ჩაბნელებულ ხეებში, განუწყვეტლივ მშვიდობიანად ფუსფუსებდნენ, თითქოს ზაფხულის ღამის სიბნელეში წუთები და წამები უწყინარი წიკწიკით აღრიცხავდნენ დროს. უეცრად სადგური შეზანზარდა, აცახცახდა და გრუხუნით გაივსო - სატვირთო მატარებელმა უკვე ჩაიარა, მან კი თავს ძალა ვერ დაატანა, რომ გაეღვიძა და ბაქანზე გასვლა მოესწრო. სიცივისგან მობუზული კვლავაც მაგარ ძელსკამზე იჯდა, როდესაც ბოლო ვაგონის ლალისფერი ცეცხლი ჯერ ფანჯრებში შემოიჭრა, შემდეგ - გაღებულ კარებში, ბოლოს კი გაქრა და თან გრუხუნიც წაიყოლა. საყვირმა ოთხჯერ შეჰკივლა და დადუმდა. ამჯერად ტელეგრაფისტი დარბაზში იდგა მინკის გვერდით, ზედა განათება კი უკვე გამოერთოთ.

- ძილში გაგეპარათ, - თქვა მან.

– მართალია, – დაეთანხმა, – თითქმის არ გამიგია.

– რატომ ძელსკამზე არ წამოწვებით? ასე უფრო მოსახერხებელია.

– ეს აკრძალული არ არის?

– არა, – მიუგო ტელეგრაფისტმა, – გაგაღვიძებთ, როდესაც მერვეს გამოაცხადებენ.

– ძალიან დამავალებთ, – თქვა მინკმა და წამოწვა. ტელეგრაფისტი თავისთან წავიდა, სადაც უკვე ტკაცუნობდა აპარატი. „ჰო, – მშვიდად გაიფიქრა მინკმა, – ფლემი რომ აქ ყოფილიყო, ყველაფერს პირველივე დღეს მოაგვარებდა, ჯერ კიდევ მის დაწყებამდე. ტყუილუბრალოდ ხომ არ მუშაობდა უორნერთან, ჰიუსტონსაც კარგად იცნობდა, ქვიქსაც და სხვებსაც. ის ახლაც დაალაგებდა ვითარებას, დალოდება რომ შემეძლოს. მაგრამ საქმე ისკი არ არის, რომ მე არ შემიძლია ლოდინი. ამის შესაძლებლობას ჰიუსტონი არ მაძლევს". წამსვე მიხვდა, რომ ეს ასე არ იყო, ვინაიდან, რამდენი ხანიც უნდა დალოდებოდა, ისინი ფლემს დროულად დაბრუნებაში ხელს შეუშლიდნენ. ეს ფიალა მას თვითონ უნდა შეესვა ბოლომდე, ყველაფრისთვის გაეძლო, ამ ბოლო, უსარგებლო და უაზრო რისკზეც უნდა წასულიყო, თავი საფრთხეში ჩაეგდო; და მხოლოდ იმის საჩვენებლად, თუ რამდენს აიტანდა, სანამ ისინი მის ბიძაშვილს არ დააბრუნებდნენ, რომელიც მას გადაარჩენდა. ამავე ფიალაზე იყო დამოკიდებული ჰიუსტონის სიცოცხლეც, მაგრამ ჰიუსტონზე არ ფიქრობდა, ამ კაცზე ფიქრი იმ წუთიდან შეწყვიტა, როდესაც უორნერმა უთხრა, რომ ჯარიმის გადახდა მოუწევდა.

– რა გაეწყობა, – თქვა მან მშვიდად და ამჯერად ხმამაღლა, – თუ მათ ასე უნდათ, ამასაც გავუძლებ.

რვის ნახევარზე უკვე ფოსტის უკან მდებარე ვიწრო ეზოში იდგა, სადაც სახაზინო ეტლები გვერდითი კარიდან ფოსტალიონების მიერ საფოსტო გზავნილებით სავსე ტომრების გამოტანას ელოდებოდნენ. მინკმა ადვილად მიაგნო ფრენჩმენსბენდის ოთხთვალას და აუღელვებლად მიუახლოვდა მას, არც ძალიან, მაგრამ ისე, რომ ფოსტალიონს აუცილებლად შეემჩნია. კაცი, რომელმაც გუშინ იგი ძირს დასცა, ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა, მინკი დანახვისთანავე იცნო, ოთხთვალას მიუახლოვდა და ტომარა შიგ მოათავსა. მინკი არ განძრეულა, მხოლოდ იმას ელოდა, წაიყვანდნენ მას თუ არა. ფოსტალიონი ეტლში ჩაჯდა, სადავე მათრახიდან გამოხსნა და თქვა:

– კარგი, ვფიქრობ, შენი უკან დაბრუნება მომიწევს. ამოდი.

მინკი ოთხთვალაში მოკალათდა. თერთმეტი საათისთვის უორნერის მაღაზიასთან ჩამოვიდა, ფოსტალიონს მადლობა გადაუხადა და სახლამდე დარჩენილი ხუთი მილი ფეხით გაიარა. შინ სადილობისას მივიდა. ნელა და აუღელვებლად ჭამდა, სანამ ცოლი გაუთავებლად წუწუნებდა (თუმცა, როგორც ჩანს, გამოღებული აგური ვერ შეემჩნია) და იმის გაგებას ცდილობდა, თუ სად იყო იგი მთელი ღამის განმავლობაში. მინკმა ჭამა დაამთავრა და ყავა დააყოლა. შემდეგ წამოდგა, უხამსად, ბრაზიანად შეიგინა და სამივენი – ცოლიცა და ორივე ქალიშვილიც – გარეთ გაყარა ბამბის

ადრეული აღმონაცენებისთვის თოხით მიწის შემოსაყრელად, თვითონ კი მიწის იატაკზე წამოწვა ორპირში და საღამომდე ეძინა.

მეორე დღეც გათენდა. კუთხიდან მძიმე, ჯერ კიდევ ბაბუამისის ნაქონი მეათე კალიბრის ორლულიანი თოფი აიღო, რომლის ჩახმახებიც კურდღლის დაცქვეტილი ყურებივით მოჩანდა.

– ეს რაღაა? – შესძახა ცოლმა, – რა ჩაგიფიქრებია?

– კურდღელზე უნდა ვინადირო, – თქვა მან, – ქონის დანახვაზეც კი გული მერევა.

მინკმა თავისი მწირი მარაგიდან ყველაზე მსხვილი საფანტი შეარჩია –ორი, ხუთი და რვა ნომერი ვაზნები ჰქონდა – და გზას ან ბილიკს კი არ დაადგა, არამედ თხრილებს, წარაფებსა და ღრანტეებს გაუყვა, რათა ვერავის მოეკრა თვალი, ვერავის დაენახა, როგორ მივიდოდა იმ სამალავამდე, თვითონ რომ გაეკეთებინა ორი დღის წინათ, როდესაც უორნერის დაბრუნებას ელოდა: იქ, სადაც ჰიუსტონის სახლიდან უორნერის მაღაზიისკენ მიმავალი გზა ნაკადულზე გადებულ ხიდზე გადიოდა, ბარდებში მორი ეგდო, რომელზეც დაჯდომა შეიძლებოდა. იმ ბუჩქებზე, დასამიზნებლად სათოფურისთვის რომ დაემსგავსებინა, მოტეხილ ტოტებს ჯერ შეხმობა ვერ მოესწრო. თუ ჩასთვლემდა, აქედან ორმოცდაათ იარდში მდებარე ხის ხიდზე გადასვლისას ულაყი ბრაგაბრუგს ატეხდა.

იქნებ მთელი კვირა გასულიყო, სანამ ჰიუსტონი მაღაზიაში შევლას მოისურვებდა, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს დღეც დადგებოდა. და თუ მათ დასამარცხებლად მინკს დალოდება მოუწევდა, სამი თვის წინაც შეეძლოთ დანებება, რათა ტყუილუბრალოდ არც საკუთარი ძალა დაეხარჯათ და არც სხვისი. ერთი სიტყვით, არა მარტო პირველ, არამედ მეორე დღესაც უნადავლოდ დაბრუნდა და უსიტყვოდ, ხმის ამოუღებლივ ივახშმა, სანამ ცოლი წუწუნებდა და არ ასვენებდა იმის გამო, რომ არაფერი მოიტანა. ბოლოს დაცარიელებული თეფში გვერდზე გადადო და ქალი ცივი, თანაბარი, ბრაზიანი და მონოტონური ლანძღვა-გინებით გააჩუმა.

შესაძლოა, ეს არც მესამე დღეს მომხდარა. სიმართლე ითქვას, ზუსტად არ ახსოვდა, რამდენი დღე გავიდა, როდესაც მოულოდნელად ხიდიდან ფლოქვების ხმაური მოესმა და შემდეგ წამს ისინიც დაინახა: ჭენებით მომავალი ოდნავ აქაფებული ულაყი, რომელიც შიგადაშიგ თავს მედიდურად გვერდზე ატრიალებდა და აღვირისა და ლაგმის დაღეჭვას ლამობდა, რომლებითაც ჰიუსტონი მის შეკავებას ცდილობდა, უშველებელი ძარღვმაგარი ძაღლი იქვე მორბოდა. მინკმა თოფი ჩახმახზე შეაყენა, ბუჩქებში გაკეთებულ ხვრელში გააძვრინა, ჰიუსტონს მკერდში დაუმიზნა და ცოტათი მოახლოება აცადა. როდესაც სასხლეტს თითი გამოჰკრა, თოფმა უმტყუნა და გასროლის ნაცვლად ყრუ ტკაცუნი გაისმა, თავში გაუელვა: „ახლაც კი არ მანებებენ თავსო", თითი მეორე სასხლეტზე დადო და გულში გაიმეორა „ახლაც კიო". უეცრად იქუხა და ლულიდან ტყვია გამოვარდა, მინკმა კი გაიფიქრა: „ნეტა შეიძლებოდეს, რომ გასროლასა და მოხვედრას შორის ჰიუსტონს ვუთხრა, მან კიგაიგონოს: „იმიტომ კი არ გესვრი, ოცდაჩვიდმეტ-ნახევარი დღე რომ მამუშავე დღეში ორმოცდაათ ცენტად. ეგ არაფერია, ეს დიდი ხნის წინათ

დავივიწყე და გაპატიე. როგორც ჩანს, უორნერს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო – თქვენ, მდიდრები, ერთმანეთს გვერდში უნდა ედგეთ, თორემ სხვებს, ღარიბებს, ვაითუ თავში რაღაცამ დაარტყათ და ყველაფერი წაგართვან. არა, ამისთვის არ მისვრია შენთვის. იმ ზედმეტი, საჯარიმო დოლარის გულისთვის მოგკალი".

თავი მეორე

მაშ ასე, ნაფიცმა მსაჯულებმა თქვეს: „დამნაშავეა", მოსამართლემ განაცხადა: „სამუდამო პატიმრობა", მაგრამ იგი არც კი უსმენდა. იმიტომ, რომ რაღაც დაემართა. როდესაც შერიფს იგი იმ პირველ დღეს ქალაქში მიჰყავდა, იცოდა, რომ მისი ბიძაშვილი ტეხასში იყო, მაგრამ სჯეროდა, რომ რომელიმე გზისპირა ბოძთან ფლემი ან მის მიერ გამოგზავნილი კაცი მათ დაეწეოდა, წინ გადაუდგებოდა, შეაჩერებდა, რამეს იტყოდა ან ფულს ამოიღებდა, ერთი სიტყვით, ისე მოიქცეოდა, რომ ყველაფერი სიზმარივით გაქრებოდა.

იმ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როდესაც ციხეში სასამართლოს ელოდებოდა, საკნის ფანჯარასთან იდგა, ჭუჭყიანი ხელები გისოსებისთვის ჩაევლო, კისერი გაეწვდინა, რკინებს სახით ეკვროდა და საპატიმროს წინ მდებარე ქუჩის კუთხეს გასცქეროდა, მოედნის კუთხეს, სადაც მასთან მოსვლამდე მის ბიძაშვილს უნდა გამოევლო, რათა ყველაფერი გამოესწორებინა, ის გაეთავისუფლებინა და აქაურობისთვის მოეშორებინა. „მეტი არც არაფერი მინდა, – ფიქრობდა იგი, – მხოლოდ აქედან წასვლა, შინ დაბრუნება და მიწაზე მუშაობა. ბევრს როდი ვითხოვ".

საღამოობითაც სარკმელთან იდგა, სახე აღარ უჩანდა. საკნის სიბნელეში დაჟანგულ გისოსებზე ჩავლებული მისი ხელები კაცს თითქმის თეთრი, თითქმის სუფთა ეგონებოდა. გასცქეროდა თავისუფალ ადამიანებს, მამაკაცებს, ქალებს, ახალგაზრდებს, რომლებიც თავიანთი მშვიდობიანი საქმეების მოსაგვარებლად ან სიამოვნების მისაღებად მიემართებოდნენ, გრილ საღამოს მოედანზე მიდიოდნენ კინოს საყურებლად ან საკონდიტროში ნაყინის საჭმელად, შესაძლოა, მხოლოდ თავის ნებაზე სეირნობდნენ, რადგან თავისუფლები იყვნენ. მათ უძახდა, თავდაპირველად მორიდებით, შემდეგ სულ უფრო ხმამაღლა, სულ უფრო დაჟინებით. ისინი ჩერდებოდნენ, თითქოს შეშინებულნი, ფანჯრისკენ იყურებოდნენ და ნაბიჯს უჩქარებდნენ, იქაურობას სწრაფად ტოვებდნენ, ალბათ, ისეთ ადგილას სურდათ მოხვედრა, სადაც მათ ვეღარ დაინახავდა. ის კი მათ უკვე ფულს სთავაზობდა: „ეი, მისტერ! მისის! გამომეხმაურეთ! ვინმემ ამბავი მიუტანოს ფლემ სნოუპსს უორნერის მაღაზიაში! ის გადაიხდის! ათ დოლარს მოგცემთ! ოცსაც კი!"

როდესაც, როგორც იქნა, სასამართლოში წაიყვანეს, სადაც საკუთარ ბედს პირისპირ უნდა შეჰყროდა, ერთხელაც არ შეუხედავს მოსამართლეებისთვის, ამაღლებული ადგილისთვის, რომელიც, შესაძლოა, მის გოლგოთადაც ქცეულიყო. ამის ნაცვლად, დაჟინებით შესცქეროდა და თვალს არ აშორებდა ფერმკრთალ, უსახელო, გულგრილ ბრბოს და იქ თავისი ბიძაშვილის ან მის მიერ გამოგზავნილი კაცის დანახვას ცდილობდა. ასე იმ წუთამდე იქცეოდა,

სანამ მოსამართლე მაღალი მაგიდიდან წინ არ გადმოიხარა და არ შესძახა: „სნოუპს! სახეში მიყურეთ! თქვენ მოკალით ზაკ ჰიუსტონი თუ არა?" მან კი, მინკმა, მიუგო: „ნუ მაწუხებთ. ვერ ხედავთ, რომ არ მცალია?"

მეორე დღესაც, როდესაც იურისტები ყვიროდნენ, კამათობდნენ და კინკლაობდნენ, მას არაფერი გაუგონია, ვერც გაიგონებდა, მათი ნათქვამის გაგების თავი რომც ჰქონოდა, ვინაიდან გამუდმებით იმ შორეულ კარს შესცქეროდა, საიდანაც მისი ბიძაშვილი ან მის მიერ გამოგზავნილი კაცი უნდა შემოსულიყო. ბოლოს ბორკილდადებული კვლავ თავის საკანში წაიყვანეს, ის კი გაფაციცებული სახით, რომელზეც თავდაპირველად მოუსვენრობა და მოუთმენლობა იკითხებოდა, ახლა კი წუხილი, ერთგვარი გაოცება და ამასთან სრული სიფხიზლე შეიმჩნეოდა, ყველა შემხვედრს დაჟინებით აკვირდებოდა. შემდეგ კვლავ საკნის ფანჯარასთან იდგა, დაუბანელი ხელები ჟანგიანი გისოსებისთვის ჩაევლო და მთელი ძალით ეკვროდა, რათა უკეთ დაენახა მის ქვემოთ გართხმული ქუჩა და მოედანი, სადაც მის ბიძაშვილს ან მის მიერ გამოგზავნილ კაცს უნდა ჩაევლო.

და ამიტომ, როდესაც მესამე დღეს, ბადრაგზე ხელბორკილმიბმულმა შეამჩნია, რომ მოედანზე გავლისას ერთხელაც არ შეუვლია თვალი მისკენ მოპყრობილი სახეებისთვის, და სასამართლოს დარბაზში შესვლისა და განსასჯელთა სკამზე დაჯდომის შემდეგ ზღვა ხალხის მიღმა არც შორეული კარისკენ გაუხედავს, ვერ გაუმხილა საკუთარ თავს, ასე რატომ მოხდა. სწორედ ამ პოზაში იჯდა პატარა, უსუსური, ჩია ბიჭივით გარეგნულად უწყინარი, სანამ იურისტები კამათსა და ლაქლაქს განაგრძობდნენ, იმ საღამომდე, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა თქვეს: „დამნაშავეა", მოსამართლემ კი განაცხადა: „სამუდამო პატიმრობა", და ბორკილდადებული იმავე საკანში დააბრუნეს. კარი დაიხურა, ის კი რკინის საწოლზე ჩამოჯდა მიყუჩებული, მდუმარე, თავშეკავებული და მხოლოდ ცერად გახედა პატარა ფანჯარას, სადაც ჩაუმქრალი იმედით შეპყრობილი დღეში თექვსმეტ-თვრამეტ საათს ლოდინში ატარებდა.

და მხოლოდ ახლა უთხრა საკუთარ თავს, ახლა გაუელვა თავში სრულიად მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა აზრმა: „ის არ მოვა. ეტყობა, მთელი ამ დროის განმავლობაში სოფელში იყო. როგორც ჩანს, ამ საქმემ ტეხასამდეც ჩააღწია. მან ყველაფერი იცოდა ჩემი ძროხის შესახებ და მხოლოდ ელოდა, როდის ეტყოდნენ, რომ ციხეში დამამწყვდიეს, შემდეგ კი დაბრუნდა. ალბათ, იმაში დარწმუნება სურდა, რომ ახლა ისინი თავიანთ ჭკუაზე მათამაშებდნენ, რომ მათ დამამარცხეს, სული ამომხადეს. შესაძლოა, სასამართლოში იმალებოდა, რათა დაბეჯითებით სცოდნოდა, რომ არაფერი გამორჩა, რომ, როგორც იქნა, თავიდან მომიცილა, თანაც სამუდამოდ".

საბოლოოდ დამშვიდდა. ადრე ფიქრობდა, რომ მაშინ, იმ წუთს დაწყნარდა, როდესაც გადაწყვიტა, როგორ მოჰქცეოდა ჰიუსტონს, დამიხვდა, რომ ჰიუსტონი ფლემის მოსვლამდე დალოდების უფლებას არ მისცემდა. მაგრამ თურმე ცდებოდა. რომელ სიმშვიდეზე იყო საუბარი, როცა ყველაფერი ბურუსს მოეცვა: მაგალითად, არ იცოდა, შეატყობინებდნენ თუ არა ფლემს, რომ უბედურება შეემთხვა, დროულად შეტყობინებაზე რომ არაფერი ვთქვათ. და თუნდაც დროულად შეეტყობინებინათ კიდეც მისთვის, ვინ იცის, რას

შეეძლო მისთვის ხელის შეშლა – წყალდიდობას თუ სარკინიგზო კატასტროფას.

მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა. აღარც შესაწუხებელი ჰქონდა რამე, აღარც – ასაღელვებელი. მხოლოდ ლოდინი მოეთხოვებოდა. მან კი უკვე დაუმტკიცა საკუთარ თავს, რომ ამას მშვენივრად ახერხებდა. ლოდინი – მეტი არაფერი სჭირდებოდა. ადვოკატის გამოძახებაც კი არ უთხოვია ციხის ზედამხედველისთვის – მან თვითონ უთხრა, რომ ვახშმის შემდეგ შეუვლიდა.

მიირთვა კიდეც მოტანილი ვახშამი – იგივე ღორის ხორცი და ნახევრად უმი კვერი ბადაგით, რასაც სახლშიც ჭამდა, ოღონდ აქაური კერძები უფრო მოეწონა: ღორის ხორცი ნაკლებად ცხიმიანი მოეჩვენა. ეგ არის, რომ შინ საკუთარ ვახშამს გეახლებოდათ, თავისუფლებაზე მყოფი. მაგრამ ამასაც გაუძლებდა, თუ ისინი მეტს აღარაფერს მოსთხოვდნენ. შემდეგ კიბეზე ნაბიჯების ხმა მოესმა, კარი ჯახუნით გაიღო, ადვოკატი შემოუშვა და ჯახუნითვე დაიხურა. ადვოკატი ახალგაზრდა იყო, ცოტათი ფიცხი, ახლახან დაემთავრებინა იურიდიული ინსტიტუტი. იგი თვითონ მოსამართლემ დანიშნა, უფრო სწორად, უბრძანა, რომ დაეცვა, და თუმცა მინკს ამის თავი არ ჰქონდა, მაშინვე მიხვდა, რომ ადვოკატს არც მისი საქმე აღელვებდა და არც მისი გასაჭირი. არც იცოდა, ეს რა საჭირო იყო, რადგან ჯერაც სჯეროდა, რომ საქმის მოგვარება სულ ადვილად შეიძლებოდა – ამისათვის მოსამართლეს ან ვინმე სხვას კაცი უნდა გაეგზავნა ფრენჩმენსბენდში და იქ მისი ბიძაშვილი ეპოვა.

ეს ადვოკატი ძალიან ახალგაზრდა და ფიცხი იყო, ამიტომაც ყველაფერი გააფუჭა. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მხოლოდ იმის გაგება სურდა, მომავალში რა ელოდა. ამიტომ დრო აღარ დაუკარგავს.

– კარგი, – თქვა მან, – დიდხანს მომიწევს იქ ყოფნა?

– ეს პარჩმენის ციხეა, კატორღა, – მიუგო ადვოკატმა, – როგორ არ გესმით?

– კარგი, – თქვა მინკმა, – დიდხანს მომიწევს იქ ყოფნა?

– თქვენ სამუდამო პატიმრობა მოგისაჯეს, – აუხსნა ადვოკატმა, – ვერ გაიგონეთ, რა თქვა მოსამართლემ? მთელი დარჩენილი ცხოვრება. სანამ არ მოკვდებით.

– კარგი, – მესამედ განაცხადა მინკმა ისევე მშვიდად, თითქმის თანაგრძნობით აღსავსე მოთმინებით: – დიდხანს მომიწევს იქ ყოფნა?

ამჯერად ადვოკატიც კი მიხვდა ყველაფერს.

– აჰა, გასაგებია. ეს თქვენს მეგობრებზეა დამოკიდებული, თუ ისინი გყავთ. შესაძლოა, მთელი ცხოვრება, როგორც ეს მოსამართლე ბრამეჯმა განაცხადა. მაგრამ ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ, კანონის თანახმად, შეგიძლიათ ამნისტია ან თავდებით გამოშვება მოითხოვოთ, თუ გავლენიანი მეგობრები დაგეხმარებიან და იქ, პარჩმენში, სათანადოდ მოიქცევით.

– ვისაც მეგობრები არ ჰყავს? – იკითხა მინკმა.

– მას, ვინც ბუჩქებში იმალება და ადამიანს ისე ესვრის, რომ არც კი დაუძახებს „თავი დაიცავიო", გასაფრთხილებლად არც კი დაუსტვენს, – ასეთს, მეგობრები, ცხადია, არ ჰყავს, – მიუგო ადვოკატმა, – ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქიდან გასათავისუფლებლად მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ.

– კარგი, – თქვა მინკმა იმავე ურყევი, უსაზღვრო მოთმინებით, – ამიტომაც ერთი სული მაქვს, რომ ლაქლაქს მორჩეთ და ყველაფერი ამიხსნათ. როგორ უნდა მოვიქცე, რომ იქიდან ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ გამოვიდე?

– მთავარია, გაქცევა არ სცადოთ, და არავის დაელაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმაროთ ვინმეს გაქცევაში. არ ეჩხუბოთ პატიმრებსა და გუშაგებს. რასაც გიბრძანებენ, ყველაფერი შეასრულეთ, სამუშაოს თავი არ აარიდოთ, არ იწუწუნოთ, არ შეეპასუხოთ, მანამ იმუშავეთ, სანამ არ შეგაწყვეტინებენ. ერთი სიტყვით, სათანადოდ მოიქეცით. თავიდანვე ასე რომ მოქცეულიყავით, შემოდგომის იმ დღიდან, როდესაც მისტერ ჰიუსტონის ხარჯზე თქვენი ძროხის მუქთად გამოკვება გადაწყვიტეთ, ახლა ამ საკანში არ იჯდებოდით და არ შემეკითხებოდით, აქაურობას თავი როგორ დავაღწიოო. გიმეორებთ, მთავარია, გაქცევა არ სცადოთ.

– გაქცევა? – ჩაეკითხა.

– დიახ, თავის დაღწევა, გაქცევა არ სცადოთ.

– არ ვცადო? – გაიმეორა მინკმა.

– ამას ისედაც ვერ მოახერხებთ, – თქვა ადვოკატმა და მოწოლილი ბრაზი ძლივს შეიკავა, – ეს შეუძლებელია. არ გამოგივათ. ეს არავის გამოსვლია. გაქცევას ისე ვერ ჩაიფიქრებთ, რომ ამის შესახებ სხვებმა არ შეიტყონ. მაშინ ისინი თქვენთან ერთად მოინდომებენ წასვლას, და ყველას დაგაკავებენ. რომც მოახერხოთ, გეგმა არავის გაუმხილოთ და მარტო გაიქცეთ, ღობეზე გადაძრომისას გუშაგი მოგკლავთ. ასე რომ, თუ მორგს გადაურჩებით, ციხეში დაგაბრუნებენ და ოცდახუთ წელს დაგიმატებენ. გასაგებია?

– მაშასადამე, იმისათვის, რომ ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ გამოვიდე, მხოლოდ ერთი რამ მჭირდება – გაქცევა არც კი უნდა ვცადო. არავის ვეჩხუბო. გავაკეთო, რასაც მიბრძანებენ, ბრძანებას დავემორჩილო. და, რაც მთავარია, გაქცევა არ ვცადო. აი, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ოცი-ოცდახუთი წლისშემდეგ ციხიდან გამოვიდე.

– სწორია, – დაეთანხმა ადვოკატი.

– კარგი, – თქვა მინკმა, – ახლა კი წადით და მოსამართლეს ჰკითხეთ, ეს მართლა ასეა თუ არა, და თუ ასეა, ქაღალდი გამომიგზავნოს, სადაც ეს ყველაფერი ეწერება.

– გამოდის, ჩემი არ გჯერათ? – ჰკითხა ადვოკატმა.

– მე არავისი არ მჯერა, – მიუგო მინკმა, – ოც თუ ოცდახუთ წელს ვერ დავკარგავ იმის გასარკვევად, სიმართლეს მეუბნებით თუ არა. როდესაც გამოვალ, საქმე მექნება გასაკეთებელი. ასე რომ, უნდა ვიცოდე. კარგი იქნება, თუ მოსამართლე ამის დამადასტურებელ ქაღალდს მომცემს.

– ჩემი, როგორც ჩანს, არასდროს გჯეროდათ, – უთხრა ადვოკატმა, – მაშასადამე, მიგაჩნიათ, რომ ეს საქმე მე გავაფუჭე? იქნებ გგონიათ, რომ არც აქ მოხვდებოდით, მე რომ არ ვყოფილიყავი? ასეა?

მინკმა კვლავ ურყევი, მოთმინებით აღსავსე სიმშვიდით უპასუხა:

– რაც შეგეძლოთ, ყველაფერი გააკეთეთ. ეგ არის, რომ ამგვარი საქმისთვის შეუფერებელი, ახალგაზრდა და ფიცხი კაცი ბრძანდებით. მე კი სხვანაირი მჭირდება – მოხერხებული, კვაჭი, რათა საქმე მოაკვარახჭინოს. ასეთი არ ხართ. ამიტომ აჯობებს, წახვიდეთ და მოსამართლისგან ის ქაღალდი მომიტანოთ.

ამჯერად ადვოკატმა გაცინებაც კი სცადა.

– ეს მე არ მეხება, – თქვა მან, – სასამართლომ მაშინვე გამათავისუფლა, როგორც კი განაჩენი გამოგიტანათ. აქ მხოლოდ გამოსამშვიდობებლად შემოგიარეთ, და იმის გასაგებად, დახმარება ხომ არ შემიძლია-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ადამიანებს, რომლებსაც მეგობრები არ ჰყავთ, არც დახმარება სჭირდებათ.

– სამაგიეროდ, მე არ გამიშვიხართ! – თქვა მინკმა და აუჩქარებლად წამოდგა. ადვოკატი წამოხტა, დაკეტილ კარს მივარდა და მისკენ მიმავალ კაცუნას მიაჩერდა: უსუსურს, უთვალტანადოს, გარეგნულად ბავშვივით უწყინარს, მაგრამ პატარა, შხამიანი გველივით – კობრასავით ან სპილენძასავით – სასიკვდილო საფრთხის შემცველს. ადვოკატმა დაიყვირა, იღრიალა. კიბეზე მაშინვე გაისმა ფეხის ხმა, კარი გრუხუნით გაიღო და ზღურბლზე პისტოლეტმომარჯვებული ციხის ზედამხედველი გამოჩნდა.

– რა მოხდა? – შესძახა მან, – რამე ხომ არ დაგიშავათ?

– არა, – თქვა ადვოკატმა, – ყველაფერი კარგადაა. ჩემი საქმე დავამთავრე და წასვლა მინდოდა.

მაგრამ მას სულაც არ დაუმთავრებია ყველაფერი, თუმცა უნდოდა, რომ ასე ეფიქრა. დილას აღარც კი დაელოდა და თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე სასტუმროში იყო, იმ ნომერში, სადაც ის საოლქო მოსამართლე ცხოვრობდა, სასამართლოს რომ თავმჯდომარეობდა და განაჩენიც გამოიტანა. ადვოკატი კვლავაც აჩქარებით სუნთქავდა, ვერ დაეჯერებინა, რომ საფრთხე აღარ ემუქრებოდა, უკვირდა კიდეც, როგორ გადავრჩიო.

– იგი შეშლილია, გესმით? – თქვა მან, – საშიშია! არ შეიძლება პარჩმენის ციხეში მისი ჩასმა, საიდანაც, შესაძლოა, თავდებით გამოუშვან ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ, თუ მანამდე არ დაიხსნის მისი რომელიმე ნათესავი, – ასეთი კი უამრავი ჰყავს, – გავლენიანი პიროვნება ან ვინმე დოყლაპია ქველმოქმედი, გუბერნატორის კეთილგანწყობით რომ სარგებლობს.

იგი ჯექსონში უნდა გავუშვათ, საგიჟეთში, სამუდამოდ. იქ უსაფრთხოდ იქნება, უფრო სწორად, ჩვენ ვიქნებით უსაფრთხოდ!

კიდევ ათი წუთის შემდეგ მოსამართლესთან უკვე პროკურორი იჯდა, რომელიც ამ საქმეში ბრალმდებლად გამოდიოდა, და ადვოკატს ეუბნებოდა:

– მაშასადამე, გსურთ, რომ განაჩენი გააპროტესტოთ და საქმის ხელახალი მოსმენა დანიშნოთ? ადრე რატომ არ იფიქრეთ ამის შესახებ?

– თქვენ ხომ თავადაც ნახეთ იგი, – თქვა ადვოკატმა, თუმცა ეს ყვირილს უფრო ჰგავდა, – სასამართლოში ხომ სამი დღე იჯექით მასთან ერთად!

– მართალია, – თქვა პროკურორმა, – ამიტომაც გეკითხებით, მხოლოდ ახლა რატომ შემოირტყით თავში ხელი.

– მაშასადამე, მას შემდეგ იგი არ გინახავთ, – თქვა ადვოკატმა, – საკანში წამობრძანდით და ნახეთ, ვინ ვიხილე ნახევარი საათის უკან.

მაგრამ მოსამართლე მოხუცი კაცი იყო და საღამოს წასვლა არ მოისურვა. ციხის ზედამხედველმა მხოლოდ დილით გააღო საკნის კარი და სამივენი შიგნით შეუშვა. მათ შესახვედრად საწოლიდან პატარა, ერთი შეხედვით სუსტი, თითქმის უხორცო კაცი წამოდგა, რომელსაც ტანზე გახუნებული, დაბებკილი კომბინეზონი და პერანგი, შიშველ ფეხებზე კი ქვასავით მაგარი ფეხსაცმელი ეცვა. დილით გაეპარსათ, თმა დავარცხნილი და გადაგლესილი ჰქონდა.

– შემობრძანდით, ჯენტლმენებო, – თქვა მან, – სკამები არ მაქვს, თუმცა დასაჯდომად, ალბათ, არც გცალიათ. მაშასადამე, ბატონო მოსამართლევ, არა მარტო ქაღალდი მომიტანეთ, არამედ ორი მოწმეც მოიყვანეთ, რათა მათი თანდასწრებით გადმომცეთ.

– მოითმინეთ, – აჩქრებით მიმართა მოსამართლეს ადვოკატმა, – მათქმევინეთ, – იგი მინკს მიუახლოვდა: – ქაღალდი არ გჭირდებათ. მოსამართლე და სხვები ხელმეორედ გაგასამართლებენ.

მინკი გაქვავდა და ადვოკატს მიაჩერდა.

– რატომ? – იკითხა მან, – ერთხელ უკვე გამასამართლეს, თუმცა ტყუილუბრალოდ.

– ის სასამართლო არასწორი იყო, – თქვა ადვოკატმა, – სწორედ ამისსათქმელად მოვედით თქვენთან.

– თუ არასწორი იყო, მეორე სასამართლოსთვის დროისა და ფულის დაკარგვა რა საჭიროა? უბრძანეთ ამ კაცს, ჩემი შლაპა მოიტანოს და კარი გააღოს – შინ წავალ ბამბის მოსავლის ასაღებად, ცხადია, თუ დარჩა კიდევ რამე ასაღები.

– არა, მოითმინეთ, – თქვა ადვოკატმა, – ის სასამართლო იმიტომ იყო არასწორი, რომ სამუდამო კატორღა მოგისაჯათ. ამჯერად აღარ მოგიწევთ

ციხეში ჯდომა და სხვის მოედანზე, სხვისი გულისთვის, დილიდან საღამომდე სიცხეში მუშაობა, – იგი მინკს თავისი უსიცოცხლო, მონაცრისფრო თვალებით ისე მიაშტერდა, თითქოს მათი დახამხამება არ შეეძლო, და დაბადების შემდეგ ამის გაკეთება ერთხელაც არ დასჭირვებოდა. მოულოდნელად იგი უნებლიეთ, საკუთარი ნების წინააღმდეგ აბურტყუნდა: – თქვენ პარჩმენში კი არ გაგგზავნიან, არამედ – ჯექსონში, სადაც ცალკე ოთახი გექნებათ, არც მუშაობა მოგიწევთ. მთელი დღე დაისვენებთ, ექიმები კი... – აქ მან საკუთარ თავს გააწყვეტინა, უფრო სწორად, ბურტყუნი თვითონ კი არ შეწყვიტა, ეს მისი უსიცოცხლო, მონაცრისფრო თვალების გაშტერებულმა მზერამ გააკეთებინა.

– ექიმები, ჯექსონი, – თქვა მინკმა და ადვოკატს შეხედა, – იქ ხომ გიჟებს ათავსებენ.

– თქვენთვის ასე აჯობებდა... – დაიწყო პროკურორმა, მაგრამ მეტის თქმა ვერ მოასწრო. უნივერსიტეტში სწავლისას სპორტს მისდევდა და ფორმა ჯერაც შეენარჩუნებინა. ძლივს მოასწრო, ხელი ეტაცა ამ პატარა გაცოფებული ქმნილებისთვის, როდესაც იგი ადვოკატს მივარდა. ორივენი იატაკზე გაგორდნენ. ციხის ზედამხედველის დახმარებით ძლივს გაათრიეს და ახლა გაჭირვებით იჭერდნენ მას, რომელიც ცოფიან კატასავით გააფთრებული, პირზე დუჟმომდგარი ბურტყუნებდა:

– მაშ, მე ვარ შეშლილი? მე ვარ გიჟი? ოხ, შე ნაბიჭვარო, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა გიჟის დაძახება. ამას არავის ვაპატიებ, თუნდაც ყველაზე უფროსი იყოს, თუნდაც ბევრნი იყვნენ...

– მართალი ხარ, შე პატარა არამზადავ! – შესძახა აქოშინებულმა პროკურორმა, – შენი ადგილი პარჩმენშია, პარჩმენში! იქ შენთვის ექიმებიც გამოინახებიან, რომლებიც მოგარჩენენ!

იგი ხელბორკილით შერიფის თანაშემწეს მიაბეს და პარჩმენის გზას გაუყენეს. ბევრი ვაგონი და საგარეუბნო მატარებელი გამოიცვალეს, სანამ ბავშვობიდან ნაცნობი მთისწინეთიდან იმ მდინარის დელტასთან არ გავიდნენ, რომელიც ცხოვრებაში არასდროს ენახა – კვიპაროსებითა და ევკალიპტებით დაფარულ უშველებელ დაჭაობებულ დაბლობზე, სადაც ბარდებსა და ტევრნარში დათვები, ირმები, ჯიქები და უამრავი გველი ბუდობდა, ადამიანი კი გაბოროტებითა და ჯიუტად ძირკვავდა ხეებს და ბურცობებიან მიწაზე ისეთ მაღალ, წვრილ ბამბას ამრავლებდა, ცხენიან კაცსაც რომ დაფარავდა. იჯდა და ფანჯარას ბავშვივით მიჰკვროდა.

– აქ სულ ჭაობებია, – თქვა მან, – როგორც ჩანს, ჯანმრთელობისთვის მავნე ადგილებია.

– მერედა, როგორი მავნე, – მხარი აუბა შერიფის თანაშემწემ, – ეს განზრახ მოიფიქრეს ასე. სწორედ ეს არის კატორღა. ჩემი აზრით, არაფერია იმაზე მავნე, ვიდრე ჩაკეტილში, მავთულხლართს მიღმა ოცი-ოცდახუთი წლის გატარება. შენთვის კი მავნე ადგილები სასარგებლოც კია – მალე მოკვდები.

ახლაღა მიხვდა, რა იყო პარჩმენი, კატორღა, მისი ბედისწერა, სამსჯავრო; მთელი ცხოვრება, როგორც მოსამართლემ თქვა, სამუდამოდ. სიკვდილამდე

ყოფნა. ადვოკატი კი სხვა რამეს ამბობდა, თუმცა მისი ნდობა არ შეიძლებოდა: ოცდახუთი, იქნებ ოცი წელიო. არადა, ადვოკატმა, ისეთმაც კი, ვისი ნდობაც არ შეიძლება, თავისი საქმე კარგად იცის, ტყუილუბრალოდ ხომ არ სწავლობდნენ ისინი სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც ბევრს ავარჯიშებდნენ, რათა არაფერი შეშლოდათ. განსხვავებით მოსამართლისგან, რომელსაც მხოლოდ ხმები უნდა მიეღო და არჩევნებში გაემარჯვა. მერე რა, რომ მოსამართლემ ხელი არ მოაწერა ქაღალდს, სადაც ოცდახუთ ან, იქნებ, ოც წელზე იქნებოდა საუბარი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა – მოსამართლე მის წინააღმდეგ იყო და, ცხადია, მოატყუებდა ადამიანს, რომელსაც ასამართლებდა, ადვოკატი კი, შენი საკუთარი ადვოკატი, არ მოგატყუებს. მეტიც, ადვოკატს მოტყუებაც არ შეუძლია: როგორც ამბობენ, თუ კლიენტი მას სიმართლეს არ უმალავს, კანონი ადვოკატს ტყუილის თქმას უკრძალავს.

თუნდაც ასე არ ყოფილიყო, არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან იგი პარჩმენში სიცოცხლის ბოლომდე დარჩენას არ აპირებდა, ამდენი დრო არ ჰქონდა, აქაურობისთვის აუცილებლად უნდა დაეღწია თავი. უყურებდა მავთულხლართიან მაღალ ღობეს, ერთადერთ კარს, სადაც დღედაღამ შეიარაღებული გუშაგები იდგნენ, ქვის დაბალ, პირქუშ, გისოსებიანი ფანჯრების მქონე შენობებს, და ფიქრობდა, ცდილობდა გაეხსენებინა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ იმიტომ სურდა გათავისუფლება, რომ შინ დაბრუნებულიყო და თავის ნაკვეთზე ემუშავა. მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით გაახსენდა, ვინაიდან იცოდა – აქაურობისთვის აუცილებლად უნდა დაეღწია თავი.

აქედან აუცილებლად უნდა წასულიყო. ტანსაცმელი – გახუნებული და დაბებკილი ლურჯი კომბინეზონი და პერანგი – უხეში თეთრი ნაჭრისგან შეკერილი კომბინეზონითა და სამუშაო ხალათით შეუცვალეს, რომელსაც გარდიგარდმო შავი ზოლები დაჰყვებოდა. მოსამართლეს თუ დაუჯერებდა, ეს იყო მისი ბედისწერა სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ ადვოკატი ხომსხვაგვარად მსჯელობდა. ახლა სხვა კატორღელებთან ერთად მუშაობდა ბამბის შავ, ნაყოფიერ მინდვრებში. ცხენზე ამხედრებულ გუშაგებს თოფები უნაგირზე დაემაგრებინათ და ისე დარაჯობდნენ მათ. ის კი იმ ერთადერთ რამეს აკეთებდა, რაც იცოდა და რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში აკეთებდა. აღარასოდეს მოუწევდა საკუთარ ნაკვეთში ფუსფუსი, თუ მოსამართლე მართალი აღმოჩნდებოდა. მინკმა გაიფიქრა: „მერე რა. ასე უკეთესიც კია. თუ ადამიანი ნებით მუშაობს, მას შეუძლია, იმუშაოს ან არ იმუშაოს. მაგრამ თუ სჭირდება, რომ იმუშაოს, ვერაფერი შეაჩერებს“.

ღამღამობით, როდესაც ხის საწოლზე უზეწროდ, უხეში საბნის ქვეშ იწვა და თავი, ბალიშის ნაცვლად, დაკეცილ ტანსაცმელზე დაედო, გუნებაში სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, რადგან საკუთარი ხასიათი, ჩვევები და მთელი არსება ყოველდღიურად უნდა გადაეკეთებინა: „ის უნდა გავაკეთო, რასაც მიბრძანებენ. არავის შევეკამათო. არავის ვეჩხუბო. მხოლოდ ეს მომეთხოვება ოცდახუთი ან, იქნებ, ოცი წლის განმავლობაში. და, რაც მთავარია, გაქცევა არ ვცადო“.

განვლილ წლებს არც კი ითვლიდა. მათ უბრალოდ ივიწყებდა, ბამბის მინდვრებში მძიმე ფეხსაცმლით მიწაზევე ჭყლეტდა, როდესაც ჯერ გუთანში

შებმულ ჯორს მიჰყვებოდა, შემდეგ ფარცხით, საჩეხითა და თოხით დადიოდა, ბოლოს კი – მძიმე ტომრით, რომელშიც მოწეულ ბამბას აგროვებდა. წლების დათვლა ისედაც არ სჭირდებოდა, ვინაიდან კანონის ხელში იმყოფებოდა, და სანამ მის მიერ დაწესებულ ოთხ წესს არ არღვევდა, ამ კანონს ერთადერთი პირობა უნდა შეესრულებინა ოცდახუთი ან, იქნებ, ოცი წლის შესახებ.

მან არ იცოდა, რამდენი წელი გავიდა, ორი თუ სამი, როდესაც წერილი მიიღო. იდგა დაჟინებით მომზირალი ციხის უფროსის კაბინეტში და ხელში მარკიან კონვერტს ატრიალებდა, რომელზეც მისამართი ფანქრით დაეწერათ.

– კითხვა თუ იცით? – ჰკითხა უფროსმა.

– მხოლოდ ბეჭდურის, ხელით დაწერილს ვერ ვარჩევ.

– მე ხომ არ გავხსნა? – შესთავაზა ციხის უფროსმა.

– ეგრე იყოს, – დაეთანხმა. კონვერტი გაიხსნა.

– თქვენი ცოლისგანაა. გეკითხებათ, როდის მოვიდეს თქვენს სანახავად, და ქალიშვილების ნახვა თუ გსურთ.

მინკმა კვლავ აიღო წერილი – სასკოლო რვეულიდან ამოხეულ ფურცელზე ფანქრით გამოყვანილი ოკრობოკრო ასოები, რომლებიც მინკისთვის იგივე არაბული თუ სანსკრიტული ტექსტი იყო.

– მათ ხომ კითხვაც არ შეუძლიათ, არათუ წერა, – თქვა მან, – ალბათ, მისის ტალმა დაუწერა.

– აბა, რას იტყვით? – ჰკითხა ციხის უფროსმა, – რა მივწეროთ?

– მისწერეთ, რომ ამსიშორეს ჩამოსვლა არ ღირს, ვინაიდან შინ მალე დავბრუნდები.

– აი, თურმე რა ყოფილა, – თქვა უფროსმა, – მაშასადამე, აქედან მალე აპირებთ გასვლას? – მან ამ გამხდარ, პატარა არსებას შეხედა, სიმაღლით თხუთმეტიოდე წლის ბიჭს რომ ჰგავდა. იგი მის გამგებლობაში უკვე სამი წელი იმყოფებოდა და პატიმართა საერთო მასიდან არასდროს გამოირჩეოდა. არც იდუმალება ახასიათებდა – არანაირი ჯარიმა, შენიშვნა ან საჩივარი ზედამხედველების, მამასახლისების ან უფროსობის მხრიდან, არანაირი წაკინკლავება სხვა პატიმრებთან. ციხის უფროსმა საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ სამუდამო პატიმრობამისჯილი მკვლელები, ჩვეულებრივ, ორ კატეგორიად იყოფოდნენ: გამოუსწორებლები, რომელთაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და მათგან უსიამოვნებას ვერც გუშაგები აუდიოდნენ და ვერც – პატიმრები, და მლიქვნელები, რომლებიც ყველას ეპირფერებოდნენ, ვისზეც მათი ცხოვრების შემსუბუქება იყო დამოკიდებული. მაგრამ ეს მათ არ ჰგავდა: სამუშაოზე ყოველ დილით გადიოდა, მთელი დღის განმავლობაში შეუპოვრად და კეთილსინდისიერად მუშაობდა, თითქოს ბამბა თავისთვის მოჰყავდა. მეტიც – ბამბას, რომლისთვისაც ერთ ცენტსაც კი ვერ მიიღებდა,

იმათზე უკეთ უვლიდა, ვინც საკუთარ ნაკვეთს ამუშავებდა – ციხის უფროსმა ესეც საკუთარი გამოცდილებით იცოდა, – როგორ? – იკითხა მან.

მინკმა ის უპასუხა, რაც ახლა, სამი წლის შემდეგ, ზეპირად იცოდა: როგორც კი პირს გააღებდა, საჭირო სიტყვები სუნთქვას თავისით მოჰყვებოდა:

– ყველაფერი უნდა შევასრულო, რასაც მიბრძანებენ. არავის შევეკამათო, არ ვეჩხუბო, გაქცევა არ ვცადო. ეს უმთავრესია – გაქცევა არ უნდა ვცადო.

– და მაშინ ჩვიდმეტი ან ოცდაორი წლის შემდეგ სახლში დაბრუნდებით, – უთხრა ციხის უფროსმა, – სამი წელი უკვე გავიდა.

– მართლა? – მიუგო მინკმა, – არც კი ვითვლიდი... არა, – დაამატა მან, – პირდაპირ სახლში არ დავბრუნდები. ჯერ ერთი საქმე უნდა მოვაგვარო.

– რომელი? – ჰკითხა უფროსმა.

– პირადი საქმეა. როგორც კი მას მოვაგვარებ, შინ დავბრუნდები. ასე მისწერეთ. „დიახ, სერ, – გაიფიქრა მან, – როგორც ჩანს, აქ, ამსიშორეს, პარჩმენში, მხოლოდ იმიტომ მოვხვდი, რომ გამოვიდე, სახლისკენ გავემართო და ფლემი მოვკლა“.

თავი მესამე

ვ. კ. რეტლიფი

ერთადერთი რამ ვერ გაეგო მონტგომერი უორდს ვერც პირველი და ვერც მომდევნო ორი-სამი დღის განმავლობაში – რატომ უნდოდა ფლემს მისი ჩასმა მაინცდამაინც პარჩმენის ციხეში და არა სხვა, ასევე უსაფრთხო და განმარტოებულ ადგილას, მაგალითად, ატლანტაში, ან ლივენუორტში, ან თუნდაც ალკატრასში (საპატიმროები აშშ-ში) , ორი ათასი მილის დაშორებით, სადაც მოხუცი მოსამართლე ლონგი ჯეფერსონიდან პირველივე მატარებლით გაგზავნიდა (თვითონ ჯერაც მალულად ათვალიერებდა ამ ფრანგულ ღია ბარათებს). რატომ დასჭირდა ფლემს მონტგომერი უორდის სწორედ პარჩმენში, მისისიპიში ჩასმა?

სიმართლე ითქვას, ამ გაწამაწიაში მონტგომერი უორდი წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა შეემთხვა. იურისტისა და ჰების შემოსვლისთანავე მიხვდა – მოხდა ის, რასაც იმ წუთიდან ელოდა, როგორც კი ფლემმა იყნოსა თუ იეჭვა, რომ ამ ქუჩაზე წარმოებული საქმეებიდან სარგებლის მიღება შეეძლო. მხოლოდ ერთი რამ არ ესმოდა: რისთვის დასჭირდა ფლემს ამგვარი ფოკუსები და გართულება მისთვის პორნოგრაფიული ბარათებით ვაჭრობის წასართმევად. ეს იმ ანეკდოტს ჰგავდა ხეზე მყოფი ენოტის შესახებ, დაჟინებით რომ ცდილობდა მის მოსაკლავად თოფით მისული ტყისმჭრელის სახელის გაგებას, და როდესაც, როგორც იქნა, ათქმევინა, შესძახა: „ოჰ, უწმინდურო ძალავ! აი, ვინ ყოფილხარ! ან

დროს რატომ კარგავ, ან ტყვია-წამალს რატომ ხარჯავ – განზე გადექი და ისედაც ჩამოვალ".

წინდაუხედაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმაში, რომ ფლემ სნოუპსმა ეს საქმე წაართვა, განსაკუთრებული არაფერი იყო. ამას ელოდა კიდეც: ადრე თუ გვიან, მისი რიგიც დადგებოდა და იგი ისევე მიდიოდა რისკზე, როგორც იოკნაპატოფის ოლქის ნებისმიერი მცხოვრები, ყველა, ვინც იმდენად სარფიან საქმეს მისდევდა, რომ ფლემს მისი მისაკუთრება მონდომებოდა. მაგრამ იმის დაშვება, რომ ეს ბარათები შტატის პროკურორსა და შერიფს ჩავარდნოდათ ხელში, სწორედ იმ ორ ადამიანს, რომელთა შესახებაც მიამიტი გროვერ უინბუშიც კი არ იფიქრებდა, რომ ისინი ამ საქმეს ასე დატოვებდნენ, ვინაიდან იურისტი სტივენსი ისე ცდილობდა სამოქალაქო სინდისის ამაღლებას, ისე იბრძოდა ზნეობრიობის დასამკვიდრებლად, რომ მხოლოდ მოვალეობის გამო და არა სხვა მიზეზით, თორმეტი წლის ბიჭებს ხუთმილიან ესტაფეტაში მონაწილეობას აიძულებდა, არადა, მათ მხოლოდ შინ ჯდომა და მამისეული ფარდულების დაწვა უნდოდათ, შერიფი ჰებ ჰემპტონი კი, ღონიერი, შუბლმაგარი ბაპტისტი, საკუთარი სიამოვნებისთვის გუნებაში გამუდმებით იმას ითვლიდა, თუ რომელი მისი ნაცნობი მოხვდებოდა აუცილებლად ჯოჯოხეთში.

არც ის იყო ცნობილი, რისთვის იყო საჭირო მონტგომერი უორდის სადმე ჩასმა, თუ მის ნათესავს – ბიძას თუ ბიძაშვილს – მისთვის ამ საქმის წართმევის სურვილი გასჩენოდა. დავუშვათ, ერთი-ორი კვირა ან თვე სადმე მოშორებით გაეჩერებინათ, რათა ხალხს ან ეს პორნოგრაფიული ბარათები დავიწყებოდა, ან ის, რომ ამ საქმეში ვინმე სნოუპსიც მონაწილეობდა: ფლემი ახლა ხომ ბანკირი გახლდათ და არა მარტო მევახშეობით აგროვებდა ქონებას, არამედ ნორმალური რეპუტაციის შექმნაც სურდა.

თუკი მონტგომერის რამე უნდა გაოცებოდა (და რისგანაც მას ეუფლებოდა კიდეც სიხარულნარევი გაოცება), ის, რომ მან მოახერხა და ამდენ ხანს გაძლო. არც კანონი იყო საჭირო და არც ფლემ სნოუპსი მისი „სტუდიის" დასახურავად, ჟალუზების ჩამოსაშვებად (უფრო სწორად, ასაწევად) და მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონში ფრანგული ბარათებით ვაჭრობის ერთხელ და სამუდამოდ აღსაკვეთად. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი გროვერ უინბუშის ბრალი იყო: ვიღაცამ დაინახა, რომ იგი ღამის ორ საათზე ამ ქუჩიდან ჩუმად მოიპარებოდა. არა, არსებითად, გროვერ უინბუშმა ჯეფერსონში ეს საქმე ჯერ კიდევ მაშინ დაღუპა, როდესაც ჯეფერსონის ერთ-ერთ ქუჩაზე უკანა შესასვლელი აღმოაჩინა დაწესებულებაში, რომლისთვისაც თავისუფლად შეგეძლოთ, ბორდელი გეწოდებინათ. არა, როგორც ჩანს, ეს საქმე ჯეფერსონში იმ წუთიდან გაფუჭდა, როდესაც იგი, გროვერ კლივლენდ უინბუში, ღამის მარშლად დანიშნეს, ვინაიდან გროვერს მხოლოდ ღამის მარშლისთვის საჭირო გამჭრიახობა გააჩნდა, ისიც, ჯეფერსონისოდენა ქალაქში, თანაც, თუ მოსახლეობა იმაზე გვიან არ დაიძინებდა, ვიდრე ამას ჯეფერსონში, მისისიპის შტატში აკეთებდნენ, რადგან ამქვეყნად არსებულ ყველა შრომას შორის, რომლისთვისაც კაცს ხელფასს უხდიან, მხოლოდ ეს სამსახური – მთელი ღამის განმავლობაში ფარნის ბოძზე მიყრდნობილი დგომა და დაცარიელებული მოედნის თვალიერება ხელეწიფებოდა მას, რასაც სიცოცხლის ბოლომდე შეძლებდა (ცხადია, თუ ის, ვინც ამ თანამდებობაზე მოაწყო, მანამდე მიაღწევდა), და არასდროს და არაფრით ავნებდა საკუთარ

თავს ან სამუშაოს, ან შემთხვევით გამვლელს, ან ამ ყველაფერს ერთად; მაგრამ ისიც გასაგებია, რომ მისნაირ ადამიანს, როდესაც იგი პატარა ქუჩიდან ჩუმად მოიპარებოდა, ნებისმიერი სულელი მეორე ან მესამე ჯერზევე შეამჩნევდა.

სხვათა შორის, ეს გარდაუვალი პროფესიული რისკი იყო ასეთისაქმიანობისთვის პატარა ქალაქში, სადაც ღამით პოსტზე გროვერ უინბუში იდგა, და მონტგომერი უორდმა ეს გროვერის ნაცნობებზე ცუდად არ იცოდა.ამიტომ, როდესაც მთელი წლის განმავლობაში საქმე შეუფერხებლად, უცხო პირთა ჩაურევლად მიდიოდა, მონტგომერიმ გადაწყვიტა, რომ თუ ვინმეს დაენახა კიდეც, როგორ მიიპარებოდა ქუჩაში გროვერი თვეში ერთხელ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, ისინი გროვერის საქმიანი ნაცნობები იყვნენ, რომლებიც მას აზარტული თამაშების ბუნაგში ალყის დროს გამოეჭირა, ან ვისთვისაც უკანა ჯიბეში შინნახადი არყის ბოთლი აღმოეჩინა. თუმცა, ვინ იცის? იქნებ ფლემი თვითონ უვნებელყოფდა დროულად ამ მოწმეებს და ამით არა მხოლოდ საკუთარ მომავალ ინტერესსა და კაპიტალდაბანდებას იცავდა, ვინაიდან მას, შესაძლოა, ჯერ არ გადაეწყვიტა იმ ატელიეს წართმევა (ასეც ეწოდებოდა, მონტგომერი უორდს თავის ფანჯარაზეც კი დაეწერა: „მონტის ატელიე"), არამედ ყოველთვის უფრთხილდებოდა და იცავდა კომერციულ დაწესებულებებს, თუ ისინი მცირე მოგებას იძლეოდნენ – არა მარტო ნათესაური გრძნობების კარნახით სხვა სნოუპსთან მიმართებაში, არამედ მხოლოდ პრინციპის გამო, თუმცა თვითონ უკვე ბანკირი გახლდათ და, ბუნებრივია, რაღაც დოზით სარგებელი და რესპექტაბელობა ერთმანეთისთვის უნდა შეერწყა, ვინაიდან ნებისმიერი გადახდისუნარიანობა საზოგადოებისთვის მომგებიანია, თუ, ცხადია, არ გამოგიჭერენ, რესპექტაბელობა კი სულაც არ უშლის ხელს სარფიანი დაწესებულებების აყვავებას, თუ ეს შეუმჩნევლად ხდება ღამის სიბნელეში.

ასე რომ, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს მას ოლქის პროკურორი და შერიფი გამოეცხადნენ, მონტგომერი უორდმა, ცხადია, გაიფიქრა, რომ ეს ბედისწერა იყო, ჩვეულებრივი ბედისწერა, და მხოლოდ ის გაუკვირდა, როგორ წინდაუხედავად და ნაჩქარევად გადაწყვიტა ფლემ სნოუპსმა ამ ბედისწერის გამოყენება. მან ამ საქმეში პროკურორი სტივენსი და შერიფი ჰემპტონი გარია და ისე მოაწყო, რომ მათ ამ პორნოგრაფიული ბარათებისთვის შემთხვევით თვალი მოეკრათ. მონტგომერი უორდი სახლიდან შუადღეზე ადრე არასდროს გამოდიოდა, მისი სამუშაო, ასე ვთქვათ, ღამის ცვლაში მიმდინარეობდა. და სანამ პროკურორმა და შერიფმა არ უამბეს, არც კი იცოდა, რომ ვიღაც ორ ტიპს ძია უილ კრისტიანის აფთიაქი გაეტეხა, და რომ ყველამ, ვინც ეს ძარცვა ქუჩიდან, ვიტრინიდან დაინახა, გროვერ უინბუშის კვალსაც ვერსად მიაგნო, რათა ამის შესახებ შეეტყობინებინა. იმ დროისთვის კი, როდესაც გროვერი მონტგომერი უორდის დაწესებულებიდან გამოძვრა, იქ აღარც მძარცველები იყვნენ და აღარც ძარცვის მოწმეები.

იმას არ ვგულისხმობ, რომ მონტგომერი უორდი გაოცდა, როდესაც ყველაზე ადრე იურისტი და შერიფი ეწვივნენ. აბა, სხვა ვინ უნდა მოსულიყო, რახან მისი ატელიეს საქმე გასკდა – ამ შემთხვევაში მიზეზს მნიშვნელობა არ ჰქონდა. იოკნაპატოფის ოლქში თუნდაც არავის სმენოდა ფლემ სნოუპსის შესახებ, ეს ორნი პირველები მოვიდოდნენ – ეს ჩვენი ლაპარაკისა და

სიმართლის მოყვარული იურისტი, ჯერ ჰარვარდში, შემდეგ კი ევროპაში, ათასგვარ უცხოურ უნივერსიტეტში რომ მიეღო განათლება, თავს არც კი იმართლებდა იმით, რომ მსახურობდა და ხელფასს იღებდა, და ყოველთვის ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, მას რომ არ ეხებოდა და არც ხელს უშლიდა, მასთან ერთად კი ეს ბებერი დოყლაპია ჰემპტონი, ყველაფრის, თუნდაც მკვლელობის სანახავად რომ წაიყვანდა კაცი, თუ ვინმეს გაახსენდებოდა, რომ ის შერიფი იყო, და წასასვლელ ადგილსაც მიასწავლიდა. ერთი რამ ვერაფრით გაეგო მონტგომერი უორდს: ასე რა ჯანდაბამ დაუბნელა გონება ფლემ სნოუპსს, რომ დაიჯერა, თითქოს ისე შეეძლო მოეწყო, რომ ეს პორნოგრაფიული ბარათები ჯერ იურისტ სტივენსისა და ჰებ ჰემპტონის ხელთ აღმოჩნდებოდა, შემდეგ კი ის, ფლემი, წაართმევდა, – როგორ შეეძლო ამის გაფიქრებაც კი?

ამიტომაც მონტგომერის იმედი და რწმენა ფლემ სნოუპსის მიმართ წამით შეირყა, მას, ასე ვთქვათ, ბზარი შეეპარა. ამ საშინელ წუთს მან ისიც კი დაიჯერა, რომ ფლემ სნოუპსი თვითონ გახდა შემთხვევითობის მსხვერპლი და ამ ხათაბალაში უნებლიეთ, გროვერ უინბუშის გამო ჩავარდა. ეს შესაძლოა, ნებისმიერს მოსვლოდა. მაგრამ ასე დიდხანს არ უფიქრია. რა თქმა უნდა, ის წყეული ბიჭი, რომელმაც ბიძია უილის აფთიაქში ორი მძარცველი დაინახა, კინოში ღამის სეანსზე, სრულიად შემთხვევით, სწორედ კვირის იმ ერთადერთ საღამოს წავიდა, როდესაც გროვერ უინბუშმა ერთხელაც შეირბინა მონტგომერი უორდის „ატელიეში". მაგრამ თუ ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, თვით ფლემ სნოუპსი ემსხვერპლა ასეთ ბედნავსობასა და შემთხვევითობას, კაცს ხელების გაშლის მეტი არაფერი დარჩენოდა.

სწორედ ამიტომ, როდესაც იურისტმა და ჰებმა მონტგომერის მძარცველებისა და იმ ბიჭის შესახებ შეატყობინეს, რომლის მამასაც მისთვის ტყავი უნდა გაეძრო ორი საათით გვიან დაწოლისთვის, მონტგომერი წამითაც არ დაეჭვებულა, რომ ეს ყველაფერი ფლემის ნამოქმედარი იყო, ფლემისა, რომელიც ყნოსვით გრძნობდა ფულს, როგორც მქადაგებელი – ცოდვილებსა და შემწვარ ქათმებს. როგორც ჩანს, ფლემმა დროულად და ზუსტად შეიტყო, რომ რომელიღაც ქუჩაზე, დახურულ კარს მიღმა, ვიღაც ღამღამობით ფულს აკეთებდა, თანაც იმგვარად, რომ ადამიანები ღამის ორ და სამ საათზეც კი მოდიოდნენ შორიდან, სამი გარშემო ქალაქიდან, ამ ქუჩაზე მოსახვედრად.

ასე რომ, ფლემს მხოლოდ ისღა უნდა გაერკვია დაწვრილებით, თუ რა ხდებოდა აღნიშნულ ქუჩაზე და რა სარგებელი მოჰქონდა მას. შემდეგ კიჯაშუშები დაეყენებინა – თუმცა ამ საქმეს, გროვერ უინბუშის გამოჭერას, ნამდვილი, საკუთარი პროფესიის ოდნავ პატივისმცემელი ჯაშუში არც სჭირდებოდა. ამას ნებისმიერი ბიჭი გააკეთებდა ერთი ულუფა ნაყინის სანაცვლოდ. უნდა დაეზვერათ, ვინ დადიოდა ამ ქუჩაზე, სანამ ადრე თუ გვიან, ალბათ, უფრო ადრე, ვიდრე გვიან, ისეთ ვინმეს არ წააწყდებოდნენ, ვის დამუშავებასაც ფლემი შეძლებდა. სავარაუდოდ, ეს უფრო ადრე მოხდებოდა, ვიდრე გვიან, რადგან ოთხივე ოლქში, სადაც ამ ვაჭრობას მოეკიდა ფეხი, ერთი ადამიანიც კი არ არსებობდა მონტგომერი უორდის კლიენტურიდან, ვისი ხელმოწერაც ფლემის სახელზე შედგენილ რომელიმე ფინანსურ ვალდებულებას – თუნდაც ეს ორმოცი-ორმოცდაათი პროცენტით აღებული სამი-ოთხი დოლარი ყოფილიყო – არ ამშვენებდა. ფლემს ყოველი

მათგანისთვის შეეძლო ეთქვა: „ჰო, თქვენს ვექსილს რაც შეეხება... მე, რა თქმა უნდა, ბანკს თქვენგან ამ ფულის ამოღებას არ მოვთხოვდი, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი გახლავართ და მანფრედ დე სპეინს ვერაფრით დავიყოლიებ".

ისიც შესაძლებელია, რომ გროვერი თვითონ ფლემმა გამოიჭირა, ასე ვთქვათ, დანაშაულის ადგილას წაასწრო. არადა, შეუძლებელი იყო ამ გროვერის ვერდაჭერა, როდესაც იგი ჩუმად მიიპარებოდა იმ ქუჩაზე, მეორედ თუ მესამედ. ეს, ალბათ, იმ ამბამდე დიდი ხნით ადრე მოახერხა, როდესაც ორმა ტიპმა დააღალატა, ბიძია უილ კრისტიანის აფთიაქი რომ გაძარცვეს და კარადა მთელი ჯეფერსონის თვალწინ გატეხეს – ამ დროს ქალაქის მოსახლეობის ნახევარი ბოლო სეანსიდან შინ ბრუნდებოდა, გროვერის მოძებნა და ძარცვის შესახებ მისი საქმის კურსში ჩაყენება ვერავინ შეძლო. ერთი სიტყვით, ფლემმა, როგორც ჩანს, ვიღაც ისეთი გამოიჭირა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, მიაწვებოდა, და ათქმევინა, თუ რითი ვაჭრობდა მონტგომერი უორდი დახურულ კარს მიღმა. ახლა ფლემს ისღა დარჩენოდა, რომ ამ ვაჭრობისთვის ხელი ჩაევლო და მონტგომერი უორდისთვის წაერთმია, ან ეს უკანასკნელი თავიდან მოეცილებინა. მან, ფლემმა, ხომ სწორედ ასე მოხვეტა ყველაფერი, რისი მოხვეტაც ჯეფერსონში შეიძლებოდა, რაც იმით დაიწყო, რომ გროვერ უინბუშთან ერთად კაფედან გამომაგდო, რომელიც ჩვენი გვეგონა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სულელი ვიყავი და ვფიქრობდი, რომ ფლემი ვერაფერს დამაკლებდა.

მაგრამ ახლა, როდესაც იგი ბანკირი და ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გახდა (თანაც ყოველ კვირა დილით ბაპტისტურ ეკლესიაში მესამე პირად ჩნდებოდა, ღუმელში ცეცხლის დამნთები ზანგისა და მქადაგებლის შემდეგ) და კარიერა, რომელიც ჯეფერსონში ჰქონდა, მისგან რესპექტაბელობას მოითხოვდა, ეს კი იგივე იყო, რომ საკვირაო კოსტიუმში გამოწყობილ კაცს ბირკავებსა და ეკლებში ევლო, – ახლა ფლემი ვერაფრით გამოაჩენდა, რომ ამ საქმესთან, თუნდაც სნოუპსების გვართან, რამე კავშირი ჰქონდა. ასე რომ, ჯეფერსონისთვის „მონტის ატელიე" დაიხურა, განადგურდა, სავაჭრო დაწესებულებათა სიიდან სამუდამოდ ამოიშალა, და მთელი ეს საქმე სხვა ქუჩაზე გადაიტანეს, სადაც მის შესახებ ადრე არავის არაფერი სმენოდა. მას ვიღაც კაცი უძღვებოდა, რომელმაც ისიც კი არ იცოდა, სნოუპსი როგორ იწერებოდა. ფლემს რომ მეტი გამჭრიახობა გამოეჩინა, ეს ყველაფერი შესაძლოა, სხვა ქალაქში გადაეტანათ, ისეთში, რომელსაც მონტგომერი უორდი ემსახურებოდა, იქ, სადაც გროვერს ხელი არ მიუწვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მომავალ ზაფხულამდე, როდესაც მორიგ ორკვირიან შვებულებას აიღებდა.

ერთი სიტყვით, მონტგომერი უორდს დალოდება მოუხდა. სიმართლე ითქვას, ლოდინის გარდა სხვა არც არაფერი დარჩენოდა, სანამ ფლემი გადაწყვეტდა, რომ შესაფერისი დრო დადგა „ატელიედან" მისი მოცილებისა ან მისთვის „ატელიეს" მოცილებისთვის, ანუ, როგორც უფრო მოუხერხდებოდა. შესაძლოა, ამ ფიქრებამდე მისულ მონტგომერის ერთი-ორჯერ გულიც კი დასწყდა, რომ ისეთი საქმე არ ჰქონდა, სასწრაფოდ რომ გაეყიდა, ვიდრე ფლემი რამეს იყნოსავდა. მაგრამ იმდენად მოუხელთებელი საქონელი ჰქონდა, რომ იგი მხოლოდ კლიენტის მიერ მისი ყიდვის, ასე ვთქვათ, მისი მოხმარების დროს არსებობდა, და მონტის მხოლოდ

საკუთარი, როგორც იტყვიან ხოლმე, ძირითადი კაპიტალის გასხვისება შეეძლო, ეს კი ეკონომიკის ყველა კანონს ეწინააღმდეგებოდა; მას აღარაფერი დარჩებოდა, თუნდაც ყველაზე მოუხელთებელი საქონელი, ვერაფრით ივაჭრებდა იმის მოლოდინში, რომ ფლემი მოქმედებას დაიწყებდა, რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში, და თავი უნდა ეტეხა იმის თაობაზე, თუ შეტევაზე გადასვლის რომელ ხერხს აირჩევდა იგი – მონტგომერი უორდის წარსულში მნიშვნელოვან ხელჩასაჭიდს მიაგნებდა და მისი გამოყენებით დაიყოლიებდა, თუ უხეშად იმოქმედებდა, ყოველგვარი ფანტაზიის გარეშე, და ფულს შესთავაზებდა.

მოკლედ, მთელი ამ დროის განმავლობაში ფლემს ელოდებოდა. და თუ ვინმეს მოსვლას ვერ წარმოიდგენდა, ისინი იურისტი სტივენსი და ჰებ ჰემპტონი იყვნენ. ასე რომ, როდესაც იურისტი და ჰები დილით ადრე მასთან შეიჭრნენ, მონტგომერი უორდს თავში წამიერად გაუელვა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ფლემის იძულებითი რესპექტაბელობა იყო, და ისეთ საჩოთირო და დელიკატურ ვითარებაში იმყოფებოდა, რომ სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა – საქმე ისე უნდა წარმოეჩინათ, თითქოს კანონმა მოაცილა ჯეფერსონს სნოუპსის „ატელიე", და ფლემმა იურისტი სტივენსი და ჰებ ჰემპტონი ამ კანონის აღსასრულებლად მოავლინა. თუ კარგად დაფიქრდებოდა, ცხადია, მიხვდებოდა, რომ თუ ეს პორნოგრაფიულისურათები ისეთი ადამიანების ხელში აღმოჩნდა, როგორიც იურისტი სტივენსი – ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი აღზრდისა და ზნეობრივი საფუძვლის გამყარების თავგამოდებული მომხრე – და შერიფი ჰემპტონი, ეს ხორცის მჭამელი და შუბლმაგარი ბაპტისტი, იყვნენ, ფლემს ამ საქმიდან კეთილი ზრახვების მეტი არაფერი ერგებოდა. თუმცა, როდესაც შერიფი მუცელს წინ წამოსწევდა და უფერულ, ნემსებივით თვალებს ჩაგასობდათ, ფიქრსა და ვარაუდების განხილვას ვეღარ მოახერხებდით. ასე რომ, მონტგომერი უორდს ფიქრისა და ვარაუდების განხილვის თავი კი არა, მშვიდად ყოფნაც არ შეეძლო და სულაც არაა გასაკვირი, რომ სწორედ ამ წამს შეურაცხყო თავისი ბიძაშვილი ფლემი საშინელი ცილისწამებით, თითქოს ფლემმა განზრახ მისცა ინიციატივა სტივენსსა და ჰემპტონს, სინამდვილეში კი თვითონ სურდა მისი, მონტგომერი უორდის, მოცილება, და გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ შეძლებდა ჰებ ჰემპტონისთვის პორნოგრაფიული სურათების გამოგლეჯას, თუ ეს უკანასკნელი მათ რიგიანად შეათვალიერებდა, და რომ სინამდვილეში ამ საქმეში მთავარი ფლემი იყო.

თუმცა მონტგომერი უორდს ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ჰყოფნიდა საზრიანობა, საგვარეულო სიამაყესა და ერთგულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რათა არ დაეჯერებინა, თითქოს არათუ ეს ორი, არამედ ათი ათასი იურისტი სტივენსი და შერიფი ჰემპტონიც კი მოახერხებდა ფლემ სნოუპსის მშრალზე დასმას. ამ ბილწ ვარაუდზე მეტად იმას უფრო ირწმუნებდა, რომ ფლემ სნოუპსს არ გაუმართლა, რაც ნებისმიერ მოკვდავს შეიძლება დაემართოს. და იმაში კი არ გაუმართლა, რომ გროვერ უინბუშში შეცდა და ეგონა, რომ იგი დაუსჯელად შეძლებდა იმ ქუჩაზე წანწალს კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ, და შვიდი-რვა თვის განმავლობაში მას ვერავინ შეამჩნევდა, – არა, იმაში არ გაუმართლა, რომ იმ ორმა ქურდმა ბიძია უილ კრისტიანის აფთიაქის გაძარცვისთვის სწორედ ის საღამო აირჩია, როდესაც პატარა რაუნსვილი წყალსადენი მილით სახლიდან კინოს ბოლო სეანსზე გაიპარა, რაც მონტიმ, ცხადია, ვერ გაითვალისწინა.

ახლა კი მონტგომერი უორდს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ციხის საკანში მჯდარიყო, სადაც იგი ჰებმა მიიყვანა, და ერთგვარი, ასე ვთქვათ, პროფესიული სიმშვიდითა და ცნობისმოყვარეობით მიედევნებინა თვალი, როგორ მოახერხებდა ფლემი ჰებისგან პორნოგრაფიული სურათების დათრევას. ცხადია, ამას განსაზღვრული დრო დასჭირდებოდა – ფლემისადმი პატივისცემის, საგვარეულო სიამაყის მიუხედავად, იცოდა, რომ ამის გაკეთება ფლემისთვისაც არ იყო ისე ადვილი, როგორც, ვთქვათ, შლაპის ან ქოლგის აღება. მაგრამ დღე მიიწურა და ისეთი არაფერი მოხდა, რასაც ელოდა. ბუნებრივია, ჯერაც უბჟუტავდა იმედის ნაპერწკალი – თუ ფლემიც სიურპრიზს გადააწყდა, მას, მონტგომერი უორდს, შეუვლიდა, რათა რამე შეეტყო, თუმცა რას წარმოიდგენდა, რომ უორდმაც არაფერი იცოდა. მაგრამ როდესაც ფლემი არ მოვიდა და არც არაფერი გადმოსცა, მონტგომერი ფლემის მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განიმსჭვალა და მის გამართლებას შეუდგა: ეს ყველაფერი უდავოდ ამტკიცებდა, რომ ფლემს მისგან არაფერი სჭირდებოდა, თუნდაც, ასე ვთქვათ, მორალური მხარდაჭერა, რომლის მიცემაც მას შეეძლო.

მთელი ღამე, დილამდე ელოდა იოკნაპატოფის ოლქის ყველა, როგორც ამბობენ ხოლმე, გაერთიანებულ ბაღლინჯოსთან ერთად. წარმოიდგინეთ, რაოდენ გაოცდა და დაინტერესდა – დიახ, კი არ შეშინდა, კი არ განცვიფრდა, მხოლოდ გაოცდა და დაინტერესდა, – როდესაც მისმა ერთმა მზრუნველმა ნაცნობმა (ეს იუფუს ტაბზი გახლდათ, ციხის ზედამხედველი, ისიც დაინტერესებული იყო ამ საქმით, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გამუდმებით რაღაც აოცებდა) საღამოს საკანში ინახულა და უთხრა, თუ როგორ დაბრუნდა ჰებ ჰემპტონი დილით „ატელიეში" – რათა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა, მას და სტივენსს საღამოს რამე ნივთმტკიცება ხომ არ გამორჩათ – და მაშინვე აღმოაჩინა თაროზე ბოთლებში ჩამოსხმული ხუთი გალონი შინნახადი ვისკი, არადა, მონტგომერი მზად იყო დაეფიცა, რომ მათში სამჟღავნის გარდა, სხვა რამე არასდროს ყოფილა.

– ახლა ატლანტაში კი არა, პარჩმენში გაგგზავნიან, – თქვა იუფუსმა, – ეს კი არც ისე შორია. იმას აღარ ვამბობ, რომ ეს ციხე მისისიპის შტატშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზედამხედველიც მისისიპის მკვიდრი იქნება. მან მაინც ისარგებლოს შენს გამოსაკვებად გამოყოფილი ფულით, თორემ ეს წყეული მოსამართლეები ჩვენს ძირძველ მისისიპელ ქურდბაცაცებს სხვა შტატში გზავნიან, იქ კი უცხოები, ღმერთმა იცის ვინ, მათი საშუალებით ფულს აკეთებენ.

იგი არ შეშინდა, არ განცვიფრდა, ამ ყველაფერმა მხოლოდ გააოცა და დააინტერესა, უფრო მეტად – დააინტერესა, ვინაიდან მონტგომერი უორდმა შესანიშნავად იცოდა, რომ როდესაც იმ დილით გამომძიებელთან და შერიფთან ერთად „ატელიედან" გამოდიოდა, თაროზე მდგარ ბოთლებში მხოლოდ სამჟღავნი ესხა. იცოდა, რომ ამის შესახებ ჰებ ჰემპტონისა და იურისტ სტივენსისთვისაც ცნობილი იყო, ვინაიდან, თუ ადამიანი მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონში სურათებს ავრცელებდა, შინნახადი ვისკის ვაჭრობით საქმის გართულება დამატებით უსიამოვნებას ნიშნავდა –

წარმოიდგინეთ, აზარტული თამაშების ბუნაგის მეპატრონემ იმავე შენობაში ყალბი ფულის საჭრელი დაზგა რომ დადგას.

რაც მთავარია, მონტგომერი წამითაც არ დაეჭვებულა, რომ ეს ვისკი ფლემმა მიუგდო, სწორედ იქ, სადაც ამ ბოთლებს შერიფი უნდა წასწყდომოდა. ფლემის მიმართ მონტგომერის აღფრთოვანება დაპატივისცემა უსაზღვროდ გაიზარდა – მან იცოდა, რომ ახლა, როდესაც ფლემი ბანკირი გახდა და საკუთარ რეპუტაციაზე იმ უბიწო ქალიშვილზე ნაკლებად როდი უნდა ეზრუნა, რომელიც ღამით, მოულოდნელად, უგუვერნანტოდ, მთვრალი კომივოიაჟორების გარემოცვაში მოხვდა, იგი, ფლემი, ვერაფრით დაიჭერდა საქმეს ადგილობრივ ბუტლეგერებთან და შინნახადი ვისკისთვის ფრენჩმენსბენდში ან სულაც მეცხრე რაიონში მოუწევდა წასვლა ნებ გაურისთან, თანაც საკუთარი ჯიბიდან ოცი ან ოცდახუთი დოლარიც უნდა გადაეხადა. შესაძლოა, მონტგომერის თავში წამით გაუელვა აზრმა, რომ თუ ფლემს ოცი ან ოცდახუთი დოლარის გადახდა შეეძლო, ეს იმას ნიშნავდა, რომ მასში, სადღაც შიგნით, კვლავაც ცოცხლობდა ჩვეულებრივი ნათესაური გრძნობა. მაგრამ ამ აზრმა მის თავში, ცხადია, მხოლოდ წამით, შესაძლოა, კიდევ უფრო მცირე ხნით გაიელვა, რადგან თუ ფლემს ჰქონდა კიდეც რამე სისუსტე და ნაკლი, ისე არასდროს მოიქცეოდა, რომ რომელიმე სნოუპსის გულისთვის ოცი დოლარი გადაეგდო.

არა, რახან ფლემმა ოცდახუთი ან ოცდაათი დოლარი დახარჯა, მაშასადამე, ყველაფერი არც ისე მარტივი აღმოჩნდა, როგორც ის ელოდა და ვარაუდობდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ მან ერთი დღეც არ დააყოვნა და ფული მაშინვე გადაიხადა, იმას მოწმობდა, რომ საბოლოო შედეგში ფლემს ეჭვი არ ეპარებოდა. ცხადია, არც მონტგომერი უნდა დაეჭვებულიყო და ემარჩიელა, რა მოხდებოდა. იგი, უბრალოდ, უნდა დალოდებოდა, ვინაიდან ახლა მის ნაცვლად მთელი ქალაქი მარჩიელობდა, თუ როგორ წარიმართებოდა მოვლენები, და არა მარტო თვალყურს ადევნებდა, არამედ კვანძის გახსნასაც ელოდა. და შეასწრო კიდეც თვალი: ყველამ დაინახა, როგორ გადაკვეთა მეორე დღეს ფლემმა მოედანი, ციხისკენ შეუხვია და შიგნით შევიდა, ნახევარი საათის შემდეგ კი გამობრძანდა. მეორე დღეს იქიდან მონტგომერიც გამოვიდა – ფლემმა მის სახელზე გირაო შეიტანა. კიდევ ერთი დღის შემდეგ ქალაქში ვინმე კლარენს სნოუპსი ჩამოვიდა – სენატორი კლარენს ეგლსტოუნ სნოუპსი, – ახლა შტატის საკანონმდებლო ორგანოში იჯდა, ადრე კი კონსტებლის მოვალეობას ასრულებდა ფრენჩმენსბენდში, სანამ, კანონის სახელით, პისტოლეტის ტარი არ ჩაარტყა თავში ერთ კაცს, რომელიც ისეთი გულღრძო და შურისმაძიებელი აღმოჩნდა, რომ აღშფოთდა – აქაოდა, როგორ გაბედა ვიღაც ტიპმა და იარაღი ჩამარტყა თავში მხოლოდ იმიტომ, რომ კონსტებლის ნიშანს ატარებს და ჩემზე მაღალიაო. ბიძია უილ უორნერმა მოახერხა და როგორღაც გამოიხსნა კლარენსი – მას ფლემიც შეეწია, ფლემს მანფრედ დე სპეინმა, ბანკირმა დაუჭირა მხარი, სამივემ ერთად კი სხვა ხალხის დათანხმება შეძლო. ამიტომაც მოხვდა კლარენსი ჯექსონის საკანონმდებლო ორგანოში, სადაც არც კი იცოდა, რა უნდა ეკეთებინა, მაგრამ ვიღაცამ, ვისაც ბიძია უილი და მანფრედი ენდობოდნენ, ასწავლა, როდის დაესვა ხელმოწერა და როდის აეწია ხელი.

მაგრამ როგორც იურისტი სტივენსი ამბობდა, მან ამაზე უფრო ადრე მიაგნო ცხოვრებაში თავის ჭეშმარიტ მოწოდებას: ერთ მშვენიერ დღეს

ფრენჩმენსბენდიდან ქალაქში გაემგზავრა და საკუთარი თვალით იხილა უამრავი დროის გასატარებელი და გარყვნილების ადგილი ჯეფერსონიდან შორს, ჩრდილო-დასავლეთით, რომლებსაც ტენესის შტატის ქალაქ მემფისის გარეუბნებიც კი მოეცვა, - მალბერის, გეიოზოსა და პონტოტოკის ქუჩები, - ასე რომ, როდესაც სამი დღის შემდეგ სოფელში დაბრუნდა, თმა ჯერაც ყალყზე ედგა, თვალები კი ლამის გადმოსცვენოდა, თითქოს გუნებაში სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ჯანდაბა! დალახვროს ეშმაკმა! რატომ ადრე არ მითხრეს ეს? ნეტავ დიდი ხანია, რაც ასეა?" მაგრამ მან სწრაფად აინაზღაურა დანაკლისი. შეიძლება ითქვას, რომ გადაამეტა კიდეც, რადგან ახლა ყოველთვის, როდესაც ფრენჩმენსბენდიდან ჯექსონში მიემგზავრებოდა, უკან დაბრუნებისას, ჯეფერსონის გავლით, მემფისსაც სტუმრობდა ხოლმე. ამგვარად, როგორც იურისტი სტივენსი ამბობდა, იგი გეიოზოს ქუჩის საპატიო, შთამომავლობით ვენერიულ დესპანად იქცა მისისიპის შტატის მთელი ჩრდილოეთის ოლქისთვის.

სამი დღის შემდეგ მონტგომერი უორდი და კლარენსი ჩრდილოეთისკენ მიმავალ ნომერ ექვს მატარებელში ჩასხდნენ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ კლარენსი მემფისის გავლით ჯექსონში ან ფრენჩმენსბენდში მიემგზავრებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად გვაინტერესებდა, ისეთს რას მალავდა მონტგომერი თავის „ატელიეში", რომ ჰებმაც კი ვერ მიაგნო, და რისთვისაც ფლემს გირაოს სახით ორი ათასი დოლარის შეტანაც არ დაენანა, შემდეგ კი მონტგომერი მექსიკაში თუ სადღაც იქით გაამგზავრა. ასე რომ, მხოლოდ ცნობისმოყვარეობასა და გაოცებას როდი შევეპყარით - ცნობისმოყვარეობა თავისთავად, მაგრამ განცვიფრებისგან პირი დავაღეთ და გონება მანქანასავით ავამუშავეთ, როდესაც ორი დღის შემდეგ კლარენსი და მონტგომერი ხუთი ნომერი მატარებლიდან ჩამოვიდნენ - იგი სამხრეთისკენ მიემართებოდა - და კლარენსმა მონტგომერი უორდი ფლემთან წაიყვანა, თვითონ კი ჯექსონში თუ ფრენჩსბენდში გაემგზავრა, ერთი სიტყვით, იქ, საიდანაც შემდეგ ჯერზე ადვილად მოახერხებდა მემფისში, გეიოზოს ქუჩაზე შევლას. ფლემმა მონტგომერი უორდი ციხის ზედამხედველ იუფუს ტაბზს ჩააბარა, რომელმაც იგი საკანში წაიყვანა, ორი ათასი კი დაუბრუნეს ან, შესაძლოა, დროებით მისცეს, როგორც საკიდარზე ჰკიდებენ გამოსასვლელ შლაპას მომდევნო ქორწილამდე ან დაკრძალვამდე, ანუ საჭირო შემთხვევამდე.

მან კი - იუფუსს ვგულისხმობ - მონტგომერი უორდი, როგორც ჩანს, თავის ცოლს, მიზ (მიზ - ნეიტრალური მიმართვა ქალისადმი ინგლისურენოვანქვეყნებში; დაისმის როგორც გათხოვილი, ისე გაუთხოვარი ქალის გვარის წინ - იმ შემთხვევაში, თუ მისი ოჯახური მდგომარეობა უცნობია ან იგი შეგნებულად უსვამს ხაზს მამაკაცთან თანასწორობას. ფეხი მოიკიდა 1950-იან წლებში) ტაბზს ჩააბარა. ისიც კი გავიგეთ, რომ მან კამერის ფანჯარაზე ძველი ფარდა ჩამოაფარა, რათა მზეს მონტგომერი ძალიან ადრე არ გაეღვიძებინა. და ყოველთვის, როდესაც იურისტ სტივენსს, ჰებ ჰემპტონს ან კანონის რომელიმე სხვა წარმომადგენელს მონტგომერი უორდთან საუბარი სურდათ, ისინი მას უფრო ხშირად მიზ ტაბზის სამზარეულოში ნახულობდნენ, სადაც წინსაფარაფარებული ან ბარდას არჩევდა, ან სიმინდს ასუფთავებდა. ჩვენ კი - ვთქვათ, მე - თითქოსდა შემთხვევით ჩავუვლიდით ხოლმე საპატიმროს ღობეს და მონტგომერიც, რა თქმა უნდა, იქ იყო, - ბოსტანში, მიზ ტაბზთან ერთად, - მონტგომერი კვლებს აფხვიერებდა, არც

ისე მარჯვედ, მაგრამ თოხს მიზ ტაბზის მიერ მითითებულ ადგილას ურტყამდა.

– იქნებ ცდილობს, რომ იმ სურათების შესახებ დააცდენინოს რამე, – მეუბნება ერთხელ ჰომერ ბუქრაიტი.

– რას ამბობ? – მიკვირს მე, – მიზ ტაბზი?

– ცხადია, მას ხომ აინტერესებს, – მპასუხობს ჰომერი, – ისიც ხომ ადამიანია, თანაც ქალი!

სამი კვირის შემდეგ მონტგომერი უორდის საქმე მოსამართლე ლონგმა განიხილა და სამჟღავნის ერთ ბოთლში ერთი გალონი შინნახადი ვისკის უკანონო ფლობისთვის, რისი დამადასტურებელი ნივთმტკიცებაც სასამართლოს წარედგინა, მას პარჩმენის ციხეში ორი წლით კატორღა მიუსაჯა.

ასე რომ, ყველა შეცდა. ფლემ სნოუპსმა იმიტომ კი არ შეიტანა გირაოს სახით ორი ათასი დოლარი, რომ მონტგომერი უორდი ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაეყვანა, არც ოცდახუთი თუ ოცდაათი დოლარი გადაუხდია ვისკიში, სახელწოდებით „თეთრი ჯორი", იმ მიზნით, რომ ატლანტაში, ჯორჯიის შტატის ციხეში, სნოუპსის გვარის მქონე ადამიანი არ გაეგზავნათ. მან ეს ოცდახუთი თუ ოცდაათი დოლარი იმაში დახარჯა, რომ სასამართლოს მონტგომერი უორდი სწორედ პარჩმენის ციხეში გაეგზავნა, სხვაგვარად, მას სრულიად უდანახარჯოდ გაუშვებდნენ ჯორჯიის შტატის საპატიმროში. ეს კი უკვე არა მხოლოდ გასაოცარი, არამედ საინტერესოც იყო, მეტიც – ძალიან საინტერესო. მომდევნო დილით მე სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი რკინიგზის სადგურის ბაქანზე სამხრეთისკენ მიმავალი თერთმეტი ნომერი მატარებლის მოსვლის წინ. იქ, ცხადია, მონტგომერი უორდი და ჰანტერ კილგრიუ, შერიფის თანაშემწე, იდგნენ. ჰანტერს ვუთხარი:

– იქნებ ტუალეტში გინდა გავლა, თორემ მალე მატარებელი ჩამოდგება, თქვენ კი შორი გზა გაქვთ გასავლელი. მონტგომერი უორდს შენ მაგივრად ვუდარაჯებ. და საერთოდ, თუ ადამიანი მაშინ არ გაიქცა, როდესაც მის სახელზე, გირაოს სახით, ორი ათასი შეიტანეს, ახლა რატომ უნდა გაიქცეს, როდესაც მას მხოლოდ ხელბორკილი აკავებს?

ჰანტერმა თავისი ხელბორკილი მომცა და წავიდა, მე კი მონტგომერი უორდს ვუთხარი:

– მაშასადამე, მიემგზავრებით პარჩმენში? ეს გაცილებით უკეთესია. ჯერ ერთი, თქვენ მევახშეს კანონიერ და ბუნებრივ შემოსავალს არ ართმევთ არამისისიპელი მოსახლეობის საკვებიდან, რომელსაც მისისიპელი ციხის ზედამხედველი მისისიპელ პატიმარს შეაჭმევს. თანაც არ მოიწყენთ, ვინაიდან იქ თქვენი მისისიპელი ბიძა თუ ბიძაშვილი ზის, რომელთანაც მინდვრის ან სხვა სახის სამუშაოებიდან თავისუფალ დროს გაერთობით. რა ჰქვია? დიახ, დიახ, სნოუპსი. ის ხომ თქვენი ბიძაა თუ ბიძაშვილი. მას წვრილმანი უსიამოვნება ჰქონდა იმის გამო, რომ ზაკ ჰიუსტონი სიცოცხლეს გამოასალმა. სულ ელოდებოდა, რომ ფლემი ტეხასიდან დაბრუნებას მოასწრებდა და დაიხსნიდა, მაგრამ ფლემი სხვა საქმით იყო დაკავებული და, როგორც ჩანს, გვარიანად გაბრაზდა. ვინ არის ის თქვენთვის – ბიძა თუ ბიძაშვილი?

– რა? – ამბობს მონტგომერი უორდი.

– ვინ არის? – ვუმეორებ.

– რა ვინ არის? – მეკითხება მონტგომერი უორდი.

– ბიძაა თუ ბიძაშვილი? – ვეკითხები ხელმეორედ.

– რა? – კვლავ მიმეორებს მონტგომერი უორდი.

თავი მეოთხე

მონტგომერი უორდ სნოუპსი

– მაშასადამე, ამ ნაბიჭვარმა გაგაცურათ, – ვთქვი მე, – გეგონათ, რომ ჩამოახრჩობდნენ, მას კი მხოლოდ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

მან არაფერი მიპასუხა. ჩუმად იჯდა ტაბურეტზე, რომელიც თვითონ მოიტანა ტაბზების სამზარეულოდან. ჩემთვის საკანში მხოლოდ საწოლი იდგა – ჩემთვის და, რა თქმა უნდა, ბაღლინჯოებისთვის. ხმას არ იღებდა, გისოსების ჩრდილი კი მის თეთრ პერანგზე ზოლებად აისახებოდა, ასევე ათცენტიან პეპელა ჰალსტუხზე – ერთნი ამბობდნენ, რომ ეს ჰალსტუხი ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის წინათ ეკეთა ფრენჩმენსბენდში, სხვები კი – არა, ეს ის ჰალსტუხი არ არის, უორნერის მაღაზიაში რომ აიღო და იმ დღეს გაიკეთა, როდესაც ფერმიდან წავიდა და გამყიდველად დაიწყო მუშაობა უორნერთან, არამედ ის, რომელიც იმ ბოზანდარასთან, უორნერის ქალიშვილთან, ჯვრისწერისას ეკეთა, შემდეგ კი ტეხასში ატარებდა და ელოდებოდა, როდის გააჩენდა ქალი თავის ნაბიჭვარს, შინაც იმავე ჰალსტუხით დაბრუნდაო. ამ დროს მას მაუდის კეპიც ეხურა ხოლმე, როგორც თოთხმეტი წლის ბიჭს. შემდეგ შავი ფეტრის შლაპა შეიძინა – უთხრეს, რომ ბანკირები ასეთს ატარებდნენ, მაგრამ კეპი არ გადაუგდია: ვიღაც ზანგს მიჰყიდა ერთ ცენტად, უფრო სწორად, მუშაობაში გაუქვითა, ეს შლაპა კი პირველად სამი წლის წინათ დაიხურა და მას შემდეგ არასდროს იხდიდა, სახლშიც კი, ალბათ, მხოლოდ ეკლესიაში. მაგრამ იგი ახალივით იყო. დიახ, გარეგნულად სრულიად ახალს ჰგავდა, ოფლიც კი არ მიჰკარებოდა, თუმცა სამი წლის განმავლობაში დღისითაც და ღამითაც თავიდან არ იცილებდა, შესაძლოა, ცოლთანაც ამ შლაპით წვებოდა, რაც ქალს, ალბათ, სულაც არ აოცებდა, რადგან, როგორც ჩანს, გაცილებით მეტი ენახა: ისინი, ვინც მასთან წვებოდნენ, სავარაუდოდ, ხელთათმანსაც კი არ იძრობდნენ, შლაპაზე, ფეხსაცმელსა და ქურთუკზე რომ არაფერი ვთქვათ.

იჯდა და ღეჭავდა. ამბობენ, როდესაც ფრენჩმენსბენდში, უორნერის მაღაზიაში, გამყიდველად დაიწყო მუშაობა, თამბაქოს ღეჭავდაო. შემდეგ ფულს გაუგო გემო. არა, მის შესახებ, ცხადია, ადრეც სმენოდა, შიგადაშიგ ცოტაოდენი მასაც ერგებოდა ხოლმე, მაგრამ პირველად აქ გააცნობიერა, რომ

ფული შესაძლოა, ყოველდღე შემოვიდეს და მას მაშინვე ვერ შეჭამ, თუნდაც გამუდმებით შემწვარი ღორის ხორცისა და თეთრი სოუსის ორმაგი ულუფა მიირთვა. არა მხოლოდ ეს შეიტყო: აღმოჩნდა, რომ ფული სიმყარით გამოირჩეოდა, ძვალზე მაგარი და ქვაზე მძიმე იყო და თუ მას მუჭში მოიქცევდი, იმაზე მეტს, ვიდრე შენ გინდოდა მიგეცა, ძალით ვერავინ წაგართმევდა. იმასაც მიხვდა, რომ საკუთარ თავს უფლებას ვერ მისცემდა, ყოველკვირა ათი ცენტისა ეღეჭა. თანაც დაადგინა, რომ საღეჭი რეზინის ათცენტიანი პაკეტი ხუთი კვირა ეყოფოდა, თუ ახალ ფირფიტას მხოლოდ კვირაობით დაიწყებდა. შემდეგ ჯეფერსონში გადავიდა და ნამდვილი ფულიც იქ ნახა – ბევრი ერთად. ისიც ირწმუნა, რომ მისი მოხაპვა და ხელიდან არგაშვება შეუზღუდავი რაოდენობით შეიძლებოდა, ოღონდ კი ბევრი ყოფილიყო, მთავარია, საიმედო ადგილი ჰქონოდა მისი ჩაჩხრიალებისთვის, რათა ხელები გაეთავისუფლებინა და კვლავაც მოეხაპა. სწორედ მაშინ გაიფიქრა, რომ კვირაში ერთი ცენტისაც არ უნდა ეღეჭა. როცა არაფერი ჰქონდა, თამბაქოს ღეჭავდა, ცოტა ფული რომ გაუჩნდა – საღეჭ რეზინს, მაგრამ როდესაც მიხვდა, როგორ შეეძლო გამდიდრება, თუ მანამდე სულს არ განუტევებდა, საკუთარ თავს მხოლოდ სიცარიელის ღეჭვის უფლებას აძლევდა, ახლა კი სამზარეულოს ტაბურეტზე იჯდა, გისოსების ჩრდილი ტანსაცმელზე გარდიგარდმო ზოლებად ეფინებოდა, ის კი სიცარიელეს ღეჭავდა და არც კი მიყურებდა, უფრო სწორად, აღარ მიყურებდა.

– სამუდამო პატიმრობა, – ვთქვი მე, – ანუ, როგორც ახლაა მიღებული, ოცდახუთი წელი, თუ ამ ხნის განმავლობაში არაფერი მოხდება. რამდენი წელი გავიდა? ეს, მგონი, ათას ცხრაას რვაში იყო, როდესაც მთელ დღეს ციხის ფანჯარასთან ატარებდა, შესაძლოა, სწორედ ამ საკანში – ელოდებოდა, რომ ტეხასიდან ჩამოხვიდოდით და გაათავისუფლებდით, სნოუპსების გვარში ხომ მხოლოდ თქვენ გაგაჩნდათ ფული და მეგობრები, ყოველ შემთხვევაში, მას ასე მიაჩნდა და ყოველ გამვლელს ეძახდა, სთხოვდა, რომ უორნერის მაღაზიაში თქვენთვის გადმოეცათ, რომ მისულიყავით და დაგეხსნათ. სასამართლოშიც გელოდათ ბოლო სხდომის დროს, იმედს არ კარგავდა, მაგრამ არ მოხვედით. დიახ, ათას ცხრაას რვიდან. ახლა ათას ცხრაას ოცდასამია. სულ ოცი წელი უნდა მჯდარიყო, მაშასადამე, მალე გამოვა. დალახვროს ეშმაკმა, გამოდის, რომ ხუთი წლის სიცოცხლეღა დაგრჩათ, არა? გასაგებია. ჩემგან რაღა გინდათ?

მითხრა, რაც უნდოდა.

– კარგი, – ვთქვი მე, – ამისთვის რას მივიღებ?

ესეც მითხრა. კედელს მიყრდნობილი ვიდექი და მასზე მეცინებოდა. შემდეგ ყველაფერი ვუთხარი.

არ განძრეულა, მხოლოდ ღეჭვა შეწყვიტა და გამიმეორა:

– ათი ათასი დოლარი?

– მაშასადამე, ეს თქვენთვის ძალზე ბევრია, – განვაცხადე მე, – გამოდის, რომ საკუთარ სიცოცხლეს ორმოცდაათ დოლარად აფასებთ, თანაცსაქონლით და განვადებით? – იგი იჯდა, გისოსების ჩრდილი ზოლებად ეფინებოდა, სიცარიელეს ღეჭავდა და შემომცქეროდა, შესაძლოა, მხოლოდ იყურებოდა

ჩემს მხარეს, – თუ საქმე გამოვა, უკეთეს შემთხვევაში იმას მიაღწევთ, რომ ვადას გაუორმაგებენ, კიდევ ოც წელს დაუმატებენ. ათას ცხრაას ორმოცდასამში კი ყველაფერს თავიდან დაიწყებთ, კვლავ შეგაშფოთებთ ის, რომ ხუთ წელიწადში სიცოცხლეს გამოესალმებით. გეყოფათ ამდენი ჩალიჩი და ვაჭრობა, რათა იაფად დაიძვრინოთ თავი. აჯობებს, ყველაფერი საუკეთესო შეიძინოთ – თქვენი ჯიბე ამას თავისუფლად გასწვდება. დადეთ ათი ათასი ნაღდი ფული და მოაკვლევინეთ. როგორც ვიცი, ასეთი თანხის გამო მთელი ჩიკაგო თქვენთან გაჩნდება. თუმცა ჯანდაბას ათი ათასი და ჩიკაგო. აქვე, პარჩმენშიც თავისუფლად მოძებნით ათ ერთგულ ადამიანს, რომლებიც წილს ჰყრიან, თუ ვინ დაახალოს ზურგში ტყვია.

ის კი კვლავ განუწყვეტლივ იღეჭებოდა.

– კარგი, კარგი, – ვთქვი მე, – მაშასადამე, ისეც ხდება ხოლმე, რომ სნოუპსებსაც არაფერი ძალუძთ. თუმცა, არა: ბიძია მინკს ხომ არ მორიდებია ზაკ ჰიუსტონთან იარაღის დახმარებით შერიგება, როდესაც რძე ძალიან ამჟავდა. იმის თქმა მსურდა, რომ ყოველ სნოუპსს შეიძლება ისეთი რამ დაემართოს, რომ ვერაფერს დაგიშავებთ. მთავარია, სანამ არ გაუკოტრებიხართ და დაუღუპიხართ, დროულად შეიტყოთ, რის გაკეთებას არ აპირებს. მაშინ ხუთი იყოს, – დავამატე მე, – ვაჭრობას არ დავიწყებ. დალახვროს ეშმაკმა, ჩვენ ხომ ნათესავები ვართ, ხომ ასეა?

მან წამით შეწყვიტა ღეჭვა და გაიმეორა:

– ხუთი ათასი დოლარი.

– კარგი, ვიცი, რომ ნაღდი ფული თან არ გაქვთ, – ვუთხარი მე, – ახლა არც გჭირდებათ. ადვოკატმა მითხრა, რომ კიდევ ორი წელი გაქვთ, შეგროვებას მოასწრებთ. დააგირავეთ, გაყიდეთ, მოიპარეთ, რაც დასაგირავებელი, გასაყიდი ან მოსაპარია.

ამას სწრაფად მიხვდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. ზოგჯერ ვერც მე ვხვდები ყველაფერს თავიდანვე, ასეც ხდება და ისეც, უფრო ხშირად – ისე. უეცრად მითხრა:

– ორი წელი ჯდომა არ მოგიწევთ. მე გაგათავისუფლებთ.

– როდის? – შევეკითხე, – როდესაც დამშვიდდებით? როდესაც ცხოვრებას დავუნგრევ და კიდევ ოც წელს ავკიდებ? არა, ასე არ გამოვა. იქიდან არ გამოვალ. ხუთი ათასსაც არ ავიღებ; გაგეხუმრეთ. აი, როგორ მოვიქცევით. გავემგზავრები, ყველაფერს მოვაგვარებ, იმდენი წლით ჩავსვამ, რამდენსაც მოვახერხებ. მაგრამ იქ დავრჩები. ჩემს ორ წელს მოვიხდი, დროს მოგცემთ, გასაგებია? შემდეგ კი გამოვალ და შინ დავბრუნდები. თვითონაც იცით: ახალ ცხოვრებას დავიწყებ, სამარცხვინო წარსულს დავივიწყებ. ცხადია, არც სამუშაო მექნება, არც რამე სხვა საქმე, მაგრამ ტყუილუბრალოდ ხომ არ არსებობს საკუთარი მამის საკუთარი ბიძაშვილი, რომელიც დღიურად კი არა, საათობრივად იზრდება, მაღლა მიიწევს ბანკშიც, ეკლესიაშიც, საზოგადოების თვალშიც, მატერიალური კუთხითაც და ვინ იცის, კიდევ რაში. მშობლიური სისხლი კი წყალი არ გეგონოთ, თუმცა თქვენი ღვიძლი ნათესავი პარჩმენის ციხიდან კი დაბრუნდება, სადაც ვისკის უკანონო ვაჭრობისთვის იხდიდა

სასჯელს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მასში მოულოდნელად შესაძლოა, თავმოყვარეობამ გაიღვიძოს და აღარ მოისურვოს თავისი პატივცემული სისხლისმიერი ნათესავის – ბანკირის ნასუფრალით ცხოვრება. შესაძლოა, წამოუაროს და კვლავ მოუნდეს საკუთარი ძველი, ნაკლებად საპატიო, მაგრამ საოცრად სარფიანი საქმის კეთება. ვინაიდან ასეთ საქონელს ურიცხვი რაოდენობით ვიშოვი, მსურველები კი გამოჩნდებიან, ოღონდ კი გაიგონ, სად უნდა მოვიდნენ. თანაც, ამჯერად, შესაძლოა, არც სამჟღავნით სავსე ბოთლები ეწყოს თვალში მოსახვედრ ადგილას. და თუ იქნება, ჯანდაბას მისი თავი – ორ წელს მოვიხდი და კვლავაც მზად ვიქნები ახალი ცხოვრების დასაწყებად...

მან ხელი შიგა ჯიბეში ჩაიყო და თქვა: „ჰოო", ოღონდ ისე არა, შემდგომში რომ ისწავლა, თუმცა, უკვე ნასწავლი რომ ჰქონოდა, ალბათ, ასეც იტყოდა. მან კი უბრალოდ თქვა: „ჰოო, ასეც ვფიქრობდიო", და კონვერტი ამოიღო. ცხადია, მაშინვე ვიცანი. ჩემი კონვერტი იყო. მარცხენა კუთხეში „მონტის ატელიე", ჯეფერსონი, მისისიპის შტატი ეწერა, მარკაც ჰქონდა, ფოსტის ბეჭედიც ამოტვიფრულივით მკაფიოდ ჩანდა და მისამართიც: მისტერ გ.კ. უინბუშს, ქალაქის მუნიციპალიტეტი. ასე რომ, მაშინვე მივხვდი, რა იდო შიგნით, სანამ ფლემი იმ ფოტოსურათს ამოიღებდა, უინბუშმა რომ გამომართვა ხვეწნით ხუთი მონეტის საფასურად საკუთარი, როგორც ამბობენ, პირადი კოლექციისთვის, თუმცა უარზე ვიდექი, რადგან მასთან საქმის დაჭერა სარისკო საქმედ მიმაჩნდა. მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ის ხომ წესრიგის დამცველი იყო ჩვენს ქუჩაზე ღამის ორ-სამ საათზე, ყოველ შემთხვევაში, ყველა ასე ფიქრობდა. ჰო, კინაღამ დამავიწყდა: წერილს აშკარად გაევლო ფოსტა, თუმცა საფოსტო ყუთში ის არასდროს ჩამიშვია. მაგრამ ჯეფერსონის საფოსტო განყოფილების შტემპელის დასარტყამ მანქანას არ გასცილებია. და ვინაიდან გ.კ. უინბუშს უკვე ჰქონდა უსიამოვნება იმის გამო, რომ ჩემთან, უკანა ოთახში იჯდა და, როგორც თვითონ ამბობდა, თავი არ შეაკლა იმ მძარცველებს, ბებერ, დაბოლილ უილ კრისტიანს რომ ასუფთავებდნენ, საიმონ ლეგრის (საიმონ ლეგრი – სისასტიკით გამორჩეული მონათმფლობელი ჰარი ბიჩერ-სთოუს რომანიდან „ბიძია ტომის ქოხი) პოვნა და მოყვანა სულაც არ იყო საჭირო იმისთვის, რომ მისგან ფოტოსურათის შესახებ შეეტყოთ და წაერთმიათ კიდეც, თანაც ეიძულებინათ, იმ ადამიანის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება, ვისაც ეტყოდნენ. საქმე ის არის, რომ მას ცოლი ჰყავდა და სრულიად საკმარისი იყო, უინბუშისთვის მიენიშნებინათ, რომ ამ ფოტოსურათს სწორედ მის მეუღლეს აჩვენებდნენ – ის კი ისეთი ქალი გახლდათ, ვერაფერი გადაარწმუნებდა, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ლამაზმანი – ამჯერად იგი მარტო გამოესახათ, იდგა დედიშობილა და არაფერს აკეთებდა, – უინბუშის საყვარელი იყო, მის ქმარს კი განზე გახტომა მოესწრო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სურათზე უშარვლოდ მოხვდებოდა. ერთი სიტყვით, უშერლოკჰოლმსოდაც მშვენივრად მიხვდებოდა ადამიანი, თუ რა განაჩენს გამოიტანდა ფედერალურ სასამართლოში ეს ბებერი ფარისეველი ბოზიშვილი საფოსტოშტემპელიანი კონვერტის დანახვაზე.

– ვხედავ, ხელში თულფები (თულფები – იგივეა, რაც კოზირი) გიჭირავთ, – ვუთხარი მე, – ასე რომ, ჩემი მხრიდან თამაშს აზრი არა აქვს, ისედაც სულ პასის თქმა მომიწევს. მაშასადამე, როდესაც იქ მოვხვდები და მას საკადრისს მივუზღავ, გამომიყვანთ. შემდეგ რა მოხდება?

– ბილეთი ნებისმიერი მიმართულებით და ასი დოლარი.

– ხუთასი გეთქვათ, – ვთქვი მე, – თუმცა აღარ შეგევაჭრებით. ორას ორმოცდაათზეც თანახმა ვარ.

არაფერი გამომივიდა.

– ასი დოლარი, – თქვა მან.

– ოღონდ ჯერ საერთო ქვაბიდან ჩემი წილი უნდა ავიღო, – განვუცხადე თამამად, – თუ მთელი წელი იმ წყეულ სახაზინო მებამბეობის ფერმაში მომიწევს ყოფნა...

რაც მართალია, მართალია – ამჯერად ვაჭრობა არც უცდია.

– ამის შესახებ უკვე მოვიფიქრე, – დამამშვიდა მან, – ყველაფერი მოგვარებულია. ხვალ გირაოთი გამოგიშვებენ. კლარენსი მემფისის გზაზე აგიყვანთ. თქვენს განკარგულებაში ორი დღეა, – ღმერთმანი, ამაზეც უფიქრია, – ფული კლარენსს ექნება. სრულიად საკმარისი თანხა.

ვერ მივხვდი, თანხა მისთვის იყო საკმარისი თუ ჩემთვის. მაგრამ ამჯერად ერთმანეთს აღარ დავცინოდით. ვიდექი და შევყურებდი – სამზარეულოს ტაბურეტზე იჯდა, ღეჭავდა და არაფერს უყურებდა, სიცარიელეს ღეჭავდა. მისი ნაცნობები ამბობდნენ, სპირტიანი სასმლის წვეთიც კი არასდროს ჩასვლია პირშიო, მან კი ოცდაათი თუ ორმოცი დოლარის ვისკი იყიდა პარჩმენში ჩემს მოსათავსებლად, რათა მინკისთვის საკადრისი მიმეზღა. როგორც ჩანს, მზად იყო, კიდევ ასიც დაეხარჯა (იქნებ ორასიც, თუ კლარენსისთვისაც უნდა გადაეხადა) იმის სანაცვლოდ, რომ პარჩმენში იმდენ ხანს ვმჯდარიყავი, რამდენიც მინკისთვის ზიანის მისაყენებლად დამჭირდებოდა – იმისთვის, რომ ხუთი წლის შემდეგ გარეთ ვერ გამოსულიყო. უეცრად მივხვდი, რა მაბნევდა მასში მას შემდეგ, რაც იმდენად წამოვიზარდე, რომ ამგვარ საკითხებში უკვე ვერკვეოდი.

– მაშასადამე, უბიწო ხართ? – მივახალე პირში, – და ცხოვრებაში ქალთან არასდროს წოლილხართ? ცოლიც ხომ მაშინ მოიყვანეთ, როდესაც ისეთს წააწყდით, თქვენამდე რომ გაეფუჭებინათ; ისეთი, თითსაც რომ არ დაგაკარებინებდათ. თქვენ კი არხეინად ცხოვრობთ, დალახვროს ეშმაკმა! ოღონდ რატომ? – ის კვლავ იჯდა და ხმას არ იღებდა. იჯდა და სიცარიელეს ღეჭავდა, – სხვათა შორის, კლარენსზე რატომღა იხარჯებით? თუნდაც მას შავკანიანთა ბორდელები მოსწონდეს, სადაც უმაღლესი ფასი დოლარია, გვარიანი თანხის გაღება მოგიწევთ, თუ კლარენსი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს. მომეცით ფული და მარტოკა გამიშვით! – ჯერ სათქმელი არ დამემთავრებინა, რომ მისი პასუხი უკვე ვიცოდი. ვერ გარისკავდა და ჯეფერსონიდან ერთ მილზეც კი ვერ გამიშვებდა მარტო, უმეთვალყურეოდ, თუ დარწმუნებული არ იქნებოდა, რომ დავბრუნდებოდი, მაშინაც კი, როდესაც ჯიბეში შტემპელდარტყმულ კონვერტში მოთავსებული სურათი ედო. იცოდა, რომ ეს სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ვერ რისკავდა. ვერ ბედავდა. დიახ, მის ასაკშიც კი ვერ ბედავდა იმაში დარწმუნებას, რომ თუ გსურთ, ათიდან ცხრა კაცმა თქვენს ჭკუაზე გაიაროს, ყველაზე მარტივად ამას მათთვის ნდობის გამოცხადებით მიაღწევთ.

ტაბზმა იცოდა, რომ გირაოთი გამიშვებდნენ, და იმავე საღამოს მოინდომა ჩემი გაგდება, რათა ვახშმისთვის გამოყოფილი თანხა მიეთვისებინა; იმედოვნებდა, რომ ალიაქოთის დროს ამას ვერავინ შეამჩნევდა, მაგრამ მე ვუთხარი: „არა, გმადლობთ. ტყუილუბრალოდ მამლაყინწაობთ. მე ამერიკის არმიაში ვმსახურობდი (ყოველ შემთხვევაში, მას ვემსახურებოდი). და თუ გგონიათ, რომ აქ ჩემნაირებისთვის შეუფერებელი ადგილია, საკუთარი თვალით იხილეთ, სად მეძინა", – ტაბზი კი კვლავ საკნის კარში იდგა, ერთ ხელში გასაღები ეჭირა, მეორით კეფას იფხანდა. „ერთი კარგი საქმის გაკეთება შეგიძლიათ. წადით და ნორმალური ვახშამი მომიტანეთ, მისტერ სნოუპსი გადაიხდის, მდიდარმა ნათესავებმა უკვე მაპატიეს. მემფისის გაზეთიც წამოიძღვანიეთ". შეტრიალდა და წავიდა, მე კი მივაძახე: „ეი, დაბრუნდით! კარი ჩაკეტეთ. არ მინდა, რომ მთელმა ჯეფერსონმა აქ მოიყაროს თავი. ამ ძაღლის ხუხულაში ერთი ბოზიშვილიც საკმარისია!"

მომდევნო დილით კლარენსი გამოცხადდა, ფლემმა მას ფული მისცა და იმავე საღამოს ჩვენ, უფრო სწორად, მე, მემფისის სასტუმრო „ტიბერიში" აღმოვჩნდი.

კლარენსმა ერთი ბუნაგი იცოდა, რომელსაც ხშირად სტუმრობდა. იქ დღეში ერთ დოლარად შეიძლებოდა გაჩერება, თუმცა სხვისი ფულით.ალბათ, ყველა ფიქრობდა, რომ რადგან ეს ფლემის ფული იყო, ნებისმიერი სნოუპსი მიწაზე ძილსაც დასთანხმდებოდა, ოღონდ კი ამ ღამის გასათევისთვის ფლემისთვის ორჯერ მეტი წაერთმია.

– მერე? – იკითხა კლარენსმა. ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, რიტორიკული შეკითხვა იყო. მან ხომ მშვენივრად იცოდა, მერე რაც იქნებოდა, უფრო სწორად, ეგონა, რომ იცოდა. ყველაფერი წინასწარ გაეთვალა. კლარენსს ერთი კარგი თვისება ჰქონდა – არასდროს არავის ატყუებდა. ამას ვერ ახერხებდა – ყველამ, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონდა, იცოდა მისი მამაძაღლობის ამბავი, ტყუილად ხომ არ მეკუთვნოდა ნახევარძმად.

შარშან ვერჯილი (სწორია. სნოუპსი. გამოიცანით: ბიძია უესლის უმცროსი ვაჟი – გუნდის სწორედ იმ რეგენტისა, რომელიც ეკლესიაში ჩატარებული ღვთისმსახურების შემდეგ ცარიელ საწყობში თოთხმეტი წლის გოგონასთან ერთად გამოიჭირეს. მაშინ იგი კუპრსა და ბუმბულში ამოგანგლეს და ტეხასში თუ სადღაც სხვაგან მოისროლეს – ერთი სიტყვით, იოკნაპატოფს მოაშორეს. ვერჯილს მისი უნარ-ჩვევები მემკვიდრეობით ერგო) ფონზო უინბუშთან ერთად – ის, თუ არ ვცდები, ჩემი კლიენტის ძმისშვილია – მემფისში გაემგზავრა პარიკმახერთა სასწავლებელში შესასვლელად. ვიღაცამ, ალბათ, მისის უინბუშმა, – იგი სნოუპსი არ გახლდათ, – როგორც ჩანს, ასწავლა მათ, რომ მხოლოდ ისეთი დიასახლისისგან ექირავებინათ ოთახი, რომელსაც ეტყობოდა, რომ მომწიფებული ადამიანი და მორწმუნე ქრისტიანი იყო, თანაც დედობრივი თვისებებიც გააჩნდა.

ისინი, სავარაუდოდ, დიდხანს ტრიალებდნენ თავიანთი ჩემოდნებით რკინიგზის სადგურის გარშემო, სანამ რები რივერსის სახლს არ ჩაუარეს, თანაც სადილის შემდგომ პერიოდში, როდესაც ამ ქალს სასეირნოდ გამოეყვანა თავისი ორი პატარა, ბრაზიანი, მონაცრისფრო-მოთეთრო ძაღლი, რომლებსაც

მან მის რები და მისტერ ბინფორდი შეარქვა ლუციუს ბინფორდის პატივსაცემად – ეს უკანასკნელი მისი სუტენიორი გახლდათ. ასაკში შესვლის შემდეგ, მათ მშვიდ ცხოვრებას მიჰყვეს ხელი, მეზობლები კი – პოლიციელიც, რძისა და გაზეთების დამტარებელი ბიჭიცა და სამრეცხაოს სატვირთო მანქანის მძღოლიც – ლუციუსს მისი სიცოცხლის ბოლომდე ლენდლორდს ეძახდნენ.

ქალი საკმაოდ მოწიფული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, განსაკუთრებით ხალათით, რომლითაც სადილობის შემდეგ გამოდიოდა. მისი ლაპარაკიდან ჩანდა, რომ, შესაძლოა, საკმარისად მორწმუნე არ იყო, მაგრამ ღმერთისა და სულის შესახებ ბევრი რამ გაეგონა. ამას მაშინვე მიხვდებოდით, თუ მიუახლოვდებოდით და მოუსმენდით, როგორ ესაუბრებოდა გვარიანად ყლურწვის შემდეგ თავის ძაღლებს. ჩემი აზრით, ყოველ ქალში, რომელიც ორას გირვანქამდე იწონის და ხალათი აქა-იქ ინგლისური ქინძისთავებით შეუკრავს, თუნდაც მთვრალი კაცის გამოპანღურებას ცდილობდეს, იგრძნობა რაღაც დედობრივი, განსაკუთრებით ორი თვრამეტი წლის ყმაწვილისთვის მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონიდან.

შესაძლოა, მასში მართლაც იყო რაღაც დედობრივი და ვერჯილმა და ფონზომ, ბავშვური გულუბრყვილობის გამო, ამ ქალში ის დაინახეს, რასაც ჩვენ, მისი ძველი კლიენტები და მეგობრები, ვერასდროს ვამჩნევდით. შესაძლოა, მათ თავიანთი უბრალო, სოფლური, იოკნაპატოფური გამოუცდელობით უყოყმანოდ შეაბიჯეს იქ, სადაც ანგელოზიც კი არ შევიდოდა საფულით. ერთი სიტყვით, ისინი შევიდნენ და იკითხეს, ჰქონდათ თუ არა თავისუფალი ოთახი. ქალმა ბიჭები ერთ-ერთ ასეთში შეიყვანა. მათ, ალბათ, თავიანთი მუყაოს ჩემოდნების გახსნაც მოასწრეს, როდესაც ქალი მიხვდა, რომ ყმაწვილებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ სად მოხვდნენ.

არადა, მას ხომ იჯარისა და რეცხვისთვის თანხის გადახდა, პოლიციელებისა და ლუდის მომწოდებლების მოსყიდვა უწევდა, შაბათობით მოსამსახურე მინისთვისაც უნდა მიეცა ცოტაოდენი, უზარმაზარი ყვითელი ბრილიანტების განახლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რათა ისინი ლუდის ბოთლების ნამტვრევებს არ დამსგავსებოდნენ. აქ კი ეს უბიწო იოკნაპატოფელი ბალღები იყვნენ, გოგონები გამუდმებით მირბოდნენ პირსაბანთან ღამის პერანგებით, ხალათებით ან სულაც მათ გარეშე, ხან კლიენტები დაძრწოდნენ, ხან მინი დაქროდა კიბეებზე პირსახოცებითა და ჯინით სავსე ჭიქებით, ხან ქალიშვილები ყვიროდნენ და ჩხუბობდნენ, თავიანთი ბიჭების, კლიენტებისა და ფულის გამო ერთმანეთს თმას აგლეჯდნენ, ხან თვითონ რება ლანძღავდა ბილწი სიტყვებით რომელიმე მთვრალს და მის გაგდებას ცდილობდა, სანამ პოლიცია არ დასტყდომოდა თავს. მაგრამ ერთი კვირაც არ გასულა, რომ მან სახლში ისეთი წესრიგი დაამყარა, იქ ისეთი სიჩუმე სუფევდა, როგორც კეთილშობილ ქალწულთა პანსიონში, იმ წუთამდე, სანამ ვერჯილი და ფონზო თავის ოთახში არ შევიდოდნენ და, როგორც ქალი იმედოვნებდა, ღრმა ძილით არ იძინებდნენ.

ცხადია, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ჯერ ერთი, ისინი პარიკმახერთა იმ სასწავლებელში დადიოდნენ და მთელი დღის განმავლობაში პარიკმახერთა

საუბარს ისმენდნენ, არადა, როგორც მოგეხსენებათ, იმ ოცდაათ წუთშიც კი საკმარისი ჭორ-მართლის გაგება შეიძლება, სანამ თმას გკრეჭენ. შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ, იქ კი ხან ვიღაცის ფეხი გაიელვებდა, ხან კარებში პერანგის კალთა ან ქალის შიშველი ზურგი გამოჩნდებოდა, ასე რომ, მალე მათ ტვინში რაღაც ამოძრავდა, თუმცა კვლავინდებურად მიაჩნდათ, რომ სახლში მყოფი ქალები რებას ბიძაშვილ-მამიდაშვილები ან აღსაზრდელები იყვნენ, რომლებსაც ქალაქში ჩამოსვლამოეხერხებინათ და ახლა მათსავით პარიკმახერთა სასწავლებელში, ოღონდ ქალთაში, სწავლობდნენ. იმ საოცარ ალღოზე აღარაფერს ვამბობ (უკვე გითხარით, რომ ფონზო გროვერ უინბუშის ძმისშვილი იყო?), საოცარი პირველწყაროდან რომ ერგოთ მემკვიდრეობით.

ერთი სიტყვით, მეორე თვეში ყველაფერი შეიცვალა. და ვინაიდან მემფისის წითელი ფარნების რაიონი არც ისე დიდია, მალე ისინი კლარენსს გადაეყარნენ ასეთივე დაწესებულებაში, რადგან ვერჯილი და ფონზო ჯერაც სწავლობდნენ, ფულს ვერ გამოიმუშავებდნენ და შედარებით იაფ ადგილებში უწევდათ ყოფნა. მაგრამ ვერჯილს საოცარი, განსაკუთრებული მამაკაცური ნიჭი აღმოაჩნდა - შეეძლო, ზედიზედ ორი ქალი მანამ დაეკმაყოფილებინა, სანამ ისინი არ აყვირდებოდნენ, რომ მეტი აღარ სურდათ. ეს ორი დოლარი უჯდებოდა. იგი ახალგაზრდულ მგზნებარებასა და გულუბრყვილობას არა მარტო სიამოვნების მისაღებად ამჟღავნებდა, არამედ ფულსაც კი იხდიდა, სანამ კლარენსმა მასში ეს ნიჭი არ შენიშნა და მის ექსპლოატაციას არ მიჰყო ხელი.

კლარენსი, ჩვეულებრივ, იმ სასტუმროების საბილიარდოებსა და ვესტიბიულებში დადიოდა, სადაც ჩერდებოდა ხოლმე. ბოლოს ისეთ მიამიტს გადააწყდებოდა, რომელიც ვერაფრით იჯერებდა ტრაბახს მისი, ასე ვთქვათ, პროტეჟეს მამაკაცური ძალის შესახებ. მაშინ კლარენსი მას ენაძლევებოდა: პირველ ჯერზე მსხვერპლი მას ფორასაც კი აძლევდა. ცხადია, ზოგჯერ ვერჯილს ყველაფერი ისე არ გამოსდიოდა...

- და სანაძლეოს ნახევარს იხდიდა, - ვთქვი მე.

- რა? - გაუკვირდა კლარენსს, - რატომ უნდა დაისაჯოს ბიჭი მონდომების გამო? თანაც ეს ათიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხდება. იგი დღითი დღე სრულყოფს თავის ხელოვნებას. ბრწყინვალე კარიერა ელის, ოღონდ კი ორდოლარიანი ბოზები არ დაილიოს!

შემომთავაზა, რომ საღამოს იმავე საქმით დავკავებულიყავით.

- მადლობელი ვარ, - ვუთხარი მე, - მაგას თვითონ მიხედე, მე კი ძველ მეგობარს მოვინახულებ, შემდეგ კი დასაძინებლად წავალ. ოცდახუთი, არა, ოცდაათი დოლარი მომეცი ფლემის მიერ გადახდილი ფულიდან.

- ფლემმა ასი დოლარი მომცა.

- ჰოდა, ოცდაათი საკმარისი იქნება.

- მიწამ ჩამიტანოს, ასე თუ მოვიქცე. ნახევარი შენია. სულაც არ მინდა ჯეფერსონში ფლემს ჩემ შესახებ ათასგვარი ტყუილი უთხრა. აიღე.

ფული გამოვართვი.

– ერთმანეთს ხვალ შევხვდებით რკინიგზის სადგურში მატარებლის გასვლის წინ.

– რა? – შესძახა მან.

– ხვალ შინ მივემგზავრები. შეგიძლია, დარჩე.

– მაგრამ მე ხომ ფლემს დავპირდი, რომ შენთან ერთად ვიქნებოდი და უკანაც გამოგყვებოდი.

– დაიკიდე, – ვუთხარი მე, – ორმოცდაათი დოლარი ხომ უკვე გაქვს.

– სწორედ ამაშია საქმე, – მომიგო მან, – ვერ ვიტან ნაძირალას, რომელიც ფულს აიღებს და პატიოსან სიტყვას არაფრად აგდებს.

ოთხშაბათის საღამოები ყოველთვის სიმშვიდით გამოირჩეოდა, თუკი ქალაქში რამე თავყრილობა არ იმართებოდა. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ აქ მყოფი ქალების (და კლიენტების) უმრავლესობა ტენესის, მისისიპისა და არკანზასის პატარა ქალაქებიდან იყო. ისინი ბაპტისტურ და მეთოდისტურ ოჯახებში აღეზარდათ. ამიტომაც ყველა საროსკიპოსა თუ ამგვარ ბუნაგში სალოცავი შეკრებების მსგავსი განრიგი შემოეღოთ და კვირაში ერთი დღე დასასვენებლად გამოეყოთ.

ზარი დავრეკე. კარი მინიმ გამიღო. შლაპა ეხურა, რომელიც ფეხბურთელთა ჩაფხუტს ჰგავდა და მთელ თავს უფარავდა.

– საღამო მშვიდობისა, მინი, – მივესალმე, – სასეირნოდ მიდიხარ?

– არა, სერ, – მიპასუხა მან, – წასული იყავით? დიდი ხანია, არ გამოჩენილხართ.

– ბევრი საქმე მქონდა, – მივუგე მე.

რებაც დაინტერესდა, სად ვიყავი. სახლში სიჩუმე სუფევდა. სასადილო ოთახში მხოლოდ რება, ვიღაც ახალი და ერთი სტუმარი იყო, რომელიც ლუდს მიირთმევდა. რებას კვლავაც აესხა უზარმაზარი ყვითელი ბრილიანტები, ოღონდ ხალათი ეცვა საღამოს კაბის ნაცვლად, რომლითაც შაბათობით იწონებდა თავს. ახალი ხალათი იყო, მაგრამ ინგლისური ქინძისთავებით დაემაგრებინა. მასაც იგივე პასუხი გავეცი.

– ბევრი საქმე მქონდა, – ვთქვი მე.

– ნეტა შენ გგავდე, – მიპასუხა მან, – თორემ აქაურობა საკვირაო სკოლას დაემსგავსა. გაიცანი – კაპიტანი სტრატერბეკი.

კაპიტანი მაღალი, ცოტა ზორზოხი კაცი იყო, სახით დამხმარე მუშას ჰგავდა. იმას ვგულისხმობ, რომ სურდა მაგარ ტიპად წარმოეჩინა თავი, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა: ღია ფერის თვალები და ბრაზიანი გამოხედვა ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა, რომ

ორი თვალით ერთი წერტილისთვის ერთდროულად შეეხედა. ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა.

– კაპიტანი სტრატერბეკი ორ ომში მონაწილეობდა, – ამიხსნა რებამ, – ესპანეთთან, ოცდახუთი წლის წინათ, და ამ უკანასკნელში (იგულისხმება ესპანეთ-ამერიკის 1898 წლის ომი და 1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომი.) . ახლა სწორედ მის შესახებ გვიყვებოდა. ეს კი ტელმაა. ჩვენთან გასულკვირას მოვიდა.

– გამარჯობა, – მომესალმა სტრატერბეკი, – ჩვენი ბიჭების რიგებიდან ხართ?

– ასე თუ ისე, – მივუგე მე.

– რომელი ნაწილიდან?

– ლაფაიეტის ესკადრილიიდან (ლაფაიეტის ესკადრილია – აშშ-ის ქ. ლაფაიეტის მოხალისეთა ესკადრილია პირველ მსოფლიო ომში) .

– ლაფა რაო? – ჩამეკითხა იგი, – აჰა, ლა ფაიეტ ესკა დრილ. მაშასადამე, მფრინავი, არა? მე ავიაციაში არ მიმსახურია. კავალერისტი გახლდით კუბაში, ოთხმოცდათვრამეტში, თექვსმეტში კი საზღვარზე ვიყავი. მაგრამ გამიწვიეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, რეგულარულ ჯარში ვერ მოვხვდი. შავი ჯეკის (შავი ჯეკი – პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ამერიკელი გენერლის ჯონ პერშინგის მეტსახელი) ერთგვარ სამოქალაქო თანაშემწედ ვმსახურობდი, მთელ ოლქს შესანიშნავად ვიცნობ. როდესაც გადაწყვიტეს, რომ ჯეკი სამეთაუროდ საფრანგეთში გაეგზავნათ, მითხრა, თუ ჩემკენ მოხვდი, აუცილებლად მომძებნე, სამუშაოს გამოგინახავო. როგორც კი გავიგე, რომ რიკი, ანუ ედი რიკენბეკერი, ასი, – გენერლის მძღოლი იყო, – აუხსნა მან რებასა და ახალმოსულს, – როდესაც შევიტყვე, რომ რიკი გენერლისგან ავიაციაში წავიდა, გადავწყვიტე, რომ მეც გამიმართლა. ზღვის იქით კი მოვხვდი, მაგრამ გენერალს უკვე სხვა მძღოლი ჰყავდა, სერჟანტი, გვარი დამავიწყდა. მე კი უთანამდებობოდ დავრჩი, თუმცა მანქანის ძარიდან რაღაცის ნახვა მოვახერხე: არგონის, შომონის, ვაიმირიჯის და შატო-თიორის (დამახინჯებული სახელი საფრანგეთის ქ. შატო-ტიერისა, სადაც I მსოფლიო ომის დროს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა) . ალბათ, თქვენც იყავით იმ ჯოჯოხეთში. სად იდექით?

– „ამქა"-ში (ამქა – ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაცია) , – ვუპასუხე მე.

– რა თქვით? – მკითხა მან და ნელა წამოდგა. როგორც გითხარით, მაღალი იყო, ცოტა ზორზოხი, ვერაფრით ახერხებდა, რომ ორი თვალით ერთი წერტილისთვის ერთდროულად შეეხედა. ეტყობა, ჩემი შეშინება სურდა. მაგრამ ამ დროს რებაც წამოდგა და კაცმა მხოლოდ ესღა თქვა:

– თქვენ რა, დამცინით?

– რატომ? – მივუგე მე, – განა ასე არ ხდება?

– კარგი, კარგი, – თქვა რებამ, – ახვალთ ზევით ტელმასთან ერთად თუ არა? თუ არა, – უმეტესწილად ასეც იქცევით, – მას უთხარით.

– არ ვიცი, ავალ თუ არა, – განაცხადა მან, – ახლა კი ვფიქრობ, რომ...

– აქ ფიქრისთვის კი არა, სხვა რამისთვის მოდიან, – გააწყვეტინა რებამ, – ახვალთ მასთან ერთად თუ არა?

– კარგი, კარგი, – დაეთანხმა იგი და ტელმას მიმართა: – წავედით. ჩვენ კი ერთმანეთს კიდევ შევხვდებით, – დამიბარა მე.

– მომდევნო ომის შემდეგ, – ვუპასუხე. კაპიტანი ტელმასთან ერთად წავიდა.

– აქ რატომ უშვებთ? – ვკითხე რებას.

– პენსიას იღებს ესპანეთის ომში მონაწილეობისთვის, – მითხრა რებამ, – დღეს გამოუგზავნეს. საკუთარი თვალით ვნახე, მეორე გვერდზე ხელი რომ მოაწერა, რათა თანხა მის მაგივრად ავიღო.

– რამდენი? – დავინტერესდი მე.

– არ ვიცი, რა ეწერა. შევამოწმე, რომ ხელი მითითებულ ადგილას მოეწერა. ფულადი გზავნილი ხაზინიდან არის, აშშ-ის მთავრობიდან. რატომ უნდა დავეჭვებულიყავი, თუ საფოსტო შეტყობინება აშშ-ის მთავრობამ გამოუგზავნა?

– ფოსტით ერთი ცენტის გამოგზავნაც შეიძლება, – ავუხსენი მე, – თუ საფოსტო ხარჯის გადახდა შეგიძლია, – ქალი შეწუხებული სახით შემომცქეროდა, – მან მხოლოდ ცისფერი ქაღალდის ნაგლეჯს მოაწერა ხელი, შემდეგ კი კვლავ ჯიბეში ჩაიდო. კალამი კი, ალბათ, თქვენ გთხოვათ, არა?

– კარგი, გეყოფათ, – ჩაიბუზღუნა რებამ, – ახლა როგორ მოვიქცე? ზევით ავიდე და ვუთხრა, „პატივცემულო, აქედან გაეთრიეთ-მეთქი?"

მინიმ კიდევ ერთი ბოთლი ლუდი მოიტანა – ჩემთვის.

– ლუდი არ შემიკვეთავს, – ვთქვი მე, – ყველაფერი წინასწარ უნდა ვთქვა ხოლმე? დღეს ფულის დახარჯვას არ ვაპირებ.

– მე გიმასპინძლდებით, – მითხრა მან, – აბა, რატომ მოხვედით? ვინმესთან საჩხუბრად ხომ არა?

– ოღონდ მასთან არა, – მივუგე, – მან ხომ გვარიც კი წიგნიდან აიღო. არ მახსოვს, რომლიდან, თუმცა იმაზე უკეთესი კი არის, საიდანაც ომის შესახებ ამოიკითხა.

– კარგი, კარგი, გეყოფათ, – გამიმეორა ქალმა, – რა ჯანდაბად უთხარით, სად ცხოვრობთ? მართლა, სხვათა შორის, იქ რატომ გაჩერდით?

– სად გავჩერდი? – ვერ მივხვდი შეკითხვას.

– „ამქა"-ში. დადის აქ რამდენიმე მცირეწლოვანი არარაობა, რომელთა ადგილი მართლა „ამქა"-შია. არ ვიცი, იქ ჩერდებიან თუ არა, მაგრამ ამით არავინ ტრაბახობს.

– არა, მე „ტიბერი"-ში ვცხოვრობ, – ავუხსენი მე, – „ამქა"-ში ომის დროს მოვეწყვე.

– „ამქა"-ში? ომის დროს? ისინი ხომ არ ომობენ. ჩემი დაცინვაც გადაწყვიტეთ?

– ვიცი, რომ არ ომობენ. ამიტომაც ჩავეწერე მათთან. ამას გევინ სტივენსი,ჯეფერსონელი იურისტი დაგიდასტურებთ. ჰკითხეთ შემდეგ ჯერზე, თუკი თქვენთან მოხვდება.

ამ დროს მინი გამოჩნდა ლანგრით ხელში. ზედ ორი ჭიქა ჯინი იდგა. არაფერი უთქვამს, მაგრამ კარებში ისე გაჩერდა, რომ რებას დაენახა. შლაპა კვლავაც ეხურა.

– კარგი, წაუღე, – უთხრა რებამ, – მაგრამ ამის შემდეგ წვეთიც არ მიუტანო. ჯერ ლუდის ფულიც არ გადაუხდია. მაგრამ მის ტელმა მემფისში ახალი ადამიანია, თავი ისე უნდა იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში. – მინი წავიდა. – მაშასადამე, დღეს ჯიბეებს არ ამოიბრუნებთ, – მომმართა რებამ.

– მე ხომ თქვენთან თხოვნით მოვედი, – მივუგე მე, მაგრამ არ მისმენდა.

– თქვენ ადრეც ცოტას ხარჯავდით. არა, ცხადია, ლუდზე არ ძუნწობდით, ყველას უმასპინძლდებოდით. მაგრამ ცელქობა არ გიყვარდათ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს გოგონებთან, – მან შემომხედა, – ეს არც მე მჭირდება. ძველი საქმეა. ისე, ერთმანეთს კი შევეწყობოდით, – იგი კვლავ შემომცქეროდა, – გავიგე იმ საქმის შესახებ, თქვენთან რომ წამოიწყეთ. ბევრ მათგანს, აქ რომ დაწესებულებას ფლობს, ეს არ მოეწონა. მიაჩნიათ, რომ კომერციას ძირს უთხრით, რომ ეს არა... რა ჰქვია? ექიმები და ადვოკატები ამ სიტყვას ხშირად იმეორებენ.

– არაეთიკურია, – შევეშველე მე, – ეს სიმშრალეს ნიშნავს.

– სიმშრალეს? – მკითხა გაოცებით.

– დიახ, – მივუგე მე, – თქვენი პროფესიის ჩემს მიმართულებას შეგვიძლია უწყლო და უნაყოფო სფერო ვუწოდოთ. ასე ვთქვათ, ფორპოსტი უდაბნოში.

– აჰა, გასაგებია, მივხვდი. მართალია. მათაც სწორედ ასე ვუთხარი: სურათების თვალიერება, ცხადია, შეიძლება, შიგადაშიგ, იქ, მიყრუებულ ადგილას, სადაც ადამიანს სხვა არაფერი დარჩენია. მაგრამ, ადრე თუ გვიან, ვიღაც ისე აენთება, რომ უახლოეს ჭასთან მირბენა მოუნდება ერთი ვედრო ნამდვილი წყლისთვის. იქნებ მან ჩემს ჭასთანაც მოირბინოს, – იგი თვალს არ მაცილებდა, – გაყიდეთ ყველაფერი და აქ გადმობარგდით.

– ეს შეთავაზებაა? – ვკითხე მე.

– მათქმევინეთ. გადმოდით აქ და ამ სახლში უფროსი იქნებით. ლუდი და სხვა სასმელი ისედაც ჩემზეა, თქვენ კი სხვა ბევრი არაფერი გჭირდებათ – სიგარეტი, ტანსაცმელი, ჯიბეშიც რომ ცოტა ჩხრიალებდეს, ამას გავწვდები. გოგოების თვალყურის დევნება აღარ მომიწევს – თქვენ გენდობით, ისევე, როგორც მისტერ ბინფორდს ვენდობოდი, ვინაიდან მისი ნდობა ყოველთვის შეიძლებოდა, ყოველთვის. – იგი კვლავ შემომცქეროდა. მის თვალებსა და სახეზე ისეთ რაღაცას ვხედავდი, რაც ადრე არასდროს მენახა და, რომ არ დავმალო, არც ველოდი. – მე კი მინდა... მამაკაცს იმის გაკეთება შეუძლია, რაც ქალს უჭირს. მოგეხსენებათ, საჭირო ადამიანის მოსყიდვა, მთვრალი კაცის მოშორება, იმ ბოზიშვილების, ვისკითა და ლუდით მოვაჭრეების შემოწმება, რათა ქაფი არ შემოგაჩეჩონ, ბოთლები არ დაგაკლონ, თავზე დღედაღამ ქორივით უნდა დასტრიალებდეთ, – იჯდა და მიყურებდა, ლუდით სავსე ჭიქა ეჭირა. მსუქანი ხელი ჰქონდა, ამას აგურისოდენა ბრილიანტიც ემატებოდა: – მინდა... მე... განა ცელქობა მჭირდება? ეს დიდი ხნის წინათ გაქრა, ამაზე აღარც კი ვფიქრობ... აქ სხვა რამაა... სამი წელი გავიდა, რაც მოკვდა, მე კი ამის დაჯერება დღესაც მიჭირს... – ეს ყველაფერი უადგილოდ მეჩვენებოდა: გაფიჟვინებული, დანაოჭებული სახე, მძიმე და შავი ფიზიკური სამუშაოსგან – მეძავის სამუშაოსგან მოქანცული სხეული – თავი ხომ ამით გაჰქონდა. ახლა კი ძველი მოკრივესავით ან ფეხბურთელივით, უფრო სწორად, ბებერი ცხენივით, სახითაც და სხეულითაც აღარაფერს ჰგავდა, არც მამაკაცს, არც ქალს, თუმცა იაფფასიანი ფერ-უმარილი უხვად ესვა და უშველებელი, ნამდვილის მსგავსი ბრილიანტი აესხა, ოღონდ, ცხადია, სხვა ფერის. ამას თვალებიც ემატებოდა, რომლებშიც რაღაც იმალებოდა, რაღაც ისეთი ელავდა, რაც აქ არ უნდა ყოფილიყო, რასაც, რომ იტყვიან, ძაღლსაც არ უსურვებდით... მინი კარების გავლით შემოსასვლელში გავიდა, ხელში ცარიელი ლანგარი ეჭირა. – თოთხმეტი წელი ორი მტრედივით ვცხოვრობდით, – იგი კვლავ შემომცქეროდა. დიახ, ძაღლსაც კი არ უსურვებდით... – ორი მტრედივით! – იყვირა მან, ლუდით სავსე ჭიქა მაღლა ასწია, მაგიდაზე ხმაურით დადგა და შესძახა: – მინი! – მინი კარებში შეჩერდა, – ჯინი მომიტანე.

– არ შეიძლება, მის რება, ეგ არც გაიფიქროთ! – მიუგო მინიმ, გაიხსენეთ, როგორ მოგენატრათ მისტერ ბინფორდი წინა ჯერზე – ოთხ საათამდე პოლიცია ვერ მოვიშორეთ. ლუდი დალიეთ, ჯინი კი თავიდან ამოიგდეთ!

– კარგი, – თქვა რებამ და ცოტაოდენი ლუდი მოსვა, შემდეგ კი ჭიქა მაგიდაზე დადგა, – თქვენ რაღაც თხოვნა ახსენეთ. ვიცი, რომ ფულს არ მთხოვთ. არა იმიტომ, რომ ეს თავხედობაა. უბრალოდ, თავი კარგად გიმუშავებთ. საინტერესოა, რას უნდა ეხებოდეს?

– სწორედ რომ ფულს ეხება, – მივუგე მე, ორმოცდაათი დოლარი ამოვიღე, ათიანი გამოვაცალკევე და მივუჩოჩე, – ორი წლით მივდივარ. ეს თქვენ, რათა არ დამივიწყოთ, – რებამ ფული არ აიღო, მინისგან განსხვავებით, მისკენ არც კი გაუხედავს, მე შემომცქეროდა, – იქნებ მინი დამეხმაროს, – განვაგრძე მე, – მინდა, რომ ორმოცი დოლარი ყველაზე უბედურ ბოზიშვილს ვაჩუქო, თუკი ასეთს შევხვდები. თქვენ ან მინიმ ხომ არ იცით, ვინ არის ახლა ყველაზე გაუბედურებული ბოზიშვილი?

ამჯერად ორივენი მომაჩერდნენ. მინი თავისი შლაპის ქვემოდან მიყურებდა.

– უბედურში რას გულისხმობთ? – მკითხა რებამ.

– ვისაც უბედურება შეემთხვა ან არაფრის გულისთვის ციხეში ჩასვეს.

– მინის ქმარი ბოზიშვილიცაა და ციხეშიც ზის, – თქვა რებამ, – მაგრამ უბედურს ვერ ვუწოდებდი. შენ რას იტყვი, მინი?

– ასეა, – დაეთანხმა მინი.

– ყოველ შემთხვევაში, ქალებთან დროებით საქმე აღარ აქვს, – უთხრა რებამ, – ასე რომ, ჯერჯერობით შეგიძლია, მშვიდად იყო.

– თქვენ ლუდუსს არ იცნობთ, – თქვა მინიმ, – ამქვეყნად ისეთი ადგილი არ არსებობს, თუნდაც ეს კატორღა იყოს, ლუდუსმა რომ ვინმე ქალის გაბრიყვება ვერ მოახერხოს.

– რისთვის ჩასვეს? – დავინტერესდი მე.

– სამუშაო ჯერ კიდევ შარშან ზამთარში მიატოვა, აქ დაყიალებდა, ჩემს სამზარეულოში ხეთქავდა, როგორც კი მინი წაუძინებდა, მაშინვე ფულს ჰპარავდა. როდესაც გამოიჭირა – ის საძაგელი ამ ფულს სხვა ქალს აძლევდა – და მისი ნამუსზე შეგდება სცადა, ხელიდან უთო გამოსტაცა, მოუქნია და კინაღამ ყური წააცალა. ამიტომაც დადის მინი შლაპით, სახლშიც კი. ასე რომ, ჩემი აზრით, თუ ვინმე თქვენს ორმოც დოლარს იმსახურებს, ეს მინია.

ამ დროს ზედა სართულის ჰოლიდან ქალის კივილი გაისმა. მინი და რება იქით გაიქცნენ. ფული ავიღე და უკან გავყევი. ეს ახალმოსული ქალი, ტელმა კიოდა და ილანძღებოდა. იგი კიბის თავზე მსუბუქ კიმონოში გამოწყობილი გამოვარდნილიყო, რომელიც მას თითქმის არაფერს უფარავდა. კაპიტანი სტრატერბეკი უკვე კიბეზე ეშვებოდა, შლაპა ეხურა, ერთი ხელით პიჯაკი მოჰქონდა, მეორით თავს იწესრიგებდა. მინი კიბის ქვეშ გაჩერდა. იგი არც კი ცდილობდა ტელმას ყვირილის გადაფარვას და, მით უმეტეს, მის გაჩუმებას. მას, უბრალოდ, უფრო მძლავრი ხმა და, შესაძლოა, მეტი პრაქტიკა ჰქონდა.

– აშკარაა, რომ მთელი ცხოვრება ჯიბეგამოფხეკილი დადიოდა! ჩვენთან ორ დოლარზე მეტი არასდროს დაუხარჯავს. ვერ გამიგია, რატომ შემოუშვით, ჯერ ფული უნდა გამოგერთმიათ. გეფიცებით, შარვალიც კი არ გაუხდია! და თუ სტუმარი შარვალს არ იხდის, ის ახლოს არ არის მოსაშვები! მაშასადამე, გასაქცევად ემზადება და მის ლაქლაქს ყური არ უნდა დაუგდო.

– გაჩუმდი, – უთხრა მინის რებამ, – გეყოფა!

მინიმ უკან დაიხია, ტელმაც კი გაჩუმდა – ან მე დამინახა, ან ეს სხვა მოსაზრებით გააკეთა, ხალათშიც კი გაეხვია. სტრატერბეკი კიბეზე ჩამოვიდა, კვლავაც შარვალს იწესრიგებდა, თუმცა ახლა, ალბათ, ყველაზე ნაკლებად

ცდილობდა ორივე თვალის ერთი წერტილისთვის მიპყრობას. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, რადგან, მინის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ქვევით ჩამოსვლისას, თოკზე მოსიარულე ჯამბაზის არ იყოს, აღარც შიში უშველიდა და აღარც გაოცება. როგორც იქნა, ბოლომდე ჩამოაღწია. მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. გასასვლელამდე კიდევ რვა-ათი ფუტი რჩებოდა.

მაგრამ რება ნამდვილი ქალბატონი გახლდათ. მან მხოლოდ ხელი გაიწვდინა და ელოდებოდა, კაპიტანმა კი ღილების შეკვრა დაასრულა, ერთ-ერთი ჯიბიდან საფოსტო გზავნილი ამოიღო და მას გადასცა. ჭეშმარიტი ქალბატონი. კაცისთვის თითიც არ დაუკარებია. არც გაულანძღავს. მხოლოდ შემოსასვლელ კარს მიუახლოვდა, სახელურს სწვდა, მისკენ შეტრიალდა და უთხრა:

- შეიკარით. ვერ დავუშვებ, რომ ღამის თერთმეტ საათზე კაცი ჩემი სახლიდან ასე მოუწესრიგებელი გავიდეს, - მისი გასვლის შემდეგ კი კარი მიხურა, გასაღებით დაკეტა და საფოსტო გზავნილს დახედა. მინი მართალი აღმოჩნდა. ვინმე კამილა სტრატერბეკს მხოლოდ ორი დოლარი გადმოეგზავნა ლონოკიდან, არკანზასის შტატიდან.

- თქვენი აზრით, ქალიშვილია თუ და? - იკითხა რებამ.

უწყება მინიმაც შეათვალიერა.

- არა, ეს ცოლია, - თქვა მან, - და, დედა ან ბებია ხუთ დოლარს გამოუგზავნიდა, საყვარელი - ორმოცდაათ დოლარს, თუ, ცხადია, ფულიც ექნებოდა და შესაბამისი განწყობაც. ქალიშვილი ორმოცდაათ ცენტს დასჯერდებოდა. არა, ცოლის გარდა, ორ დოლარს ვერავინ გაიმეტებდა.

მან სასადილო ოთახში კიდევ ორი ბოთლი ლუდი მოიტანა.

- კარგი, - თქვა რებამ, - თქვენ რაღაცის თხოვნა გსურდათ. ხომ ვერ დააკონკრეტებდით?

ფული კვლავ ამოვიღე, ათდოლარიანი მისკენ მივაჩოჩე, ორმოცი კი დავიტოვე.

- ეს თქვენ და მინის, რათა გახსოვდეთ, სანამ ორი წლის შემდეგ არ დავბრუნდები. დანარჩენი კი, თუ შეიძლება, ბიძაჩემს გაუგზავნეთ პარჩმენში, მისისიპის საკატორღო ციხეში.

- ორი წლის შემდეგ დაბრუნდებით?

- დიახ, - მივუგე მე, - შეგიძლიათ, დამელოდოთ. მართალია, კაცი, რომელთანაც მუშაობას ვაპირებ, მარწმუნებს, რომ ერთი წლის შემდეგ დავბრუნდები, მაგრამ მისი არ მჯერა.

- კარგი. მაშ, რა ვუყო ამ ორმოც დოლარს?

- ბიძაჩემს, სნოუპსს გაუგზავნეთ პარჩმენში.

- იქ რატომ ჩასვეს?

– კაცი მოკლა, ზაკ ჰიუსტონი, დიდი ხნის წინათ, ათას ცხრაას რვა წელს.

– ღირდა კი იმ ჰიუსტონის მოკვლა?

– არ ვიცი. მაგრამ იმის მიხედვით, რაც მსმენია, ძალად მოაკვლევინა თავი.

– საცოდავი ნაბიჭვარი. რა დრო უნდა გაატაროს იქ ბიძათქვენმა?

– მთელი ცხოვრება, – ვთქვი მე.

– კარგი, – განმიცხადა მან, – ამაშიც ვერკვევი. როდის გამოვა?

– დაახლოებით ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს, თუ იცოცხლებს და არაფერი შეემთხვევა.

– გასაგებია, – მითხრა მან, – ფული როგორ გავუგზავნო?

მისამართი მივეცი და ყველაფერი ავუხსენი.

– შეგიძლიათ, მიაწეროთ – „სხვა პატიმრისგან".

– ვითომ რატომ? – გაოცდა იგი, – ციხეში არასდროს ვმჯდარვარ და ამის გაკეთებას არც ვაპირებ.

– მაშინ – „მეგობრისგან".

– ასე იყოს, – დამეთანხმა იგი, შემდეგ ფული გამომართვა, დაკეცა და გაიმეორა: – საცოდავი ნაბიჭვარი.

– ვის გულისხმობთ?

– ორივე მათგანს, – თქვა მან, – და თქვენც. ყველანი ასეთები ვართ. საბრალო ნაბიჭვრები.

არ ველოდი, თუ კლარენსს დილამდე ვნახავდი, მაგრამ იგი უკვე ნომერში იყო, კომოდზე დაჭმუჭნილი დოლარები ეყარა, თითქოს აქ ფულზე თამაშობდნენ. თვითონ მხოლოდ შარვალი ეცვა, კუპიურებს დაჰყურებდა და ბანჯგვლიან მკერდს იფხანდა. ამჯერად მათ, უფრო სწორად, კლარენსს, ბითუმად მოვაჭრე შეხვედროდა, აზარტული კაცი, რომელმაც მას შემდეგ, რაც ვერჯილი წარმატებით გაუსწორდა ორ ქალს, დაიფიცა, რომ მესამეს, შეუსვენებლივ, ვეღარ გაუმკლავდებოდა და ფსონიც გაზარდა. კლარენსი დაეთანხმა და ფლემის მიცემულ ორმოცდაათ დოლარს ჩამოვიდა. რისკზე მიდიოდა: უთქვამს კიდეც ვერჯილისთვის, რომ არ დათანხმებულიყო, რისთვისაც არ გაკიცხავდა: „მოგებულები ვართ, შენ უკვე ყველაფერი დაამტკიცე. რა იცი, რა ხდება". იმ ცხვირმოუხოცავს კი თურმე წარბიც არ შეუხრია და განუცხადებია:

– კარგი რა, ქალი მომიყვანე.

– ახლა კი სინდისი მაწუხებს, – თქვა კლარენსმა და კვლავ დაამთქნარა, – ფული ხომ ფლემის იყო. შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ არაფერი გავუმხილო, იფიქროს, რომ ფული დაიხარჯა. მაგრამ რაღაც არ მომწონს – კაცი არ უნდა გაღორდეს.

ასე რომ, სახლში მივედით.

– ციხეში რატომ ბრუნდებით? – მკითხა ფლემმა, – სამი კვირა კიდევ გაქვთ.

– ჩათვალეთ, რომ უნდა შევეჩვიო, – მივუგე მე, – ჩათვალეთ, რომ საკუთარი სინდისის დაწყნარება მინდა.

ასე რომ, კვლავ რკინის გისოსებს ამოვეფარე, კვლავაც დაცული ვიყავი, უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს თავისუფალი სამყაროსგან, სნოუპსების თავისუფალი სამყაროსგან, სადაც ფლემი, ცოლის სანაცვლოდ, ბანკის პრეზიდენტის სავარძლის დათრევას ცდილობდა, კლარენსი ხელფასს შტატის სენატორივით იღებდა, ჯექსონსა და გეიზოსტრიტს შორის მიდი-მოდიოდა და ვერჯილის ნიჭის ხარჯზე ფულს შოულობდა, როგორც კი მორიგ არკანზასელ ბედოვლათს მოიგდებდა ხელში, საკუთარ თვალებს რომ არ უჯერებდა, ბაირონი კი მექსიკაში ან, შესაძლოა, სადმე სხვაგან იჯდა და ბანკის ფულის დარჩენილ ნაწილს ხარჯავდა; დაცული ვიყავი სამყაროსგან, სადაც ჩემი და კლარენსის ინვესტორი მამილო არსებობდა, ჩვენი საერთო ბიძია უესლი კი ერთი ხელით საეკლესიო გუნდს დირიჟორობდა, მეორეს კი თოთხმეტი წლის გოგონებს კაბის ქვეშ უფათურებდა. აღარაფერს ვამბობ უოლსტრიტ პანიკაზე, ადმირალ დიუისა და მათ მამა ეკზე, ვინაიდან ისინი ჩვენს ოჯახში არ შემოდიან, ისინი ჩვენი სირცხვილია. მინკზე, მკვლელ ბიძაზე, ლაპარაკიც არ ღირს. მას ექვსი-შვიდი კვირის შემდეგ შევხვდი (ალბათ, ხვდებით, რომ ცოტა ხანს დაველოდე, რათა არ დამეფრთხო).

– ფლემი? – თქვა მან, – აღარ მეგონა, თუ ფლემს ჩემი აქედან დახსნა უნდოდა. ვფიქრობდი, რომ პირიქით, სურდა აქ, შეძლებისდაგვარად, დიდხანს დავრჩენილიყავი.

– ალბათ, გამოსწორდა, – ვუთხარი მე, ის კი პატიმრის ზოლიანი ტანსაცმლით ჩემ წინ იდგა და თვალებს ახამხამებდა – საცოდავი, გამხდარი, თოთხმეტი წლის ბიჭის სიმაღლის კაცუნა. უცნაური იყო, სად ეტეოდა ამ დალეულ არსებას ამდენი ბოღმა, ან როგორ მოახერხა იმსიმძიმე ორლულიანი თოფის ხელში დაჭერა და ადამიანის მოკვლა.

– მისთვის მადლობა მომიხსენებია, – თქვა მან, – მაგრამ თუ ხვალ აქედან გავალ, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ოდნავაც არ გამოვსწორებულვარ. აქ მრავალი წელი გავატარე და მინდორში მუშაობისა და ფიქრის მეტი საქმე არ მქონია. ტყუილუბრალოდ ხომ არ მიდის რისკზე? მინდა, რომ ყველაფერი სამართლიანად გამოვიდეს.

– მან ეს იცის, – დავამშვიდე იგი, – არც ელის, რომ აქ გამოსწორდებით. ხვდება, რომ ეს არ მოხდება. მაგრამ იმედოვნებს, რომ აქედან გასვლის შემდეგ შეიცვლებით და როგორც კი თავისუფლების სიოს იგრძნობთ და მზე ძვლებს გაგითბობთ, სხვა ადამიანად იქცევით.

– და თუ მაშინვე არ... – აღარ დაუმატებია, „თუ მაშინვე არ გამოვსწორდებიო", საკუთარ თავს გააწყვეტინა.

– მზად არის, რისკზე წავიდეს, – ვთქვი მე, – ასე უნდა მოიქცეს. ვგულისხმობ, რომ ახლა სხვაგვარად ვერ მოიქცევა. მაშინ ვერაფერი გააწყო, რომ არ ჩაესვით. მაგრამ იცის, რომ, თქვენი აზრით, მას ამის გაკეთება არც უცდია. ახლა კი სურს, რომ აქედან გამოსვლაში დაგეხმაროთ, ჯერ ერთი,იმის დასამტკიცებლად, რომ აქ მის გამო არ ჩამჯდარხართ, და მეორე – რათა არ იფიქროს და არ გაიხსენოს, რომ მას დამნაშავედ მიიჩნევთ. გასაგებია?

იგი გაუნძრევლად იდგა, მხოლოდ თვალებს აფახულებდა, ხელები უსაქმოდ ჩამოშვებოდა, თითები მოეღუნა, თითქოს გუთნის სახელურზე ედო, კისერი ისე დასძაბოდა, იფიქრებდით, უღელში შეუბამთო.

– მხოლოდ ხუთი წელი დამრჩა და ისედაც გავთავისუფლდები. მაშინ არავის ექნება ჩემ მიმართ ცრუ მოლოდინი და არც ვინმესგან ვიგრძნობ თავს დავალებულად გაწეული დახმარებისთვის.

– მართალია, – დავეთანხმე მას, – სულ რაღაც ხუთი წელი. რა არის ხუთი წელი ადამიანისთვის, რომელიც თხუთმეტი წელია აქ არის და მიეჩვია, რომ ერთი შაშხანიანი გუშაგი სხვისი ბამბის მოსავლის მოსაყვანად მიწის თოხნისას მეთვალყურეობს, მეორე – სალაფავის ჭამისას, უნდა ეს თუ არა, მესამე კი ღამით საკანში კეტავს და სულ არ ადარდებს, დაიძინებს თუ არა. სულ რაღაც ხუთი წელი და გათავისუფლდებით, მზე გაგათბობთ, სიო დაგიბერავთ და აღარც შაშხანიანი გუშაგი გედგებათ თავზე. იმიტომ, რომ იქ თავისუფლებაა.

– თავისუფლება, – წარმოთქვა მან ხმადაბლა და უბრალოდ, – თავისუფლება.

სულ ეს იყო. ყველაფერი ადვილად მოგვარდა. ცხადია, ზედამხედველმა, რომელსაც წინასწარ ჩავაწვეთე ამის შესახებ, საშინლად გამლანძღა, მაგრამ ამას ველოდი კიდეც: ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობდით და ყოველ პატიმარს ჰქონდა გაქცევის მცდელობის უფლება, ისევე, როგორც ყოველ ზედამხედველსა და გუშაგს შეეძლო მისთვის ზურგში სროლა, თუ იგი მის პირველივე დაძახილზე არ გაჩერდებოდა. სამაგიეროდ, დამბეზღებელს არ ჰქონდა ზედამხედველის წინასწარ გაფრთხილების უფლება.

ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილე. ამაშიც ფული იყო გადახდილი. ამისთვის მივიღე თანხმობა, რომ სნოუპსების სამყაროში მესუნთქა. მინდოდა, შევტრიალებულიყავი ან თუნდაც თვალები დამეხუჭა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა: ამ უკანასკნელ, საცოდავ, არაფრად ღირებულ ერთცენტიანს ვერაფერს მოვუხერხებდი, უნდა მეყურებინა ამ საბრალო ქმნილებისთვის, დედის ჩითის კაბასა და შლაპაში გამოწყობილ გოგოს რომ ჰგავდა – სჯეროდა, რომ ეს ფლემმა მოიფიქრა (აი, რა აღმოჩნდა ყველაზე რთული – კვლავ სურდა დაეჯერებინა, რომ საკუთარი ბედისწერისკენ მიმავალმა ადამიანმა, თუნდაც ეს ბედისწერა მის დაღუპვას მოასწავებდეს, ღირსება უნდა შეინარჩუნოს და უშარვლოდ არ დარჩეს: საკმარისად გავწვალდი, სანამ

დავარწმუნებდი, რომ ფლემმა ქალის კაბისა და შლაპის გარდა სხვა ვერაფერი იშოვა). მიაბიჯებდა – შთავაგონე, რომ არ გაქცეულიყო და მშვიდად ევლო. ისიც მიდიოდა გასაცოდავებული, დაბნეული, აწრიალებული, მარტოდმარტო ციხის დაცარიელებულ ეზოში, ქაღალდის თოჯინასავით, რომელსაც ქარი საცაა წისქვილის მორევში გადააგდებს. მიდიოდა, მაშინაც კი, როდესაც მიხვდა, რომ უკან მობრუნება აღარ შეიძლებოდა; როდესაც მიხვდა, რომ უღალატეს, და დიდი ხნით ადრე უნდა მიმხვდარიყო, რომ უღალატებდნენ. მაგრამ არავის ადანაშაულებდა, თუმცა იმ ადამიანმა გაყიდა, რომლისთვისაც არაფერი დაუშავებია, ხელი ხომ თვითონაც მოაწერა, – კითხვა არ იცოდა, მაგრამ ხელწერილზე დაადასტურა, რომ ცოტა ხანს სუნთქვის უფლებას მომცემდნენ, – ისიც ერთ-ერთი სნოუპსთაგანი იყო.

შემდეგ საჭიროზე უფრო ადრე გაიქცა. პირდაპირ მათკენ გარბოდა – მათ ჯერ ვერ ვხედავდი. მანამდე გაიქცა, სანამ ისინი საფრიდან გამოვარდებოდნენ. არა მხოლოდ იმით ვამაყობდი, რომ ერთმანეთს ვენათესავებოდით, არამედ იმითაც, რომ, როგორც რება ამბობდა, ყველანი ერთი ჯიშის საცოდავი ძაღლისშვილები ვიყავით. ვინაიდან ხუთნი იყვნენ და გაჭირვებით გაუმკლავდნენ ერთ ადამიანს, თუმცა პისტოლეტის ტარს უხათქუნებდნენ, ვიდრე თავში ხელკეტის ჩარტყმით, როგორც იქნა, ძირს არ დასცეს.

უფროსმა თავისთან გამომიძახა.

– არაფერი თქვა, – მითხრა მან, – ჯობია, ისიც არ ვიცოდე, რასაც ვეჭვობ. რომ არ დაგიმალო, ჩემი ნება რომ იყოს, მასთან ერთად ჩაგკეტავდი საკანში და ბორკილებს დაგადებდი. მაგრამ სხვა ვალდებულება მაკისრია, ამიტომ მხოლოდ სამარტოო საკანში მოგათავსებ ერთი-ორი კვირით, შენივე უსაფრთხოებისთვის. ოღონდ არა მისგან თავის დასაცავად.

– მორჩით ტრაბახსა და წუხილს, – ვუთხარი დაუფარავად, – ამ ყველაფერს თქვენ მოაწერეთ ხელი.

– რა? – შესძახა მან, – არაფერი მესმის!

– გითხარით, ნუ წუხხართ-მეთქი. მას ჩემი საწინააღმდეგო არაფერი აქვს. თუ არ გჯერათ, აქ მოიყვანეთ.

შემოვიდა. პისტოლეტის ტარისგან მიყენებული სილურჯე და დაჟეჟილობა თანდათან უქრებოდა, ხელკეტი კი კვალს არ ტოვებს.

– გამარჯობა, – თქვა მან და მე მომიბრუნდა, – ახლა ფლემს, ალბათ, ჩემზე ადრე ნახავ.

– ეგრეა, – მივუგე მე.

– გადაეცი, რომ კაბა არ უნდა გამოეგზავნა. თუმცა ეს წვრილმანია. ჩემი ვადა რომ ბოლომდე მომეხადა, იქნებ გამოვსწორებულიყავი კიდეც. ახლა კი არა მგონია, ასე მოხდეს. ასე რომ, უბრალოდ, დაველოდები.

როგორც ჩანს, ფლემს ყურად უნდა ეღო ჩემი რჩევა ათი ათასთან დაკავშირებით. ახლაც არ იყო გვიან. შემეძლო, მისთვის წერილიც კი მიმეწერა: „სულაც არ გაგიჭირდებათ ათი ათასის შოვნა. საკმარისია,მანფრედ დე სპეინი თქვენს ცოლთან მიუშვათ. არა, ეს სისულელეა: მანფრედ დე სპეინისთვის იულა უორნერის შეჩეჩება იგივეა, რაც ადამიანისთვის იმ ცხენის მიყიდვის მცდელობა, რომელსაც იგი ათი-ოცი წლის განმავლობაში დააჭენებს. სამაგიეროდ, ის გოგონა გყავთ, ლინდა. მართალია, ის, თუ არ ვცდები, მხოლოდ ათი თუ თერთმეტი წლისაა, მაგრამ ეს წვრილმანია. გაუკეთეთ მუქი სათვალე, ჩაცვით მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და სასწრაფოდ შეაჩეჩეთ. შესაძლოა, დე სპეინმა ვერაფერი შეამჩნიოს".

მაგრამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი. ეს არ მადარდებდა. ის მაწუხებდა, რაც ვიცოდი: წერილს არ დავწერდი. ვიცოდი, რომ მასზე უარს ვიტყოდი – იმ საკომისიოს ვგულისხმობ ათი ათასიდან, რომელიც „სინდიკატ ჩისთან" მისი დაკავშირებისთვის მეკუთვნოდა. არ მახსოვს, როდის მოხდა, – ალბათ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, – როდესაც მივხვდი, რომ წმინდა სისხლის მამაძაღლების გვარს, კლანს, მოდგმასა თუ რასას მივეკუთვნებოდი. და საკუთარ თავს ვუთხარი: „კარგი, თუ საქმე ასეა, ჩვენ მათ ვაჩვენებთ. საუკეთესო ადვოკატს „ადვოკატთა შორის ადვოკატს" უწოდებენ, საუკეთესო მსახიობს – „მსახიობთა შორის მსახიობს", საუკეთესო სპორტსმენს – „კეტბურთელთა შორის კეტბურთელს". შესანიშნავია, ჩვენც ასე მოვიქცევით. თითოეული სნოუპსი საკუთარ, პირად მიზანს დაისახავს, რათა მთელმა მსოფლიომ აღიაროს იგი უმამაძაღლესად მამაძაღლებს შორის".

მაგრამ ჩვენ ამას არასდროს ვაკეთებთ. ვერ ვაკეთებთ. ყველაზე მეტი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ის არის, რომ ჩვეულებრივი სნოუპსი, ჩვეულებრივი მამაძაღლი ვიყოთ, უკლებლივ ყველანი ასეთები ვართ – ფლემიც, ბებერი ებიც, რომელიც, არც კი ვიცი, რად მეკუთვნის, ბიძია უესლიცა და ჩემი და კლარენსის ეგრეთ წოდებული მამილოც. შემდეგ კი დაღმავალი ხაზით: კლარენსი და მე, ასე ვთქვათ, ერთდროული ორცოლიანობის ორი ნაყოფი, ვერჯილი, უორდამენი, ბილბო, ბაირონი, აღარაფერს ვამბობ ეკზე, უოლსტრიტსა და ადმირალ დიუიზე, რადგან ისინი ჩვენები არ არიან. ყოველთვის ვეჭვობდი, რომ ეკის დედა ზეგანაკვეთურად მუშაობდა ღამღამობით მის დაბადებამდე ცხრა თვით ადრე. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ერთადერთი ნამდვილი ძუკნა ჩვენი ოჯახიდან ძუკნა კი არა, წმინდანი და წამებული აღმოჩნდა, ერთადერთი წმინდა სისხლის, ნამდვილი, ჭეშმარიტი მამაძაღლი კი ნამდვილი სნოუპსი არც კი იყო.

თავი მეხუთე

როდესაც ძმისშვილი გარეთ გავიდა, ციხის უფროსმა თქვა:

– დაჯექით, – კაცი დაჯდა, – თქვენ შესახებ გაზეთში წერია, – თქვა უფროსმა. გაზეთი მის წინ იდო მაგიდაზე:

„ციხიდან გაქცევის მცდელობა"

„გაქცეული ქალის კაბაში"

პარჩმენი, მისისიპის შტატი, 1923 წლის 8 სექტემბერი, მ. ც. „მინკ" სნოუპსი, სამუდამო პატიმრობამისჯილი იოკნაპატოფის ოლქში ჩადენილი მკვლელობისთვის...

– რა არის თქვენი მეორე სახელი? – იკითხა უფროსმა ძალიან რბილად, – აქ მ. ც. ინიციალები წერია. გვეგონა, უბრალოდ მინკი გერქვათ. ასე არ გვეუბნებოდით?

– მართალია, – მიუგო მან, – მინკ სნოუპსი.

– მეორე ინიციალი „ც" რაღას ნიშნავს? მითითებულია: „მ. ც. სნოუპსი".

– აჰ, ეს ისე, – თქვა მინკმა, – უბრალოდ, მ. ც. სნოუპსი, როგორც მაგალითად, ი. ც. რკინიგზა (ილინოისის ცენტრალური რკინიგზა) . საავადმყოფოში ახალგაზრდებმა მომაკითხეს გაზეთიდან. დაინტერესდნენ, რა გქვიაო. მინკ სნოუპსი-მეთქი, მივუგე. არა, მინკი ადამიანის კი არა, ძაღლის სახელია, ნამდვილი სახელი გვითხარითო. მეც ვუთხარი – მ. ც. სნოუპსი.

– აი, თურმე, რა ყოფილა, – თქვა უფროსმა, – მაშასადამე, მხოლოდ მინკი გქვიათ?

– დიახ, მინკ სნოუპსი და მეტი არაფერი.

– დედა რას გეძახდათ?

– არ ვიცი. იგი გარდაიცვალა. დაბადებიდან ყველა მინკით მომმართავდა, – იგი წამოდგა, – წავალ. იქ, ალბათ, მელოდებიან.

– მოიცადეთ, – უთხრა ციხის უფროსმა, – ნუთუ არ იცოდით, რომ არაფერი გამოგივიდოდათ? ნუთუ ვერ ხვდებოდით, რომ აქაურობას თავს ვერ დააღწევდით?

– დიახ, ეს ადრეც მითხრეს, – თქვა მინკმა, – გამაფრთხილეს, – იდგა გაუნძრევლად და ჩუმად ეს პატარა და დალეული კაცი, თავი ოდნავ დაეხარა, თითქოს ფიქრობდა, მშვიდი, თითქმის მოღიმარი სახე ჰქონდა, – არ უნდა მოვეტყუებინე, ამიტომაც აღმოვჩნდი ამ კაბასა და შლაპაში, – განაგრძო მან, – მე მას ასე არ მოვექცეოდი.

– ვის გულისხმობთ? – ჰკითხა ციხის უფროსმა, – იმას ხომ არა... თქვენს ძმისშვილს?

– მონტგომერი უორდს? – ჩაეკითხა, – ის ბიძაჩემის შვილიშვილია. არა, მას არა, – იგი გაჩუმდა, შემდეგ კი ჩაილაპარაკა: – აჯობებს, წავიდე...

– ხუთი წლის შემდეგ გახვიდოდით, – თქვა ციხის უფროსმა, – თუ ხვდებით, რომ ახლა შესაძლოა, ოცი წელი დაგიმატონ?

– ამის შესახებაც გამაფრთხილეს, – მიუგო მინკმა.

– კარგი, – უთხრა ციხის უფროსმა, – შეგიძლიათ, წახვიდეთ.

მაგრამ პატიმარი არ განძრეულა.

– ალბათ, ვერ გაიგეთ, ვინ გამომიგზავნა ორმოცი დოლარი, არა?

– საიდან უნდა ვიცოდე? – გაიკვირვა ციხის უფროსმა, – მაშინაც აგიხსენით. ასე წერია – მემფისელი მეგობრისგან.

– ეს ფლემია, – თქვა მინკმა.

– ვინ? – ჰკითხა ციხის უფროსმა, – ის ნათესავი ხომ არა, ვისზეც ამბობდით, არ დამეხმარა, როდესაც კაცი მოვკალიო? ისიც თქვით, რომ მოენდომებინა, გადამარჩენდაო. ახლა, თხუთმეტი წლის შემდეგ, რატომღა გამოგიგზავნიდათ ორმოც დოლარს?

– ეს ფლემია, – გაიმეორა მინკმა, – მას შეუძლია, ის მდიდარია. თანაც ფულის გამო უთანხმოება არასდროს გვქონია. სწორედ მაშინ მოიკიდა ფეხი უილ უორნერთან და, შესაძლოა, გადაწყვიტა, რომ მკვლელობის საქმეში ტყუილუბრალოდ გარევა არ ღირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მის სისხლით ნათესავს ეხებოდა. ოღონდ ჯობდა, ეს ტანსაცმელი და შლაპა არ გამოეგზავნა. არ ღირდა ასე მოქცევა.

ახლა ისინი ბამბას აგროვებდნენ. მისისიპის შტატის მებამბეობის ყოველი რაიონი ამზადებდა და ანებივრებდა თავის ყველაზე სწრაფ შემგროვებლებს, რათა არკანზასელებთან და მისურელებთან შერკინებაში წარმატებისთვის მიეღწიათ და მისისიპის დაბლობზე საუკეთესოს ტიტული მოეპოვებინათ. მაგრამ აქ მათ ძებნას არავინ დაუწყებდა. არც გამარჯვებულები ჰყავდათ. აქ მხოლოდ წარუმატებელი ადამიანები ხვდებოდნენ – ისინი, ვინც წარუმატებლად მოკლა, მოიპარა ან ითაღლითა. ახსოვდა, თავდაპირველად როგორ წყევლიდა თავის წარუმატებლობასა და უიღბლობას, – სხვაგვარად ხომ ვერ დაიჭერდნენ, – მაგრამ ახლა მიხვდა, რომ არც იღბალი არსებობდა და არც – უიღბლობა. უბრალოდ, ზოგი გამარჯვებულად იბადება, ზოგიც – წარუმატებელ ადამიანად. გამარჯვებულად რომ დაბადებულიყო, ჰიუსტონი ვერ შეძლებდა, ვერც კი გაბედავდა მის დაცინვას ძროხის გამო და არც მკვლელობამდე მიიყვანდა. ზოგიერთი ადამიანი დაბადებიდანვე წარუმატებელია, ისინი ყოველთვის ჩავარდებიან ხოლმე, ზოგსაც გაჩენის დღიდან ყველა ატყუებს, და მინკიც მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა.

შესანიშნავი მოსავალი მოვიდა – საუკეთესო მის მახსოვრობაში. თითქოს ყველაფერი ბამბის სასარგებლოდ ხდებოდა, ყველაფერი დროული იყო: ქარმა და მზემ ნათესები წამოსწია, ზაფხულის ხანგრძლივსა და სასტიკსიცხეში ბამბა გაიზარდა და დამწიფდა. თითქოს ჯერ კიდევ გაზაფხულზე თქვა მიწამ, მოდი, ერთხელ არ ვიჩხუბოთ და ყველანი ერთადვიყოთო – ჭაობიც, ნიადაგიცა და მიწაც, ყოველი მოიჯარის დაუძინებელი, მოსისხლე მტერი რომ იყო, სასტიკი და შეუბრალებელი მიწა, მისი ახალგაზრდობა, სამუშაო იარაღები, შემდეგ კი სხეულიც რომ გაცვითა. და არა მარტო მისი სხეული, არამედ ის ნაზიცა და იდუმალიც, რომელსაც გაოცებითა და სიფრთხილით,

უნდობელი აღტაცებით შეეხო ქორწინების პირველ ღამეს – ისიც გაცვდა, ისე გამაგრდა და გაძარღვიანდა, რომ ხშირად – როგორც თვითონ ეჩვენებოდა, თითქმის ყოველთვის – დაღლილ-დაქანცულს ავიწყდებოდა კიდეც, რომ გვერდით ქალი ეწვა. ეს მხოლოდ მათი ხვედრი როდი იყო. შვილებსაც იგივე დაემართებოდათ. ხედავდა, როგორ იზრდებოდა მისი ორი ქალიშვილი, იცოდა, რა ელოდა მათ ნაზ და ჯადოსნურ უმანკოებას. არც უნდა გაჰკვირვებოდა, რადგან ადამიანი ამ საძაგელ, მტრულად განწყობილ, შეურიგებელ მიწის ნაგლეჯს შესცქეროდა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე მიჯაჭვოდა და ეუბნებოდა: „ჩემზე ძლიერი ხარ და გაიმარჯვებ, სულს ამომხდი, მე კი რა ვარ – მხოლოდ ძვალი და ხორცი. კარგად უწყი, რომ ვერ მიგატოვებ, ვინაიდან სხვაგვარად თავს ვერ გავიტან. მე თვითონაც და ისიც, რასაც ჩემი ახალგაზრდობა და ვნება ერქვა, – სანამ ახალგაზრდობა არ წამართვი, ვნება კი არ გადამავიწყე, – ეს ყველაფერი წლიდან წლამდე განმეორდება ჩვენი ვნებისგან გაჩენილ ბავშვებში, შენ მათაც გათანგავ, სამარისკენ უბიძგებ. თუმცა რას გეუბნები, ეს ხომ ისედაც მშვენივრად იცი. ასეა ყველა ჩემნაირიც – უმიწო მოიჯარეები, ისინი, ვინც საკუთარი ახალგაზრდობა და იმედი ჭაობის ოცდაათ, ორმოც, ორმოცდაათ აკრში ჩაფლა, სადაც არავინ იმუშავებდა, თუ არა ჩვენ, რადგან ჩვენნაირებს შენ გარდა არაფერი გაგვაჩნია. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ გადაგწვათ, რაც გაგაჩნია, ყველაფერი გადავწვათ თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში, სანამ სახე არ გადაგეტრუსება და გაგიშავდება. აქ კი ვერაფერს გახდები. შეგიძლია, სხეული გაგვიცვითო, ოცნებები ჩაგვიკლა, მუცელი სიმინდის ფქვილით, ღორის ქონითა და ბადაგით აგვივსო, – შენს ხელში სხვა რამეს ვერ ვეღირსებით, – მაგრამ ყოველ გაზაფხულზე შეგვიძლია შენი გადაბუგვა, რაც კარგად მოგეხსენება“ .

ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო. მიწა მას არ ეკუთვნოდა, ანუ მოიჯარის წილსაც კი ვერ ღებულობდა. რასაც კი მასზე მოიწევდნენ ან არ მოიწევდნენ წვიმასა თუ გვალვაში, მოსავლიან თუ უმოსავლო წელს, იქნებოდა ეს ათი ცენტი გირვანქა ბამბაში თუ ერთი დოლარი შეკვრაში – ეს მის ახლანდელ ცხოვრებას ოდნავაც არ ცვლიდა. წლები გავიდა, მათ შორის ისიც, როდესაც ციხიდან გამოსვლა შეეძლო, ნათესავს სისულელეზე რომ არ დასთანხმებოდა. და ყველა, ის სულელი ბიჭიც კი, ადვოკატი, ძალით რომ მიუჩინეს სასამართლო პროცესზე, თუმცა თვითონ გაცილებით უკეთ წაიყვანდა საქმეს, – იმ ყბედმაც კი აუხსნა ყველაფერი, გააფრთხილა და მოსალოდნელი შედეგებიც გააცნო, – ყველა ხვდებოდა, რომ არაფერი გამოვიდოდა, აშკარად ვერ გამოვიდოდა, – ახლა ეს უკვე უკან დარჩა. უეცრად ერთი რამ გააცნობიერა. მისნაირი ადამიანები მიწას დროებითაც კი არასდროს ფლობდნენ, თუმცა მას პატრონისგან პირველ იანვარს ერთი წლით იჯარით იღებდნენ. მიწა ფლობდა მათ, და არა მარტო თესვიდან მკამდე, არამედ სამუდამოდ. მიწათმფლობელი ან მემამულე კი არ ერეკებოდა მათ ნოემბერში ერთი უვარგისი ნაკვეთიდან დიდ გზაზე, როდესაც სასოწარკვეთილნი ეძებდნენ ასეთივე უვარგის ნაკვეთს ორი ან ათი მილის, ორი ან ათი შტატის გადაღმა, რათა მარტში დათესვა მოესწროთ. თვითონ მიწა მიერეკებოდა ნაკვეთიდან ნაკვეთში მათ, გასაჭირისა და სიღარიბისთვის განწირულებს, ისე, როგორც ოჯახი ან კლანი დაარბენინებს რომელიმე შორეულ, საბოლოოდ გაკოტრებულ ნათესავს.

ეს ყველაფერი სადღაც შორს დარჩა. იგი მიწას აღარ ეკუთვნოდა, ამ არაადამიანურ პირობებშიც კი – ახლა სახელმწიფოს, მისისიპის შტატის საკუთრება იყო. შეეძლო, ყოველწლიურად აემტვერებინა ბამბის მინდვრის კვლებს შორის გამავალი ბილიკები, და თუნდაც ვერაფერი მოეწიათ, ეს მას არ ადარდებდა. აღარ უნდა ევლო პატრონის ფარდულში, რათა განუწყვეტლივ ეკამათა უხარისხო, იაფი ხორცის, ფქვილის ან ბადაგის ყოველი გრამისთვის, საყნოსავი თამბაქოს თითოეული ჭიქისთვის – ერთადერთი ფუფუნებისთვის, რომლის შეძენის უფლებასაც ის და მისი ცოლი საკუთარ თავს აძლევდნენ. არც ტომარა სასუქის გამო ეკინკლავა მასთან, შემდეგ კი მწირი მოსავალი აეღო, რადგან სასუქი დააკლდა, და კვლავ ედავა პატრონთან ამ მოსავლიდან საკუთარი მათხოვრული წილის შესახებ. ახლა მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვებოდა: შეუჩერებლივ მუშაობა: ისევე, როგორც მას, არც მის მოდარაჯე შეიარაღებულ გუშაგს ადარდებდა, გაიზრდებოდა რამე თუ არა იქ, სადაც ისინი მუშაობდნენ, ოღონდ კი არ გაჩერებულიყვნენ. თავდაპირველად მინკს რცხვენოდა და ეშინოდა კიდეც, არავის გაეგო, რომ ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, მაგრამ ერთხელ მიხვდა (თვითონაც ვერ აეხსნა, როგორ), რომ ეს არც სხვებს ადარდებდათ, რომ დროთა განმავლობაში პარჩმენს ადამიანები ამ მდგომარეობამდე მიჰყავდა. ფიქრობდა, უკვირდა და გაოცებას ვერ მალავდა: „დიახ, სერ, ადამიანი ყველაფერს მიეჩვევა, პარჩმენის ციხესაც კი, ოღონდ დრო გავიდეს".

მაგრამ პარჩმენში ადამიანი მხოლოდ იმას აღიქვამდა სხვაგვარად, რასაც დაპატიმრების შემდეგ ხედავდა. პარჩმენი გავლენას ვერ ახდენდა იმაზე, რასაც აქ პატიმარი შემოიტანდა. ეგ არის, რომ გახსენება უადვილდებოდათ, რადგან პარჩმენი მათ ლოდინს ასწავლიდა. ახსენდებოდაის დღე, როდესაც მოსამართლემ განაცხადა: „სამუდამო პატიმრობა", მას კი კიდევ სჯეროდა, რომ ფლემი მივიდოდა და დაიხსნიდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ფლემი არ მოვიდოდა, რომ იგი არც აპირებდა მოსვლას. გაახსენდა, როგორ თქვა, თითქმის იყვირა: „გამიშვით ცოტა ხნით, რათა ფრენჩმენსბენდში ან სხვა ადგილას მოვხვდე, სადაც ის შეიძლება იყოს, მხოლოდ ათი წუთით, შემდეგ კი დავბრუნდები და თუ გინდათ, ჩამომახრჩვეთ კიდეც". სამი, ხუთი თუ რვა წლის წინათ, როდესაც ფლემმა ის ძმისშვილი მოუგზავნა – რა ერქვა? – დიახ, მონტგომერი უორდი, რომელმაც გაქცევაზე დაიყოლია ქალის კაბითა და შლაპით, რისთვისაც კიდევ ოცი წელი დაუმატეს, ზუსტად ისე, როგორც იმ სულელმა ბიჭმა, ადვოკატმა უწინასწარმეტყველა, მაშინაც კი იმავეს ყვიროდა, როცა ხუთი ზედამხედველისგან თავს იცავდა: „მხოლოდ ათი წუთით გამიშვით ჯეფერსონში. ჩემით დავბრუნდები, შემდეგ კი თუგინდ ჩამომახრჩვეთ!"

ახლა ამის შესახებ აღარ ფიქრობდა, რადგან ცხოვრება ისწავლა. მიხვდა, რომ ლოდინის დროს ყველაფერს ყურს უგდებდა, ბევრი რამ ესმოდა. და ამ მოსმენა-მოსმენაში იმაზე გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ჯეფერსონში ყოფნისას ეცოდინებოდა, რადგან აქ ყველაფრისთვის მხოლოდ თვალი უნდა მიედევნებინა, შესაწუხებელი კი არაფერი ჰქონდა. შეიტყო, რომ ცოლი თავის ნათესავებთან გამგზავრებულიყო და სულიც იქვე მიებარებინა უფლისთვის, ქალიშვილებიც გაზრდილიყვნენ და გამგზავრებულიყვნენ – შესაძლოა, ფრენჩმენსბენდში ვინმემ იცოდა კიდეც მათი ასავალ-დასავალი. ფლემი გამდიდრდა, ბანკის პრეზიდენტი გახდა, მის მიერვე აშენებულ სახლში დაედო ბინა. ამბობდნენ, იმხელაა, მემფისის რკინიგზის სადგურის შენობას

აღემატებაო. მასთან ერთად ქალიშვილიც ცხოვრობდა – ბებერი უილ უორნერის განსვენებული შვილის ნაბიჭვარი, რომელიც გაიზარდა, სახლიდან წავიდა, გათხოვდა, ქმართან ერთად ომშიც მონაწილეობდა სადღაც, ესპანეთში, სადაც ყუმბარამ თუ ჭურვმა მეუღლე მოუკლა, თვითონ კი ლამის დააყრუა. ახლა დაბრუნებულიყო და ქვრივის შესაფერისად ცხოვრობდა ფლემთან ერთად იმ უზარმაზარ სახლში. როგორც ამბობდნენ, ჭექა-ქუხილის ხმაც კი არ ესმოდა, მაგრამ ჯეფერსონის მოსახლეობას იგი არცთუ ძალიან ებრალებოდა, ვინაიდან შავკანიანთა რომელიღაც საკვირაო სკოლასთან დაეჭირა საქმე. ზოგი იმასაც აცხადებდა, რომ ვიღაც „კომონისტებს" დაუკავშირდა, ქმარიც ასეთი ჰყავდა, თითქოს ომში სწორედ ამ „კომონისტების" მხარეს იბრძოდნენ.

ფლემი, ალბათ, ასაკში შევიდა. ორივენი ასაკში შევიდნენ. როდესაც ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს აქედან გავიდოდა, ის და ფლემი ბებრები იქნებოდნენ. იქნებ ფლემს იქამდე არც ეცოცხლა, და მაშინ, ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს, აქედან გასვლა აღარაფერში დასჭირდებოდა. შესაძლოა, თვითონაც ვერ მიეღწია იმ დრომდე და ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს ციხიდან ვერ გასულიყო. ახსენდებოდა, როგორ აცოფებდა ეს აზრი პირველ ხანებში: ვაითუ ფლემი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდეს ან ვინმე გამოჩნდეს, მასზე იღბლიანი, ისეთი, ბედი წარუმატებლობისთვის რომ არასდროს გაწირავს, ისეთი, ვისაც ვერ დაიჭერენო. ეგონა, რომ ამას ვერ გადაიტანდა: იგი ხომ მხოლოდ იღბლიანებისა და გამარჯვებულებისთვის არ ითხოვდა სამართლიანობას, წარმატების მიღწევის იმედი და უფლება ყოველ ადამიანს უნდა ჰქონოდა... მაგრამ ესეც წარსულს ჩაჰბარდა, ესეც გაქრა, მონოტონურ მოლოდინში გაუჩინარდა. 1948 წელს ფლემიცა და თვითონაც უკვე მოხუცები იქნებოდნენ, ბურტყუნებდა კიდეც ხმამაღლა: „სამწუხაროა, რომ არ შეიძლება, ჩვენ, მოხუცები, ერთად გავიდეთ, მშვიდად დავსხდეთ მზეზე ან ჩრდილში და დაველოდოთ, როდის წაგვიყვანს სიკვდილი, არც ტკივილზე ვიფიქროთ და არც წყენაზე, რომ ტკივილიც დავივიწყოთ, წყენაცა და შურისძიებაც". ორი მოხუცი, რომელთაც არათუ აღარ შეეძლებათ სხვებისთვის ზიანისა და ტკივილის მიყენება, არამედ არც ემახსოვრებათ ზიანი და ტკივილი, აღარც ფულს ექნება ფლემისთვის რამე მნიშვნელობა. ნუთუ შეიძლებოდა იმ ორმოცი წლის წაშლა, გადახაზვა, გაქრობა, მინკს რომ აღარაფერში სჭირდებოდა და მალე გულიც კი აღარ დასწყდებოდა. „არა, როგორც ჩანს, ახლა ვეღარაფერს გავაწყობთ, – გაიფიქრა მან, – ახლა აღარც ერთს აღარ შეგვიძლია უკან რამის დაბრუნება".

შემდეგ კვლავ დარჩა ხუთი წელი, რომელიც მას თავისუფლებას აშორებდა. ამჯერად მტკიცედ ახსოვდა ოცდათხუთმეტი წლის წინათ მოსულელო ადვოკატის მიერ ახსნილი გაკვეთილი. ისინი თერთმეტნი იყვნენ. ერთად მუშაობდნენ, ჭამდნენ და ეძინათ – ბორკილდადებულთა ეს გუნდი ფიცრების, ტილოსა და მავთულებისგან შეკრულ ცალკე ბარაკში ცხოვრობდა (ზაფხული იდგა). გადაჯაჭვულნი ჯერ სასადილოში მიემართებოდნენ, იქიდან – მინდორში სამუშაოდ, ბოლოს კი დასაძინებლად ბარაკში ბრუნდებოდნენ. როდესაც გაქცევა ჩაიფიქრეს, იგი ათივეს შეთქმულებაში უნდა ჩაეთრია, რათა შემთხვევით არ გაეცა. არ უნდოდათ ამის გაკეთება: ორი მათგანი წინააღმდეგაც კი წავიდა, რადგან აქედან თავის დაღწევის თვრამეტი თუ ოცი წლის წინანდელი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ

ყველამ იცოდა, რომ იგი გაქცევისგან თავშეკავების მხურვალე მქადაგებელი გახდა.

როდესაც ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი გაუმხილეს, ვინაიდან მათი საიდუმლო უნდა სცოდნოდა, რათა, მიუხედავად იმისა, უნდოდა გაქცევა თუ არა, ისინი მისდა უნებურად არ გაეცა, მან თქვა, წამოიძახა: „არა! შეჩერდით! მოიცადეთ! ნუთუ არ გესმით – ერთმა თქვენგანმაც რომ მოისურვოს გაქცევა, ყველას დაგვადანაშაულებენ, შეგვიპყრობენ და მაშინ ვეღარავინ გავააქედან, თუნდაც თავისი ორმოცი წელი მოიხადოს". თქვა და მყისვე მიხვდა, რომ ზედმეტი წამოსცდა. როდესაც გულში გაივლო: „ახლა ამ გუნდისგან უნდა გავთავისუფლდე, მათგან უნდა წავიდეო", არ უფიქრია: „თუ მათთან ერთად სიბნელეში აღმოვჩნდები მარტო, გუშაგების გარეშე, წირვას გამომიყვანენო", არამედ მხოლოდ გაიფიქრა: „დროულად უნდა ვნახო ციხის უფროსი, სანამ არ გაქცეულან, თორემ შესაძლოა, ამაღამვე დაგვღუპონ ყველანიო".

მაგრამ უნდა დალოდებოდა იმ სიბნელეს, რომლისაც ასე ეშინოდა; უნდა დალოდებოდა შუქის ჩაქრობას, რათა თავი მოემძინარებინა; უნდა დალოდებოდა, როდის დაესხმებოდნენ თავს მკვლელები, რადგან მხოლოდ არეულობის დროს, რომელიც მასზე თავდასხმის შემდეგ დაიწყებოდა, შეეძლო გუშაგის ყურადღების მიქცევა, გაფრთხილება და დარწმუნება. ეს კი ნიშნავდა, რომ ეშმაკობისთვის ეშმაკობითვე უნდა ეპასუხა: საწოლზე გაირინდა, სანამ დანარჩენებს თავი მოეკატუნებინათ და ხვრინავდნენ, რათა მას არაფერი ეეჭვა, დაძაბული, სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს, რათა დროულად გაერჩია ამ ხვრინვაში დანის (ან ჯოხის, ან სხვა საგნის) მოქნევის მაუწყებელი ხმა და გადაბრუნება და საწოლიდან ჩამოვარდნა მოესწრო, შემდეგ კი კიდევ ერთი გადაკოტრიალებით საწოლქვეშ შეეღწია, ვიდრე ისინი – ვერ გაერჩია, რამდენი იყვნენ, რადგან ხმამაღალი მოჩვენებითი ხვრინვა კიდევ უფრო გაძლიერდა, – ვიდრე ისინი იმ სიცარიელეს არ შეიგრძნობდნენ, სადაც წამის უკან თვითონ იწვა.

– დაიჭირე! – ქოშინით წაისისინა ვიღაცამ, – დანა ვის აქვს?

– მე მაქვს, – თქვა სხვა ხმამ, – სად არის ის არამზადა? – ის კი, არც გაჩერებულა: კიდევ ერთი თავგანწირული მოძრაობა და იგი საწოლის ქვეშიდან გამოძვრა, ოთხზე დამდგარი იქ თავშეყრილთა ფეხებს შორის გაბობღდა და იქაურობას, შეძლებისდაგვარად, გაშორდა. ბარაკი ყრუდ გუგუნებდა.

– შუქი მინდა, – ბურტყუნებდა ვიღაც, – ერთი წუთით!

უეცრად იგი ცარიელ ადგილას აღმოჩნდა, სადაც ხელს არავინ უშლიდა, და წამოხტა. მაშინვე უსიტყვოდ აკივლდა და აღრიალდა – მხოლოდ ყვირილი ისმოდა, ადამიანის მკვეთრი ხმა, რომელსაც მაშინვე ვიღაცის აღელვებული ჩურჩული მოჰყვა:

– აგერ არის, დაიჭირე...

მაგრამ ის არ დაელოდა და გაიქცა, ერთი უხილავი სხეულიდან მეორისკენ ბილიარდის ბურთივით მიხტოდა, თან შეუჩერებლივ ყვიროდა და

ღრიალებდა. მაშინაც არ შეჩერებულა, როდესაც მიხვდა, რომ ტილოს კედლები პროჟექტორებს გაენათებინა, ჰაერში სირენის ხმა ისმოდა, თვითონ კი გამხეცებული, უტყვი ხალხი შემორტყმოდა გარს, რომლებიც თევზებივით ხან გამოხტებოდნენ, ხან ქრებოდნენ აქეთ-იქით მოძრავ სუსტ შუქზე, რომელიც დაბალი ფიცრული ტიხრის თავზე დამაგრებულ მავთულის ბადეში აღწევდა. დაინახა კიდეც, როგორ იელვა ჩასარტყმელად მოქნეულმა დანამ და მაშინვე შეგროვილი ხალხის შუაგულში შევარდა, ერთმანეთში არეულ-დარეულ ფეხებში, საწოლის, ნებისმიერი საწოლის ქვეშ უნდა შემალულიყო, რათა დანას გაჰქცეოდა. მაგრამ დააგვიანდა, რადგან თავდამსხმელებმა თვალი მოჰკრეს. შეერია მათ. თუმცა მომხდურებმაც დააგვიანეს - პროჟექტორების მბურღავი შუქი და სირენის ღმუილი მოღრიალე ხალხით სავსე პატარა, დანჯღრეულ ოთახზე მიემართათ. დაცვაც შემოვარდა. მცველები მათ თავში პისტოლეტის ტარსა და შაშხანის კონდახს ურტყამდნენ, მინკისგან მათ მოშორებას ცდილობდნენ. ბოლოს ისიც გამოჩნდა - ნაცემი, გასისხლიანებული, მაგრამ გონზე მყოფი. იმდენი მოახერხა, რომ იატაკზე მის მისალურსმნად მოქნეული დანაც კი აიცილა, რომელიც მისი ყელის გვერდით ჩაერჭო ფიცარში.

- კინაღამ მომკლეს, - უთხრა მინკმა მცველს, - მაგრამ თქვენ იყოჩაღეთ.

იყოჩაღეს, მაგრამ არცთუ ძალიან. იგი კვლავ საავადმყოფოში მოხვდა და მხოლოდ შემდეგ შეიტყო, რომ სტილველს, თავგადაკლულ აზარტულ მოთამაშესა და კიდევ ერთ პატიმარს - ორივენი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მინკისთვის არაფერი გაემხილათ და, უბრალოდ, მოეკლათ - მეორე ღამითვე უცდიათ გაქცევა. სტილველი გაქცეულა, მეორისთვის კი გუშაგის მიერ ნასროლ ტყვიას ნახევარი თავი წაუცლია.

კვლავ ციხის უფროსის კაბინეტში აღმოჩნდა. ამჯერად ცოტა სახვევი ჰქონდა, არც ნაკერი დაედოთ, რადგან ცოტა ხანს ურტყამდნენ და თუ სტილველის დანას არ ჩავთვლით, ხელ-ფეხის გარდა სხვა იარაღი არ გამოუყენებიათ.

- დანა სტილველს ეჭირა, არა? - ჰკითხა ციხის უფროსმა.

ვერაფრით აეხსნა, რატომ დამალა ეს.

- არ ვიცი, ვის ეჭირა, - მიუგო მან, - ყველაფერი ძალზე სწრაფად დამთავრდა.

- მგონი, სტილველიც ასე ფიქრობს, - თქვა ციხის უფროსმა, მაგიდიდან გახსნილი კონვერტი აიღო და იქიდან ორად გაკეცილი ხაზებიანი, იაფფასიანი ფურცელი ამოიღო, - დღეს დილით მივიღეთ, თუმცა ხელნაწერს ვერ კითხულობთ, არა?

- ვერა, - დაეთანხმა.

უფროსმა ქაღალდი გაშალა.

- გუშინ გამოუგზავნია ტექსარკანიდან. წერია: „ადრე თუ გვიან, იგი პასუხს აგებს ჯეიკ ბარონის გამო (ასე ერქვა გუშაგის მიერ მოკლულ მეორე პატიმარს), ასე რომ, გაფრთხილდით. დროის დაკარგვა არ ღირს,

ზოგიერთი ჩვენიანი კვლავაც გისოსებს მიღმა ზის", – ციხის უფროსმა წერილი კონვერტში დააბრუნა, ყუთში ჩადო და გასაღებით დაკეტა, – ხომ ხედავთ. აქ თქვენი თავისუფლად სიარული სახიფათოა, ნებისმიერ მათგანს შეუძლია, ბოლო მოგიღოთ. აქ კიდევ ხუთი წელი უნდა იჯდეთ. მართალია, ყველა მათგანის დაკავებაში ვერ მოგვეხმარეთ, მაგრამ, ჩემი თხოვნით, გუბერნატორი თუნდაც ხვალვე გაგათავისუფლებდათ ამნისტიის საფუძველზე. ოღონდ ამას ვერ გავაკეთებ, რადგან სტილველი მოგკლავთ.

– მაშასადამე, კაპიტან ჯეგოს (ზედამხედველი, რომელმაც გასროლა განახორციელა) სტილველი რომ მოეკლა, ხვალ შინ წასვლას შევძლებდი? – იკითხა მინკმა, – ხომ არ შეიძლება წერილის მიხედვით სტილველის ადგილსამყოფლის დადგენა, რათა იქ კაპიტანი ჯეგო გავგზავნოთ?

– გინდათ, რომ იმ კაცმა მოკლას სტილველი, რომელმაც მას თქვენი მოკვლის შესაძლებლობა არ მისცა?

– თუ ასეა, სხვა გაგზავნეთ, თორემ უსამართლობა გამოდის: ის წავიდა, მე კი აქ კიდევ ხუთი წელი უნდა ვიჯდე, – შემდეგ მოულოდნელად დაამატა: – კარგი, რა გაეწყობა. ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ჩვენ შორისაც გაჩნდა ერთი გამარჯვებული.

– გამარჯვებული? – იკითხა ციხის უფროსმა, – როგორ თქვით?

მინკმა არაფერი უპასუხა. და პირველად შეუდგა დღეებისა და თვეების დათვლას. ადრე ეს არასდროს გაუკეთებია, არც მაშინ, ჯეფერსონში მისჯილი პირველი ოცი წლის განმავლობაში, და არც მაშინ, როდესაც მონტგომერი უორდს დაუჯერა და დედაბრის ტომარასავით კაბა და შლაპა მოირგო. მის გარდა ხომ არავინ იყო დამნაშავე, და როცა ამასთან უნებურად ფლემი ახსენდებოდა, თითქოს უხალისოდ, მაგრამ ამაყობდა მისით, გაოცებას ვერ მალავდა, რომ მათ ძარღვებში ერთი სისხლი ჩქეფდა. იგი ფიქრობდა, ხმამაღლაც ლაპარაკობდა ყოველგვარი შურის გარეშე: „დიახ, ეს ფლემ სნოუპსია. არათუ მისისიპის შტატში, მთელ ქვეყანაში არ მოიძებნება ფლემ სნოუპსის მძლეველი".

მაგრამ მაშინ სხვა ვითარება იყო – თვითონ სცადა გაქცევა, თუმცა წარუმატებლად, და უდრტვინველად მიიღო პატიმრობის დამატებითი ოცი წელი. მათგან თხუთმეტი ისე მოიხადა, გაქცევა აღარ უცდია, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეშიც კი ჩააგდო, რათა ათი ტუსაღის გეგმა ჩაეშალა: ამისათვის, ჯილდოს სახით, მეორე დღესვე გაათავისუფლებდნენ, რომ არა ერთ-ერთი ზედამხედველი, საუკეთესო მსროლელი, რომელმაც ერთ-ერთ პატიმარს ტყვია ააცილა. ახლა კი ბოლო ხუთი წელი სხვის გამო უნდა მჯდარიყო. კეთილსინდისიერად ცდილობდა მისთვის მისჯილი ორმოცი წლის მოხდას და რა მისი ბრალი იყო, თუ ეს ვადა ოცდათხუთმეტად გადაიქცა და დარჩენილი ხუთი წელი, ბოროტი და მზაკვრული ბედისწერის წყალობით, კვლავ აქ უნდა გაეტარებინა.

იმ შობიდან მოყოლებული (პირველად) ვიღაცამ მის მაგივრად დაიწყო პატიმრობის ზოზინით მიმავალი ხუთი წლის ათვლა. მისალოცი ბარათიც მოვიდა მექსიკის შტემპელით ციხის უფროსის სახელზე, მისთვის გადასაცემად. უფროსმა ბარათი ხმამაღლა წაიკითხა – ორივემ იცოდა მისი

გამომგზავნის ვინაობა. „ოთხი წელი დარჩა. ეს არც ისე ბევრია, როგორც გგონია". ვალენტინობის დღეს თვითნაკეთი ბარათი მოვიდა: უხეშ, ხაზებიან ფურცელზე წითელი ფანქრით, დურგლები და ხის მჭრელები რომ იყენებენ, გული და მასზე დამიზნებული პისტოლეტი ეხატა.

– ხომ ხედავთ? – თქვა ციხის უფროსმა, – თქვენი ხუთი წელი გასულიც რომ იყოს...

– ხუთი კი არა, ოთხი წელი, ექვსი თვე და ცხრამეტი დღე დამრჩა, – გააწყვეტინა მინკმა, – როგორ ფიქრობთ, მაშინაც საშიში იქნება ჩემი გაშვება?

– გინდათ, რომ შინ მისვლამდე მოგკლან?

– ხალხი გაგზავნეთ, რათა დაიჭირონ.

– სად გავგზავნო? – იკითხა ციხის უფროსმა, – გარეთ რომ იყოთ, დაბრუნება არ გინდოდეთ და იცოდეთ, რომ თქვენი დაბრუნება მსურს, სად უნდა მომეძებნეთ, სად უნდა გამომეგზავნა ხალხი?

– დიახ, – თქვა მინკმა, – რა გაეწყობა, თავს ზემოთ ძალა არაა.

– არა, არის, – განაცხადა უფროსმა, – უნდა დაველოდოთ, იგი აუცილებლად რამეს ჩაიდენს და პოლიცია მას დააკავებს. აქ თუ არა, სხვა ადგილას.

– ლოდინი, – ჩაილაპარაკა მინკმა, – და თუ ადამიანს დალოდება არ შეუძლია?

– თქვენ ხომ კიდევ გაქვთ ოთხი წელი, ექვსი თვე და ცხრამეტი დღე, ასე რომ, ნუ იდარდებთ.

– დიახ, – თქვა მინკმა, – მას კიდევ აქვს დრო დანაშაულის ჩასადენად.

მორიგი შობაც დადგა, კვლავ მოვიდა ბარათი მექსიკის შტემპელით: „სამი წელი დარჩა, არც ისე ბევრი, როგორც გგონია".

პატარა, დალეულ, პატიმრის ზოლიან სამოსში გამოწყობილ მინკს თავი ოდნავ ჩაექინდრა და მშვიდი სახით იდგა ციხის უფროსის წინაშე.

– როგორც ჩანს, კვლავ მექსიკიდანაა, – თქვა მან, – იქნებ იქ მოკლას მან ის.

– რა? – ჩაეკითხა უფროსი, – რა თქვით?

მინკმა არაფერი უპასუხა. ფიქრებში წასული, მშვიდად და აუღელვებლად გამოიყურებოდა. შემდეგ კი თქვა:

– სანამ მე და ზაკ ჰიუსტონი ძროხის გამო წავიჩხუბებდით, უფრო ადრეც კი, როდესაც პატარა ვიყავი, კვირაობით ეკლესიაში დავდიოდი, ოთხშაბათობით კი – ლოცვის აღსავლენ შეკრებებზე, ჩემს აღმზრდელქალთან ერთად.

– ვინ იყო ეს ხალხი? – ჰკითხა ციხის უფროსმა, – როგორღაც თქვით, რომ დედა მოგიკვდათ, არა?

– ის კაცი ნამდვილი ძაღლისშვილი იყო. ქალი კი, მხოლოდ და მხოლოდ, მისი ცოლი... კვირაობით, სანამ...

– კაციც სნოუპსის გვარს ატარებდა? – ჰკითხა ციხის უფროსმა.

– ის მამაჩემი იყო... სანამ არ წამოვიზარდე და ღმერთს არ დავცილდი. ხდება ხოლმე, ფიქრობ – უკვე გავიზარდე, არავისგან არაფერი მინდა. შემდეგ თქვენ ბრძანეთ, რომ, ვინაიდან ათიდან ცხრა კაცს გაქცევაში ხელი შევუშალე, ხუთ წელს ჩამომაჭრიდნენ. მაგრამ ისე გამოდის, რომ ჩემს გაშვებას საერთოდ არ აპირებთ. და ამ დროს კვლავ ვაღიარე იგი.

– როგორ აღიარეთ? – ჰკითხა უფროსმა, – ვინ აღიარეთ?

– ღმერთი ვაღიარე.

– იმის თქმა გსურთ, რომ ეკლესიის წიაღს იმ ღამით დაუბრუნდით, ორი წლის წინათ? ეს ხომ ტყუილია. აქ მოხვედრის შემდეგ, ათას ცხრაას რვა წლიდან, ეკლესიაში ფეხი ერთხელაც არ შეგიდგამთ.

მართლა ასე იყო, თუმცა ეს არც წინა უფროსს აოცებდა და არც – მის შემცვლელს. ისინი უფრო იმას ვარაუდობდნენ, რომ იგი რომელიმე მცირერიცხოვან, მეამბოხე, ყველასთან და ყველაფერთან შეურიგებელ სექტას მიეკედლებოდა, – ეს სექტები ციხის ოფიციალურ საეკლესიო ორგანიზაციებთან ერთად სამხრეთის თითქმის ყველა პროვინციულ საპატიმროში არსებობდა, – რომელიმე პატარა, ფანატიკურ სექტას (ამ ციხეში მას „იეღოვას მოწმეებს“ უწოდებდნენ), რომლის თვითმარქვია ხელმძღვანელები ასეთ ადგილებში საოცრად მსგავსი სქემის მიხედვით ხვდებოდნენ: ყველანი საშუალო ფენისთვის, რესპექტაბელური ადამიანებისთვის დამახასიათებელი დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს, რაც ოჯახურ ცხოვრებას, ყოველ შემთხვევაში, ქალებს უკავშირდებოდა: ორცოლიანობას, ქალის, საკუთარი ან სხვისი ცოლის გამო სექტის თანხის მითვისებას. ძალზე იშვიათად თუ ჩავარდებოდა რომელიმე მათგანი, ისიც წყალწაღებული, პროფესიონალი მეძავის გამოისობით.

– ეკლესია არ მჭირდება, – თქვა მინკმა, – ამას მალულად, მხოლოდ საკუთარ თავთან ვაკეთებ.

– მალულად? – ჰკითხა ციხის უფროსმა.

– დიახ, – მიუგო რაღაცით გაღიზიანებულმა მინკმა, – ღმერთისთვის წერილების მიწერა საჭირო არაა. ის ისედაც ყველაფერს ხედავს და სულ არ სჭირდება თქვენი დაწერილის წაკითხვა. ცხადია, წლების გასვლასთან ერთად გარეთ მყოფიც იწყებს აზროვნებას. აქ კი ეს გაცილებით სწრაფად ხდება. ვინაიდან არსებობს უზენაესი მოსამართლე, რომელსაც ძალა ეყოფა შენს გადასარჩენად, იგი გეხმარება კიდეც, შენ კი მხოლოდ რწმენა და დახმარების მიღება გევალება, და სულელი იქნები, თუ არ მიიღებ.

– მაშასადამე, ის მოგაცილებთ სტილველს? – დაინტერესდა ციხის უფროსი.

– რასაკვირველია! განა მის წინაშე რამე შემიცოდავს?

– არა კაც ჰკლა! – თქვა ციხის უფროსმა.

– რატომ ჰიუსტონს არ უთხრა მან ეს? ჰიუსტონს რომ არ ვეიძულებინე, განა გავემგზავრებოდი ჯეფერსონში ტყვიების საშოვნელად, განა გავათევდი ღამეს რკინიგზის სადგურის ძელსკამზე?

– ჯანდაბა! – შესძახა ციხის უფროსმა, – რა ჯანდაბაა, დალახვროს ეშმაკმა! შენ სამი წლის შემდეგ გაგიშვებენ, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, ახლავე, დღესვე გაგათავისუფლებდი, რათა უეცრად თავში არ დაგარტყას და ალმაცერად არ შემომხედო. სულაც არ მინდა, მთელი ცხოვრება წარმოვიდგენდე, რომ ჩემზეც ისევე ფიქრობენ, როგორც შენ ფიქრობ მათზე, ვინც ხელს გიშლის; რომ იმას მისურვებენ, რასაც შენ უსურვებ მათ... კარგი, წადი და იმუშავე.

მაგრამ როდესაც ოქტომბერი დადგა, – თვე, რომელიც, როგორც იცოდა, დღესასწაულებს არ შეიცავდა და არც ვალენტინობის თუ შობის მოსალოც საეჭვო ბარათს გამოუგზავნიდა ვინმე, – და ციხის უფროსმა თავისთან დაიბარა, მინკი არც კი გაოცებულა. უფროსი ცოტა ხანს უსიტყვოდ მიაჩერდა მას, – არა იმდენად დაბნეულად, რამდენადაც პატივისცემითაც კი, – შემდეგ კი ალაპარაკდა:

– დალახვროს ეშმაკმა, – მის წინ დეპეშა იდო, – კალიფორნიის შტატის სან-დიეგოს პოლიციის უფროსმა გამომიგზავნა. იქ, მექსიკელთა კვარტალში, ეკლესია იდგა. დიდი ხნის წინათ მიეტოვებინათ, რადგან, თუ არ ვცდები, ახალი აეშენებინათ. ერთი სიტყვით, იქ ღვთისმსახურება არ იმართებოდა, პოლიციისთვის კი უცნობია, თუ ვინმე რამეს საქმიანობდა. გასულ კვირას ეკლესია ჩამოინგრა. მიზეზი არავინ იცის – უეცრად ჩამოინგრა და მორჩა. იქ ადამიანს მიაგნეს, უფრო სწორად იმას, რაც მისგან დარჩა. აი, რას მწერენ დეპეშაში: „ფბI-მ თითების ანაბეჭდის მიხედვით დაადგინა, რომ ეს თქვენი პატიმარი #08213 შაფორდ ჰ. სტილველია“, – უფროსმა დეპეშა კონვერტში ჩადო, კონვერტი კი ყუთში მოათავსა, – მითხარით, რომელ ეკლესიაში დადიოდით, სანამ ჰიუსტონმა არ გაიძულათ, რომ იგი მოგეკლათ.

მაგრამ, პასუხის ნაცვლად, მინკმა მხოლოდ ღრმად ამოისუნთქა.

– ახლა კი გამიშვებენ, – თქვა მან, – ახლა თავისუფალი ვარ.

– ეს უცებ არ მოხდება, – უთხრა ციხის უფროსმა, – ერთი-ორი თვე დასჭირდება. ჯერ თხოვნა უნდა დავწეროთ და გუბერნატორს გავუგზავნოთ. იგი რეკომენდაციას მოითხოვს, შემდეგ კი შეწყალებას მოაწერს ხელს.

– თხოვნა? – იკითხა მინკმა.

– თქვენ აქ კანონიერად მოხვდით, – აუხსნა უფროსმა, – და აქაურობა კანონის შესაბამისად უნდა დატოვოთ.

– თხოვნა? – გაიმეორა მინკმა.

– თქვენმა ნათესავებმა იურისტს გუბერნატორის სახელზე შეწყალების შესახებ თხოვნა უნდა შეადგენინონ. ცოლმა... თუმცა ის გარდაცვლილია. მაშინ რომელიმე ქალიშვილმა.

– ისინი, ალბათ, გათხოვდნენ და გაემგზავრნენ.

– დიახ, – თქვა ციხის უფროსმა და დაამატა: – დალახვროს ეშმაკმა, თქვენ, ფაქტობრივად, თავისუფალი ხართ. ხომ გყავთ ჯექსონში, საკანონმდებლო ორგანოში, ბიძაშვილი, ეგლსტოუნ სნოუპსი, ორი წლის წინათ კონგრესში რომ ვერ გავიდა?

გაუნძრევლად, ოდნავ თავდახრილი იდგა.

– როგორც ჩანს, აქ დავრჩები.

როგორ ეთქვა უცხო ადამიანისთვის: „კლარენსი, ჩემი უფროსი ძმის შვილიშვილი, პოლიტიკოსია, მას ხმები სჭირდება. მე კი აქედან გასვლის შემდეგ ხმის მიცემის უფლება არ მექნება. რით დავიყოლიო კლარენს სნოუპსი თხოვნაზე ხელის მოსაწერად?" მაშასადამე, მხოლოდ უოლსტრიტი რჩებოდა, ეკის ვაჟი, ის კი სხვებს ყურს არასდროს უგდებდა ხოლმე.

– როგორც ჩანს, დარჩენილ სამ წელსაც თქვენთან გავატარებ, – თქვა მინკმა.

– თქვენს შერიფს მისწერეთ, – თქვა ციხის უფროსმა, – მე დაგიწერთ.

– ჰებ ჰემპტონი, ის, მე რომ დამაპატიმრა, უკვე გარდაიცვალა.

– სხვა ხომ იქნება მის ნაცვლად? რა გემართებათ? იქნებ ამ ორმოცი წლის განმავლობაში მზის და ჰაერის შიშიც დაგჩემდათ?

– ამ ზაფხულს ოცდათვრამეტი წელი გახდება, – თქვა მინკმა.

– კარგი, ოცდათვრამეტი იყოს. რამდენი წლის ხართ?

– ათას რვაას ოთხმოცდასამში დავიბადე.

– მაშასადამე, აქ ოცდახუთი წლის ასაკიდან ზიხართ?

– არ ვიცი, არ დამითვლია.

– კარგი, კარგი, – უთხრა ციხის უფროსმა, – წადით. როდესაც მოისურვებთ, მითხარით და თქვენი შერიფისთვის წერილს დაგიწერთ.

– ვფიქრობ, აქ დავრჩები, – ჩაილაპარაკა მინკმა, მაგრამ შეცდა. ხუთი თვის შემდეგ თხოვნა უკვე ციხის უფროსის მაგიდაზე იდო.

– ვინ არის ეს ლინდა სნოუპს კოლი? – ჰკითხა მან.

დიდხანს იდგა გაუნძრევლად.

– მამამისი მდიდარი ბანკირია ჯეფერსონში. მისი და ჩემი ბაბუის შვილები თითო წლის მიყოლებით გაჩნდნენ.

– მან, როგორც თქვენი ოჯახის წევრმა, ხელი მოაწერა გუბერნატორის სახელზე შედგენილ თხოვნას თქვენი გათავისუფლების შესახებ.

– გამოდის, რომ შერიფმა დაიბარა და ხელის მოწერა აიძულა?

– რას ამბობთ? თქვენ ხომ შერიფისთვის არ მიგიწერიათ.

– მართალია, – თქვა მინკმა და ქაღალდს დააცქერდა, თუმცა მისი წაკითხვა არ შეეძლო. ფურცელი მის წინ უკუღმა იდო, მაგრამ არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა, – მიმითითეთ, სად მოაწერეს ხელი მათ, ვისაც არ უნდა, რომ აქედან გავიდე.

– რა? – ჰკითხა ციხის უფროსმა.

– ვისაც არ უნდა, რომ გამათავისუფლონ.

– აჰ, ჰიუსტონების ოჯახს გულისხმობთ? არა, თხოვნაზე მხოლოდ საოლქო პროკურორის, აქ რომ გამოგგზავნათ, თქვენი შერიფის, ჰებ ჰემპტონ უმცროსისა და ვ.კ. რეტლიფის ხელმოწერებია. ეს უკანასკნელი ჰიუსტონების ნათესავი ხომ არაა?

– არა, – მიუგო მინკმა და კვლავ ღრმად, ნელა შეისუნთქა, – მაშასადამე, თავისუფალი ვარ.

– კიდევ ერთი რამ, – უთხრა ციხის უფროსმა, – ბედი ორმაგად გწყალობთ.

მაგრამ ეს მხოლოდ მეორე დღეს აუხსნა, მას შემდეგ, რაც ფეხსაცმელი, პერანგი, კომბინეზონი, ხალათი და შლაპა მისცა, ყველაფერი ახალი, არც ათდოლარიანი და კიდევ სამი დოლარი და ოთხმოცდახუთი ცენტი დავიწყებია, თვრამეტი წლის წინათ ფლემის მიერ გამოგზავნილი ორმოცი დოლარიდან რომ დარჩენოდა:

– ჩვენთან შერიფის თანაშემწე მოვიდა, პატიმარი მოიყვანა გრინვილიდან. დღეს უკან მიემგზავრება. ერთ დოლარად არკანზასის ხიდამდე მიგიყვანთ. მგონი, იქით მიდიხართ, არა?

– დიდი მადლობა, – მიუგო მინკმა, – ჯერ მემფისში შევივლი, იქ საქმე მაქვს.

პისტოლეტი თუნდაც მემფისის რომელიმე ლომბარდში რომ შეეძინა, ცამეტი დოლარი და ოთხმოცდახუთი ცენტი სრულად დაეხარჯებოდა. თავდაპირველად მემფისამდე ჩაღწევას სატვირთო მატარებლით აპირებდა – ვაგონებს შორის ან ბუფერებზე მოკალათდებოდა, რაც ორჯერ უკვე მოესინჯა ბავშვობისას და ყმაწვილკაცობისას. მაგრამ როგორც კი ჭიშკარში გავიდა, მიხვდა, რომ ეშინოდა. ძალიან დიდხანს იჯდა ჩაკეტილ სივრცეში და დავიწყებოდა, ეს როგორ უნდა გაეკეთებინა; ალბათ, კუნთებსაც დაეკარგა

სიმარჯვე და მოქნილობა, აღარ შეეძლო უბრალოდ, სწრაფად მოქმედება, რისკზე დაუფიქრებლად წასვლა. შემდეგ ისიც გაიფიქრა, ფრთხილად ხომ არ შევიპარო ცარიელ ვაგონშიო, მაგრამ მიხვდა, რომ ამასაც ვერ გაბედავდა, რომ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, შესაძლოა, მაწანწალების ყველადაუწერელი კანონი დაავიწყდა. უეცრად გაახსენდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

იდგა გზატკეცილის პირას, რომელიც ოცდათვრამეტი წლის წინათ, როდესაც მასზე ფეხი შედგა, მოკირწყლულიც კი არ იყო და ტალახში ჯორების ნალებისა და თვლების ფერსოების კვალი აღიბეჭდებოდა. ახლა კი გარეგნულადაც იატაკივით გლუვი მოჩანდა, ხელითაც შეეხებოდა და შეიგრძნობდა, რომ არა აქეთ-იქით ქროლვით მიმავალი მსუბუქი და სატვირთო მანქანები. უწინ აწეული ხელის დანახვაზე ნებისმიერი ოთხთვალა გაჩერდებოდა. მაგრამ აქ ოთხთვალა არსად ჩანდა, მინკმა კი არ იცოდა, რას მოითხოვდა ახალი წესები. რომ სცოდნოდა, ცხადია, ასეც მოიქცეოდა. ახლა კი იდგა უწყინარი, დალეული, სიმაღლით ბავშვის ტოლი, ახალ კომბინეზონსა და ხალათში გამოწყობილი, ჯერაც რომ ემჩნეოდა თაროზე დებისგან გაჩენილი ნაკეცები, ახალი ფეხსაცმელი ეცვა და ახალი შლაპა ეხურა. უეცრად ერთ-ერთმა სატვირთო მანქანამ დაამუხრუჭა და მის გვერდით გაჩერდა.

– შორს გაგიწევია, მამილო? – ჰკითხა მძღოლმა.

– მემფისში, – მიუგო მინკმა.

– მე კლარკსდეილამდე მივდივარ. იქიდან სხვა წაგიყვანს. სულერთია, აქედან წახვალ თუ იქიდან.

შემოდგომა იდგა, სექტემბრის ბოლო, და მიხვდა, რომ ციხეში გატარებული ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში კიდევ ერთი რამ დავიწყებოდა: წელიწადის დროები. ისინი ციხეში ყოფნის დროსაც იცვლებოდა, მაგრამ იქ მხოლოდ ერთადერთი უფლება ჰქონდა – მათგან მიყენებული ტანჯვა უნდა მოეთმინა: ზაფხულში – სიცხესა და პაპანაქებაში, ზამთარში კი – წვიმასა და ცივ ჭყაპში გასვლა და მუშაობა, მიუხედავად იმისა, უნდოდა ამის გაკეთება თუ არა. მაგრამ ახლა წელიწადის დროები კვლავ მას ეკუთვნოდა – ერთი კვირის შემდეგ ოქტომბერი დადგებოდა. აქ, დელტაში, განსაკუთრებულს ვერაფერს ნახავდა, ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ისედაც ამრეზით უყურებდა ბარაკის ფანჯრიდან ბამბის შიშველ ღეროებსა და მაღალ კვიპაროსებს. მაგრამ იქ, სახლში, მთიანეთში, ჰიკორისგან, გუმფისისგან, მუხისა და ნეკერჩხლისგან მიწა ოქროსფერი და ჟოლოსფერი იქნებოდა, ძველი მინდვრები კი – სალბისა და მეწამული თუთუბოს წინწკლებისგან გამთბარი: ოცდათვრამეტი წლის გასვლის შემდეგ აღარც ეს ახსოვდა.

უეცრად მეხსიერების სიღრმეში ხე გაჩნდა, მარტო მდგარი ხე. დედა მოუკვდა. ის აღარ ახსოვდა. ვერც იმას იხსენებდა, რამდენი წელი შეუსრულდა, როდესაც მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. ასე რომ, ეს ქალი ნათესავად არ ეკუთვნოდა, რასაც მუდმივად ჩასჩიჩინებდა: ნათესაობის ან მოვალეობის გამო არ გზრდი, არც იმიტომ, რომ სუსტი და უმწეო ხარ, არამედ იმიტომ, რომ ქრისტიანი, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ვარო.

მაგრამ მინკმა თავიდანვე სხვა რამეც იგრძნო მასში – ამ დაძაბუნებულ, გაწამებულ, ფეთხუმ ქალში, რომელსაც მუდამ ან თვალი ჩალურჯებოდა, ან ქმრის მიერ დანარტყამ ადგილას ჭუჭყიანი ჩვარი მიედო. მაგრამ ბიჭს ყოველთვის ჰქონდა მისი იმედი – არა იმის, რომ იგი მისთვის რამეს გააკეთებდა, რადგან ქალს ეს არასდროს გამოსდიოდა, არამედ მუდმივობის გამო: დედინაცვალი მუდამ აქ იყო, არ ავიწყდებოდა იგი, ერთგვარი ფარითაც იცავდა მას, თუმცა, დაცვის ნაცვლად, პირიქით გამოსდიოდა – მისკენ ტკივილსა და უბედურებას იზიდავდა. და სულ მის გვერდით იყო, მტირალა, გატანჯული, მაგრამ მუდმივი.

ქალი კვლავაც ლოგინში იწვა, თუმცა საცაა შუადღე მოაწევდა. დიდი ხნის წინათ უნდა ამდგარიყო და გაუთავებელ ფუსფუსს შესდგომოდა. არასდროს ავადმყოფობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამჯერად ქმარს ჩვეულებრივზე ძლიერად ეცემა. იწვა ლოგინში და საჭმელზე ლაპარაკობდა: ქონზე, აშმორებულ ფქვილსა და ბადაგზე, – მინკს ეგონა, რომ ყველა ადამიანი ამ საჭმელს ჭამდა, მხოლოდ ზოგჯერ თუ შეიქცევდნენ თავს ნანადირევით, – როგორც ჩანს, მუცელში მიეღო დარტყმები.

– ამას ვერ შევჭამ, – კვნესოდა იგი, – უფრო გემრიელი რამე მინდა, თუნდაც ციყვის ხორცის პატარა ნაჭერი.

მიხვდა, რატომაც გაახსენდა ხე. მაშინ იარაღი მოიპარა. მამა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანდა, რომ გაეგო. ძლივს მიათრია ტყემდე მძიმე, მასზე დიდი ორლულიანი თოფი, ჰიკორის უკან იმალებოდა ოქტომბრის იმ საუცხოო მთვლემარე დღეს, სანამ პატარა მხეცი არ გამოჩნდა. შემდეგ აკანკალდა (ერთადერთი ტყვია ჰქონდა) – ესეც გაახსენდა: დიდი გაჭირვებით ასწია მძიმე თოფი, სუნთქვაშეკრული, ღმერთს დახმარებას სთხოვდა. ბოლოს უკუცემა და შავი დენთის სუნი იგრძნო, მაგრამ უკვე შეეძლო, იარაღი დაეგდო და ჯერაც თბილ და ფუმფულა მხეცთან მიერბინა. ხელები ისე უცახცახებდა, რომ ძლივს მიიტანა სახლამდე. ქალიც კანკალებდა, როდესაც ნანადირევს ხელს უსვამდა.

– ახლავე გავატყავებთ და შევწვავთ, – ამბობდა იგი, – და ერთად შევჭამთ!

ის უშველებელი ჰიკორი, ცხადია, დიდი ხნის წინათ დაიღუპა: მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოჭრეს და შეშისთვის, თვლებისა და ფიცრებისთვის გამოიყენეს. იქნებ იმ გადახნული ადგილისთვისაც კი ვეღარ მიეგნოთ, სადაც იდგა, რადგან ერთიანად ამოეძირკვათ – შესაძლოა, ასე ფიქრობდნენ ისინი, ვინც იგი მოჭრა და გაანადგურა. მაგრამ მინკის მეხსიერებაში იგი კვლავაც ხელუხლებლად და ამაყად იდგა ოქროსფერი ოქტომბრის იმ მშვენიერ დღეს. „დიახ, სწორედ ასე ხდება, – გაიფიქრა მან, – ადგილი კი არ იზიდავს ადამიანს. ის ადგილი, შესაძლოა, აღარც არსებობს,და არც არის საჭირო. ადამიანს იმის სევდა იზიდავს, რასაც იხსენებს".

უეცრად მან კისერი წაიგრძელა და ფანჯარაში გაიხედა:

– როგორ ჰგავს... – და მაშინვე გაჩუმდა. არა, ახლა, როცა თავისუფლებას ეღირსა, თუნდაც მთელმა ქვეყანამ გაიგოს, სად გაატარა ოცდათვრამეტი წელი, – ...პარჩმენს, – დაასრულა მან.

– ჰო, – დაეთანხმა მძღოლი, – აქ ბანაკია.

– რა? – ჰკითხა მინკმა.

– ომისდროინდელ ტყვეთა ბანაკი.

– რომელი ომის?

– სად იყავი ბოლო ხუთი წელი, მამილო? – გაოცდა მძღოლი, – გეძინა?

– შორს ვიყავი, – თქვა მინკმა, – მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ესპანელებს ვეომებოდით, შემდეგ – გერმანელებს. ახლა ვის ვებრძოდით?

– ყველას, – მძღოლმა გემოზე შეიგინა, – გერმანელებს, იაპონელებს, კონგრესსაც კი. შემდეგ ყველაფერი შევწყვიტეთ. ეცლიათ რუსების დამარცხება და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მათ კი მხოლოდ გერმანელებსა და იაპონელებზე გაიმარჯვეს, შემდეგ კი გადაწყვიტეს, რომ ყველანი ფულში ჩაეხრჩოთ.

„დიახ, ფული", – გაიფიქრა მინკმა და თქვა:

– ოცდახუთი დოლარი რომ გქონდეს და კიდევ ოცდათვრამეტი იპოვო, რამდენი გამოვა?

– რა თქვი? – ჰკითხა მძღოლმა, – ოცდათვრამეტი დოლარის ასაღებად მანქანას არც კი გავაჩერებ. რა ჯანდაბად მეკითხები? იქნებ შენ გაქვს სამოცდასამი დოლარი და არ იცი, სად წაიღო?

„სამოცდასამი, აი, რამდენი წლის ვყოფილვარ, – გაივლო გულში მინკმა და მშვიდად და აუღელვებლად გაიფიქრა: – სამართალი არასდროს მომითხოვია, მხოლოდ სამართლიანობა მსურდა, მეტი არაფერი". სულ ეს იყო. თუ დახმარებას არ მიიღებდა, დაე, არც მის საწინააღმდეგოდ მომხდარიყო რამე. ამჯერად ყველაფერი მისი ამ ერთადერთი სურვილის მიხედვით ხდებოდა.

თავი მეექვსე

ლინდა; ვ.კ. რეტლიფი

– მაშასადამე, მატარებლის დახვედრასაც არ აპირებ? – იკითხა ჩიკმა. იურისტს თავიც არ აუწევია. იჯდა საწერ მაგიდასთან და მთელი არსებით (ცხვირით) ქაღალდებში ჩაფლულიყო, თითქოს ოთახში მის გარდა სულიერი არ ჭაჭანებდა. – უბრალო ახალი გოგონა ხომ არ ჩამოდის ჩვენს ქალაქში, – განაგრძო ჩიკმა, – ის ომის მდედრი დაჭრილი ვეტერანია. თუმცა არა, სადაური ახალი გოგონაა, – დაამატა მან, – სხვაგვარად უნდა მეთქვა. სიტყვა „ახალი" საერთოდ არ გამოდგება. ჯერ ერთი, იგი ჯეფერსონში ახალი ადამიანი სულაც არ არის, რადგან აქ დაიბადა და გაიზარდა. და თუ

იყო კიდეც „ახალი" ჯეფერსონში ან სადმე სხვაგან, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ვინაიდან თუ ოდესმე სადმე ახალი იყავი, ეს სიახლე უკვალოდ გაქრება, როდესაც ესპანეთში გრინიჩვილიჯელ პოეტთან ერთად იბრძოლებ ჰიტლერის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ პოეტის გამო ორივე თქვენგანს ჭურვი დაასახიჩრებს. მით უმეტეს, თუ ქალი ხარ. ამრიგად, აჯობებს ვთქვათ, რომ ჯეფერსონში უბრალოდ ნაცნობი გოგონა კი არ ჩამოდის, რომელიც აქ ოდესღაც იზრდებოდა, არამედ პირველი გოგო, ნაცნობი თუ უცნობი, რომელიც ჯეფერსონში ომიდან დაჭრილი ბრუნდება. ცხადია, მამაკაცი ჯარისკაცებიც დაბრუნდნენ, მაგრამ ჩვენთვის ეს პირველი ქალია, პირველი ქალი ჯარისკაცი. თანაც მტრისგან მართლა დაზარალდა. რასაკვირველია, ყოველგვარ ძალადობას არ ვგულისხმობ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახლა ძალადობაზე არ ვსაუბრობთ. – ბიძამისი არც შერხეულა. – მე კი მეგონა, რომ მთელ ქალაქს რკინიგზის სადგურში შეჰყრიდი მის შესახვედრად. სიმპათიის, ინტერესის, თუნდაც თანაგრძნობის გამო: გოგონა ხომ დასაკარგავში წავიდა, ესპანეთში, რის გამოც ქმარი მოუკლეს, თვითონ კი ორივე ყურის აპკი გაუსკდა. დიახ, მისის კოული, – თქვა მან.

იურისტს არც ამჯერად აუწევია თავი.

– კოლი, – თქვა მან.

– მეც ეგრე ვამბობ, – თქვა ჩიკმა, – მისის კოული.

ამჯერად იურისტმა ასო-ასოდ წარმოთქვა:

– კ-ო-ლ-ი, – თქვა მან, მაგრამ იქამდეც, სანამ ასე მოიქცეოდა, მის მიერ წარმოთქმულმა გვარმა ჩიკისგან სრულიად განსხვავებულად გაიჟღერა. – კაცი კი პოეტი კი არა, მოქანდაკე იყო. იმასაც გეტყვი, რომ ჭურვს არ მოუკლავს, იგი თვითმფრინავში დაიღუპა.

– ჰოდა, სულაც არ მიკვირს, თუ მოქანდაკე იყო, – განაცხადა ჩიკმა, – ცხადია, მოქანდაკე პოეტივით მარჯვედ ვერ აიცდენს ტყვიამფრქვევის ჯერს. იგი ერთ ადგილას დგომასაა მიჩვეული. შესაძლოა, ეს შაბათს არ მომხდარა და ქუდი არ ეხურა.

– თვითმფრინავით მიფრინავდა, – თქვა იურისტმა, – რომელსაც ჭურვი მოარტყეს. იგი ჩამოვარდა და დაიწვა.

– რა? – თქვა ჩიკმა, – ნუთუ გრინიჩვილიჯელ მოქანდაკეს, გვარად კოლს, მართლა არ შეშინებია თვითმფრინავით მგზავრობა, რომლის ჩამოგდებაც მტერს შეეძლო? – იგი ბიძამისს ზემოდან, ზედ კინკრიხოზე დაჰყურებდა, – მაშასადამე, კოული კი არა, კოლი ყოფილა, – განაგრძო მან, – უცნაურია, გვარი რომ არ გადაიკეთა. ნუთუ მათთან ეს მიღებული არაა?

იურისტმა აუღელვებლად დახურა თავისი საქაღალდე, მაგიდაზე დადო, სავარძელი გასწია, ზედ გადაწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო. თმაში ჭაღარა 1919 წლიდან, საფრანგეთიდან, იმ ომიდან დაბრუნების შემდეგ შეეპარა. ახლა სრულიად გასთეთრებოდა. მშვიდად იჯდა სავარძელში გადაწოლილი, თმა თეთრ ფაფარს მიუგავდა, საათის ძეწკვზე ოქროს გასაღები – ჰარვარდის

უნივერსიტეტის სამახსოვრო ნიშანი ეკიდა, პერანგის ჯიბიდან უბრალო ლერწმის ჩიბუხის ტარი კბილსაჩიჩქნივით თუ ფანქარივით ამოსჩროდა, იჯდა და ჩიკს ნახევარი წუთის განმავლობაში მისჩერებოდა.

– ჰარვარდში შენთვის ეს არ უსწავლებიათ, – თქვა მან, – მე კი მეგონა, რომ კემბრიჯში გატარებული ორი წლის შემდეგ ეს არც მაშინ გაგახსენდებოდა, როდესაც მისისიპიში დაბრუნდებოდი.

– კარგი, – ჩაილაპარაკა ჩიკმა, – დამნაშავე ვარ, – მაგრამ იურისტი კვლავაც მშვიდად იჯდა სავარძელში და ისე შესცქეროდა, – დალახვროს ეშმაკმა! – შესძახა ჩიკმა, – ხომ გითხარი, დამნაშავე ვარ-მეთქი!

– არა, შენ თავს დამნაშავედ არ გრძნობ, – მიუგო იურისტმა, – მხოლოდ გრცხვენია.

– განა ეს ერთი და იგივე არაა? – ჰკითხა ჩიკმა.

– არა, – თქვა იურისტმა, – როდესაც რაღაცის გრცხვენია, შენ ის არ გეზიზღება. მხოლოდ ვერ იტან, რომ გამოგიჭირეს.

– კარგი, კარგი, გამომიჭირე, – უთხრა ჩიკმა, – და მრცხვენია. კიდევ გინდა ჩემგან რამე? – ამჯერად იურისტმა საერთოდ არაფერი უპასუხა. – შესაძლოა, აქ ვერაფერს გავაწყობ, – განაგრძო ჩიკმა, – ჰარვარდში გატარებული ორი წლის შემდეგაც კი. იქნებ ჰარვარდამდე ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი მათ შორის, ვისაც მისისიპიში თეთრ ადამიანებს ვუწოდებთ. ნუთუ ჩემ გამო იმიტომ გრცხვენია, რომ რაღაცას დროულად ვერ მივხვდი?

– შენ გამო საერთოდ არ მრცხვენია, – მიუგო იურისტმა.

– კარგი, – თქვა ჩიკმა, – მაშინ ჩემ გამო რაღაც გწყინს.

– არა, შენ გამო არაფერი მწყინს, – განაცხადა იურისტმა.

– აბა, რა ჯანდაბად წამოვიწყეთ ეს საუბარი? – იკითხა ჩიკმა.

ასე რომ, ადამიანს, რომელიც ათი-თორმეტი წლის წინათ ჯეფერსონში ან იოკნაპატოფის ოლქში არ ცხოვრობდა, დაინტერესებულ პირად შესაძლოა, ჩიკი მოსჩვენებოდა. თანაც იმდენად დაინტერესებულად, რომ არა მარტო მზად იყო, ეეჭვიანა ბიძამისზე, არამედ უკვე ეჭვიანობდა კიდეც. თუმცა ეჭვიანობის საგანს, გნებავთ, განხეთქილების ვაშლს, სახლამდე ჯერ არ მოეღწია. მაშასადამე, უბრალოდ კი არ ეჭვიანობდა ათი წლის უნახავი გოგონას გამო, არამედ იმიტომ, რომ უკანასკნელად ნახვისას მას თორმეტი თუ ცამეტი წელი შესრულებოდა, ქალიშვილს კი – ცხრამეტი, ამხელა სხვაობა კი გადაულახავი დაბრკოლება იყო, თუნდაც ორივესთვის სამი-ოთხი წელი მიემატებინათ, რადგან ქალი ასაკით აღემატებოდა. შესაძლოა გაიფიქროთ, რომ თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭს მამაკაცივით ეჭვიანობა არ შეუძლია, რომ მასში არ არის ის საწვავი, რომელიც ეჭვიანობას დაანთებს და ამდენ ხანს აღარ ჩააქრობს, თანაც ცხრამეტი წლის ქალიშვილის გამო, თუმცა ასევე ხდება რვიდან ოთხმოც წლამდე ნებისმიერი ქალის შემთხვევაში. ოღონდ არავინ იცის, როდის არის ეს ადამიანი ისე ახალგაზრდა, რომ შეუძლია,

საწვავი არ დაწვას და ხანძარი არ გააჩინოს. განა არსებობს ისეთი ასაკი, როდესაც კაცი ძალზე ახალგაზრდაა საიმისოდ, რომ საკუთარ გულს ლილიტის (ლილიტი – ბიბლ. ლიტ-ში: ღამის დემონი – გრძელთმიანი მაცდური ქალი) ერთადერთი კულულით გაკეთებულ ბადეში გაბმის შესაძლებლობა არ მისცეს, როგორც ლექსშია ნათქვამი; ან ძალზე მოხუცი, რათა ეს სულ აღარ ადარდებდეს? მართალია, ახლა, როდესაც ქალიშვილი დაბრუნდებოდა, მათ შორის კვლავაც ექვსი თუ შვიდი წლის სხვაობა დარჩებოდა, მაგრამ ამჯერად ქალი ოცდაორი-ოცდასამი წლის ჭაბუკზე იქნებოდა ექვსი-შვიდი წლით უფროსი და არა თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭზე, რაც დაბრკოლებად აღარ აღიქმებოდა. ახლა იგი უცოდველი და ინფანტილური მსხვერპლივით განზე აღარ იდგებოდა, თვითონ მოიწადინებდა ყულფში თავის გაყოფას, იბრძოლებდა კიდეც ამისთვის – არა მხოლოდ იქ მოხვედრის ღირსებისა და პატივის მოსაპოვებლად, არამედ სხვებზე ადრე მოხვედრის უფლების მისაღებად.

თითქოს ამჟამადაც ამის მიღწევა სურდა: განზრახ აღიზიანებდა და აბრაზებდა საკუთარ ბიძას, ეძებდა, რომელი ჯოხი, ხელკეტი თუ აგურის ნატეხი მოემარჯვებინა მის წინააღმდეგ, ისე ჭინჭყლობდა, გეგონებოდათ, არათუ თორმეტი-ცამეტი წლის, გაცილებით პატარაა და ყველაფერს ისვრის, რაც ხელში მოხვდებაო. მაგალითად, დაიჟინა, რომ ლინდას ქმარი ებრაელი იყო, თუმცა, ოდნავ თუ დაფიქრდებოდა, თორმეტი წლისაც კი მიხვდებოდა, რომ ამგვარ მეტოქეს ამით ვერაფერს დააკლებდა და ასეთ ხავსს არც უნდა ჩაბღაუჭებოდა.

შესაძლოა, სწორედ ამან გაყიდა – იმან, რომ გამუდმებით პირში სჩრიდა იურისტს ამ ხავსს: თვითონ ხარ დამნაშავე, ლინდა რომ შორს, ნიუ-იორკში გაგზავნე, სადაც პატრონი არ ჰყავდა და ამიტომაც გაჰყვა ცოლად ებრაელსო. დიახ, შესაძლოა, სწორედ ამან გაყიდა ჩიკი. მას ხომ იგი ჯერ არ ენახა და არც არაფერი იცოდა. ანუ არ იცოდა, რომ უკვე თორმეტი წლისა გახდა იმდენად ეჭვიანი, რომ ეს ოცდაორ წლამდე კი არა, ოთხმოცდაორამდეც გაჰყვებოდა. მაგრამ ჯერ ქალი უნდა ენახა, რათა გაეგო: მას ისეთივე უფლება ჰქონდა ამ ჩამოსული ქალის გულისთვის ყულფში თავის გაყოფისა, როგორც ნებისმიერ სხვა მამაკაცს, და ვერავინ, ჭკუის კოლოფიც კი, ვერც ხელს შეუშლიდა და ვერც გადაარჩენდა. როდესაც ახლა მასზე ფიქრობდა, მხოლოდ ის ახსენდებოდა, რასაც თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭის თვალით ხედავდა: არა გოგონას, არამედ მოწიფულ, გარეგნულად დედამისივით მოზრდილ ქალიშვილს, რომელიც ადამიანთა იმ უცხო რასის წარმომადგენელი იყო, რომელსაც მთელი სამყარო მიეკუთვნებოდა, თორმეტი წლის ბიჭების გარდა. და რომ არა ბიძამისი, პირველმა რომ მიაქცია ქალიშვილს ყურადღება, ძმისშვილს ქეჩოში სწვდა და აიძულა, გაკვეთილების შემდეგ მისთვის ბარათები მიეტანა, რომლებშიც კაფეში ნაყინზე პატიჟებდა, ჩიკი მას საერთოდ ვერ შეამჩნევდა.

ასე რომ, როდესაც ქალიშვილს იხსენებდა, ჩიკს უნებურად ის აგონდებოდა, რასაც თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში ფიქრობდა: „დალახვროს ეშმაკმა, ის ხომ თითქმის დედაჩემის ტოლია". მაგრამ ახლა მას ხელახლა უნდა დაენახა იგი და ის გაეგო, რაც ოცდაორი-ოცდასამი წლის ასაკში ესმით: „დალახვროს ეშმაკმა, დიდი ამბავი, თუ ერთი-ორი წლით ჩემზე უფროსია, ჩვენ ორ შორის მამაკაცი ხომ მე ვარ!" ამრიგად, თქვენც და ნებისმიერი სხვაც

იფიქრებდა, რომ იგი, შესაძლოა, ჯერ კიდევ თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში შეიპყრო ეჭვიანობამ; რომ მხოლოდ თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭს თუ გაუჩნდებოდა ასეთი სუფთა, უმწიკვლო, შეიძლება ითქვას, უმანკო ეჭვიანობის გრძნობა ოცდაცამეტი წლის მამაკაცის მიმართ ცხრამეტი წლის ქალიშვილის – და ასევე რვიდან ოთხმოც წლამდე ასაკის ნებისმიერი ქალის – გამო, ისევე, როგორც მხოლოდ თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭი განიცდის გულწრფელად სევდას, ვნებას, იმედსა და სიყვარულისგან სასოწარკვეთას. ჩემს ადგილას ყოველი ადამიანი, ალბათ, ასე იფიქრებდა იმ წუთამდე, სანამ ჩიკმა არ მიჰქარა და თავი არ გაყიდა იმით, რომ გამუდმებით უმეორებდა ბიძამისს – ლინდას ქმარი არა მარტო პოეტი, ებრაელიცააო. უცხოც კი მიხვდებოდა, რომ ამით ჩიკი ლინდას კი არ გადაჰკრავდა, არამედ – საკუთარ ბიძას; რომ ბიძამისს კი არ ეჭვიანობდა ლინდა სნოუპსის მიმართ, არამედ პირიქით,ლინდა სნოუპსს – ბიძის მიმართ. ნებისმიერი ადამიანი ეტყოდა გუნებაში ჩიკს: „შესაძლოა, თავიდან ვერ მიმიმხრე, მაგრამ ახლა ნამდვილად შენს მხარეს ვარ".

ცხადია, ეს გარეშე პირი ჯერ მე უნდა გამსაუბრებოდა. იმიტომ, რომ ყველაფერი მახსოვდა, ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. მაშინ, დიდი ხნის წინათ, იურისტი, როგორც იტყვიან, პირველად ჩაერია ლინდას ცხოვრებაში. იმ დროს არ ვგულისხმობ, როდესაც იურისტმა გაიფიქრა, რომ ამ ქალის ცხოვრება მისას უკავშირდებოდა, არც იმ მომენტს, პირველად რომ შეამჩნია იგი. გოგონა უკვე ცამეტი-თოთხმეტი წლის იქნებოდა. იურისტი მას დაბადებიდან იცნობდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ასაკიდან, როდესაც პატარები გარეთ საბავშვო ეტლით ან ხელში ატატებული გამოჰყავთ, ერთი სიტყვით, როდესაც პირველად ამჩნევ, რომ ისინი არა მხოლოდ ადამიანურ არსებას, არამედ ცოტათი შენს ზოგიერთ კარგ ნაცნობსაც ჰგვანან. ისეთ პატარა ქალაქში კი, როგორიც ჯეფერსონია, ყველანი არა მარტო იცნობენ, არამედ, ნებსით თუ უნებლიეთ, ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. ასე რომ, იმ წლების გამოკლებით, როდესაც იურისტი ომში მონაწილეობდა, იგი კვირაში ერთხელ ხედავდა ქალიშვილს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მას კარგად შეათვალიერებდა, უკვე იცოდა, რომ იგი იულა უორნერის შვილი იყო. ჯეფერსონისა და მთელი იოკნაპატოფის ოლქის ყველა მცხოვრები, ვინც იულა უორნერს იცნობდა, მის შვილს უნებურად, ერთგვარი გაოცებით ისე შესცქეროდნენ, როგორც პატარა სასწაულს, რადგან ვერავის, მამაკაცებს, ვერ დაეჯერებინა, რომ ჩვეულებრივ, ნორმალურ სხეულში თავმოყრილი ამ უსაზღვროდ ქალური არსების განაყოფიერება მასთან შედარებით უმნიშვნელო და საცოდავ, არაფრით გამორჩეულ კაცს შეეძლო – მათი აზრით, ასეთი მშვენიერი, უფრო სწორად, ბრწყინვალე და მძლავრი საშოს თესლით მორწყვას მხოლოდ ახალგაზრდა დევგმირთა მთელი თაობა თუ მოახერხებდა.

იმას არ ვგულისხმობ, რომ იურისტმა, როგორც მას ეჩვენებოდა, ნებაყოფლობით მიუძღვნა თავისი ცხოვრების რამდენიმე თავისუფალი წელი ლინდასა და მის კარიერას. მხედველობაში ის მაქვს, რომ იმ წამს, როდესაც იულა უორნერმა პირველად შეავლო თვალი იურისტს, ან ნება მისცა, რომ მას შეევლო თვალი მისთვის, – როგორც გსურთ, ისე უწოდეთ, – ამით მან თავისი პირველი შვილის ცხოვრება ამ კაცის ცხოვრებას დაუკავშირა, ცხადია, თუ გოგო დაიბადებოდა. ხომ ხდება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ხვდები ისეთ ქალს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში შენი უნდა

ყოფილიყო, მაგრამ უკვე გვიანაა. შეხვედრის მომენტში გოგონა თექვსმეტისაა, შენ კი ცხრამეტის (იმ დღეს, როდესაც იურისტი იულას პირველად შეხვდა, იგი მართლა ცხრამეტის იყო, ოღონდ იულა ვერ აკმაყოფილებდა ამ პირობას, რადგან მასზე ერთი წლით ადრე მოვლენოდა ამ ქვეყანას), პირველად შეჰყურებ ამ ქალს და დაუფიქრებლად ეუბნები: „რა ლამაზი ხარ. მიყვარხარ. მოდი, სულ ერთად ვიყოთ". ის კი გპასუხობს: „რასაკვირველია", რაც ნიშნავს: „რასაკვირველია, ლამაზი ვარ. რასაკვირველია, გიყვარვარ. რასაკვირველია, ვიქნებით". მაგრამ უკვე გვიანაა. იგი სხვისი ცოლია. თუმცა სინამდვილეში სულაც არ არის გვიან. გვიან არასდროსაა და არც არასდროს იქნება, თუ შენ – ასაკს მნიშვნელობა არა აქვს – მუდამ იმ ცხრამეტი წლის ბიჭად დარჩები, ეს სიტყვები იმ ერთადერთ თექვსმეტი წლის ქალიშვილს შენი ცხოვრების იმ ერთადერთ წუთს უთხარი, როდესაც ის იყავი, ვინც ხარ. განა შეიძლება, გვიან იყოს ასეთი ცხრამეტი წლის ჭაბუკისთვის, განა შეიძლება, იმ თექვსმეტი წლის ქალიშვილს ვინმემ უბიწოება წაართვას, თუნდაც მას ასი ქმარი ჰყავდეს, თუკი სწორედ ის ერთადერთია, რომელმაც მაშინვე გითხრა: „რასაკვირველია". თუნდაც ყველას თვალწინ მუცლით ან ხელით ატარებდეს ამის აშკარა მტკიცებულებას, თუნდაც ბავშვი კალთაზე ებღაუჭებოდეს, ამ ცხრამეტი წლის ჭაბუკს შეუძლია იგი უმანკოდ მიიჩნიოს, ვინაიდან, ბუნებრივია, მხოლოდ მას შეეძლო იმ ერთადერთი, თექვსმეტი წლის ქალიშვილის დედად გადაქცევა, თუმცა ვიღაცამ შესაძლოა, იტრაბახოს, რომ ეს მისი ნახელავია.

მაგრამ ეს ყველაფერი იურისტს მაშინ არ ესმოდა. ძირითადად იმიტომ, რომ არასდროს ეცალა. იმ დღეს ვგულისხმობ, როდესაც იულა პირველად გამოვიდა ქალაქის მოედანზე, სადაც მისი დანახვა იურისტს კი არა, მთელ ჯეფერსონს შეეძლო. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ფლემს უკვე გაეფცქვნა უილ უორნერიცა და ფრენჩმენსბენდიც და ახლა ახალი საძოვარი უნდა მოეძებნა, ჯეფერსონი კი არაფრით ჩამორჩებოდა სხვა ქალაქებს, რადგან, როგორც ამბობენ, ყველა მანა ადრე თუ გვიან, თვლამდე მიგიყვანთ. შესაძლოა, ფლემი ჯეფერსონს გვერდს ვერ აუვლიდა, ვინაიდან იმ დროს გროვერ უინბუშთან ერთად საერთო მფლობელობაში მქონე რესტორნის ჩემს ნახევარს მართმევდა. გროვერს ფრენჩსმენში ვერაფრით ჩაიყვანდა, ამიტომ ფლემი იძულებული გახდა, დროებით ჯეფერსონში ეცხოვრა, რათა გროვერისთვის რესტორნის მეორე ნახევარიც წაერთმია.

ასე იყო თუ ისე, სწორედ აქ დაინახა იურისტმა იულა და ბრძოლაში ჩაერთო. შიშველი ხელებით, ვინაიდან სრულიად შიშველი იყო, და ამიტომაც უნდა წაეგო ეს შერკინება. ერთ მხარეს თვითონ იდგა, იურისტი, ქალაქელი, უცოლო კაცი, რომელსაც ჰარვარდის უნივერსიტეტში ხელოვნების მაგისტრის, ჰეიდელბერგში კი ფილოსოფიის დოქტორის დიპლომის აღება სურდა, რათა იოკნაპატოფის ოლქის ჩვეულებრივ, ნორმალურ მკვიდრთ გამკლავებოდა, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, რომელიმე კანონი დაერღვიათ, ხელს რომ უშლიდათ და აღიზიანებდათ, თანაც სახელმწიფოხაზინიდანაც გამორჩენოდნენ რამეს. მეორე მხარეს იულა უორნერი იმყოფებოდა, მას კი განათლება არაფერში სჭირდებოდა, ისიც ჰყოფნიდა, რაც ღმერთს ებოძებინა: როდესაც სუნთქავდა, იდგა ან ზოგჯერ აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა, ესეც საფრთხესა და უბედურებას წარმოადგენდა ნებისმიერი ნამდვილი მამაკაცისთვის მასთან მიახლოებისთანავე. იურისტმა ეს, ალბათ,

იცოდა – ბოლოს და ბოლოს, ცხრამეტი წელი შესრულებოდა, თანაც ერთი წელი ჰარვარდში გაეტარებინა. თუმცა ცხრამეტი წლის ჭაბუკი ინსტინქტურად, უჰარვარდოდაც ერკვევა ქალებში, ისევე, როგორც ბავშვმა ან ცხოველმა იცის, რომ ცეცხლი წვავს, და ამისთვის სულაც არაა საჭირო მასში ხელის ან ფეხის ჩაყოფა. ცხრამეტი წლის ჭაბუკმაც კი, თუ იგი ამბობს: „რა ლამაზი ხარ. მიყვარხარ", კი უნდა გაარჩიოს, ვინ პასუხობს „რასაკვირველიას", – თექვსმეტი წლის ქალიშვილი თუ ძუ ვეფხვი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იურისტი წინდაუხედავად ჩაერთო ამ ბრძოლაში. წესით, მას უნდა ნდომოდა საკუთარი დამარცხება და ამის იმედიც შეენარჩუნებინა, ვინაიდან ეს მისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. ამ შემთხვევაში თავს დაიხსნიდა და მხოლოდ აქა-იქ თუ გადაეყვლიფებოდა კანი. ის კი ბრძოლაში შიშველი ხელებით, უიარაღოდ გადაეშვა, მხოლოდ ერთადერთი უნარი გააჩნდა – მთელი ცხოვრება ცხრამეტი წლის ბიჭად დარჩენილიყო და ახალგაზრდა მაკკერონისთვის გაეძლო, რომელმაც რქები ჯერ კიდევ მანამდე დაადგა, სანამ იურისტი იულას დაინახავდა, თუმცა ამის კეთებას მერეც განაგრძობდა სხვადასხვა სახელითა და სახით, მაშინაც კი, როდესაც იურისტი დანებდა. შესაძლოა, ფლემს არც ჰქონდა მაინცდამაინც ჯეფერსონში გადაბარგების რამე მიზეზი, და არც ამა თუ იმ მანას ანიჭებდა უპირატესობას – მთავარი იყო, თვლამდე მიეღწია. იქნებ ფლემმა არც იცოდა, რატომ მოხვდა ჯეფერსონში. იქნებ დაქორწინებულ მამაკაცებს არც სჭირდებათ რამის მოფიქრება, რადგან ცოლი უკვე ჰყავთ. ვინ იცის, შესაძლოა, სწორედ ქალებს არ სჭირდებათ მიზეზი, იმის გამო, რომ ამ მიზეზების შესახებ არაფერი იციან და სრულიად უმიზეზოდ მოქმედებენ – მათ, უბრალოდ, ასე სურთ, ამას კი ვერავინ ვერაფერს მოუხერხებს, ვინაიდან მხოლოდ სულელი თუ ჩაერევა მათ საქმეში, ქალი ამას არ გააკეთებს, კაცი კი სერიოზულად მხოლოდ იმას აღიქვამს, რაც არ ესმის, და ეშინია კიდეც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მისთვის გაუგებარია.

მოკლედ, მისის ფლემ სნოუპსი არც რესტორნის გროვერ უინბუშის და არც მეორე, ჩემი, ასე ვთქვათ, ჰაერში გამოკიდებული ნახევრის გამო გამოჩენილა ჯეფერსონში, სადაც ქუჩაში გაისეირნა სწორედ იმ დღეს, როდესაც მას იურისტმა მოჰკრა თვალი. იულა არაფერ შუაში იყო. ყველაფერი ახალგაზრდა მაკკერონის გამო მოხდა. რაღაცას თვითონ შევესწარი, დანარჩენი სხვებმა მიამბეს. იმიტომ, რომ იმ გაზაფხულზე უორნერის მაღაზიიდან ხუთი მილის რადიუსში ხალხი მხოლოდ ამაზე ჭორაობდა. უდავოა, მთელი ფრენჩმენსბრენდის ყურადღების ცენტრში ის მოვლენები მოექცა, მარტში რომ დაიწყო და კვანძის გახსნამდე, ანუ იმ ერთგვარ ტურნირამდე გაგრძელდა, რომელიც მდინარეზე გადებულ ხიდს მიღმა, უორნერის სახლის მახლობლად გაიმართა ზაფხულში, ივლისის ღამეს. იმ დღეს ახალგაზრდა მაკკერონი მოულოდნელად გამოჩნდა ფრენჩმენსბენდში, თითქოს ციდან ჩამოვარდა, თითქოს ჯიქივით დაესხა თავს ცხვრების ბაკს, ამ ბუქრაიტებს, ბინფორდებს, ქვიქებსა და ტალებს, რომლებიც მთელი წელი თავიანთ ცხენებსა და ჯორებს უილ უორნერის ღობესთან აბამდნენ. თითქოს ტყიდან გამოვარდნილი ირემი ღობეს გადაახტა და შინნაზარდ სტაფილოს, გოგრასა და ბადრიჯანს თელავდა. ამ ჩვენი ბოსტნის მცენარეებს კი ეგონათ, ყოველ შემთხვევაში, იმედი ჰქონდათ, რომ თვითონ წარმოადგენდნენ საფრთხეს იულას უბიწოების ციხე-სიმაგრისთვის. ისინი კი მაშინვე ტალახში ამოთხვარეს, თავის დახრა კი

არა, თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრეს. ცხადია, საკუთარი თავი ყოჩაღ და გმირ ადამიანებად წარმოედგინათ, – ეტრაბახებოდნენ კიდეც ერთმანეთს, – სანამ იმ დღეს საიდანღაც ის არ გაჩნდა ტყიდან გამოვარდნილი ირემივით, თითქოს იულა ას მილზე იყნოსა, დიდი ხნის წინათ, ჰაერს, ქარს გამოჰყვა და ისარივით მოფრინდა იქ, სადაც ის ელოდებოდა, შესაძლოა, არა მას, მაგრამ აუცილებლად ველურ და ძლიერ ირემს, იმდენად ველურს, იმდენად ძლიერს, რომ მისი შესაფერისი აღმოჩენილიყო და დაემორჩილებინა.

დიახ, სერ. მთიდან დაშვებული დიდი, ველური, ბალანაშლილი, მრისხანე ხარირემი. ცხადია, აქაური ბუქრაიტები, ქვიქები და ტალებიც რიგიან მამრებად მიიჩნეოდნენ ჩვენს, ასე ვთქვათ, ნაკრძალსა თუ შემოღობილში, ფრენჩმენსბენდში, სანამ ეს ღობეები და ფიცრები, წარწერით „შესვლა აკრძალულია", დაუპატიჟებელმა, უცხო, თავაწყვეტილმა თავდამსხმელმა არ მილეწ-მოლეწა. რასაკვირველია, ჩვენებმაც იცოდნენ წიხლის კვრა და ჩხუბი, არც მათთვის არსებობდა რამე შეზღუდვა, მაგრამ ისინი მაშინვე ურიგდებოდნენ ერთმანეთს – ვინ წარსულს იხსენებდა, ვინ რას და ასე შემდეგ, ამხანაგურად, ბავშვურად. ერთად თავდაცვაც და ჩხუბიც შეეძლოთ უცხოთათვის ჭკუის სასწავლებლად: რატომ მოვიდა ოთხი, ხუთი, ექვსი მილის სიშორიდან, ჯობდა, შინ მჯდარიყო, აქ რას აკეთებს – ხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე უცხო შემთხვევით იულას თვალს მოჰკრავდა ან სხვისგან მოისმენდა მის შესახებ, ისეთისგან, ვისაც მისი გოგმანი ენახა. მოისმენდა და კვირა საღამოს გამოცხადდებოდა, თავის ცხენს ან ჯორს უორნერის ღობეზე დააბამდა და უწყინარი სახით გზაზე გაისეირნებდა, კორომისკენ, სადაც პატარა მდინარეზე ხიდი იყო გადებული, თავში უორნერის ქალიშვილთან დაკავშირებული ოცნებები უტრიალებდა. მაგრამ ამ დროს ბუჩქებიდან ჩვენიადგილობრივი გაერთიანებული კორპორაცია გამოვარდებოდა, თავს დაესხმებოდა და უწმინდური ფიქრებისგან ტვინს უსუფთავებდა, მდინარის ცივი წყლით აგრილებდა, ცხენზე ან ჯორზე შემოსვამდა, სადავით, მათრახითა და აღვირით უნაგირზე მიაბამდა და დაუპატიჟებელ სტუმარს შინ ისტუმრებდა – მათ რომ ჭკუა ჰქონოდათ, ჩვენთან საქმეს არ დაიჭერდნენ, ჩვენი გზისკენ არც კი გადმოუხვევდნენ.

მაგრამ ეს, ახალი, ყველასგან განსხვავდებოდა. თუ დანარჩენები, შემთხვევით ჩამოვლილი უცხოების ჩათვლით, ჩვეულებრივი, საყოველთაოდ გავრცელებული ადგილობრივი ჯიშის მოზვრები იყვნენ, მაკკერონი მათ არაფრით ჰგავდა. უსაბელოდ იმიტომ კი არ დადიოდა, რომ მისი ეშინოდა, არამედ, უბრალოდ, ასე სურდა. მის წინააღმდეგ გამოსვლას არათუ რომელიმე ჩვენგანი, მთელი გაერთიანება, კარგად დარაზმული ბანდაც კი ვერ გაბედავდა, რომელსაც არასდროს უთქვამს უარი ბუჩქებში ჩასაფრებასა და იმ უცხოთა ჭკუის სწავლებაზე, უორნერის ღობეს რომ ყნოსავდნენ. მან კარგა ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა მხნეობის მოკრება და მის წინააღმდეგ გალაშქრება, შემდეგ კი ამის გაკეთება დაგვიანებული აღმოჩნდა. არა, შესაძლებლობა, ცხადია, ჰქონდათ, თანაც ვინ მოთვლის – რამდენჯერ! სიმართლე ითქვას, თვითონ მან იმდენჯერ მისცა ამგვარი შესაძლებლობა, რომ მაისის ბოლოსთვის, დაბნელების შემდეგ, გზაზე გასვლისაც კი ეშინოდათ, საკუთარი სახლების სიახლოვესაც კი სამ-სამად დადიოდნენ. იმიტომ, რომ იგი სრულიად განსხვავებული ჯიშის ხარი გახლდათ, მთიდან მოვარდა, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, და როგორც ჩვენმა იურისტმა აღნიშნა, იმის მისაკუთრებას შეუდგა, რაც ერთი თუ ორი წლის

განმავლობაში მისისიპის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ოლქის მიზიდულობის გინეკოლოგიურ ცენტრად იქცა. არა, მშვენიერი იულა არ გაუტაცია, ცხენით არ ჩამოუქროლია, ქალი უნაგირზე არ შემოუგდია და არ გაუქუსლავს. მან, უბრალოდ, აქ შემოაღწია და ყველა გაძარცვა. თითქოს არც თავის ჭკუაზე ატარებდა, ძველებური ტრაგედიის ქოროს მსგავსად, და არც საკაზმივით იყენებდა, როდესაც მაგიდაზე ხუთ-ექვს სამარილეს დგამ, სანამ საზამთროს მიირთმევ. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ დააგვიანდათ, რადგან მათთვის, და მთელი სოფლისთვისაც კი, როგორც ჩანს, ცნობილი გახდა, რომ იულა დაფეხმძიმდა.

თუმცა, მგონია, რომ ეს მთლად ასეც არ იყო. კარგი იქნებოდა, რომ სხვაგვარად ყოფილიყო, რომ ყველაფერი უცებ დასრულებულიყო. თუმცა, არც ესაა სწორი. აჯობებდა, ეს ხუთი მშიშარა ადგილობრივი ულაყი თვითონ ყოფილიყო დამნაშავე იმაში, რასაც, მხნეობის მოკრების შემდეგ, თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდა. ისინი, ყველანი, ასე ვთქვათ, უბიწოების ხელუხლებელი ბასტიონის ჭიშკართან გაჩერდნენ, შვიდივენი: იულა და მაკკერონი და ჩვენი ხუთეული – ტალები, ბუქრაიტები, ტერპინები, ბინფორდები და ქვიქები. ვინაიდან ყველაზე ცუდი, როგორც ეს ტალები და ქვიქები იტყოდნენ, ჯერ არ მომხდარიყო. ყველაზე ცუდში იულას უმანკოების ან ბიძია უილ უორნერის სახლის ღირსების შებღალვას კი არა, დროის ფუჭად დაკარგვას ვგულისხმობ – ორი წლის განმავლობაში იდგა ოთხთვალები და ჯორები უილ უორნერის ღობის სიახლოვეს, ხუთი ახალგაზრდა დაძრწოდა იქ შუაღამემდე, ნაცვლად იმისა, რომ შინ წასულიყო და ცოტა თვითონაც დაესვენა და პირუტყვიც მოესვენებინა დილაადრიან მინდორში სახნავად გასვლის წინ. გამუდმებით რაღაც შეთქმულებას აწყობდნენ: ოთხნი მეხუთეს წინააღმდეგ მოილაპარაკებდნენ, რომელზეც ეჭვი გაუჩნდებოდათ, რომ მათზე წინ გაიჭრა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ხუთივეს პირველივე დაძახებაზე რომ უწევდა გაერთიანება ვიღაც ირაო უცნობის წინააღმდეგ, უეცრად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რომ ჩნდებოდა ღობესთან და მხოლოდ ის აინტერესებდა, ამ ღობის მიღმა რა ხდებოდა.

ასე რომ, იქით უფრო ვიხრები, რომ მაშინ არაფერი მომხდარა. არ ვიცი, რას ელოდნენ იულა და მაკკერონი. უფრო სწორად, მაკკერონი, რადგან იულა არასდროს არაფერს ელოდებოდა. როგორც ჩანს, არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვები: მიწა, ნიადაგი, შავმიწა, ანუ ყველაფერი ის, რაშიც თესლს საჭირო დროს ღივი გამოჰქონდა. არც ლოდინის მნიშვნელობა იცოდა. რადგან როდესაც იცი, რა არის ლოდინი – დასუსტების ან საკუთარ თავში დაეჭვების შიში, მხოლოდ მაშინ ხვდები, რას ნიშნავს მოუთმენლობა და აჩქარება. იულას კი ეს არაფერში სჭირდებოდა, ეს არც შავმიწა ნიადაგს აინტერესებდა. მას მხოლოდ არსებობა სურდა, როგორც მიწა არსებობს მინდორში, სანამ საჭირო დრო, საჭირო ქარი, წვიმა და მზე არ მოვა, ანუ მანამდე, სანამ ის ერთადერთი, უშველებელი, ველური ირემი ღობეს არ გადმოევლება და ბაკში არ შეაღწევს – მთიდან, ტყიდან თუ მოწმენდილი ციდან მოულოდნელად აქ გაჩნდება, გაჩერდება და ცხვრებს შორის ამაყად თავაწეული იდგება. დიახ, როგორც ჩანს, თვითონ მაკკერონი ახანგრძლივებდა იმას, რასაც გარდაუვალი დასასრული ერქვა. შესაძლოა, იმიტომაც აჭიანურებდა, რათა ამაყი სახით მდგარიყო ცხვრებს შორის. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მიზეზი: იქნებ თავდაპირველად ახალისებდა ამ ბუქრაიტებისა და ქვიქების ცხვრებთან თამაში, მათი გაღიზიანება, რათა

დაენახა, დიდხანს გაძლებდნენ თუ არა ისინი და წუთით თუ დაივიწყებდნენ, რომ მხოლოდ ცხვრები იყვნენ, ან ის თუ გაახსენდებოდათ, რომ, მართალია, ცხვრები, მაგრამ ხუთნი იყვნენ. იქნებ აინტერესებდა, როდის გაბედავდნენ მასთან შერკინებას, თითქოს მისი გამოჩენა მხოლოდ ერთ-ერთი ჩვეულებრივი, წვრილმანი, მსგავს ვითარებაში გარდაუვალი შემთხვევითი დაბრკოლება იყო, რომლებთან გამკლავებაც იულას მათთვის დიდი ხნისწინათ ესწავლებინა.

ახლა შესაძლოა, მიხვდეთ, რას ელოდებოდნენ ისინი. ყველანი მორწმუნეები იყვნენ. იმის თქმა მსურს, რომ ეკლესიაში თითქმის ყოველ კვირას დადიოდნენ, ოთხშაბათობით კი საღამოს ლოცვის აღსავლენ შეკრებებს ესწრებოდნენ, თუ სხვა საქმე არ გამოუჩნდებოდათ. ეკლესია სხვა ადგილებს არაფრით ჩამოუვარდებოდა ერთი კვირის დასასრულებლად და მეორის დასაწყებად, მით უმეტეს, რომ კვირა დილით სხვაგან ვერსად წავიდოდნენ, მხოლოდ ჭის მიღმა თუ ითამაშებდნენ ბანქოს, სანამ ეკლესიაში გალობდნენ, ლოცულობდნენ და ქადაგებას უსმენდნენ. ვინ იცის, მოახერხებდნენ თუ არა პარასკევ საღამოს რომელიმე გოგოს დადარაჯებასა და დაყოლიებას, რომ მშობლების არყოფნაში ბუჩქებისკენ გაესეირნათ. იქნებ ჯერ არავინ არაფერი იცოდა - ხომ ცნობილია, რომ იგავი თმის შეჭრის (ბიბლიური ლეგენდის თანახმად, დალილამ სამსონის თმაში ჩამალული ძალის შესახებ შეიტყო, თმა შეაჭრა და დაუძლურებული მტერს ჩაუგდო ხელში.) შესახებ პირველად სამსონსა და დალილას არ მოუფიქრებიათ. ასე რომ, მათი ლოდინი, საბოლოოდ, წინაპრების მიერ დაკანონებული ბოლო, სასოწარკვეთილებით გამოწვეული, ინსტინქტური ხერხი იყო, რომელსაც ყველა ახალგაზრდა კაცი მიმართავს (და მოხუციც), როდესაც თავისი გოგოს გამო მეტოქესთან უხდება შეჯახება. ვიმედოვნებ, ახლა ხვდებით, რას ელოდებოდნენ ყველანი. ცხადია, ერჩიათ, ხელუხლებლად შეენახათ უმანკოების ეს უორნერისეული ციხესიმაგრე, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ იმარჯვებდა, სხვებს გამოეყოფოდა და მას პირწმინდად გაძარცვავდა. მაგრამ ახლა, როდესაც ეს დაუპატიჟებელი მომხდური გამოეცხადა და გეგმები ჩაუშალა, ის შეეძლოთ, რომ ძალადობა და ძარცვა მხოლოდ შურისძიებისთვის კი არ გამოეყენებინათ, არამედ იმისთვის, რომ სამუდამოდ გაექროთ მასში ფრენჩმენსბენდის გარშემო წანწალის სურვილი.

ცხადია, არ უცდიათ, რომ მზაკვრულად დალოდებოდნენ იმ წუთს, როდესაც გამარჯვებისა და ტკბობისგან ძალაგამოცლილი და დაქანცული იქნებოდა, არც ასეთი არამზადები იყვნენ. მაგრამ ვინაიდან მის გამარჯვებას ხელს ვერ შეუშლიდნენ, ანაზდად უნდა დასხმოდნენ თავს, როდესაც ფიქრებით, ასე ვთქვათ, ცაში დაფრინავდა ან ამასწინანდელი წარსულის, ანუ წუხანდელი საღამოს გამო, ან ახლო მომავლის იმედით შეპყრობილი, ანუ იმით, რაც რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდებოდა, როგორც კი ეტლში შებმულ ცხენს ღობესთან შესაფერის ადგილას დააბამდა. სწორედ აქ ჩაუსაფრდნენ. ცხადია, გაუმართლებლად იქცეოდნენ - ჯერ ხომ არაფერი მომხდარიყო. ალბათ, მიმიხვდით: მინდა ვიფიქრო, რომ იმჟამად უბიწოების ციხესიმაგრე ჯერ არ აეღოთ. არა, სხვა რამეს ვამბობ. მე მხოლოდ ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სიმართლე მინდა: იმის დაჯერება, რომ ყველაფერი მაშინ, იქ, იმ საღამოს მოხდა. რომ ეს ახალგაზრდა მაკკერონიც კი, ამ ხუთი ჭაბუკის გვერდით ცხვრებით გარშემორტყმულ ველურ ირემს რომ ჰგავდა, ისიც კი არაფერს გააკეთებდა, და რომ მათ, ექვსივეს მიუძღოდა ბრალი ციხესიმაგრის დაცემასა

და ბავშვის ჩასახვაში: ივლისის ღამე, მთიდან ეტლი ეშვება, ხუთივე მათგანს ესმის მდინარეზე გადებულ ხიდზე ჩლიქების კაკუნი, ყველანი, ბოლოს და ბოლოს, მხნეობას იკრებენ, რათა ეს უკანასკნელი, სასოწარკვეთილების გამბიტი გაითამაშონ და ჩვეული საფრიდან გამორბიან, საიდანაც არაერთი ადგილობრივი თუ ჩამოსული მამლაყინწისთვის თავბედი უწყევლინებიათ.

ბუნებრივია, თან მოწმეები არ მოუყვანიათ, ორი-სამი წუთის შემდეგ კი იქიდან ბოლო თვითმხილველიც გაქრა – ის კი გონდაკარგული ეგდო თხრილში. ასე რომ, ჩემი ვარაუდი სწორია, ისევე, როგორც თქვენი, შესაძლოა, მათზე სწორიც – მე ხომ დაინტერესებული პირი ვარ და, რომ იტყვიან, ჩემი თეორემა უნდა დავამტკიცო. სინამდვილეში, შესაძლოა, სამი წუთიც არ დასჭირვებიათ: ერთი მათგანი პირველი გამოვარდა და ცხენს აღვირში სწვდა, დანარჩენები კი მაკკერონს მისცვივდნენ და ეტლიდან გადმოათრიეს, თუ ის მართლა იჯდა შიგნით და მდინარის ზემოთ მდებარე ბუჩქებს შორის არ გარბოდა, რადგან უსაფრთხოება ერჩივნა დიდებას და სულ არ ადარდებდა, ვინ უყურებდა – ასე უწინაც მოქცეულან დაუპატიჟებელი სტუმრები, თუკი საფრთხეს დროულად იყნოსავდნენ.

მეორე დღეს ხალხი სამხილების სანახავად წავიდა და დაადგინა, რომ მაკკერონს გაქცევა არც უცდია, ოღონდ არა ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო. თუმცა ეს სამხილები ვერაფრით ხსნიდა, თუ როგორ მოსტეხეს ხელი მაკკერონს ბორბლის მანით. ცნობილი გახდა, რომ თავდაცვისას მეორე, დაუზიანებელი ხელით მან ეს მანა მომხდურებს წაართვა, ეტლში მდგარ იულას კი ორი ხელით ეჭირა მათრახის ტყვიაშერეული ტარი და ნაჯახივით თუ ყასბის საჩეხივით ურტყამდა თავში ყველას, ვინც კი მის სიახლოვეს გაჩნდებოდა.

ეს სამ წუთზე დიდხანს არ გაგრძელებულა. მეტი არც იყო საჭირო. ყველაფერი მარტივად და ბუნებრივად წარიმართა. ბუნების ჩვეულებრივ მოვლენასავით უბრალოდ და მარტივად, როგორც, ვთქვათ, ზღვის მოქცევის ტალღა ან კოკისპირული წვიმა, რომელიც მოვარდება და ყველაფერს წაშლის: ფეხების ბრაგაბრუგს, აჩქარებულ სუნთქვას, წყვდიადში ცხენის (დგომას მიჩვეული ადგილიდან არც დაძრულა: ზაფხულში საათობით იდგა ხოლმე უილ უორნერის სამხერხაოსთან, მაშინაც კი, როდესაც უილმა სახლიდან უებ სნოუპსი გამოასახლა ორი წლის გადაუხდელი იჯარის გამო – ფრენჩმენსბენდში ეს სტიქიურ უბედურებად, ერთგვარ ციკლონად აღიქვეს. იმასაც ამბობდნენ, რომ უილს შეეძლო რკინიგზის სადგურზე მისვლა დაეტლიდან გადმოსვლა ისე, რომ ცხენი არც კი დაება მატარებლის ჩავლისას. მხოლოდ მომდევნო წელს დაიწყეს მისი მიბმა სწორედ იმ ღობეზე, რომელიც ველურმა ცხენებმა, ფლემმა რომ ჩამოიყვანა ფრენჩმენსბენდში, გადათელეს და მთელ სოფელში მიმოიფანტნენ) და ეტლის სიახლოვეს ერთმანეთში არეულ ჩრდილებს, დროდადრო ჰაერში გაელვებულ ჰიკორის მანებს, თითქოსდა საზამთროზე შემორტყმის ყრუ ხმებს და ადგილობრივი გულადების თავებზე დაშვებული მათრახის ტყვიაშერეულ ტარს.

ცხენშებმული ცარიელი ეტლი კვლავაც თავის ადგილას იდგა, როგორც ხე, კლდე თუ ფარდული, გაშმაგებით, მაგრამ მცირე ხნით რომ დაატყდა თავს თავსხმა წვიმა თუ წყალდიდობა და კიდევ ერთი ნივთმტკიცება დატოვა –

ტერონ ქვიქი: მას თავზე მთელი კვირის განმავლობაში ემჩნეოდა მათრახის ტყვიაშერეული ტარის კვალი, მისმა გვარმაც კიდევ ერთხელ გაიჟღერა, ცოტა არ იყოს, იუმორისტულად, როდესაც მოცელილ სარეველასავით ეგდო გზის პირას. ჩემი აზრით, ეს სწორედ მაშინ მოხდა. ცხადია, ამას დაჟინებით არ ვამტკიცებ. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ, თუ არა ასე, სხვაგვარად ვერ მოხდებოდა, ვინაიდან ყველაზე მეტად ჰგავს სიმართლეს და ასეც უნდა მომხდარიყო.

ეს უწყვეტი პროცესი გახლდათ. მოძრაობას, შეჯახებას ვგულისხმობ. ყველაფერი შეუჩერებლივ მოხდა მას შემდეგ, რაც ეს ხუთეული ბუჩქებიდან გამოვარდა და ცხენშებმულ ეტლს თავს დაესხა: ლანძღვა-გინება, ბრაგაბრუგი და აჩქარებული სუნთქვა, შემდეგ კი ბუჩქების ლაწალუწი და თანდათანობით მიმწყდარი ფეხის ხმა – როგორც ჩანს, დარჩენილმა ოთხმა მომხდურმა გადაწყვიტა, რომ ტერონ ქვიქმა სული განუტევა. ბოლოს მშვიდობის მაუწყებელი სიჩუმე ჩამოწვა, ეტლში შებმული ცხენი წყნარად იდგა ჩაბნელებულ გზაზე, ტერონი უგონოდ ეგდო ლელქაშში. და სწორედ მაშინ მოხდა ეს, ჩემი აზრით: შეუჩერებლივ, შეუსვენებლივ დანებდა და დაეცა უბიწოების ციხესიმაგრე, ამასთან, წიაღმა თესლი მიიღო, განაყოფიერდა და ის ბავშვი, ის გოგონა, ლინდა, აქვე, გზაზე ჩაისახა. იულას, ალბათ, მაკკერონის მოტეხილი ხელი ეჭირა, ცხენი კი მათ თავზემოთ, ვარსკვლავებს შორის, მონადირის მიერ მოპოვებული ალაფივით იდგა – ალბათ, გინახავთ უშველებელი მხეცის თავი, რომელსაც სასტუმრო ოთახის, ბიბლიოთეკის ან – ახლა, მგონი, ასე უწოდებენ – სახლის პატრონის კაბინეტის კედელზე ჰკიდებენ. შესაძლოა, ეს მართლა ალაფი იყო.

ასე რომ, უილ უორნერმა მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ გაუთხოვარი ქალიშვილი დაუფეხმძიმდა. და თუ ეს მას დაემართა, მაშასადამე, მთელ ფრენჩმენსბენდსაც, რადგან როდესაც იმ დროს „ფრენჩმენსბენდს" ამბობდნენ, მაშინვე ბიძია უილ უორნერს გახედავდნენ ხოლმე ცერად, ეს ერთი და იგივე იყო. და თუ იულა უორნერი ბუნების მუდმივ მოვლენად, ციკლონად ან ზღვის მოქცევად აღიქმებოდა, ასევე ხდებოდა ბიძია უილის შემთხვევაშიც. თუმცა მას ჯერ ორმოცი წელიც არ შესრულებოდა, უკვე იმდენჯერ გაეპროტესტებინა თამასუქები, ქონება კი აღეწერა, იმდენჯერ გამოესახლებინა მობინადრეები, მოიჯარეები კი გაეყარა, რომ მას მთელი ფრენჩმენსბენდი ემორჩილებოდა, სხვაგვარად, აქაურები, უბრალოდ, მშრალზე დარჩებოდნენ ჯეფერსონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოცდაორი მილის მანძილზე.

ცხადია, ახალგაზრდა მაკკერონს მაშინვე უნდა დაეცვა უორნერების საგვარეულო ღირსება. პირველი ელდის შემდეგ ყველას ეგონა, რომ ის სწორედ ამას აპირებდა. იგი ტენესის შტატში მცხოვრები შეძლებული ქვრივი ქალის ერთადერთი შვილი გახლდათ, რომელიც ბედმა შემთხვევით აქეთ გადმოაგდო, სადაც მოულოდნელად იულა უორნერს მოჰკრა თვალი, როგორც ეს იურისტ სტივენსსა და მანფრედ დე სპეინს დაემართათ ერთი წლის შემდეგ. და ვინაიდან იგი შეძლებული ქალის ერთადერთი ვაჟი იყო და ჯენტლმენების შვილებისთვის განკუთვნილ ძვირად ღირებულ კოლეჯში სწავლობდა, ბუნებრივია, ყველა ელოდა, რომ იგი ტყვიასავით გავარდებოდა ჩვენგან იქით, სადაც მას მოტეხილ ხელს არტახით შეუკრავდნენ, და, რა თქმა უნდა, არ დაელოდებოდა, როდის აიღებდა ხელში უილ უორნერი კედელზე ჩამოკიდებულ თოფს.

სწორედ აქ შეცდა ყველა. სტიქიურ უბედურებას თავიდან ვერ აიცილებთ – მისი ცენტრიდანული ძალა სადღაც მოგისვრით, მაგრამ თუ საღი აზრის ნატამალი გაგაჩნიათ, ცდილობთ, რომ როგორმე გაერიდოთ, რადგან, როდესაც თავს დაგატყდებათ, გეგმის შესაცვლელად აღარ გეცლებათ. მაკკერონი, ალბათ, დაყაბულდა ასეთ კატასტროფას, თუმცა ეს მას მეორე ხელისა და ორივე ფეხის დაკარგვას უქადდა – სავარაუდოდ, ქვიქები, ტალები და ბუქრაიტები სწორედ ამას აპირებდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჭაბუკი არისტოკრატიულ კოლეჯში სწავლობდა, სადაც მას ცოტა ხნით ჩააგონეს ღირსებისა და რაინდობის მაღალი აკადემიური სტანდარტი თუნდაც უბრალო მაგალითების საშუალებით. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მას პირველს არ უგულებელუყვია უორნერების შელახული საგვარეულო ღირსება. ეს თვითონ იულამ ითავა. ასე რომ, როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ. შესაძლოა, ახალგაზრდა მაკკერონიც დროულად მიხვდა ყველაფერს. იქნებ ამ ცენტრიდანულმა ძალამ მას ოდნავ გაჰკრა გვერდი და ამ ერთმა შეხებამაც კი მისრის-მოსრისა. ისეთი პირი უჩანდა, რომ იულას, ბუნების ამ სასწაულს, თითქოს არ სჯეროდა, რომ მსგავს ბუნების სასწაულს შეხვდებოდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ იმდენად ძლიერ პიროვნებას შეჰყრიდა ბედი, რომელიც დარტყმას დარტყმითვე უპასუხებდა და პირველივე შერკინებისას ხელს ან ფეხს არ დაკარგავდა. ხომ შეიძლებოდა, რომ მომდევნო ჯერზე მისთვისთავიც წაეცლიათ, ანუ მოეკლათ, და მაშინ ქალის მთელი ძალაუფლება, უშიშრობა და შეუპოვრობა, აღებისა და გაცემის, შემდეგ კი იმის შედეგის ტარების უნარი, რასაც ქალი, როგორც ბუნების სასწაული, საკუთარი არსებით ფლობს, ტყუილუბრალოდ დაიხარჯებოდა და არაფრის გულისთვის გაქრებოდა. სიყვარულს არ ვგულისხმობ. ბუნებრივმა ფენომენებმა არ იციან, რა არის სიყვარული, ასევე წუხილი, უცნობლობა, სისუსტე. არადა, ეს ყველაფერი უნდა შეიგრძნო იმის გასაგებად, თუ რა არის ლოდინი. და როდესაც ქალმა საკუთარ თავს უთხრა, – ის კი აუცილებლად ეტყოდა ამას საკუთარ თავს, – „კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა და იგი ვერ გადარჩებაო", ახალგაზრდა მაკკერონის კეთილდღეობაზე როდი ფიქრობდა.

ერთი სიტყვით, მეორე დილით ჭაბუკი სოფელში აღარ იყო. ვფიქრობ, იულამ თვითონ გადაჰკრა მათრახის ნარჩენი ცხენს და მთისკენ გაჭენება აიძულა. ყოველ შემთხვევაში, ხმაურზე უილს გაეღვიძა. იგი ღამის პერანგის ამარა, უიარაღოდ გამოვარდა გარეთ – არანაკლებ ოცდარვა დღე უნდა გასულიყო, რათა გაეცნობიერებინა, რომ მაშინვე უნდა აეღო თოფი ხელში, – სავეტერინარო ყუთი მოიტანა და ჭაბუკს ხელი შეუხვია, რათა მას სახლამდე ან სხვა ადგილამდე მიეღწია, სადაც ნამდვილი ექიმი მიხედავდა და არა პირუტყვის რომელიმე ექიმბაში. ახალგაზრდა კაცი ჯეფერსონში ერთი თვის შემდეგ ჩავიდა, დაახლოებით იმ დროს, როდესაც იულა მიხვდა, რომ თუ სასწრაფოდ არ შეცვლიდა საკუთარ მდგომარეობას, ეს მდგომარეობა მთელ ცხოვრებას შეუცვლიდა. ჭაბუკმა ფოსტალიონს ფულიც კი აჩუქა, რათა მას პირადად გადაეცა იულასთვის მის მიერ დაწერილი ბარათი. მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია და ბოლოს იგი სამუდამოდ გაემგზავრა. თუ ვინმე ელოდა, რომ მდინარეზე გადებულ ხიდთან გამართული მორიგი შეჯიბრებიდან სამოცდამეხუთე ან სამოცდამეათე დღეს უორნერის რეზიდენციიდან საშინელ ღრიალს გაიგონებდა, აშკარად შეცდა: უბრალოდ, ქორწილის შესახებ მოკლე განცხადება ჯვრისწერის წინ გაკეთდა, ჰერმან

ბუქრაიტი და ტერონ ქვიქი, ყოველი შემთხვევისთვის, ფრენჩმენსბენდიდან გაემგზავრნენ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ სულაც არ ტრაბახობდნენ, პირიქით, ნანობდნენ, რომ თვითონ არ იყვნენ ამ ყველაფრის მიზეზი. იულა ფლემზე დააქორწინეს, ერთი კვირის შემდეგ კი – ეს დრო უილს დასჭირდა, რათა, როგორც თვითონ ფიქრობდა, ფლემი გაეძარცვა და ეიძულებინა, რომ ფრენჩმენსბენდში მიტოვებული სახლ-კარი იულას მზითევში მიეთვალა – იულა და ფლემი ტეხასში გაემგზავრნენ, ანუ საკმაოდ შორს, რათა მათი დაბრუნებისას სნოუპსების ახალდაბადებული პირმშოს კანონიერებაში, ანუ დამაჯერებლობაში, ეჭვი არავის შეჰპარვოდა. ისიც სათქმელია, რომ არავის ეცოდინებოდა, რა დრო გაატარა ბავშვმა ჩანასახის მდგომარეობაში ტეხასში დაბადებამდე. ამდენად, არავის არაფერი ეცოდინებოდა და არც ის გაუკვირდებოდა ვინმეს, თუ რატომ ეჭრებოდა კბილები სამი თვის ბავშვს. და თუ ერთი წლის შემდეგ ფრენჩმენსბენდში რომელიმე აბეზარი ადამიანი შენიშნავდა, რომ ახალშობილი, სამი თვის ბავშვის კვალობაზე, უფრო ტანმორჩილი უნდა ყოფილიყო, მაშინვე გაიფიქრებდა, რომ ისინი ტეხასში, შესაძლოა, სამ თვეზე მეტი ხნით დარჩნენ.

ზუსტად თოთხმეტი თვე გავიდა იმ შეხვედრის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა მაკკერონი ცენტრიდანულმა ძალამ მისრის-მოსრისა. მაგრამ იულა არაფერს ელოდებოდა. ბუნების მისნაირი სასწაული არაფერს ელოდება ხოლმე. იგი უბრალოდ არსებობდა, სუნთქავდა, უორნერის ვერანდაზე მდგარ სარწეველა სავარძელში პატარა ბავშვთან ერთად იჯდა, სანამ ფლემმა ფული სამოც ვერცხლის დოლარში არ გადაცვალა და ძველი კარ-მიდამო ვარდების ბაღში არ ჩაფლა, სადაც, ბედის წყალობით, მათ ჰენრი არმსტიდსა და ოდემ ბუქრაიტთან ერთად მივაგენი. იმ დღესაც უბრალოდ არსებობდა და სუნთქავდა, როდესაც ბავშვთან ერთად ფურგონში იჯდა და ჯეფერსონში მიემგზავრებოდა. იქ ფლემს შეეძლო, კლანჭები ჩაევლო გროვერ უინბუშისთვის და ჩვენი საერთო რესტორნის მეორე ნახევარი წაერთმია. იულა უწინდებურად არსებობდა და სუნთქავდა, ოღონდ უფრო ნაკლებ ხანს იჯდა ერთ ადგილას, რადგან ტალღას სულ არ სჭირდება იცოდეს, საით მიექანება – იქით, სადაც საჭიროა, თუ არა. იგი ფლემსა და შვილთან ერთად რესტორნის უკან გაშლილ კარავში ცხოვრობდა და ზოგჯერ გაივლიდა კიდეც ჯეფერსონის მოედანზე, სადაც მას, როგორც იქნა, მანფრედ დე სპეინმა მოჰკრა თვალი, ამ ახალმა მაკკერონმა, ოღონდ სულაც არ მისრესილ-მოსრესილა, ერთი ნიშანიც არ დამჩნევია ქალთან შეჯახების შემდეგ. მართალია, არაფრით გამოირჩეოდა – არც ფლორიდის მდიდრულ სასტუმროებში მცხოვრები შეძლებული ქვრივის ერთადერთი ვაჟი იყო და არც ძვირად ღირებულ, პრესტიჟულ კოლეჯებში სწავლობდა. არა, მხოლოდ იმით თუ იამაყებდა, რომ მამამისი სამხრეთის არმიის კავალერიის ოფიცერი გახლდათ, თვითონ კი უესტ-პოინტში სამხედრო აკადემია დაემთავრებინა და როგორც მისი მშობელი იტყოდა, იანკების ჯარში შესულიყო – ლეიტენანტის ჩინით კუბაში გაემგზავრა და იქიდან ლოყის მთელ გაყოლებაზე უშველებელი ნაიარევით დაბრუნდა (არჩევნებისას მისმა მოწინააღმდეგეებმა ხმა გაუვრცელეს, თითქოს ესპანელების ხიშტით კი არ დაიჭრა, არამედ ვიღაც სერჟანტმა დაარტყა ნაჯახი მისურიში ბანქოს თამაშის დროს). ასე იყო თუ სხვაგვარად, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ ჯეფერსონის მერად აერჩიათ, შემდეგ კი, როცა დრო მოვიდა – ბანკის პრეზიდენტად, პოლკოვნიკ სარტორისის ნაცვლად, ბოლოს კი, ასევე შესაფერის დროს – იულასთან ურთიერთობისთვის.

იურისტზე აღარაფერს ვამბობ. ვერ ვიტყვი, რომ არ გაუმართლა,როდესაც იმ ტალღის გზაზე აღმოჩნდა, ვინაიდან ტალღებს უბედურებასა თუ ბედნიერებასთან კავშირი არა აქვს. ეს მისი ბედისწერა გახლდათ, გარემოებათა დამთხვევა. ჭიანჭველასავით იმ ბილიკზე აღმოჩნდა, რომელზე გასეირნებაც სპილოსაც მოუნდა. თითქოს არც ძალიან ადრე დაიბადა და არც გვიან, არც იქ, სადაც არ უნდა დაბადებულიყო. არა, სწორედ საჭირო დროს დაიბადა, ოღონდ სხვა გარსით. ეს მისი ბედისწერა იყო, მისი ხვედრი, რომ განსაკუთრებული, მტკიცე, მაკკერონისეული გარსით არ გაჩნდა ამქვეყნად, რომ მოხუცმა ბატონმა თავშეუკავებელი და უიმედო მისწრაფებებით გაჟღენთილი სუსტი და თხელი კანი უბოძა.

და იგი თავქუდმოგლეჯით გადაეშვა ამ ბრძოლაში. მისთვის საუკეთესო შედეგი უსწრაფესად დამარცხება იქნებოდა, რადგან გამარჯვების მსგავსი ნამცეცის უმცირესი ჩრდილიც კი მეხის დაცემასავით მოკლავდა, ამასობაში კი ფლემ სნოუპსი მშვიდად ძოვდა ჯეფერსონის ახალ საძოვრებზე, მუსრს ავლებდა მათ, ცოლთან და მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად კაფეს გვერდით გაშლილ კარავში ცხოვრობდა და ჰამბურგერებსაც თვითონ ამზადებდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს გროვერ უინბუშმა არ აღმოაჩინა, რომ რესტორნის ნახევარი მას აღარ ეკუთვნოდა. შემდეგ რაუნსველებმა – რომლებსაც ეგონათ, რომ იმ შენობას ფლობდნენ, მისის რაუნსველმა „კომერციული სასტუმრო" რომ უწოდა, იოკნაპატოფის მთელი ოლქი კი „რაუნსველების პანსიონს" ეძახდა, – აღმოაჩინეს, რომ შემცდარიყვნენ, რომ ფლემ სნოუპსის ოჯახი იქ უკვე თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ფლემმა იქიდან რაუნსველები არ გამოაძევა, რესტორნის უკან მდებარე კარავში კი კიდევ ერთი ფრენჩმენსბენდელი სნოუპსი არ შეასახლა. ახლა ჰამბურგერებს სწორედ ის სნოუპსი ამზადებდა, რადგან ფლემი უკვე ელექტროსადგურის სუპერინტენდენტად დაენიშნათ, მანფრედ დე სპეინს კი უკვე იულასთვისაც მოეკრა თვალი და ქალაქ ჯეფერსონის მერიც გამხდარიყო.

იურისტი თავისას განაგრძობდა, მაშინაც კი, როდესაც ყოველდღე ხედავდა, როგორ დაატარებდა გამარჯვებულის სახით მისი მოსისხლე მტერი, სახლიდან მერიამდე და მერიიდან უკან, მოედნის გავლით, წითელ, თითბრის სამშვენისებით მორთულ ემფ მოდელის ავტომობილს, რომლის მსგავსიც არათუ იოკნაპატოფის ოლქში, მისისიპის შტატის ჩრდილოეთშიც არავის ენახა. ამ მანქანამ ერთხელ ერთი სახლის უკან შეუხვია, სადაც „ქალთა კოტილიონის კლუბი" საშობაო მეჯლისს მართავდა. სწორედ იქ სცადა იურისტმა მანფრედ დე სპეინის გალახვა. სიძემ იგი არხიდან ამოათრია და მანამ ეჭირა, სანამ მანფრედი თვალს არ მიეფარა, შემდეგ შინ წაიყვანა, სააბაზანოში სისხლი მოჰბანა და ჰკითხა: „რას აკეთებ, დალახვროს ეშმაკმა? ნუთუ არიცი, რომ ჩხუბი არ შეგიძლია?" პირსაბანთან თავდახრილმა იურისტმა, რომელიც ცხვირიდან წამოსული სისხლის შეჩერებას ცდილობდა, უპასუხა: „ცხადია, ვიცი. მაგრამ სხვაგვარად ჩხუბს როგორ ვისწავლი?"

იგი კვლავაც არ ჩერდებოდა, სასოწარკვეთილი ცდილობდა რამენაირად ჩარევას. თუნდაც ელექტროსადგურზე სპილენძის დეტალების გაქრობის საქმე გავიხსენოთ. იმას ვგულისხმობ, რომ იქ სპილენძის ძველი ონკანები, სარქველები, მილები, გაცვეთილი საკისრები და ათასგვარი ჯართი იყო

დაგროვილი, ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი უკვალოდ გაქრა. ფლემი უკვე მეორე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ელექტროსადგურს, მაგრამ ქურდების წინააღმდეგ პირდაპირ სამხილებს ვერ მიაგნეს, მაშინაც კი, როდესაც ვიღაცამ ორივე საქვაბეზე სპილენძის დამცველი სარქველები მოხსნა და მათ ნაცვლად ფოლადის მილისები გააკეთა. საქმე იმით დასრულდა, რომ ქალაქის რევიზორები სადგურის სუპერინტენდენტთან მივიდნენ და დელიკატურად შეატყობინეს სპილენძის ნაწილების დაკარგვის შესახებ. „რამდენი?" – იკითხა ფლემმა და წამით ღეჭვა შეწყვიტა, შემდეგ კი საჭირო თანხა გადაიხადა. მომდევნო წელს მათ კვლავ შეამოწმეს ჩანაწერები და აღმოაჩინეს, რომ წინა წელს შეცდომა დაეშვათ. ისინი ხელმეორედ ეახლნენ მას და მიანიშნეს, რომ შეცდომა გაიპარა. ფლემმა ამჯერადაც შეწყვიტა ღეჭვა, იკითხა „რამდენიო" და ეს თანხაც გადაიხადა. მან (იურისტს ვგულისხმობ) კვლავ წამოსწია ძველი საქმე, – თუმცა ფლემს ეს თანამდებობა დიდი ხნის წინათ მიეტოვებინა, საკუთარი ფულით კი ორი ახალი დამცველი სარქველი შეეძინა და ქალაქისთვის ეჩუქებინა, – ყოველგვარ მტკიცებულებებთან ერთად, რათა მას, იურისტს, მანფრედისთვის სახელი გაეტეხა და მერობიდან გადაეყენებინა. მაგრამ მოსამართლე დიუკინფილდმა ამ საქმის მოსმენაზე უარი განაცხადა და თავის ნაცვლად მოსამართლე სტივენსი, იურისტის მამა დანიშნა. ვერავინ გაიგო, როგორ ჩაიარა საქმემ, რადგან მოსამართლე სტივენსმა დამსწრეთ დარბაზი დაატოვებინა და სხდომა, რომ იტყვიან, დახურულ კარს მიღმა ჩაატარა: მას მხოლოდ მანფრედი, იურისტი და თვითონ, მოსამართლე ესწრებოდნენ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ძალიან მალე, თითქმის მაშინვე, მანფრედი დარბაზიდან გამოვიდა და თავისკენ, მერის კაბინეტისკენ გაემართა, მითქმა-მოთქმის, ჭორებისა თუ ლეგენდების თანახმად, – როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ, – იურისტი თავჩაქინდრული იდგა მამის წინაშე და ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ახლა როგორღა მოვიქცე, მამა? მითხარი, ახლა რა გავაკეთო?"

მაგრამ მეორე დილით, როდესაც იგი რკინიგზის სადგურზე გავაცილე, მხნედ გამოიყურებოდა. ჰარვარდის უნივერსიტეტი და ოქსფორდის იურიდიული კოლეჯი ხომ დაამთავრა – ახლა კვლავაც სასწავლებლად მიემგზავრებოდა გერმანიის რომელიღაც ქალაქში. დიახ, სერ, ცოცხლად დამხნედ გამოიყურებოდა, საუკეთესოდ. „წასვლამდე თქვენთან ერთი საქმე მაქვს, – მითხრა მან, – ესტაფეტას გადმოგცემთ. ახლა მარტოკას მოგიწევთ სიმაგრის დაცვა. მარტოკამ უნდა ზიდოთ ტვირთი".

– რომელი სიმაგრე? – ვკითხე მე, – რომელი ტვირთი?

– ჯეფერსონი, – მიპასუხა მან, – და სნოუპსები. როგორ ფიქრობთ, გაუმკლავდებით ამ ორი წლის განმავლობაში?

აი, რა გავიფიქრე: „ახლა მას აღარაფერი უჭირს". როგორც იქნა, საბოლოოდ აიცრუა გული მშვენიერ ელენაზე. ახლა მხოლოდ ერთი საწუხარი ჰქონდა – რათა მენელაი-სნოუპსებს მის არყოფნაში რამე ცუდი არ ჩაედინათ იოკნაპატოფ-არგოსის ოლქში. კარგი იყო, ასე რომ ფიქრობდა. ცოტა ხნით მოეშვებოდა გულზე. დაბრუნების შემდეგაც მოასწრებდა იმის გაგებას, რომ ელენაზე უარის თქმა არც ისე ადვილი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ქალი მას თავს არასდროს დაანებებდა – არა მარტო საკუთარი, არამედ მისი ცხოვრების განმავლობაშიც კი. ის ქალი სხვაგვარად არ მოისურვებდა.

სხვათა შორის, მის დაბრუნებამდე ორი კი არა, თითქმის ხუთი წელი გავიდა. 1914 წლის გაზაფხულის დასაწყისი იდგა, ზაფხულში კი ომი დაიწყო, და, შესაძლოა, სწორედ ამას – ომს – ელოდებოდა იგი. არა, იმედი კი არ ჰქონდა და ელოდებოდა, რომ ომი სპეციალურად მისთვის დაიწყებოდა, არა, მაგრამ მას, ისევე, როგორც ბევრ სხვას ჩვენს ქვეყანაში, ომის მოახლოების სულაც არ სჯეროდა. მაგრამ იგი რაღაცას ეძებდა, სულერთია – რას, და რით იყო ომი ნებისმიერ სხვა რამეზე უარესი ყველაფრის დასავიწყებლად, ვინაიდან, მართალია, გონება კარნახობდა, რომ მას და იულა სნოუპსს ოკეანე ჰყოფდა, შინაგანად გრძნობდა, რომ ორი წელი ძალზე ცოტა იყო საიმისოდ, რომ მასაც და მშვენიერ ელენასაც ერწმუნათ, რომ ყველაფერმა გაიარა. და თუმცა არ ელოდა, რომ ომი იხსნიდა, გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ განგება რაღაცას მოიფიქრებდა, რადგან, როგორც ამბობდა ხოლმე, ღმერთი ჯენტლმენი იყო, ერთსა და იმავე ადამიანს ორჯერ არ გააშტერებდა და ძველ ფოკუსს არ ჩაუტარებდა, ყოველ შემთხვევაში, არა იმავე ორიგინალური შეფუთვით.

მოკლედ, ომში მოხვდა. საოცარი იყო, – ჩემთვის, – რატომ არ იბრძოდა გერმანელების მხარეს. იმიტომ კი არა, რომ უკვე გერმანიაში ცხოვრობდა, გერმანელებს შორის, მათ გარემოცვაში, არამედ იმიტომაც,რომ ხშირად მეუბნებოდა: „მართალია, ის ადამიანები, რომლებიც ოკეანის ჩვენს მხარეს აღმოჩნდნენ და ამერიკა დააარსეს, ინგლისური კულტურის ნაწილს წარმოადგენდნენ, ჩვენს დროში გერმანული კულტურა ყველაზე ახლოსაა ძველი არიული რასის ჩრდილოეთის განშტოების მამაც შთამომავლობასთან. ვინაიდან ეს მისტიკური კავშირია და იმაში კი არ გამოიხატება, რასაც ხედავთ, არამედ იმაში, რაც გესმით. თანამედროვე არიელს, ამერიკაში, არასდროს სჯერა, რასაც ხედავს, და მზად არის დაიჯეროს ის, რასაც გაიგონებს, თუმცა ვერ დაამტკიცებს, თითქოს გერმანული კულტურა, ჯერ კიდევ 1848 წლის რევოლუციის დაწყებიდან, არასდროს ინტერესდებოდა და თითქოს ეზიზღებოდა კიდეც ადამიანის ცხოვრების გარეგნული მხარე, ყველაფერი, რაც მხედველობით და შეხებით აღიქმება, მაგალითად, ქანდაკება, ფერწერა ან ხალხის საკეთილდღეოდ შექმნილი სამოქალაქო კანონები. და პირიქით, ის, გერმანული კულტურა, იმას ანიჭებდა უპირატესობას, რასაც სმენა სჭირდებოდა, მაგალითად, მუსიკას, ფილოსოფიასა და ადამიანის თავში არსებულ აბდაუბდას. ამიტომაც არის გერმანული ენა ასეთი ულამაზო, მას ესპანურისა და იტალიურისთვის დამახასიათებელი მუსიკალობა და ფრანგულისთვის დამახასიათებელი მანერული დახვეწილობა აკლია, უხეში, ულამაზო და, ერთგვარად, უხვნერწყვიანია (როგორც ხუმრობით ამბობენ, იტალიურად მამაკაცებს ესაუბრებიან, ფრანგულად – ქალებს, გერმანულად კი – ცხენებს). იგი ხელს არ გიშლით, აღიქვათ ის, რასაც ნერვებით, შინაგანად გრძნობთ: მისტიკური ფილოსოფია, შესანიშნავი მუსიკა, – იურისტი ამბობდა, რომ მათი მუსიკა საუკეთესოა, – მოცარტის მათემატიკური სიზუსტე და გარდაუვალობა, ბეთჰოვენისა და ბახის ღვთაებრივი ვნება, საროსკიპოსა და ქუჩის კარნავალის ხმაურის ვაგნერისეული შერწყმა, – და ეს ყველაფერი პირდაპირ აღწევს თანამედროვე ჩრდილოელი არიელის გულამდე, თუმცა მის გონებას ოდნავაც არ ეხება“.

მიუხედავად ამისა, გერმანელების არმიაში არ შევიდა. არ ვიცი, როგორ მოატყუა ისინი, რომ გერმანიიდან იქ გაუშვეს, სადაც შეეძლო, მოწინააღმდეგე მხარეს შეერთებოდა და მათ დაპირისპირებოდა, არც ის ვიცი, რა მოუჩმახა ინგლისელებსა და ფრანგებს, როგორ დაარწმუნა ისინი, გერმანიის უნივერსიტეტის სტუდენტი იქ დაეშვათ, სადაც მისი მხრიდან გერმანელებისთვის გამზადებული სიურპრიზების მიყურადების რისკი არსებობდა. მაგრამ მან ეს მოახერხა. თუმცა ინგლისელთა არმიაში კი არა, ფრანგებთან ჩაეწერა, სწორედ მათთან, რომლებიც, მისივე სიტყვებით, ქალებს მანერულად ესაუბრებოდნენ. ამას მაშინაც ვერ მივხვდი, როდესაც ოთხი წლის შემდეგ ვკითხე: „თქვენ ხომ გერმანულ კულტურასთან სულიერი ნათესაობის შესახებ საუბრობდით, გერმანელების არმია ცხვირწინ გედგათ, თუ მის ცხვირწინ იდექით. რატომ იტყუებოდით და ეშმაკობდით, ოღონდ კი მათთან კი არა, ფრანგებთან მოხვედრილიყავით?" მან მხოლოდ ერთი სიტყვით მიპასუხა: „ვცდებოდი". ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩავეკითხე: „აკი, საუცხოო, ბრწყინვალე მუსიკა და შესანიშნავი მისტიკური ფილოსოფია აქვთო?", რაზეც მომიგო: „ეს ყველაფერი კვლავაც შესანიშნავია და ბრწყინვალე. ოღონდ სიტყვა „მისტიკური" არ ესადაგება. მუსიკაც და აზრიცწყვდიადიდან, სიბნელიდან ჩნდება. დიახ, არა ჩრდილიდან, არამედ წყვდიადიდან, უკუნიდან, სიბნელიდან. ადამიანს კი სინათლე სჭირდება. მან თვალისმომჭრელ, მუდმივად მოკაშკაშე შუქში უნდა იცხოვროს, რათა ყოველი ჩრდილი განსაზღვრული, მკაფიო, თვითმყოფადი და განუმეორებელი იყოს: მისი საკუთარი, პირადი სიწმინდის თუ უნამუსობის ჩრდილი. ამქვეყნად არსებული ყველა ბოროტება სიბნელეში, წყვდიადში გაჩნდა, იქ, სადაც ადამიანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ დასდევს მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ჩრდილი".

ორი თუ სამი წლის შემდეგ იგი საბოლოოდ დაბრუნდა შინ. იულას, რომელსაც არაფრის გაკეთება არ მოეთხოვებოდა მისთვის, – მხოლოდ სუნთქვა და არსებობა, – უკვე მთელი მისი ცხოვრება, თუკი ის დასჭირდებოდა, თავისი თერთმეტი-თორმეტი წლის გოგონას მომავალთან დაეკავშირებინა.

– ელენას შუქი მოეფინა, – ვუთხარი მას.

– ელენა თვითონ არის შუქი. აი, რატომ ვხედავთ მას, თითქმის ხუთი ათასი წლის შემდეგ კვლავაც უცვლელსა და ჩაუქრობელს.

– სხვებზე რას იტყვით, თქვენ რომ მიყვებოდით? – ვკითხე მე, – სემირამიდებზე, ივდითებზე, ლილიტებზე, ფრანჩესკებსა და იზოლდებზე?

– ისინი ელენას არ ჰგვანან, – თქვა მან, – მათ სინათლე, გასხივოსნება, სიმტკიცე აკლიათ. ვინაიდან ჩუმად ყოფნა არ შეეძლოთ. ისინი თანდათან იძირებიან წყვდიადსა და ხმების გუგუნში, რომლებიც მათი ტრაგედიისა და ვნებების შესახებ ჰყვებიან. ელენა სულ სხვაა. იცით, რომ ერთი სიტყვაც კი არ შემორჩა, იმაზე მინიშნებაც კი, თუ რას ამბობდა, გარდა სიტყვისა „დიახ", რომელიც მან, შესაძლოა, პარისს უთხრა?

მოკლედ, ასე იყო საქმე. გოგონას ჯერ ცამეტი წელი შეუსრულდა, შემდეგ – თოთხმეტი, თხუთმეტი. ცდილობდა, კარგად დაემთავრებინა სკოლა,

გაკვეთილებს არ აცდენდა, ბეჯითად მეცადინეობდა მომდევნო კლასში გადასასვლელად და, ალბათ, თითქმის არ აქცევდა მას ყურადღებას, შეხვედრისას იქნებ, ვერც კი ეცნო. მაგრამ უეცრად შეამჩნია, რომ რაღაც მიზეზით, კაცი საკუთარ ცხოვრებაში მის ჩათრევას ან, პირიქით, მის ცხოვრებაში შესვლას ცდილობდა – არჩევანი თქვენთვის მომინდვია. არადა, უცოლო იყო, მასზეთითქმის ორჯერ უფროსი, ყველასთვის ცნობილი სახე, რადგან ოლქის პროკურორად მუშაობდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ჯეფერსონი პატარა ქალაქი იყო და თმის შესაკრეჭადაც რომ წასულიყავით, საღამოს ამის შესახებ ყველა ამომრჩეველს ეცოდინებოდა. ასე რომ, მათ მხოლოდ სკოლის შემდეგ შეეძლოთ თხუთმეტიოდე წუთით ბიძია უილ კრისტიანის საკონდიტროს ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან ჯდომა, სანამ გოგონა ნაღების ნაყინს ან ბანანის პლომბირს მიირთმევდა, მის წინ კი, „კოკა-კოლას" ხელუხლებელ ჭიქაში ყინული დნებოდა. მეტი არაფერი ხდებოდა. მხოლოდ ამის უფლებას აძლევდნენ საკუთარ თავს არა მხოლოდ ქალიშვილის სახელის მოსაფრთხილებლად, არამედ იმ ამომრჩეველთა ხმების შესანარჩუნებლად, რომელთაც ორი წლის შემდეგ შეეძლოთ, გადაეწყვიტათ, რომ თოთხმეტი წლის გოგონას ნაყინით გამასპინძლება ოლქის პროკურორს არცთუ ძალიან შეეფერებოდა.

კვირაში ორჯერ მას თითქოს სრულიად შემთხვევით ხვდებოდა, მაგრამ ეს, აბა, სადაური შემთხვევითობა იყო: იურისტი სკოლის მოპირდაპირე მხარეს თავისი კაბინეტის ფანჯარასთან იდგა, სანამ ბავშვების ნაკადი, მოსამზადებელი და პირველი კლასის მოსწავლეები არ წავიდ-წამოვიდოდნენ, ბოლოს კი, გარემოებათა დამთხვევის წყალობით, ისიც გამოდიოდა და ქუჩაში შემთხვევით სწორედ მაშინ აღმოჩნდებოდა, როდესაც მისი დაძახება შეეძლო ჯერ მეშვიდეკლასელებს, შემდეგ კი მერვე და მეცხრეკლასელებს შორის. თავდაპირველად გოგონას უკვირდა, არ ეშინოდა, მხოლოდ უკვირდა, კაცი ასე რატომ იქცეოდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე კი იურისტი ჭიქიდან ცოტა „კოკა-კოლასაც" კი წრუპავდა, სანამ ყინული გადნებოდა და საზიზღარი დასალევი გახდებოდა.

– მშურს თქვენი, – ვუთხარი ერთხელ, და როცა შემომხედა, დავამატე: – ბედნიერი ხართ.

– რატომ? – მკითხა მან.

– ოცდაოთხი საათის განმავლობაში ყელამდე საქმეში ხართ ჩაფლული, – მივუგე მე, – ეს კი ყველას არ გამოსდის. ამას თითქმის ვერავინ ახერხებს. თქვენ კი გამოგდით. თანაც მხოლოდ იმას კი არ აკეთებთ, რაც გევალებათ, არამედ იმასაც, რისი გაკეთებაც ამქვეყნად ყველაზე მეტად გსურთ. მეტიც – იმდენი საინტერესო ტექნიკური სირთულე გექმნებათ, ასე მგონია, თითქოს მათ თვითონ იგონებთ. მისი პატიოსანი სახელის გულისთვის ყველაფერი ღიად უნდა აკეთოთ, სწორედ იმ ხალხის თვალწინ, ვინც მზად არის, სამუდამოდ შეარცხვინოს იგი, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემა. ფარულად რომ შეხვედროდით ერთმანეთს, თქვენი ნაცნობობის შესახებ ვერავინ იეჭვებდა. ალბათ, ბევრი საქმე გაქვთ, არა?

უნდა გითხრათ, რომ იგი მოჯადოებულივით აღარ იქცეოდა, ბოლოს და ბოლოს, თავი დაეღწია ამ ზნედაცემული ანგელოზისთვის. იულამ თავისი

ხელით მისცა მას ეს სალბუნი, ეს სამკურნალო საცხი მისი დაკვნეტილი თითისთვის, – პოეტების თქმით, ყოველი მამაკაცი ცხოვრებაში ერთხელ იკვნეტს თითებს სასოწარკვეთილების ჟამს, – ახლა კი კრისტიანის საკონდიტროში მის წინ ჯერ ცამეტი, შემდეგ კი თოთხმეტი და თხუთმეტის წლის გოგონა იჯდა კვირაში ორჯერ, წელიწადში იმ ორი-სამი შემთხვევითი კვირის გამოკლებით, როდესაც მისის ფლემ სნოუპსი ქალიშვილთან ერთად დასასვენებლად იქ მიემგზავრებოდა, სადაც, რაღაც დამთხვევის წყალობით,მანფრედ დე სპეინიც აღმოჩნდებოდა ხოლმე – ამჯერად იგი არა მერი, არამედ ბანკირი დე სპეინი იყო, ვინაიდან პოლკოვნიკ სარტორისს, როგორც იქნა, გაეთავისუფლებინა დე სპეინთან და უილ უორნერთან ერთად დაფუძნებული ბანკის პრეზიდენტის სავარძელი, რადგან ერთხელ, დილით, ქალაქისკენ მიმავალ მის შვილიშვილს ბაბუის მანქანა თხრილში გადავარდნოდა და ბანკის პრეზიდენტი მანფრედ დე სპეინი გახდა, ამასთან, სავარაუდოდ, ისევ შემთხვევით, იგი მერიიდან პრეზიდენტის კაბინეტში სწორედ მაშინ გადაბარგდა, როდესაც ელექტროსადგურის ექსსუპერინტენდენტმა ფლემ სნოუპსმა ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ადგილი დაიკავა და, იმავდროულად, ის მაუდის კეპიც გამოიცვალა, რომლითაც ჯეფერსონში ჩამოვიდა.

(გამოიცვალა და არა გადააგდო – ხმა გავრცელდა, რომ მან ის ვიღაც შავკანიან ბიჭს ათ ცენტად მიჰყიდა: ეს, შესაძლოა, არც ისე ცუდი ფასი იყო. ვინ იცის, იქნებ ეს კეპი ოფლთან ერთად მისი ფინანსური ალღოთიც იყო გაჟღენთილი), და ახლა, პლანტატორების მსგავსად, შავი ფეტრის ფართოფარფლებიანი შლაპა ეხურა, რომელიც მის ამჟამინდელ მდგომარეობასა და თანამდებობას უფრო შეეფერებოდა.

ო, დიახ, იურისტი მოჯადოებულივით აღარ იქცეოდა, მარტოც კი იჯდა ხოლმე კრისტიანის საკონდიტროს ფანჯარასთან – წინ „კოკა-კოლას" ჭიქა ედგა, რომელშიც ყინული დნებოდა – და მათ შინ დაბრუნებას ელოდებოდა, რათა სრულ მზადყოფნაში შეხვედროდა იმ მომენტს, როდესაც ზაფხულის ყოველგვარ დამთხვევას ბოლო მოეღებოდა, სკოლაში სწავლა განახლდებოდა და მთელი წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ აქ ჯდომას შეძლებდა, ცხადია, თუ თექვსმეტი ან ჩვიდმეტი წლის გოგონა საკუთარ ჰოუკ მაკკერონს ან მანფრედ დე სპეინს არ შეხვდებოდა, და იურისტს ერთი წიგნის გმირივით არ მოუწევდა თქმა: „რასაც ხედავთ, ცრემლები როდია. ეს მხოლოდ გეჩვენებათ".

თექვსმეტი, ჩვიდმეტი წელი გავიდა, მალე თვრამეტი შესრულდებოდა, რაც იურისტი მას საკითხავი წიგნებით ამარაგებდა და კვირაში ორჯერ ნაღებისადა ბანანის ნაყინით უმასპინძლდებოდა. ასე რომ, მთელმა ჯეფერსონმა იცოდა, რა განეზრახა იურისტს, მიუხედავად იმისა, აღიარებდა იგი ამას თუ არა. და, ცხადია, მისი სურვილის შესახებ იულაც მიმხვდარიყო ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ. ასე ძაღლს ემართება ხოლმე: ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი ძაღლია, მაგრამ კარგია, ჭკვიანია, შეიძლება ითქვას, საუკეთესოც კია. პატრონი არ ჰყავს, მაგრამ უფრო ხშირად თქვენ გარშემო ტრიალებს. ხუთი-ექვსი წლის შემდეგ უნებურად გაიფიქრებ, რომ სხვას ასეთს ვერსად იპოვი, და თუმცა ხუთი-ექვსი წლის წინათ ან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ პირადად შენ ეს ძაღლი არაფერში გჭირდებოდა და არც დაგჭირდება, გენანება მისი გაგდება, არ შეიძლება, რომ ყველაფერი კარგი,

რაც მასშია, თუნდაც ეს მხოლოდ ერთგულება და თავდადება იყოს, ასე ადვილად ჩაუვარდეს ხელში ვიღაც სხვას. ან, ვთქვათ, შვილი გყავს, გოგონა, მოზარდი. ასაკის მატებასთან ერთად, სულ უფრო მეტად გიშლის ხელს პირად საქმეში. სწორედ ამ დროს შეიძლება გამოგადგეს არა მხოლოდ ეს ერთგულება და თავდადება, არამედ თვითონ ძაღლიც – ტყუილუბრალოდ ხომ არ დაგანახა მან, რომ ეს თვისებები მაშინაც კი შეინარჩუნა, როდესაც შენგან პატარა ძვლის მიღების იმედიც კი დაკარგა.

ყველა ჯეფერსონელი ასე ფიქრობდა. ოღონდ მე არა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალიშვილმა იცოდა, რომ მაკკერონისგან შვილს ელოდებოდა და იგი გააგდო, მდედრობითი სქესის მისებრი ფენომენიც კი, უნდოდა ეს თუ არა, პირველ რიგში ქალი იყო და სხვა არაფერი. დარწმუნებული ვარ, რომ ამაში ქალები კაცებისგან თითქმის არ განსხვავდებიან – თუ მამაკაცს ზედმეტი ტანჯვის გარეშე შეუძლია, იმ ქალის პირველი შვილის მამად იგრძნოს თავი, რომელიც უყვარდა, მაგრამ დაკარგა, თუმცა კვლავაც სულ მასზე ფიქრობს, რადგან მისთვის სულერთია, ეს ვისი ბავშვია, ასევე ქალსაც, სხვა მამაკაცებისგან უამრავი შვილიც რომ გააჩინოს, თავისუფლად შეუძლია, მამობა იმ კაცს მოახვიოს თავზე, რომელმაც იგი დაკარგა, მაგრამ მისგან არაფერს ითხოვს და მისდამი კვლავაც ერთგულებასა და თავდადებას ამჟღავნებს.

და ვინაიდან ლინდაც ქალი იყო, ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკში, ან, შესაძლოა, მაშინ, როდესაც პირველმა გაოცებამ გაუარა, – ეს დაახლოებით ნაყინის მეორე-მესამე მირთმევის შემდეგ მოხდა, გადაწყვიტა, რომ მიხვდა კაცის ჩანაფიქრს. და, ცხადია, შეცდა. იურისტი ასეთი კაცი როდი გახლდათ. მას სულაც არ სურდა ჯერ მისი აღზრდა, მერე კი მასზე დაქორწინება უბრალო, ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებისთვის, ცოლ-ქმარს შორის გაუთავებელი კინკლაობით, ხშირად გაყრითაც რომ მთავრდებოდა. რატომ იწვალებდა ამდენს – ამისთვის ნებისმიერი ქალიშვილი გამოადგებოდა, რომლის ამორჩევაც მოსწავლე გოგონებს ან კრისტიანის საკონდიტროში შემოსულ ქალიშვილებს შორის შეეძლო. არა, იგი ერთადერთი მამაკაცი უნდა გამხდარიყო, რომელმაც არა მარტო იცოდა, რომ ქალს სული ჰქონდა და ამ სულის გადარჩენა ჯერაც შესაძლებელი იყო იმისგან, რასაც იგი „სნოუპსიზმს" ეძახდა, – ჯიუტი და ბოროტი ძალისგან, თუნდაც იმიტომ, რომ ემუქრებოდა ქალს, რომ თორმეტი-ცამეტი წლის განმავლობაში ამ უკანასკნელს იგი თავის სისხლისმიერ თვისებად მიაჩნდა, არადა, ამგვარ ნათესაობაზე ლაპარაკიც კი არ ღირდა, – მისი აზრით, მხოლოდ მას ხელეწიფებოდა ქალის გადარჩენა და იმისგან დაცვა, რაც მასში ჩაბუდებულიყო: ეს ცირკში სელაპის ცხვირზე გაჩერებულ მბზინავ ნაირფერ შუშის სფეროს ჰგავდა, რომელიც მყიფეა,თუმცა არ იმსხვრევა, სნოუპსების სისაძაგლისა და სიბინძურისგან თითის დადებაზეა, მაგრამ არ ვარდება, თუ სელაპი არ წაბორძიკდა, დაეცა ან თვალი არ გაუშტერდა.

მხოლოდ ერთი რამის მიღწევა სურდა: ქალი ჯეფერსონიდან სადმე გაეშვა. ყველაზე კარგი და უსაფრთხო გზა მისისიპის შტატიდან გამგზავრება იქნებოდა, თავდაპირველად, ვთქვათ, ცხრა თვით რომელიმე კოლეჯში, იქ კი შესაძლოა, ვინმეს ცოლადაც კი მოეყვანა, და მაშინ სამუდამოდ მოიკვეთდა აქედან ფეხს – აი, როგორი შეუბღალავი, უმწიკვლო და გულუბრყვილო ოპტიმისტი იყო იგი, არადა, ყველამ იცოდა, რომ ფლემ

სნოუპსი დე სპეინის ბანკის პრეზიდენტი იმავე მიზეზით გახდა, რის გამოც თავის დროზე ელექტროსადგურის ზედამხედველად დანიშნეს: ერთი მხრივ, ისინი, ვისაც სურდათ, იულა უორნერისთვის ღიმილი ეჩუქებინათ, ფლემ სნოუპსის სახელს უნდა მისჩვეოდნენ, მეორე მხრივ, დე სპეინს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა – ფლემ სნოუპსი უნდა გაექაჩა, რათა მოხუცი უილ უორნერის ხმა მიეღო და ბანკის პრეზიდენტობა გაენაღდებინა. კიდევ იყო ერთი მიზეზი, რის გამოც ბილ უორნერმა შემთხვევით არ ისარგებლა და ფლემს სამაგიერო არ გადაუხადა ფრენჩმენსბენდის მამულთან დაკავშირებით გაცურებისთვის, რომელსაც უილი არაფრად აგდებდა, სანამ ფლემმა ეს მიწა მე, ოდემ ბუქრაიტსა და ჰენრი არმსტიდს არ წაგვართვა – ჩემგან გროვერ უინბუშთან თანამფლობელობაში არსებული რესტორნის ნახევარი წაიღო, ოდემ ბუქრაიტისგან – ნაღდი ფული, ჰენრისგან – გირავნობის ფურცელი ორას დოლარად შეფასებულ ფერმაზე,იმ ხუთი-ექვსი დოლარის ჩაუთვლელად, ჰენრის ცოლმა ქმრისგან რომ გადამალა, უფრო სწორად, საჭირო ადგილის შორიახლო ჩაფლა; ფლემზე იმავე მიზეზით არ იძია შური, რის გამოც იულა ფლემს არ ტოვებდა და მანფრედ დე სპეინს არ მიჰყვებოდა ცოლად: სანამ ფლემის ცოლად მიიჩნევდნენ, ოჯახს სახეს უნარჩუნებდა, ამით კი თავის გოგონას სახელს აძლევდა, თორემ უსახელოდ დარჩებოდა. როდესაც დრო დადგებოდა და ქალიშვილი თვითონაც გათხოვდებოდა ან ჯეფერსონიდან სადმე შორს მოეწყობოდა, აღარც ფლემის სახელი დასჭირდებოდა და აღარც მისი სახლი. აქედან გამომდინარე, ფლემი იულას ვეღარაფრით დააკავებდა, ფლემს გარეთ მიაბრძანებდნენ და იგი მხოლოდ ჭუჭრუტანიდან თუ შეიჭყიტებოდა, რაც თვითონ მას, ფლემს, მშვენივრად ესმოდა.

მაგრამ იურისტმა ეს არ იცოდა. ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ ფლემი ნებას დართავდა, ლინდა ჯეფერსონიდან მოშორებით მოეწყო, იქ, სადაც შესაძლოა, ვინმე შემთხვევით გაცნობილ ყმაწვილზე ექორწინა, თუმცა მაშინ იულა ფლემს მიატოვებდა და ფლემი დაიღუპებოდა. ის – იურისტს ვგულისხმობ – ლინდას თოთხმეტი წლის ასაკიდან აძლევდა წასაკითხავად ყოველგვარ წიგნებს, შემდეგ კი ერთგვარ გამოცდას უწყობდა, სანამ „კოკა-კოლას" ჭიქაში ყინული დნებოდა. მალე გოგონა ჩვიდმეტი წლის შესრულდა, მომავალ გაზაფხულზე სკოლასაც დაამთავრებდა, ამიტომ ქალთა საუკეთესო, უფრო ჰარვარდის უნივერსიტეტის სიახლოვეს მდებარე ინსტიტუტების პროსპექტებს იწერდა.

სწორედ აქ იწყება მოვლენები, რომელთა შესახებაც არავინ იცოდა, თვით იურისტის გარდა, ის კი ამის შესახებ არასდროს ჰყვებოდა. ასე რომ, იძულებული ვარ, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, დასკვნა აშკარა სამხილებიდან გავაკეთო: ჯერ მისთვის ნაყიდი ჭკვიანური წიგნები და ათასგვარი სასწავლო დაწესებულების პროსპექტები დაიმტვერა, შემდეგ კი ნაყინის ულუფის თანხლებით გამართული შეხვედრებიც წარსულს ჩაჰბარდა, ვინაიდან მოულოდნელად გოგონამ სკოლიდან შინ დაბრუნება სხვა გზით დაიწყო და იურისტი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მიხვდა, რომ იგი მასთან შეხვედრას გაურბოდა. არადა, ორ კვირაში სწავლა მთავრდებოდა და ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. ამიტომ იურისტი თვითონ წავიდა ქალიშვილის დედასთან დასალაპარაკებლად, თუმცა, ცხადია, არავისთვის არაფერი მოუყოლია და სხვა რა გზა გვაქვს – დასკვნა ჩვენვე უნდა გავაკეთოთ, თანაც ყოველგვარი სამხილის გარეშე. მაგრამ ტყუილუბრალოდ ხომ არ გავიზარდე ფრენჩმენსბენდში, იმავე გარემოში, იმავე გარემოცვაში,

საიდანაც ფლემ სნოუპსმა საკუთარი თავი, ასე ვთქვათ, ყურებით ამოათრია, სრულიად დამოუკიდებლად, თუ ჰოუკ მაკკერონის დახმარებას არ ჩავთვლით. ასე რომ, მხოლოდ ფლემ სნოუპსის ადგილას უნდა წარმომედგინა თავი და მეფიქრა, რომ მოხუცი უორნერი ხელში მისი ქალიშვილის წყალობით მეჭირა, და თუ მოხუცი უორნერის შვილიშვილს თავის ნებაზე მივუშვებდი, – არადა, გაჭირვებით ვახერხებდი მის შეკავებას, – შვილიც დამისხლტებოდა. ამ დროს ვიღაც სრულიად უცხო, დაუპატიჟებლად მოსულმა ადამიანმა, დასწყევლოს ღმერთმა, გეგმა მოიფიქრა ამ შვილიშვილის იქ გასაგზავნად, სადაც, თუ მას ჭკუა ეყოფოდა, ვერაფრით მივწვდებოდი. და ვინაიდან უორნერის ქალიშვილი თვრამეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ შვილიშვილის გამო მიტანდა, პასუხი სრულიად მარტივი იყო – ცოლისთვის უნდა მეთქვა: „თუ საკუთარ ქალიშვილს სწავლის გასაგრძელებლად წასვლის ნებას მისცემთ, ისე გავბუქავ თქვენს რომანს მანფრედ დე სპეინთან, რომ თქვენს გოგონას არათუ ოჯახი და სახლი აღარ დარჩება, საიდანაც სასწავლებლად წასვლას შეძლებს, არამედ შობაზე და არდადეგებზეც კი ვერსად ჩამოვა".

ვინაიდან იულა ცხოვრების პირველი თვრამეტი წლის განმავლობაში ჩემსავით ფრენჩმენსბენდის ჰაერით სუნთქავდა, სულაც არ მიჭირდა, თავი იულა უორნერის ადგილას წარმომედგინა და გამომეცნო, რა უთხრა მან იურისტს: „არა, ის სასწავლებლად ვერ გაემგზავრება, მაგრამ შეგიძლიათ,ცოლად მოიყვანოთ! მაშინ ყველაფერი მოგვარდება!" – მიმიხვდით? თავდადებული მეგობარი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში გიერთგულებთ და ძვალსაც კი არ მოგთხოვთ, არა მხოლოდ დიდი განძია, რათა ის ასე ადვილად მიმოფანტოთ, არამედ ჯეროვნად დაფასების ღირსია, რადგან ათასი პარისი, მაკკერონი და დე სპეინი ვერ გაგრძნობინებთ სრულად, ვერ გაგაცნობიერებინებთ, რომ მშვენიერი ელენა ხართ – ამისთვის მეტია საჭირო. სიყვარულის დაუშრეტელ უნარს კი არა, ძალაუფლებას ვგულისხმობ: არა იმას, რომ მას მიზიდვა, მოჯადოება და შთანთქმა ძალუძს, არამედ ჩუქებისა და დაჯილდოების შესაძლებლობას; არა იმას, რომ იმდენის წაღების ძალა შესწევს, რასაც ვერ გაუმკლავდება, – ვინაიდან სიტყვები „ელენა" და „ვერ გაუმკლავდება" რომელიმე ერთ ენაზე ერთმანეთს არ ეთანადება, – არა, მას შეუძლია საჭიროზე იმდენად მეტად მიიზიდოს, რომ საკუთარ თავს გულუხვობისა და ზედმეტის გაცემის უფლებაც მისცეს: ამიტომაც ხარ ელენა, რომ არასდროს გასცე მთლიანად ის, რაც გეკუთვნის – შენ მხოლოდ ვინმეს სიყვარულის გაზიარება და ტანჯვის დაფასება შეგიძლია. მაგრამ სასტიკიც ხარ, და ამ სისასტიკეშიც გულუხვი, ვინაიდან ელენა ხარ, შენთვის ყველაფერი ნებადართულია. მხოლოდ ელენას შეუძლია, იყოს ასეთი სასტიკი, გულუხვად სასტიკი,თვითონ კი უვნებელი, შეუბღალავი დარჩეს. შესაძლოა, პირველად მოგიწიოს, მას სახელით მიმართო და უთხრა: „ცოლად მოიყვანეთ ის, გევინ".

და მის თვალებში არა მხოლოდ შიში და გაოცება დაინახო, რაც მან ამოიკითხა ლინდას სახეზე იმ პირველი შეხვედრისას, არამედ ძრწოლა, შეძრწუნება, არა იმიტომ, რომ მაშინვე „არა" უნდა ეპასუხა, და არც თვითონ თხოვნის გამო, რადგან მიაჩნდა, რომ ეს უკვე დიდი ხნის ნათქვამი და გადაწყვეტილი იყო. არამედ იმიტომ, რომ ამის შესახებ სწორედ მას სწორედ მან სთხოვა. შესაძლოა, მას ისედაც ყველაფრის იმედი გადასწურვოდა მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ ქალიშვილი მანფრედ დე

სპეინმაც შეამჩნია, და, იქიდან მოყოლებული, თავს აღარ იიმედებდა, ვინაიდან მხოლოდ მან ერთმა იცოდა – ამის შანსი არც არასდროს ჰქონია. მაგრამ როდესაც ქალმა ეს სიტყვები ხმამაღლა, სახეში უთხრა, მოეჩვენა, რომ ყველას თვალწინ მკაფიოდ გამოუცხადეს: იმედი არც არასდროს უნდა გქონოდა, თუნდაც მანფრედ დე სპეინს მისთვის თვალიც არ მოეკრაო. მას რომ მაშინვე, დაუყოვნებლივ მიეხალა „არა", შესაძლოა, ისე გამოსულიყო, თითქოს ქალს არც ეთქვა ის, რაც თქვა, თვითონ კი საბოლოოდ არ გაცამტვერდებოდა.

მათი საუბარი უცხოს არავის მოუსმენია, ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ იანვრამდე ჯერ კიდევ სჯეროდა, თითქოს არაფერი თქმულა, როგორც სასწაულის სჯერათ: რაც არ იწამა, ის არც უნახავს. დიახ, სასწაული, ნამდვილი სასწაული, რომ ადამიანს ასე ცოტა სჭირდება ყველაფრის გასაძლებად. მაგრამ ის, რაც იანვარში მოხდა, მართლა ჰგავდა სასწაულს: გაზაფხულზე ლინდამ სკოლა დაამთავრა და შემოდგომაზე ინსტიტუტში შევიდა, საიდანაც ყოველ საღამოს შინ მოდიოდა, შაბათ-კვირას კი მთელი დღე სახლში იჯდა, ფლემის თვალწინ. და მოულოდნელად, ქრისტეშობის გასვლისთანავე, შევიტყვეთ, რომ ინსტიტუტიდან წამოსულა და ოქსფორდის უნივერსიტეტში აპირებდა შესვლას. დიახ, სერ, სწორედ იქ, ფლემიდან ორმოცდაათი მილის დაშორებით იცხოვრებდა, თანაც ისეთ ადგილას, სადაც მის გარშემო დღედაღამ ოცდახუთ წელზე ახალგაზრდა ხუთი-ექვსი ასეული ყმაწვილკაცი იტრიალებდა და მათგან ყოველს, ვისაც ჯიბეში ორი დოლარი აღმოაჩნდებოდა ქორწინების მოწმობისთვის, თავისუფლად შეეძლო მასზე დაქორწინება. დიახ, ეს ნამდვილი სასწაული იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა იულას ქუჩაში შევხვდი და ვკითხე:

– ეს როგორ მოახერხეთ?

– რა მოვახერხე? – მიბრუნებს კითხვას.

– ფლემის დაყოლიება, რომ გოგონა უნივერსიტეტში გაეშვა, – ვეუბნები.

– ეს თვითონ მოიფიქრა, – მპასუხობს, – ისე დართო ნება, ჩემთვის არც უკითხავს. მე არაფერი ვიცოდი.

მაგრამ ტყუილუბრალოდ ხომ არ გავზრდილვართ ფრენჩმენსბენდში, ჯეფერსონში გატარებულ ბოლო თვრამეტ წელზე აღარაფერს ვამბობ. ყველა ხვდებოდა, რომ ფლემ სნოუპსი სასწაულებიდან შორს იდგა და მათ ნაღდი ფული ერჩია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელმოწერილი, თუნდაც ჯვარდასმული ქაღალდი. ჰოდა, როცა ეს ყველაფერი დასრულდა: იულა მოკვდა, დე სპეინი სამუდამოდ წავიდა ჯეფერსონიდან, ფლემი ბანკის პრეზიდენტი გახდა და საცხოვრებლად დე სპეინების აღდგენილ საგვარეულო სახლშიც გადავიდა, ლინდა კი თავის ნიუიორკელ ქმართან ერთად ესპანეთში საბრძოლველად გაემგზავრა, და როდესაც იურისტმა ყველაფერი მიამბო, რაც იცოდა, – ეს არცთუ ბევრი აღმოჩნდა, – ჩემი ყველა ვარაუდი დადასტურდა. ვინაიდან, მშვენიერი ელენას შვილებს მემკვიდრეობით მისი გულუხვობის ნაწილი ხომ გადაეცემოდათ, თუნდაც დედობრივი საგანძურის მემილიონედი ნაწილი ერგებოდათ, რათა ის ადამიანებისთვის გაეზიარებინათ. ახალგაზრდა მაკკერონის მემკვიდრეობაზე აღარაფერს ვამბობ: მართალია, იგი

საკმარისად მაგარი ვერ გამოდგა და ძლივს გაართვა თავი პირველ შეტაკებას ნაკადულის გადაღმა ხიდთან, ამ გამოცდაზე წასასვლელი გამბედაობა და შეუპოვრობა აღმოაჩნდა. ასე რომ, აშკარაა – ფლემმა წინასწარ იცოდა, რომ ქალთან ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლის შეთავაზება არ დასჭირდებოდა. იცოდა, რომ სწორედ ის უნდა გაეკეთებინა, რაც გააკეთა: ანაზდად დასხმოდა თავს, რის შემდეგაც ქალი მოტყდა და სამი თვე ეჩვეოდა იმას, რომ ყველაფერი დასრულდა, შემდეგ კი ეთქვა: „მოდი,მოვრიგდეთ. თუ აღმოსავლეთის შტატებში სასწავლებლად წასვლაზე უარს იტყვი, შეგიძლია, ოქსფორდის უნივერსიტეტში შეხვიდე". მიმიხვდით? მისთვის ის შეეთავაზებინა, რასაც მისგან არაფრით ელოდა: მათი ნაცნობობის მთელი ამ თოთხმეტი-თხუთმეტი წლის განმავლობაში, ქალს არც კი დაესიზმრებოდა, რომ მას ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეეძლო.

შემდეგ აპრილის ის დღეც დადგა. ახალი წლიდან ქალიშვილი უკვე უნივერსიტეტში, ოქსფორდში სწავლობდა. მე სწორედ როკიფორდში მივდიოდი, – მისის ლედბეთერისთვის ახალი საკერავი მანქანა მიმქონდა, – როდესაც ფლემმა მოედანზე გამაჩერა და მთელი სამოცი ცენტი შემომთავაზა, რათა ის წამით უორნერის ფარდულში შემეტანა. როგორც ჩანს, ძალიან ეჩქარებოდა, რადგან სამოც ცენტს მთავაზობდა, არადა, ფოსტალიონი მას უფასოდ მიუტანდა; როგორც ჩანს, საიდუმლო საქმე იყო, რახან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა არ სურდა: არც ფოსტალიონის ღია ეტლით, რომელიც მუქთად იქაც მიიტანდა და უკანაც წამოიღებდა, თუმცა ამას მთელდღეს მოანდომებდა, არც დაქირავებული ავტომობილით, რომელსაც უორნერის ჭიშკრამდე მისასვლელად ერთი საათიც არ დასჭირდებოდა.

დიახ, როგორც ჩანს, სასწრაფო და საიდუმლო საქმე იყო, თორემ ბებერი უილ უორნერი გრიგალივით არ შეიჭრებოდა სიძე-ქალიშვილის ქალაქში მდებარე სახლში მეორე დილას, ჯერ კიდევ გათენებამდე, და არ იბობოქრებდა (რამაც ყველა მეზობელი გააღვიძა), სანამ ვინმე (ცხადია, იულა) არ შეაჩერებდა. კვლავ მოგვიწევს ზოგიერთი ცნობილი ფაქტის შეპირისპირება: ჯერ ერთი, ეს ფრენჩმენსბენდის ის სახლი იყო, რომელიც უილმა ფლემს მისცა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ის არაფერი ღირდა, სანამ ფლემმა მე, ოდემ ბუქრაიტსა და ჰენრი არმსტიდს არ მოგვყიდა (იმ ნამდვილი ვერცხლის დოლარების ჩაუთვლელად, ფლემმა ბუჩქებში რომ ჩაფლა, რათა ჩვენ – ან სხვა რეტლიფებს, ბუქრაიტებსა და არმსტიდებს, ვინც კი იქნებოდა – ისინი იქ გვეპოვა). მეორე – ბანკის პრეზიდენტის თანამდებობა: ვიცოდით, რომ ფლემმა მას თვალი ჯერ კიდევ მაშინ დაადგა, როდესაც იგი მანფრედ დე სპეინმა მიიღო პოლკოვნიკ სარტორისისგან. დაბოლოს, ეს გოგონა, ლინდა, რომელსაც უკვე მიეღო დედისგან მემკვიდრეობით მისი გულუხვობა, ახლა კი ისეთი მდიდრული საჩუქარიც ერგო, როგორსაც ვერასდროს წარმოიდგენდა და ვერც მიხვდებოდა, როგორ სჭირდებოდა, სანამ ასე მოულოდნელად არ ჩაუვარდა ხელში.

აღმოჩნდა, რომ იმ დღეს ფლემმა ფრენჩმენსბენდში ლინდას ანდერძი წაიღო. შესაძლოა, როდესაც ლინდა, როგორც იქნა, გონს მოეგო და გააცნობიერა, რომ წასვლის ნება დართეს, რისი იმედიც უკვე გადასწურვოდა, – მართალია, ოქსფორდზე შორს არა, – შესაძლოა, როდესაც გამოერკვა და მიხვდა, ამის ნება ვინ დართო, მისგან დავალებულად ყოფნა არ ისურვა.

თუმცა მაინცდამაინც ვერც ამას ვიჯერებ. მთავარი აქ გულუხვობისა და გულკეთილობის ის წვეთი კი არაა, ელენასგან მის შვილს რომ ერგო წილად, – არც ისე ბევრი, ვინაიდან საკუთარ თავში ელენას შვილიც კი ატარებდა სხვა, უფრო ჩვეულებრივ მემკვიდრეობას: ცნობილია, რომ არც ელენას უჩნდება ბავშვები თავისით. ლინდას კი მხოლოდ გაცემა არ სურდა. უნდოდა, ვინმეს დასჭირვებოდა, რათა არა მხოლოდ ჰყვარებოდათ და ნდომოდათ, არამედ ვინმესთვის აუცილებელი გამხდარიყო. და შესაძლოა, სწორედ მაშინ, ცხოვრებაში პირველად, იგრძნო, რომ რაღაც ჰქონდა, სხვა ადამიანისთვის არა ოდენ საჭირო, არამედ აუცილებელიც.

ჰოდა, ადგა და ანდერძი შეადგინა. იულამ ეს, ცხადია, იურისტს შეატყობინა. სავარაუდოდ, ამის შესახებ ლინდას თვითონ ფლემმა მიანიშნა – ეს რთული სულაც არ იქნებოდა. თუმცა ბოლომდე არც ეს მჯერა. ამის თქმა არც დასჭირდებოდა: საკმარისად კარგად იცნობდა ლინდას, რათა მისი იმედი ჰქონოდა, ისევე, როგორც ქალი იცნობდა მას საკმაოდ კარგად, რათა მის განზრახვას ჩასწვდომოდა. ლინდამ ეს თვითონ მოიფიქრა, როდესაც მიხვდა, რომ სანამ ის საღსალამათი იყო და ფლემ სნოუპსი ერქვა, მას ჯეფერსონიდან არასდროს, არაფრის დიდებით არ გაუშვებდა. და სასოწარკვეთილი, სრულიად უმწეოდ ეკითხებოდა საკუთარ თავს: „კი მაგრამ, რატომ? რატომ?" – სანამ თვითონვე არ უპასუხა ამ შეკითხვას და, თუმცა პასუხი, შესაძლოა, კრიტიკას ვერ უძლებდა, მაშინ ის ხომ ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო, შემდეგ კი – ჩვიდმეტის, და ამ თექვსმეტსა და ჩვიდმეტ წელს შორის უეცრად მიხვდა: კაცს მხოლოდ ფული უყვარდა. როგორც ჩანს, ლინდამ მანფრედ დე სპეინის შესახებაც იცოდა რაღაც. ჯეფერსონი სიდიდით არ გამოირჩეოდა, თუმცა სხვა ქალაქშიც იგივე ვითარება იქნებოდა. აღარაფერს ვიტყვი ზღვაზე, მთაში თუ სადმე სხვაგან გატარებულ ზაფხულის ორ-სამ კვირაზე, როდესაც მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე – აბა, ვინ, თუ მიხვდებით? – მათი ძველი, ჯეფერსონელი მეზობელი, რომელიც, „შემთხვევით", საკუთარ შვებულებას სწორედ იმავე დროს, სწორედ იქ ატარებდა. სხვა რა უნდა ეფიქრა ქალს? „ის მხოლოდ ჩემი და დედაჩემის საშუალებით ცდილობს ბაბუას ფულის მოხელთებას და მიაჩნია, რომ თუ მისგან წავალ, ასე ორივეს დაგვკარგავს, რომ დედაც წავა და დე სპეინს მისთხოვდება, და ბაბუას ფული მისთვის სამუდამოდ გაქრება".

და უეცრად ეს კაცი, რომელმაც თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში იმ აზრს მიაჩვია, რომ ამქვეყნად ფულის გარდა არაფერი უყვარდა და ზედმეტი დოლარის მისაღებად ყველაფრის გაკეთება შეეძლო, ეს კაცი უეცრად, სრულიად ძალდაუტანებლად, ისე, რომ სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, ეუბნებოდა: „თუ გინდა, შეგიძლია, სასწავლებლადწახვიდე. ოღონდ თავდაპირველად იცხოვრე სახლთან ახლოს, ვთქვათ, ოქსფორდში". ამით თითქოს ამბობდა: „ვცდებოდი. აღარასოდეს ჩავერევი შენს ცხოვრებაში, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამით საკუთარ თავს ბაბუაშენის ფულის მიღების ყოველგვარ იმედს ვუკარგავ!"

რისი გაკეთება შეეძლო ქალს, გარდა იმისა, რაც გააკეთა, და თითქოს მიუგო: „თუ მხოლოდ ახლა მიხვდით, რომ ჩემი ცხოვრება ბაბუას ფულზე უფრო მნიშვნელოვანია, ამის თქმა თქვენთვის დიდი ხნით ადრეც შემეძლო.ორი წლის წინათ რომ გეთქვათ, უბრალოდ, მეშინიაო, მაშინვე

დაგამშვიდებდით". როგორც კი ოქსფორდის უნივერსიტეტში შევიდა, ადვოკატს მიაკითხა (ეს თვითონ იურისტმა მიამბო) და ნაჩუქრობის ბარათი შეადგინა, რომლის მიხედვითაც, ყველაფერს, რაც ბაბუისგან და დედისგან დარჩებოდა, თავის მამას, ფლემ სნოუპსს გადასცემდა. ბუნებრივია, ეს საქციელი კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ მას ხომ მხოლოდ თვრამეტი წელი შესრულებოდა და სულ ეს ჰქონდა, რისი გაცემაც შეეძლო, თანაც მიაჩნდა, რომ ვიღაცას ეს ძალიან სჭირდებოდა, ვიღაცას ძალიან სურდა, ამასთან მხოლოდ ერთ რამეში იყო დარწმუნებული: ბებერ უილ უორნერს ცივი ოფლი დაასხამდა, როდესაც ფლემი მას ამ ნაჩუქრობის ბარათს ანახვებდა.

ერთი სიტყვით, დილის ათ საათზე მანქანა ფარდულთან კი არ გავაჩერე, სადაც იმ დროს უილი იჯდა, არამედ მისი სახლის ჭიშკართან, დაველოდე, სანამ ფლემი გამოვიდოდა, სახლამდე მივიდოდა, იქ, როგორც ვვარაუდობდი, მიზ უორნერს შეხვდებოდა, გამობრუნდებოდა, ჭიშკრიდან გამოვიდოდა და კვლავ ჩემს „პიკაპში" ჩაჯდებოდა. მიზ უორნერი, ალბათ, მხოლოდ ღამის ორ საათზე გამართული ოჯახური საუზმობისას გაიხსენებდა ან გაბედავდა ბებერი უილისთვის მათი სიძის მიერ დატოვებული ქაღალდის ჩვენებას. და უკვე გამთენიისას უილმა მთელი ქუჩა ააფორიაქა, სადაც სნოუპსები ცხოვრობდნენ: მანამ ღრიალებდა ფლემის სახლში, სანამ იულამ არ დააშოშმინა. სწორედ იმ დროს კი, როდესაც ჩვენი განებივრებული ჯეფერსონელები, ჩვეულებრივ, სასაუზმოდ სხდებოდნენ, სახლში მანფრედ დე სპეინიც მობრძანდა. მისმა მოსვლამ ყველაფერი გადაწყვიტა. ფლემმა ერთხელ უკვე გააცურა უილ უორნერი ფრენჩმენსბენდის სახლ-კართან დაკავშირებით, ერთხელაც საქმე ისე შემოატრიალა, რომ უილი აიძულა, მანფრედ დე სპეინი ბანკის პრეზიდენტად, თვითონ კი ვიცე-პრეზიდენტად დაენიშნა, ახლა კი ფლემმა მესამეჯერ ყველაფერი ისე გააიმასქნა, რომ უორნერის შვილიშვილმა რატომღაც მის სასარგებლოდ განაცხადა უარი უორნერების ნაღდი კაპიტალის იმ ნახევარზე, რომელზეც ფლემს აქამდე ხელი არ მიუწვდებოდა. ამჟამად ფლემს მხოლოდ ის უნდოდა, რომ მანფრედ დე სპეინს გადადგომა ეღიარებინა და ბანკის პრეზიდენტი თვითონ გამხდარიყო. ცხადია, ამის გაკეთებას ჩუმად, წინდახედულად, გაუხმაურებლად ამჯობინებდა, რათა უილ უორნერს, ასე ვთქვათ, შინაურულად შეეთავაზებინა მანფრედისთვის ბანკიდან წასვლა, ლინდას ქაღალდის სანაცვლოდ. ამაზე ყველა უნდა წასულიყო და ყველა წავიდოდა კიდეც - ოღონდ არა მანფრედ დე სპეინი. სწორედ ის აღმოჩნდა დაბრკოლება: როგორც ჩანს, იულას, მის გარდა, ყველასთან შეეძლო გამკლავება. შესაძლოა, დე სპეინს მართლა გამოემუშავებინა ეს ნაიარევი იმით, რომ ჩვენი დროშა კუბაში, რომელიღაც ბორცვზე აღმართა და ფორტს თუ ქვემეხს დაეუფლა. შესაძლოა, მას სახე ნაჯახით გაუჩეხეს ბანქოს თამაშისას, როგორც ამაზე ჯერ კიდევ მაშინ, წინასაარჩევნო კამპანიისას მიანიშნებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ნაიარევი სახეზე ჰქონდა და არა ზურგზე, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ ვინმემ თავში ტყვიაჩასხმული კოჭი ჩაარტყა და გონდაკარგულს ჯიბეები დაუსუფთავა, მაგრამ ამის მიღწევას რევოლვერის ან სხვა რამის მუქარით ვერც რომელიმე სნოუპსი შეძლებდა და ვერც რომელიმე სულიერი დედამიწის ზურგზე.

მათ შორის იულაც, რომელიც ყველას გაუმკლავდებოდა, მანფრედის გარდა. ბებერ უილსაც დააშოშმინებდა, მაგრამ მანფრედს გაჩუმებას ვერ აიძულებდა. არადა, მან ხომ თითქმის ცხრამეტი წელი შესწირა ოჯახისა და იმ სახლის

შექმნას, სადაც ლინდა ისე გაიზრდებოდა და იცხოვრებდა, რომ ვერასდროს იტყოდა: „სხვა ბავშვებს აქვთ ის, რაც მე არა მაქვს", და იულას ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა გადაეწყვიტა: „რას ვამჯობინებდი თვრამეტი წლის გოგონას ადგილას: ყველას გაეგო, რომ დედაჩემმა თავი მოიკლა, თუ ყველას ბოზის სახელით მოეხსენიებინა და გაეკიცხა?" და მეორე დღეს უკვე მთელმა ჯეფერსონმა იცოდა, რომ წუხელ იულა ქალაქის ცენტრში მივიდა, კოსმეტიკის კაბინეტს ეწვია, – რაც ადრე არასდროს გაუკეთებია, ეს არ სჭირდებოდა, – თავი დაიბანა, თმა დაიხვია, ფრჩხილები გაიპრიალა და შინ წავიდა. იქ, ალბათ, ივახშმა, ყოველ შემთხვევაში, ვახშმობისას მაგიდასთან იჯდა, ვინაიდან საღამოს თერთმეტი საათისთვის რევოლვერი აიღო, საფეთქელზე მიიდო და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

მომდევნო დილას იურისტი და მისი და ოქსფორდში გაემგზავრნენ ლინდასთან და სახლში წამოიყვანეს. საუბედუროდ, შემთხვევით, ეს ყველაფერი მის დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე მოხდა, როცა მას ცხრამეტი წელი უსრულდებოდა. ფლემმა, რომელმაც ნაჩუქრობის ქაღალდი მიიღო, გადაწყვიტა, რომ ის დაუყოვნებლივ უნდა ეჩვენებინა უილ უორნერისთვის, როგორც დაინტერესებული პირისთვის. უილს კი, ცხადია, იმავე დღეს, ქაღალდის ნახვიდან ორი საათის შემდეგ, ასეთი ხმაური და ყვირილი არ უნდა აეტეხა. შეეძლო, ორი კვირა ან თუნდაც ერთი თვე მოეცადა, მას ხომ არავინ აჩქარებდა – ფლემი, ალბათ, იმდენ ხანს მოიცდიდა, რამდენიც საჭირო იქნებოდა.

დანარჩენზე იურისტმა იზრუნა: დაკრძალვა მოაწყო, ფრენჩმენსბენდში კაცი აფრინა მიზ უორნერისა და იმ მოხუცი მეთოდისტი მღვდლის ჩამოსაყვანად, რომელმაც იულა მონათლა, ახლა კიუკანასკნელ გზაზე უნდა გაეცილებინა. ბუნებრივია, დაქვრივებულ მეუღლეს ვერავინ მოსთხოვდა, რომ დროებით დაევიწყებინა თავისი უბედურება და ყოველდღიური საქმისთვის მიეხედა. ამასთან, ზრდილობის გულისთვის, რაღაც დრო უნდა მოეცადა და ბანკის საქმეების გადმოსაბარებლად მომზადებულიყო, ვინაიდან მანფრედ დე სპეინს თვითონ ჩაელაგებინა საკუთარი ნივთები და ჯეფერსონი დაკრძალვის დასრულებისთანავე დაეტოვებინა. შემდეგ, ფლემმა კვლავ მოიცადა ზრდილობის გულისთვის, – ოღონდ ცოტა დიდხანს, ვინაიდან ბანკი სახლისგან განსხვავდებოდა, ის ვერ მოიცდიდა, რადგან ნაღდ, ნამდვილ ფულთან ჰქონდა საქმე, – და დე სპეინის მდიდრულ სახლში გადასასვლელად მზადებას შეუდგა, ვინაიდან დე სპეინი აშკარად არ აპირებდა ჯეფერსონში დაბრუნებას თავისი, შეიძლება ითქვას, ბოლო, უორნერების გამო განხორციელებული მოგზაურობიდან, და რატომ უნდა ყოფილიყო ცარიელი ასეთი კარგი, მყარი და ლამაზი სახლი. ის კი, ეს სახლი თუ სასახლე, ცხადია, ფლემსა და უილ უორნერს შორის დადებულ სავაჭრო გარიგებაში შედიოდა და უორნერის ბანკის აქციებს ამ საფინანსო რონდოზე, „ზაფხულის ღამის სიზმარზე" ცვლიდა, რომელიც ლინდამ ოქსფორდელი ადვოკატის დახმარებით შეადგინა და ხელიც მოაწერა. ისიც აღსანიშნავია, რომ ბებერმა უილმა იურისტი ლინდასა და მისი კაპიტალის მეურვედ დანიშნა, ასე რომ, ახლა ეს ფული ფლემისგან დაცული იყო, სანამ ეს უკანასკნელი რამე ისეთს არ მოიგონებდა, რასაც თვით იურისტიც კი ირწმუნებდა. იურისტი კი უილმა იმიტომ დანიშნა, რომ უმისოდ ვერაფერს გახდებოდა: იურისტი არა მხოლოდ ფულთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდა, არამედ ყელამდე ჩაეფლო

მათში, თუმცა, წყლის იმ ხოჭოების მსგავსად, გაშმაგებით რომ აწყდებიან აქეთ-იქით დამყაყებული ტბორის ზედაპირს, მშრალი და სუფთა დარჩა.

ახლა იურისტი საფლავის ქვით იყო დაკავებული, რომლის დადგმაც ფლემს გადაეწყვიტა. ის იტალიაში შეუკვეთეს, მაშასადამე, უნდა დალოდებოდნენ. იურისტი ძალისხმევას არ აკლებდა საქმის დასაჩქარებლად, რათა ლინდას მალე მოეხერხებინა გამგზავრება, ვინაიდან, ფლემის გადაწყვეტილებით, გოგონას შვილისთვის სავალდებულო წესები უნდა დაეცვა და მოეცადა, სანამ დედამისის საფლავზე ამ ქვას აღმართავდნენ. თუმცა ეს ქვა კი არა, ნამდვილი ძეგლი იქნებოდა: იურისტმა არა მხოლოდ ფრენჩმენსბენდი და ჯეფერსონი გადააქოთა, არამედ მთელი იოკნაპატოფის ოლქიც, იულას ყოველ ფოტოსურათზე ნადირობდა, ყველაფერს მიაგნო, რაც არსებობდა და იტალიაში გადაგზავნა, რათა იქ მარმარილოსგან იულას სახე გამოეკვეთათ. მაშინღა მივხვდი – ყველაზე გამბედავი ასეთი მორიდებული და წყნარი კაცი იყო, თუ ის გადაწყვეტდა, რომ მისი ზნეობრივი საფუძველი და პრინციპი ისეთი ქმედებისკენ მოუწოდებდა, რასაც საკუთარი თავისა და ინტერესის გულისთვის ვერასდროს გაბედავდა, არასდროს ეყოფოდა თავხედობა, იმ სახლებში მისულიყო, სადაც იულას იცნობდნენ, ვერც იქ, სადაც თუნდაც საბავშვო ფოტოაპარატი ჰქონდათ, რათა ოჯახური ალბომები ეფურცლა, ყველაზე ინტიმური ფოტოსურათები გადაერჩია, თანაც თავაზიანად, კეთილშობილურად, იმ ადამიანის სახით, რომელსაც ვერაფრით ეტყვით: „არ შეიძლება“ ან თუნდაც „არა, გეთაყვა, ხელი არ ახლოთ!“

ახლა რასაც უნდოდა, იმას გააკეთებდა. ვინაიდან კმაყოფილი და ბედნიერი იყო – ხვდებით? ახლა არაფერი აშფოთებდა. იულა წავიდა, საბოლოოდ დამშვიდდა. მასაც შეეძლო დაწყნარება: აღარასდროს მოუწევდა, როგორც პოეტმა თქვა, „სიმწრისგან თითები ეკვნიტა“, იმის გაუთავებელ მოლოდინში, რომ კიდევ ვინმე გამოჩნდებოდა მაკკერონის ან დე სპეინის სახელით. ლინდა სამუდამოდ გადაურჩა ფლემს, თვითონ კი, იურისტი, როგორც მეურვე, სრულად განკარგავდა ფულს, რომელიც ქალიშვილმა დედისა და ბაბუისგან მიიღო და ახლა შეეძლო, იქ გამგზავრებულიყო, სადაც მოისურვებდა, ცხადია, მას შემდეგ, რაც თავისი დაჟინებულობისა და სიჯიუტის წყალობით, თავისას გაიტანდა და უცხოელი ოსტატები მარმარილოსგან იულას სახის გამოკვეთას მეორედ მოსვლამდე ან ღვთის სამსჯავრომდე მოასწრებდნენ. სწორედ ამ მიზნით შეაგროვა ქალის ყველა ფოტოსურათი, იტალიაში გაგზავნა და ელოდებოდა, როდის მოუვიდოდა მათგან დაწყებული სამუშაოს ნახატი ან სურათი, რათა შეემოწმებინა, სწორად აკეთებდნენ მას თუ არა. ამიტომაც მეძახდა ხოლმე რჩევისთვის თავის სამსახურებრივ კაბინეტში, სადაც მაგიდაზე, სპეციალური ლამპის ქვეშ, ყველაზე ბოლო იტალიური ნახატი ან ფოტოსურათი ედო, და მეუბნებოდა:

– აი, აქ, ყურთან (ან ნიკაპთან, ან პირთან), აი, აქ, ხედავთ, რაზე გელაპარაკებით?

– ვფიქრობ, ყველაფერი სწორადაა, ძალიან ლამაზია, – ვპასუხობდი მე.

– არა. აქ ისე არაა. აბა, ფანქარი მომეცით.

ზოგჯერ ფანქარი უკვე ხელში ეჭირა, მაგრამ რადგან ხატვა არ იცოდა, შლიდა და ხელახლა იწყებდა. და თუმცა დრო გადიოდა, ფოტოსურათი უკან იგზავნებოდა. ფლემი და ლინდა უკვე შესახლებულიყვნენ დე სპეინის სახლში, ფლემს ავტომობილიც შეეძინა, თუმცა ტარება არ შეეძლო, სამაგიეროდ, მისი ქალიშვილი ახერხებდა ამას კარგად, ოღონდ მასთან ერთად ხშირად არ დადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა. ოქტომბერიიდგა. იურისტმა შემატყობინა, სასაფლაოზე ძეგლის გახსნა დღეს საღამოს შედგებაო. ეს წინასწარ გავაგებინე მის ძმისშვილს, ჩიკს,რადგან იურისტმა საკუთარი თავი ისეთ მშვიდ და წყნარ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ შესაძლოა, ორივენი სასწრაფოდ დავჭირვებოდით. ასე რომ, იმ დღეს ჩიკი სკოლაში აღარ წავიდა და სასაფლაოზე სამივენი იურისტის ავტომანქანით გავემგზავრეთ. იქ ლინდა და ფლემი დაგვხვდნენ. ისინი ამ უკანასკნელის ავტომობილით ზანგ მძღოლს მიეყვანა, რომელსაც ქალიშვილი აქედან მემფისამდე უნდა მიეცილებინა და ნიუ-იორკისკენ მიმავალ მატარებელზე დაესვა. ჩემოდნები უკვე მანქანაში მოეთავსებინათ. ფლემი სავარძლის საზურგეს მიჰყრდნობოდა, მისი შავი შლაპა ახლაც კი, ხუთი წლის შემდეგ, უადგილოდ მოჩანდა. იჯდა და ყბებს ამოძრავებდა. მის გვერდით მოკალათებულ ლინდას მუქი სამგზავრო კაბა ეცვა და პატარა შლაპა ეხურა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, მუხლებზე დადებული თეთრხელთათმნიანი ხელები მოემუშტა. და, აჰა – თეთრი ძეგლი გახსნეს. მართალია, სახე მკვდარი ქვისგან გამოეკვეთათ, ეს ის სახე იყო, რომელიც ყოველ ყმაწვილს აიძულებდა, არასდროს, სიბერემდეც კი არ დაეკარგა იმის რწმენა და იმედი, რომ ამ სახის გამო შესაძლოა, სიკვდილის წინ განეცადა ყველა უბედურება და მწუხარება და იქნებ აღსასრულიც ეპოვა. ზემოთ ფლემის მიერ შერჩეული წარწერა იკითხებოდა:

„პატიოსანი ცოლი – ქმრის გვირგვინია

მისი შვილები იზრდებიან და დედას მადლიერებით იხსენებენ".

ბოლოს ფლემმა თავი ფანჯარაში გაყო, გადააფურთხა და თქვა:

– კარგი, დავიძრათ.

დიახ, სერ, ახლა იურისტი თავისუფალი იყო. შესაშფოთებელი აღარაფერი ჰქონდა: მე, ის და ჩიკი პირდაპირ მისი სამსახურებრივი კაბინეტისკენ გავემართეთ. გზაში განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ, საყოველთაო პროგრესის შესაბამისად, ფეხბურთის გათანამედროვებაც შეიძლებოდა, რისთვისაც საკმარისი იყო, ყოველი მოთამაშისთვის თითო ბურთი მიეცათ, რათა ყველას თანაბრად მიეღო მონაწილეობა თამაშში, ანდა ერთი ბურთი დაეტოვებინათ, მოედნის საზღვრები კი გაეუქმებინათ, ასე რომ, ყველაზე ეშმაკ მოთამაშეს შეეძლო, ბურთი პერანგქვეშ დაემალა, ბუჩქებში ედურთა თავი, ქალაქში ეხეტიალა, პატარ-პატარა ქუჩებით მისულიყო კართან და სანამ შეამჩნევდნენ, გოლიც გაეტანა. როდესაც მივედით, თავის კაბინეტში მაგიდას მიუჯდა, თავისი ერთ-ერთი ჩიბუხი აიღო და მას სამი ღერი ასანთი დაახარჯა. ჩიკმა გამოართვა, მაგიდაზე მდგარი თუნუქის ქილიდან ამოღებული თამბაქოთი გატენა და იურისტს მიაწოდა, რომელმაც „დიდი მადლობაო", თქვა. იმავ წამს გატენილი ჩიბუხი ნაგვის კალათაში ჩაუვარდა, მაგრამ ყურადღება არ

მიაქცია, გულხელი დაიკრიფა და დაუსრულებლად შეუდგა ლაპარაკს, სანამ ჩიკს არ ვუთხარი:

– მიხედე, ახლავე დავბრუნდები, – და ქუჩაში გავედი. დრო ცოტა მქონდა, ამიტომ მხოლოდ ერთი პინტი რაღაც სისაძაგლე ვიყიდე – ალკოჰოლის მოვალეობას შეასრულებდა. კარადიდან შაქარი, ჭიქა და კოვზი გამოვიღე, პუნში მოვამზადე და მაგიდაზე წინ დავუდე. მან მხოლოდ კვლავ „დიდი მადლობაო".

ჭიქას არც შეხებია, გადაჭდობილი ხელები წინ დაეწყო და თვალებს შეუჩერებლივ ახამხამებდა, თითქოს რაღაც ჩავარდნოდა, და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა:

– ჩვენი, ანუ ცივილიზებული ხალხების, ცივილიზაცია სათავეს დისტილაციის (დისტილაცია – გამოხდა, თხევადი ნარევის დაყოფა შედგენილობით განსხვავებულ ფრაქციებად) პრინციპის აღმოჩენიდან იღებს. და თუმცა დანარჩენ სამყაროს, ყოველ შემთხვევაში, მის იმ ნაწილს, რომელსაც აშშ ეწოდება, მიაჩნია, რომ ჩვენ, მისისიპის მკვიდრნი, კულტურის ყველაზე დაბალ საფეხურზე ვდგავართ, მაგრამ ვინ შეძლებს უარყოს, რომ ჩვენც ვარსკვლავებისკენ მივისწრაფვით, მიუხედავად იმისა, რომ რასაც ახლა დავლევ, შესაძლოა, მართლა ისეთი სისაძაგლე აღმოჩნდეს, როგორსაც ველი. რატომ გააკეთა მან ეს, ვ.კ.? ყველაფერი, რაც გააჩნდა, – მისი არსება, ის, როგორც მოძრაობდა, სუნთქავდა, ცხოვრობდა, – ეს ყველაფერი ვალად ჰქონდა მიცემული და მათი განადგურების უფლება არ ჰქონდა, არც საკუთარი თავის დაღუპვა და მოსპობა შეეძლო, ვინაიდან არც ის იყო მისი. იგი ძალიან ბევრს ეკუთვნოდა, ჩვენ გვეკუთვნოდა. მაშ, რატომ, ვ.კ., რატომ?

– იქნებ ყველაფერი მოჰბეზრდა, – ვთქვი მე.

– მოჰბეზრდა, დიახ, მობეზრდა, – გაიმეორა მან და მაშინვე ატირდა, – დიახ, უყვარდა, სიყვარული, სიყვარულის ჩუქება და მიღება უყვარდა. ორჯერ სცადა და ორჯერ იწვნია მარცხი, მაგრამ არა მხოლოდ საკმარისად ძლიერ მამაკაცს ვერ მიაგნო, რომელიც მის სიყვარულს დაიმსახურებდა, არამედ საკმარისად გამბედავსაც, რომელიც მას მიიღებდა. დიახ, – თქვა მან, თან წელგამართული იჯდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, თუმცა სულში სიმშვიდეს დაებუდებინა და ამქვეყნად აღარაფერი არსებობდა, რაც მას აწუხებდა ან აშფოთებდა, – დიახ, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოჰბეზრდა.

თავი მეშვიდე

ვ. კ. რეტლიფი

მაშასადამე, ახლა თავისუფალი იყო. იგი არა მხოლოდ თავისი კარგი გოგოსგან გათავისუფლდა, არამედ მეურვეობისგანაც, რომელიც, როგორც შეიტყო, მან უანდერძა. ვინაიდან ვამბობ:

– გრინიჩ-ვილიჯი?

ის კი ამბობს:

– დიახ, პატარა ადგილია გეოგრაფიული საზღვრების გარეშე, თუმცა მისთვის ეს ნიუ-იორკში იქნება, სადაც ოთხმოცდაათ წლამდე ყველა ასაკის ახალგაზრდა ოცნებების საპოვნელად მიდის.

ამ დროს მე ვეუბნები:

– ასეთი ადგილის მოსაძებნად მისისიპიდან გამგზავრება არაფერში სჭირდებოდა. – შემდეგ კი ვუთხარი, რომ იულას თვითონ უნდა ეთქვა, აუცილებლად უნდა ეთქვა მისთვის და, ალბათ, უთხრა კიდეც იმ დღეს: – რატომ არ მოიყვანეთ ცოლად?

– იმიტომ, რომ ის ცხრამეტი წლისაც კი არ იყო, – მპასუხობს ის.

– თქვენ კი უკვე ოცდათხუთმეტის, არა? – ვამბობ მე, – ყველა გაზეთი მხოლოდ იმ გოგონებზე წერს, რომლებიც ჯერაც თოჯინებით თამაშობენ, ცოლად კი სამოც და სამოცდაათ წელს გადაცილებულ მოხუცებს მიჰყვებიან, ცხადია, თუ ჯიბეში ფული უჭყავით.

– არა, იმის თქმა მინდა, რომ მას წინ ძალზე ბევრი დრო აქვს, მე კი მას შესაძლოა, კიდევ ბევრჯერ დავჭირდე, რა იცით, რა მოხდება ცხოვრებაში. არადა, რამდენს წერენ გაზეთები იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც დაქორწინდნენ, მაგრამ იცოდნენ, რომ ოდესღაც შესაძლოა, სხვა შეჰყვარებოდათ.

– ოჰ, – ვამბობ მე, – მაშასადამე, ახლა ისღა დაგრჩენიათ, რომ იქ იჯდეთ, სადაც საერთაშორისო ტელეფონის ხმა ისმის ან სადაც დეპეშების დამტარებელი ადვილად მოგაგნებთ. ვინაიდან, არა მგონია, დაელოდოთ, როდის დაბრუნდება მისისიპიდან. თუ დაელოდებით?

– რა თქმა უნდა, არა, – ამბობს, ის, – რატომ უნდა დაბრუნდეს?

– მაშასადამე, მადლობა ღმერთს? – ვეკითხები. მან არ მიპასუხა, – თუმცა, ვინ იცის, – ვამბობ მე, – იქნებ უკვე მიაგნო თავის ოცნებას ამ... რამდენი დღე გავიდა? ორი? სამი? იქნებ ის უკვე ელოდებოდა, როდესაც იქ ჩავიდა. ეს ხომ სრულიად შესაძლებელია იქ, გრინიჩ-ვილიჯში, არა?

მან ჩემი სიტყვები გაიმეორა:

– დიახ, – ამბობს ის, – მადლობა ღმერთს.

მაშასადამე, ახლა თავისუფალი იყო. და მართლაც, თუ კარგად დავუკვირდებით, სხვა არაფერი დარჩენოდა, წყნარად, მშვიდად და უზრუნველად ცხოვრების გარდა. ვინაიდან არა მხოლოდ ის, არამედ მთელი

ჯეფერსონიც, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდა სნოუპსებისგან. პირველად ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჯეფერსონსა და მთელ იოკნაპატოფის ოლქში, სნოუპსების კუთხით, ერთგვარი შტილი დადგა. რადგან, როგორც იქნა, თითქოს ფლემიც დაკმაყოფილდა, როგორც იქნა, ის სავარძელი დაისაკუთრა, რომელზეც ვაჭართა და ფერმერთა ბანკის ყველა პრეზიდენტი იჯდა მას შემდეგ, რაც პირველმა პრეზიდენტმა, პოლკოვნიკმა სარტორისმა, ეს ბანკი ოცი წლის წინათ დააარსა. გარდა ამისა, იგი სწორედ იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც ბანკის მეორე პრეზიდენტი დაიბადა, ასე რომ, ახლა, როდესაც ბანკის ფულს სეიფში კეტავდა და შინ მიდიოდა, მარტოდმარტო, მშვიდად, წყნარად და უზრუნველად ცხოვრების მეტი არაფერი დარჩენოდა, ვინაიდან იგი, ჯერ ერთი, ქალიშვილისგან გათავისუფლდა, რომელიც წლების განმავლობაში დაძაბულობაში ამყოფებდა – ვაითუ ისეთ ადგილას გაქცეულიყო, სადაც თვალყურს ვერ მიადევნებდა, პირველივე შემხვედრ ყმაწყვილს ცოლად მოეყვანა და მას, ფლემს, უორნერების ფულის მისი წილი დაეკარგა; მეორე ის, რომ ცოლისგანაც გათავისუფლდა, რომლის ურთიერთობაც მანფრედ დე სპეინთან შესაძლოა, ნებისმიერ წუთს გამჟღავნებულიყო, რაც მას ძვირად დაუჯდებოდა: უორნერების დარჩენილ კაპიტალსაც დაკარგავდა და ბანკის მართვის აქციების საკონტროლო პაკეტსაც.

ახლა ფლემი, ფაქტობრივად, ჯეფერსონში დარჩენილი ერთადერთი სნოუპსი იყო. მოხუცი ები ყოველთვის მთაში ცხოვრობდა, სულ ცოტა, ორი მილის დაშორებით, საიდანაც წყალსაწნევი კოშკიც კი ძლივს მოჩანდა – იქ ჯერ კიდევ 1910 წელს დასახლდა და მას შემდეგ ძვრა აღარ უქნია. ოთხი წლის წინათ იქიდან ი.ო. მოიშორა და სამუდამოდ ფრენჩმენსბენდში მიუჩინა ადგილი. მანამდე კი ფლემმა მონტგომერი უორდი მიაბრძანა პარჩმენში, სადაც უკვე იმყოფებოდა მინკი (სხვათა შორის, მინკს ჯეფერსონში არც უცხოვრია, მან იქ მხოლოდ რამდენიმე თვე გაატარა ციხეში, როდესაც ელოდებოდა, რომ სამუდამო კატორღას მიუსჯიდნენ). შარშან იქ ის ოთხი ნახევრად სნოუპსი ინდიელი მიაბრძანეს, რომლებიც ბაირონ სნოუპსმა – პოლკოვნიკ სარტორისის ყოფილმა კლერკმა, სამსახურიდან მარტივი და მოხერხებული გზით რომ გადადგა: იმდენი თანხა ჩაიჯიბა, რამდენის წაღებაც შეძლო და აშშ-ის უახლოესი საზღვარი გადაკვეთა – ფლემს მექსიკიდან ფასდადებით გამოუგზავნა. მათ დიდხანს ახლოსაც ვერავინ ეკარებოდა,რათა მოეხერხებინა და მათთვის ბეჭედდარტყმული იარლიყი „გადახდილია" ჩამოეკიდებინა, სანამ ის, რომელსაც დასაკეცი დანა ჰქონდა, მას მუცელს არ გამოუფატრავდა. რაც შეეხება ეკის ვაჟიშვილებს – უოლსტრიტ პანიკასა და მის ძმას, ადმირალ დიუის, ისინი ნამდვილი სნოუპსები არც იყვნენ, ვინაიდან უოლსტრიტი აშკარად ერთზეოცნებობდა – საბითუმო საბაყლო საქმე არა სნოუპსისამებრ, არამედ აღმაშფოთებლად წაეყვანა, კერძოდ, ყველასთვის ზუსტად იმდენი მიეყიდათ, რამდენიც მას სჭირდებოდა, და ზუსტად იმ თანხად, რის გადახდასაც აპირებდა.

დიახ, ის თითქმის დაკმაყოფილდა. ფლემსა და მის ახალ საცხოვრებელს ვგულისხმობ. ჩვეულებრივი სახლი იყო, ორსართულიანი, გალერეით, სადაც მაიორ დე სპეინს, მანფრედის მამას, ჯდომა უყვარდა, როცა არ თევზაობდა, არ ნადირობდა და სასამართლო საქმეებს არ იხილავდა. ვაჭართა და ფერმერთა ბანკის მეორე პრეზიდენტიც კარგად ცხოვრობდა ამ სახლში, ძირითადად იმიტომ, რომ იქ დაიბადა. მაგრამ მესამე პრეზიდენტი სხვებს არ ჰგავდა. ის პრეზიდენტის სავარძლამდეც და ამ სახლამდეც გაცილებით

გრძელი გზით მივიდა. ალბათ, ხვდებოდა კიდეც, რომ ძალიან შორიდან მოუწია იქამდე მოსვლამ, სადაც ახლა იმყოფებოდა, და გზაშიც არაერთი დაბრკოლება შეხვდა; ვინაიდან პოლკოვნიკი სარტორისი სიმდიდრესა და პატივში დაიბადა, პატივისცემა გაჩენის დღიდან არც მანფრედ დე სპეინს აკლდა, თუმცა სიმდიდრე თვითონ მოიხვეჭა. მას კი, ფლემ სნოუპსს, თვითონ მოუხდა ორივეს მოპოვება, ასე ვთქვათ, მტკიცე, შეუვალი და გაჯიუტებული კლდიდან მათი ამოფხოჭნა, მოგლეჯა და გათრევა, თანაც არა უბრალოდ შიშველი ხელებით, არამედ მხოლოდ ცალი ხელით, რადგან მეორე შიშველი ხელით თავი უნდა დაეცვა, სანამ იმას ფხოჭნიდა და გლეჯდა, რაც სჭირდებოდა. ასე რომ, ფლემისთვის საკმარისი არ იყო ჩვეულებრივად ცხოვრება იმ სახლში, სადაც მანფრედ დე სპეინის დანახვას მიჩვეოდა ის ხალხი, რომლებსაც ბანკში ფული შეჰქონდათ, სახლში, სადაც ეს უკანასკნელი ყოველ საღამოს ბრუნდებოდა ბანკიდან მათი თანხის საიმედოდ ჩაკეტვის შემდეგ, და საიდანაც დილაობით გამოდიოდა, როცა ამ ფულის შესანახი სეიფების გახსნა იყო საჭირო. არა, ახლა ეს სახლი, სადაც საღამოობით ფლემი შევიდოდა, და საიდანაც დილაობით ბანკში წასასვლელად გამოვიდოდა, იმ არისტოკრატთა და წარჩინებულთა განადგურების ხილულ სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო, რომელთაც არა მხოლოდ ზედმეტი სიამაყე ახასიათებდათ, რათა სხვისი ფული ბოროტად გამოეყენებინათ, არამედ ეს არც სჭირდებოდათ.

ასე რომ, ჯეფერსონში ახალი სნოუპსი გამოჩნდა. არა, ვერ ვიტყვით, რომ იგი ფრენჩმენსბენდიდან გადმოასახლეს, ის მხოლოდ დროებითი სარგებლობისთვის შემოიყვანეს. ეს გახლდათ უოთ სნოუპსი, დურგალი, რომლის სრული სახელიც ასე ჟღერდა: „ფირმა უოტკინს სნოუპსი". ოდესღაც სიტყვები „ფირმა უოტკინსი" მეაფთიაქე მიკსის ფურგონის ორივე მხარეს ეწერა, რომელიც დაპატენტებულ წამლებს დაატარებდა, ასე რომ, სნოუპსებს შორის ისეთიც იყო, ვისაც დაბეჭდილი ტექსტის წაკითხვა შეეძლო, თუმცა, შესაძლოა, ხელით დაწერილს ვერ კითხულობდა.

ყველა, ვინც მომდევნო ცხრა-ათი თვის განმავლობაში ამ ქუჩაზე შემთხვევით ან განზრახ ჩაივლიდა, ხედავდა, როგორ მუშაობდა უოთი ნათესავებისა და მოყვრებისგან შემდგარ თავის არტელთან ერთად, როგორ ანგრევდა მაიორ დე სპეინის გალერეას და როგორ ადგამდა სახლს უკანა ფასადს, როგორ ამოჰყავდა სვეტები მიწიდან მეორე სართულის სახურავამდე, და, მიუხედავად იმისა, რომ სახლი მეორედ შეღებვის შემდეგაც ვერ შეედრებოდა მაუნთვერნონს (მაუნთვერნონი - აშშ-ის პირველი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის (1732-1799 წწ.) მამული) , საბედნიეროდ, მაუნთვერნონი ჩვენგან ათასი მილით იყო დაშორებული და მოშურნეებსა და არაკეთილმოსურნეებს ამ ორი სახლის შედარების შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

მოკლედ, როდესაც საღამოობით ბანკს კეტავდა და შინ ბრუნდებოდა, ფლემს შეეძლო ისეთ სახლში შესულიყო, რომელიც იმ ადამიანებს, ვის ფულსაც ის ინახავდა, შურს ოდნავ აღუძრავდა, თუმცა ისინიც კი, ის მოშურნეებიც, ამაყობდნენ მისით, იწონებდნენ მას, და ყველა მეანაბრე მშვიდად წვებოდა დასაძინებლად - იცოდნენ, რომ მათი ფული სრულად და სრულიად უსაფრთხოდ ინახებოდა. ახლა ფლემიც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო: მას ზანგებიც კი ემსახურებოდნენ - მზარეული ქალი და მეკარე, იგივე მძღოლი, ვინაიდან მისი ერთადერთი ქალიშვილი, რომელმაც მანქანის ტარება

იცოდა, მასთან ერთად აღარ ცხოვრობდა, თუმცა საჭესთან დაჯდომა თვეში მხოლოდ ორჯერ უწევდა, ისიც იმიტომ, რომ აკუმულატორი არ დამჯდარიყო, თორემ, როგორც ფირმის წარმომადგენელმა აუხსნა, ახლის დაყენება მოუწევდა.

მაგრამ მხოლოდ სახლი შეიცვალა და გარდაიქმნა, ფლემი კი – არა. სახლი, რომელშიც იგი საღამოს ოთხი საათისთვის შედიოდა და საიდანაც დილის რვა საათზე გამოდიოდა, სოლიდურად, არისტოკრატიულად, ალექსანდრ ჰამილტონის, აარონ ბურის, ასტორის, მორგანის, ჰარიმანისა თუ ჰილის (ალექსანდრ ჰამილტონი (1755-1804 წწ.) – ამერიკელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და იურისტი; აარონ ბური (1756-1836 წწ.) – ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი 1801-1805 წწ.; ასტორი, მორგანი, ჰარიმანი, ჰილი – XIX-XX საუკუნეებში: ამერიკის ბურჟუაზიული არისტოკრატიისა და მაგნატების წარმომადგენლები) , ერთი სიტყვით, მყარი და საიმედო კაპიტალდაბანდებების ოქროს დამცველების, საგვარეულოსიმბოლოსავით გამოიყურებოდა, მაგრამ ადამიანი, რომელსაც ამ სახლის კარში მის მიერ შენახული ფულის მფლობელები ხედავდნენ, კვლავაც ისე, ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, როგორც ბოლო ოცი წლის განმავლობაში: ჯერაც ის მისამაგრებელი პეპელა-ჰალსტუხი ამშვენებდა, რომელიც ფრენჩმენსბენდიდან ჩამოსვლისას ჯორებშებმულ საზიდავზე შემოსკუპებულს ეკეთა. მხოლოდ შლაპა ჰქონდა სხვა, ახალი, თუმცა ის ძველი მაუდის კეპიც, – უორნერების ნოქრისთვის სრულიად შესაფერისი, მაგრამ ბანკის პრეზიდენტისთვის მიუღებელი, – მან ის ძველი კეპიც არ გადააგდო და, ცხადია, არც გააჩუქა, არამედ გაყიდა, მართალია, მხოლოდ ათ ცენტად, მაგრამ ათი ცენტიც ხომ ფულია, ახლა კი ყველა მეანაბრე, რომლებსაც თავისი ფული მისთვის ბანკის ვიცე-პრეზიდენტობისას მიებარებინათ, უყურებდა მის შლაპას და იცოდა, რომ, მიუხედავად მისი ფასისა, ის მას ათი ცენტით იაფი დაუჯდა. მთავარი ის კი არ იყო, რომ ფლემი საკუთარ თავთან დაკავშირებით ყოველგვარ ცვლილებას ეწინააღმდეგებოდა: მას შეცვლა ზუსტი გათვლის გამო არ სურდა – ვინაიდან მაინცდამაინც იმ ადამიანს კი არ ენდობი, რომელიც შენს ნდობას ყოველთვის ამართლებდა, არამედ იმას, ვისაც შესანიშნავად ესმის, – ეს კი გამოცდილებით იცი, – როდის გადაგიხდიან წმინდა მოგებიდან და როდის – ზარალის დროს.

სახლიც მხოლოდ გარედან ენახათ, ზღურბლამდე. იმის მიღმა კი ფლემი კარს მეორე დილის რვა საათამდე კეტავდა. იგი არასდროს იწვევდა თავისთან ვინმეს და ვერც ვერავის მოეფიქრებინა იქ შესვლის საბაბი, ასე რომ, სახლს შიგნიდან მხოლოდ მზარეული ქალი და მეკარე ხედავდნენ. სწორედ მეკარემ მიამბო ყველაფერი: სადარბაზო ოთახებში ყველაფერი ისე დაეტოვებინათ, როგორც თავის დროზე დე სპეინებს გადაეწყვიტათ, მხოლოდ ის საკონდიტრო ნაკეთობები მიემატებინათ, რომლებიც, ავეჯის სახლის მფლობელის რჩევით, იულას მემფისში შეეძინა, ვინაიდან, წესისამებრ, ასე აწყობდნენ ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ბინას. თუმცა ფლემი ამ ოთახებში არასდროს შედიოდა. იგი მხოლოდ სადილობდა სასადილო ოთახში, შემდეგ კი ან ეძინა, ან სახლის უკანა ნაწილში მდებარე პატარა ოთახისკენ მიემართებოდა და მთელი საღამო იქ ისე იჯდა, როგორც ბანკში მდგარ ტრიალა სავარძელში: ფეხები ბუხრის ფიცარზე მიებჯინა, შლაპა თვალებზე ჩამოეწია და არც კითხულობდა და არც არაფერს აკეთებდა, მხოლოდ სიცარიელეს ღეჭავდა, რაც თამბაქოს

გადაგდების შემდეგ დაეწყო. ჯეფერსონში ჩამოსვლის შემდეგ საღეჭ რეზინზე გადავიდა, მალე ისიც გადააგდო: როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ადამიანებს ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ძალიან მდიდარი ეგონათ – რომელსაც შეეძლო, საერთოდ არაფერი ეღეჭა. მეკარის თქმით, უოთ სნოუპსს ჟურნალში სურათი ენახა, თუ როგორ შეიძლებოდა ბუხრისთვის ძველებური სახის მიცემა სვეტების დაყენებით, ძერწვითა და მოჩუქურთმებით. თავდაპირველად ფლემი იჯდა და ფეხები ბუხრის თეთრ ფიცარზე მიებჯინა, ლურსმნებისგან კი ფეხსაცმლის ლანჩებზე ნაკაწრი ყოველდღიურად ღრმავდებოდა. მაგრამ ერთხელ, სახლის გადაკეთების დასრულებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, უოთ სნოუპსი სადილობისთვის მოვიდა. როდესაც ამ საქმეს მორჩა და წავიდა, რაღაც მიზეზის გამო ამ ოთახში შესულმა მეკარემ ყველაფერი დაინახა: ეს – გამოწვევა ან ფლემის წარმოშობის უბრალო შეხსენება კი არ იყო, არამედ, როგორც ჭკვიანურად იტყვიან ხოლმე, თვითდამტკიცება, შესაძლოა, საკუთარი თავის გაფრთხილება: ძველებურად მოჩუქურთმებულ ბუხრის ფიცარზე, სწორედ იქ, სადაც ფლემი ფეხებს მიაბჯენდა ხოლმე, პატარა, შეუღებავი ხის თამასა მიეკრათ.

ოდესღაც ბანკის პირველი პრეზიდენტი, პოლკოვნიკი სარტორისი, თავისი წინაპრების სახლიდან ბანკამდე მისასვლელ ოთხ მილს ეტლით ფარავდა, რომელშიც ერთნაირი ფერის წყვილი ცხენი შეებათ, კოფოზე კი ტილოს ლივრეასა და პოლკოვნიკის ძველ ცილინდრში გამოწყობილი ზანგი იჯდა. მეორე პრეზიდენტი ცეცხლივით წითელი სარბოლო ემფ მანქანით მგზავრობდა, სანამ შავი „პაკარდი" არ იყიდა – მას თეთრქურთუკიანი და მძღოლისქუდიანი ზანგი ატარებდა. მესამე პრეზიდენტსაც ჰყავდა შავი ავტომობილი – ოღონდ არა „პაკარდი" – და ზანგი, რომელმაც მანქანის ტარება იცოდა, მაგრამ არც თეთრი ქურთუკი სცმია ოდესმე და არც მძღოლის ქუდი ჰხურებია, თანაც ეს პრეზიდენტი არასდროს მგზავრობდა სახლიდან ბანკამდე და ბანკიდან სახლამდე მანქანით, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. პირველი ორი პრეზიდენტი საღამოობით, ბანკის დაკეტვის შემდეგ, და კვირაობით მთელ ოლქს შემოივლიდა ხოლმე, პირველი – ეტლით, მეორე – შავი „პაკარდით", და მებამბეთა ფერმებს ათვალიერებდა, რომლებზეც ბანკს გირავნობის სიგელი გააჩნდა, ახალი პრეზიდენტი კი ასე არ იქცეოდა. იმიტომ კი არა, რომ არ სჯეროდა, რომ გირავნობის სიგელები ხელში ეჭირა. არა, ამაში ეჭვი არასდროს შეჰპარვია, არც ამის დაჯერების შეშინებია ოდესმე. მასში მისხალ გაუბედაობასა და ეჭვსაც არ დაებუდებინა. უბრალოდ, ჯერ აკვირდებოდა და სწავლობდა. ორი მეცნიერების ერთბაშად და სწრაფად დაძლევა, იმავდროულად, კი ფიქრი, რომ მხოლოდ ერთს ეუფლებოდა, – როგორ გამხდარიყო რესპექტაბელური, – არ სჭირდებოდა, ვინაიდან მეორე ჯერ კიდევ ფრენჩმენსბენდში აითვისა და აქ იმ ცოდნით ჩამოვიდა. იქ კი თავმდაბლობა ისწავლა, სწორედ ისეთი თავმდაბლობა, რომელიც ძალზე ძვირად ფასობს: საკუთარი თავის წინაშე თავმდაბლად აღიარება, რომ ჯერ ბევრი რამ არ იცი და არ გესმის, მაგრამ თუ მოთმინება გეყოფა და თავმდაბლად და დიდხანს დააკვირდები ყველაფერს, თანაც თუ შენ მიერ განვლილ გზას თვალს გადაავლებ, ყველაფერს გაიგებ. ჰოდა, ახლასაღამოობით და კვირაობით სახლში იჯდა, სადაც არავის ეპატიჟებოდა და, მაშასადამე, ვერავინ დაინახავდა, როგორ იჯდა ამ ტრიალა სავარძელში, საცხოვრებლად მოწყობილ ერთადერთ ოთახში, თავზე ჩამოფხატული შლაპით, და კვლავაც სიცარიელეს ღეჭავდა, ფეხები კი ძველებურ, მოჩუქურთმებულ ბუხარზე მიმაგრებულ, აღმაშფოთებლად შეუსაბამო, ვიწრო,

შეუღებავ ხის თამასაზე მიებჯინა, თამასაზე, რომელიც ჩარჩოში ჩასმულ გამოთქმებს ჰგავდა, – აი, ისეთს, კედელზე რომ ამაგრებენ იმ ოთახში, სადაც სხედან, ფიქრობენ და მუშაობენ, – მაგალითად, „გახსოვდეს სიკვდილი", ან „ღიმილით იცხოვრე", ან „იმუშავე", ან „ღმერთი სიყვარულია", რათა შენც შეხედო და მომსვლელებიც დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ ყურმოკვრით როდი იცი რაღაც განუსაზღვრელ ძალთა არსებობის ფაქტის შესახებ, რომლებსაც, შესაძლოა, ნაწილობრივ, უნდა უმადლოდე კიდეც იმ ყველაფრისთვის, რასაც მიაღწიე.

მაგრამ ეს თამასაც და სხვა ყველაფერიც მოგვიანებით გაჩნდა. ახლა კი იურისტმა თავისუფლება მიიღო. ბოლოს კი – ცხადია, ნიუ-იორკში ლინდას გამგზავრებიდან არა სამ, თუმცა არც სამას დღეში – ის, როგორც იტყვიან, სრულ თავისუფლებას ეღირსა. ფოსტაში რომ შევედი, ვესტიბიულში ფანჯარასთან იდგა და ხელში გახსნილი წერილი ეჭირა. ისე დაემთხვა, რომ ამ დროს იქ ჩვენ გარდა არავინ იყო.

– მას ბარტონ კოლი ჰქვია, – მეუბნება ის.

– რაო? – ვეკითხები, – ვის ჰქვია ასე?

– ვის და ოცნებას, – მპასუხობს.

– კოული? – კვლავ ვეკითხები.

– არა, – ამბობს, – თქვენ „კოულს" წარმოთქვამთ, მისი გვარი კი კოლია.

– აი, თურმე რა ყოფილა, – ვეუბნები, – კოლი. ვერ ვიტყვი, ძალზე ამერიკულად ჟღერს-მეთქი.

– თქვენი აზრით, ვლადიმერ კირილიჩია ნამდვილი ამერიკული სახელი?

ვესტიბიულში კვლავ არავინაა. რაც, როგორც გითხარით, სრულიად შემთხვევით მოხდა.

– ოჰ, დალახვროს ეშმაკმა! – ვამბობ, – უკვე ას ორმოცდაათი წელია მას შემდეგ, რაც წყეულმა იანკებმა კონგრესიდან ვირჯინიის მთებში გაგვასახლეს, რაც ყოველი თაობის ერთი რეტლიფი ნახევარ სიცოცხლეს თავისი სახელის დამალვას ანდომებს, ბოლოს კი ვიღაც აუცილებლად წამოროშავს მას ყველას თანდასწრებით. ალბათ, იულამ გამთქვა, არა?

– კარგი, – მეუბნება, – დაგეხმარებით ოჯახური სირცხვილის დამალვაში. ის კი, დიახ, ებრაელია. და, ალბათ, შესანიშნავი მოქანდაკე.

– ამიტომ? – ვეუბნები.

– შესაძლოა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ არა. ქალის გამო.

– ანუ თუკი ლინდა მას მისთხოვდება, ის კარგი მოქანდაკე გახდება?

– არა. ის, ალბათ, ახლაც საუკეთესო მოქანდაკეა, რახან მან აირჩია.

– მაშასადამე, გათხოვდა, – ვამბობ.

– რა? – კითხულობს ის, – არა, ხომ აგიხსენით, ახლახან გაიცნო-მეთქი.

– მაშასადამე, თქვენ ჯერ კიდევ არა ხართ... – კინაღამ ვუთხარი, უსაფრთხოდ არა ხართ-მეთქი, მაგრამ დროზე მოვეგე გონს: – ...დარწმუნებული. ეს კი ნიშნავს, რომ მას საბოლოოდ ჯერ არ გადაუწყვეტია.

– აბა, რას გეუბნებით, დალახვროს ეშმაკმა? დაგავიწყდათ, რა გითხარით შარშან, შემოდგომაზე? ცხოვრებაში ერთხელ და სამუდამოდ შეუყვარდება-მეთქი.

– ოღონდ თქვით – „განწირულია, რომ შეუყვარდესო".

– კარგი, რა, – ამბობს ის.

– მითხარით, ერთგულებისა და მწუხარებისთვის არის განწირულიო. უცებ რომ შეუყვარდეს და მაშინვე დაკარგოს, შემდეგ კი მთელი ცხოვრება უერთგულოს და იგლოვოს. მაგრამ ჯერ ხომ არ დაუკარგავს? კაცმა რომ თქვას, ჯერ არც არაფერი მიუღია. ასე არ არის?

– გითხარით, საკმარისია-მეთქი! – მეუბნება ის.

ეს დაახლოებით პირველი ექვსი თვის განმავლობაში მოხდა. ერთი წლის შემდეგ კი ფეხების მისაბჯენი სწორედ ის ხის თამასა ძველებური, მაუნთვერნონის მსგავსი ღუმლის ხელნაკეთ ფიცარზე გაჩნდა, – ისეთი უხეში, შეუღებავი თამასა, თითქოს პირდაპირ შეშის ხორიდან აუღიათო, – რომელიც სოფლის დურგალმა რესპექტაბელობის ყველაზე მიუვალი მთის, მატერჰორნის (მატერჰორნი – მთა ალპებში) მსგავს მწვერვალზე მიაჭედა – ალპინისტი ხვნეშის, ძალას იკრებს უკანასკნელი შტურმისთვის, – სიკვდილი ან გამარჯვება! – იქით მიფოფხავს, ცდილობს, ფეხი შედგას სანუკვარ ოცნებათა მიუვალ მთის მწვერვალზე, შემდეგ კი ამახინჯებს მას, ზედ საკუთარ სახელს, გამარჯვებულის სახელს ამოკვეთს. მაგრამ ის ასეთი არ იყო. მან აქაც თავისი თავმდაბლობა გამოამჟღავნა, ოღონდ არა აშკარად, თორემ საშინლად გაუნაწყენდებოდნენ ისინი, რომლებიც პატივს სცემდნენ მწვერვალზე ასვლის ალპინისტურ მცდელობას ვაჭართა და ფერმერთა ბანკის მეშვეობით. არა, მან ეს თამასა თავისთან, მყუდრო ადგილას მიამაგრა, როგორც საიდუმლო სამლოცველოს ან საკურთხეველს აგებენ: არა იმისთვის, რომ თავგანწირვით ჩაებღაუჭონ და ჯიუტად სცადონ მწვერვალზე ასვლა, არამედ ფეხების შემოსაწყობად, როდესაც ასვლისგან თავისუფალ დროს ისვენებ.

იმ დღეს ოფისის კიბეს ჩავუარე, როდესაც უეცრად კუთხიდან იურისტი გამოვარდა: როგორც ყოველთვის, ჯიბეებიდან ქაღალდები მოუჩანდა, ხელებიც ფურცლებით ჰქონდა სავსე. მას მუდმივად მხოლოდ ორმდგომარეობაში ვხედავდი: ან მეტ-ნაკლებად მშვიდად იჯდა, ან ისე დაქროდა, თითქოს მისთვის პერანგის შიგნით გავარვარებული მუგუზლები ჩაეყარათ.

– შინ გაიქეცით და გაემზადეთ, – მეუბნება, – დღეს საღამოს მემფისიდან ნიუ-იორკში მივემგზავრებით.

მის კაბინეტში ავედით და მაშინვე მეორე მდგომარეობაში გადავიდა. ქაღალდები მაგიდაზე დაყარა, ლანგრიდან თავისი ლერწმის ჩიბუხი აიღო და დაჯდა. როდესაც ჯიბეები მოიქექა ასანთის, თამბაქოს თუ სხვა რამის მოსაძებნად, იქაც ქაღალდები აღმოაჩინა და ისინიც მაგიდაზე მიმოფანტა, თვითონ კი სავარძელზე ისე გადაწვა, თითქოს თავისი წილი უკვე ყველაფერი ენახა და გადაეტანა და მომდევნო ასი წელი აღარაფერი მოხდებოდა.

– ახალმოსახლეობაზე, – მეუბნება.

– ალბათ, გინდოდათ გეთქვათ, ქორწილშიო, არა? ასე არ უწოდებენ, როცა მღვდელი თავის კუთვნილ ორ დოლარს იღებს?

არაფერი უთქვამს, იჯდა და ჩიბუხს ისეთი სახით აბოლებდა, თითქოს ოქრომჭედელია და საათის თავსახურავზე პლატინის მარცვალს ამაგრებსო.

– მაშასადამე, არ ქორწინდებიან, – ვეუბნები, – მაშასადამე, ისინი მხოლოდ, ასე ვთქვათ, ერთმანეთს უკავშირდებიან. ესეც მსმენია, სწორედ ამიტომაც უწოდებენ გრინიჩ-ვილიჯის ცდებს ოცნებებს: იქ შეგიძლიათ, გვერდიგვერდ გაიღვიძოთ და უახლოეს რეგისტრატურამდე თავქუდმოგლეჯით არ გაიქცეთ.

ის კი არც განძრეულა. მხოლოდ აიბურძგნა, მაშინვე, წამში, გაუნძრევლად. იჯდა ზღარბივით ერთიანად აბურძგნილი და ოდნავაც არ ირხეოდა, მხოლოდ ცივად და მშვიდად ლაპარაკობდა, ვინაიდან შესაძლოა, ზღარბსაც ჰქონდეს ცივი, მშვიდი და თავშეკავებული ხმა – მაშინაც კი, როდესაც ყველა ეკალს კარგად გამოაჩენს.

– კარგი, გავბედავ და მათი ურთიერთობის აღსანიშნავად ტერმინ „ქორწინებას“ გამოვიყენებ. წინააღმდეგი ხართ თუ აპროტესტებთ? იქნებ უფრო შესაფერისი განსაზღვრება მოიფიქროთ? ძალიან ცოტა დრო დარჩა. თუმცა, რაღა ცოტა, დრო საერთოდ აღარ დაგვრჩა. ახლანდელ ახალგაზრდობას დრო საერთოდ აღარ დარჩა, ვინაიდან მხოლოდ ოცდახუთ წელს მიუღწეველ სულელებს თუ სჯერათ ან აქვთ იმედი, რომ დრო ჩვენც გვეყოფა და ყველასაც, ვინც დღეს კიდევ ცოცხალია...

– განა ბევრი დროა საჭირო, რათა მღვდლის თანდასწრებით „დიახ“ თქვა, შემდეგ კი იმდენი გადაუხადო, რამდენიც ეკუთვნის?

– მე ხომ უკვე აგიხსენით, რომ ამის დროც არ არის, თუ ამქვეყნად მხოლოდ ოცდახუთი-ოცდაათი წელი გიცხოვრია.

– აი, თურმე რამდენი წლის ყოფილა, – ვეუბნები, – თავდაპირველად მხოლოდ ოცდახუთი თქვით.

მაგრამ მას უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა.

– მხოლოდ ერთი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც მათმა მამებმა, ბიძებმა და ძმებმა ის ომი დაამთავრეს, რომელსაც სამუდამოდ უნდა გაეწმინდა სახელმწიფო ორგანიზმი პარაზიტებისგან – იმ მემკვიდრეობითი მესაკუთრეებისგან, ადამიანთა ბედის იმ გამგებლებისგან, ახლახან რვა მილიონი ცოცხალი არსება რომ მოკლეს და დასავლეთ ევროპის ორმოცმილიანი ზოლი დაანგრიეს. და სულ რაღაც ათი-თორმეტი წლის შემდეგ იგივე ძველი ცინიკოსი საქმოსნები, რომლებსაც არც გვარ-სახელისა და სახის შეცვლით შეუწუხებიათ თავი, ახალ თანამდებობებსა და დემოკრატიული ლექსიკონიდან და დემოკრატიული მითოლოგიიდან ნასესხებ ლოზუნგებს ამოეფარნენ და კვლავ, თითქმის შეუსვენებლივ ერთიანდებიან ერთადერთი, წინასწარ განწირული სასოწარკვეთილი იმედის დასაღუპავად...

„ახლა იმათ ჩამოთვლას შეუდგება, ვინც პრეზიდენტ უილსონს (ვუდრო უილსონი – აშშ-ის პრეზიდენტი 1913-1921 წლებში) გული გაუტეხა და ერთა ლიგა დაღუპა", – გავიფიქრე მე, ის კი გაჩერებას არც აპირებდა.

– ერთი უკვე იტალიაში ზის, მეორე კი, გაცილებით უფრო საშიში – გერმანიაშია, რადგან მუსოლინის განკარგულებაში მხოლოდ იტალიელები არიან, იმ მეორეს კი გერმანელები ჰყავს. იმას, ვინც ესპანეთშია, მხოლოდ ის უნდა, რომ მას ჩვენ არ შევეხოთ – ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ საკმარისია თვალები კარგად დახუჭო და ყველაფერი თავისით გაივლის. რომ არაფერი ვთქვათ...

– რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, ვინც რუსეთშია, – ვთქვი მე.

– ...იმათზე, რომლებიც აქ, ჩვენთან სხედან: დიდებული სახელწოდებების მქონე ათასგვარი ორგანიზაცია, ღვთის სახელით რომ ერთიანდებიან მორალური და პოლიტიკური უწმინდურების წინააღმდეგ, ყველას წინააღმდეგ, ვინც კანის ფერით, რელიგიით, რასით განსხვავდება: კუ-კლუქს-კლანი, „ვერცხლისფერი პერანგები" (გასამხედროებული, ფაშისტური მიმდინარეობის ორგანიზაცია აშშ-ში) , არც ადგილობრივი ქომაგები დაგავიწყდეთ, როგორიც ლუიზიანაში სენატორი ლონგია, მისისიპიში კი ჩვენი საყვარელი ბილბო, აქვე კი, იოკნაპატოფის ოლქში, უძვირფასესი სენატორი კლარენს ეგლსტოუნ სნოუპსი გვყავს...

– იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვინც რუსეთშია! – ვეუბნები მე.

– რაო? – კითხულობს ის.

– აჰა, გასაგებია. მაშასადამე, ის არა მხოლოდ მოქანდაკეა, არამედ კომუნისტიც.

– ვინ? – ვერ ხვდება ის.

– თქვენი ბარტონ კოლი, – ვუხსნი მე, – ისინი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არ დაქორწინდნენ, რომ ბარტონ კოლი კომუნისტია. შეუძლებელია, მას ეკლესიისა და ჯვრისწერის სწამდეს.ამის უფლებას არ მისცემენ.

– არა, მას კი უნდოდა, რომ ჯვარი დაეწერათ, – ამბობს იურისტი, – მაგრამ ლინდამ არ მოისურვა. – ახლა უკვე მე ვთქვი: „რაო?", ის კი

კვლავაც იჯდა, გულმოსული და ზღარბივით ჩხვლეტია, – არ გჯერათ? – მეკითხება.

– არა, მჯერა, – ვეუბნები, – მჯერა.

– ლინდას რაში სჭირდება ჯვრისწერა? რა ნახა კანონიერ ქორწინებაში, რომელსაც ცხრამეტი წლის განმავლობაში აკვირდებოდა? რატომ უნდა მოინდომოს იგივე?

– კარგი, – ვეუბნები, – დავუშვათ. თუმცა ამის დაჯერება მიჭირს. ის, რაც ადრე მითხარით, მჯერა – იმის შესახებ, რომ ცოტა დრო დარჩა. და რომ, როდესაც ახალგაზრდა ხარ, შესაძლოა, ბევრი რამის გჯეროდეს. როდესაც ახალგაზრდა ხარ და, იმავდროულად, მამაცი, შესაძლებელია, ყოველგვარი შეუწყნარებლობა გძულდეს და გწამდეს, რომ იმედი არსებობს, მაგრამ თუ ნამდვილად მამაცი ხარ, მოქმედებაც შეიძლება, – ის კვლავაც შემომცქეროდა, – თვითონაც მინდა, რომ ასეთი ვიყო.

– მაშასადამე, ქალი არა უბრალოდ ვინმეზე უნდა გათხოვდეს, არამედ ვისაც გნებავთ, მისთხოვდეს, ოღონდ ამას კანონიერი ქორწინების სახე ჰქონდეს. თქვენც ასე ფიქრობთ.

– არა, ამას არ ვამბობ, – ვეუბნები, – მინდა, მათნაირი ვიყო: შეურიგებელი, მჯეროდეს, იმედი მქონდეს და ვიმოქმედო ისე, როგორც საჭიროა. ნებისმიერ ფასად. თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს, რომ კვლავ ლინდასავით ოცდახუთ წელზე ნაკლების ვიყო, ან იმ კაცივით გრინიჩვილიჯელ მოქანდაკედ გადავიქცე.

– მაშასადამე, არ გჯერათ, რომ მას მხოლოდ ალერსი და ბედნიერება უნდა, როგორც ამას თვითონ უწოდებს?

– მჯერა, – ვეუბნები, – ბედნიერება ყველას უნდა.

მოკლედ, ამჯერად მასთან ერთად არ გავემგზავრე, მაშინაც კი, როდესაც ჩემი დაყოლიება სცადა.

– სისულელეა. წავიდეთ. შემდეგ სარატოგაში გავჩერდეთ და იმ ხრამს თუ მთას შევხედოთ, საიდანაც თქვენმა წინაპარმა, პირველმა ემიგრანტმა, ვლადიმირ კირილიჩ რეტლიფმა თქვენს მშობლიურ მიწაზე შემოაბიჯა.

– მაშინ რეტლიფი როდი ერქვა, – ვეუბნები, – ჩვენ არც კი ვიცით, რა იყო მისი გვარი. ნელი რეტლიფს, ვისზეც მან იქორწინა, მისი გვარის არათუ დაწერა, ალბათ, წარმოთქმაც კი უჭირდა. შესაძლოა, თვითონაც არ შეეძლო. თანაც, მაშინ ისინი რეტლიფები კი არა, რეტკლიფები იყვნენ. არა, ვეუბნები, არ წამოვალ. თქვენც საკმარისი ხართ. ჩემს მოწვევას, გიჯობთ, უფრო იაფი მოწმე იპოვოთ – მე ხომ არა მხოლოდ აქეთ-იქით მგზავრობის საფასური უნდა გადამიხადოთ. დღეში სამჯერაც უნდა მაჭამოთ.

– რისი მოწმე? – მეკითხება.

– მისი ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან მომენტში, როდესაც ქალიშვილი ოფიციალურად ან, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად აპირებს გაერთიანებას თუ ცხოვრებას რომელიღაც ჯენტლმენთან, ანუ, როგორც ამბობენ, საპირისპირო სქესის პირთან, თქვენ, ალბათ, იმისთვის მიემგზავრებით, რომ ორივეს აუხსნათ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის იგი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ვინ არ არის, ხომ ასეა? – შემდეგ ვეუბნები: – თუმცა მას უკვე ყველაფერი ეცოდინება.

ის კი მეუბნება:

– აბა, როგორ? განა შეეძლო მას ცხრამეტი წელი ფლემთან ერთად ერთ სახლში ეცხოვრა და დაეჯერებინა, რომ ის მამამისია, თუნდაც ეს დოკუმენტებით დასტურდებოდეს?

– თქვენ მისთვის არაფერი გითქვამთ, – ვეუბნები, შემდეგ კი განვაგრძობ: – არა, საქმე გაცილებით ცუდადაა. შესაძლოა, ამ საკითხმა მოულოდნელად შეაშფოთოს, შესაძლოა, თქვენთან მოვიდეს და გთხოვოთ: „სიმართლე მითხარით, ის მამაჩემი არაა, ხომ?", შესაძლებელია, ყოველთვის თქვენს იმედად იყოს და იცოდეს, რომ უპასუხებთ: „ცდები, ის მამაშენია", – ახლა თვალებში აღარ მიყურებდა, – როგორ მოიქცევით, თუ შეკითხვას პირიქით დაგისვამთ: „მითხარით, ვინ არის მამაჩემი?" – არა, თვალებში აღარ მიცქერდა, – მართალია, – ვთქვი მე, – ამას არასდროს გკითხავთ. ვფიქრობ, ტყუილუბრალოდ არ ხვდებოდა ყოველდღე გევინ სტივენსს და მშვენივრად ხვდება, რომ არსებობს ტყუილი, რომელსაც ისიც კი ვერ შეებრძოლება, – ახლა საერთოდ აღარ მიყურებდა, – ასე რომ, როგორც ჩანს, თქვენდამი მის ამ რწმენას ვერაფერს მოუხერხებთ, – ვეუბნები.

იგი ათი დღის შემდეგ ჩამოვიდა. გავიფიქრე – იმ მოქანდაკეს რომ მოეხერხებინა, მოულოდნელად ემოქმედა და ქალიშვილი საწოლიდან საკურთხეველთან ან რეგისტრატურაში მიეტყუებინა, სანამ გონს მოვიდოდა და მიხვდებოდა, სად მიიყვანეს, ის – იურისტს ვგულისხმობ – საბოლოოდ გათავისუფლდებოდა. შემდეგ კი მივხვდი, რომ ამაზე ფიქრიც კი სასაცილო იყო. როგორც კი ამ სულელური იმედების აბლაბუდა ჩამოვწმინდე, აღმოვაჩინე, რომ მრავალი წლის განმავლობაში ვხვდებოდი იმას, რასაც იულა მიხვდა, როგორც კი მას შეხედა: ის ვერასდროს გათავისუფლდებოდა, ვინაიდან მისი სიცოცხლე მხოლოდ ამისგან შედგებოდა და თუ ამას დაკარგავდა, აღარაფერი შერჩებოდა. მე მის უპირატეს უფლებაზე ვსაუბრობ, მის მისწრაფებაზე – მუდმივად აეღო საკუთარ თავზე სრული პასუხისმგებლობა ვინმეზე, ვინც არასდროს დაიღლებოდა, რათა ესპასუხისმგებლობა მისთვის დაეკისრებინა, მას კი, ჯილდოს სახით, ძვალსაც არ გადაუგდებდა. გამახსენდა, როგორ მითხრა მაშინ, ის სამუდამო ერთგულებისა და მონოგამიისთვისაა განწირული – ცხოვრებაში ერთხელ შეუყვარდება, მას დაკარგავს და სიცოცხლის ბოლომდე იგლოვებსო. მე კი მივუგე, რომ მშვენიერი ელენას ქალიშვილად ყოფნა იგივე იყო, რაც ვთქვათ, გადამდგარი რომის პაპი ან იაპონიის ყოფილი იმპერატორი: მომავალში ეს მას არაფერს მისცემდა.

ახლა მივხვდი, რომ თითქმის სიმართლე თქვა, ოღონდ სიტყვა „განწირული" იქ არ იდგა: იგი განწირული არ იყო, – ალბათ, არაფერი შეემთხვეოდა, –

განწირული ის იყო, ვისაც თავის ერთგულებასა და ერთადერთ სიყვარულს მისცემდა, და ის, ვინც საკუთარ თავზე სრულ პასუხისმგებლობას აიღებდა, სანაცვლოდ კი არაფერი უნდოდა და ძვალსაც კი არ ელოდა, – აი, ვინ იყო განწირული. შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის მას უფრო გაუმართლებდა, ვისაც დასაძინებლად დაწოლის წინ ან ლოგინიდან ადგომისას თავზე ჭერი დაემხობოდა.

ცხადია, ის გვარიანად შემახურებდა, სიტყვა რომ დამცდენოდა ამის შესახებ, ასე რომ, კეთილგონიერებამ გაჩუმება მირჩია. საბოლოოდ, მართლა შევიკავე თავი და მისთვის არაფერი მითქვამს: ჯერ ერთი, ვცდილობდი, იგი იშვიათად მენახა, მეორე კი ის, რომ ცდუნებას ისე ვებრძოდი, როგორც ეშმაკი, უფრო სწორად, როგორც იაკობი – ანგელოზს, და განა არსებობს კი ცოცხალი ადამიანისთვის იმაზე მეტი ცდუნება, ვიდრე ხელიდან შეგნებულად გაშვებული შესაძლებლობა, რომ შემდგომში განაცხადო: „აჰა, აბა, მე რას გეუბნებოდით?“ დრო კი მიდიოდა და მიდიოდა. ხის თამასა ფეხების მისაბჯენად უკვე მიაკრეს ბუხარს. იგი ზანგი მეკარის გარდა არავის უნახავს, მაგრამ ჯეფერსონში ამის შესახებ ლეგენდა გავრცელდა მას შემდეგ, რაც მან ეს მე მიამბო, მე კი, და, ალბათ, მანაც, შემთხვევით, რომელიმე მეგობარს მოვუყევით: ასე იზრდებოდა ლეგენდა სნოუპსზე, ასე ჩნდებოდა კიდევ ერთი ძეგლი ფლემისთვის, სხვა ძეგლების გვერდით, რომლებიც ჯერ კიდევ ელექტროსადგურზე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით აღიმართა – ჩვენ ვერ გავიგეთ, ამოიღეს თუ არა წყლის ბაკიდან ყველა დაკარგული სპილენძის ნაწილი, რომლებსაც იქ ფლემის მეფობის დროს ორი საშინლად შეშინებული ზანგი ცეცხლფარეში მალავდა.

აი, ოცდათექვსმეტი წელიც დადგა და დრო სულ უფრო და უფრო ცოტა რჩებოდა. მუსოლინი იტალიაში, ჰიტლერი გერმანიაში და, ცხადია, როგორც იურისტი ამბობდა, ის, მესამე, ესპანეთში. ერთხელ იურისტმა მითხრა:

– აბა, გაემზადეთ, ჩაალაგეთ თქვენი საკვოიაჟი. ხვალ დილას მემფისიდან მივფრინავთ, არა, არა, – მეუბნება ის, – ნურაფრის გეშინიათ, ახლა უკვე შეგიძლიათ მათი გაცნობა. ისინი ქორწინდებიან და ესპანეთში მიდიან რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად საბრძოლველად. ის მას, ალბათ, იმდენ ხანს ტანჯავდა და აწვალებდა, რომ ქალმა ბოლოს თქვა: „ოჰ, ჯანდაბა, იყოს, როგორც შენ გინდა!“

– მაშასადამე, ის ლიბერალური, თავისუფლად მოაზროვნე მოწინავე მხატვრების წრიდან არ არის, – ვეუბნები, – მაშასადამე, ჩვეულებრივი ნაცრისფერი ყმაწვილია, რომელსაც მიაჩნია, რომ თუ ქალიშვილთან დაწოლა ღირს, მაშინ მასზე მთელი ცხოვრება უნდა იზრუნოს, რათა ჭერიც ჰქონდეს თავზე, საჭმელიც და, შესაძლოა, ცოტა ჯიბის ფულიც.

– კარგი, – მეუბნება, – ეგრე იყოს!

– ოღონდ მატარებლით გავემგზავრებით, – ვეუბნები, – ფრენის არ მეშინია, მაგრამ როდესაც ვირჯინიას გავივლით, იმ ადგილის დანახვას შევძლებ, საიდანაც ჩვენმა პირველმა იმიგრანტმა, ვლადიმირ კირილიჩმა, შეერთებულ შტატებში შემოღწევა მოახერხა.

ჩემი საკვოიაჟით კუთხეში ველოდებოდი. როდესაც მოვიდა, მანქანის კარი გააღო და შემომხედა, შემდეგ კი, როგორც კინოში ამბობენ, წინა პლანზე გადმოინაცვლა და თქვა:

– ოჰ, ჯანდაბა!

– ჩემია, – ვეუბნები, – თვითონ ვიყიდე.

– თქვენ და ჰალსტუხი?! – მეუბნება, – ის არასდროს გკეთებიათ და, ალბათ, ცხოვრებაშიც არასდროს გქონიათ.

– თქვენ ხომ თვითონ მითხარით, – ვეუბნები, – იქ ხომ ქორწილია.

– მოიხსენით, – მეუბნება.

– არ მოვიხსნი, – ვპასუხობ.

– თქვენთან ერთად არ წამოვალ. არ მინდა, ერთად გვნახონ.

– არ მოვიხსნი, – ვიმეორებ, – ამას ხომ ქორწილისთვისაც კი არ ვაკეთებ. საქმე ისაა, რომ პირველად დამინახავს ის მხარე, საიდანაც პირველი ვ.კ. რეტლიფი გამოჩნდა. იქნებ მსურს, რომ მოვეწონო. იქნებ არ მინდა, რომ ჩემ გამო შერცხვეთ.

მოკლედ, მემფისში მატარებელში ჩავსხედით, მეორე დღეს კი ვირჯინია გავიარეთ – ბრისტოლი, როანოკი, ლინჩბერგი, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მოვუხვიეთ, ლურჯი მთების გასწვრივ. სადღაც წინ – ზუსტად არ ვიცოდით, სად – ის ადგილი იყო, სადაც პირველმა ვლადიმირ კირილიჩმა, როგორც იქნა, თავშესაფარს მიაგნო. თუმცა ისიც კი არ ვიცოდით, რა გვარს ატარებდა. შესაძლოა, არც ჰქონდა გვარი, სანამ მას ნელი რეტლიფმა – მაშინ რეტკლიფი იწერებოდა – არ მიაგნო. საერთოდ, ბევრი რამ არ ვიცოდით: როგორ აღმოჩნდა გერმანიის დაქირავებულ ჯარისკაცთა რიგებში, გენერალ ბერგოინის არმიაში, რომელიც სარატოგასთან დამარცხდა, ოღონდ კონგრესმა უარი თქვა იმ პირობებისშესრულებაზე, რაც დანებებას უძღოდა წინ, და მთელი ეს ბრბო მირეკ-მორეკა, და ისინი ექვსი წლის განმავლობაში დაეხეტებოდნენ ვირჯინიაში უფულოდ და ულუკმაპუროდ, ბევრიც, პირველი ვლადიმირ კირილიჩის მსგავსად, ენის ცოდნის გარეშე. მაგრამ მას არც ერთი დასჭირვებია, არც მეორე და არც მესამე, რათა არა მხოლოდ საჭირო დასახლებაში, არამედ სწორედ იმ სათივეზე აღმოჩენილიყო, სადაც მას ნელი რეტკლიფმა მიაგნო, როდესაც კრუხის საბუდარს თუ სხვა რამეს ეძებდა. სიტყვის უთქმელად ჭამდა ყველაფერს, რაც მისთვის ქალს ჩუმად მიჰქონდა. შესაძლოა, ფერმაში მუშაობის შესახებაც მაშინ გაიგონა პირველად, როდესაც ქალმა იგი, როგორც იქნა, თავისიანებს წარუდგინა. ცხადია, სულ რამდენიმე სიტყვა აღმოჩნდა საკმარისი მოვლენების განვითარებისთვის – იმ დღეს, როდესაც ქალიშვილის მამამ, დედამ, ძმებმა თუ, უბრალოდ, მეზობლებმა, დაინახეს, რომ მას მუცელი ეზრდებოდა, სწორედ იმ დღეს იქორწინეს მათ და იმ ვ.კ.-ს, როგორც იქნა, ნამდვილი კანონიერი გვარი გაუჩნდა – რეტკლიფი, მისი შთამომავალი ტენესიში გადასახლდა, მომდევნო – მისისიპიში, ოღონდ იმ დროისთვის ისინი უკვე რეტლიფად იწერებოდნენ; უფროს ვაჟს კი, მას

შემდეგ, თაობიდან თაობაში და დღემდე, ვლადიმირ კირილიჩს არქმევენ, და ისიც ნახევარ ცხოვრებას იმაზე ხარჯავს, რომ ეს ძეხორციელმა არ შეიტყოს.

მეორე დილას ნიუ-იორკში ჩავედით. ადრიანად, ჯერ შვიდი არ იქნებოდა. რატომღაც, ძალიან ადრე.

– ისინი, ალბათ, ჯერაც საუზმობენ, – ვეუბნები.

– დალახვროს ეშმაკმა! – ამბობს იურისტი, – ისინი ჯერ დასაძინებლადაც არ წასულან. აქ ნიუ-იორკია, იოკნაპატოფი არ გეგონოთ, – ამასობაში სასტუმროში მივედით, სადაც იურისტმა წინასწარ დაჯავშნა ნომერი. ოღონდ ერთი კი არა, სამი: სასტუმრო ოთახი და ორი საძინებელი. – შეგვიძლია, აქვე ვისაუზმოთ, – ამბობს ის.

– ვისაუზმოთ? – ვეკითხები.

– საჭმელს აქ მოგვიტანენ.

– ეს ნიუ-იორკია, – ვეუბნები, – საძინებელში, სამზარეულოში ან უკანა გალერეაში საუზმობას სახლშიც შევძლებ, იოკნაპატოფის ოლქში.

ასე რომ, ქვევით ჩავედით, რესტორანში. იქ კი ვეუბნები:

– აქ როდის საუზმობენ? მზის ჩასვლის შემდეგ ხომ არა? იქნებ ადგომისთანავე ჭამენ?

– არა, – მეუბნება, – ჩვენ კი ჯერ ერთი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. თუმცა არა – ორი საქმე, – ის კვლავაც შეჰყურებდა იმას, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ კრინტიც არ დაუძრავს მას შემდეგ, რაც ჯეფერსონში მანქანაში ჩავუჯექი. გამახსენდა, როგორ მითხრა ოდესღაც, ისეთ ჰავას, როგორიც ნიუ-იორკშია, მსოფლიოში ვერსად წააწყდები, მაგრამ ისეთი ამინდიც არსებობს, თითქოს ის სპეციალურად ნიუ-იორკისთვის მოიგონესო. იმ დღეს სწორედ ასეთი ამინდი იდგა: ადრეული შემოდგომისთვის დამახასიათებელი ნამძინარევი, ცისფერი, თბილი დილა, როდესაც გეჩვენება, რომ ცა თავისით ეშვება დედამიწაზე რბილი და ცისფერი ნისლის სახით, მაღალი შენობები კი მასში დაფრინავენ, უეცრად ჩერდებიან და მათი ყველა ზღვარი ქრება, გეგონებათ, მზე მათ ჩვეულებრივად კი არ ანათებს, არამედ თითქოს წკრიალებსო – ისე, როგორც სადენები მღერიან. შემდეგ კი ვხედავ – აი, ისიც: მაღაზია უშველებელი ვიტრინით, რომელშიც მხოლოდ ერთი ნივთია – ჩემი ჰალსტუხი.

– მოითმინეთ, – ვამბობ.

– არა, – მეუბნება, – ვითმენდი კიდეც, სანამ მას მხოლოდ ვაგონის გამცილებელი ხედავდა, ქორწილში კი ასე გამოჩენა არ შეიძლება.

– არა, მოითმინეთ! – ვეუბნები, ვინაიდან რაღაც უკვე მსმენოდა ნიუ-იორკის მყუდრო ქუჩებში განთავსებული მაღაზიების შესახებ, – თუ ამხელა ვიტრინას მხოლოდ ერთ ჰალსტუხს უთმობენ, მასში, ალბათ, სამ ან ოთხ დოლარსაც კი წაგვგლეჯენ.

– ვერაფერს ვიზამთ, – მეუბნება, – ეს ხომ ნიუ-იორკია. წავედით!

შიგნითაც არა უშავდა: მხოლოდ მოოქრული სკამები, შავ კაბებში გამოწყობილი ორი ქალბატონი და ერთი მამაკაცი – მას სენატორივით თუ არა, მღვდელივით ეცვა. იურისტს უბრალოდ, სახელით მიმართა. შემდეგ კაბინეტი მდებარეობდა, მაგიდაზე ყვავილებიანი ვაზა იდგა, მაგიდის იქით ტანდაბალი, მსუქანი, შავგვრემანი ქალი მოჩანდა – ისეთ კაბაში, როგორსაც არავინ იცვამდა, შეჭაღარავებული თმითა და შესანიშნავი, ულამაზესი, სულ ოდნავ გადმოკარკლული თაფლისფერი თვალებით. მან იურისტი გადაკოცნა, ის კი ეუბნება:

– მირა ალანოვნა, ეს ვლადიმირ კირილიჩია, – ქალმა შემომხედა და რაღაც ჩაილაპარაკა – რუსულად, ამას მაშინვე მივხვდი, იურისტი კი ეუბნება: – მხოლოდ თვალი შეავლეთ. მხოლოდ შეხედეთ, თუ გაუძლებთ, მე კი ვეუბნები:

– მერწმუნეთ, არც ისე ცუდია. ცხადია, მწვანეშერეულ ვარდისფერს წითლით გაწყობილი ყვითელი აჯობებდა, მაგრამ ...

ის კი მომმართავს:

– მაშასადამე, წითელშერეული ყვითელი მოგწონთ?

– დიახ, მემ, – ვეუბნები და განვაგრძობ: – კაცმა რომ თქვას... – გავჩუმდი, ის კი მეუბნება:

– დიახ, დიახ, გისმენთ.

მეც განვაგრძობ:

– არა, არაფერი. გავიფიქრე, რომ შეიძლებოდეს, იოცნებო, ჰალსტუხი წარმოიდგინო, შემდეგ იპოვო და გაიკეთო, ერთიანად წითელსწარმოვიდგენდი, მასზე კი თაიგულს, არა, ერთი მზესუმზირა აჯობებდა შუაგულში.

ის კი მეკითხება:

– მზესუმზირა?

იურისტი განმარტავს:

– ჰელიანტი, – შემდეგ კი ამატებს: – არა, არა. ტურნოსელი. ზონენბლუმე (ჰელიანტი, ტურნოსელი, ზონენბლუმე – მზესუმზირა სხვადასხვა ენაზე).

– მოითმინეთ, – ამბობს ქალი და მიდის, ახლა კი მე ვიწყებ ლაპარაკს:

– მოითმინეთ. ხუთდოლარიანი ჰალსტუხებიც კი ვერ აანაზღაურებს ამ მოოქრულ სკამებს, – ვეუბნები.

– გვიანაა! – ამბობს იურისტი, – მოიხსენით! – მაგრამ ქალის მიერ მოტანილი წითელი არ იყო, ზედ არც მზესუმზირა აღმოჩნდა. ბუსუსებიანს ჰგავდა. არა, ვცდები: ახლოდან ნახვისას ატამს ემსგავსებოდა, ხომ ხვდებით, რაც უფრო დიდხანს უყურებთ, თანაც თვალდაუხამხამებლად, სულ უფრო მეტად გეჩვენებათ, რომ ახლა ნამდვილ ატმად გადაიქცევა. მაგრამ, ცხადია, მსგავსი არაფერი ხდება. უბრალოდ, ისეთი ბუსუსები აქვს, ოქროსფერი, როგორიც მზენაკრავი ქალიშვილის ზურგს. – დიახ, – ამბობს იურისტი, – ახლა კი მისთვის თეთრი პერანგი აყიდვინეთ. მას თეთრი პერანგი არასდროს სცმია.

– არასდროს? – კითხულობს ქალი, – ყოველთვის ლურჯი, არა? აი, ასეთი, ღია ლურჯი, ხომ ასეა?

– მართალია, – ვადასტურებ.

– ეს როგორ ხდება? – მეკითხება, – ხუნდება? თუ რეცხვისგან ემართება?

– დიახ, – ვპასუხობ, – მე მათ ვრეცხავ, სულ ესაა.

– როგორ რეცხავთ? თვითონ რეცხავთ?

– ის მათ თვითონ კერავს კიდეც, – ამბობს იურისტი.

– დიახ, – ვამბობ, – მე ხომ საკერავ მანქანებს ვყიდი. არც კი მახსოვს, კერვა როგორ ვისწავლე.

– გასაგებია, – ამბობს ქალი, – აი, ეს თქვენ დღეისთვის. ხვალ კი სხვა იქნება. წითელი. მზესუმზირით.

შემდეგ ქუჩაში გავედით. ერთი სული მაქვს, ვთქვა, მოითმინეთ–მეთქი.

– ახლა ორივეს, ორის ყიდვა მოგვიწევს, – ვამბობ, – არა, სერიოზულად გეუბნებით. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, დამიჯერეთ, სრულიად სერიოზულად გეკითხებით. თქვენი აზრით, რა შეიძლება ღირდეს, მაგალითად, ის, რომელიც ვიტრინაშია გამოტანილი?

იურისტი კი თავისთვის მიდის, შეუჩერებლივ, ირგვლივ ბრბოა, ყველა აქეთ–იქით დარბის, ის კი აგდებულად, მხარზემოდან ამბობს:

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მას ასორმოცდაათდოლარიანი ჰალსტუხებიც აქვს. ეს კი, ალბათ, დაახლოებით, სამოცდათხუთმეტი...

თითქოს კეფაში მსუბუქად ჩამარტყეს. გონზე რომ მოვედი, ბრბოს დავცილებოდი, ვიდექი და რომელიღაც კედელს მივყრდნობოდი, ერთიანად ვკანკალებდი, იურისტი ხელით მიჭერდა.

– აბა, გაგიარათ? – მეკითხება.

– არაფერმაც არ გამიარა, – ვპასუხობ, – სამოცდათხუთმეტი დოლარი ჰალსტუხში? არაფრის დიდებით! არ შემიძლია!

– თქვენ ორმოცი წლის ხართ, – მეუბნება, – წელიწადში ერთი ჰალსტუხი უნდა გეყიდათ მას შემდეგ, რაც პირველად შეგიყვარდათ. ეს როდის მოხდა? როცა თერთმეტი წლის გახდით? თორმეტის? ცამეტის? იქნებ რვა ან ცხრა წლის ასაკში შეგიყვარდათ, როდესაც სკოლაში წახვედით – ცხადია, თუ თქვენი მასწავლებელი ქალი იყო და არა კაცი. მოდი, ოცი წლიდან დავთვალოთ. მაშასადამე, ოცი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ერთი დოლარი ჰალსტუხში. ოცი დოლარი გამოდის. ვინაიდან დაქორწინებული არა ხართ, არც არასდროს დაქორწინდებით და არც ახლო ნათესავები გყავთ, ვერავინ იზრუნებს თქვენზე ისე, რომ იმქვეყნად გაგისტუმროთ მემკვიდრეობით რამის მიღების იმედით. ერთი ორმოცდახუთი წელი კიდევ იცოცხლებთ. ეს კი უკვე სამოცდახუთი დოლარია. მაშასადამე, ალანოვნასგან ჰალსტუხის მიღება სულ რაღაც ათ დოლარად შეგიძლიათ. არ არსებობს დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელსაც ალანოვნასგან ჰალსტუხის ყიდვა ათ დოლარად შეეძლოს.

– არა, – ვეუბნები, – არაფრის დიდებით!

– კარგი, – მეუბნება, – მე მას გჩუქნით!

– ვერ მივიღებ! – ვპასუხობ.

– შესანიშნავია! იქნებ დავბრუნდეთ და ვუთხრათ, რომ ჰალსტუხი არ გჭირდებათ?

– ნუთუ ვერ ხვდებით, რომ მას ვერაფერს ვეტყვი?

– კარგი, კარგი, – მეუბნება, – წავიდეთ, ისედაც ვაგვიანებთ.

რომელიღაც სასტუმროში მივედით და მაშინვე ბარისკენ გავეშურეთ.

– სანამ მივსულვართ, – ვეუბნები, – იქნებ ამიხსნათ, ვის უნდა შევხვდეთ?

– არა, – მპასუხობს, – ეს ხომ ნიუ-იორკია. მეც მინდა ჩემი წილი სიამოვნების მიღება.

ერთი წუთის შემდეგ, როდესაც მივხვდი, რომ ის კაცი იურისტსაც თვალით არასდროს ენახა, გავაცნობიერე, ასე რატომ დაიჟინა ჩემთან ერთად გამგზავრება. თუმცა მაშინვე გავიფიქრე, რომ ამ შემთხვევაში იურისტს დახმარება არც დასჭირდებოდა – ხომ აახლოებს ადამიანებს წყენა, რომლითაც ვინმე ოცდახუთი წლის განმავლობაში იღვიძებს, როგორც, ალბათ, ის იღვიძებდა: ჩვეულებრივი, უბრალო, ბუნებრივი სევდით იმისგაფიქრებისას, რომ საერთოდ სჭირდებოდა გაღვიძება. ჰოდა, ვეუბნები:

– ეშმაკმა წამიღოს! გამარჯობა, ჰოუკ! – ვინაიდან ჩემ წინ სწორედ ის იდგა: შევერცხლილი საფეთქლებით, ისეთი სახე კი არ ჰქონდა, თითქოს სუფთა ჰაერზე ირუჯებოდა, არა, მდიდარი კაცივით გამოიყურებოდა, რომელიც სუფთა ჰაერზე ირუჯება. ამას ძვირფასი მუქი კოსტიუმისთვის თვალის შევლება არ სჭირდებოდა, არც ორი ლაქიის ფუსფუსი იმ მაგიდასთან, რომელსაც უკვე მისჯდომოდა და გველოდებოდა, – მაშასადამე, იურისტს იგი სადღაც დასავლეთში მოეძებნა და აქ მოეყვანა, ისევე, როგორც

მე მომიყვანა საგანგებოდ ამ დღეს. თუმცა არა, იურისტმა კი არ მოგვიყვანა მე და მაკკერონი აქ ათასი და ორი ათასი მილით დაშორებული ადგილებიდან, რათა სამივენი ერთმანეთს ნიუ-იორკის რესტორანში შევხვედროდით, ჩვენ აქ გოგონამ შეგვყარა, იმ გოგონამ, რომელსაც ერთ-ერთი ჩვენგანი ცხოვრებაში არასდროს ენახა, დანარჩენ ორს კი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ იცნობდა; გოგონამ, რომელმაც არა მხოლოდ არ იცოდა, არც აინტერესებდა ის, რომ დედამისისგან მემკვიდრეობით მიიღო საბედისწერო უნარი – ოთხი მამაკაცი ამ აბლაბუდით, ამ ერთადერთი კულულით დაება. ეს მან შეგვყარა ისე, რომ თითი არ გაუნძრევია, ოთხივენი – საკუთარი მამა, საკუთარი ქმარი, ადამიანი, რომელიც აქამდე მზად იყო, სიცოცხლეც კი გაეწირა დედამისის გულისთვის, თუკი ეს სიცოცხლე მას დასჭირდებოდა, დაბოლოს, მე, ოჯახის მუდმივი მეგობარი, – შეგვყარა, რათა სტატისტები ვყოფილიყავით იმ სცენაში, რომელშიც თვითონ იტყოდა „თანახმა ვარო" – როდესაც რატუშის სარეგისტრაციო ბიუროში მათი რიგი მოაღწევდა, სანამ გემზე ავიდოდნენ და ევროპისკენ აიღებდნენ გეზს, იქ კი იმას გააკეთებდნენ, რის გაკეთებასაც ამ ომში აპირებდნენ. მოკლედ, ერთმანეთს მე გავაცანი: – ეს იურისტი სტივენსია, ჰოუკ, – და ირგვლივ უკვე სამი ლაქია აფუსფუსდა (როგორც ჩანს, ძალიან მდიდარი იყო), რათა მაგიდასთან დავესხით.

– რას დალევთ? – ეკითხება იურისტს, – ვიცი, რაც ვ.კ.-ს უნდა: ბუშმილსი, – ეუბნება ლაქიას, – ერთი ბოთლი მოიტანეთ, – და მე მომმართავს: – მოგეჩვენებათ, რომ კვლავ შინ ხართ. შინნახადი არყის გემო აქვს, როგორსაც ბიძია კელვინ ბუქრაიტი ამზადებდა, გახსოვთ? – იმას შეხედა, – ალანოვნასგანაა? – მეკითხება, – მართალს ვამბობ? მაშასადამე, თქვენც შორს წასულხართ ფრენჩმენსბენდის შემდეგ, არა?

შემდეგ იურისტს მიუბრუნდა. ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა. ჯერ ნიშანი არ მიეცა, რომ ლაქია მაშინვე მის გვერდით გაჩნდა მეორე ბოთლით.

– არ ინერვიულოთ, – ეუბნება იურისტს, – რადგან სიტყვა მოგეცით, შევასრულებ კიდეც.

– ნურც თქვენ ინერვიულებთ, – ვეუბნები, – იურისტს ლინდა მაგრად უჭირავს. იგი მას დაუჯერებს, თუნდაც ვინმემ მოინდომოს და ყველაფერი უამბოს.

შეგვეძლო, იქვე გვესადილა, მაგრამ იურისტი ამბობს:

– ჩვენ ხომ ნიუ-იორკში ვართ. ამგვარ ვითარებაში შინაც ვისადილებდით, ბიძია კელ ბუქრაიტის ტრაქტირში.

ამიტომ ნამდვილ რესტორანში წავედით. შემდეგ უკვე გამგზავრების დროც დადგა. რატუშამდე ტაქსით მივედით. როდესაც გადმოვდიოდით, მეორე მანქანით ისინიც მოვიდნენ. ის არც ისე ზორბა იყო, ოღონდ ზორბასავით გამოიყურებოდა, როგორც კარგი ფეხბურთელი. არა, როგორც მოკრივე. ისეთი გარეგნობა ჰქონდა, ეტყობოდა, არავის არაფერს შეარჩენდა, არც დაინდობდა... არა, ზუსტად ვერ გამოვხატავ. ისე გამოიყურებოდა, შეეძლო, გაელახეთ, თუმცა, შესაძლოა, თვითონ გაგელახათ, ოღონდ ამას არ გააკეთებდით. შეეძლო, მოეკალით, თუმცა, შესაძლოა, თვითონ მოგეკლათ,

ოღონდ არც ამას გააკეთებდით. აშკარად ეტყობოდა, რომ გარიგებაზე არ წამოვიდოდა, ისე გიყურებდათ ჰეგ ჰემპტონივით ნათელი თვალებით. ოღონდ მკაცრი გამოხედვა არ ჰქონდა, უბრალოდ, ყველაფერს ხედავდა, რაც თქვენს გულში ხდებოდა. აუჩქარებლად, დაჟინებით გიმზერდათ და არაფერი გამორჩებოდა, თითქოს წინასწარ იცოდა, რასაც დაინახავდა.

დერეფნის მსგავს გრძელ შენობაში შევედით და რიგში ჩავდექით, წყვილ-წყვილად. თავდაპირველად ისინი ბოლოში იდგნენ, მაგრამ ხალხი განუწყვეტლივ მოდიოდა და მოდიოდა და სწრაფად მიიწევდნენ წინ: ჯერ კარამდე მივიდნენ, წარწერით „რეგისტრატურა", შემდეგ კი შიგნითაც შევიდნენ. იქაც ცოტა ხანი დაჰყვეს. ორივე ტაქსი გარეთ გველოდებოდა.

– მაშასადამე, გრინიჩ-ვილიჯი, – ვამბობ მე. შესასვლელი პირდაპირ ქუჩიდან იწყებოდა, მას მიწის პატარა ნაკვეთი მოჰყვებოდა, რომელსაც ეზო უფრო ეთქმოდა, თუმცა ქალაქელები, ალბათ, ბაღს უწოდებდნენ. იქ ხეც ამოსულიყო, მასზე კი სამი რაღაც მოჩანდა, რაც გაზაფხულსა და ზაფხულში უეჭველად ფოთლები იქნებოდა. შენობის შიგნით კი მომეწონა: ცხადია, უამრავი ხალხი ირეოდა, ორი ოფიციანტი ლანგრებით დარბოდა, ბოკალებში ჩასხმულ შამპანურს დაატარებდნენ. მათ სტუმრებიც ეხმარებოდნენ და ისინიც, ვინც ამ ბინაში დარჩებოდა, სანამ ლინდა ქმართან ერთად ესპანეთში იბრძოლებდა – ახალგაზრდა წყვილი, მათი თანატოლები.

– ისიც მოქანდაკეა? – ვეკითხები იურისტს.

– არა, – მპასუხობს იურისტი, – გაზეთში მუშაობს.

– ოჰო, – ვამბობ მე, – მაშასადამე, ისინი იქნებიან კარგა ხნის დაქორწინებულები.

მომეწონა მათთან: საითაც გაიხედავდით, ყველგან ფანჯრები მოჩანდა. ბევრი ნივთი ეწყო, თუმცა, როგორც ჩანს, ყველა სჭირდებოდათ: წიგნებით დაფარული კედელი, როიალი და, როგორც მივხვდი, ნახატები, ვინაიდანკედლებზე ჩამოეკიდათ. ისიც გამოვიცანი, რომ ის რაღაც ნაკეთობები, ქანდაკებები იყო, მაგრამ სხვების შესახებ ვერაფერს ვიტყოდი: ხისა და რკინის ნაჭრები, თუნუქის ზოლები, მავთული. ვერავის შევეკითხებოდი, რადგან ირგვლივ უამრავი პოეტი, მხატვარი, მოქანდაკე და მუსიკოსი იმყოფებოდა, თანაც ჩვენ – ის, ლინდა, იურისტი, ჰოუკი და მე – პორტში მივდიოდით, გემთან. გრინიჩ-ვილიჯში თავის ოცნებას ბევრი პოულობდა, მაგრამ ქორწილი, ეტყობოდა, განსაკუთრებული მოვლენა იყო. ერთ-ერთი სტუმარი, სავარაუდოდ, არც პოეტი, არც მხატვარი, არც მოქანდაკე, არც მუსიკოსი და არც ჩვეულებრივი პატიოსანი ჟურნალისტი, უფრო გალანტერეის გამყიდველს ჰგავდა, რომელიც შაბათს დამქირავებელს მაღაზიიდან დაეთხოვა, ვინაიდან, შევედით თუ არა ოთახში, მაშინვე არა მხოლოდ მიაშტერდა მას, არამედ ხელითაც გასინჯა.

– ალანოვნასგანაა, – მეუბნება.

– მართალია, – ვპასუხობ.

– ოკლაჰომა? – მეკითხება, – ნავთობი?

– რა? – ვუბრუნებ კითხვას.

– აჰა! – ამბობს, – მაშასადამე, ტეხასი. მესაქონლეობა. ტეხასში მილიონის შოვნა ან ნავთობით შეიძლება, ან მესაქონლეობით, ხომ ასეა?

– არა, სერ, – ვეუბნები, – მისისიპი. საკერავ მანქანებს ვყიდი.

რატომღაც კოლი ერთბაშად არ მოვიდა ჩემთან, როცა მომიახლოვდა, ღვინო დაიმატა.

– თქვენ, თუ არ ვცდები, ლინდას დედასთან ერთად გაიზარდეთ, – მეუბნება.

– სწორია, – ვპასუხობ, – ეს ნივთები თქვენი გაკეთებულია?

– რომელი ნივთები? – მეკითხება.

– აი, ისინი, – მივუთითებ.

– ა-ა, – ამბობს, – გინდათ, კიდევ ნახოთ? გაინტერესებთ?

– ჯერჯერობით არ ვიცი, – ვეუბნები, – ამათ არა უშავს.

ჩვენ ბრბოში გაღწევა ვცადეთ, – ამდენ ხალხში მხოლოდ გაჭირვებით თუ გააღწევდით, – ჰოლში გავედით, იქიდან კი კიბეს ავუყევით. იქ ყველაფერს ჯობდა: მანსარდა, თითქმის მთლიანად შუშის სახურავი. ჩანდა, რომ უბრალოდ კი არ ცხოვრობდნენ, აქ მარტო მოდიოდა და მუშაობდა.

იგი ცოტათი განზე გადგა, რათა ხელი არ შეეშალა, არ ავეჩქარებინე, სანამ ყველაფერი არ დავათვალიერე. ბოლოს კი მეუბნება:

– აბა, აღშფოთებული ხართ? ბრაზობთ?

– ნუთუ მხოლოდ იმიტომ უნდა აღვშფოთდე ან გავბრაზდე, რომ მსგავსი რამ ცხოვრებაში არასდროს მინახავს?

– ჩვენს დროში ასეც ხდება, – მეუბნება, – მხოლოდ ბავშვებს უყვართ ყველაფერი ახალი, მათთვის სიახლე სიამოვნებაა. უფროსები კი ახალს ვერ იტანენ, თუ მათ წინასწარ არ ჩააგონებენ, რომ ამ ახლის ყიდვა მოუნდებათ.

– იქნებ მე ჯერ ცოტა ვნახე, – ვეუბნები.

– კიდევ დაათვალიერეთ, – მეუბნება. დგას, კედელს მიჰყრდნობია, ხელისგულები ფეხბურთელივით გადაუდია ერთმანეთზე, კიბის ქვემოდან ისმის, როგორ ხმაურობენ სტუმრები, რომლებიც მას უნდა მიეღო, მე კი აუჩქარებლად განვაგრძობ თვალიერებას: რაღაცას ვარჩევ, რაღაცას თითქმის ვარჩევ, შესაძლოა, ბოლომდეც გამერჩია, მეტი დრო რომ მქონოდა, რაღაცას კი, თვითონაც ვხვდები, რომ ვერასდროს ჩავწვდები. უეცრად ვაცნობიერებ, რომ ამას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩემთვისაც. ვინაიდან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დაინახოს, გაიგონოს,

დაყნოსოს, ხელით შეეხოს, გემო გაუსინჯოს იმას, რისი დანახვა, გაგონება, დაყნოსვა, ხელით შეხება, გემოს გასინჯვა ეკუთვნის, და ამით არავის არც შესცივდება, არც დასთბება, და, საერთოდ, მნიშვნელობა არა აქვს, არსებობ ამქვეყნად თუ არა. მაგრამ თუ შეგიძლია, დაინახო, გაიგონო, დაყნოსო, ხელით შეეხო, გემო გაუსინჯო მას, რასაც არასდროს ელოდი და ამ წუთამდე ვერც კი წარმოიდგენდი, შესაძლებელია, სწორედ ამიტომ გამოგარჩია მოხუცმა ბატონმა, და ამიტომ ხარ ცოცხლებს შორის.

მაგრამ უკვე მათი პირისპირ შეხვედრის დროც დადგა. იურისტსა და ჰოუკის მიერ ჩაფიქრებულ პაემანს ვგულისხმობ, თუმცა ჰოუკი გამუდმებით იმეორებდა:

– აბა, რა ვუთხრა მას? და მის ქმარს, და მის მეგობრებს?

იურისტი კი ეუბნება:

– რა საჭიროა ვინმესთვის ახსნა-განმარტება? მე უკვე ყველაფერი მოვაგვარე. როგორც კი მის სადღეგრძელოს შევსვამთ, ხელკავი გამოსდეთ და გაიპარეთ. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ გემთან ზუსტად თორმეტის ნახევარზე უნდა მიხვიდეთ, – ჰოუკი რაღაცის თქმას კიდევ ცდილობდა, როდესაც ქალიშვილთან ერთად გასასვლელთან იდგა: თვითონ ძვირფას მუქ კოსტიუმში, შლაპით ხელში, ქალი კი საღამოს კაბითა და ზედ მოსხმული პალტოთი. ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, არა. ლინდა ქალის კვალობაზე ძალიან მაღალი იყო, ისეთი მაღალი, რომ მის აღნაგობასაც კი ძნელად შეამჩნევდით (იმას ვგულისხმობ, რომ მის დანახვაზე მამაკაცი არც დაუსტვენდა), ის კი სულაც არ გახლდათ მაღალი, უფრო ჯმუხი ეთქმოდა. სამაგიეროდ, თვალები ჰქონდათ აბსოლუტურად ერთნაირი. ყოველ შემთხვევაში, მეჩვენებოდა, რომ ყველა, ვინც კი მათ თვალს მოჰკრავდა, მიხვდებოდა, რომ ნათესავები იყვნენ. ის გამუდმებით ცდილობდა, ვიღაცისთვის აეხსნა:

– ლინდას დედის ძველი მეგობარი... მისი ბაბუა და ჩემი ბაბუა, თუ არვცდები, შორეული ნათესავები იყვნენ.

საუბარში იურისტი ჩაერთო:

– კარგი, კარგი, წადით! და დრო არ დაგავიწყდეთ, – ჰოუკი კი ამბობს:

– დიახ, დიახ, თუ დარეკვა დაგჭირდებათ, იცოდეთ, რომ ჩვენ რესტორან „ოცდაერთში" ვისადილებთ, იქიდან კი „სთორქკლუბში" წავალთ.

ისინი წავიდნენ, სტუმრებიც მალე დაიშალნენ, მხოლოდ სამნი დარჩნენ, როგორც გავიგე, სამივენი პრესის თანამშრომლები, უცხოელი კორესპონდენტები. კოლი თავისი ახალი მობინადრის ცოლს სპაგეტის მოხარშვაში მიეხმარა. ჩვენ კი მივირთვით, ცოტაოდენი ღვინო დავლიეთ და გამუდმებით ომზე, ესპანეთზე, ეთიოპიასა და იმაზე ვლაპარაკობდით, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: ცოტა ხანში მთელ ევროპაში და, შესაძლოა, ჩვენთანაც შუქი ჩაქრებოდა. ბოლოს, ნავსადგურში წასვლის დროც დადგა. საძინებელში კიდევ იყო შამპანური, მაგრამ იურისტმა ერთი ბოთლის გახსნაც ვერ მოასწრო, რომ ჰოუკი და ლინდა შემოვიდნენ.

– ასე მალე? – თქვა იურისტმა, – ჩვენ ერთ საათზე ადრე არ გელოდით.

– მან, უფრო სწორად, ჩვენ, გადავწყვიტეთ, „სთორქკლუბში" არ წავსულიყავით, – ამბობს ჰოუკი, – მხოლოდ პარკში გავისეირნეთ ფიაკრით. ახლა კი... – ამბობს ის და ქვაბ-ქუდასაც კი არ იხდის.

– დარჩით, შამპანური დალიეთ, – ეუბნება იურისტი. კოლმაც თქვა რაღაც. მაგრამ ლინდამ უკვე ხელი გაუწოდა.

– მშვიდობით, მისტერ მაკკერონ, – ამბობს იგი, – დიდი მადლობა ამ საღამოსთვის, იმისთვის, რომ ჩემს ქორწილში მოხვედით.

– არ შეგიძლია, მხოლოდ ჰოუკი დამიძახო? – ამბობს ჰოუკი.

– ნახვამდის, ჰოუკ, – ამბობს ლინდა.

– თუ ასეა, მანქანაში დაგველოდეთ, – ამბობს იურისტი, – ახლავე გამოვალთ.

– არა, – პასუხობს ჰოუკი, – სხვა მანქანას ავიყვან, ამას კი თქვენ დაგიტოვებთ, – და წავიდა. მისი გასვლის შემდეგ ქალიშვილმა კარი მიხურა, იურისტთან მივიდა და ჯიბიდან რაღაც ამოიღო.

– აი, – ეუბნება, ეს ოქროს სანთებელა იყო, – ვიცი, რომ მას არ გამოიყენებთ. ნათქვამი გაქვთ, სანთებელას ხმარების შემდეგ ჩიბუხს ბენზინის სუნი ასდისო.

– არა, – ამბობს იურისტი, – მე ვთქვი, ბენზინის გემოს ყოველთვის ვგრძნობ-მეთქი.

– სულერთია, – ეუბნება ქალიშვილი, – აიღეთ, – იურისტმა გამოართვა, – აქ თქვენი ინიციალები აწერია, ხედავთ?

– გ.ლ.ს. – კითხულობს იურისტი, – ეს ჩემი ინიციალები არ არის, მე გ.ს. ვარ.

– ვიცი. მაგრამ ოქრომჭედელმა თქვა, რომ მონოგრამაზე აუცილებლად სამი ინიციალი უნდა იყოს, ამიტომ ერთი ჩემი გასესხეთ, – იგი მის წინაშე იდგა და სახეში უყურებდა, თითქმის მასავით მაღალი, – ეს მამაჩემი იყო, – ამბობს.

– არა, – ეუბნება იურისტი.

– დიახ, – იმეორებს ქალიშვილი.

– იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ეს თვითონ გითხრა? – ეკითხება იურისტი.

– თვითონაც იცით, რომ არა. თქვენ იგი დააფიცეთ, რომ არ ეთქვა.

– არა, – ამბობს იურისტი.

– თუ ასეა, დაიფიცეთ!

– კარგი, – ეუბნება იურისტი, – ვფიცავ!

– მიყვარხართ, – ამბობს ქალიშვილი, – და იცით, რატომ?

– რატომ? – ეკითხება იურისტი.

– იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა მატყუებთ, ვიცი, რომ საკუთარ სიტყვებზე უარს არასდროს იტყვით.

ამას მეორე სენტიმენტალური მოგზაურობა მოჰყვა. არა, მანამდე სხვა რამ მოხდა. მომდევნო დღეს.

– ახლა თქვენს ჰალსტუხზე წავალთ, – ამბობს იურისტი.

– არა, – ვპასუხობ.

– მაშასადამე, მარტო წასვლა გსურთ?

– დიახ, – ვეუბნები. ჰოდა, აი, მარტო ვდგავარ იმავე პატარა კაბინეტში, ქალი კი კვლავაც იმ კაბაშია გამოწყობილი, როგორსაც არავინ იცვამს, და იგი ამჩნევს, რომ უჰალსტუხოდ ვარ – ჯერ ჰალსტუხი და ას ორმოცდაათი დოლარი არც დამიდია პატარა მაგიდაზე იმ ახლის გვერდით, რომელსაც შიშით ვერც შევეხე. წითელი იყო, ოდნავ მუქი, ვიდრე შემოდგომაზე ნეკერჩხლის ფოთლებია. მასზე არც ერთი მზესუმზირაა და არც თაიგული – მთელ მინდორზე უამრავი ნამცეცა მზესუმზირაა მიმოფანტული, თითოეულს პატარა ცისფერი გული აქვს, ჩემი პერანგების ფერი, ოღონდ მცირეოდენი გახუნების შემდეგ. შეხებაც კი ვერ გავბედე. – მაპატიეთ, – ვეუბნები, – მაგრამ საქმე ისაა, რომ არ შემიძლია. მე ხომ მისისიპის შტატში საკერავ მანქანებს ვყიდი. არ შემიძლია, რომ იქ, სახლში, ყველამ გაიგოს, რომ ერთ ჰალსტუხში სამოცდათხუთმეტი დოლარი გადავიხადე. მაგრამ თუ ჩემი საქმე მისისიპიში საკერავი მანქანების გაყიდვაა, თქვენ ნიუ-იორკში ჰალსტუხებს ყიდით და თავს უფლებას ვერ მისცემთ, ადამიანებმა ჰალსტუხი შეგიკვეთონ და გაიკეთონ, ფული კი არ გადაგიხადონ. ასე რომ, აი, ფული, – ვეუბნები, – და ძალიან გთხოვთ, გულმოწყალება გამოიჩინოთ და მაპატიოთ.

მას ფულისთვის არც კი შეუხედავს.

– რატომ დაგარქვათ მან ვლადიმირ კირილიჩი? – მეკითხება. ყველაფერი ავუხსენი.

– ოღონდ ახლა მისისიპიში ვცხოვრობთ და უნდა ვეცადოთ, რომ დინებას მივყვეთ, – ვეუბნები, – და კვლავაც ძალიან გთხოვთ, მაპა...

– აიღეთ ესენი ჩემი მაგიდიდან, – მეუბნება, – ეს ჰალსტუხები გაჩუქეთ. მაშასადამე, ფულის გადახდა არ შეიძლება.

– ნუთუ არ გესმით, რომ ამას ვერ დავუშვებ? ზუსტად ისე, როგორც მისისიპიშიც ვერ დავუშვებ, რომ ვინმემ საკერავი მანქანა შემიკვეთოს, მივუტანო, მან კი განმიცხადოს, გადავიფიქრეო.

– კარგი, – ამბობს ის, – მაშასადამე, თქვენ ჰალსტუხების აღება არ შეგიძლიათ, მე კი – ფულის. შესანიშნავია. აი, როგორ მოვიქცეთ, – მის მაგიდაზე რაღაც ნივთი იდო, სუფრაზე რძის მისატან პატარა დოქს ჰგავდა, მაგრამ მან რაღაცას ხელი დააჭირა და აღმოჩნდა, რომ სანთებელა იყო, – მოდი, დავწვათ ისინი, ნახევარი ჩემ გამო, ნახევარი თქვენ გამო.

ამ დროს გავაწყვეტინე.

– მოიცადეთ, მოიცადეთ! – ვეუბნები. იგი შეჩერდა, – არ შეიძლება, – განვაგრძობ, – არ შეიძლება ფულის დაწვა, – ის კი მეკითხება:

– ვითომ რატომ? – ერთმანეთს შევყურებთ, მას ანთებული სანთებელა უჭირავს, ხელები ორივეს ფულზე გვიდევს.

– იმიტომ, რომ ეს ფულია, – ვეუბნები, – იმიტომ, რომ სადღაც, ოდესღაც, ვიღაც ძალიან ცდილობდა... ძალიან იტანჯებოდა... იმის თქმა მსურს, რომ ამ ფულმა ვიღაცას ბევრი წყენა და მწუხარება მოუტანა და ეს ამად არ ღირს... არა, სხვა რამის თქმა მინდა და სხვა რამეს ვამბობ, – ის კი მეუბნება:

– მესმის, ყველაფერი შესანიშნავად მესმის. მხოლოდ დოყლაპიებს, მხოლოდ უმეცრებსა და უთვისტომო მშიშრებს შეუძლიათ ფულის განადგურება. მაშასადამე, მიიღებთ ჩემგან ამ საჩუქარს? წაიღეთ სახლში – რა თქვით, ეს სად არისო?

– მისისიპიში, – ვპასუხობ.

– მისისიპიში. სადაც ისეთი ადამიანი ცხოვრობს, რომელსაც... არა, არ სჭირდება – რა საჭიროა ისეთ ქვენა გრძობებზე საუბარი, როგორიც საჭიროებაა? ადამიანი, რომელიც რაღაცაზე ოცნებობს, რაც, შესაძლოა, მთელი ას ორმოცდაათი ღირს, თუნდაც ეს შლაპა, ნახატი, წიგნი, ძვირფასი საყურე იყოს, ერთი სიტყვით, იმაზე, რასაც ის, ქალი თუ მამაკაცი, ვერასდროს, ვერასდროს... იმაზე, რასაც ვერც შეჭამს, ვერც დალევს, და ფიქრობს, რომ ამას ვერასდროს მიიღებს, და უკვე დიდი ხანია, დაკარგა... არა, ოცნება არა, იმედი დაკარგა – ახლა ხომ გესმით, რაზე ვსაუბრობ?

– მშვენივრად მესმის, თქვენ ხომ თვითონ მომიყევით ყველაფერი.

– რახან ასეა, ერთმანეთი გადავკოცნოთ! – მეუბნება.

იმავე საღამოს მე და იურისტი სარატოგაში გავემგზავრეთ.

– ჰოუკს თუ უთხარით, რომ ფულის მიცემა არც ეცადა? – ვეკითხები, – თუ ამას თვითონ მიხვდა?

– დიახ, – მპასუხობს იურისტი.

– რა „დიახ"? – ვეუბნები.

– ერთიცა და მეორეც, – ამბობს იურისტი.

დღისით იპოდრომზე ვიყავით, მეორე დილას კი ბემის-ჰეითსი და ფრიმენს-ფარმი (ბემის-ჰეითსი, ფრიმენს-ფარმი – სტრატეგიული ადგილები სარატოგაში, სადაც ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეპიზოდები გაიმართა) მოვინახულეთ. იქ, ცხადია, არ იდგა ძეგლი ჰესენის ერთ-ერთი დაქირავებული ჯარისკაცის პატივსაცემად, რომელმაც, ალბათ, არც გერმანული იცოდა, მით უმეტეს, არც ინგლისური. რასაკვირველია, იქ არც ბორცვი, ხრამი ან კლდე აღმოჩნდა, რომლებიც უეცრად ალაპარაკდებოდნენ და ყველას გასაგონად გამოაცხადებდნენ: „სწორედ ამ ადგილას შენმა წინაპარმა და ვ.კ. გვარის ფუძემდებელმა უარი თქვა ევროპაზე და შეერთებული შტატები არჩია". ორი დღის შემდეგ სახლში დავბრუნდით და ამ ხნის განმავლობაში ის მანძილი გავიარეთ, რომლის გავლასაც მან, პირველმა ვლადიმირ კირილიჩმა, და მისმა შთამომავლებმა ოთხი თაობა მოანდომეს. ბოლოს კი ვნახეთ, როგორ ჩამობნელდა ესპანეთსა და ეთიოპიაში და წყვდიადი გავრცელდა მთელ ევროპასა და აზიაში, სანამ მისმა ჩრდილმა წყნარი ოკეანის კუნძულები და ამერიკაც არ დაფარა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მომხდარიყო, როდესაც იურისტმა მითხრა:

– შემოდით ჩემთან, – შემდეგ კი მეუბნება: – ბარტონი კოლი დაიღუპა. მისი თვითმფრინავი – იგი ძველი სამგზავრო თვითმფრინავით დაფრინავდა, მასზე 1918 წელს გამოშვებული ხელის ტყვიამფრქვევები და თვითნაკეთი ლიუკები იყო, საიდანაც თვითნასწავლი მფრინავები თვითნაკეთ ჭურვებს ყრიდნენ, აი, როგორ ებრძოდნენ ისინი ჰიტლერის „ლუფტვაფეს" – ეს თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ის დაიწვა, ლინდა კი, ალბათ, ვერც ამოიცნობდა მას, კატასტროფის ადგილზე რომც ყოფილიყო. არ იწერება, ახლა რის გაკეთებას აპირებს.

– აქ დაბრუნდება, – ვეუბნები.

– აქ? – მეკითხება, – აქ დაბრუნდება? – შემდეგ კი მოულოდნელად: – რატომ არ უნდა დაბრუნდეს, დალახვროს ეშმაკმა? აქ ხომ მისი სახლია.

– მართალია, – ვპასუხობ, – და ბედისწერა.

– რა? – მეკითხება, – რა თქვით?

– არაფერი, – ვეუბნები, – მხოლოდ ის ვთქვი, რომ, ჩემი აზრით, ასეც მოხდება.

თავი მერვე

ჩარლზ მალისონი

ლინდა კოლი (ქალიშვილობაში სნოუპსი, როგორც თეკერეი (უილიამ თეკერეი (1811-1863 წწ.) - ცნობილი ინგლისელი რომანისტი) იტყოდა, და აღარც კოლი, ვინაიდან ქმარი მოუკვდა) ომის პირველი დაჭრილი გმირი როდი იყო, რომელიც ჩვენთან, ჯეფერსონში მოხვდა. მაგრამ ბიძაჩემი პირველად მას შეხვდა. ოღონდ არა რკინიგზის სადგურში, - 1937 წელს თითქმის თორმეტი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჯეფერსონში მატარებელი არ ჩამომდგარა, რომელსაც მნიშვნელოვანი მგზავრი ჩამოჰყოლოდა, - არც ავტოსადგურში და, საერთოდ, არც ჯეფერსონში. მის შესახვედრად მემფისის აეროპორტში გავემგზავრეთ და უკანასკნელ წუთს ბიძაჩემმა მოისაზრა, რომ მარტოკას მანქანით ოთხმოცი მილის გავლა გაუჭირდებოდა.

თუმცა ლინდა პირველი გმირი ქალი არ იყო. ჯერ კიდევ 1919 წელს ჩვენთან ორი კვირა გაატარა მოწყალების დამ, ლეიტენანტმა. ცხადია, იგი ჯეფერსონში არც დაბადებულა და არც ცხოვრობდა, მაგრამ ერთ-ერთ აქაურ ოჯახს რაღაცით უკავშირდებოდა (შესაძლოა, ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრით იყო დაინტერესებული. იგი საფრანგეთში, სამხედრო ბაზის ჰოსპიტალში მსახურობდა და, როგორც განაცხადა, მთელი ორი დღე გაეტარებინა მოწინავე გამანაწილებელ პუნქტში და გაეგონა, როგორ გრუხუნებდნენ ქვემეხები მონ-დიდიეს (მონ-დიდიე - ქალაქი საფრანგეთში) მიღმა).

სიმართლე ითქვას, მაშინ, 1919 წელს, ჩემნაირ, ხუთი წლის ჯეფერსონელებსაც კი მოაბეზრეს ოდნავ თავი ომის გმირებმა - არა მხოლოდ ცოცხლებმა და საღსალამათებმა, არამედ მემფისიდან და ნიუ- ორლეანიდან ჩამოსულმა დაჭრილებმაც. იმას არ ვამბობ, რომ ისინი, ვინც ცოცხლები და უვნებლები დაბრუნდნენ, თვითონ უწოდებდნენ საკუთარ თავს გმირებს ან ასეთებად მიაჩნდათ თავი. ამაზე, ალბათ, არც კი ფიქრობდნენ, სანამ შინ არ აღმოჩნდნენ, სადაც ყურები გამოუჭედეს ამ სიტყვებით, და მაშინ ზოგიერთმა მათგანმა, ცხადია, ყველამ არა, სერიოზულად დაიჯერა, რომ, შესაძლოა, მართლა გმირი იყო. ყურები კი სწორედ მათ გამოუჭედეს, რომლებმაც ეს აურზაური მოიფიქრეს და განახორციელეს კიდეც; მათ, ვინც ომში არ წავიდა და წინასწარ მოემზადა დიდი საზეიმო დახვედრების მოსაწყობად ნავსადგურებში და უფრო მოკრძალებულის, - ლუდითა და ტკბილეულით, - ადგილობრივი მნიშვნელობის შეხვედრის ორგანიზებისთვის პატარა ქალაქებში; მათ, ვინც არც ამ ომში წავიდა, არც მომდევნოში აპირებდა წასვლას და, საერთოდ, ცდილობდა, კი არ ეომა, არამედ დაუბეგრავი სესხის ობლიგაციები შეეძინა და გმირების პატივსაცემად საზეიმო ხმაური აეტეხა, რათა მომავალი რეკრუტები - ჯერჯერობით რვა, ცხრა და ათი წლის ბიჭები - ლამაზი სამხრეებითა და ჭრილობების აღსანიშნავი ბაფთებითა და ლენტებიანი მედლებით დამტკბარიყვნენ.

იმდენი იხმაურეს, სანამ დაბრუნებულთაგან ზოგიერთმა სერიოზულად არ დაიჯერა, რადგან ყველანი ამდენს ლაპარაკობენ ჩვენი გმირობის შესახებ, მაშასადამე, ეს, ალბათ, ასეც არის და მართლა გმირები ვართო. ვინაიდან, თუ ბიძია გევინს დავუჯერებთ (ერთგვარი გაგებით, ისიც იყო ჯარისკაცი 1916-1917 წლებში საფრანგეთის არმიასთან არსებულ ამერიკულ საველე სამსახურში, შემდეგ კი, კვლავ საფრანგეთში, მდივანი თუ რაღაც ამგვარი ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანულ ასოციაციაში), მათ სხვა არაფერი დარჩენოდათ: ეს ჭაბუკები, უფრო სწორად, ბიჭები, რომლებსაც ბუნდოვანი და სრულიად მცდარი შეხედულება ჰქონდათ იმაზე, თუ რა იყო ევროპა და

სად მდებარეობდა ის, არაფერი გაეგებოდათ არმიისა და, მით უმეტეს, ომის შესახებ, ერთ მშვენიერ დღეს ერთად შეყარეს, გაწვრთნეს და საექსპედიციო ჯარში გაგზავნეს, სადაც ოცდახუთი წლის ასაკამდე თავიანთ ცხოვრებაში უდიდესი გამოცდა გადაიტანეს (თუ გაუმართლათ), თუმცა ბევრმა ეს ვერც გააცნობიერა. შემდეგ კი, კვლავ მათ დაუკითხავად, კვლავაც ერთ მშვენიერ დღეს, ისინი უკან გადაისროლეს, იქ, სადაც ჩვეულებრივი, მათთვის ნაცნობი სამყაროს ნახვის იმედი ჰქონდათ – არადა, მათ არწმუნებდნენ, რომ იმიტომ მოსწყვიტეს სახლს, იმიტომ იტანჯებოდნენ და იმიტომ აგდებდნენ საფრთხეში საკუთარ სიცოცხლეს, რათა ჩვეულ სამყაროში დაბრუნებისას ყველაფერი უცვლელად დახვედროდათ. სინამდვილეში კი, როდესაც დაბრუნდნენ, ძველი უკვალოდ გამქრალი დახვდათ. ასე რომ, გმირებთან დაკავშირებული ხმაური, მუსიკა, აღლუმები და ბანკეტები დიდხანს არ გაგრძელებულა და მანამ შეწყდა, სანამ შეჩვევას მოასწრებდნენ, სანამ უკანასკნელი „გმირები" შინ დაგვიანებით დაბრუნდებოდნენ, და ახლა უკვე მათ ეუბნებოდნენ ძლივს გასაგონი მუსიკის ფონზე, როდესაც მაგიდაზე შემწვარი ხორცის გამაგრებული ცხიმი და ცოტაოდენი ლუდიღა დარჩენილიყო: „კარგი, ბიჭებო, დაამთავრეთ ხორცის, კარტოფილისა და სალათის ჭამა, ლუდის დალევა და ფეხებში ნუ გვებლანდებით, თორემ ძალიან დაკავებულნი ვართ ამ ახალ სამყაროში, სადაც ჩვენი მთავარი და ერთადერთი საქმე არა მხოლოდ მშვიდობიანი დროიდან სარგებლის ნახვაა, არამედ ისეთი შემოსავლის მიღება, როგორიც არც კი დაგვსიზმრებია".

ასე რომ, ბიძია გევინის სიტყვებით, მათ აუცილებლად უნდა დაეჯერებინათ, რომ გმირები იყვნენ, თუმცა ვერაფრით იხსენებდნენ, რომელი საგმირო საქმეებით და, კონკრეტულად, რომელ საათსა და წუთზედაიმსახურეს ეს მაღალი წოდება. სხვა არაფერი დარჩენოდათ: საკუთარი ცხოვრების მხოლოდ მესამედი განვლეს, მაგრამ მიხვდნენ,რომ უდიდეს გამოცდას გაუძლეს, უკან დაბრუნებულებმა კი აღმოაჩინეს, რომ სამყარო, რომლის შესანარჩუნებლადაც ამდენი მოითმინეს და გარისკეს, მათ არყოფნაში ისე შეეცვალათ იმ ადამიანებს, რომლებიც მშვიდად ისხდნენ სახლში, რომ ვეღარც ცნობდნენ და ვეღარც საკუთარ ადგილს პოულობდნენ მასში. ამიტომაც უნდა დაეჯერებინათ, რომ მათ შესახებ ნაწილობრივ ამბობდნენ სიმართლეს. სწორედ ამის გამო შეიქმნა (გევინის თქმით) ომის ვეტერანთა უამრავი კავშირი და ლეგიონი: ერთადერთი წმინდა თავშესაფარი, სადაც კვირაში ერთხელ, სხვა მოტყუებულებსა და დაჩაგრულებს შორის, შეეძლოთ, ერთმანეთი დაერწმუნებინათ, რომ ამ ყველაფერში სიმართლის მარცვალი ერია.

არსებითად (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, ჯეფერსონში), ისინიც კი, რომლებმაც ხელი ან ფეხი დაკარგეს, ზუსტად ისეთები დაბრუნდნენ, როგორებიც წავიდნენ, ოღონდ ისინი გამოყვეს, ასე ვთქვათ, ხაზგასმით გამოარჩიეს. თუნდაც თეგ ნაითინგეილი ავიღოთ. მამამისი მეწაღე იყო და მოედნის იქით მდებარე ჩიხში, ნამცეცა ოთახში მუშაობდა. ეს პატარა, ხმელ-ხმელი კაცი, რომელიც ასი გირვანქაც არ იქნებოდა თავის ძელსკამთან, დაზგასთან და ინსტრუმენტებთან ერთად, გაბანჯგვლული, მრისხანედ გაფარჩხული წვერ-ულვაშითა და უშიშარი, სასტიკი და შეუბრალებელი თვალებით, ბაპტისტთა ძველი სკოლის თავგამოდებული მიმდევარი გახლდათ, რომელსაც არათუ სჯეროდა, მტკიცედ სწამდა, რომ დედამიწა ბრტყელი იყო, ლიმ (რობერტ ედვარდ ლი (1807-1870 წწ.) – გენერალი,

სამხრეთელთა არმიის სარდალი) კი მთელ სამხრეთს უღალატა, როდესაც აპომატოქსთან კაპიტულაცია გამოაცხადა. მეწაღეს ცოლი გარდაცვლოდა, შვილებიდან კი მხოლოდ ერთი ვაჟი, თეგი შერჩენოდა. თეგმა თითქმის მეოთხე კლასამდე მიაღწია, როდესაც თვითონ სკოლის დირექტორმა უთხრა მისტერ ნაითინგეილს, რომ ჯობდა მის შვილს სწავლისთვის თავი დაენებებინა. თეგი წამოვიდა და მთელ თავისუფალ დროს დილაზაკის თავლის უკან მდებარე ცხენების ბაზრობაზე ატარებდა, სადაც, უნდა აღინიშნოს, მანამდეც არანაკლებ ხშირად დადიოდა, მაგრამ ახლა სხვა საქმეს მიაგნო: ჯერ მარვინ ჰეიტი, ადგილობრივი ჩარჩი, ჯორებითა და ცხენებით მოვაჭრე გაიცნო, შემდეგ კი თვით პეტ სტემპერი, რომელიც ჯორებისა და ცხენების მცოდნეთა შორის – არა მხოლოდ იოკნაპატოფის ოლქში ან მისისიპის შტატის ჩრდილოეთით, არამედ მთელ ალაბამაში, ტენესისა და არკანზასში – მარვინ ჰეიტს იმდენით აღემატებოდა, რამდენითაც ფრიც კრაისლერი (ფრიც კრაისლერი (1875-1962 წწ.) – აშშ-ში მცხოვრები ავსტრიელი მევიოლინე და კომპოზიტორი) სოფლის წვეულებაზე დამკვრელ მევიოლინეს. თეგი მაშინვე მიხვდა, რომ მის წინაშე გენიოსი იდგა. თვითონ თეგმა ჯორებთან მოქცევის მხოლოდ უბრალო წესები კი არ იცოდა, ის მათთვის home fatal (home fatal – საბედისწერო ადამიანი (ფრ.)) იყო: ნებისმიერი მამალი თუ დედალი ჯორი მის ხელში საგოზავივით დამყოლი ხდებოდა და მათ თავის ჭკუაზე დაატარებდა. ეგაა, რომ ხელსაყრელად ყიდვა-გაყიდვა არ ეხერხებოდა. ამიტომაც დარჩა უბრალო მეჯინიბედ და დამხმარედ, ბოლოს კი თავის გასატანად მღებავის ფუნჯს მოჰკიდა ხელი. დიდი ოსტატობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ საღებავის მორევა და მესრის ან კედლის შეღებვა შეეძლო, თუ ვინმე ეტყოდა, სამუშაო სად უნდა დაესრულებინა.

ასე ცხოვრობდა იგი 1916 წლამდე, ანუ ოცდაათ წელზე მეტხანს, როდესაც მასში ცვლილება დაიწყო. შესაძლოა, მანამდე შეიცვალა და ჯეფერსონელები ვერაფერს ვამჩნევდით. ჩვენთვის ის ჩვეულებრივი პროვინციელი იყო: უცოლშვილო, მამასთან ერთად ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, შაბათობით სადალაქოში დადიოდა დასაბანად და გასაპარსავად, შემდეგ ცოტათი შეთვრებოდა ხოლმე – ძალიანაც არა. ორ-სამ წელიწადში ერთხელ კვირა დილას ადგილობრივ ციხეში იღვიძებდა, დანაშაულს აღიარებდა და ათავისუფლებდნენ. იქ ლოთობის გამო კი არა, ჩხუბის გამო ხვდებოდა, თუმცა სწორედ სიმთვრალეში, ვისკის დალევის შემდეგ ჩხუბობდა და თანაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმე (მოწინააღმდეგე ყოველთვის სხვადასხვა ჰყავდა – მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ) მამამისის მიერ ნაანდერძევი მტკიცე რწმენის მორყევას ცდილობდა იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალი ლი მხდალი და მოღალატე იყო, დედამიწა კი – იმ ფარდულების სახურავებივით ბრტყელი და კიდეებიანი, რომლებსაც თვითონ ღებავდა. სასაფლაოს მიღმა მდებარე თხრილში შიგადაშიგ კამათელს თამაშობდა, სანამ კვირადღის ბოლოსთვის სიმთვრალე არ გაუვლიდა, ორშაბათიდან კი კვლავ ფუნჯსა და საღებავს უბრუნდებოდა. გარდა ამისა, წელიწადში ოთხჯერ მემფისის ბორდელებში დადიოდა.

შემდეგ ის ცვლილება დაეტყო. შაბათობით ძველებურად იპარსავდა პირს სადალაქოში, კვლავინდებურად ცოტ-ცოტას სვამდა, თუმცა, როგორც ჯეფერსონელებმა ვიცოდით, დიდი ხანია, იმდენი არ დაელია, რომ გენერალ ლის, პტოლემეს ან ისააკ ნიუტონის (პტოლემე (87-165 წწ.) –

ალექსანდრიელი ასტრონომი, მათემატიკოსი და გეოგრაფი; ისააკ ნიუტონი (1642-1727 წწ.) - ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი) გამო ეჩხუბა. ასე რომ, ერთხელაც აღარ მოხვედრილა ციხეში, და აღარც ღამის პოლიციელი, უმნიშვნელო ჩხუბის გამოც შეშფოთებული რომ აბრახუნებდა დაკეტილი სადალაქოს ან საბილიარდოს კარზე კვირა ღამის ორ საათზე და იძახდა: „ჩუმად, ბიჭებო, დაწყნარდით და დაიშალეთო", გადაჰყრია მას.აღარც სასაფლაოს მიღმა მდებარეთხრილში თამაშობდა კამათელს. კვირაობით, დილას, ყველას თვალწინ ჩიხში მდგარ ბაპტისტთა სამლოცველოსკენ მიაბიჯებდა მამასთან - ტანდაბალ, მკვირცხლ, მრისხანეულვაშიან კაცთან ერთად, სადილობის შემდეგ კი თავიანთი პატარა სახლის ნამცეცა გალერეაზე იჯდა ჟურნალ-გაზეთებში თავჩარგული (არადა, სკოლაში სამი კლასი ძლივს დაძლია და მეოთხედან გამოაგდეს), რომლებიდანაც ევროპაში გაჩაღებული ომის შესახებ ვიგებდით ახალ-ახალ ამბებს.

ის ძალიან შეიცვალა. 1917 წლის აპრილამდე ჩვენც კი (ანუ მთელი ჯეფერსონი, მაშინ მხოლოდ სამი წლის ვიყავი) ვერ ვხვდებოდით, როგორ შეიცვალა. პრეზიდენტის დეკლარაციისა და „ლუზიტანიის" ("ლუზიტანია" - ბრიტანეთის სამგზავრო ხომალდი, რომელიც გერმანელებმა 1915 წელს ჩაძირეს) დაღუპვის შემდეგ კაპიტანმა (იმჟამად უბრალოდ მისტერმა, სანამ კაპიტნად არ აირჩიეს) მაკ ლენდონმა ჯეფერსონელთა რაზმი ჩამოაყალიბა, სახელწოდებით „სარტორისის მსროლელები", იმ პირველი პოლკოვნიკ სარტორისის პატივსაცემად (რაზმში ერთი სარტორისიც კი არ ირიცხებოდა, ვინაიდან ბაიარდი და მისი ძმა, ტყუპისცალი ჯონი, უკვე მსახურობდნენ ბრიტანეთის სამეფო ავიაციაში) და მერეღა გაირკვა ყველაფერი: თეგ ნაითინგეილი, რომელიც ოცდაათზე მეტის იყო და გაწვევასაც არ ექვემდებარებოდა, რაზმში ერთ-ერთი პირველი ჩაეწერა და ჩვენ, უფრო სწორად, მათ, შეიტყვეს, რა ხათაბალაში ჩავარდა იგი: იმის გაფიქრებასაც ვერ ბედავდა, რა მოხდებოდა, თუ მამამისი გაიგებდა, რომ მან იანკების არმიაში შესვლა გადაწყვიტა, ვინაიდან, ეს რომ გაეგო, აღარც მემკვიდრეობას დაუტოვებდა და სახლიდანაც კინწისკვრით გააგდებდა. მართალია, კაპიტანი ლენდონი იძახდა: „რა? ეს შეუძლებელიაო!", მან და კიდევ ერთმა - მომავალში აშშ-ის არმიის სერჟანტმა - გადაწყვიტეს, თვითონ მისულიყვნენ თეგთან სახლში. სწორედ ის მეორე, მომავალი სერჟანტი, მოგვიყვა, რა მოხდა:

- თითქოს საკუჭნაოში ჩაგკეტეს ჩართულ ელექტროხერხთან ერთად, რომლის პირიც მაქსიმალურ სიჩქარეზე ღერძიდან ამოვარდა, ან, ვთქვათ, დინამიტის შეკვრასთან დგახარ, ფალია იწვის, ის კი იატაკზე გველივით იკლაკნება. ვერაფრით მიუდგები, ვერც ფეხს დააჭერ. ერთი სული გაქვს, იქაურობას თავი დააღწიო, მაკი კი ამბობს: „მოითმინეთ, მისტერ ნაითინგეილ, ეს იანკების არმია კი არა, შეერთებული შტატების, ჩვენი სამშობლოს არმიაა!" ის წყეული პატარა კი ისე სისინებს და ცახცახებს, თითქოს ულვაშებზე ცეცხლი წაუკიდესო, და ღრიალებს: „ესროლეთ მაგ ნაბიჭვრებს! ესროლეთ! ესროლეთ!" მის დამშვიდებას თეგიც ცდილობს: „მამა, მამა, კაპიტანი ლენდონი და კრეკიც იმავე რაზმში არიან", მოხუცი ნაითინგეილი კი ყვირილს განაგრძობს: „დახვრიტეთ ეს გველის წიწილები! ესროლეთ მაგ ნაბიჭვრებს!" თეგი კვლავ აწყნარებს: „მამა, ახლა რომც არ წავიდე, როდესაც გაწვევა დაიწყება, წამიყვანენ!" ის პატარა კი თავისას არ იშლის:

„ყველას დაგხვრეტთ! ყველას გესვრით, თქვე ნაბიჭვრებო!" დიახ, სერ. თეგს რომ გერმანიის ან თუნდაც საფრანგეთის ან ბრიტანეთის არმიაში შესვლის სურვილი გამოეთქვა, მოხუცი გზას დაულოცავდა. ოღონდ არა იმ არმიაში, რომელსაც გენერალი ლი 1865 წელს დანებდა. მან მაშინვე გამოაგდო თეგი. სამივენი სასწრაფოდ გამოვედით სახლიდან, მაგრამ ჯერ ტროტუარამდეც არ მიგვეღწია, რომ თეგის ოთახში შევარდა - კარი არც გაუღია, ჩარჩოიან-შუშიანად მხრით ჩამოიღო და შვილის ნივთები ეზოში გადმოყარა.

მოკლედ, თეგმა რუბიკონი გადალახა და თითქოს ყველაფერი მოგვარდა. იმის თქმა მინდა, რომ კაპიტანმა ლენდონმა იგი თავისთან შეიფარა. ის, ლენდონი, თვითონაც დიდ ოჯახში გაიზარდა, უამრავ ძმასთან ერთად, უშველებელ სახლში. დედაც ზორბა ჰყავდა, ლამის ორას გირვანქას იწონიდა, საჭმლის კეთებაც უყვარდა და მადიანად ჭამაც, ასე რომ, ერთი კაცით მეტი ან ნაკლები მისთვის არაფერს ნიშნავდა, შესაძლოა, თეგი ვერც კი შეამჩნია. ერთი სიტყვით, სანამ რაზმი წასვლის ბრძანებას ელოდებოდა, თეგს მშვიდად ცხოვრება შეეძლო. მაგრამ ამხანაგები არ ასვენებდნენ. არმიაში ეს მიღებულია, თითქმის ისე, როგორც „ისთ ლინშია" ("ისთ ლინი" - ელენ ვუდის ამავე სახელწოდების რომანის მოტივებზე დაწერილი პიესა) . ყოველთვის გამოჩნდებოდა ვიღაც, რომელიც იწყებდა:

- მითხარი, თეგ, მართალია, რომ გენერალ ლის არაფერი ჰქონდა დასანებებელი, როდესაც დანებდა?

თეგი პასუხობდა:

- ჰო, მამაჩემი ყოველთვის ასე ამბობს. ის მაშინ თვითონაც იბრძოდა, ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, თუმცა ჩვიდმეტისაც კი არ იყო.

ამ დროს მეორე ამატებდა:

- მაშასადამე, მამის, საკუთარი მამის წინააღმდეგ წახვედი, რათა მსროლელთა არმიაში ჩაწერილიყავი?

თეგი გაუნძრევლად იჯდა, მუხლებშუა ხელები ჩამოეშვა, რომლებითაც მხოლოდ ფარდულების ყველაზე უბრალო კედლების, ყველაზე სადა მესრების შეღებვა იცოდა, სამაგიეროდ, ყველაზე გაჯიუტებულ ჯორსაც თავის ნებაზე ატარებდა, - იჯდა და ელოდა. ხვდებოდა, რომ ახლა დაიწყებოდა. ერთ-ერთი მათგანი კი, უფრო სწორად, ყველა მის ახლოს მყოფი, ცალ თვალს თეგისკენ აპარებდა, მეორეს - შორიახლოს მდგარი კაპიტანი ლენდონისკენ და ოფიცრის გარეთ გასვლას ელოდებოდა.

- მართალია, - პასუხობდა თეგი და ვიღაც თავიდან იწყებდა:

- ასე რატომ მოიქეცი, თეგ? ოცდაათს გადაცილებული ხარ, არავინგაგიწვევდა, მამაშენი უკვე დაბერდა. მარტო რომ დატოვო, მასზე ვინ იზრუნებს?

- არ შეიძლება, ამ გერმანელებს ხალხის აბუჩად აგდების ნება მივცეთ. ვიღაცამ სიფათი უნდა გაულამაზოს.

– მაშასადამე, მამაშენის ნების წინააღმდეგ არმიაში იმიტომ წახვედი, რომ გერმანელებს სიფათი გაულამაზო? ახლა კი კვლავაც მის წინააღმდეგ მოგიწევს სიარული – შენ ხომ მსოფლიოს უნდა შემოუარო, გერმანელებს სხვაგვარად ვერ მისწვდები.

– მე საფრანგეთში მივდივარ, – ამბობს თეგი.

– აბა, მე რას ვამბობ? ნახევარ მსოფლიოს უნდა შემოუარო. საით აპირებ წასვლას, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით? ნებისმიერი მხარე აირჩიე, იქ მოხვდები. გინდა, დაგენაძლევო? აღმოსავლეთით იარე, სანამ ომს არ მიაღწევ, იმ გერმანელებს ჭკუა ასწავლე, შემდეგ კი კვლავ აღმოსავლეთით განაგრძე გზა, მე კი ას დოლარს ჩამოვალ ერთის წინააღმდეგ, რომ ჯეფერსონში აღმოჩნდები, თანაც სწორედ მის ჯოანა ბერდენის საფოსტო ყუთის პირდაპირ, ქალაქის მოედნიდან, სასამართლოდან ერთ მილში.

ამ დროს კაპიტანი მაკ ლენდონი ბრუნდებოდა: ვიღაც ასწრებდა და ამ ამბავს აგებინებდა. როგორც ჩანს, იგი ისეთი უხეირო მეთაური გამოდგა, რომ ამ თანამდებობიდან რაზმის ფრონტზე მოხვედრამდე დიდი ხნით ადრე გაათავისუფლეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი აქ, ჯეფერსონში, ისეთ ბანდას ჩაუდგა სათავეში, რომ ყოველთვის, როდესაც დასაძინებლად ვწვები, მიხარია, რომ ამ სიბნელეში სადმე ახლომახლო არ არიან. მაგრამ იმ დროს რაზმი, ყოველ შემთხვევაში, ხელში ეჭირა, და არა მხოლოდ სამხრეების გამო. მარტო ეს რომ ყოფილიყო, რაზმში პირველივე შაბათის შემდეგ არავინ დარჩებოდა: ის მათ თავისი უბრალო, ადამიანური თვისებებით აკავებდა, რომლებიც მაშინაც ბუდობდა მასში, როდესაც შემდგომში ცუდ ამბავში გაეხვია და რაზმი ახალ, უკეთეს მეთაურს ელოდებოდა. კაპიტანს უკვე სამხედრო ფორმა ეცვა. საერთოდ, მას ბამბა მოჰყავდა, ერთ-ერთი მემფისური საექსპორტო ფირმისთვის ყიდულობდა, გამომუშავებულ საკომისიოს კი ბირჟაზე ხარჯავდა – ფასის მომატებაზე თამაშობდა. მაგრამ ფერმერს განსაკუთრებით სწორედ სამხედრო ფორმაში ჰგავდა.

– აბა, რა ამბავში ხართ აქ? – ამბობდა იგი, – ხომ არ გგონიათ, რომ თეგი ფორთოხალზე მცოცავი ჭიანჭველაა? სულაც არ გაემგზავრება რაღაცის გარშემო, პირდაპირ წავა, ოკეანეს გადალახავს და საფრანგეთამდე ჩავა თავისი სამშობლოსთვის საბრძოლველად. როცა იქ საჭირო აღარ იქნება, კვლავაც ოკეანის გავლით აქ, ჯეფერსონში დაბრუნდება. საიდანაც წავა, იქვე დაბრუნდება. ახლა კი გაფრთხილებთ, ასეთი რამ აღარ გავიგონო, გასაგებია?

არ ვიცი, კიდევ დასჭირდა თუ არა თეგს კაპიტან მაკ ლენდონის დახმარება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დახმარება თავისით შეწყდა. ერთი კვირის შემდეგ რაზმი მოაწყვეს და სასწავლებლად ტეხასში გაგზავნეს, იქ კი, იმის გათვალისწინებით, რომ თეგშტს ნებისმიერი ბრტყელი ზედაპირის შეღებვა შეეძლო, თუ ის საკმაოდ სადა და თვალსაჩინოკიდეებიანი იყო, თანაც ისე საოცრად კარგად ეხერხებოდა ჯორებთან და ცხენებთან ურთიერთობა, რომ ამ საქმის ექსპერტმა პეტ სტემპერმა მასში ნიჭად წოდებული იშვიათი თვისების ნიშნები აღმოაჩინა, – ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იგი, ცხადია, არმიაში მზარეულად დანიშნეს და იმავე დღეს გაგზავნეს ფრონტზე. ასე რომ, ის არა მხოლოდ ზღვის იქით გაგზავნილი პირველი ჯარისკაცი იყო

იოკნაპატოფის ოლქიდან (თუ ძმებ სარტორისებს არ ჩავთვლით, ოფიციალურად რომ ირიცხებოდნენ ბრიტანეთის ჯარში), არამედ ერთ-ერთი უკანასკნელი შინ დაბრუნებული ამერიკელი ჯარისკაციც, 1919 წლის ბოლოს, ვინაიდან, როგორც ჩანს, იმავე სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელმაც იგი მზარეულად დანიშნა, დაავიწყდა, სად გაგზავნა იგი (არა, არ დაუკარგავთ. 1942-1945 წლებში მიღებულმა საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა არაფერს კარგავს, ის მხოლოდ ცოცხლად თუ დაგმარხავთ სადმე).

მოკლედ, ბოლოს იგი შინ დაბრუნდა და მარტო ცხოვრობდა (მამამისი, მოხუცი ნაითინგეილი, ჯერ კიდევ 1917 წლის ზაფხულში გარდაიცვალა. ბიძია გევინის სიტყვებით, იგი საკუთარმა უდრეკმა ხასიათმა დაღუპა, ვინაიდან არ დანებდა და ზიზღით გამოიწვია თვით ჯაგერნაუტი (ჯაგერნაუტი - დამანგრეველი ძალა) - შეუბრალებელი ისტორია და მეცნიერება, ჯერ კიდევ 1865 წლის აპრილში, და მას შემდეგ ერთხელაც არ შემდრკალა). თეგი კვლავაც ღებავდა მესრებს და ფარდულებს, თავს შაბათობით სადალაქოში იბანდა, კამათელს თამაშობდა და თავისი შესაძლებლობის მიხედვით სვამდა, მაგრამ როგორც ვ.კ. რეტლიფი ამბობდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასწავლიდნენ, მეოთხე განზომილება არ ჩანსო, მან კი მოულოდნელად ის საკუთარი თვალით იხილა. თანაც მის გვერდით კაპიტანი ლენდონი აღარ იმყოფებოდა. ანუ მაკ ლენდონიც დაბრუნდა შინ, ოღონდ მისი მეთაური აღარ იყო. აქ შესაძლოა, აღარც კაპიტან მაკ ლენდონის თანდაყოლილ ჰუმანურობას ეშველა, რომელსაც ადრე ამჟღავნებდა და თეგს კოსმოლოგიის შეუბრალებელი ჭეშმარიტებისგან იცავდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, მასში ამ სიკეთის მარაგი ამოიწურა, რადგან ჰუმანიზმის პრობლემებთან მორიგი შეჯახებისას გულკეთილობა აღარ გამოუჩენია.

თეგსკი სადალაქოში კვლავაც იგივე ამბავი გადახდა თავს (არა, მე ამას არ შევსწრებივარ - იმ ასაკის ვიყავი, რომ საღამოს ათ საათზე აუცილებლად გამომაგდებდნენ სადალაქოდან, თუნდაც იქ დედის დაუკითხავად მისვლა მომეხერხებინა. მომხდარის შესახებ რეტლიფმა ბიძია გევინს უამბო, მან კი - მე).

ამჯერად ყველაფერი სკიტს მაკგაუნს წამოეწყო, ბიძია ბილი კრისტიანის საკონდიტროს ნოქარს - კოხტაობის მოყვარულ ტრაბახა ყმაწვილს, რომელსაც სუფთა კი არა, ოდეკოლონის სუნით აყროლებული უფრო ეთქმოდა. საკონდიტროში იგი თოთხმეტი-თხუთმეტი წლის გოგონებს მოსწონდათ, თუმცა მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ არც ისეთი ახალგაზრდა ყოფილა, როგორიც ჩანდა. რეტლიფის მტკიცებით, იგი ათი წლის შემდეგაც ვერ გახდა ისეთი განათლებული, როგორადაც მაშინ მოჰქონდა თავი - ისეთ სახეს მიიღებდა ხოლმე, თითქოს რაღაც დაავიწყდაო. სკიტსისთვის პირი გაეპარსათ და ოდეკოლონი ეპკურებინათ, თეგს კი თავი დაებანა და წყნარად იჯდა, სანამ ვისკიმ მის ხასიათზე არ იმოქმედა.

- მაშასადამე, ტეხასიდან ჩრდილოეთისკენ გაემგზავრე, - თქვა სკიტსმა.

- მართალია, - დაეთანხმა თეგი.

– აბა, მოგვიყევი, რა მოხდა და როგორ, – განაგრძო სკიტსმა, – მაშასადამე, ტეხასიდან პირდაპირ ჩრდილოეთისკენ, ნიუ-იორკისკენ აიღე გეზი, გემზე ახვედი და გზა კვლავ ჩრდილოეთისკენ განაგრძე.

– მართალია, – კვერი დაუკრა თეგმა.

– მაგრამ ვაითუ ცოტა მოგატყუეს? იქნებ გემი დასავლეთისკენ ან აღმოსავლეთისკენ მოაბრუნეს, ან სულაც უკან, სამხრეთისკენ?

– ეშმაკმა წამიღოს! – ამბობს თეგი, – შენი აზრით, არ ვიცი, ჩრდილოეთი საითაა? შუაღამითაც რომ წამომაგდო საწოლიდან, სიბნელეში თითს ჩრდილოეთისკენ გავიშვერ.

– გინდა, დავნაძლევდეთ? ხუთ დოლარზე? ათზე?

– ათ დოლარსაც ჩამოვიდოდი ერთის წინააღმდეგ, მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცი, უკანასკნელ დოლარს შამპუნზე ან აბრეშუმის პერანგზე დახარჯავდი.

– კარგი, კარგი, – თქვა სკიტსმა, – მაშასადამე, გემი პირდაპირ ჩრდილოეთისკენ, საფრანგეთისკენ გაემართა. საფრანგეთში ორი წელი დაჰყავი, შემდეგ კი კვლავ გემზე ახვედი და კვლავ ჩრდილოეთისკენ გაემართე. ბოლოს გემიდან ჩამოხვედი, მატარებელში ჩაჯექი და ...

– მოკეტე! – ამბობს თეგი.

– ...ჩრდილოეთისკენ აიღე გეზი. მატარებლიდან ჩამოხვედი და ჯეფერსონში აღმოჩნდი.

– გაჩუმდი, შე წყეულო ნაძირალავ! – თქვა თეგმა.

– ნუთუ ვერ ხვდები, ეს რას ნიშნავს? ან ჯეფერსონი გადაიტანეს... – თეგი უკვე წამოდგა სკამიდან, თუმცა სკიტსი ჯერ ვერ ხვდებოდა, რა ელოდა, და განაგრძობდა: – ყველა, ვინც აქ, სახლში იჯდა და ომში არ წასულა, გეტყვის, რომ ასე არ მომხდარა. შენ ჯეფერსონიდან ან ტეხასის გავლით გაემგზავრე ჩრდილოეთისკენ და ჯეფერსონშიც ჩრდილოეთიდან, ოღონდ ტეხასის გაუვლელად დაბრუნდი... – ახლა უკვე ყველა დალაქი, კლიენტი თუ უსაქმოდ მოყიალე, თვით ღამის პოლიციელიც კი, თეგს აკავებდა. თუმცა ამ დროისთვის „სასწრაფოს“ სკიტსი უკვე საავადმყოფოში წაეყვანა.

შემდეგ ბაიარდ სარტორისი დაბრუნდა. იგი 1919 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა და ყველაზე მძლავრი სარბოლო მანქანა იყიდა, რომლის შოვნაც შეიძლებოდა, და გამუდმებით ან ოლქში დაქროდა, ან – მემფისში და უკან, მაგრამ ერთხელაც მისმა დეიდამ, მისის დიუ პრემ (ყველას გვეგონა, რომ ეს მან გააკეთა), ჯეფერსონს თვალი მოავლო, ერთი ხელი მის ნარცისა ბენბოუს ჩაავლო, მეორე კი – ბაიარდს და ორ მგზავრობას შორის მათი დაქორწინება დააპირა, რათა ამით ხელი შეეშალა ბაიარდისთვის, კისერი არ მოეტეხა, რადგან უკანასკნელი მოჰიკანი-სარტორისი იყო (ჯონი 1918 წლის ივლისში ჩამოაგდეს), მაგრამ მისმა გეგმამ არ გაამართლა. ვინაიდან, როგორც კი ნარცისა დაფეხმძიმდა (ეს საკმაოდ სწრაფად მოხდა), ის, ბაიარდი, კვლავაც თავზეხელაღებით შეუდგა მანქანის ტარებას, სანამ საქმეში თვითონ

პოლკოვნიკი სარტორისი არ ჩაერია: მან უარი განაცხადა თავის ეტლზე, თუმცა ავტომობილებს ვერ იტანდა, და ახლა ბაიარდი სახლიდან ბანკში და ბანკიდან სახლში მას მანქანით დაატარებდა და გზის ამ ნაწილზე ნელა მოძრაობდა. სამწუხაროდ, პოლკოვნიკ სარტორისს ავადმყოფი გული ჰქონდა და როდესაც ავარია მოხდა, იგი გარდაიცვალა. ბაიარდი დამტვრეული მანქანიდან გადმოვიდა, ფეხმძიმე ცოლი და სახლი მიატოვა და მიიმალა. მისი სახელი მხოლოდ მომდევნო გაზაფხულზე გაიგეს, როდესაც კვლავაც ებრძოდა გულის დარდს და დასახულ მიზნამდე მისასვლელად ზღვრული სიჩქარის განვითარებისთვის დაიტონის საცდელ აეროდრომზე თვითმფრინავს იყენებდა, უახლეს ექსპერიმენტულ მოდელს. მაგრამ, სამწუხაროდ, თვითმფრინავმა ეშმაკობაში აჯობა და ჰაერში თავისი ოთხივე ფრთა ჩამოყარა.

– დიახ, დარდმა მოინელა, – ამბობდა ბიძია გევინი. მან ისიც თქვა, რომ ცივილიზებულ სამყაროში ომი ერთადერთი მდგომარეობაა, რომელიც ადამიანებს მათთვის დამახასიათებელი ქვენა ინსტინქტების გამომჟღავნებაში ეხმარება, ამასთან ამას არა მხოლოდ იწონებენ, არამედ ხელსაც უწყობენ. ბაიარდს გერმანელებისთვის ომის დაწყება კი არა, დასრულება, შეწყვეტა ვერ ეპატიებინა. მაგრამ დედამ მითხრა, რომ ეს ასე არ იყო, რომ ბაიარდი შიშმა და სირცხვილმა შეიპყრო. იმის კი არ რცხვენოდა, რომ შეეშინდა –შეშინდა, როდესაც მიხვდა, რომ შესაძლოა შერცხვენოდა. დედა ამბობდა, რომ სარტორისები სხვებს არ ჰგავდნენ. სხვა ადამიანებს ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვართ, ოღონდ ამას ყველას უმალავენ, ამაში საკუთარ თავსაც ჩუმად თუ გამოუტყდებიან. ასე რომ, ამის არ უნდა რცხვენოდეთ. და თუ რცხვენიათ კიდეც, ამ სირცხვილის არ ეშინიათ. მაგრამ სარტორისები ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარდათ, ეს მხოლოდ ბაიარდმა იცოდა. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა და არც იცოდა სირცხვილი რა იყო, სანამ ტყუპისცალ ძმასთან ერთად ინგლისში არ ჩავიდა, სადაც ორივენი ზაფხულის საქმეს სწავლობდნენ და უპარაშუტო, ფურთხითა და მავთულით გაკეთებული თვითმფრინავებით დაფრინავდნენ. შესაძლოა, არც იცოდა ეს სირცხვილი, სანამ ფრონტზე არ მოხვდნენ, სადაც მათთვისაც კი, ვინც აქამდე ცოცხალმა მოაღწია, გადარჩენის შანსი მფრინავ მზვერავებთან შედარებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, სამხედრო სამსახურის პირველი სამი კვირის განმავლობაში არ იღუპებოდნენ, ნულს უტოლდებოდა. მოულოდნელად ბაიარდი მიხვდა, რომ ერთადერთი ადამიანი იყო ესკადრილიაში, ალბათ, ბრიტანეთის საჰაერო ფლოტშიც და, შესაძლოა, მთელ სამხედრო ავიაციაში, რომელსაც ორეული ჰყავდა; მიხვდა, რომ ერთი კი არა, ორი ადამიანი იყო, ვინაიდან ტყუპისცალი ძმა ჰყავდა, რომელსაც მასავით მუდამ საფრთხე ემუქრებოდა და ცოცხლად დარჩენის ისეთივე შანსი ჰქონდა, როგორიც მას. ასე რომ, არსებითად, ამ ომში მონაწილე ყველა მფრინავს შორის, მას ნებისმიერი შემთხვევითობის წინააღმდეგ ორმაგი გარანტია ჰქონდა (და, ცხადია, მის ტყუპისცალ ძმასაც ორჯერ მეტი შანსი ჰქონდა, ოღონდ პირიქით). და იმ წამს, როდესაც ამის შესახებ გაიფიქრა, თავზარდაცემული მიხვდა, რომ თვითონ ამ აზრისაც რცხვენოდა, ამის აღიარებისაც და იმისაც, რომ გაბედა და ეს გაიფიქრა.

დედაჩემის თქმით, სწორედ ეს იყო მისი უბედურება, ამიტომაც დაბრუნდა ჯეფერსონში, პირქუში და უხალისო, ერთადერთი მიზნით – მცდელობა არ დაეკლო, რომ კისერი მოეტეხა და ირგვლივ მყოფთ მღელვარება და გულისტკივილი თუ არა, უკმაყოფილება არ მოჰკლებოდათ. მისი მთავარი

უბედურება სარტორისებისთვის სრულიად უცხო განცდას, სირცხვილის შეგრძნებას უკავშირდებოდა, რომელთან ერთადაც ცხოვრება არ შეეძლო, თუმცა ვერც თავიდან იცილებდა; მის არსებობას ვერაფრით ურიგდებოდა, და ვერც თავს აღწევდა მას. აი, ამიტომ იგდებდა თავს საფრთხეში, განსაცდელს ეთამაშებოდა, ბედს მინდობოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგივე ფარული აზრი – რომ ტყუპებს უსაფრთხოების თითქოსდა ორმაგი გარანტია აქვთ – მეორე ძმასაც, ჯონსაც, სწორედ მაშინ მოუვიდა თავში: ისინი ხომ ტყუპები იყვნენ. თუმცა ჯონს ეს ნამდვილად არ ანაღვლებდა იმაზე მეტად, ვიდრე მის დიდ ბაბუას (პირველ, ნამდვილ პოლკოვნიკ სარტორისს) ადარდებდა, რასაც იმ წინა ომში აკეთებდა (ბიძია გევინი ამბობდა, – ხუთი წლის შემდეგ კი თვითონ მომეცა ამის შემოწმების შესაძლებლობა, – რომ ადამიანი, თუნდაც მას მხოლოდ ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაციის სანიტარულ ნაწილში ემსახურა, ომიდან დაბრუნების შემდეგ ყოველთვის ნანობს რაღაცას, რაც გააკეთა, ან ცდილობს ამის დავიწყებას). მთელი ოჯახიდან მხოლოდ ბაიარდი აღმოჩნდა ასეთი სუსტი და სარტორისებისთვის შეუფერებელი.

ახლა კი, თუკი დედაჩემი არ ცდებოდა, იგი ორმაგად იტანჯებოდა. ჯერ ერთი, ის აზრი არ ასვენებდა, რომ ასე დაეცა და გასაქანი მისცა საკუთარ სულმდაბალ წარმოსახვასა და ეგოისტურ იმედს, თანაც რცხვენოდა მათი და ამ სირცხვილს თავიდან ვერ იცილებდა. მეორე ის, რომ თუ უსაფრთხოების ეს ორმაგი გარანტია მის სასარგებლოდ იმუშავებდა და ჯერ ჯონს ჩამოაგდებდნენ, მას, ბაიარდს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს იცოცხლებდა, მოუწევდა თავის ტყუპისცალთან შეხვედრა უკვდავთა დასში და მაშინ ვერაფრით დამალავდა საკუთარ სისუსტესა და საკუთარ სამარცხვინო ლაქას. სამარცხვინო ლაქა თვითონ ეს აზრი კი არ იყო, ვინაიდან იგივე აზრი იმავე დროს, ალბათ, მის ძმასაც მოუვიდა თავში, თუმცა ისინი სხვადასხვა ესკადრილიაში მსახურობდნენ. სირცხვილად ის მიაჩნდა, რომ ჯონს, მისგან განსხვავებით, არასდროს შერცხვებოდა ამ აზრის. აზრი კი ასეთი იყო: სანამ ჩამოაგდებდნენ, ჯონმა გერმანელთა სამ თვითმფრინავს მოუღო ბოლო (ალბათ, ბაიარდზე უკეთ ისროდა ან, შესაძლოა, მეთაურს ის უფრო უყვარდა და ეხმარებოდა), მაგრამ ბაიარდსაც ბევრი ქულა დაეგროვებინა ბრიტანული ანგარიშის მიხედვით (ცხადია, თუკი რომელიმე მათგანს წარმოუდგენელი აზრი არ მოუვიდოდა თავში და იტყოდა: „მე არაფერ შუაში ვარ, ისე გამოვშტერდი, ტყვიამფრქვევის სასხლეტზე თითის დაჭერა დამავიწყდა"), ასე რომ, მას ორი ჩამოგდებული და ერთი შესაძლო ჩამოგდებული ჩაუთვალეს და ახლა, როდესაც ჯონი დაიღუპა და ქულები აღარ სჭირდებოდა, დაუშვით, მხოლოდ წამით დაუშვით, რომ ბაიარდს შეეძლო ეთხოვა, გაეყალბებინა ან აერ-დაერია ჩანაწერები, მოესყიდა ის, ვინც მათ ითვლიდა, რათა ყველა ნაალაფევი მხოლოდ ერთ სარტორისს მისწეროდა, – დაე, ერთი მათგანი დაბრუნებულიყო ომიდან გმირის სახელით, – ამასთან, ეს აზრი, თავისთავად, სულაც არ იყო ბილწი, ვინაიდან ის ჯონსაც მოსვლოდა თავში. მეტიც, ბაიარდი რომ მოეკლათ, ჯონს კი არაფერი დამართოდა, ეს უკანასკნელი ამ იდეას როგორმე აუცილებლად განახორციელებდა. ეს აზრი ბილწად მხოლოდ იმიტომ გადაიქცა, რომ ბაიარდმა თვითონ დაამდაბლა და შერყვნა იმით, რომ მისი შერცხვა. თანაც ამ სამარცხვინო აზრს თავისით ვერაფრით გაექცეოდა, რადგან თუ უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპებოდა და ოდესმე იმქვეყნად ჯონს შეხვდებოდა, მისი ძმა მხოლოდ დამცინავად ჩაიცინებდა. მაგრამ თუ პირში

პისტოლეტის ლულას ჩაიდებდა და სიცოცხლეს თვითონ მოისწრაფებდა, ჯონის სული არათუ ზიზღით დასცინებდა, არასდროს აპატიებდა და არასდროს შეურიგდებოდა.

მოკლედ, ლინდა სნოუპსი – მომიტევეთ, ლინდა სნოუპს-კოლი – ჩვენი პირველი გმირი ქალი გახლდათ. ასე რომ, შეგვეძლო გვევარაუდა, რომ მის შესახვედრად მთელი ქალაქი მოვიდოდა ან სამოქალაქო კლუბები და საეკლესიო საბჭოები დელეგატებს გამოგზავნიდნენ, არაფერს ვამბობ ომის ვეტერანთა ამერიკულ ლეგიონზე, რომელიც აუცილებლად შეხვდებოდა მას, „მის ამერიკის" ტიტული რომ მიეღო და მხოლოდ ნაღმზე არ აფეთქებულიყო ან კონტუზია არ მოსვლოდა, როდესაც ჭურვი იმ სანიტარიულ მანქანას მოხვდა, მას რომ მიჰყავდა, რამაც სამუდამოდ დააყრუა. ვთქვი კიდეც, ნეტა რად უნდა, შინ რომ ბრუნდება-მეთქი. აქ ვერსად შევიდოდა. რისთვის სჭირდებოდა „ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია" – ლატარია მოეწყო, სადაც მურაბასა და თვითნაკეთ აბაჟურებს გაათამაშებდნენ? თუნდაც მურაბის მოდუღება შესძლებოდა – სხვათა შორის, მოქანდაკეს, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ის სჭირდებოდა, რომ მას კერძების მომზადება სცოდნოდა. ცოლთან ურთიერთობა, სავარაუდოდ, მხოლოდ პარტიულ კრებებს შორის არსებულ თავისუფალ დროს ჰქონდა, სანამ ვიღაცამ ფაშისტებთან ომი არ წამოიწყო, ის კი ამ ომში ჩაერთო. იმას არ ვამბობ, რომ ჯეფერსონში, მისისიპის შტატში, ლინდას თავიდან მოუწევდა საჭმლის კეთების შესწავლა. ის ხომ ამას რესტორან „ჭუჭყიან კოვზში" სწავლობდა, რომელიც მამამისმა რეტლიფს წაართვა, როდესაც ისინი ჩვენს ქალაქში გამოჩნდნენ. მაგრამ შევცდი. მას საქალაქო ორგანიზაციები კი არა, კერძო პირები დახვდნენ, თანაც ჯეფერსონში სამივენი სრულიად შემთხვევით მოხვდნენ, რადგან, ფაქტობრივად, დედამისის წარსულიდან მოვიდნენ: ბიძაჩემი, მამამისი და რეტლიფი. შემდეგ დავინახე, რომ სამი ორად გადაიქცეოდა: რეტლიფმა მანქანაში ჩაჯდომაც კი არ ისურვა.

– წამოდი! – უთხრა ბიძია გევინმა, – ჩვენთან ერთად წამოდი!

– აჯობებს, აქ მოვიცადო, – თქვა რეტლიფმა, – მე შეხვედრის მომწყობი ვიქნები. შემდეგ ჯერამდე, – დაამატა მან.

– რა? – ჩაეკითხა ბიძია გევინი.

– არაფერი, – ამბობს რეტლიფი, – ეს ერთხელ ჩიკმა თქვა ხუმრობით, ასე მიწოდა.

შემდეგ დავინახე, რომ დედამისის წარსულთან დაკავშირებულ ადამიანთაგან მხოლოდ ერთი დარჩებოდა. ბანკთან არათუ არ შევჩერებულვართ, არც ჩაგვივლია. მე ვთქვი: „რა ჯანდაბად უნდა დაკარგოს მისტერ სნოუპსმა ნაყოფიერი მევახშეობის სულ ცოტა ექვსი საათი და მემფისში ჩავიდეს თავისი ქალიშვილის შესახვედრად? მას ხომ ხარჯი არ დანანებია, ოღონდ კი ის ჯეფერსონიდან, შეძლებისდაგვარად, შორს გაეშვა: არა მხოლოდ დაასახიჩრა დე სპეინის სახლი, არამედ დედამისის საფლავზეც იმპორტული იტალიური მარმარილო დაახვავა, რათა ქალიშვილს თუნდაც ამის გულისთვის მოუნდეს აქედან წასვლა ან დაბრუნება აღარ მოისურვოს. როგორც გნებავს, ისე იფიქრე".

მე ვთქვი: „მაშასადამე, ჩემი ბრალია, რომ ძალზე გვიან დავიბადე, რათა „დემოკრატია“ (“დემოკრატია” - ჰენრი ბრუქს ადამსის (1838-1918 წწ.) პოლიტიკური ნოველა) ჩვენს ომში დამეცვა, „კაპიტალი“(“კაპიტალი” - კარლ მარქსის (1818-1883 წწ.), გერმანელი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის ცნობილი ნაწარმოები) კი - მათ ომში. თუ ასეა, წინ კიდევ საკმარისად ბევრი დრო მქონია. თუ იმის თქმა გინდა, რომ ჰიტლერი, მუსოლინი და ფრანკო ერთობლივი ძალისხმევით ვერ შეძლებენ ჰარვარდის სათადარიგო ოფიცერთა კორპუსის ჭეშმარიტი, უნაკლო, ოფიციალურად დარეგისტრირებული წევრის სერიოზულ სამხედრო ხათაბალაში ჩათრევას? ვინაიდან მე, ალბათ, ვერასდროს შევალ „პორსელიანში“; ფ.დ.რ.(ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882-1945 წწ.) - აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი) , მაგალითად, ვერ შევიდა.

მე ვთქვი: „სწორედ ესაა მთავარი. სწორედ ამიტომ დაიჟინე დღეს, რომ შენთან ერთად წამოვსულიყავი: თუმცა მას ყურის აპკი გახეთქილი აქვს და ვერ გააგონებ, როდესაც ეტყვი „არა“, ან „არა, გეთაყვა, ან „არა, ღვთის გულისთვის“. ყოველ შემთხვევაში, ცოლად ვერ გამოგყვება ჯეფერსონში ჩასვლამდე. თუკი აქ, მანქანაში ვიჯდები. მაგრამ წინ მთელი საღამოა, შენ კი შეგიძლია, გამაგდო. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ კიდევ ღამის რვა საათიცაა, როდესაც დედა სიამოვნებით ფიქრობს, რომ პატიოსნად მძინავს მაღლა. არც იმას გავუსვამ ხაზს, რომ მომდევნო თვეში კემბრიჯში უნდა დავბრუნდე, თუკი, რასაკვირველია, არ გადაწყვეტ, რომ შენი... როგორ ვთქვა - უმანკოების თუ დაუქორწინებლობის შესანარჩუნებლად ამ მსხვერპლის გაღებაც შეიძლება. თუმცა, რატომაც არა, განა შენ არ მოიფიქრე ჩემი კემბრიჯში, მასაჩუსეტსში გაგზავნა, რათა იქ ის მიმეღო, რასაც ხუმრობით განათლებას ვუწოდებთ? ტყუილუბრალოდ ხომ არ ამბობს დედა, რომ მთელი ცხოვრება უყვარდი, ოღონდ მაშინ ძალზე ახალგაზრდა იყო, რათა ამას მიმხვდარიყო, შენ კი ზედმეტად ჯენტლმენი იყავი ამის ასახსნელად. იქნებ დედამ ყველაფერი მართლა ყოველთვის ყველაზე უკეთ იცის?“

ამ დროს აეროპორტს, ანუ მემფისს მივუახლოვდით. ბიძია გევინი ამბობს:

- მანქანა დააყენე და ყავა დავლიოთ. ნახევარი საათი მოგვიწევს ლოდინი.

ყავა რესტორანში დავლიეთ. არ ვიცი, რატომ არ ეძახიან მას აქ „ზეციურ ადგილს“ - შესაძლოა, მემფისმა ნებართვის აღება ვერ მოახერხა. რეტლიფმათქვა, რომ, ადრე თუ გვიან, ლინდა აუცილებლად გათხოვდებოდა და ყოველი დღის გასვლის შემდეგ ეს ვადა ახლოვდებოდა. არა, ზუსტად ასე არ უთქვამს: მუდამ ხომ არ უნდა გაურბოდეს ბიძია გევინი ბედს. დადგება დღე, როდესაც ვიღაც ქალი გადაწყვეტს, რომ ის უკვე სოლიდური და საიმედო მამაკაცია და იმსახურებს იმას, რომ შემთხვევითი დავალებების ნაცვლად, მისთვის მუდმივი სამუშაოს მიცემაც შეიძლება, და რაც უფრო მალე დადგება ეს დღე, მით უკეთესი. მაშინ საფრთხე საერთოდ აღარ იარსებებს.

- რა შუაშია საფრთხე? - ვეუბნები, - ვფიქრობ, ის სრულიად უსაფრთხოდაა. მასზე მოუწყვლად ადამიანს ცხოვრებაში არასდროს შევხვედრივარ.

– მასზე კი არა, – ამბობს რეტლიფი, – ჩვენზე, იოკნაპატოფის ოლქზე ვამბობ. იქნებ მაშინ აღარ დაგვემუქროს რამე საფრთხე, ვინაიდან ყველაფერში ჩარევის დრო არ ექნება.

– ასეთ შემთხვევაში, მისგან თავის დაცვა ადვილი არ იქნება. მასში, გევინის ხასიათში, იყო რაღაც, რაც მას ყოველთვის გადაარჩენდა. საქმე ისაა, რომ ადამიანები იზრდებიან, განსაკუთრებით თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ქალიშვილები, რომლებიც ექვს ან თორმეტ თვეში იმაზე დიდ ნახტომს აკეთებენ, ვიდრე მომდევნო ათი წლის განმავლობაში. იმის თქმა მინდა, რომ გევინს ყოველთვის უყვარდა ბავშვები, მას მომეტებულად გოგონები ეთვისებოდნენ, მათ უყვარდათ იგი. მაგრამ მიუხედავად იმისა, ისინი ირჩევდნენ მას თუ თვითონ – მათ, ეს ისეთ ასაკში ხდებოდა, როდესაც სამუდამო ერთგულების ფიცი სუნთქვაზე სწრაფად ქრება. ახლა მელისანდრა ბეკუსზე ვსაუბრობ, თუმცა ეს ჩემამდე და ლინდა სნოუპსამდე ხდებოდა. ანუ მელისანდრას თორმეტი, ცამეტი და თოთხმეტი მანამდე დიდი ხნით ადრე შეუსრულდა, ვიდრე ადგილს ლინდას გაუთავისუფლებდა, რომელმაც ეს სიცარიელე შეავსო. მაშინ, დიდი ხნის წინათ, გევინი მელისანდრასთვის არჩევდა და უკვეთდა ლექსების კრებულებს, ყოველ შემთხვევაში, მის კითხვას თვალყურს ადევნებდა და ხელმძღვანელობდა და, შესაძლოა, ეს დაეხმარა მას, როდესაც საკუთარ შეცდომებს გამოცდილების საშუალებით ამოწმებდა, ადგენდა, რომელი წიგნებით შეიძლებოდა ლინდას გონებასა და ხასიათზე ზემოქმედება, და როცა მისი ჯერი დადგა, მან, ყოველ შემთხვევაში, იცოდა, როგორ შეეწყო ხელი გოგონას გონებრივი განვითარებისთვის.

სამწუხაროდ მელისანდრამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა – ერთბაშად დაქალდა და სამუდამოდ გაცვალა სპენსერისა (ჰერბერტ სპენსერი (1820-1903 წწ.) – ბრიტანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი) და ახალგაზრდა მილტონის (ჯონ მილტონი (1608-1674 წწ.) – ინგლისელი პოეტი, მწერალი და სამოქალაქო მოღვაწე) მოჩვენებითი სამყარო ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებაზე, სადაც ისეთ ქალიშვილსაც კი, როგორსაც ბიძია გევინი ირჩევდა, ან როგორიც თვითონ მას ირჩევდა, შეეძლო მოეთხოვა მამაკაცისგან, რომელიც ერთგულებასა და თავდადებაზე ლაქლაქებდა, ან ემოქმედა, ან დადუმებულიყო. ყოველ შემთხვევაში, იმ ჯერზე იგი გადარჩა. თუმცა ამას არ შევსწრებივარ და მოვლენების განვითარების თანამიმდევრობა არ ვიცი: შესაძლოა, თავდაპირველად გევინი ჰარვარდში გაემგზავრა, შესაძლოა, ეს ჰარვარდსა და ჰაიდელბერგს შორის მოხდა, შესაძლოა, მელისანდრა მანამდე გათხოვდა. იმის თქმა კი შეიძლება, რომ როდესაც ომიდან დაბრუნდა, მელისანდრა გათხოვილი დახვდა. იგი ცოლად ნიუორლეანელ მსხვილ საქმოსანსა და განგსტერს გაჰყვა, ვინმე ჰარისს (ორი „ს"). ღმერთმა იცის, სად და როგორ მოჰკრა მან თვალი ამ მორცხვ, უდედოდ გაზრდილ, დაქვრივებული მამის ერთადერთ ქალიშვილს, რომელიც ქალაქიდან ორი-სამი მილის დაშორებით ცხოვრობდა – ოდესღაც იქ უზარმაზარი მამული მდებარეობდა, მაგრამ წლების განმავლობაში გავერანდა. მამამისი ზაფხულს ვერანდაზე ატარებდა, ზამთარში კი – ბიბლიოთეკაში ვისკის ბოთლთან და ჰორაციუსის (კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი (ძვ.წ. 65-8) – რომაელი პოეტი, ცნობილი ოდების ავტორი) წიგნთან ერთად. რაც თავი გვახსოვს, მელისანდრა სახლიდან არსად გამგზავრებულა, ოღონდ

ყოველდღე ზანგ მეეტლეს იგი ორადგილიანი ეკიპაჟით ქალაქში მიჰყავდა, სადაც ჯერ დაწყებითი სკოლა დაამთავრა, შემდეგ – საშუალო, ბოლოს კი – „ქალთა აკადემია". იმ კაცის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდით, რასაც თვითონ გვიყვებოდა: რომ გვარად ჰარისსი იყო, ორი „ს"-თი, რაც შესაძლოა, სიმართლეს შეეფერებოდა, და რომ ნიუ-ორლეანში რაღაცის იმპორტს ახორციელებდა. გვჯეროდა მისი, ვინაიდან (ეს 1919 წლის დასაწყისში ხდებოდა, ჯერ კიდევ ბიძია გევინის დაბრუნებამდე) ჯეფერსონელებიც კი ხვდებოდნენ, რას ნიშნავდა შავი დაჯავშნილი „კადილაკი" და ორბორტიან პიჯაკებში გამოწყობილი ორი მძღოლი, რომელთაც მარცხენა იღლიასთან რაღაც ოდნავ გამოჰბერვოდათ.

ფულზე აღარაფერს ვამბობ. მისტერ ბეკუსი მალე გარდაიცვალა და, ცხადია, ბევრი ამბობდა, თითქოს ის დარდს გადაჰყვა, რადგან მისი ქალიშვილი ბუტლეგერების მეფეს გაჰყვა ცოლად. თუმცა სიკვდილამდე, ალბათ, დარწმუნდა, რომ მისი სიძე ნამდვილი მეფე იყო, ყოველ შემთხვევაში, მის სამეფოს კარგი მოგება მოჰქონდა: ჯერ კიდევ მოხუცის სიცოცხლეში დაიწყო ფულმა დენა, ყველა სახურავი და ვერანდა შეკეთდა და გამაგრდა და თუმცა მისტერ ბეკუსი კვლავაც ჯიუტობდა და სახლის შეღებვის უფლებას არ იძლეოდა, ხეივანი მოიხრეშა. ასე რომ, როდესაც ქალიშვილი პირველად ეწვია მამას საშობაოდ ძიძასა და მემკვიდრე უფლისწულთან ერთად, თავისუფლად შეეძლო ქალაქში გასვლა ახალი ავტომობილით და არა ძველ ეტლში შებმული ჯაგლაგებით. შემდეგ მისტერ ბეკუსი მოკვდა დასახლი და სხვა დამხმარე ნაგებობებიც შეიღება. ახლა ჰარისსი, ორი „ს"-თი, ჯეფერსონში უფრო ხშირად ჩნდებოდა. მან იქ თანდათანობით მეგობრებიც შეიძინა, თუმცა ჩვენი იოკნაპატოფის ოლქის ყიდვა არც ისე ადვილი იყო და ადგილობრივებს თავი შორს ეკავათ, მხოლოდ თავ-თავიანთი თ-მოდელის ძველი ფორდებით, ზოგჯერ კი ცხენებით ან ჯორებით მიდიოდნენ იმის სანახავად, თუ როგორ დაემსგავსა ჩვეულებრივი, ჩრდილოეთ მისისიპიში ყველასთვის ცნობილი მამული მეცხენეობის ფერმას, როგორიც ლონგ-აილენდსა და ვირჯინიაში იციან: რამდენიმე მილის მანძილზე თეთრი ფიცრული ღობე შემოავლეს (მაშინ, როცა ჩვენში ფერმერები მავთულითა და სარებით კმაყოფილდებოდნენ). ახალ თეთრ საჯინიბოებში ორთქლის გათბობა, დენი და წყალი შეიყვანეს, ცხენებს ლაქიები და მსახურთუფროსები უვლიდნენ, თითქოს ისინი ცხენები კი არა, ადამიანები იყვნენ, არადა, ბევრი ჩვენგანი სახლში ნავთის ლამპას იყენებდა, ცოლები კი შეშას უახლოესი ტყიდან, წყალს კი წყაროდან ან ჭიდან ეზიდებოდნენ.

მათ უკვე ორი შვილი ჰყავდათ, – მემკვიდრე უფლისწული და პრინცესა, – როდესაც ჰარისსი თავისი ორი „ს"-თი ნიუ-ორლეანის საპარიკმახეროს სავარძელში იმსხვერპლა პროფესიულმა დაავადებამ – ჩვეულებრივმა ოცდათვრამეტმა კალიბრმა. ამის შემდეგ ცხენები, მეჯინიბეები და მსახურები სხვა მეპატრონეების ხელში გადავიდა. სახლი დაკეტეს. იქ მხოლოდ დარაჯი დარჩა, მისის ჰარისსი კი თავისი ორი „ს"-თი, ორი ბავშვით, ხუთი მსახურით, ძიძებითა და მდივნებით გაემგზავრა. დედაჩემმა, რომელიც მასთან ერთად „ქალთა აკადემიაში" სწავლობდა, აგრეთვე მისმა სხვა მეგობრებმა ევროპის სხვადასხვა მოდური ქალაქებიდან მის მიერ გამოგზავნილი ღია ბარათებისა და წერილების მიღება დაიწყეს, რომლებშიც თავდაპირველად იწერებოდა, თუ რამდენად უკეთესი ჰავა იყო იქ, შემდეგ – რამდენად უკეთესი ჰავა და სკოლები, იმედს გამოთქვამდა (ამას მხოლოდ

დედაჩემს სწერდა), რომ გევინი ჯანმრთელობას არ უჩიოდა, და უკვე ცოლიანიც იყო.

– ახლა მისთვის საშიში აღარ არის, – ვეუბნები რეტლიფს, ის კი მეკითხება:

– საშიში არ არის?

– დიახ, დალახვროს ეშმაკმა! ის არა მხოლოდ გაიზარდა და ზღაპრები აღარ სჭირდება, მას ორი შვილი და უამრავი ფული აქვს, რა ჯანდაბად უნდა გათხოვდეს? ეს არც გევინს უნდა უნდოდეს. მას ფული კი არა, ერთი რამ სჭირდება: ყველაფერში ჩაერიოს, ყველას შეუსწოროს. განა ის ახლა მისთვის საშიშია, დალახვროს ეშმაკმა?

– ეს კი მართალია, – ამბობს რეტლიფი, – მაშასადამე, ის ახლა საერთოდ უსაფრთხოდაა, არა? ყოველ შემთხვევაში, შემდეგ ჯერამდე.

ცხადია, ხუმრობდა. მაგრამ მან ეს ორი საათის წინათ გაიმეორა, როდესაც ჩვენთან ერთად აეროპორტში წამოსვლაზე უარი განაცხადა. ახლა გევინი იჯდა და იმას სვამდა, რასაც აეროპორტის რესტორნის მეპატრონეები ყავას უწოდებდნენ. ისეთი თვითკმაყოფილი, გულჩათხრობილი, ქედმაღლური და ზვიადი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც მეფის უკანალზე მოკალათებულ ტილს. როგორც ჩანს, ამ ლინდა კოლსაც (მაპატიეთ, სნოუპს-კოლს) საკმარისი ფული ჰქონდა – მას არა მხოლოდ დედამ დაუტოვა, ბიძია გევინმა, როგორც მისმა მეურვემ, მოახერხა და ბებერ უილ უორნერსაც გამოსწურა რაღაც. მამამისისგან არაფრის გამოწურვა არ სჭირდებოდა, ვინაიდან მოხუც სნოუპსს, ალბათ, თვითონაც გაუხარდებოდა, ცოტა მიეცა, ოღონდაც ის, რასაც ბიძია გევინი ან რეტლიფი უზადო ქალწულებრივ პირდაპირობას უწოდებდნენ, თვალში ხშირად აღარ მოხვედროდა. მაგრამ მას ხომ არ ჰყავდა ორი შვილი, ასე რომ, მე და რეტლიფს ამჯერადაც იმის იმედი უნდა გვქონოდა და კვლავაც ის ძირითადი გარემოება უნდა გვერწმუნა, რაც დროის ჩვეულებრივ სვლაში მდგომარეობდა: ყოველ ჯერზე დგებოდა მომენტი, როდესაც ერთ წამში ყველანი იზრდებოდნენ: ანუ იმისათვის, რომ მას ისინი უეცრად შეემჩნია, საჭირო იყო, გაზრდილიყვნენ და ეცხოვრათ, ამის მისაღწევად კი განუწყვეტლივ უნდა ემოძრავათ, და ისე გამოდიოდა, რომ ერთადერთი მომენტი, როდესაც ის მათ შემჩნევას იწყებდა, ის პერიოდი იყო, როდესაც დაქალებას იწყებდნენ, და მაშინ ისინი მის თვალწინ ისე გაკრთებოდნენ, როგორც კარებში გაიელვებს ხოლმე კინოაპარატით დაფიქსირებული კაბის ნაკეცი, ხელი ან ფეხი, თუმცა ყველაფერი უკვე გამქრალია მოძრაობაში, დაუბრუნებელ წამში.

სწორედ ეს გადაარჩენდა მას ყოველ ჯერზე: ის, რომ წამი წარმავალი იყო. ისინი ვერ გაჩერდებოდნენ კარში, შიგნით შემოსულები ზოგჯერ კარის მიხურვასაც ვერ ასწრებდნენ და უკვე სხვა კარში გადიოდნენ, იმის იქით კი გათხოვება ელოდათ: მოწიფულობიდან დედობამდე, ასე ვთქვათ, ერთ გაკვეთილში. ეს კარგი იყო. იქ, მეორე კარის მიღმა, ბიძია გევინი აღარ დახვდებოდათ. ის კვლავაც პირველ კართან იდგა. და ვინაიდან ცხოვრება მოძრაობა კი არა, ერთი და იმავე მოძრაობების ერთფეროვანი გამეორებაა, პირველ კართან დიდხანს დგომა არ უწევდა და მალე კვლავაც გაკრთებოდა აქა-იქ კაბის ნაკეცი და მოზარდის ჩამოუყალიბებელი ფეხიც გაქრებოდა.

შემეძლო რეტლიფისთვის მეთქვა, რომ სანამ ბიძია გევინს მემფისში წარსულთან დამშვიდობებაში ვეხმარებოდი, ენახა, ვინ იქნებოდა შემდეგი, ისე, როგორც ოდესღაც ლინდამ დაიკავა მელისანდრას ადგილი, სანამ მელისანდრა მიხვდა, რომ შემცვლელი ჰყავდა. მაგრამ მალე გავაცნობიერე, რომ არაფერი იყო საჭირო, ვინაიდან ბიძია გევინს, ალბათ, უკვე შეერჩია ვინმე, ამიტომაც ჰქონდა მშვიდი, უშფოთველი სახე, ყავას სვამდა და ელოდებოდა, როდის გამოაცხადებდნენ თვითმფრინავის ჩამოფრენას.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოაცხადეს კიდეც. მინდორზე გავედით. ღობესთან შევჩერდი.

– დაგელოდები, – ვეუბნები, – ალბათ, მარტო ყოფნა მოგინდებათ, სანამ შესაძლებელია: მართალია, მარტო არ იქნებით, მაგრამ აქ არავინ გიცნობთ. გრიფელის დაფა თუ მოამზადე? იქნებ მოიმარჯვა უკვე პატარა ფირფიტა და სახელოზე ან მუხლზე მიიმაგრა. იცი, როგორ ათავსებენ რუკას მფრინავები?

მაგრამ ის არ მპასუხობდა. ამ დროს თვითმფრინავიც ჩამოფრინდა, დს-3, და მალე ისიც გამოვიდა. შორიდან მის თვალებს ვერ ვხედავდი, თუმცა მას თვალები კი არა, ყურები დაუზიანა იმ ბომბმა, ნაღმმა თუ ჭურვმა – არ ვიცი, რომელი მოხვდა მანქანას. ისევ ისეთი მაღალი ქალიშვილი იყო, ზედმეტად მაღალი, ასე რომ, იმის თქმაც კი ჭირდა, კარგი აღნაგობა თუ ჰქონდა (თუმცა, არ ვიცი – ასეთ ქალებს კაბას გახდი და გაოცდები, თუნდაც ის უკვე ოცდაცხრა წლის იყოს). შემდეგ მისი თვალები დავინახე, ისეთი ლურჯი, რომ თავდაპირველად შავი მეგონა. საერთოდ, ვერაფრით გამეგო მისი ასეთი თვალებისა და მუქი თმის, ვინაიდან მოხუც სნოუპსს თვალები დამყაყებულ ჭაობის წყალს მიუგავდა, თმა კი რაღაც უფერო მასას, დედამისს კი, მართალია, ცისფერი თვალები ჰქონდა, სამაგიეროდ, ქერა თმა ამშვენებდა. როდესაც დედამისს ვიხსენებდი, იგი ყოველთვის ისეთი სახით წარმომიდგებოდა, თითქოს ახლახან გამოეყვანათ მხიარული სკანდინავიური ვალგალადან (ვალგალა – სკანდინავიური მითოლოგიის მიხედვით: ღმერთ ოდინის სასახლე, სადაც ომში დაღუპულ მეომართა სულები ხვდებიან) , და პოლიციას, სანამ თავის საპოლიციო ეტლში ჩასვამდა, მოესწრო და მისთვის რაღაც ტანსაცმელი მოესხა. ლინდას კი კარგი თვალები ჰქონდა და სწორედ თქვენ რომ გხვდომოდათ წილად მისთვის კაბის გახდა, იტყოდით, რა მშვენიერებაა. ხელში მართლა პატარა ბლოკნოტი და ფანქარი ეჭირა, სანამ გევინს კოცნიდა. არ გატყუებთ, მართლა კოცნიდა. მაგრამ მან, როგორც ჩანს, ვერ მოისაზრა, რომ ეს ბლოკნოტი უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან ხმამაღლა თქვა, თითქოს ქალს ყველაფერი ესმოდა.

– ჩიკიც აქ არის, – და მან მეც გამიხსენა: გევინივით მაღალი იყო, ლამის ჩემხელა, ფრჩხილებს იკვნეტდა – შესაძლოა, ეს კონტუზიის შემდეგ დასჩემდა, შესაძლოა, მწუხარებას გამოეწვია. ხელის ჩამორთმევაზე ეტყობოდა, რომ მანქანასაც თვითონ ატარებდა და საბურავსაც, ალბათ, თვითონ ცვლიდა. ხმადაბლა, მაგრამ ცივად, მკვეთრად, ყიყინით ლაპარაკობდა, რაც, როგორც წესი, სმენადაქვეითებულებს ახასიათებთ. ჩემი მშობლები ისე მოიკითხა, თითქოს მართლა აინტერესებდა, თითქოს ჯეფერსონის ჩვეულებრივი მცხოვრები იყო და არასდროს მონაწილეობდა ომში და არც სიკვდილს გადარჩენოდა ნაღმზე აფეთქებისას. ბიძია გევინი კი მიხვდა, რომ ბლოკნოტით უნდა ესარგებლა, ფანქარი აიღო და რაღაც

დაწერა, როგორც ჩანს, ბარგის შესახებ, ვინაიდან ქალმა შესძახა: „ოჰ, დიახო!" – თითქოს გაიგონა, რაც უთხრეს, და ხელჩანთიდან ქვითრები ამოიღო.

სანამ ბარგის საკითხს არკვევდნენ, მანქანა ჩამოვაყენე. მაშასადამე, იმ ტიპთან რამდენიმე წელი ცხოვრობდა, სანამ ხელს მოაწერდნენ, თუმცა ისეთი არაფერი ეტყობოდა. შემდეგ ისინი ესპანეთში, ომში წავიდნენ და მანქანა ნაღმზე აუფეთქდათ, მაგრამ არც ამას დაემჩნია გარეგნული კვალი. ვთქვი:

– რატომ მას არ ატარებინებ მანქანას? მაშინ აღარ ინერვიულებდა, რომ შენთან ლაპარაკი არ შეუძლია.

– აჯობებს, შენ წაიყვანო, – მეუბნება.

ასეც მოვიქეცით. მაშასადამე, გმირი სამშობლოში იყო, მე საჭესთან ვიჯექი, ისინი უკან ისხდნენ. ვიღაცამ, მგონი, თქვა: „რატომ სამივენი წინ არ დავსხდებით, საკმარისი ადგილია". თუმცა არ მახსოვს, ითქვა თუ არა. შესაძლოა, არც თქმულა. ერთი სიტყვით, უკან ორნი დასხდნენ. მეც არ მახსოვს, რატომ, მაგრამ უეცრად ბიძია გევინმა მითხრა:

– შეგიძლია, დამშვიდდე. ახლა უსაფრთხოდ ხარ. მისი ხელი მიჭირავს.

ისინი მართლა ხელიხელჩაკიდებულნი ისხდნენ. ლინდას მისი ერთი ხელი მუხლებზე დადებულ თავის ორში მოექცია და ყოველი მილის გავლის შემდეგ იხვის ხმით ამბობდა: „გევინ". ეტყობოდა, რომ ცოტა ხნის წინათ დაეწყო ბლოკნოტისა და ფანქრის გამოყენება და ჯერაც ვერ შესჩვეოდა. შესაძლოა, როცა სმენას კარგავ და ნამდვილ სიჩუმეში აღმოჩნდები, გავიწყდება, რომ ყველაფერი ამ ჩაკეტილ, გამხოლოებულ სამყაროში არ ხდება. შესაძლოა, როდესაც გევინმა ფანქარი გამოართვა, რათა ბლოკნოტში დაეწერა, ლინდას ერთი სული ჰქონდა, როდის დაიბრუნებდა მას. ჯობდა, რომ ორივეს ჰქონოდა ბლოკნოტი.

– დიახ, დიახ. სადღაც თავში ვგრძნობ, სადღაც – ყელში. საშინელი ხმაა, არა? – მაგრამ გევინი, როგორც ჩანს, წერას ეჩვეოდა, ვინაიდან კვლავ უპასუხა იხვის ხმამ: – დიახ, ასეა. ვგრძნობ, გესმით? – და კვლავ იხვის ხმა: – როგორ? თუ ვივარჯიშებ, როგორ მივხვდები, კარგად გამოდის თუ არა?

ამაში კი დავეთანხმე: თუ აპირებ, რომ დრო მოაკლო საკუთარ იურიდიულ საქმიანობას, შტატის მთავარი პროკურორის მოვალეობის შესრულებას, რათა შენს ძველ მეგობარ ქალს დაკარგული უბიწო ტკბილხმოვანება დაუბრუნო, საინტერესოა, ამას როგორ მიაღწევ? მაგრამ ქმრისთვის ასეთი ქალი ნამდვილი განძია: მან თავის კედელივით ყრუ ცოლს მხოლოდ ის უნდა ჩააგონოს, რომ ლამაზი და რბილი ხმის შესაძენად მთავარი ლაპარაკი კი არა, შეძლებისდაგვარად, დიდხანს დუმილია. იქნებ ბიძია გევინმა მას მხოლოდ ბენ ჯონსონის ციტატა დაუწერა (ან ბეზერი დონის, ან გარიკის, ან თუნდაც სეკლინგის (ბენ ჯონსონი (1573-1637 წწ.) – ინგლისელი დრამატურგი, შექსპირის თანამედროვე; ჯონ დონი (1573-1631 წწ.) – ინგლისელი პოეტი;დევის გარიკი (1717-1779 წწ.) – ინგლისელი მსახიობი და დრამატურგი; ჯონ სეკლინგი (1609-1642 წწ.) – ინგლისელი პოეტი) –

ერთი სიტყვით, რომელსაც მიაჩვია ეს ყური, ახლა კი თვალიც, ჩვენმა მოხუცმა სტივენსმა): „მარჯნის ტუჩებს ნუ აძალებ უაზრო სიტყვებს, ჯობს, მათგან წამოსულ სუნთქვაში შემასვა – „დიახ!" შესაძლოა, უფრო გაუმარტივა კიდეც: „გაჩუმდი, სანამ შინ არ მივსულვართ. აქ შენი ხმის დაყენების ადგილი არაა. გარდა ამისა, ეს ბალღი თვის ბოლოს კემბრიჯში დაბრუნდება და ხშირად შევძლებთ ერთად ყოფნას".

მოკლედ. გმირი სამშობლოში იყო. უკვე გამოჩნდა ჯეფერსონი, საათი სასამართლოს შენობის კედელზე და, რასაკვირველია, ელექტროსადგური, სადაც ოდესღაც მამამისი მსახურობდა. სწორედ ამ დროს იხვის ხმამ რეტლიფის სახელი წარმოთქვა:

– ბარტს ის მოეწონა. არ ელოდა, რომ მას მისისიპის მკვიდრი მოეწონებოდა, მაგრამ შემდეგ მითხრა, რომ შეცდა.

ძნელი გამოსაცნობი არ იყო, გევინმა რა ჰკითხა:

– არა, თქვენც კი. მან პირობა დამადებინა: „რომელი ჩვენგანიც გადარჩება, რეტლიფს ერთ-ერთი ქანდაკება აჩუქოსო". გემახსოვრებათ იტალიელი ბიჭუნა – მაშინ ვერ მიხვდით, ეს რა იყო, თუმცა მანამდე მრავალი ქანდაკებისთვის შეგევლოთ თვალი. რეტლიფს კი არათუ იტალიელი ბიჭუნა, საერთოდ არაფერი ენახა, სასამართლოს შენობის წინ მდგარი ქანდაკების გარდა, და მაშინვე მიხვდა, ვინ გამოესახათ და რას აკეთებდა, – საშინლად მომინდა, ბლოკნოტი ამეღო და ჩამეწერა: „რას აკეთებდა იტალიელი ბიჭუნა?", მაგრამ ამ დროს ქალაქს მივუახლოვდით: გმირი შინ მივიყვანეთ. გევინმა თქვა:

– თავდაპირველად ბანკთან გაჩერდი. უნდა გავაფრთხილო. ეს ელემენტარული ზრდილობაა. ცხადია, თუ არ გააფრთხილეს და რაღაც დროით ქალაქიდან არ გავიდა, რათა საკუთარი თავი დაეძლია და ამ წუთისთვის შემზადებულიყო. ცხადია, თუ დავუშვებთ, რომ ბოლოს და ბოლოს, ისიც კი მიხვდა, რომ ასე უბრალოდ ვერ ამოშლიდა მას ცხოვრებიდან, თამასუქივით ან გირავნობის ფურცელივით ვერ გაანაღდებდა.

– გამოდის, რომ აქვე, ქუჩაშივე უნდა მივიღოთ პატივისცემა ისე, რომ ქალს თავის მოწესრიგებაც არ ვაცადოთ? – ვეკითხები.

– დამშვიდდი, – მპასუხობს, – გაიზრდები და თვითონ მიხვდები, რომ ადამიანები გაცილებით მზრუნველები, ყურადღებიანები და გულკეთილები არიან, ვიდრე ახლა გინდა, რომ მათზე იფიქრო.

ბანკთან გავჩერდი. გევინის ადგილას, ფანქარს ხელს არ ვახლებდი, დაე, მის ხმას, ყიყინის მსგავსს, ეთქვა: „რა ჯანდაბას აკეთებთ? პირდაპირ სახლში წადით". მაგრამ მას არაფერი უთქვამს. იჯდა, მისი ხელი თავის ხელებში მოექცია, ოღონდ მუხლებზე კი აღარ ედო, მუცელზე მიეჭირა, მოედანს ათვალიერებდა და იხვის ხმით იმეორებდა: „გევინ! გევინ!" შემდეგ უეცრად ამბობს:

– აი, ბიძია ბილი სადილობიდან ბრუნდება.

ოღონდ ეს ბებერი კრისტიანი არ იყო. ის დიდი ხნის წინათ მოკვდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბლოკნოტში ამის ჩაწერას აზრი არ ჰქონდა. გევინი მართალი გამოდგა. არავინ გაჩერებულა. დავინახე, რომ ორმა იცნო. არა, უფრო ზუსტად, აი, რატომ იცნეს: გევინ სტივენსის მანქანა ბანკის წინ, გზის პირას დგას დღისით, ორის ოცდაორ წუთზე. მე საჭესთან ვზივარ, გევინი ვიღაც ქალთან ერთად – უკანა სავარძელზე. არადა, ყველას სმენოდა ლინდა კოლის, მაპატიეთ, სნოუპს-კოლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, იცოდნენ, რომ ეს ქალი ადრე ჯეფერსონში ცხოვრობდა, შემდეგ კი ისე ახლოდან ნახა ომი, რომ ორივე ყურის აფსკი გაუსკდა. ისე კი სიმართლეს ამბობდა: ადამიანები მზრუნველები, ყურადღებიანები და გულკეთილები არიან. საქმე ის კი არაა, რომ მათგან ამას არ ელი, უბრალოდ, წინასწარ გადაწყვეტ, რომ ასეთები არ არიან, და ისინი გაბნევენ, თავგზას გირევენ. გაჩერებითაც კი არავინ გაჩერებულა, მხოლოდ ერთმა ჩაილაპარაკა, „გამარჯობა, გევინო", და გზა განაგრძო.

მანქანიდან გადმოვედი და ბანკში შევედი. იმაზე ვფიქრობდი, როგორ მოვიქცეოდი, ერთადერთი ქალიშვილი რომ მყოლოდა, ბაბუამისს ბევრი ფული ჰქონოდა და მეც საკმაოდ მდიდარი ვყოფილიყავი, რათა კოლეჯში მისი გაგზავნა შემძლებოდა. მაგრამ მე მას არ ვგზავნიდი, რისი მიზეზიც არავინ იცოდა, შემდეგ კი მოულოდნელად გავგზავნე, ოღონდ ძალიან ახლოს, სულ რაღაც ორმოცდაათი მილის დაშორებით მდებარე უნივერსიტეტში, და ვერავინ ხვდებოდა, ეს რატომ გავაკეთე: მაგრამ იმ ბანკის პრეზიდენტობა მსურდა, სადაც ეს თანამდებობა იმ კაცს ეკავა, რომელიც, საყოველთაო აზრით, მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში გადმოვედით, ჩემს ცოლთან იწვა. ვერავინ ხვდებოდა, რატომ გავგზავნე ქალიშვილი, იმ დღემდე, როდესაც მისი გამგზავრებიდან სამი თვის თავზე, ჩემი მეუღლე ცხოვრებაში პირველად არ წავიდა კოსმეტიკურ კაბინეტში და იმავე ღამეს აკურატულად, რათა ახალი პერმანენტი არ გაეფუჭებინა, საფეთქელში ტყვია დაიხალა, და როდესაც ყველაფერი საბოლოოდ დაიწმინდა, აღმოჩნდა, რომ იმ მრუშს, ბანკის პრეზიდენტს, სამუდამოდ მიეტოვებინა ქალაქი, და მე არა მხოლოდ მისი ბანკის პრეზიდენტი გავხდი, არამედ მის სახლშიც შევსახლდი, და ახლა ყველა მიხვდებოდა, რომ სრულიად აღარ მჭირდებოდა ეს ქალიშვილი, და თუნდაც ჯანდაბაში ან იქ წასულიყო, სადაც მოესურვებოდა, ოღონდ მისისიპიში, ქალაქ ჯეფერსონში არ დაბრუნებულიყო. მე მხოლოდ მანამდე არ ვუშვებდი მას, სანამ ორივემ მანქანიდან არ დავინახეთ, როგორ გახსნეს ძეგლი დედამისის საფლავზე, და უმწეოდ შევცქეროდითმარმარილოზე ამოკვეთილ უბადრუკ დაცინვას:

„სათნო ცოლი ქმრის გვირგვინია,

შვილები იზრდებიან და დედას ლოცვითა და მადლიერებით იხსენებენ".

მაშინ კი ვთქვი:

– კარგი, წავიდეთ.

მანქანასთან დავბრუნდი:

– მისტერ სნოუპსმა თავი ერთი დღით გაითავისუფლა, – ვამბობ, – რათა შინ დარჩეს და ქალიშვილს დაელოდოს, – სამივენი იქით გავემართეთ, იმ

კლასიკური სიმახინჯისკენ, რომელიც მეორე დაცინვა იყო. ახლა მას ჯეფერსონში სამი მონუმენტი ჰქონდა: ელექტროსადგური, ძეგლი და ეს სახლი. ვინ იცის, რომელ ფანჯარასთან გველოდებოდა და თან გვითვალთვალებდა, ან გვითვალთვალებდა და თან გველოდებოდა: ამის არჩევა თქვენი გემოვნებისთვის მომინდვია, – იქნებ თქვენთან ერთად მეც წამოვიდე? – ვეკითხები.

– იქნებ ორივენი აღვიჭურვოთ ბლოკნოტითა და ფანქრით, – ამბობს ბიძია გევინი, – მაშინ ის ორივე ჩვენგანის ნათქვამს გაიგონებს!

გველოდებოდნენ. სადარბაზო კარიდან მაშინვე გამოვიდა ზანგი მძღოლი, იგივე მეკარე. ნივთები ტროტუარზე გადმოვზიდე, ისინი კი ორივენი იდგნენ, მაღლები, თითქმის ერთმანეთის სიმაღლის. ქალი გევინს ჩაეკონა, ისიც მოეხვია მას, და აქვე, ქუჩაში, დღისით, მზისით, კოცნიდნენ ერთმანეთს, იხვის ხმა კი იმეორებდა: „გევინ! გევინ!" – ისე კი არა, თითქოს ჯერაც ვერ დაეჯერებინა, რომ მას ხედავდა, არამედ ისე, თითქოს ჯერ ვერ მისჩვეოდა მისი სახელის ხმამაღლა წარმოთქმას, როგორც ამას ადრე აკეთებდა. შემდეგ ქალი მოსცილდა და მან თქვა: „წავედით", – მანქანაში ჩავსხედით – და მორჩა, გმირი სამშობლოში ჩამოვიყვანეთ. კუთხეში შევუხვიე, მანამდე კი თავი მივატრიალე, – დიახ, მინდოდა მეთქვა, უკან არ მიმიხედავს–მეთქი, მაგრამ ტყუილი იქნებოდა: მეკარე ჯერაც ბარგს დასტრიალებდა სადარბაზო კართან, ქალი კი – ჩემი გემოვნებით, ძალიან მაღალი, ხელშეუხებელი, მდუმარებაში მოქცეული, მოუწყვლადი, უშფოთველი – იქვე იდგა და მზერით გვაცილებდა.

დიახ, საქმეც ეს არის: მდუმარედ. თითქოს ხმა არც არსებობდა. მაგრამ თუ მდუმარებაში ცხოვრობ, ადამიანები ვეღარაფერს დაგაკლებენ, ვერ გაწყენინებენ: ვერც სროლით, ვერც ღალატით, ვერც ადამიანური სიტყვებით.

დიახ, საქმეც ეს არის: სიყრუე. ვერც რეტლიფი და ვერც მე ვერაფერს ვიზამდით. ის, უწინდელი, თვალწინ გაელვებული ნაკეცებიანი კაბები მიდიოდა, ქრებოდა, იზრდებოდა, მოწიფულობაში შედიოდა, და ამ მოწიფულობას მაშინვე კარის გაღება მოჰყვებოდა, იქვე კი საკურთხეველი იდგა – და გრძელი რიგი გასაშრობად ჩამოკიდებული სახვევებისა: სურვილების შესრულება, დასასრული. მაგრამ მან გაიმარჯვა. თვალწინ არ ჩაუქროლია, იმ კარს მიღმა არ გამქრალა – არა, საშინელი გრუხუნისგან მდუმარებაში გაირინდა, გაჩერდა, აღარ ინძრეოდა, ის კარი და ის კედლები კი გაქრა, გაფრინდა, და თვითონაც წუთის ნაყოფად კი არ იქცა, არამედ მდუმარების მოუწყვლად, დაურღვეველი უბიწოების უძრავ, ბედის უკუღმართობისა და ცვლილებებისგან სამუდამოდ დაცულ პატარძლად. სამიოდე დღის შემდეგ, როგორც იქნა, რეტლიფი გამოვიჭირე.

– მისი ქმარი საჩუქარს გიგზავნით, – ვეუბნები, – იმ ქანდაკებას, თქვენ რომ მოგეწონათ: თუ გახსოვთ, იტალიელი ბიჭუნა რაღაცას აკეთებს, რამაც თქვენი მოწონება დაიმსახურა, აი, გევინმა კი, რომელსაც, შესაძლოა, უნახავს კიდეც, როგორ აკეთებენ იმას, რასაც ის აკეთებს, ვერ გაარჩია, რა და როგორ. თუმცა, ეს უმნიშვნელო რამაა. თქვენ სახლში არც ცოლი გყავთ, არც უბიწო ქალიშვილი, და შეგიძლიათ, ის გქონდეთ სახლში, რაც მოგესურვებათ... იგი მას მისთხოვდება, – ვეუბნები.

– რატომაც არა? – მეუბნება, – ვფიქრობ, ის ამასაც გაუძლებს. გარდა ამისა, თუკი ვინმე მას ქმრად წაიყვანს, შესაძლოა, ჩვენ, დანარჩენები, უფრო მშვიდად ვიყოთ.

– ალბათ, გინდოდათ გეთქვათ, ისინი, დანარჩენებიო, არა? – ვეკითხები.

– არა, – მპასუხობს, – სწორედ ის ვთქვი, რაც მინდოდა. მე ყველა ჩვენგანზე ვლაპარაკობ.

თავი მეცხრე

ჩარლზ მალისონი

გევინი მართალი იყო. ეს აგვისტოს მიწურულს მოხდა. სამი კვირის შემდეგ კი კვლავაც კემბრიჯში ვიჯექი და ვიმედოვნებდი, ანუ ვცდილობდი, მოკლედ, უკვე იმ კურსზე ვიყავი, რომელსაც ვამთავრებდი, ან რომელიც, ყოველ შემთხვევაში, მომავალი წლის ივნისში უნდა დამემთავრებინა. მაგრამ ჯეფერსონში მთელი სამი კვირა დავყავი, დრო საკმარისზე მეტი ჰქონდათ, თუნდაც ეკლესიაში გამოცხადება დაეჟინებინათ, რისი საჭიროებაც სრულიად არ არსებობდა – ლინდა ხომ ქვრივი იყო, თანაც არა მხოლოდ ქვრივი, არამედ ომის დაჭრილი გმირიც. ასე რომ, გავიფიქრე, იქნებ ელოდებიან, თავიდან როდის მომიცილებენ-მეთქი. ეს ძველებურ მელოდრამას ჰგავდა, ოღონდ პირიქით – გაშმაგებული ქალიშვილი დედას კი არა, სასიძოს ებღაუჭება კალთაზე და ქვითინით ამბობს: „მამიკო, მამიკო, მამიკო (თუმცა აქ აჯობებდა „ბიძია, ბიძია, ბიძია"), არ არის საჭირო მისის სმიტზე დაქორწინება!"

შემდეგ კი გავიფიქრე (უკვე მადლიერების დღე ახლოვდებოდა და მალე შინ უნდა გავმგზავრებულიყავი საშობაო არდადეგებზე): „ბუნებრივია, მათგან თავი არავის შეუწუხებია და ეს ჩემთვის აქ, მასაჩუსეტსში, არ შეუტყობინებია". ასე რომ, მინდოდა მიმეწერა კიდეც და მეკითხა, ცხადია, არა დედისთვის, და, რა თქმა უნდა, არა ბიძია გევინისთვის, ვინაიდან, თუ ეს უკვე მოხდა, არ ეცლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან დაკავებული იქნებოდა – ან საკუთარი სიცოცხლის გადარჩენით, თუ კვლავაც „არას" ამბობდა, ან მისთვის ხმის დაყენებით, რათა მისგან „თანახმა ვარ" მოესმინა, თუ „დიახ" პირველმა თქვა. ჯობდა, რეტლიფისთვის მეკითხა, რომელიც ყოველთვის დაინტერესებული მაყურებელი იყო, თუმცა სხვისი საქმეებისადმი მის უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას კაცი ძნელად თუ უწოდებდა უწყინარ დაინტერესებას. იქნებ დეპეშაც უნდა გამეგზავნა: „ოფიციალურად ერთად წვანან თუ არა? შემატყობინეთ, ეს უკვე როსა-ა, თუ ჯერაც სუბ (ლათინური ფრთიანი გამოთქმა – საიდუმლოდ) , თუ ვივარაუდებთ, რომ თქვენც იმავეს უშვებთ, რაც აქ, ჰარვარდში გვასწავლეს, კერძოდ: თუ ქალს, რომელსაც ტანზე თვალში საცემი ამობურცული

ადგილები აქვს, ტანსაცმელს გახდით, შესაძლოა, ამ ამობურცულ ადგილებს ვერც მიაგნოთ".

შემდეგ შობა დადგა და გავიფიქრე: „იქნებ უსამართლობას ვიჩენ მათ მიმართ. იქნებ მე მელოდებიან, რათა საგანგებო გამოძახებით ჩემი აკადემიური მეცადინეობა არ შეწყვიტონ; ელოდებიან, როდის მიმიყვანს სახლში საყოველთაო დღესასწაული და კეთილგანწყობილება ხელში ბეჭდით, თაიგულით ან კიდევ სხვა რამით". მაგრამ მას არც შევხვედრივარ. ერთხელ მე და ბიძია გევინმა მთელი დღე ერთად გავატარეთ. სარტორისებთან მწყერზე სანადიროდ წავედით მე და ბენბოუ (ის მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო, მაგრამ მთელ ოლქში საუკეთესო მსროლელის სახელი დაეგდო და მხოლოდ ლუთერ ბიგლიპს თუ ჩამორჩებოდა – ნახევრად ფერმერს, ნახევრად პროფესიონალ მონადირეს, რომელიც ძაღლებსაც წვრთნიდა და მარცხენა ხელითაც ისროდა, ბენბოუზე ოდნავ უფროსს, თითქმის ჩემს კბილას, ოულდუაილსპორტის სიახლოვეს მდინარესთან მცხოვრებს). ჩვენთან ერთად წამოსვლის სურვილი ბიძია გევინმაც გამოთქვა. გევინი ისე რა ისროდა, თუნდაც რაღაც დროის განმავლობაში ჩუმად ყოფნა მოეხერხებინა, მაგრამ ზოგჯერ დადიოდა ხოლმე სანადიროდ ჩემთან ერთად. იმის შესახებ მთელი დღის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს თვითონ ვკითხე:

– აბა, როგორ მიდის ხმის დაყენების საქმე?

– მისის კოლის? არა უშავს. მაგრამ შენ უცხო ყურით მოუსმენ და უკეთესად განსჯი.

მე კი ვეუბნები:

– ამას როდის შევძლებ?

ის კი მპასუხობს:

– ნებისმიერ დღეს, როცა ახლომახლო იქნები.

შობას კვლავ ვკითხე მასზე. ჩვეულებისამებრ, შობის პირველ დღეს რეტლიფი ჩვენთან სადილობდა – ბიძია გევინის სტუმარი იყო, თუმცა დედაჩემსაც ძალიან უყვარდა რეტლიფი, შესაძლოა იმიტომ, რომ ის და ბიძია გევინი ტყუპები იყვნენ. ზოგჯერ ბიძია გევინი სადილობდა რეტლიფთან და მეც თან მივყავდი, ვინაიდან რეტლიფი ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებდა, თანაც მისი სახლი ისეთი სისუფთავითა და სიმყუდროვით გამოირჩეოდა, როგორიც არსად მენახა. ყველაფერს თვითონ აკეთებდა, თავის საყვარელ ცისფერ პერანგებსაც თვითონ კერავდა. მოკლედ, დრო მოვიხელთე და დედას ვკითხე:

– იქნებ სადილად მისის კოლიც მოგვეწვია?

– ღმერთო ჩემო! – თქვა ბიძია გევინმა, – ნუთუ იმიტომ ჩამოხვედი კემბრიჯიდან, რომ იმ თევზისსახიან ბოზ... – მან დროულად შეიკავა თავი და დაამატა: – მაპატიე, მეგი.

დედამ კი თქვა:

– ცხადია, მისის კოლი შობის პირველ დღეს მამამისთან ერთად ისადილებს, ეს ხომ მისი პირველი შობაა შინ.

მეორე დღეს გავემგზავრე. ჩემმა მეგობარმა სპოუდმა – მამამისი ჯერ კიდევ 1909 წელს სწავლობდა ჰარვარდში ბიძია გევინთან ერთად – თავისთან, ჩარლტონში მიმიწვია, უნდოდა ეჩვენებინა, როგორ მეჯლისს აწყობდნენ წმინდა ცეცილიას ხსენების დღეს. თანაც ამ დღეებში ყოველთვის ვიფანტებოდით ხოლმე: მამა ერთი კვირით მაიამიში მიდიოდა ცხენების სანახავად. დედაც მას მიჰყვებოდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ დოღისცხენების საჯინიბოს მოწყობა უნდოდა – პირიქით, რათა ქმრის გვერდით ან მის სიახლოვეს ყოფნით მისთვის ცხენის ყიდვა გადაეფიქრებინა.

დადგა 1938 წელი და კემბრიჯში დავბრუნდი. მალე 1938 წლის სექტემბერი მოახლოვდა და კვლავაც კემბრიჯში ვიყავი, უკვე იურიდიულ ფაკულტეტზე. გადავიტანეთ, აღვნიშნეთ თუ ვიზეიმეთ – როგორც გენებოთ – მიუნხენი (მიუნხენის 1938 წლის შეთანხმება დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას შორის ჩეხოსლოვაკიის მიერ გერმანიისთვის სუდეტის ოლქის გადაცემის თაობაზე) . ბიძია გევინმა თქვა:

– ახლა მალე იქნება, – მაგრამ იგი გაზაფხულზეც ამას ამბობდა. ჰოდა, ვუთხარი:

– რატომ უნდა დავხარჯო ორი-სამი წელი იმისათვის, რომ ადვოკატი გავხდე, როცა ძალიან მალე, როგორც ამბობ, სამოქალაქო საქმეები აღარც იარსებებს, თუნდაც დაცვა და ბრალის წაყენება ვისწავლო?

ის კი მპასუხობს:

– იმიტომ, რომ როცა ომი დამთავრდება, კაცობრიობისა და სამართლიანობის დასაცავად მხოლოდ კანონიერება იარსებებს.

– განა ახლა არ სჭირდება ის ხალხს? – ვეკითხები.

– ამჟამად აღმავლობისა და გაფურჩქნის კარგი პერიოდია, რა საჭიროა სამართლიანობის ძებნა, როდესაც ირგვლივ ასეთი კეთილდღეობაა? ახლა კანონი უკანასკნელი თავშესაფარია, თუ ხელის ჩაყოფა იმ ჯიბეში გსურს, რომელშიც ადრე ვერ ჩაიყავი, ან ჩაიყავი და იქ სიცარიელე დაგხვდა.

გასულ გაზაფხულზე, ივნისის დასაწყისში, ის და დედა (მამა სარატოგაში დარჩა, თუმცა შემომითვალა, რომ კემბრიჯში დიპლომების დარიგების წინ ჩამოვიდოდა) ჩემთან ჩამოვიდნენ გამოსაშვებ ზეიმზე. მე ვიკითხე:

– როგორ? ნუთუ აქამდე საქორწილო ზარებს არ ჩამოუკრავთ?

– ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის – არა, – მიპასუხა მან, მე კი ვთქვი:

– როგორ მიდის ხმის დაყენების გაკვეთილები? მიდი, მომიყევი, – ვეუბნები, – ახლა დიდი ბიჭი ვარ, ჰარვარდის ხელოვნების მაგისტრი, თუმცა ჰაიდელბერგში სასწავლებლად არ წავალ. ყველაფერი მიამბე. ნუთუ

მხოლოდ ამას აკეთებთ, როდესაც მყუდროდ სხედხართ ერთად? ლაპარაკობთ და მეტი არაფერი?

– გაჩუმდი და მომისმინე. ზაფხულში ევროპაში მიდიხარ – ეს ჩემი საჩუქარია შენთვის. ბილეთები უკვე შევუკვეთე, პასპორტიც გაფორმებულია; მხოლოდ ფოტოგრაფთან მისვლაღა დარჩა შენი სახის აღსაბეჭდად.

– რატომ ევროპაში? რატომ ახლა? თუ არ მინდა?

– მომავალ ზაფხულში იქ შესაძლოა, აღარაფერი დარჩეს. მაშასადამე, ახლაა საჭირო წასვლა. გაემგზავრე, თვალი შეავლე იმ ადგილებს. იქნებ იქ მოგიხდეს გარდაცვალება.

– თუ ასეა, ეგებ დალოდება ჯობდეს?

ის კი მეუბნება:

– შემდგომ წასვლაზე მასპინძლად ჩახვალ, ამ ზაფხულს კი სტუმარი იქნები.

ორ მეგობართან ერთად გავემგზავრე – ვირბინეთ, მივდექ-მოვდექით და პროტექციით ერთ გემზე ვიშოვეთ ბილეთები. იმავე ზაფხულში ჩვენ, უფრო სწორად, მე – ჩემი მეგობრები ბოლო წუთს ვერაფრით მოწყდნენ პარიზს – ევროპაში ველოსიპედით გავისეირნე. იმ ადგილებს ვგულისხმობ, სადაც გზა ჯერაც გახსნილი იყო, სწორედ იმ ზოლში, სადაც, თუ ბიძია გევინი არ ცდებოდა, შესაძლოა, სიკვდილი მელოდა – ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, იმ ევროპაში, რომლისგანაც, ბიძია გევინის თქმით, მალე არაფერი დარჩებოდა, ვინაიდან ის, ვინც ჰიტლერის, მუსოლინისა და ფრანკოს განადგურებაში მონაწილეობას მიიღებდა და არ მოკვდებოდა, გაწამებულ-გატანჯული იქნებოდა, უბრალოდ ცოცხლად დარჩენილებს კი არაფერი დააინტერესებდათ.

ვცდილობდი, ყველაფერი დამენახა, ყველაფერი გამეგო, ვინაიდან ოცდაოთხი წლის ასაკშიც ისევე უსიტყვოდ მჯეროდა მისი, როგორც თოთხმეტი და (ასე მგონია, თუმცა, ცხადია, არ მახსოვს) ოთხი წლისას. მაგრამ ის ევროპა, რომელიც მან იცოდა ან რომელიც ეგონა, რომ ახსოვდა, აღარ არსებობდა. დავინახე ერთგვარად თავშეკავებული და მშვიდი ისტერია: გახელებული ზეიმი. მასში ყველანი ტურისტებივით მოჩანდნენ – ადგილობრივებიცა და ჩამოსულებიც. და ძალზე ბევრი ჯარისკაცი. იმის თქმა მსურს, რომ ძალზე ბევრს ეცვა და ბევრი იქცეოდა სამხედროსავით, თითქოს რაღაც პოლიტიკური თუ დროებითი სამეურნეო მოსაზრებების გამო, ეს სამასკარადო ტანსაცმელი უნდა სცმოდათ და მაჟინოს ხაზი (მაჟინოს ხაზი – ფრანგული თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი გერმანიის საზღვარზე, ააგეს 1929-1934 წლებში გერმანიის აგრესიის მოგერიების მიზნით) აეშენებინათ (თანაც ყველა თუ არა, ფრანგები თითქოს ამბობდნენ: „ღმერთო ჩემო, რატომ დაგვცინით? ამისი ხომ არც ჩვენ გვჯერა!“) – თანაც ოცდაცხრამეტსაათიანი სამუშაო კვირისთვის გახურებული ბრძოლის პარალელურად. აქვე – ხმამაღალი საპარლამენტო დებატები: პიკადილის ან ელისეს მინდვრების რომელ მხარეს გამოჩნდებოდა უკეთესად ქვიშით სავსეტომრები, თითქოს წყვეტდნენ, რომელ კედელზე დაეკიდათ ნახატები; გაბრწყინებული ფიგურა გენერალ გამელენისა (გენერალი გამელენი – ფრანგი გენერალი, მეორე მსოფლიო ომში

საფრანგეთის კაპიტულაციის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე) , რომელიც ულვაშებიდან სუპს იწმენდდა და აცხადებდა: „დამშვიდდით, მე აქ ვარ". თითქოს მთელი ევროპა (და, ცხადია, ჩვენც - ყველგან უამრავი ამერიკელი ირეოდა) ამბობდა: „რახან ისე გამოდის, რომ ბოროტება ყველამ აღიარა და იგი წარმატებით განაგრძობს სვლას, მოდი,ყველანი ბოროტების მხარეს დავდგეთ და ამით ის სიკეთედ ვაქციოთ".

ბოლო ორი კვირა პარიზში გავატარე: მინდოდა მენახა, გაქრა თუ არა ჰემინგუეისა და სკოტ ფიცჯერალდის (ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961 წწ.) - ამერიკელი მწერალი, რომანისტი და ჟურნალისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი (1896-1940) - ამერიკელი მწერალი.) პარიზი (ეს ერთი და იგივე არაა, თუმცა ისინი ერთ ადგილას ცხოვრობდნენ), მთლიანად გაქრა თუ ნაწილობრივ; შემდეგ - კვლავ კემბრიჯი, სადაც მხოლოდ ერთი დღე დამაგვიანდა. და ეს ყველაფერი უკავშირდება, ანუ, უფრო სწორად, არაფერს უკავშირდება, მაგრამ მახსენებს, რატომ გამოვიდა ისე, რომ ის წლინახევრის განმავლობაში არ მინახავს. მაშასადამე, მიუნხენიც შედგა: მოწიწებით აღვსილი დუმილის წუთი - და ყველანი ჩვენ-ჩვენს საქმეებს მივუბრუნდით. ბიძია გევინისგან წერილი მივიღე: „ახლა უკვე მალე". მაგრამ ჩემთვის, ვგონებ, უკვე გვიან იყო. როდესაც წასვლა მომიწევდა, - არა, ისე არ ვთქვი: როდესაც ჩემი წასვლის დრო მოვიდოდა, - სამხედრო მფრინავობა მსურდა, მაგრამ უკვე ოცდაოთხს გადავცდენოდი, ექვსი წლის შემდეგ ოცდაათსაც გადავცდებოდი და, შესაძლოა, უკვე ახლა იყო გვიან: ბაიარდ და ჯონ სარტორისები ოცი წლის ასაკში, 1916 წელს გაემგზავრნენ ინგლისში, ბიძია გევინმა კი სსკ-ს (ახლა სსძ (სსკ - სამეფო საჰაერო კორპუსი; სსძ - სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებ) ეწოდება) იმ ყმაწვილი მფრინავის შესახებ მიამბო, რომელსაც იმდენი სამხედრო დამსახურება ჰქონდა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ იგი შინ დააბრუნა, რათა სამოქალაქო სრულწლოვანებამდე ცოცხალს მიეღწია. ასე რომ, ალბათ, ბომბდამშენის შტურმანობა ან მექანიკოსობა მომიწევდა, თუმცა ოცდაათი წლის ასაკში იქნებ არც ფრენის უფლება მოეცათ.

საქორწილო ზარები კი კვლავ არ გაისმოდა. შესაძლოა, ლინდას ხმის გამო. ჩემმა აგენტებმა - კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ერთი მჭირდებოდა, დედაჩემი - მომახსენეს, რომ ხმის დაყენების კერძო გაკვეთილები კვლავაც გრძელდებოდა, შესაძლოა, მას მიაჩნდა, რომ მისი „დიახ" საკმარისად ტკბილხმოვანი არ იქნებოდა, რათა კანონიერად ჩათვლილიყო. არადა, ქალი, ცხადია, ამას - კანონიერ ქორწინებას ვგულისხმობ - დაიჟინებდა, ვინაიდან მაშინ, პირველ ჯერზე, შეიძლება ითქვას, au naturel (Au naturel - ბუნებრივი, წმინდა სახით (ფრ.)) საყვარლობა გამოსცადა და ის თვალწინ აუფეთქდა. არა, ეს ყველაფერი სისულელეს ჰგავდა. პირიქით, საყვარლობა მანამდე იყო მტკიცე, სანამ არ დაკანონდა, სანამ ერთ-ერთმა მათგანმა - არ ვიცი, რომელმა - არ თქვა: „კარგი, დალახვროს ეშმაკმა, ან მღვდელი მოიყვანე, ან ქორწინების მოწმობა გააფორმე, ოღონდ გაჩუმდი, ღვთის გულისათვის!" ასე რომ, ახლა ქალს ჯვრისწერის ან რეგისტრაციისა ეშმაკზე ან ჯალათზე მეტად შეეშინდებოდა, ვინაიდან ნებისმიერი მამაკაცისთვის მასზე დაქორწინება საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა. ამას კი ის ბიძია გევინს, ცხადია, ვერ უსურვებდა, ვინაიდან მისი „დიახ" არა მხოლოდ ნაზად უნდა გაჟღერებულიყო, რახან ჯეფერსონში მხოლოდ ამ სიტყვის წარმოსათქმელად დაბრუნდა - გევინი საკმარისად

მდიდარი არ იყო და მისი ქვრივობა არ უღირდა, თუ ამ „დიახს“ განსაკუთრებული სინაზე დააკლდებოდა.

არა, ესეც არაფერია. თუ მას ამ კაცთან ერთად ერთ ჭერქვეშ ხუთი წელი უნდა ეცხოვრა, სანამ ის მასზე დაქორწინებას დასთანხმდებოდა, თანაც ისეთ თანამედროვე და მოწინავე მოქანდაკესთან, რომ გევინსაც ვერ გაერჩია, რას ძერწავდა და აკეთებდა, მაშასადამე, ის ჭეშმარიტად მოწინავე იყო. და თუ მას ასეთი სასიამოვნო და მშვიდი ცხოვრების, ანუ გრინიჩვილიჯელი მოქანდაკის სახელისა და იმ ქალიშვილთან ცხოვრების მიტოვება მოუწევდა, რომელიც თავშესაფარსაც ხალისით აძლევდა და არც საჭმელ-სასმელს აკლებდა, მიუხედავად იმისა, რომ დაქორწინებულები არ იყვნენ, – თუ ამ ყველაფრის მიტოვება და ესპანეთში იმათ მხარეზე საბრძოლველად წასვლა მოუწევდა, ვისაც – ამას მას ყველა ეტყოდა – აშკარა მარცხი ელოდა, მაშასადამე, ის არა უბრალოდ მოწინავე ადამიანი, არამედ გაცილებით მეტი იყო. და თუ ქალს იგი ისე ძლიერ უყვარდა, რომ შეეძლო ხუთი წელი მოეცადა, სანამ არ იტყოდა: „კარგი, მიმიფურთხებია, მღვდელს დაუძახეო“, შემდეგ კი ესპანეთში გაჰყოლოდა, რათა არ დაშორებოდა და ამის გამო ნაღმზეც აფეთქებულიყო, მაშინ იმათი რიგებიდან ყოფილა, ვინაიდან კომუნისტების მხარეს მხოლოდ ნაწილობრივ ვერ იქნები: შენ ან მთლიანად მათ მხარეს ხარ, ან მთლიანად მათ წინააღმდეგ (მე ვკითხე ამის შესახებ მას, ბიძია გევინს ვგულისხმობ. „დავუშვათ, ასეა“, – მპასუხობს. „გასაგებია“, – ვეუბნები. „შენ რატომ გაინტერესებს, დალახვროს ეშმაკმა?“ – „ასე, ასე, ასე“, – ვამბობ). ნაღმზე აფეთქებამ ქალი, როგორც ჩანს, ოდნავაც ვერ გამოასწორა. ასე რომ, საქორწილო ზარების მოსმენის იმედი არ უნდა მქონოდა. ის, პირველი შეცდომა, როგორც ჩანს, ახალგაზრდობის ბრალი იყო და აღარ განმეორდებოდა, ქალი მხოლოდ წამით გახდა „მტრული ელემენტი“ და მაშინვე ზღო ამის გულისთვის.

მაშასადამე, არანაირი მღვდელი. მაშასადამე, პრაქტიკულად განახორციელებდნენ სახალხო დემოკრატიას პირდაპირ აქ, ჯეფერსონში, მიუხედავად იმისა, როგორ გამოჩნდებოდა ეს, როდესაც მას კაბას გახდიდა – აქ უკვე საყოველთაო თანასწორობა მეფობდა. და თავსატეხი მხოლოდ ის იყო, როგორ ახერხებდნენ ისინი ამის გაკეთებას ჯეფერსონის მსგავს პატარა ქალაქში, სადაც ასეთი თანასწორობა და ძმობა სუფევდა. უფრო სწორად, ისინი კი არა, ის, გევინი. იმის თქმა მსურს, რომ ყველა ეს სირთულე, მღელვარება და გამოსავლის ძიება მას აწვებოდა ტვირთად. ქალს ეს არ შეეხებოდა – ის თავისუფალი იყო, საამქვეყნო საქმეებისგან განდგომილი: ვინ იცის, იქნებ ისინი, რომლებმაც ბგერის კასტრაცია და სმენადაცვეთა გამოსცადეს, გამოსავალს არც ეძებენ. ქალს მდუმარება ხვდა წილად: გამაყრუებელმა დარტყმამ სამუდამოდ ჩაკეტილ, დაურღვეველ მარტოობაში გამოამწყვდია იგი, ახლა კი, დაე, სხვებს ევლოთ მიზნისკენ ამ ჯგლეთასა და საშინელ გრუხუნში, თუმცა ეს მიზანიც უფსკრულის პირას აღმოჩნდა, როგორც ეს ჩაპლინის ადრინდელ ფილმებშია.

კაცს გზები და შესაძლებლობები უნდა ეპოვა, ქალს კი მხოლოდ მორჩილება და, ასე ვთქვათ, ძველი ოჯახური ტრადიციების გაცოცხლება მართებდა. ცხადია, დედას არ ჰგავდა, და არც გევინი იყო მანფრედ დე სპეინი. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ცამეტი წლის ვიყავი, როდესაც მისის სნოუპსმა თავი მოიკლა, ასე რომ, ახლაც არ ვიცი, რა ვნახე და რა მახსოვს ჩემით, და რა

შევიტყვე და მოვისმინე ბიძია გევინისგან, ვინაიდან, როგორც რეტლიფი ამბობდა, ჩემი ცხოვრების პირველი თერთმეტი-თორმეტი წელიწადი ბიძია გევინში გავატარე, მისი ფიქრებით ვფიქრობდი და მისი თვალებით ვიყურებოდი, არა იმიტომ, რომ ის ამას მასწავლიდა, არამედ იმიტომ, რომ ამასთან მიმიშვა, ამის ერთგვარი მონაწილე გამხადა. უნდა გითხრათ, რომ ლინდასა და ბიძია გევინს არ ჰქონდათ ის უზადო, ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც დედამისსა და მანფრედ დე სპეინს გააჩნდათ: ის აურა, ის შარავანდი – არ ვიცი, რა ვუწოდო იმას, რაშიც მისის სნოუპსი არა მხოლოდ არსებობდა, ცხოვრობდა, სუნთქავდა, არამედ რასაც თავის გარშემო ქმნიდა მხოლოდ იმით, რომ არსებობდა, ცხოვრობდა, სუნთქავდა. ვერაფრით შემირჩევია საჭირო სიტყვა: არა გარყვნილებისა და ბიწიერების ატმოსფერო, ვინაიდან (შესაძლოა, ესეც რეტლიფის სიტყვებია, არ მახსოვს) წვრილმან მორალურ აკრძალვას, როგორიც თავშეკავება და სისუფთავეა, იმაზე მეტი საერთო არაფერი ჰქონდა მისის სნოუპსისნაირ ქალთან (უფრო სწორად, მისნაირი ქალი იმაზე მეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და იმაზე მეტ ყურადღებას არ აქცევდა მათ), რაც ომთან ან ქარიშხალთან დაკავშირებით შეიძლება ჰქონდეს ყოველგვარ კონვენციებს იმის შესახებ, თუ რომელი საშუალებები როდის, სად და როგორ უნდა იქნეს გამოყენებული. იმის თქმა მინდა, რომ თუ რომელიმე საზოგადოება უეცრად აღმოაჩენს, რომ ის არის ქალღმერთ ვენერას ერთადერთი მფლობელი, თუნდაც განსაზღვრული ვადით, მას არც უნდა მოვთხოვოთ, უმწიკვლო ცოლი ან ერთგული საყვარელი იყოს, მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა მას, რომ ასეთი იყოს. ამის მოთხოვნა არა მხოლოდ დაუშვებელი, არამედ დანაშაულებრივი მოუსაზრებლობაც იქნებოდა, და თუ საზოგადოება ასეთი დიდებული ძღვენის მიღების შემდეგ არც კი მოითხოვდა, არამედ მხოლოდ მიიღებდა სისუფთავესა და თავშეკავებას, როგორც ასეთს, ეს მჩუქებელსაც შეურაცხყოფდა და ღვთის სასჯელსაც დაიმსახურებდა. ეს იმას დაემსგავსებოდა, ჩვენს მხარეში სასწაულებრივად უჩვეულო დროს, რომელიღაც სასწაულთმოქმედ წამს ქარს, მზეს, წვიმას, სიცხესა და სიცივეს ყველაზე ხელსაყრელი პირობები რომ შეექმნა თესვისთვის, ჩვენ კი რატომღაც დავწვრილმანებულიყავით და დაჟინებით მოგვეთხოვა შერჩევის, გადარჩევისა და სელექციის უფლება, ნაცვლად იმისა, რომ დაუყოვნებლივ გაგვეყვანა მინდორში ყველა, ვინც კი სიარულს შეძლებდა: კაცები, ქალები, ბავშვები, – რათა იმდენი დაეთესათ, რამდენსაც მიწა მიიღებდა. მაგრამ ჩვენ – მამაკაცებსა და ქალებს ვგულისხმობ – არც კი გვინდოდა თავის დაღწევა მღელვარებისა და საუბრებისგან, რომლებსაც ის იწვევდა, რომ იგი ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და სუნთქავდა, მიგვაჩნდა, რომ ღირსნი არ ვიყავით, მასზე გვეეჭვიანა, სანამ ჩვენ შორის ერთი ადამიანი მოიძებნებოდა, რომელიც მას გაუტოლდებოდა, თანაბარ ბრძოლაში დაამარცხებდა და ჩემპიონად მოგვევლინებოდა. ჩვენ მისით ვიამაყებდით, როგორც შტატი ამაყობს მთელ ქვეყანაში საუკეთესო ბედაურის გამოზრდით. ყველანი მათ – მისი და დე სპეინის – მხარეს ვიყავით, ხელს ვუწყობდით მათ შეხვედრებს და ვიცავდით კიდეც; მხოლოდ სამღვდელოებას სძულდა იგი, მას მისი ეშინოდა, ვინაიდან ღვთაება, რომელსაც ის განასახიერებდა, მამაკაცებს თავისუფლად, უეშმაკოდ აიძულებდა შორით ტრფობას, ქალებს კი სიამაყით აღავსებდა, რომ ერთი მათგანი გახდა მისი დესპანი. ეს ღვთაება გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ფერმკრთალი და გაწამებული გალილეველი – ერთადერთი, ვისი პირითაც ბრძოლაში იწვევდნენ.

მაგრამ ლინდას ეს თვისება არ ჰქონდა, ის მას არ გადმოეცა. ასე რომ, მასა და გევინს მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდათ – თავშეკავება. უხეშად რომ ვთქვათ, ზნეობრიობით გამორჩეული საქციელი. სად წასულიყვნენ? ქალის სახლში ვერ მივიდოდნენ, ვინაიდან მათ ორში – მამასა და შვილს შორის – ყრუ ის არ იყო, ვინც უნდა ყოფილიყო. ვერც კაცთან მივიდოდნენ, რადგან ის დედაჩემთან ერთად ცხოვრობდა და ერთ-ერთი ყველაზე ურყევი წესი, რომელიც მან მასწავლა (ცხადია, როდესაც ამის დრო მოვიდა), ის გახლდათ, რომ ჯენტლმენს ქალი არ უნდა მიეყვანა: პირველი – საკუთარი ცოლის, მეორე – საკუთარი დედის, მესამე – საკუთარი დის, მეოთხე – საკუთარისაყვარლის სახლში. ისინი ვერც ერთად გაემგზავრებოდნენ განმარტოებულ ადგილას, მემფისში ან ნიუ-ორლეანში, ან, შესაძლოა, უფრო შორსაც – სენტ-ლუისსა და ჩიკაგოში, სადაც (ჩვენი ვარაუდით) ლინდას დედა დადიოდა მანფრედ დე სპეინთან ერთად, რადგან პოლიციაც კი ვერ დაუშვებდა, იმ ნახევრად ლეგალურ გარემოზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელშიც აღმოჩნდებოდნენ, რომ მაცდუნებელს აბსულუტურად დაყრუებული ქალი წყნარი, ზნეობით სავსე მშობლიური სახლიდან ასეთი ბიწიერი მიზნით მოეყვანა. ასე რომ, სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა სასოწარკვეთილი აჩქარებით ბუჩქებს შორის შეყვანილ მანქანაში დამალვა: კაცი – გევინ სტივენსი, ორმოცდაათი წლის, ხელოვნების მაგისტრი, ჰარვარდი, ფილოსოფიის დოქტორი, ჰაიდელბერგი, მსუბუქი ქვეითი ჯარი, მასაჩუსეტსი, ამერიკის საველე სანიტარიული სამსახური, „ამქა", საფრანგეთი, 1915-1918, შტატის პროკურორი, და ქალი – ლინდა კოლი, ოცდაათი წლის, ქვრივი, ესპანეთში კომუნისტების რიგებში ბრძოლისას დაჭრილი, – მოფარებულში გაჩერებულ მანქანაში სუნთქვაშეკრულნი ისე კოცნიან ერთმანეთს, როგორც ჩვიდმეტი წლის მოზარდები.

განსაკუთრებით, თუ პოლიციას ჯერ არ შეუტყვია (ხომ წარმოგიდგენიათ, ვინმე რომ მისულიყო და დაებეზღებინა), რომ ქალი კომუნისტია. ან, ვთქვათ, ამის შესახებ ჯეფერსონელების ყურამდე მიეღწია. ჩვენთან ორი ფინელი ცხოვრობდა, რომლებმაც ძლივს გამოასწრეს რუსეთიდან 1917 წელს და ევროპიდან 1919 წელს, ოციან წლებში კი ჯეფერსონში ამოყვეს თავი. არავინ იცოდა, აქ როგორ აღმოჩნდნენ. ერთი მათგანი მეწაღე იყო და მისტერ ნაითინგეილის მიერ მიცემულ ნამცეცა სახელოსნოში ცხოვრობდა, მეორე – ზეინკალი. კაცმა რომ თქვას, ისინი ფორმალურად აღიარებული კომუნისტები არ იყვნენ, ამას არც თვითონ აღიარებდნენ, რადგან ძალზე ცუდად ლაპარაკობდნენ ინგლისურად ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მისტერ რუზველტის „ახალი კურსის" ჩინოვნიკები და პროფკავშირის ბოსები სიტყვა „კომუნისტს" სალანძღავ მეტსახელად გადააქცევდნენ, რაც, ძირითადად, ჯონ ლ. ლუისსა (ჯონ ლუისი – აშშ-ის პროფკავშირების მოღვაწე) და საწარმოო პროფკავშირების მის კონგრესს შეეხებოდა. მათი აზრით, არსებითად, სულაც არ იყო აუცილებელი, საიდუმლოდ ან აშკარად ეღიარებინათ საკუთარი კომუნისტობა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჯეფერსონში პროლეტარიატი არსებობდა – სრულიად კონკრეტული, განსაზღვრული, ნათელი, როგორც დღევანდელი ამინდი, და რომ როგორც კი ინგლისურად ლაპარაკს ისწავლიდნენ, მოძებნიდნენ ამ პროლეტარიატს, და ვინაიდან ყველანი პროლეტარები იყვნენ, ისინი მაშინვე კომუნისტებად გადაიქცეოდნენ, რადგან ეს არა მხოლოდ მათი უფლება და მოვალეობა იყო, უბრალოდ, სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ეს თხუთმეტი წლის წინათ ხდებოდა, მაგრამ ის მაღალი მეწაღე, რომელსაც ვერაფრით მოეხერხებინა ინგლისურის შესწავლა,

კვლავაც გაოცებული და დაბნეული ჩანდა, რადგან ერთადერთ დაბრკოლებად ენის არცოდნა მიაჩნდა და არა ის გარემოება, რომ ჯეფერსონელ პროლეტარებს არათუ არ სურდათ იმის გაცნობიერება, რომ პროლეტარიატს წარმოადგენდნენ, არამედ უკმაყოფილოდ აღიარებდნენ საკუთარ თავს საშუალო კლასად და მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეს დროებითი, გარდამავალი პერიოდი იყო იმის წინ, როდესაც ისინი, თავის მხრივ, მისტერ სნოუპსის ბანკის ან უოლსტრიტ სნოუპსის უნივერსალური მაღაზიების მესაკუთრეები გახდებოდნენ, ან იქნებ (ვინ იცის?) გუბერნატორ ჯექსონის სასახლეში ან ვაშინგტონში, თეთრი სახლის პრეზიდენტის სავარძელში აღმოჩენილიყვნენ.

უფრო დაბალი, ზეინკალი, მეტი საზრიანობით გამოირჩეოდა. შესაძლოა, სამუშაო, მეწაღის მჯდომარე და უფრო ფილოსოფიური პროფესიისგან განსხვავებით, ადამიანებთან შედარებით მეტი ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევდა. ყოველ შემთხვევაში, ის დიდი ხანია, მიხვდა: იმისთვის, რომ ჯეფერსონის ერთ-ერთი პროლეტარი გამხდარიყო, ჯერ ეს პროლეტარიატი უნდა შეექმნა. სწორედ ამას მოჰკიდა ხელი. ადამიანთა გადმობირების და კომუნისტებად გადაქცევის ერთადერთი შესაძლებლობა, ერთადერთი მასალა ზანგები იყვნენ. ვინაიდან ჩვენ შორის, ქალაქ ჯეფერსონის თეთრკანიან მამაკაცთა შორის, სრული თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა, რომელსაც, შესაძლოა, სწორედ მოსახლეობის უმდაბლეს ფენებში გაედგა ყველაზე ღრმად ფესვები და ყველაზე ხმამაღლაც იქ წარმოთქვამდნენ. და საერთოდ, ჯეფერსონის ყველა მკვიდრი, მოხალული თხილისა და პოპკორნის დამტარებლებით - თავიანთ ხონჩებს ქუჩის კუთხეში შაბათობით რომ დგამდნენ - და უბადრუკი, იაფფასიანი ფარდულების მეპატრონეებით დაწყებული და უზარმაზარი უნივერმაღების, საავტომობილო გარაჟებისა და ბენზინგასამართი სადგურების მფლობელებით დამთავრებული, ყველა მათ წინააღმდეგ გამოდიოდა, ვისაც ახლა კომუნისტებს უწოდებდნენ - იქნებოდა ეს ჰარი ჰოპკინსი, ჰიუ ჯონსონი თუ იუჯინ დებსთან (ჰარი ჰოპკინსი (1890-1946 წწ.) - აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე; ჰიუ ჯონსონი (1874-1966 წწ.) - პროგრესული ბრიტანელი საზოგადო მოღვაწე; იუჯინ დებსი (1855-1926 წწ.) - აშშ-ის მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე) , რუზველტისეულ „ახალ კურსთან" ან საწარმოო პროფკავშირების კონგრესთან დაკავშირებული პიროვნება, ერთი სიტყვით, ყველას და ყოველის წინააღმდეგ, ვინც ოდნავ ეჭვქვეშ აყენებდა ჩვენს ბუნებრივ, ჯეფერსონულ უფლებას გვეყიდა, გვეშოვა, მოგვეყვანა ან გამოგვეძებნა რამე, შემლებისდაგვარად, იაფად, ნებისმიერი თაღლითობის, დარწმუნების, მუქარის ან ძალადობის გამოყენებით, შემდეგ კი მყიდველის გაჭირვებით,უცოდინარობით ან მორიდებულობით გვესარგებლა და ეს ყველაფერი, შემლებისდაგვარად, ძვირად გაგვეყიდა. სწორედ ეს აღმოაჩინა ლინდამ ჩვენში, ჩვენს უცხო კაპიტალისტურ უდაბნოში, მისთვის ყოველგვარი მშობლიურისგან შორს, თუ მართლა კომუნისტად მიიჩნევდა თავს და თუ კომუნიზმი მართლა მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგია კი არ იყო, არამედ რწმენა, რომელიც უსაქმოდ მკვდარია - მან აქ მხოლოდ ორ იმიერპოლარელ იმიგრანტს მიაგნო: ერთს, ფაქტობრივად, ადამიანურ ენაზე აზრის გამოთქმა არ შეეძლო ტროგლოდიტივით (ტროგლოდიტი - გამოქვაბულის დროინდელი ადამიანი) , მეორე კი ონავარივით (ონავარი - ერთგვარი ცხოველი) პატარა, ფიცხი და შეუპოვარი იყო. ორივენი ჯეფერსონის საზოგადოების მიღმა იდგნენ, ოღონდ არა იმიტომ, რომ აღიარებული კომუნისტები იყვნენ,

– ეს არავის აინტერესებდა. დაე, იმ პატარას საკუთარი თავისთვის კომუნისტი ეწოდებინა, ოღონდ ჩვენი შრომის ანაზღაურების საქმეში ჩარევა არ გაებედა. ასეთივე წარმატებით შეეძლოთ რესპუბლიკელები ყოფილიყვნენ, თუკი ჩვენს ქალაქსა და ოლქს ხელს არ შეუშლიდნენ, არჩევნების დროს ხმა დემოკრატიული პარტიისთვის მიეცათ, ან კათოლიკეები, თუ პროტესტანტულ ეკლესიებთან პიკეტებს არ მოაწყობდნენ და სალოცავად შეკრებილთა სიმყუდროვეს არ დაარღვევდნენ, – არამედ ზანგებთან – მათ ნაცნობებსა და პოლიტიკურ თანამზრახველებთან მეგობრობის გამო. არა, ოჯახებით მისვლა-მოსვლა არ გაეჩაღებინათ, ამას ჩვენთან მათაც კი არ მოუთმენდნენ, იმ დაბალმა კი საკმარისად კარგად იცოდა ჩვენი ენა, რათა ამას მიმხვდარიყო. მაგრამ ზანგებს არ უნდა დაჰკავშირებოდნენ. ადგილობრივი პოლიცია კარგა ხანია, ცერად უყურებდა ორივეს, თუმცა არ გვჯეროდა, რომ უცხოელებს ჩვენი ძალზე ლოიალური ფერადკანიანების შეცდენა შეეძლოთ.

ასე რომ, თვითონაც მიხვდით, რომ მათ, ლინდასა და გევინს, მხოლოდ დაქორწინებაღა დარჩენოდათ. შემდეგ 1938 წლის შობა დადგა, უკანასკნელი შობა დაბნელების წინ. მე დღესასწაულზე შინ ჩამოვედი, ის კი ჩვენთან სტუმრად მოვიდა. არა საშობაო სადილზე, არამედ ვახშამზე. არ ვიცი, რატომ: ან დედაჩემმა და ბიძია გევინმა გადაწყვიტეს, რომ ყველაზე მოსახერხებელი მისი სადილად დაპატიჟება იქნებოდა, თუნდაც მას უარი შემოეთვალა, ან გადაწყვიტეს, რომ სადილზე საერთოდ არ მოეწვიათ. არა, ასე არ იქნებოდა. ნაძლევს ჩამოვალ, დედა ორივეს დაპატიჟებდა – მასაც და მოხუც სნოუპსსაც. ქალები ხომ საოცარი არსებები არიან. მათ შეუძლიათ, მშვიდად და უშფოთველად გადალახონ დაბრკოლება, რომელსაც მამაკაცები წლების განმავლობაში შუბლით ასკდებოდნენ. უეცრად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს დაბრკოლება არათუ იოლი გადასალახავია, არამედ არც არსებობს. მან ორივენი ისე უბრალოდ მოიწვია, თითქოს ასი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ ეძახდა მათ თავისთან, როდესაც გაიფიქრებდა, რომ მამა-შვილს ჩვენთან სადილობა ესიამოვნებოდა ან თვითონ მას მიანიჭებდა კმაყოფილებას მათი მიღება, – ლინდამ კი ეს მიპატიჟება ასევე მარტივად უარყო.

წარმოიდგინეთ საშობაო სადილი მათ სახლში, სადაც ჩემი ერთი ნათესავიც არასდროს ყოფილა, დედას (ოჰ, დიახ, ის უნდა მისულიყო მათთან ლინდას ჩამოსვლის შემდეგ) და ბიძია გევინის გარდა: სასადილო ოთახი – მაგიდა, ბუფეტი, სერვანტი, დიდი შანდლები, ზუსტად ისე დაწყობილი, როგორც მემფისის ავეჯის მაღაზიაში, სადაც მან, სნოუპსმა, ეს ნივთები მაიორ დე სპეინის დედის ძველ ავეჯში გაცვალა; მაგიდის თავში – მოხუცი, ბოლოში – ლინდა, აგრეთვე თეთრქურთუკიანი ლაქია. ეს თევზისსისხლიანი ბებერი ნაბიჭვარი, რომლის ლექსიკონიც ორი სიტყვისგან შედგება: „არა“ და „ვადაგადაცილებულია“, და ქალიშვილი, მდუმარების პატარძალი, კეისრის ცოლზე უფრო უბიწო, ვინაიდან სამუდამოდ მოუწყვლადი, სამუდამოდ დაცული იყო მუდმივი სისუფთავით, და, ცხადია, ვერ გაიგონებდა მის სიტყვებს, თუნდაც მას მისთვის რამე სათქმელი ჰქონოდა, ისევე, როგორც გევინი ვერ გაუგებდა მას, ვინაიდან ორივენი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ასე ისხდნენ პირისპირ და გრძელ, მტანჯველ რიტუალს ასრულებდნენ, რომელსაც წელიწადის დღეებს შორის ეს დღე ავალდებულებდა, და არავინ იცოდა, ამას რატომ აკეთებდნენ, რატომ ითმენდნენ, რატომ ითმენდა და იტანდა ლინდა, რომელ რიტუალს იცავდა, რომელ ვალდებულებას ასრულებდა – ან, ვინ იცის, რომელ სასწაულს

განასახიერებდა, რათა კაცს არაფერი დავიწყებოდა. შესაძლოა, ამიტომ მოხდა ასე. მინდა ვთქვა, შესაძლოა, სწორედ ამიტომ დაბრუნდა ჯეფერსონში. ალბათ, არა იმიტომ, რომ გევინ სტივენსს ცოლად გაჰყოლოდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ამისთვის არა.

მოკლედ, ჩვენთან მას მხოლოდ სავახშმოდ დაუძახეს, თუმცა დედა მარწმუნებდა (და ეს თვითონაც მტკიცედ სწამდა), რომ ვახშამი ჩემი ჩამოსვლის აღსანიშნავად მოაწყვეს. განა ახლახან არ ვთქვი, რომ ქალები საოცარი არსებები არიან? მას, ლინდას, საჩუქარი ერგო – გამოიცანით ვისგან? – ნამცეცა ბლოკნოტი სპილოს ძვლის თხელი ფირფიტებით, მოოქრულკუთხეებიანი, თითოეულ სტრიქონზე სამი სიტყვა ძლივს ეტეოდა, გადაფურცვლა ოქროს რგოლებით შეიძლებოდა, წერა – პატარა ოქროს ფანქრით, ნაწერი კი ცხვირსახოცით ან ქაღალდით იშლებოდა, ან სიჩქარეში – მამაკაცურად, თითის დანერწყვით, შემდეგ კი კვლავაც შეგეძლოთ რამის დაწერა (ეს ნივთი, ალბათ, გევინმა მიართვა იმ გ.ლ.ს. ინიციალებიანი ოქროს სანთებელის სანაცვლოდ, თუმცა მის ინიციალებში არათუ „ლ", მესამე ინიციალი საერთოდ არ იყო. სანთებელა ლინდამ მას ხუთი წლის წინათაჩუქა, თუმცა არასდროს გამოუყენებია: დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით მოკიდებულ თამბაქოს ბენზინის სუნი ასდიოდა). ამ პატარა ბლოკნოტს დედაც ჩვენსავით იყენებდა, ოღონდ მას ეს სრულიად ბუნებრივად გამოსდიოდა, როგორც ჩვეულებრივი ჟესტები საუბრის დროს, ვინაიდან თან ლინდას ელაპარაკებოდა, თვალებში შესცქეროდა და ბლოკნოტში არ იყურებოდა, ასე რომ, მისი ღვლარჭნილი ასოების გარჩევა, რომლებსაც ბლოკნოტში ჩაუხედავად წერდა, ალბათ, შეუძლებელი იყო, თუ საერთოდ რამეს წერდა, რადგან ლინდას ისევე ესაუბრებოდა, როგორც ყველა ჩვენგანს. ეშმაკმა წამიღოს, თუ ლინდას მისი არ ესმოდა. ორივენი ლაქლაქებდნენ და იცინოდნენ, თუმცა, შესაძლოა, ქალები ერთმანეთს საერთოდ არ უსმენენ – ეს მათ იქნებ არც სჭირდებათ, ვინაიდან უსიტყვოდ შეუძლიათ ურთიერთობა ჯერ კიდევ ლაპარაკის დაწყებამდე.

ასეთი საღამოების დროს ლინდა ბევრს ლაპარაკობდა. ოჰ, დიახ, გევინთან ერთად ხმის დაყენების გაკვეთილები მას ძალზე გამოადგა, ვინაიდან ბევრს მეცადინეობდნენ, ყოველ შემთხვევაში, საკმარისად, თუ ვივარაუდებთ, რომ ერთმანეთს, ნაწილობრივ, ხმის დასაყენებლად ხვდებოდნენ. მაგრამ ხმა იხვისებური ჰქონდა: ცივი, უსიცოცხლო, მკვდარი. დიახ, სწორედ რომ მკვდარი. მასში არც ვნება იგრძნობოდა, არც სითბო და, რაც ყველაზე ცუდია, არც იმედი. იმას ვგულისხმობ, რომ ლოგინში, სიბნელეში, როცა შენში იმდენი სიყვარული, სიხარული და აღტაცებაა, მარტო მათ ვერ გაუძლებ და ვინმეს უნდა გაუზიარო, ჩაუჩურჩულო, აქ კი როგორ ეჩურჩულა თუ ებურტყუნა, როდესაც პასუხად მხოლოდ ეს ცივი, უსიცოცხლო, ყიყინა ხმა ესმოდა. იმ საღამოს (მოგვიანებით, ზაფხულში, იგი ხშირად მოდიოდა ჩვენს სახლში, მაგრამ მაშინ პირველად ვიჯექი მაგიდასთან მასთან ერთად) ესპანეთის შესახებ დაიწყო მოყოლა. არა, ომზე არა. ანუ იმაზე კი არა, როგორ წააგეს ომი. და ეს მეუცნაურა. ომს მხოლოდ გაკვრით ახსენებდა, არა იმგვარად, თითქოს ის სულ არ ყოფილა, არამედ ისე, თითქოს მათთვის არ უჯობნიათ. არადა, ბევრი, მათ შორის, კოლი, მოკლეს, ზოგმა ხელი ან ფეხი დაკარგა, ზოგს მასავით ყურის აპკი გაუსკდა, ზოგიც აქეთ-იქით მიმოიფანტა და მალე მათ კანონგარეშედ გამოაცხადებდნენ, ფბI კი დევნას დაუწყებდა, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ

მოხალისე მონადირეები გულს გაუწვრილებდნენ და თავს მოაბეზრებდნენ. მაგრამ ჩვენთან საქმე ჯერ აქამდე არ მისულა, მათ კი, როგორც ჩანს, ვერ აჯობეს, მათ არაფერი წაუგიათ. ლინდა ომში მყოფ ხალხზე ჰყვებოდა – კოლისნაირებზე. მოგვითხრობდა ერნესტ ჰემინგუეისა და მალროზე (ანდრე მალრო – ფრანგი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე) , ვიღაც რუსზე, რომელიც პოეტი იყო და, ალბათ, პუშკინსაც აჯობებდა, მაგრამ მოკლეს. დედა კი იმ ბლოკნოტში რაღაცას ჯღაბნიდა, ამასთან არც ის და არც ლინდა ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, რასაც, ამ უკანასკნელის აზრით, დედა ჩხაპნიდა, ხმამაღლა კი ამბობდა:

– აჰ, ლინდა, არა! – ვითომ რა საშინელებაა, როცა ახალგაზრდა საქმის დაუსრულებლად კვდებაო. მაგრამ აქ გევინი გამოსტაცებდა ხოლმე ბლოკნოტს დედას და ამბობდა:

– არაფერია. არ არსებობს ისეთი განსაზღვრება, როგორიც მუნჯი, უსახელო მილტონია. მილტონი რომ ორი წლისა მომკვდარიყო, მის ნაცვლად ვინმე სხვა დაწერდა.

ბლოკნოტის აღება არც მიცდია – მეეჭვება, რომ ჩემთვის დაენებებინათ.

– ბეკონის ან მალროუს გვარით, – ვამბობ.

– ან იქნებ ისეთი კარგად მჟღერი, განზოგადებული პროფესიული ფსევდონიმით, როგორიც შექსპირია, – თქვა ბიძია გევინმა.

მაგრამ ლინდას ბლოკნოტისთვის აღარ შეუხედავს. მე ხომ ვთქვი, რომ მას და დედაჩემს ეს არ სჭირდებოდათ.

– რატომ? – იკითხა მან, – რომელი სტრიქონი, შიში ან თუნდაც პოემა შეედრება იმას, როცა ადამიანი სიცოცხლეს წირავს იმის გულისთვის, რომ ჰიტლერის ან მუსოლინის მსგავს ადამიანებს „არა" უთხრას?

– ის მართალია. ის აბსოლუტურად მართალია და მადლობა ღმერთს, რომ ასეა. ტყუილუბრალოდ არაფერი იკარგება. არაფერი. არაფერი.

ოღონდ ახლა, ცხადია, ლინდა იკარგებოდა.

გევინი ამბობდა, რომ კოლი ძლიერი ადამიანი იყო. არა უბრალოდ ხორცის ნაჭერი, არამედ ვაჟკაცური, ცოცხალი; ადამიანი, რომელსაც ის უყვარდა, რასაც ბერძნები სიხარულს უწოდებდნენ. ასეთ ადამიანს შეეძლო, ფიზიკურადაც და სულიერადაც აევსო და გაეჯერებინა ქალის ცხოვრება. ლინდას ჯერ მხოლოდ ოცდაათი შესრულებოდა; ოჰ, დიახ, მშვენიერი თვალები ჰქონდა, შესაძლოა, არა მხოლოდ თვალები; თუმცა კოლი, ალბათ, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, როგორი იყო იგი კაბის ქვეშ, და ეს, სავარაუდოდ, იმ ბედნიერისთვისაც სულერთი იქნებოდა, – ვერც ბიძია გევინს გამოვრიცხავთ, – რომელიც მას შეცვლიდა. ასე რომ, ახლაღა მივხვდი, რა ხდებოდა ჩემ თვალწინ: არც დედაჩემს და არც ლინდას არაფრად სჭირდებოდათ იმ ღვლარჭნილი ასოების დანახვა, რომლებსაც დედა ჩხაპნიდა ამ სულელურ ძვლის ფირფიტებზე, ვინაიდან სწორედ იმ დღიდან, როდესაც ლინდა სახლში დაბრუნდა, დედაჩემი აშკარად ისევე უსირცხვილოდ

ეშმაკობდა მიზნის მისაღწევად, როგორც ძველად ვიქტორიას ეპოქის დედები ნადირობდნენ სასიძოებზე კურორტ ბათსა თუ ტანბრიჯ-უელსში სეზონის დროს. ეს დიკენსს, ფილდინგსა და სმოლეტს აქვთ აღწერილი. შემდეგ კიდევ ერთ რამეს მივხვდი. გამახსენდა, როგორ ვისხედით დაახლოებით ერთი წლის წინათ მე და რეტლიფი ბიძიას კაბინეტში.მან მითხრა:

– მომისმინე, რატომ ირთულებ ცხოვრებას, როდესაც ასე ეჭვიანობ საკუთარი ბიძის გამო? ადრე თუ გვიან, მას აუცილებლად გაჰყვება ვინმე ცოლად. ერთ მშვენიერ დღეს მას გადაასწრებ, უამრავი საქმე გექნება და აქ ასატუზებლად და მის საპატრონოდ აღარ გეცლება. ასე რომ, სჯობს ლინდა, ვიდრე სხვა.

ხვდებით, რისი თქმა მინდა? მაშასადამე, ის გადაეცა მემკვიდრეობით. იმას ვგულისხმობ, – არ ვიცი, რა ვუწოდო, – რითაც დედამისი გამოირჩეოდა. გევინმა ლინდა ერთხელ დაინახა, როდესაც გოგონა ცამეტი წლის იყო, და ხომ ხედავთ, რა დაემართა. შემდეგ, როდესაც ქალიშვილი ცხრამეტის შესრულდა, მას ბარტონ კოლმა მოჰკრა თვალი და ისიც ნახეთ, რა ბედი ეწია. ახლა მე დავინახე ის ორჯერ – მაშინ, როცა უკვე ვხვდებოდი, რას ვუყურებდი, – პირველად შარშან მემფისის აეროპორტში და დღეს საღამოს ჩვენთან ვახშმობისას, – და ვიცოდი: მომიწევდა ბიძია გევინის ბიბლიოთეკაში ან ჩემს კაბინეტში მოწვევა, ერთი სიტყვით, იქ, სადაც მსგავსი საუბრის წარმართვაა მიღებული, და მეთქვა:

– მომისმინეთ, ახალგაზრდავ. ვიცი, რამდენად უღირსია თქვენი განზრახვა. მაგრამ მაინტერესებს, რამდენად სერიოზულია ის, – თუმცა შესაძლოა, ეს მას კი არა, სხვას ვუთხრა. არა მგონია, იმ ადგილას თვითონ აღმოჩნდეს. რეტლიფმა მიამბო, თითქოს გევინს უთქვამს, ლინდას უწერია, ცხოვრებაში ერთხელ შეიყვაროს და შემდეგ მთელი ცხოვრება იდარდოსო. შესაძლოა, სწორედ ამიტომ დაბრუნდა ჯეფერსონში: თუ ადამიანს დარდის მეტი არაფერი დარჩენია, რა მნიშვნელობა აქვს, სად იცხოვრებს. ახლა ის იკარგებოდა, იმ ერთადერთ ადამიანსაც უშვებდა ხელიდან, რომელსაც მასზე უნდა ექორწინა – იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი პატარაობიდანვე სწორედ მან შეალია ყველაზე მეტი ძალისხმევა იმას, რომ ისეთი გაეხადა, როგორიც ახლა იყო. მაგრამ არა, თვითონ ვერ იქორწინებდა – მას საკუთარი წინასწარმეტყველება უნდა გაემართლებინა, საკუთარი სიტყვები დაემტკიცებინა დარდისა და წუხილის მიუხედავად.

დიახ, ლინდა იკარგებოდა. დაბრუნების შემდეგ ბანკირის იმ შავ, ბაპტისტი დიაკვნის შესაფერის მანქანას ატარებდა. როგორც ჩანს, თავიდანვე გადაწყვიტა, რომ მარტო იმგზავრებდა, მაგრამ შემდეგ მოხუცმა სნოუპსმა თვითონ გააპროტესტა სიყრუის გამო. ამიტომ ლინდა ყოველდღე ელოდა მანქანაში, როდის დაიკეტებოდა ბანკი, და ისინი ერთად სეირნობდნენ ახლომახლო ადგილებში. კაცი სიგნალებს უგდებდა ყურს. მას სჭირდებოდა ეს – ახლომდებარე ადგილებში მგზავრობა, ვინაიდან მთელი მხარე მისი სამფლობელო იყო, მისი მამული – მინდვრები, ფერმები, ნათესები – და შესაძლოა, მფლობელებს ისიც დაეგირავებინათ, რაზეც ის, ჯერჯერობით, საგირავნო ფურცელს არ გასცემდა. მას შეეძლო, შეეთვალიერებინა და დაეანგარიშა, როგორ და რამდენად ჩაეგდო ხელში.

ლინდა მასთან ერთად კვირაში მხოლოდ ერთხელ არ მგზავრობდა, ჩვეულებრივ, ოთხშაბათს. ბებერი სნოუპსი არ სვამდა, არ ეწეოდა, თამბაქოსაც არ ღეჭავდა, ყბები კი თანაბრად უმოძრავებდა, რადგან, როგორც რეტლიფი ამბობდა, აქამდე ღეჭავდა სიცარიელის ნაგლეჯს, ფრენჩმენსბენდის ჰაერს, რომელიც პირით ოცდაათი წლის წინათ მოიტანა, როდესაც ჯეფერსონში გადმოვიდა. დიახ, ლინდა იკარგებოდა: იმ დღეს ბიძია გევინს კი არ მიმართა, რეტლიფს მიუახლოვდა და უთხრა:

– არ ვიცი, ვისთან შეიძლება ახლა ვისკის ყიდვა, – არა, ლინდა არ დაბნეულა, უბრალოდ, ძალზე დიდხანს არ ჩანდა და თვითონ აუხსნა რეტლიფს, რატომ ბიძია გევინს არ მიმართა: – ის ოლქის პროკურორია და ვიფიქრე... – რეტლიფმა კი აქვე, შუა ქუჩაში, მოუთათუნა ხელი მხარზე და ყველას გასაგონად უთხრა, ოღონდ ის ვერ გაიგონებდა:

– დიდი ხანია, სახლში არ ყოფილხარ. წამოდი. ყველაფერს ვიშოვით.

და სამივენი გევინის მანქანით ჯეიკლეგ უოტმანის უაიოტ-კროსინგთან მდებარე ეგრეთ წოდებულ მეთევზეთა კემპინგისკენ გაემართნენ, რათა მას სცოდნოდა, სად და როგორ ეშოვა ის, რაც სჭირდებოდა. ამისათვის ჯეიკლეგის პატარა, შეუღებავ ფარდულთან უნდა მისულიყვნენ (ჯეიკლეგი მას არ ღებავდა, რადგან ყოველთვის, როცა ოლქის ხელმეორედ არჩეულ ადმინისტრაციას რეფორმების გატარება მოუნდებოდა და შერიფი ჩუმად გააფრთხილებდა მას პოლიციის რეიდის შესახებ, საღებავი არ გაეფუჭებინა ლურსმნების ამოძრობით, რათა არყის გამოსახდელი აპარატი ჩამოეხსნა და ტყის სიღრმეში გადაეტანა, სანამ რეფორმების ტალღა არ მიილეოდა და კვლავაც შეძლებდა დაბრუნებას გზატკეცილისა და მანქანების სიახლოვეს), მანქანიდან გადმოსულიყვნენ და მაღაზიაში შეებიჯებინათ, სადაც შეუღებავ თაროებზე კაუჭები, ტივტივები, ანკესები, თამბაქოს შეკვრები, ფარნების ბატარეები, ყავის კოლოფები, ბარდის კონსერვები და სანადირო თოფების ვაზნები ეწყო. კედლებზე აკურატულად მიემაგრებინათ აშშ-ის შიგა მოსაკრებლის დეპარტამენტის ლიცენზიები; ფართო და მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილი ჯეიკლეგი, რომელიც მათ ზამთარ-ზაფხულ ატარებდა, მავთულის ბადით შემოღობილი დახლის მიღმა იდგა, ჩექმის ყელში რევოლვერი ჩაედო, მიმსვლელი კი ამბობდა: „გამარჯობა, ჯეიკ, რა გაქვს დღეს?" ის, ისეთი სახით, თითქოს სულ არ ადარდებდა, მოგეწონებოდათ თუ არა, მუდამ ერთსა და იმავე მარკას ასახელებდა, თანაც ერთსა და იმავე ფასს, თითქოს სულ არ აინტერესებდა, გაწვდებოდა თუ არა მას თქვენი ჯიბე. და როგორც კი ეტყოდით, რამდენი ბოთლი გინდოდათ, ზანგი მსახური (მას ჯეიკლეგის ნახმარი რეზინის ჩექმები ეცვა) იკუზებოდა ანგადიოდა, ერთი სიტყვით, უჩინარდებოდა, შემდეგ კი ბოთლებით ხელში გამოჩნდებოდა, იდგა, მათ ხელს არ უშვებდა და ელოდებოდა, სანამ ჯეიკლეგს ფულს არ მისცემდნენ, ის კი ხურდას არ დააბრუნებდა (თუ ეკუთვნოდა), და მაშინ ჯეიკლეგი მავთულის ბადეში გაკეთებულ პატარა ფანჯარას აღებდა, მასში ბოთლებს გამოაძვრენდა და კლიენტები მანქანაში ბრუნდებოდნენ – სულ ეს იყო. მან (ბიძია გევინმა) ლინდა ფარდულში შეიყვანა და, ალბათ, თქვა: „გამარჯობა, ჯეიკ. გაიცანი – ეს მისის კოლია. მას არ ესმის, მაგრამ დალევა და გემოს გაგება კი შეუძლია". ლინდამ, ალბათ, იკითხა: „რა აქვს მას?" – ბიძია გევინმა კი, ალბათ, ბლოკნოტში

ჩაუწერა: „აქ არ ეკითხებიან. უნდა აიღო, რასაც გაძლევენ, და რვა დოლარი გადაიხადო, ან თექვსმეტი, თუ ორს იღებ".

ასე რომ, შემდეგ ჯერზე ის, შესაძლოა, იქ მარტო მივიდა. შესაძლოა, ბიძია გევინი თვითონ შევიდა ბანკში, უკანა პატარა ოთახში, და თქვა: „მომისმინე, თევზისსისხლიანო ნაბიჭვარო, ნუთუ ასე უნდა იჯდე აქ, სანამ შენი ერთადერთი ქალიშვილი, ქალი, რომელიც განკითხვის დღეს ბუკის ხმასაც კი ვერ გაიგონებს, ჯეიკლეგ უოტმანის ბუნაგში დადის ვისკის საყიდლად?" შესაძლოა, ეს შემთხვევით მოხდა ერთ-ერთ ოთხშაბათს, და ის, მისტერ სნოუპსი, ვერ ეტყოდა: „შეჩერდი, სად მიდიხარ, დალახვროს ეშმაკმა? იქით არ უნდა წახვიდე", ვინაიდან მას არაფერი ესმოდა, და საერთოდ, ვერ ვხვდები, როგორ შეძლებდა მასთან ლაპარაკს, ვინაიდან ვერ წარმომიდგენია, რომ მის ხელს რამის დაწერა შეძლებოდა, გარდა პროცენტის აღმნიშვნელი ციფრისა და გადაცილებული ვადისა. შესაძლოა, მათ თან იმ ადგილის რუკა ჰქონდათ და მოხუცი მასზე უჩვენებდა, თუ საით წასულიყო, და ეს აქამდე ორივეს აწყობდა. მაგრამ ახლა სნოუპსი არა ერთ, არამედ ერთდროულად სამ სირთულეს აწყდებოდა: ჯერ ერთი, ბანკის პრეზიდენტის ყველასთვის ნაცნობი მანქანა ბუტლეგერის ბუნაგთან ჩერდებოდა, თვითონ კი შიგ იჯდა; მეორე – ღირდა კი, რომ იოკნაპატოფის ოლქის ყოველ მომავალ მოვალეს შეეტყო, რომ მანქანაში მჯდომი ბანკირი თავის ერთადერთ ქალიშვილს ძალზე ცუდი რეპუტაციის ბუნაგში შესვლის ნებას აძლევდა? და მესამე – ღირდა კი, რომ თვითონ შესულიყო იქ და, ბაპტისტური ეკლესიის დიაკვნის ხელით, საკუთარი სისხლის ფასად ნაშოვნი თექვსმეტი დოლარი თავისი ხელით გადაეხადა?

იკარგებოდა. გევინმა მიამბო, როგორ მოუხშირა ლინდასთან საღამოობით სიარულს (ცხადია, მისივე მოწვევით) ორმა ფინელმა კომუნისტმა დაახლოებით ერთი წლის წინათ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ეს რა იქნებოდა. ყველანი სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ბიძია გევინის თქმით, ლინდას თავისთვის ოთახები ზედა სართულზე მოეწყო, მაგრამ ფინელებთან ერთად ქვევით იჯდა, სასტუმრო ოთახში, დერეფნის მეორე მხარეს კი, დიაგონალზე, ის ოთახი მდებარეობდა, სადაც ბებერი სნოუპსი, როგორც ამბობდნენ, მაშინ იმყოფებოდა, როდესაც ბანკში არ იყო. მაშასადამე, სამნი კაპიტალისტის სასტუმრო ოთახში – ორი ფინელი იმიგრანტი მუშა და ბანკირის ქალიშვილი. იმ ორთაგან ერთს ინგლისურის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა, ქალს საერთოდ არაფერი ესმოდა, არც ერთ ენაზე, და ორივენი ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის რამე მესამის საშუალებით გაეგებინებინათ, რომელსაც ჯერ წერაც ვერ ესწავლა. საუბრობდნენ იმედზე, ნათელ მომავალზე, ოცნებაზე – სამუდამოდ გაეთავისუფლებინათ ადამიანი მისი ცხოვრების ტრაგედიისგან, ავადმყოფობისგან, შიმშილისა და უსამართლობისგან, და არსებობის ადამიანური პირობები შეექმნათ. ორი კარის იქით მდებარე ოთახში კი, სადაც ის მხოლოდ არ ჭამდა და ფულს არ ინახავდა, იჯდა, ფეხები ცნობილი მოქანდაკის მიერ შექმნილ ანტიკვარულ ბუხარზე ლურსმნებით მიმაგრებულ შეუღებავ თამასაზე მიეჭირა, ღეჭავდა იმას, რასაც რეტლიფი ფრენჩმენსბენდის ჰაერის ნაგლეჯს უწოდებდა, – ის, კაპიტალისტი, ამ სასტუმრო ოთახისა და ამ სახლის, მთელი ამ ფუფუნების მფლობელი, რომელშიც ისინი ოცნებობდნენ. თავდაპირველად ნიჰილისტი იყო, შემდეგ მოლბა, ანარქისტი გახდა, ახლა კი არა უბრალოდ

კონსერვატორად, არამედ ნამდვილ რეაქციონერად – არსებული წესების ურყევ ბურჯად გადაიქცა.

იკარგებოდა. მალე ლინდამ, როგორც ამას ჯეფერსონში უწოდებდნენ, ზანგების საქმეებში დაიწყო ცხვირის ჩაყოფა. როგორც ჩანს, მიუპატიჟებლად და გაუფრთხილებლად ესწრებოდა გაკვეთილებს ზანგების დაწყებით და საშუალო სკოლებში, ამასთან, თვითონაც ხვდებით, ჭექა-ქუხილსაც ვერ გაიგონებდა, ასე რომ, მხოლოდ მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამომეტყველებასა და ჟესტებს თუ დაინახავდა, მათ კი ზარავდათ, შესაძლოა ეშინოდათ, ყოველ შემთხვევაში, აწუხებდათ და აშფოთებდათ უცხო თეთრკანიანი ქალის მოულოდნელი სტუმრობა, რომელიც მასწავლებელს იხვის ყიყინა ხმით ელაპარაკებოდა, შემდეგ კი პასუხის გასაცემად ბლოკნოტსა და ფანქარს უწვდიდა. მაგრამ ამ დროს კლასში სკოლის დირექტორი – ბიძია გევინის თქმით, საუნივერსიტეტო განათლების მქონე, ჭკვიანი და თავისი საქმის ერთგული ადამიანი – შემოდიოდა, როგორც კი მას შეშინებული შიკრიკი მიაგნებდა და ამის შესახებ შეატყობინებდა. ლინდა, დირექტორი და უფროსი მასწავლებელი დირექტორის კაბინეტში მიდიოდნენ, სადაც იმდენად თეთრკანიანი ქალი კი არა, ორი ზანგი ხვდებოდა და იგებდა ყველაფერს, თუმცა მოსულს არ ეთანხმებოდა. ვინაიდან ისინი, ზანგები, როდესაც საქმე გაჭირვებით, უმეცრებითა და შიშით გაჩენილ ვნებას კი არ ეხება, არამედ – უბრალო ადამიანურ ურთიერთობებს, რბილი და გულკეთილი, თეთრებზე უფრო რბილი და გულკეთილი ხალხია, რადგანცხოვრებამ ასეთებად აქცია. მათ გაცილებით ბრძნული დამოკიდებულება აქვთ თეთრებთან, ვიდრე თეთრებს მათთან, ვინაიდან მათ, უმცირესობას, არსებობისთვის ბრძოლა მოუხდათ. მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ამ ქალს უმეცრებასა და ცრურწმენასთან ბრძოლა მოუწევდა, იმ უმეცრებასა და ცრურწმენასთან, რომლებიც მის ოცნებებს შეეწინააღმდეგებოდნენ და დაღუპავდნენ, და თუ გაჯიქდებოდა, თვითონ მასაც გაანადგურებდნენ, – იცოდნენ, რომ ეს უმეცრება და ცრურწმენა შავ რასაში კი არ ბუდობდა, რომლის გაგებაც ქალს სურდა, არამედ – თეთრ რასაში, რომელსაც იგი მიეკუთვნებოდა.

ბოლოს მოხდა ის, რასაც ელოდნენ, რასაც ყველა გრძნობდა, თვითონ ლინდას გარდა – როგორც ჩანს, სიყრუის, იზოლირების, მარტოობის, იმის გამო, რომ ბგერათა და ხმათა შორის კი არა, ჟესტებს შორის ცხოვრობდა. შესაძლოა, ელოდა კიდეც წინააღმდეგობას, მაგრამ ომში ნამყოფი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ყოველ შემთხვევაში, იგი თავისი იდეით ჯიქურ წავიდა წინ. მან ჩაიფიქრა, ყოველკვირა მოეწყო შეჯიბრებებისა და კონკურსების მსგავსი ღონისძიებები, რათა გამარჯვებულებს, ანუ კვირის საუკეთესო მოსწავლეებს, მომდევნო კვირას სპეციალური კურსები გაევლოთ, რომელთა ორგანიზებასაც თვითონ აპირებდა, და იქ თეთრკანიან მასწავლებლებთან ემეცადინათ, ამასთან დაწვრილებით გეგმას მოგვიანებით შეიმუშავებდა, დროებით კი, ზოგადი ლექციების მოსასმენად, ისინი მამამისის სახლში, მის სასტუმრო ოთახში შეიკრიბებოდნენ. ამ კვირას პირველ ადგილებზე გასულებს მომდევნო კვირაში სხვა გამარჯვებულები შეცვლიდნენ, ამასთან ჯგუფებში ყველა კლასის მოსწავლეები შევიდოდნენ, მოსამზადებლით დაწყებული და გამოსაშვებით დამთავრებული, ვინაიდან მას საკუთარი თეორია ჰქონდა: თუ თვრამეტი წლის ასაკში შეძელი ცოდნის აღქმა, რვა წლისაც აღიქვამ, რადგან ამ ასაკში ბავშვი ახალს ადვილად ითვისებს. არადა, თვითონ არაფერი ესმოდა – არც სიტყვები და არც

შავკანიანის ხმაში გაჟღერებული შეშფოთების, შიშის, შეძრწუნების გამომხატველი კილო, ობერტონები და ნახევარტონები, როდესაც ის იძულებულია თქვას: „გმადლობთ". ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, სკოლის დირექტორი თვითონ მივიდა ბიძია გევინის კაბინეტში – ინტელიგენტი ადამიანი ნებისყოფიანი და ტრაგიკული სახით.

– გელოდებოდით, – უთხრა ბიძია გევინმა, – ვიცი, რის შესახებაც გსურთ საუბარი.

– გმადლობთ, – მიუგო დირექტორმა, – მაშასადამე, მიხვდით, რომ არაფერი გამოვა; რომ თქვენ ამისთვის ჯერ მზად არა ხართ. და არც ჩვენ ვართ მზად.

– ამას თქვენი რასის ცოტა წარმომადგენელი თუ დაეთანხმება, – თქვა ბიძია გევინმა.

– არავინ დაეთანხმება, – განაცხადა დირექტორმა, – ისევე, როგორც არავინ ეთანხმებოდა, როდესაც ამას მისტერ ვაშინგტონი ამბობდა.

– მისტერ ვაშინგტონი?

– ბუკერ ტ. (ვაშინგტონ ბუკერ ტალიაფერო (1855-1915 წწ.) – აშშ-ის საზოგადო მოღვაწე) , – თქვა დირექტორმა, – და მისტერ კარვერიც.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ბიძია გევინმა, – კერძოდ, რას?

– რომ ჩვენ თავდაპირველად იმას უნდა მივაღწიოთ, რომ თეთრებს დავჭირდეთ. უწინ თქვენს ხალხს კულტურის სფეროში თუ არა, ეკონომიკაში ვჭირდებოდით – ბამბის, თამბაქოს, ინდიგოს მოსაყვანად. მაგრამ ეს ის აუცილებლობა არ იყო, მასში ბევრი ბოროტება და უბედურება ბუდობდა. ის ვერ შენარჩუნდებოდა. ის უნდა გამქრალიყო. ახლა კი აღარ გჭირდებით. ჩვენი ადგილი არც თქვენს კულტურაშია და არც ეკონომიკაში. ჩვენ განვადებით ისეთივე ავტომობილებს ვყიდულობთ, როგორსაც თქვენ, ისეთივე ბენზინს ვხმარობთ, ისეთივე რადიომიმღებებს ვიყენებთ, რათა ისეთივე მუსიკას მოვუსმინოთ, ისეთივე მაცივრებს ვიძენთ ისეთივე ლუდის შესანახად, როგორსაც თქვენ. მაგრამ სულ ეს არის. ასე რომ, ახლა ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ როგორც თქვენს კულტურაში, ასევე ეკონომიკაში. თქვენ კი არ უნდა შემოგვთავაზოთ ადგილები, რათა ფეხებში არ გებლანდებოდეთ, როგორც აქ, სამხრეთში, ან რათა ჩვენი ხმები მიიღოთ თქვენი პოლიტიკური კაპიტალის გასაზრდელად, როგორც იქ, ჩრდილოეთში, არამედ ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ ჩვენი ადგილი, თქვენთვის აუცილებელი უნდა გავხდეთ, რათა უჩვენოდ ფონს ვერ გახვიდეთ, რათა ჩვენ გარდა ვერავინ შეავსოს ის ადგილი თქვენს ეკონომიკასა და კულტურაში, რომლის შევსებასაც ჩვენ შევძლებთ. აი, მაშინ გახდება ეს ადგილი მართლა ჩვენი. საჭიროა, რომ უბრალოდ კი არ გვითხრათ „მობრძანდით!" – თქვენთვის აუცილებელი უნდა გახდეს, გვითხრათ „მობრძანდით!", უნდა მოგინდეთ, გვითხრათ „მობრძანდით!". შეძლებთ, რომ ეს მას აუხსნათ? უთხარით, რომ მადლობას ვუხდით, რომ ამას არასდროს დავივიწყებთ. მაგრამ თავი დაგვანებოს. კარგია, თუ ყოველთვის

გვექნება თქვენი მეგობრობისა და დახმარების იმედი, როცა ეს დაგვჭირდება. ოღონდ ნუ გვმფარველობთ, სანამ თვითონ არ გთხოვთ.

– ეს სულაც არ არის მფარველობა, – მიუგო ბიძია გევინმა, – თქვენ ეს მშვენივრად იცით.

– დიახ, – დაეთანხმა სკოლის დირექტორი, – მე ესეც ვიცი. მაპატიეთ. არ მინდოდა... – შემდეგ დაამატა: – უბრალოდ, უთხარით, რომ მადლობას ვუხდით, არ დავივიწყებთ, მაგრამ თავი დაგვანებოს.

– როგორ შეიძლება ამის თქმა ადამიანისთვის, რომელიც ამხელა რისკზემხოლოდ სამართლიანობის გულისთვის მიდის, მხოლოდ იმისთვის, რომ სიბნელისა და უმეცრების დაძლევაში დაგეხმაროთ?

– მესმის, – თქვა სკოლის დირექტორმა, – ეს მართლა ძალიან რთულია. შესაძლოა, ჩვენ ჯერაც არ შეგვიძლია თქვენს დაუხმარებლად – აი, ახლაც დახმარება გთხოვეთ. ნახვამდის, სერ! – ამ სიტყვებით იგი წავიდა. მაგრამ როგორ შეეძლო ბიძია გევინს ლინდასთვის ამის თქმა? ვინ ეტყოდა ამას – თეთრკანიანი თუ შავკანიანი? და არა იმიტომ, რომ ვერ გაიგონებდა: არც კი მოისმენდა იმ ერთსულოვან „არას", რომლითაც ზანგების სკოლა ხვდებოდა მას იმ მასობრივი – არა, წინააღმდეგობით არა, უფრო ცხოველის ინსტინქტური გაშტერებით, როდესაც ის უძრავად წევს, არც სუნთქავს და არც არაფერი ესმის. იქნებ ლინდა გრძნობდა ამას, ვინაიდან მაშინვე, დაუყოვნებლივ, სკოლიდანვე წავიდა სახალხო განათლების ინსპექციაში: რადგან ცალკეულ მოწაფეებთან მეცადინეობით უმეცრების თანდათანობით მოსპობას ვერ ახერხებდა, ამის ერთბაშად გაკეთებას შეეცდებოდა, რისთვისაც თეთრკანიან მასწავლებლებს ზანგების სკოლებში მიიწვევდა. მას არავისთვის უთხოვია დახმარება, არც გევინისთვის, და თვითონ წავიდა სკოლის მეურვეთა საბჭოში, და როცა იქ საშინლად დაბნეულებმა უკან დაიხიეს, წმინდა ნავსაყუდელში – ოლქის დამკვირვებელთა საბჭოში გადაინაცვლა, თანაც არა მხოლოდ სპილოს ძვლის ბლოკნოტით შეიარაღებული მივიდა, არამედ მთელი შეკვრა ყვითელი ქაღალდი და ფანქრებიც მიიტანა ყველასთვის. მათ, როგორც ჩანს, საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და იგი სხდომას დაასწრეს. გევინი ჰყვებოდა, რომ ეს დაახლოებით ასე მოხდა:

თავმჯდომარემ დაწერა: „მოდი, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ზანგების სკოლაში თეთრკანიანი მასწავლებლები დავნიშნეთ. რა დაემართებათ ზანგ მასწავლებლებს? იქნებ თვითონ აპირებთ მათთვის პენსიის გადახდას?

იხვისებური ხმა: „არა, ასე არა. მე მათ ჩრდილოეთში გავგზავნი თეთრკანიანთა სკოლებში, სადაც ისინი თეთრი მასწავლებლების მსგავს კვალიფიკაციას მიიღებენ".

ფანქარი: „მოდი, განვაგრძოთ და კვლავ დავუშვათ, რომ ზანგი მასწავლებლები დავითხოვეთ. სად იპოვით თეთრკანიან მასწავლებლებს, რომლებიც მათ ადგილას მუშაობას დათანხმდებიან აქ, მისისიპიში, და დიდხანს მისცემენ თუ არა მათ უფლებას, რომ ზანგების ადგილი დაიკავონ აქ, მისისიპიში?"

იხვის ხმა: „მე მათ ვიპოვი, თუკი თქვენ მათ დაიცავთ".

ფანქარი: „ვისგან დავიცავთ, მისის კოლ?"

ამაზე პასუხის გაცემა ლინდას აღარ დასჭირვებია. ვინაიდან უკვე დაიწყო: მათი სახლის წინ ტროტუარზე ცარცით მსხვილი ასოებით დაწერილი სიტყვები „ზანგების მოყვარული" გაჩნდა. მეორე დილას მამამისმა ბანკირის შავი შლაპითა და პეპელა-ჰალსტუხით აუჩქარებლად გაიარა ამ ასოებზე ფრენჩმენსბენდის ჰაერის ნაგლეჯის ღეჭვით. ცხადია, მან შეამჩნია წარწერა. გევინმა თქვა, რომ მისი ვერშემჩნევა შეუძლებელი იყო და შუადღისთვის თითქმის მთელმა ჯეფერსონმა მოახერხა და „შემთხვევით" გაიარა იმ ადგილას მის სანახავად. რა უნდა ექნა ბანკირს – ამ ბანკირს? ცხვირსახოცზე დაეფურთხებინა და მუხლებზე დამდგარს ტროტუარიდან ასოები წაეშალა? მოგვიანებით ლინდაც გამოვიდა და სასამართლოს შენობისკენ გაემართა, რათა კვლავ შეეღწია დაკეტილი კარის მიღმა და საოლქო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მოეხელთებინა. შესაძლოა, სრულიად შესაძლებელიც კია, რომ ვერაფერი შეამჩნია. ყოველ შემთხვევაში, არც მას, არც მზარეულსა და არც მეკარეს არაფერი გაუკეთებიათ. სამაგიეროდ, მათმა მეზობელმა ქალმა გააკეთა – ცოცხით ხელში გამოვიდა და ასოები გადადღაბნა: გაბოროტებით, გაბრაზებით, ოღონდ არა ლინდას განუხორციელებელი ოცნების დასაცავად, არც ინსტინქტური ქალური სოლიდარობის გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონაც ამ ქუჩაზე ცხოვრობდა. შეეძლოთ, ტროტუარზე პრიმიტიული სალანძღავი და უხამსი სიტყვები დაეწერათ – მსგავსი რამ ქალაქის რესპექტაბელურ ნაწილშიც კი ხდებოდა – და იგი შეუჩერებლივ ჩაუვლიდა მათ, თორემ ისე გამოვიდოდა, თითქოს ყველას გასაგონად აღიარებდა, რომ მისთვის, პატიოსანი ქალისთვის, გასაგები იყო, რაც იქ ეწერა. მაგრამ ქუჩაზე, სადაც ის (რა თქმა უნდა, თავის ქმართან ერთად) ცხოვრობდა და უძრავ ქონებასაც ფლობდა, ცხადია, ვერავინ გაბედავდა, დაეწერა „ზანგების მოყვარული" ან „ზანგების მოძულე", ანუ ცარცით გაკეთებული მკაფიო, გამომწვევი წარწერით გამოეხატა ეს ძველი, ფარული, ატავისტური რასობრივი შიში.

ბოლოს დამკვირვებელთა საბჭოს თავმჯდომარემ მოედანი გადაჭრა და ბანკში, პატარა ოთახში შევიდა, სადაც მოხუცი სნოუპსი იჯდა და ფეხები ბუხრის ფიცარზე შემოეწყო, იმ დროს, როდესაც ვადაგადაცილებული საგირავნო სიგელებით არ იყო დაკავებული. როგორ მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა, ეს როგორ მოხდა. უცხო ადამიანი ოთახში შედის და დაახლოებით შემდეგს ამბობს: „დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ არ შეგიძლიათ, თქვენი ქალიშვილი სახლში გააჩეროთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ოფიციალურ დაწესებულებებში არ გაუშვათ?" უიმედო მცდელობა: განა შეიძლება რამის მიღწევა, თუ თქვენი ქალიშვილი ოცდაათი წლისაა, თანაც არა მხოლოდ ქვრივი და მატერიალურად დამოუკიდებელი, არამედ ომის ვეტერანიც და, ფაქტობრივად, – რეტლიფი იტყოდა „აქტიურად", – ტყვიების წვიმაში იდგა. ის კი თავისას არ იშლიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოს წევრები შიშით კარსაც ვერ აღებდნენ სხდომის დროს, შუადღისას შინ აღარმიდიოდნენ სასაუზმოდ და, ამის მაგივრად, უკანა ფანჯრიდან მათ კაფე „დიქსიდან" მოტანილ სენდვიჩებს აწვდიდნენ. ნებისმიერი იფიქრებდა, იქნებ ქალმა ვინმეს რჩევა მოისმინოს და გაითვალისწინოსო, მაგრამ ის, მოხუცი სნოუპსი, თხოვნას ვერ უბედავდა, ამ საქმის მიტოვების ბრძანებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მიზეზს, ბუნებრივია, ვერავინ ხვდებოდა.

მხოლოდ მარჩიელობა შეიძლებოდა, წარსულის რომელი თამასუქი ან საგირავნო ფურცელი – მისი ხელმოწერილი – ეჭირა ქალს ხელში, თამასუქი, რომლის წყალობითაც ეს ადგილი დაიკავა ბანკის უკანა ოთახში და შეეძლო, მჯდარიყო, სესხი გაეცა, თამასუქები გაეპროტესტებინა და ქონება დაეგროვებინა.

მაგრამ მალე არა მხოლოდ იმ ტროტუარზე ვიღაც უცნობების მიერ გაკეთებული წარწერის, „ზანგების მოყვარული", მოთმენა მოუხდა, რომელზეც თითქმის ყოველდღე უნდა გაევლო სახლიდან გასვლის შემდეგ. ერთხელ, ღამით (მაშინ ევროპაში ვიყავი), მისი სახლის წინ მდებარე მდელოზე უეცრად უხეშად შეკრული, ნავთით გაჟღენთილი ჯვარი აბრიალდა და მანამ იწვოდა, სანამ აღშფოთებულმა და გაბრაზებულმა, მაგრამ სრულიად უმწეო პოლიციელებმა არ მოირბინეს და არ ჩააქრეს. აქ პოლიციელები კი არა, ყველა ხელებს გაასავსავებდა. გაითვალისწინეთ, მას რომ მარტოკას ეცხოვრა ან რომელიღაც ექიმის, ადვოკატის ან თუნდაც მღვდლის შვილი ყოფილიყო, მაშინ კი ბატონო, მაშინ მასზეც და მამამისზეც ახი იქნებოდა. ნაცვლად ამისა, ის არა უბრალოდ ბანკირის ქალიშვილი, არამედ სწორედ იმ ბანკირის ქალიშვილი აღმოჩნდა. ჰოდა, გამოდიოდა, რომ აბრიალებული ჯვარი იმ უცილობელ ფაქტს ჰფენდა შუქს, რომ ისინი, ვინც მას ცეცხლი წაუკიდა, რეგვნები და გამოთაყვანებულები იყვნენ, და თუ თეთრი რასის დაცვა რეგვნების ხელში იყო, რომლებსაც ვერ გაერკვიათ და, რაც მთავარია, არც იცოდნენ, როგორ გაერკვიათ, სად იდგა ბანკირის სახლი და სად – არა, მაშასადამე, სადამდე დაცემულა ეს თეთრი რასა!

ერთი თვის შემდეგ მიუნხენი იყო, მას სტალინისა და ჰიტლერის პაქტი მოჰყვა და ახლა, როდესაც ფლემი დილით თავისი შავი, ბანკირის ქუდითა და პეპელა-ჰალსტუხით სახლიდან გამოდიოდა და კვლავაც, როგორც რეტლიფი იტყოდა, ფრენჩმენსბენდის ჰაერის ნაგლეჯს ღეჭავდა, ღობეებზე დაწერილი ჩვეულებრივი სიტყვების მსგავსზე კი აღარ უნდა გაევლო – ახლა უზარმაზარი ასოები სამ სიტყვას შეადგენდა, რომლებსაც მისი სახლის წინ მდებარე ტროტუარი მათი სხვადასხვა კომბინაციით დაეფარა:

კოლი

კომუნისტი

ურია

ურია

კოლი

კომუნისტი

კომუნისტი

კოლი

ურია

და მას, ბანკირს, კონსერვატორს, ტორის, რომელმაც ყველაზე მეტი ძალისხმევა გამოიჩინა ჯეფერსონსა თუ მთელ იოკნაპატოფის ოლქში, რათა დრო უკან, სულ ცოტა, 1900 წლამდე დაებრუნებინა, ამ სიტყვებზე ისე უნდა გაევლო, თითქოს ისინი არც არსებობდა, თითქოს ისინი სხვა ენაზე და სხვა საუკუნეში დაეწერათ, და ბუნებრივია, არც მათი შინაარსი ესმოდა, მთელი ჯეფერსონი კი - ყოველ შემთხვევაში, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით - მას მისჩერებოდა, თვალს ადევნებდა, გასცემდა თუ არა საკუთარ თავს. არადა, რისი გაკეთება შეეძლო? ახლა კი ირკვეოდა, რომ ეს სიმართლე იყო, რომ მასზე მართლა მოქმედებდა აკრძალვა, - არ გაებედა, - ვინაიდან მის მიერ მიღწეული წარმატებებისა და გამარჯვებების უკან ორი სიკვდილი იმალებოდა: არა მხოლოდ თვითმკვლელობა, რომელმაც ლინდა დაიობლა, არამედ ისიც, რომ თუ იგი სხვა ადამიანი იქნებოდა, მისი ცოლი თავს არ მოიკლავდა, თვითონ კი ისეთ ქალიშვილს აღზრდიდა, რომლის ქმარიც, ბარტონ კოლი, ებრაელი მოქანდაკე არ იქნებოდა, თანაც ჰოროსკოპში ჩაწერილი ესპანეთის ომით. მაგრამ შემდეგ წუთს ადამიანებს სრულიად საპირისპირო აზრები უჩნდებოდათ: როგორც ჩანს, ტროტუარზე გაკეთებულ წარწერებს, რომლებზეც ყოველთვის უნდა გაევლო სახლიდან გამოსვლისას, არც პირქუშ წინასწარმეტყველებად აღიქვამდა და არც სიკვდილის მუქარად, ისევე, როგორც წარუმატებლად გაცემული თამასუქი არ იყო მისთვის გამოუსწორებელი უბედურება, რადგან ფული, როგორც ასეთი, ჯერ არავის შეეცვალა. და რომ ის არასდროს გაიფიქრებდა: „ეს ჩემი ჯვარია, მე მას ვატარებ", ვინაიდან ასე ფიქრობდა: „ახლა მხოლოდ ის მჭირდება, ხალხმა იფიქროს, თითქოს ეს ჩემი ჯვარია და არა თამაშში გაკეთებული ჩემი სვლა".

შემდეგ პოლონეთის ჯერი დადგა. მე ვთქვი: „ახლა წავალ", გევინმა კი მითხრა: „ასაკი არ გიწყობს ხელს. საფრენ სკოლაში ჯერ არ მიგიღებენ". „ჯერჯერობით?" - ვკითხე მე, მან კი მიპასუხა: „ერთი წელი კიდევ ისწავლე იურიდიულ ფაკულტეტზე. არავინ იცის, რა იქნება, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ის არ იქნება, რასაც ახლა ხედავ". ასე რომ, კვლავ კემბრიჯში დავბრუნდი, იქ კი მან მომწერა, რომ ფბI ლინდაზე ინფორმაციას აგროვებდა: „მეშინია. მის გამო არა. იმის გამო არა, რასაც მის შესახებ შეიტყობენ, - ის თვითონ მოუყვებოდა მათ ყველაფერს, თუკი მიხვდებოდნენ, რომ ყველაზე მარტივი მასთან მისვლა და შეკითხვების დასმაა". შემდეგ ყველაფერი მიამბო: როგორ დაანება ლინდამ თავი, ბოლოს და ბოლოს, კარებზე კაკუნს,რომელთა მიღმაც სუნთქვაშეკრულნი იმალებოდნენ დამკვირვებელთა და მეურვეთა საბჭოების წევრები, და ახლა მხოლოდ კვირაობით კრებდა პატარებს ზანგების ერთ-ერთ ეკლესიაში და ხმამაღლა უკითხავდა მათ თავისი ცივი, მონოტონური, ყიყინა ხმით - ცხადია, არა ორთოდოქსულ ბიბლიურ იგავებს, მაგრამ მესოპოტამიურ ლეგენდებსა და სკანდინავიურ ზღაპრებს, რომლებიც ქრისტიანობაშიც კი გავრცელდა, და ეს მას იცავდა, ვინაიდან თეთრკანიანი მღვდლებიც კი ვერ გაილაშქრებდნენ ასეთი პარადოქსის წინააღმდეგ. ასე რომ, ახლა ტროტუარზე აღარ წერდნენ არც „კოლი კომუნისტი ურიას" და არც „ზანგების მოყვარულს" (მინდა მჯეროდეს, რომ შერცხვათ), და ლინდას აღარ უწევდა მათზე გადაბიჯება, რათა ყოველდღიურად ყველას დასანახად გამოჩენილიყო ქალაქში - მდუმარების პატარძალი, ვერგაგონებაში ხელშეუხებელი და მოუწყვლადი, კვლავაც ისე ჩაივლიდა ხოლმე, როგორც თოთხმეტი,

თხუთმეტი, თექვსმეტი წლისა: ახალგაზრდა პოინტერივით, რომელიც საცაა მწყრის კვალს მიაგნებს და დედაბუდიანად წამოაფრენს.

როდესაც შობის დღესასწაულზე შინ ჩამოვედი, მაშინვე ვუთხარი გევინს:

– უბრძანე, დაუყოვნებლივ დახიოს წყეული პარტბილეთი, თუ ასეთი აქვს. გესმის? ახლავე უბრძანე. ადამიანებს ვერაფრით ეხმარება. ისინი ამის ღირსნი არ არიან. მათ არც მისი რჩევა სჭირდებათ, არც სამუშაო, მხოლოდ ერთი რამ სურთ – პური და სანახაობა, თანაც მუქთად. ადამიანი ნაგავია. როგორ მოახერხა, რომ მთელი წელი ომში იყო, სადაც ქმარიც დაეღუპა და თვითონაც თავში რაღაც გაუსკდა, და, ასეთი ფასის მიუხედავად, ვერაფერს მიხვდა? ოჰ, დიახ, ვიცი, ვიცი, შენ და რეტლიფი განუწყვეტლივ მიმტკიცებდით ერთსა და იმავეს, რეტლიფმა კი რატომ ასჯერ არ მითხრა: „ადამიანი, არსებითად, ბოროტი არ არის, მას, უბრალოდ, არაფერი ესმის". მაგრამ ამ შემთხვევაში მით უმეტეს ასეა, ადამიანები სრულიად უიმედონი ყოფილან და ღირსნი არ არიან, ვინმემ მათზე იზრუნოს, იწუხოს და იტანჯოს. – აქ გავჩუმდი, ვინაიდან თავზე ხელი დამადო. ახლა ჩემამდე მოწვდენა უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ეს ზუსტად ისე გააკეთა, როგორც უწინ აკეთებდა, როდესაც ორჯერ უფრო დაბალი და სამჯერ ახალგაზრდა ვიყავი, რბილად, ნაზად, მსუბუქად მეფერებოდა, ხმაც მშვიდი და რბილი ჰქონდა.

– რატომ თვითონ არ ეტყვი ამას? – მკითხა მან. ვინაიდან ის ძალზე კარგი ადამიანია, ბრძენიც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უეცრად გადაუხვევდა და არასწორი მიმართულებით მიდიოდა. ამას მეც კი ვხვდებოდი. ის კი სიჩქარეს უმატებდა და – მიდიი! – არც წინ იყურებოდა, არც ლოგიკას ითვალისწინებდა, არც – საღ აზრს, სანამ ყველას ისეთ ხათაბალაში და გაუგებრობაში გაგვხვევდა, რომ მის ადგილას მეც კი მოვისაზრებდი, რომ ასე არ შეიძლებოდა. ის კარგი ადამიანია. შესაძლოა, ზოგჯერ ვცდებოდი, როდესაც მივენდობოდი და უკან მივყვებოდი, მაგრამ მართალი ვიყავი, რომ მიყვარდა.

– მაპატიე, – ვთქვი მე.

– არ არის საჭირო, – მეუბნება, – ოღონდ გახსოვდეს ეს. შეცდომების გამო სინანულზე დრო არ დაკარგო. უბრალოდ, გახსოვდეს ისინი.

ასე რომ, კვლავაც სადმე უნდა მომეხელთებინა რეტლიფი. თუმცა არა, მხოლოდ ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლე. ეს საშობაო ვახშმობის დროს მოხდა – რეტლიფი მას თვითონ ამზადებდა და ყოველთვის გვპატიჟებდა მე და ბიძია გევინს. მაგრამ იმ საღამოს გევინი ჯექსონში გამოიძახეს სანიტარიულ ინსპექციასთან დაკავშირებულ რომელიღაც საქმეზე და მარტოკას მომიწია რეტლიფის გაკრიალებულ სამზარეულოში ჯდომამ და ბებერი კელვინ ბუქრაიტის შინაურული ვისკით დამზადებული ცივი პუნშის წრუპვამ. რეტლიფი ამ ვისკის ადვილად შოულობდა, თუმცა ახლა, სიბერეში. კელს შეეძლო მოეყიდა ან ეჩუქებინა, მაგრამ კინწისკვრით გაგდებაც შეეძლო – ამას წინასწარ ვერაფრით განჭვრეტდით. ჰოდა, ვწრუპავდი ცივ პუნშს, – მხოლოდ რეტლიფს ხელეწიფებოდა ასეთის მომზადება: თავდაპირველად ცოტაოდენ წყალში შაქარს გახსნიდა, შემდეგ ვისკის ამატებდა და

განუწყვეტლივ კოვზით ურევდა, ბოლოს კი კასრში დაგროვილი წვიმის წყლით ავსებდა, – რეტლიფი კი, უჰალსტუხოდ, სუფთა, ოდნავ გახუნებულ ცისფერ პერანგზე (მათ თვითონ კერავდა) გაკეთებული გაქათქათებული წინსაფრით, საჭმელს ამზადებდა, თანაც შესანიშნავად ამზადებდა, არა იმიტომ, რომ ჭამა უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ, უბრალოდ, მომზადება უყვარდა, უყვარდა, როცა თვითონ მიჰყავდა ყველაფერი სრულყოფილებამდე, უმაღლეს წერტილამდე. შემდეგ წინსაფარი მოიხსნა და სამზარეულოს მაგიდას მივუსხედით სავახშმოდ ერთ ბოთლ წითელ ღვინოსთან ერთად, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მე და ბიძია გევინს მოგვქონდა ხოლმე. შემდეგ ყავა და პატარა გრაფინით ვისკი ავიღეთ და (როგორც ყოველთვის) მომცრო, უზადოდ სუფთა ოთახში გადავედით, – ის მას თავის სასტუმრო ოთახს უწოდებდა, – სადაც კუთხეში გაპრიალებული ფისგარმონია იდგა, ირგვლივ გაცვილული სკამები, ბუხარში კი, ზაფხულში დატალღული მწვანე ქაღალდით რომ ივსებოდა, ზამთარში შეშის ნაპობის ფორმის გაზის რადიატორი იდგა, – ჩვენამდეც მოვიდა პროგრესი, ჩვენც გადაგვყლაპა, – ოთახის შუაგულში მდგარ გასანთლულ მაგიდაზე, შუშის თალფაქის ქვეშ მოთავსებულ სადგარზე, ალანოვნას ჰალსტუხი იდო: არც მთლად ალისფერ, არც მთლად ბორდოსფერ ფონზე უხვად მიმოფანტული პატარ-პატარა მზესუმზირები ნამცეცა ცისფერი გულებით, ზუსტად ისეთი ოდნავ გახუნებული ცისფრით, როგორიც მისი პერანგები იყო. ეს ჰალსტუხი ნიუ-იორკიდან ჩამოეტანა სამი თუ ოთხი წლის წინათ, როდესაც ის და გევინილინდას ქორწილში გაემგზავრნენ, შემდეგ კი ის ესპანეთში გააცილეს, მაგრამ ენას უფრო მოვიჭრიდი, ვიდრე ვეტყოდი, რომ, ამ ჰალსტუხში, ალბათ, არანაკლებ სამოცდათხუთმეტი დოლარი იქნებოდა გადახდილი (მგონი, გევინმა გადაიხადა), თუმცა უნებურად წამომცდა და რეტლიფმა მითხრა:

– მე კი ვიცი, რამდენიცაა გადახდილი: თვითონ გადავიხადე. ას ორმოცდაათი დოლარი.

– რა? – ვთქვი მე, – ას ორმოცდაათი?

– ჰო, ასეთი ორი იყო, – მომიგო რეტლიფმა.

– მე მხოლოდ ერთს ვხედავ, – ვეუბნები.

– მეორეს, ალბათ, ვერც ნახავ, – მითხრა მან, – ეს პირადულია.

იქვე სწორედ ის სკულპტურა იდგა, რომელიც მას ბარტონ კოლმა უსახსოვრა, და თუ გევინი კვლავაც ცდილობდა გაერკვია, ეს რა იყო, მე დიდი ხანია, მასზე ხელი ავიღე – ვერც კი მივმხვდარიყავი, რას ვხედავდი, მით უმეტეს, რას აკეთებდა.

– მხოლოდ ლინდას მიერ მისთვის ნაჩუქარი ოქროს სანთებელა აკლია, – ვეუბნები, – და ლინდა სნოუპსის სახელობის ოთახი იქნებოდა.

– არა, – თქვა რეტლიფმა, – იულა უორნერის სახელობისა. აქ კიდევ უნდა დაემატოს რაღაც, მაგრამ, ჯერჯერობით, ესეც საკმარისია. თუ ჩვენ შორის ათას წელიწადში ერთხელ იბადება, ცხოვრობს და სუნთქავს ასეთი იულა უორნერი, ღირსია, რომ დავუდგათ... არა, ძეგლი ის სიტყვა არაა.

– ტაძარი, – ვეუბნები.

– სწორედაც რომ, – დამეთანხმა რეტლიფი, – მისი ხსოვნის ტაძარი, შეხსენება მათთვის, ვისაც მისი ნახვის ბედნიერება არ რგებია წილად, ვინც მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

იგი გაჩუმდა. იდგა და დუმდა. მაგრამ დაბნეული არ იყო, ალბათ, გულში რაღაცაზე იცინოდა და ფიქრობდა. ჰოდა, ვუთხარი:

– თქვენ ცდებით. არ გაჰყვება.

– რა? – მეუბნება, – რას გულისხმობ?

– გევინს ცოლად არ გაჰყვება.

– მართალია, – კვერს მიკრავს, – უარესი მოხდება.

ახლა მე ჩავეკითხე:

– რა? რა თქვით?

მაგრამ ის კვლავ ისეთი გახდა, როგორიც ყოველთვის იყო: რბილი, მშვიდი, იდუმალებით მოცული.

– ვფიქრობ, იურისტი ამასაც გაუძლებს, – თქვა მან.

თავი მეათე

გევინ სტივენსი

შემეძლო, მისთვის მერჩია, რომ ასე მოქცეულიყო, და იგი, ალბათ, დამიჯერებდა და თავის ბილეთს დახევდა – სწრაფად, დაუფიქრებლად, მგზნებარედ და თავდავიწყებით. ერთ რამეში ჰგავდა დედამისს – მისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, ცხოვრებაში რაღაც ძალიან მტკიცე, ძალიან საიმედო ეპოვა (ამ შემთხვევაში, მის შემთხვევაში, არა მხოლოდ ძლიერი ადამიანი, ვინაიდან კოლი საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ ის, როგორც გაირკვა, სისხლისა და ხორცისგან შედგებოდა და დიდხანს ვერ გაძლო), რათა ყველაფერი მიეცა, რაც გააჩნდა. ამასთან, ამ შემთხვევაში, იგი წარუმატებლობისთვის იყო განწირული, არა იმიტომ, რომ ბარტონმა უღალატა, არამედ იმიტომ, რომ მის ჰოროსკოპშიც განწირულობა იკითხებოდა. მაშასადამე, თუ კომუნისტური პარტია, რომელმაც უკვე დაამტკიცა, რომ ტყვიაშეუვალი და, აქედან გამომდინარე, უკვდავი იყო, მას ბარტონის ნაცვლად მოევლინა და არასდროს უღალატებდა, მაშინ, ცხადია, თავის ბილეთს მგზნებარედ, თავდავიწყებით და, შესაძლოა, სიხარულითაც

კი დახევდა. განა შეიძლება, სიყვარულმა იმაზე მეტი მსხვერპლი მოითხოვოს, ვიდრე თვითდამცირება და თავგანწირვაა, განსაკუთრებით იმის ფასად, რომ უხეშმა, უგრძნობელმა მატერიალისტებმა თავიანთი უსაზღვრო უმეცრებით ამას, შესაძლოა, სიმხდალე და შერცხვენა უწოდონ? ბუნდოვნად ყოველთვის ვეჭვობდი, რომ ძველი ქრისტიანი წამებულები, რომლებსაც დასაგლეჯად ხარებსა და ლომებს მიუგდებდნენ ხოლმე, გულის სიღრმეში მათდამი კეთილგანწყობასა და, შესაძლოა, სიყვარულსაც კი გრძნობდნენ.

მაგრამ მე სხვა რამ ვურჩიე. 1940 წელი იდგა. მანიაკმა ნიბელუნგმა (ნიბელუნგები – მიწაში დაფარული განძის მფლობელი მითოლოგიური ხალხი.) პოლონეთი გაანადგურა და დასავლეთისკენ გაემართა, სადაც მას პარიზი, ცივილიზებული სამყაროს მუდმივი და ბრწყინვალე კურტიზანი (კურტიზანი – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც მაღალ საზოგადოებაში ტრიალებს და მდიდარი და გავლენიანი ადამიანების საყვარელია.) ქალი, უბრალო მეძავივით მიჰყიდეს, და მხოლოდ ინგლისელთა მტკიცე ხასიათის გამო იბრუნა პირი აღმოსავლეთისკენ. კიდევ ერთი წელი და ადამიანი, რომელიც სახელმწიფოს სათავეში ლენინის (ლენინი (1870-1924 წწ.) – ვლადიმირ ულიანოვი; მარქსიზმის თეორეტიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი) შემდეგ ჩაუდგა, ჩვენი მოკავშირე გახდება, მაგრამ ლინდასთვის ეს ძალზე დაგვიანებული იქნება. ჩვენთვისაც დაგვიანებული იქნება, დაგვიანებული იქნება იმისთვის, რომ უახლოესი ასი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს მშვიდობის შენარჩუნება დასავლეთის ხალხებისთვის, როგორც კერძო საუბრებში ამბობდა ინგლისში სახელგანთქმული მსუქანა (ლენინი (1870-1924 წწ.) – ვლადიმირ ულიანოვი; მარქსიზმის თეორეტიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი) . მაგრამ მძიმე წუთებში... და ასე შემდეგ.

ყველაფერი ჩემს სამსახურებრივ კაბინეტში დაიწყო. მოვიდა წყნარი, მშვიდი, თითქმის შეუმჩნეველი ადამიანი, ოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდე, – ყველანი ასეთები არიან, – რომელმაც FBI-ს მოწმობა მაჩვენა (გიჰონი ერქვა), ჩემ მიერ შეთავაზებულ სკამზე დაჯდა, „გმადლობთო", მითხრა და მშვიდად და გულგრილად შეუდგა საქმეზე ლაპარაკს, როგორც ყოველთვის იწყებენ ხოლმე, თითქოს რაღაც უმნიშვნელო დავალებას ასრულებდა. ცხადია, მის სიაში ბოლო ადგილზე ვიყავი, სულ ბოლოში, ვინაიდან მან, ალბათ, საგულდაგულოდ, ჩემ დაუკითხავად შემამოწმა წინასწარ, ყველაფერი შეიტყო ჩემ შესახებ, ისევე, როგორც მრავალი დღის და, შესაძლოა, თვის წინათაც კი შეიტყო, შეამოწმა და შეაგროვა ყველაფერი, რაც ლინდას შეეხებოდა.

– ჩვენ ვიცით, რომ ის სრულიად ღიად, ყველას დასანახავად მოქმედებს ან ცდილობს, რომ იმოქმედოს.

– ვფიქრობ, ამ კუთხით შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ. – ვუთხარი მე.

– დიახ, – თქვა მან, – სრულიად ღიად. და უწყინარ საქმეებს აკეთებს. საუკეთესო განზრახვით, ოღონდ... არცთუ პრაქტიკულად. არაფერია ისეთი, რასაც ლედი არ უნდა აკეთებდეს, მაგრამ ცოტა...

– უცნაურია, – შევეშველე.

– გმადლობთ. სწორედაც რომ. შემიძლია გაგიმხილოთ, რომ მას პარტბილეთი აქვს. ცხადია, ამის შესახებ არაფერი იცით.

– გმადლობთ.

– ის კი, ვინც ერთხელ იყო კომუნისტი – გეცოდინებათ ერთი ძველი არაკი, ცხადია, ყოველგვარი მინიშნების გარეშე, თვითონაც ხვდებით: „ერთხელ იმრუშა...“ და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, თუ მშვიდად ავწონ-დავწონით, ყველა მიხვდება, რომ ასე არაა. მაგრამ ნახეთ, რა გამოდის. ახლა ფიქრისა და მშვიდად აწონ-დაწონვის დრო არაა. ამის იმედიც არ უნდა გვქონდეს, არათუ ეს მთავრობას ან ხალხს მოვთხოვოთ, იმის გათვალისწინებით, რაც გაცილებით ადრე მოგველის, ვიდრე ვვარაუდობთ.

– დიახ, დიახ, – ვთქვი მე, – მაშ, ჩემგან რა გნებავთ? რა შემიძლია, თქვენი აზრით?

– ის... როგორც გავიგე, მითხრეს, რომ მისი ყველაზე ძველი და დღემდეყველაზე ახლო მეგობარი ხართ...

– ცხადია, ყოველგვარი მინიშნების გარეშე, – ვთქვი მე. მას მადლობა აღარ უთქვამს. აღარაფერი უთქვამს, ერთი სიტყვაც კი. უბრალოდ, იჯდა და სათვალის მეორე მხრიდან მიყურებდა, ნაცრისფერი, უსახო, ქამელეონივით, შემაძრწუნებელი, როგორც ფეხის ნაკვალევი რობინზონის უკაცრიელი კუნძულის ნაპირზე, ძალზე უსახო, სრულიად უმნიშვნელო თავის უსახობასა და შეუმჩნევლობაში,რათა საკუთარი მხრებით ეტარებინა ის საშინელი ძალაუფლება, რომელსაც წარმოადგენდა, – მაშასადამე, გსურთ, რომ მასზე ვიმოქმედო...

– როგორც მოქალაქემ და პატრიოტმა, რომელიც საკმარისად ჭკვიანია, რათა ხვდებოდეს, რომ ჩვენც ჩაგვითრევენ ამ ომში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, თანაც ხუთი წელი უკიდურესი ზღვარია – წინა ჯერზე გერმანელებს მხოლოდ სამი წელი დასჭირდათ, რათა საბოლოოდ დაეკარგათ თავი და ომში ჩავეთრიეთ, ახლა კი ისიც არ ვიცით ზუსტად, ვინ აღმოჩნდება ჩვენი მტერი, შემდეგ კი უკვე გვიან იქნება...

– ...და დავიყოლიო, რომ მშვიდად მოგცეთ პარტბილეთი და შემოგფიცოთ – არაფერი ვიცი თქვენი უფლებამოსილების შესახებ ამასთან დაკავშირებით, – განვაგრძე მე, – მაგრამ განა თვითონ არ თქვით ახლახან: „რახან იმრუშა, კვლავაც იმრუშებს“ (ცხადია, ყოველგვარი მინიშნების გარეშე!).

– სრულიად გეთანხმებით, – მითხრა მან, – ამ შემთხვევაში ყოველგვარი მინიშნება უადგილოა.

– მაშ, რა გნებავთ ჩემგან... მისგან?

მან პატარა წიგნაკი ამოიღო, გადაშალა – მასში არა მხოლოდ დღეები, საათებიც გრაფებად იყო დახაზული.

– ის და მისი ქმარი ესპანეთში ექვსი თვე და ოცდაცხრა დღე იყვნენ, რესპუბლიკური ანუ კომუნისტური პარტიის რიგებში იბრძოდნენ, სანამ კაცი

ბრძოლაში არ დაიღუპა, ქალი დაჭრის შემდეგ ჰოსპიტალში დარჩა და სანიტრად მუშაობდა, სანამ ბოლოს რესპუბლიკელებმა მისი ევაკუირება არ მოახდინეს საფრანგეთის საზღვრიდან...

– ეს აქ, ჯეფერსონშიც კი იციან.

– დიახ, – თქვა მან, – მანამდე კი შვიდი წელი ცხოვრობდა ნიუ-იორკში, როგორც ჩვეულებრივი კანონიერი ცოლი...

– ...რასაც, ცხადია, ბრალად უყენებენ არა მხოლოდ აქ, ჯეფერსონში, არამედ ვაშინგტონშიც, – მაგრამ მან შეუჩერებლივ განაგრძო:

– ...კომუნისტური პარტიის ყველასთვის ნაცნობი, დარეგისტრირებული წევრისა და კომუნისტური პარტიის სხვა ცნობილი წევრების ახლო თანამებრძოლისა, რაც თქვენთან, ჯეფერსონში, შესაძლოა, არც იცოდნენ.

– აჰა, – ვთქვი მე, – შემდეგ?

მან უბის წიგნაკი დახურა, ჯიბეში ჩაიდო და კვლავ სრულიად მშვიდად, სრულიად გულგრილად შემომხედა, თითქოს ჩვენ შორის არსებული სივრცე მიკროსკოპის ლინზა იყო და მეტი არაფერი.

– მაშასადამე, მას ნაცნობები არა მხოლოდ ესპანეთში, არამედ აქაც, შეერთებულ შტატებშიც ჰყავდა, ადამიანები, რომლებიც, ჯერჯერობით, ჩვენთვისაც კი უცნობები არიან, – კომუნისტური პარტიის წევრები და აგენტები, მნიშვნელოვანი პიროვნებები, თუმცა არც ისე შესამჩნევნი, როგორც ებრაელი მოქანდაკეები, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორები და ყველანაირი ინტელიგენტი დილეტანტები.

როგორც იქნა, მივუხვდი.

– ყველაფერი გასაგებია, – ვთქვი მე, – გაცვლას მთავაზობთ. თქვენ მას ხელშეუხებლობას ჰპირდებით სახელების სიის სანაცვლოდ. თქვენი ბიურო მას გაათეთრებს, მტრიდან ჩვეულებრივ დამბეზღებლად აქცევს. ორდერი თუ გაქვთ?

– არა, – მიპასუხა. წამოვდექი.

– თუ ასეა, მშვიდობით, სერ! – მაგრამ ის არც განძრეულა.

– მაშასადამე, არ ურჩევთ?

– არა, არ ვურჩევ, – ვთქვი მე.

– თქვენი სამშობლო განსაცდელშია, შესაძლოა, დაღუპვაც ემუქრებოდეს.

– მაგრამ ის ქალი საფრთხე არაა, – ვთქვი მე. იგი მაშინვე წამოდგა და მაგიდიდან შლაპა აიღო.

– ვიმედოვნებ, ამას არ ინანებთ, მისტერ სტივენს.

– მშვიდობით, სერ! – ვუთხარი მე.

უფრო სწორად, ლინდას ყველაფერი დავუწერე. უკვე სამი წელი გავიდა და იგი ცდილობდა, მართლა ძალიან ცდილობდა ტუჩების მიხედვით წაკითხვას. მაგრამ რაღაც ისე არ იყო. შესაძლოა, ადამიანური ხმების გარეშე ცხოვრება ადამიანური დროის მიღმა ყოფნას ნიშნავდა, და მას სწავლის დრო, სწავლის სურვილი არ ჰქონდა. და, რაღაც ისე არ იყო. შესაძლოა, მას თავისუფლების, განმარტოების, ყველაფრისგან გამიჯვნის სამი წელიც არ სჭირდებოდა, რათა გაეგო: ადამიანის არსებობის მთავარი სირთულე დაუსრულებელი ლაქლაქია, რომელშიც იგი საკუთარი ნებით ეხვევა, რომელსაც იფარებს, რათა საკუთარი შეცდომების გამო შესაძლო სასჯელს გაემიჯნოს, არადა, ისეთი უბრალო სასჯელი რომ არსებობდეს, როგორიც თამასუქის მიხედვით ხდება, ცხოვრება სრულყოფილი, ღირსეული და ნაყოფიერი იქნებოდა. ასე რომ, მივწერე: „აქედან გაემგზავრე. სხვაგან წადი".

– როგორ გადავიდე? – იკითხა მან, – იმის თქმა გსურთ, რომ ცალკე ვიცხოვრო? სახლი ან ბინა ვიპოვო?

„არა, ჯეფერსონიდან გაემგზავრე, – დავწერე, – სულ წადი, სამუდამოდ.მომეცი ის წყეული ბილეთი და ჯეფერსონიდან გაემგზავრე".

– თქვენ ადრეც მეუბნებოდით.

– არა, არ მითქვამს, – ჩავილაპარაკე. ვუთხარი, თან უკვე ახალ ფრაზას ვწერდი, რომელშიც საკუთარი აზრი უნდა ჩამეტია: „ჩვენ ბილეთი და კომპარტია საერთოდ არ გვიხსენებია. სამი წლის წინათაც კი, როდესაც პირველად სცადე გეამბნა, რომ ბილეთი გქონდა. გინდოდა, გეჩვენებინა, მაგრამ არ დაგანებე, შეგაჩერე. მოსმენაზე უარი განვაცხადე – ნუთუ არ გახსოვს?"

მაგრამ ის უკვე ლაპარაკობდა:

– აბა, გაიხსენეთ, როდესაც თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ვიყავი, თქვენ კი მითხარით,ჯეფერსონიდან უნდა გაემგზავროო.

სხვა რამე აღარ მიხსენებია, მხოლოდ ეს დავწერე: „მაშინ არ შეიძლებოდა. ახლა შეიძლება. მომეცი ბილეთი და გაემგზავრე". იგი ორიოდე წუთი დუმდა. ასეთ მნიშვნელოვან და რთულ შემთხვევებში სპილოს ძვლის ბლოკნოტის გამოყენებაზე არც კი ვფიქრობდით. ის მხოლოდ სათამაშო, თავშესაქცევი, სამშვენისი, ფაქტობრივად, თითქმის უსარგებლო იყო: სპილოს ძვლის თხელი ფირფიტები, ოქროთი მოჩარჩოებული, ოქროს რგოლებით, თითოეული ბანქოს ქაღალდის ზომისა, მის სტრიქონზე საბავშვო ანაგრამის თუ აკროსტიქის სახით სამი სიტყვა ძლივს ეტეოდა, როგორც ანბანიდან ამოგლეჯილი გამოცანა ან ზღაპარი გაგრძელებით. ახლა მაღლა, სასტუმრო ოთახში ვიყავით – ავეჯით მისსავე გაწყობილში – და მისი ნახატის მიხედვით გაკეთებულ ბუხართან ვიდექით: სწორედ იმ სიგანისა და სიმაღლის დაფით, რომელზეც კარგად მოთავსდებოდა დიდი ასახევი ბლოკნოტი, როდესაც რამეზე ზუსტად, უშეცდომოდ უნდა გვემსჯელა ან იმაზე გვესაუბრა, რაზეც არ ღირდა დროის დაკარგვა, მაგალითად, ფულზე,

ასე რომ, შეეძლო, სიტყვები დაწერისთანავე წაეკითხა, თითქმის როგორც ხმა, თითქოს ესმოდა.

– სად წავიდე? – თქვა მან, – სად შემიძლია წასვლა?

„სადაც გინდა, ნიუ-იორკში, ევროპაში, ოღონდ ნიუ-იორკში ის ადამიანები არიან, რომლებიც შენ და ბარტონს გიცნობდნენ, მეგობრები, თანატოლები".

მან შემომხედა. როდესაც თვალის გუგები უფართოვდებოდა, ისინი თითქმის შავი მეჩვენებოდა. და უსინათლო.

– მეშინია, – თქვა მან.

ლაპარაკი დავიწყე. ცალკეულ სიტყვებს ტუჩებიდან კითხულობდა, თუ ნელა წარმოვთქვამდი:

– შენ? გეშინია? – მან თქვა:

– დიახ. არ მინდა, უმწეო ვიყო. არ მინდა უმწეობა. არ მინდა ვინმეზე დამოკიდებულება.

გამალებით ვფიქრობდი, როგორც მაშინ ხდება, როდესაც კარტის ჩასვლა, აღება ან დარტყმა გიწევთ, დაყოვნების ყოველი წუთი კი მოგების შანსს გართმევთ. მისი მზერის თანხლებით ნელა და მკაფიოდ დავწერე: „მე რიღასთვის ვარ?" და ხელი გავწიე, რათა დაენახა. მან ცივი, უსიცოცხლო და, როგორც ჩიკმა უწოდა – იხვის ხმით ჩაილაპარაკა:

– გევინ, – არ გავნძრეულვარ. მან გაიმეორა: – გევინ, – ვდუმდი. მან თქვა: – კარგი, მოვიტყუე. მთავარი დამოუკიდებლობა არაა. მე არავისზე ვიქნები დამოკიდებული. უბრალოდ, იქ უნდა ვიყო, სადაც თქვენ ხართ, – მას არც დაუმატებია: „ვინაიდან თქვენ გარდა არავინ მყავს". იგი კვლავაც ისე იდგა, თვალი თვალში გაეყარა და რაღაცის – უფსკრულის თუ წყვდიადის – მეორე მხრიდან მიყურებდა, თავდაუმცირებლად, უკითხვოდ, უიმედოდაც კი. აი, ახლა ყველაფერს გავიგებ. და კვლავაც იხვისებრი ხმა: – გევინ.

სწრაფად, ერთბაშად სამი-ოთხი სიტყვის წერა დავიწყე, სულმოუთქმელად, – რაც გნებავთ, ის უწოდეთ, – რათა მაშინვე წაეკითხა: „ყველაფერი კარგადაა. ნუ გეშინია. შენზე დაქორწინებაზე უარს ვამბობ, ოცი წელი ძალზე დიდი სხვაობაა, არაფერი გამოგვივა, თანაც არ მინდა".

– გევინ, – თქვა მან.

წერა განვაგრძე, ბლოკნოტიდან მოყვითალო ფურცლებს ვხევდი და გვერდზე, ბუხარზე ვისროდი: „არ მინდა".

– მე თქვენ მიყვარხართ, – თქვა ლინდამ, – მაშინაც კი, როდესაც უნდა ვიცრუო, ყველაფერი წინასწარ გაქვთ მოფიქრებული ჩემ მაგიერ.

მე დავწერე: „ბარტონ კოლის შესახებ რამე ტყუილი არასდროს თქმულა".

– ითქვა, – ჩაილაპარაკა მან.

მე კვლავ დავწერე: „არა".

– მაგრამ თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ, ჩემთან დაწვეთ, – თქვა მან. დიახ, უხეში სიტყვა იხმარა, თავისი მკვეთრი, იხვის ყიყინა ხმით წარმოთქვა. მას შემდეგ, რაც ხმის დაყენებაში მეცადინეობა დავიწყეთ, ყველაზე რთული ხმის აწყობა იყო – ტონის დარბილება, იმ ხმის დახშობა, რომელიც თვითონ არ ესმოდა. „პირიქით გამოდის, – მიხსნიდა ის, – როდესაც მეუბნებით, რომ ვჩურჩულებ, თავში თითქოს გრგვინვა ჩამესმის. მაგრამ როცა ამგვარად ვლაპარაკობ, ვერაფერს ვგრძნობ". ეს სიტყვა მან თითქმის წამოიყვირა. ასე იმიტომ გამოვიდა, რომ მოეჩვენა, თითქოს, პირიქით, ხმას ახშობდა. ვიდექი და მეხივით თავს დამტყდარი სიტყვების ექოს გაქრობას ველოდებოდი, – გაწითლდით, – მითხრა მან.

დავწერე: „ეს სიტყვა".

– რომელი სიტყვა?

„რომელიც ახლახან თქვი".

– სხვა სიტყვა მიკარნახეთ. დამიწერეთ, დავხედავ და დავიმახსოვრებ.

დავწერე: „სხვა სიტყვა არ არსებობს ეს ზუსტი სიტყვაა მაგრამძველმოდური ადამიანი ვარ და ის მაცბუნებს. არა მაშინ მაცბუნებს როდესაც მას ქალი წარმოთქვამს და ოდნავაც არ არის შეცბუნებული სანამ ჩემს შეცბუნებას არ დაინახავს", შემდეგ კი მივაწერე: არა, არასწორია ის მაცბუნებს რომ ეს მაგია ვნება აღფრთოვანება ერთად იყრის თავს და ამ ერთი შიშველი უსიამოვნო სიტყვით შორს მოისროლება".

– კარგი, – თქვა მან, – მაშინ სიტყვა საერთოდ არ არის საჭირო.

დავწერე: „შენ მართლა გინდა..."

– ცხადია, თქვენთვის ყველაფერი შეიძლება, – მითხრა, – ყოველთვის. ეს თვითონაც იცით.

დავწერე: „მე სხვა რამეს გეკითხები".წაიკითხა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დავწერე: „თვალებში შემომხედე". იქიდან შემომხედა, იმის მეორე მხრიდან, რაც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა დამენახა და გამეგო.

– დიახ, – მიპასუხა.

დავწერე: „განა ახლახან არ გითხარი, არასდროს არაფრის შეგეშინდეს–მეთქი", – და ამჯერად ბლოკნოტი ოდნავ მოვწიე მისი ყურადღების მისაპყრობად. თავაუღებლივ მითხრა:

– მაშასადამე, აღარ უნდა წავიდე?

დავწერე: „არა" – მის თვალწინ, და მაშინ მან შემომხედა და მივხვდი, თუ საიდან, რის მეორე მხრიდან მიყურებდა: განუზომელი დანაკარგის,

დაუოკებელი მწუხარების, ერთგულებისა და სიმტკიცის მხრიდან, ცივი, ყიყინა ხმა კი იმეორებდა: „გევინ, გევინ, გევინ", – სანამ ვწერდი: „ვინაიდან ამქვეყნად მხოლოდ ჩვენ ორს შეგვიძლია ერთმანეთი იმის გარეშე გვიყვარდეს, რათა..." – ბოლოში ფანქარი გამექცა, ვინაიდან მომეხვია და მთელი ძალით მომეკრა, ცივი და ზრიალა ხმა კი იმეორებდა:

– გევინ, გევინ, მიყვარხარ, მიყვარხარ, – ასე რომ, თავს ძალა დავატანე, რათა ბლოკნოტს მივმწვდარიყავი და დამეწერა: „ბილეთი მომეცი".

იგი ქაღალდს მიაჩერდა და როგორც აიღო ხელები ჩემი მხრებიდან, ისე დარჩა აწეული.

– ბილეთი? – გაიმეორა მან, შემდეგ კი მიპასუხა: – დავკარგე.

თითქოს გაიელვაო, წამში ყველაფერს მივხვდი. დავწერე: „მამაშენი", ხმამაღლა კი ვიმეორებდი: – ოჰ, ბოზიშვილი, ბოზიშვილი, – თან საკუთარ თავს ვამშვიდებდი: „მოიცა, მოიცა! მას სხვაგვარად არ შეეძლო. აბა, მის ადგილას დადექი. სხვა რა შეეძლო, რომელი იარაღით დაეცვა საკუთარი არსებობა, სანამ მას ქალიშვილი დაანგრევდა, – თავისი მდგომარეობა, რომლის გულისთვისაც ყველაფერი გაწირა: ცოლი, ოჯახი, მეგობრები, სიმშვიდე, – რათა ის ერთადერთი ღირებული მოეპოვებინა, რომელიც მან იცოდა, ვინაიდან მხოლოდ მისი გაგება შეეძლო, ვინაიდან მთელმა სამყარომ, მისი აღქმით, შთააგონა მას, რომ მხოლოდ ეს იყო საჭირო, რომ მხოლოდ ამის მიღწევისთვის უნდა ებრძოლა". ცხადია, ეს მისი ერთადერთი იარაღი იყო: ბილეთის ხელში ჩაგდება და დამუქრება, რომ FBI-ს ჩააბარებდა, ამ მუქარით შეჩერება, სანამ არ დაუღუპავს. მაგრამ, ვუმეორებდი საკუთარ თავს: „როგორ ვერ მიხვდი, რომ ამ ბილეთს ლინდას დასაღუპავად გამოიყენებს. ალბათ, თვითონ დაწერა „ურია კომუნისტი კოლი" თავის ტროტუარზე შუაღამისას, რათა წინასწარ მოემარაგებინა მთელი ჯეფერსონის თანაგრძნობა, როდესაც ერთადერთი ქალიშვილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაშვება მოუწევდა". დავწერე:

„ვიღაცამ შენს ოთახში მაგიდის უჯრები გაჩხრიკა".

– ვიღაცამ გაჩხრიკა, – თქვა მან, – შარშან. მე მეგონა...

დავწერე: „ეს მამაშენი იყო".

– მართლა? – დიახ, სწორედ ასეთი კილოთი მკითხა. დავწერე: „ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს მან გააკეთა?"

– რა მნიშვნელობა აქვს? ალბათ, სხვა ბილეთს გამომიგზავნიან. თუმცა არც ესაა მნიშვნელოვანი. ჩემში რატომღაც არაფერი შეცვლილა. ამის დასამტკიცებლად წიგნაკი არ მჭირდება.

ნელა და დაფიქრებით შევუდექი წერას: „წასვლა საჭირო არ არის, ამას ახლა აღარც გთხოვ. მაგრამ როცა გთხოვ, უბრალოდ, დამიჯერე და გაემგზავრე, კარგი?"

– კარგი, – მიპასუხა მან.

დავწერე: „დაიფიცე".

– კარგი, – თქვა ლინდამ, – მაშინ დაქორწინებას შეძლებთ, – ვერაფერს დავწერდი, რადგან ჩემი ხელები მკერდზე მიიჭირა, – თქვენ უნდა დაქორწინდეთ. მე ასე მინდა. არ შეიძლება, რომ არავინ გყავდეთ. უამისოდ არავინ უნდა იცხოვროს. – მან შემომხედა, – ის სიტყვა, რომელიც არ გიყვართ, ერთხელ დედაჩემმაც გითხრათ, არა? – სიტყვები შეკითხვას არ ჰგავდა, – ასე იყო?

ხელები გავითავისუფლე და დავწერე: „ხომ იცი, რომ არა".

– რატომ არა?

დავწერე: „იმიტომ, რომ შევებრალე. მაგრამ როდესაც ადამიანისთვის რაღაცის გაკეთება სიბრალულის გამო გინდა, მაშასადამე, შენთვის ეს მნიშვნელოვანი არ არის".

– მე კი არ მებრალებით. თქვენ ეს იცით. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა?

დავწერე: „იქნებ არაფერი მომხდარა, ვინაიდან მისი ღირსი არ ვიყავი და ეს ორივემ ვიცოდით, მაგრამ გავიფიქრე, თუ არაფერი მოხდება, მან შესაძლოა, ყოველთვის იფიქროს, რომ მე უეცრად..." – მაგრამ ფურცელი ამოვხიე, დავჭმუჭნე, ჯიბეში ჩავიდე და დავწერე: – „უნდა წავიდე".

– არ წახვიდეთ, – თქვა მან და დაამატა: – არა, წადით. ხომ ხედავთ, ყველაფერმა გაიარა, აღარც კი მეშინია.

დავწერე: „რისი უნდა გეშინოდეს?" – და იმავე ფურცელზე: „სად არის ჩემი შლაპა?" – იგი შლაპის მოსატანად წავიდა, სანამ დაწერილ ფურცლებს ჯიბეში ვიწყობდი. შლაპა ავიღე და კარისკენ გავემართე, ყიყინა ხმამ მომაძახა:

– გევინ! – შევტრიალდი, – როგორ თქვით? ამქვეყნად მხოლოდ ჩვენ ორს შეგვიძლია ერთმანეთი გვიყვარდეს და არ... მიყვარხართ, გევინ, – ეს ხმა, რომელიც მას ჩურჩულად თუ ბუტბუტად ეჩვენებოდა, მათთვის, ვისაც, სამწუხაროდ, სმენა შერჩენოდა, გამკივანად და მკვეთრად, ძველებური ავტომობილის საყვირივითჟღერდა.

მაშინვე, დაუყოვნებლივ უნდა დამეტოვებინა ფლემის სახლი, მისი სასახლე, და მაშინვე, დაუყოვნებლივ იქ, მის ბანკში, პირდაპირ იმ პატარა კაბინეტში მივსულიყავი, შემეშინებინა, ხელი მეკრა, რათა ფეხები ბუხრის დაფიდან ჩამოეღო, და მეთქვა: „კეთილი ინებეთ და ბილეთი მომეცით". მაგრამ ეს მშვენიერი შესაძლებლობის, ბედის საჩუქრის ქარაფშუტულად ხელიდან გაშვებას ნიშნავდა: რატომ უნდა მიმეცა მისთვის ნება, თვითონ შეერჩია მომენტი, როდის გადაეცა ეს სამხილი საკუთარი ხელით FBI-სთვის? რატომ პირველი არ დავსხმოდი თავს და FBI არ მიმექსია მანამ, სანამ, როგორც რეტლიფი იტყოდა, არ ეკბინა: რათა იმ მორიდებულ, შეუმჩნეველ ადამიანს მისთვის თავისი ნიშანი ეჩვენებინა და ეთქვა: „სარწმუნო წყაროებიდან

ვიცით, რომ თქვენ, მისტერ სნოუპს, კომუნისტური პარტიის ბილეთს ინახავთ. ჩვენთვის რამის თქმა ხომ არ გსურთ?"

მაგრამ არ ვიცოდი, სად იყო ახლა გიჰონი, თუმცა ის არ დამიჯერებდა მე, თავის აშკარა მტერს. ასე რომ, FBI-ს წარმომადგენელი არ გამოდგებოდა. მაშასადამე, პირდაპირ იმ ყოვლისშემძლე ძალისთვის უნდა მიმემართა, ხელისუფლება რომ ეწოდება, თანაც დასმენა უზადოდ უნდა შემედგინა, ანონიმური წერილებისთვის დამახასიათებელი ჟარგონების გამოყენებით. იაფფასიანი ღია ბარათი მჭირდებოდა. თავდაპირველად გავიფიქრე, შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის მიმეწერა, მაგრამ იმ ურიცხვი მანიაკის პირობებში, რომლებიც მისტერ რუზველტს სწერდნენ, ჩემი წერილი ამ ნაკადში ჩაიკარგებოდა. თუმცა სამხედრო ხელისუფლება ქაღალდის ნაგლეჯსაც არასდროს დაკარგავს, თუ მასზე რამე წერია ან ხელია მოწერილი (სხვას - კი ბატონო, გადააგდებდნენ, გაანადგურებდნენ, მაგრამ დაწერილ ქაღალდს - არაფრის დიდებით, თუმცა ასეთების შესანახად ათასობით ადამიანის ფორმაში გამოწყობა და ხელფასით უზრუნველყოფა მოუწევდათ), და, ცხადია, ამ ქაღალდს ოდესმე მიუბრუნდება, თუნდაც ასი წლის შემდეგ, მაგრამ ეს დიდ დროს წაიღებდა. უეცრად საკუთარ თავს ვკითხე: რა გიშლის ხელს, რომ უშუალოდ FBI-ს საშუალებით იმოქმედო, როგორც ეს თავიდან ჩაიფიქრე? და თვითონვე ვუპასუხე - არაფერი. გუნებაში წარმოვიდგინე კიდეც დაწერილი ღია ბარათი. ხალხში იცოდნენ, რომ ორი ჰუვერი გვყავდა: ერთი - ყოფილი პრეზიდენტი, მეორე - მტვერსასრუტების ქარხნის მფლობელი, და რომ FBI-საც ჰუვერი ხელმძღვანელობდა. ასე რომ, ასეთი მისამართი მოვიფიქრე:

„ჰერბერტ ჰუვერს,

FBI-ს დეპარტამენტს",

მაგრამ შემდეგ გავჩერდი: ვაშინგტონში ვერ გავგზავნიდი - ამ ანონიმურ წერილებს მხოლოდ საქმეში ჩახედული ადამიანები წერდნენ, თანაც სრულიად კონკრეტული ჟარგონით, ასე რომ, თავდაპირველად თავში გამიელვა, იქნებ პარჩმენში, მისისიპიში, შტატის საკატორღო ციხის უფროსს გავუგზავნო-მეთქი, მაგრამ იქ წერილებს, ალბათ, რომელიმე ნდობით აღჭურვილი პირი, სამუდამო პატიმრობამისჯილი იღებდა, ასეთისთვის კი რას ნიშნავდა რამდენიმე ზედმეტი დღე? მაშასადამე, წერილი იქაც ჩაიკარგებოდა. უეცრად მოვისაზრე, სად მიმეწერა: ჯექსონში, შტატის დედაქალაქში. უკეთესს ვერ მოვიფიქრებდი: ეს საკმაოდ პატარა ქალაქი იყო და აგენტები, რომლებიც იქ, ალბათ, მოწყენილობისა და უსაქმურობისგან იტანჯებოდნენ, ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ. თანაც ახლოს მდებარეობდა. მაშასადამე, წერილს დაახლოებით ასეთი სახე ექნებოდა:

„ჰერბერტ ჰუვერს,

FBI-ს დეპარტამენტს. ჯექსონი, მისისიპი.

თუ ჯეფერსონ-მისში ჩხრეკის ორდერით ჩამოხვალთ და ფლემ სნოუპსის ბანკსა და სახლს გადააქოთებთ, იქ კომუნისტური პარტიის ბილეთს აღმოაჩენთ.

პატრიოტი მოქალაქე".

შესაძლოა, შემეკამათოთ, რომ გამოთქმა „ჩხრეკის ორდერი" ჟარგონის ენიდან ამოვარდნილია, და არც „აღმოაჩენთ" ჟღერს ძალიან კარგად. მაგრამ შემიძლია, საპირისპიროც დაგიმტკიცოთ: „ჩხრეკის ორდერი" და „აღმოაჩენთ" იმდენად ჩვეულებრივი სიტყვებია, რომ შეცდომაში ვერავის შეიყვანს: „ჩხრეკა" გარდაუვალად ემუქრება მას – მისი აზრით, თქვენც გემუქრებათ – თითქმის ყოველდღე, სიტყვა „აღმოაჩენთ" კი, ან რაც სინონიმია – „მოიხელთებთ", მუდმივად თან სდევს პირველს.

დიახ, ოღონდ თუ ამას გავბედავდი. მაგრამ, ალბათ, ხვდებით: თუნდაც რომ მომეხერხებინა მისი სახლის გაჩხრეკა ან სეიფის გატეხა, ბილეთის პოვნა, ლინდას სახელის წაშლა და ფლემის ჩაწერა, რათა FBI-ს დაკითხვაზე მისთვის სიქა გაეცალა, ქალი ამას წინ აღუდგებოდა – მივარდებოდა, უარყოფდა, საკუთარ თავს ამხილებდა და მოითხოვდა, ბილეთი მის საკუთრებად ეღიარებინათ. თავდაპირველად ის გიჰონს ან ახლომახლომყოფ ნებისმიერ სხვას შეხვდებოდა და თავის შეხედულებებს გააცნობდა, თუ იგრძნობდა, რომ მას ეს დააინტერესებდა. და იქიდან დაწყებული, იმ წუთამდე, სანამ სამყაროში არსებულ შეშლილთა ყველაზე ძლიერი კავშირი საბოლოოდ არ მიყუჩდებოდა, მშვიდობიანი და შეუმჩნეველი არ გახდებოდა, მას აქეთ-იქით არბენინებდნენ, გააწვალებდნენ, დღედაღამ თვალთვალს არ მოაკლებდნენ, მის ყოველ ნაბიჯს, ჭამას, ძილს დააკვირდებოდნენ. ასე რომ, ბოლოს ამ საქმეზე უარი ვთქვი, არა მხოლოდ მისი გულუბრყვილო რწმენის გამო, რომ ამ ყველაფერს არც განსაკუთრებული და არც უბრალო მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ჩემი უფრო ქვენა და უფრო დასაბუთებული თავდაჯერებით, რომ მოხუცისთვის ეს ბილეთი თავდაცვის ერთადერთი იარაღი იყო და მას არ გამოიყენებდა, სანამ ამის გაკეთებას შიშიარ აიძულებდა.

იქნებ იმედიც... ერთი სიტყვით, ასეთი იყო საქმის ვითარება იმ დრომდე, როდესაც დიდი ბრიტანეთისთვის ბრძოლამ, ფაქტობრივად, გადაარჩინა ლინდა. ეს რომ არა, სხვა გზა არ მრჩებოდა – მასთან უნდა მივსულიყავი და ბილეთი მომეთხოვა, რაც იმავეს ნიშნავდა, ვინმე უცნობი გამეჩერებინა და მეკითხა: „თქვენ მომპარეთ საფულე?" მოკლედ, დიდი ბრიტანეთისთვის ბრძოლამ გადაარჩინა ის და რაღაც დროის განმავლობაში – მეც. იმ ცნობებს ვგულისხმობ, იმ შეტყობინებებს, სამშობლოსთვის მებრძოლი ერთი მუჭა ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც ჩვენამდე აღწევდა. მანამდე კი 1940 წლის მთელი გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ლინდა სულ უფრო მოუსვენარი ხდებოდა. დიახ, ის კვლავაც უძღვებოდა თავისი ზანგების საკვირაო სკოლას, კვლავაც, როგორც ქალაქში ამბობდნენ, ჰყოფდა ცხვირს სხვის საქმეში, თუმცა ამას როგორღაც ჰპატიობდნენ – როგორც ჩანს, მიეჩვივნენ, თანაც ვერავის მოეფიქრებინა, როგორ შეეჩერებინათ იგი.

ასე იყო ივნისამდე, კემბრიჯიდან ჩიკის ჩამოსვლამდე. მაშინ კი უეცრად ორი რამ აღმოვაჩინე: ჯერ ერთი ის, რომ ახლა ლინდა ჩიკს ლამის ჩვენი ოჯახის უფროსად მიიჩნევდა, და მეორე – მან მასზე უკეთესადაც კი იცოდა ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავების გვარები და თვითმფრინავების დასახელება: მელენი, ეიტკენი, ფინუკეინი და

„სპითფაირი", „ბოფაიტერი", „ჰარიკეინი", „მოსკიტო", „ბერლინგი" და „დირი", იცოდა, რა ერქვათ უცხოელ მოხალისეებს – იმ ამერიკელებს, რომლებსაც დალოდება არ სურდათ, იმ პოლონელებსა და ფრანგებს, რომელთაც არ უნდოდათ, რომ ასე დამამცირებლად ეცემათ ისინი, იცნობდა დეიმონდს, ვლჟევსკის, კლოსტერმანს. იმავე წლის სექტემბერში მოვილაპარაკეთ: ჩიკი დაგვპირდა, რომ კიდევ ერთი წელი ისწავლიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, და შევთანხმდით, რომ კემბრიჯიდან ოქსფორდის უნივერსიტეტში გადავიდოდა. ალბათ, სწორედ ამან მოახდინა გავლენა: მისი წასვლის შემდეგ ლინდა ვეღარავის დაელაპარაკებოდა ავიაციის შესახებ. ასე რომ, სულაც არ იყო გასაკვირი, როდესაც სამსახურებრივ კაბინეტში გამომეცხადა. მას არ უთქვამს: „მეც უნდა მივეხმარო, რაღაც უნდა გავაკეთო, ასე უსაქმოდ ვერ ვიჯდები", არა, მან, უბრალოდ, თქვა:

– მივემგზავრები. სამუშაო ვიპოვე კალიფორნიის ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც თვითმფრინავებს აკეთებენ ინგლისსა და რუსეთში გასაგზავნად, – ნაჩქარევად დავჩხაპნე: „მოიცა", – ყველაფერი კარგადაა, – მითხრა მან, – უკვე ყველაფერი მოგვარებულია. მივწერე, რომ სმენა დავკარგე, მაგრამ კარგად ვერკვევი ძრავებსა და, საერთოდ, ავტომობილში, და ადვილად ვისწავლი იმის კეთებას, რაც მათ სჭირდება. მომწერეს, რომ ჩავიდე და თან რაღაც დოკუმენტებიც წავიღო, მაგალითად, სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც ეწერება, რომ დიდი ხანია, მიცნობთ, რომ ზნეობრივი ადამიანი ვარ, არ ვლოთობ და არც ქურდობაში ვარ შემჩნეული. ასე რომ, დაწერეთ, თქვენ ხომ შეგიძლიათ, ხელი მოაწეროთ, როგორც მისისიპის შტატის იოკნაპატოფის ოლქის სამობილიზაციო კომისიის თავმჯდომარემ, – მე კი კვლავ ვწერ „მოიცა-მეთქი", არა, კი არ ვწერ, ერთხელ უკვე დავწერე, ერთ ხელს ხელში ვტაცებ, მეორით კი ბლოკნოტს ვწევ მაღლა, რათა წაიკითხოს და გაჩუმდეს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ან მხოლოდ წაიკითხოს, ან მხოლოდ გაჩუმდეს, რათა წერა განვაგრძო:

„იმ ქარხანაში ყველა ქარხანაში შეუზღუდავი ძალაუფლების ერთი კაცი უსაფრთხოების სამსახურის ერთი თანამშრომელია მისი სამუშაო ეს თანამდებობა ერთადერთია რაც მას ჯარში სამსახურისგან ათავისუფლებს", – ვწერდი, მისი ხელი კი, მისი თითები მხარზე მედო, მის სუნთქვას ვგრძნობდი, მისი თმის სურნელს ვისუნთქავდი, ლოყაზე რომ მეხებოდა, – „ბუნებრივია საკუთარი ტყავის გადარჩენაზე იზრუნებს რისთვისაც ხშირად გამოავლენს ძირგამომთხრელ ელემენტებს ასე რომ, ადრე თუ გვიან შენამდეც მოაღწევს და გამოგაგდებს ხომ გახ... – ფურცელი მოვხიე და შეუჩერებლივ მომდევნოზე გადავედი, – ...სოვს მექსიკის ყურეში ბილოქსი ოუშენ სფრინგის სანაპირო შენ იქ ნამყოფი ხარ".

– დიახ, დედასთან... და, – ვიფიქრე, გაჩერდებოდა, მაგრამ განაგრძო, – ... მანფრედთან ერთად. მახსოვს.

დავწერე: „პასკაგულაში გემთსაშენია სადაც გემებს აგებენ თვითმფრინავების ტანკებისა და ქვემეხების რუსეთში გასაგზავნად თუ კალიფორნიაში აყავხართ იქაც აგიყვანენ წახვალ იქ?"

– დიახ, – თქვა მან და დაამატა: – რუსეთისთვის, – ღრმად ამოიოხრა, – მაგრამ უსაფრთხოების სამსახური იქაც იქნება.

დავწერე: „ჰო მაგრამ ეს ახლოა და სწრაფად შევძლებ მანდ ჩამოსვლასთუ უსაფრთხოების სამსახური ხელს შეგიშლის სხვა რამეს მოგიძებნი".

– კარგი, – თქვა მან, თან მშვიდად, ნელა სუნთქავდა ჩემს მხართან, – ახლოსაა. კვირაობით ჩამოსვლას შევძლებდი.

დავწერე: „შესაძლოა კვირაობითაც გამუშაონ გემები ძალიან სჭირდებათ".

– მაშინ თქვენ ჩამოხვალთ ჩემთან. კვირაობით სამობილიზაციო კომისია არ მუშაობს, ხომ ასეა?

დავწერე: „ვნახოთ რა იქნება".

– ზოგჯერ ვიქნებით ერთად. აი, რატომ მეშინოდა კალიფორნიის – ძალიან შორსაა. მაგრამ პასკაგულა ახლოსაა. ზოგჯერ, თუნდაც იშვიათად.

დავწერე: „რა თქმა უნდა".

– კარგი, – თქვა მან,– რასაკვირველია, წავალ.

ასეც მოიქცა ახალი წლის დადგომის შემდეგ, ჯერ კი 1941 წელი იდგა. იქ მეგობარი ადვოკატი მყავდა და ნაცნობებთან გაუხერხეს პატარა, ცალკეშესასვლელიანი ბინა. ვინაიდან ახლა ჯეფერსონიდან თორმეტი საათის სავალ მანძილზე იმყოფებოდა და სნოუპსი ან მე, ცალ-ცალკე ან ერთად, ვერაფერს ავუკრძალავდით, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, პატარა მანქანა ეყიდა და თვითონ ეტარებინა, მაგრამ დავემუქრე, როგორც კი ამას გავიგებ, მაშინვე შევატყობინებ პასკაგულას პოლიციას, რომ არაფერი გესმის-მეთქი. დამპირდა, აღარ ვიყიდიო, ჩემი მეგობარი ადვოკატი კი შეუთანხმდა, რომ წილობრივად, სხვებთან ერთად ისარგებლებდა მანქანით. მალე წუნმდებლად დაიწყო მუშაობა საინსტრუმენტო საამქროში, თუმცა მაშინვე მომწერა, რომ, მისი თხოვნით, ცოტა ხანში მოქლონვაზე გადაიყვანდნენ, სადაც სიყრუე უპირატესობად მიიჩნეოდა. ასე იყო თუ ისე, მან სამუშაო კომბინეზონი ჩაიცვა და კვლავაც იქცა პატარა ჭანჭიკად ამ მამაკაცურ, უფრო სწორად, უსქესო სამყაროში, ცდილობდა, იმ გიგანტურ მომაკვდინებელ ტექნიკას დაუფლებოდა, ურომლისოდაც აღარავინ ომობდა, შესაძლოა, დამშვიდდა კიდეც, თუკი ახლა სიმშვიდე საერთოდ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველ წერილებში მწერდა: „როდესაც ჩამოხვალთ, ჩვენ აუცილებლად...", „თუ ჩამოხვალთ, არ დაგავიწყდეთ...", ორი კვირის შემდეგ უბრალო იაფფასიანი ღია ბარათი მივიღე: „უთქვენოდ მოვიწყინე", – და მეტი არაფერი, როგორც ლამაზხედებიანი, თითქმის უსიტყვო ბარათებია, რომლებზეც წერია: „სამწუხაროა, რომ აქ არა ხარ" ან „ეს ჩვენი ოთახია", – ასეთებს შინ გაუნათლებელი ხალხი გზავნის, – ცოტა ხნის წინათ კი – კვლავ წერილი, ამჯერად კონვერტში: „კარგი. ყველაფერს ვხვდები. ვიცი, რამდენ დროს გართმევთ კომისიაში მუშაობა. ჩამოდით, როცა მოახერხებთ, რადგან რაღაც უნდა გთხოვოთ".

ამჯერად მაშინვე, დაუყოვნებლივ ვუპასუხე (მინდოდა დამემატებინა „ვინაიდან არ ვიცოდი, რა მეფიქრა-მეთქი", მაგრამ ვიცი, რაც გავიფიქრე):

„უნდა მთხოვო თუ მითხრა?" ის მომწერა, რასაც ვვარაუდობდი: „დიახ, გთხოვოთ".

თარიღი ვუდეპეშე (უკვე ზაფხული იდგა), დეპეშით მიპასუხა: „სასტუმროში ნომერი შევუკვეთე რომელ მატარებელს დავხვდე გკოცნით". შევატყობინე (მე ხომ თვითონ ავუკრძალე მანქანის ყიდვა): „სამშაბათს მანქანით გამოგივლი გემთსაშენში სამუშაოს ბოლოს გკოცნი". სწორედ იქ, გასასვლელთან დაველოდე. კომბინეზონში გამოწყობილი თავის ცვლასთან ერთად გამოვიდა, ბლოკნოტი და გრიფელი გამომიწოდა, მაგრად ჩამეხუტა, მაკოცა და მითხრა:

– ყველაფერი მომიყევით! – თავი დავიხსენი, რათა კვლავ დამეწერა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, რომლებიც თითქმის მაშინვე უნდა წამეშალა:

„შენ მითხარი, რა მოხდა".

– პლაჟზე გავიდეთ, – მე კი:

„იქნებ ჯერ გამოგეცვალა".

– არა. ნაპირზე გავიდეთ, – ზღვისკენ გავემართეთ. მანქანა დავაყენე და მომეჩვენა, რომ უკვე დავწერე: „ახლა მომიყევი", მაგრამ იგი მანქანიდან გადავიდა და როცა მეც გადავედი, ბლოკნოტი და გრიფელი წამართვა და ჯიბეში ჩაიწყო, შემდეგ კი ორივე ხელი ხელში ჩამავლო და ფეხით გავუდექით გზას. ისე მაგრად ჩამჭიდებოდა, რომ ერთმანეთს ვეჯახებოდით და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვბორძიკობდით. მზე უკვე ჩადიოდა და ჩვენი შერწყმული გრძელი ჩრდილები მოქცევის კიდეს სწვდებოდა, მე კი ვფიქრობდი: „არა, არა, შეუძლებელია", ამ დროს მითხრა: – მოიცადეთ, – ხელი გამიშვა და ჯიბე მოიქექა, ოღონდ არა ის, რომელშიც ბლოკნოტი ჩაიდო.

– თქვენთვის რაღაც მაქვს. კინაღამ დამავიწყდა, – ეს ნიჟარა იყო. ალბათ, უამრავი გავთელეთ, სანამ მანქანიდან გადმოსულებმა ასი იარდი გავიარეთ, მე კი ვფიქრობდი: „არა, შეუძლებელია. წარმოუდგენელია", – პირველივე დღეს წავაწყდი. მეშინოდა, თქვენს ჩამოსვლამდე არ დამეკარგა, ჰოდა, არც დამკარგვია. მოგწონთ?

– ძალიან ლამაზია.

– რა? – მკითხა მან და ბლოკნოტი და გრიფელი გამომიწოდა.

დავწერე: „საუცხოოა. ახლა კი მითხარი".

– კარგი, – თქვა მან, მომეკრა და ჩემი ხელი მაგრად ჩაბღუჯა, კვლავ მივდიოდით, მე კი ვფიქრობდი: „რატომაც არა? რატომ არ შეიძლება, ეს მოხდეს, რატომ არ შეიძლება, ამქვეყნად მეორე ბარტონ კოლი თუ არა, მისი ღირსეული შემცვლელი არსებობდეს. რამენაირად ცხოვრება კაეშანს სჯობს". ამ დროს მან მითხრა: – აი, ახლა, – შეჩერდა და ჩემთან ერთად ისე შეტრიალდა, რომ მზის ჩასვლის ბოლო წამები, აფეთქებულ და მინავლულ სინათლეში გაშეშებული მაღალი და გაფარჩხული პალმები და წიწვებიდაგვენახა, სანამ ღამის ქარი შემოუცაცხანებდა და გაწეწავდა. შემდეგ

ყველაფერი დასრულდა და ჩვეულებრივი დაისი დარჩა, – აი, ახლა, – თქვა მან, – ახლა ყველაფერი კარგადაა. ჩვენ აქ ვიყავით. ეს გადავარჩინეთ და ავიღეთ. სამყაროს შექმნიდან მოყოლებული დედამიწამ და მზემ გრძელი გზა განვლეს, მრავალი დღე, წუთი და წამი იარეს ამ ერთადერთი დღის, წუთისა და წამის გულისთვის, არადა, ამ წამს ვერავინ იღებდა, არ არსებობდნენ ის ორნი, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ერთად აღმოჩნდებოდნენ ამდენი დაბრკოლების გადალახვის, ამდენი ლოდინის შემდეგ, მაგრამ აი, ისინი კვლავ შეიყარნენხანგრძლივი ლოდინისგან ლამის სასოწარკვეთილებამდე მისულნი და უკვე ნაპირზე გარბიან იმ ადგილისკენ, ის უკვე ახლოსაა, იქით, სადაც ერთად იქნებიან ორნი, და ვერავინ გაიგებს, ვერ გაკიცხავს, ხელს ვერ შეუშლის, თითქოს არც სამყარო არსებობს და არც არავინ, მათ გარდა, და ახლა სამყარო, რომელიც ჯერ არც შექმნილა, შესაძლოა, გაჩნდეს და ამოძრავდეს.

მე კი ვფიქრობდი: „იქნებ ასეთი ერთგულება და სიმტკიცე ცხოვრებაში ერთხელ ყველას უნდა შეხვდეს, დაე, ვიღაც დაიტანჯოს კიდეც. დიახ, შენ გსმენია სიყვარულის, დანაკარგის, მწუხარების, ერთგულების, სიმტკიცის შესახებ, შესაძლოა, სიყვარული და დაკარგვაც განგიცდია, შესაძლოა, განგიცდია სიყვარული, დანაკარგი, მწუხარება, ერთგულება და სიმტკიცე, მაგრამ არასდროს შეხვედრიხარ ხუთივეს ერთად, უფრო სწორად, ოთხს, ვინაიდან ის ერთგულება და სიმტკიცე, რომლებზეც მე ვფიქრობ, განუყოფელია", – ამ დროს მან ჩაილაპარაკა:

– იმას არ ვგულისხმობ, რომ ერთად... – იგი მანამ გაჩუმდა, სანამ ხელს ავწევდი და პირზე მივაფარებდი, არ ვიცი, ამას გავბედავდი თუ არა, და განაგრძო: – არა, ნუ გეშინია, იმ სიტყვას აღარ ვიტყვი, – მან შემომხედა: – ალბათ, იცი, რაზე მინდოდა შენთან ლაპარაკი.

– დიახ, – მივუგე, ეს მან ტუჩებზე ამოიკითხა. მე დავწერე: „ქორწინებაზე".

– როგორ მიხვდი?

„მნიშვნელობა არა აქვს, – დავწერე, – მიხარია".

– მიყვარხარ, – მითხრა მან, – ახლა წავიდეთ, ვისადილოთ. შემდეგ კი სახლში მივიდეთ, ყველაფერს გიამბობ.

დავწერე: „ტანსაცმელს არ გამოიცვლი?"

– არა, – მომიგო, – იქ ასეც შეიძლება მისვლა.

ჰოდა, ასე წამოვიდა. სხვა კლიენტ ქალებს შორის ნებისმიერი სახით შეეძლო გამოჩენა, თუნდაც სასმენი ყურმილითა და თეძოებზე შემოხვეული თავსაფრით, ამასთან, ყურადღებას, ალბათ, სასმენი ყურმილი მიიპყრობდა. ნამდვილი ბუნაგი გახლდათ. შაბათს, შუაღამისას, (შესაძლოა, სხვა დღეებშიც, საღამოობით, გემთსაშენში საოცარი აჟიოტაჟის დროს) აქ, სავარაუდოდ, როგორც ამბობენ, ბედლამი იქნებოდა. რადიო ისე ღრიალებდა, ახლაც მეჩვენებოდა, რომ საგიჟეთში აღმოვჩნდი–მეთქი. მაგრამ მე ხომ ყრუ არ ვიყავი. სამაგიეროდ, კამბალა და კრევეტი იყო საუცხოო.

ოფიციანტმა ქალმა ჭიქები და ყინული მოგვართვა, ბოთლი მე მივიტანე. ამ ხმაურში ლინდას ხმა ისე აღარ გამოირჩეოდა. ის კი განზრახ ისე ლაპარაკობდა, რომ მხოლოდ „დიახ" ან „არა" მეპასუხა, მიყვებოდა გემთსაშენის, სამუშაოს, სხვა ადამიანების შესახებ და ისე ჩანდა, თითქოს არდადეგებზე სკოლიდან შინ დაბრუნებული პატარა გოგო იყო, ჭამითაც ბავშვურად, აჩქარებით ჭამდა, წესიერად არც ღეჭავდა. როდესაც ყველაფერი შევსანსლეთ, მითხრა:

– ახლა კი წავიდეთ!

აქამდე არ ეთქვა, სად გავჩერდი, მე კი არ ვიცოდი, თვითონ სად ცხოვრობდა. კვლავ მანქანაში ჩავსხედით. შუქი ავანთე, რათა ბლოკნოტი დაენახა და დავწერე: „საით?"

– პირდაპირ, – მითხრა მან. ქალაქის ცენტრში დავბრუნდით და მანქანა პირდაპირ მიმყავდა, სანამ არ მითხრა: – აქ მოუხვიე, – მოვუხვიე და მითხრა: – აი, აქ, – გზის პირას შევჩერდი, რათა დამეწერა: „რომელი სახლია?"

– სასტუმროა, – მიპასუხა, – ცოტა წინაა, – დავწერე: „უნდა დავილაპარაკოთ. ნუთუ შენს ბინაში ოთახი არაა, სადაც ხელს არავინ შეგვიშლის?"

– აქ დღეს ორივენი ვრჩებით. ყველაფერი მოვაგვარე. ჩვენი ოთახები გვერდიგვერდაა, მათ შორის მხოლოდ კედელია. ვუბრძანე, ორივე საწოლი ამ კედელთან მიედგათ. როცა ლაპარაკით გულს ვიჯერებთ და ჩვენს ოთახებში შევალთ, ღამით ნებისმიერ დროს შემეძლება კედელზე დაკაკუნება. შენ გაიგონებ, მე კი კედელს ხელს მივადებ და საპასუხო კაკუნს ვიგრძნობ. ვიცი, ჩუმად დავაკაკუნებ, რათა არავინ გავაღვიძო. შენ გარდა ვერავინ გაიგონებს.

სასტუმროს სიახლოვეს ავტოსადგომი მდებარეობდა. ჩანთა ავიღე და წავედით. მეპატრონე ლინდას იცნობდა – შესაძლოა, იმ დროისთვის ქალაქში უკვე იცოდნენ ან გაეგონათ გემთსაშენში მომუშავე ახალგაზრდა ყრუ ქალის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, არავის გავუჩერებივართ. მეპატრონემ მას სახელით მიმართა, ლინდამ იგი გამაცნო. მან ორივე გასაღები მე მომცა. კვლავაც არ გავუჩერებივართ. მისი ნომრის კარი გავაღე. იქ უკვე მოეტანათ მისი ჩანთა, ლარნაკში ყვავილებიც ჩაეწყოთ. მან მითხრა:

– ახლა აბაზანას მივიღებ, – მე კი ვუთხარი:

– კარგი, – ვინაიდან ამ სიტყვას ტუჩების მოძრაობაზე ხვდებოდა, და ჩემს ნომერში წავედი. დიახ, რატომ უნდა არსებობდეს ერთგულება და სიმტკიცე, ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რათა წარმოიდგინო, რომ ორივე არსებობს? ოცნება რომ ყველა ადამიანს აუხდებოდეს ხოლმე, ეს რაღა ოცნება იქნებოდა?

მალე კედელზე დამიკაკუნა და ერთი ნომრიდან მეორეში შევედი, ხუთი ნაბიჯი გავიარე და კარი მივკეტე. ლოგინზე იჯდა, ზურგით ორ ბალიშს მიყრდნობოდა, ერთგვარი განიერი კოფთა თუ ხალათი ეცვა, თმა (როგორც ჩანს, შეეჭრა, როდესაც სანიტარიულ მანქანას ატარებდა, მაგრამ ახლა

წამოზრდოდა და საკუთარითვალებივით მუქი ლურჯი ბაფთით იკრავდა) დაევარცხნა თუ ღამისთვის დაელაგებინა, ერთი ხელით მუხლებზე ბლოკნოტი და გრიფელი ეჭირა, მეორეს საწოლს უთათუნებდა, რათა გვერდით მივჯდომოდი.

– ეს არ დაგჭირდება, – მითხრა მან და ოდნავ ასწია და კვლავაც დადო ბლოკნოტი, – მხოლოდ „დიახ"-ის თქმა მოგიწევს, ეს კი მესმის. და, საერთოდ, რადგან იცი, რაზე უნდა გესაუბრო, უფრო ადვილად მოვილაპარაკებთ. თუ იმასაც გეტყვი, რომ ამას ჩემთვის გთხოვ, მისი გაკეთება უფრო გაგიადვილდება. ჰოდა, გეუბნები. გააკეთე ეს ჩემი გულისთვის.

ბლოკნოტი ავიღე.

„ცხადია, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც..."

– ხომ გახსოვს, იქ, პლაჟზე, როდესაც მზე ჩავიდა და არაფერი დარჩა, ფიჭვების, დაისის, ქვიშის, ოკეანისა და ჩვენ გარდა, მე კი გითხარი, არ შეიძლება, ეს ყველაფერი ტყუილუბრალოდ დაიკარგოს ამდენი ლოდინის, ასეთი განშორების შემდეგ-მეთქი, რომ ამქვეყნად ორი ადამიანი უნდა არსებობდეს, რომლებსაც ისე წარეკვეთათ სასო, ისე მოენატრათ ერთმანეთი, რომ, როგორც იქნა, დაიმსახურეს, რომ ეს ყველაფერი ტყუილუბრალოდ არ დაკარგულიყო, და აი, მოულოდნელად, ისინი ერთად მირბიან იმ ადგილისკენ, ისიც უკვე ახლოა, აი, აქაა, და აღარსადაა სასოწარკვეთილება და სევდა, აღარაფერია, არაფერი, – დაჟინებით შევცქეროდი და უეცრად დავინახე, რომ ცრემლები წასკდა, მე კი არასდროს მენახა, რომ ტიროდა. თითქოს ვერ გრძნობდა, ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა მის თავს. დავწერე:

„არ გინდა".

– რა არ მინდა? – მე კი:

„შენ ტირი".

– არა, არ ვტირი, – მე კი:

„შენს სახეს შეხედე".

მაგიდაზე, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი, სტანდარტული სარკე და ხელსახოცების შეკვრა იდო, მაგრამ მე ცხვირსახოცი ამოვიღე და გავუწოდე, მან კი, ცხვირსახოცის ნაცვლად, თვალებზე ხელისგულების წიბოები მიიდო და სახესა და ლოყებზე ცრემლები მოიწმინდა, პეშვით, როგორც ოფლს იწმენდენ, მტევანიც კი დაიქნია, როგორც ოფლის წვეთებს იფერთხავენ.

– ნუ გეშინია, – მითხრა მან, – იმ სიტყვას არ ვიტყვი, მასზე არც ვფიქრობ. ვინაიდან ეს არ არის მნიშვნელოვანი, როგორც არ არის მნიშვნელოვანი სუნთქვა, როდესაც კი არ აცნობიერებ, რომ სუნთქავ, არამედ, უბრალოდ, სუნთქავ, როცა გჭირდება. ეს მნიშვნელოვანი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც შეკითხვები ჩნდება, როდესაც გიჭირს, როდესაც

გამოსავალს ეძებ: სუნთქვაც ხომ მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც შეკითხვა ჩნდება – შეგიძლია თუ არა შესუნთქვა, – ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა სუნთქვა გიძნელდება. მთავარი სხვაა, წვრილმანებია: აი, ბალიში, მასზე ჩათელილი ადგილი დარჩა მისი თავისგან, აი, ჰალსტუხი, მან ჯერაც შეინარჩუნა ფორმა, თითქოს მხოლოდ ამ საღამოს მოიხსნეს და ცარიელი ჰკიდია საწოლის საზურგეზე, ნოხზე ცარიელი ფეხსაცმელები დევს, როგორც უწინ, მარჯვენა ოდნავ განზე გაწეულა, თითქოს მისი ფეხები კვლავაც მათშია, კვლავაც დადიან, ცალ მხარეს ოდნავ კოჭლობით, ძველად ზანგები ამბობდნენ – ამაყად სიარულიო... – მე კი:

„გეყოფა, გეყოფა, კვლავ ტირი".

– ვერ ვგრძნობ.

ვერაფერს ვგრძნობ სახეზე იმ დღიდან: ვერც სიცხეს, ვერც სიცივეს, ვერც წვიმას, ვერც წყალს, ვერც ქარს – ვერაფერს, – მან ჩემი ცხვირსახოცი აიღო და სახე მოიწმინდა, მაგრამ როდესაც სარკე მივაწოდე და წერაც დავიწყე „სად არის შენი პუდრი-მეთქი", სარკე არც გამოურთმევია, – მეტს აღარ ვიზამ. მინდა გითხრა, რომ შენთვისაც ეს მინდა. მე შენ მიყვარხარ. შენ რომ არა, ალბათ, ვერ გავძლებდი. მაგრამ ახლა კარგად ვარ და მინდა, რომ შენც გქონდეს ეს ყველაფერი. გააკეთე ჩემი გულისთვის, – მე კი:

„მაგრამ არ გითქვამს, რა უნდა გავაკეთო შენი გულისთვის".

– დაქორწინდი, – მითხრა მან, – მეგონა, მიხვდი. ხომ მითხარი, ვიცი, რისი თქმაც გსურსო? – მე კი:

„დავქორწინდე მე..."

– აბა, ვისზე ვამბობ? ნუთუ გაიფიქრე, რომ მე... გევინ!

– არა, – მივუგე.

– ვხედავ. შენ „არა" თქვი. შენ იცრუე. გაიფიქრე, რომ თვითონ ვაპირებდი გათხოვებას.

– არა, – ჩავილაპარაკე.

– თუ გახსოვს, ერთხელ გითხარი, თუ ჩემი გულისთვის ტყუილის თქმას გადაწყვეტ, ყოველთვის მექნება იმედი, რომ არასდროს იტყვი უარს, როგორც არ უნდა გიმტკიცონ, რომ ცრუობ-თქო?

– მახსოვს, – ვუპასუხე.

– მაშინ ყველაფერი რიგზეა, – თქვა მან, – არა, ახლა შენ გგულისხმობ. აი, რა უნდა გააკეთო ჩემი გულისთვის. მინდა, რომ დაქორწინდე. მინდა, რომ შენც გქონდეს ეს ყველაფერი. რადგან მაშინ არაფერი გვიჭირს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნებით, თუნდაც ერთმანეთისგან შორს ვიყოთ, თუნდაც ერთმანეთისგან შორს და განცალკევებით ვიცხოვროთ. როგორ ამბობდი? ის ორნი ამქვეყნად, რომელთაც შეუძლიათ ერთმანეთი უყვარდეთ იმის გარეშე,

რომ... არა, იმის გარეშეც, რომ არ იფიქრონ... არ ვიტყვი იმ სიტყვას, რომელიც არმოგწონს. მაშასადამე, მპირდები?

– ჰო, – ვთქვი მე.

– ვიცი, ვერ შეძლებ, ხვალვე გახვიდე სახლიდან და მაშინვე იპოვო იგი. შესაძლოა, ერთი წელი გავიდეს, შესაძლოა – ორი. ოღონდ არ შეეწინააღმდეგო აზრს, რომ უნდა დაქორწინდე. როგორც კი წინააღმდეგობას შეწყვეტ, ყველაფერი თავისით მოგვარდება. გააკეთებ ამას?

– გეფიცები, – ვუთხარი.

– რა? გეფიცებიო თქვი, არა?

– ჰო, – მივუგე.

– მაშინ, მაკოცე! – ვაკოცე და წამით ხელები მაგრად, ძალიან მაგრად მომხვია კისერზე, შემდეგ კი დაუშვა, – ხვალ კი ადრიანად გაემგზავრე სახლში, – მე დავწერე:

„მთელი დღით ვაპირებდი დარჩენას".

– არა. ხვალ. ადრიანად. კედელს ხელს მივადებ და როდესაც დაწვები, დამიკაკუნე. თუ ღამით გამეღვიძება, დაგიკაკუნებ და თუ გეღვიძება, თუ კვლავაც იქ იქნები, შენც დამიკაკუნე. თუ კაკუნს ვერ ვიგრძნობ, ხვალ ან ზეგ მომწერე ჯეფერსონიდან. ახლა კარგად ვარ. ღამე მშვიდობისა, გევინ.

– ღამე მშვიდობისა, ლინდა, – ვთქვი მე.

– ესეც წავიკითხე. მიყვარხარ.

– მეც მიყვარხარ, – ვუთხარი.

– ესეც წავიკითხე, მაგრამ შენ დამიწერე და ხვალ დილას – როგორ ამბობენ? – ნაბახუსევზე წასაკითხი მექნება.

– კარგი, – ვთქვი და ბლოკნოტი გავუწოდე.

თავი მეთერთმეტე

ჩარლზ მალისონი

იმ ჯერზე სამხედრო ფორმა მეცვა. ახლა უნდა დავადგინო, გავიხსენო. რომელ „იმ ჯერზე" ვსაუბრობ, როდის ხდებოდა ის, რაზეც ვყვები. ეს მაშინ არ ყოფილა, როდესაც კვლავ ვნახე ლინდა, ვინაიდან მაშინ კვლავაც

პასკაგულაში მუშაობდა, რუსეთისთვის გემებს ამზადებდა. არც მაშინ იყო, როდესაც ჯეფერსონში ვიყავი, რადგან მცირე ხნით შევიარე ყავისფერი პერანგების ძებნისას. შესაძლოა, იმ შემთხვევის შესახებ მინდოდა მოყოლა, როდესაც კვლავ მივიმწყვდიე რეტლიფი კუთხეში. მოკლედ, მინდა გითხრათ, რომ იმ ჯერზე ბიძია გევინი ქორწილის შემდეგ ვნახე - ის უკვე ცოლიანი იყო.

1942 წელი იდგა. გევინს ცოლად მელისანდრა ჰარისსი მოეყვანა (ქალიშვილობაში ბეკუსი, როგორც თეკერეი იტყოდა): კოკა წყალზე სიარულს მიეჩვია და მაშინ გამოუვიდა წირვა, როგორც რეტლიფი იტყოდა, თუმცა მას ეს, მგონი, არ უთქვამს. ერთ კვირადღეს პერლ-ჰარბორის (პერლ-ჰარბორი - 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის საჰაერო ძალები თავს დაესხნენ აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტს პერლ-ჰარბორის ბაზაზე, კუნძულ ჰავაიზე, რის შემდეგაც აშშ II მსოფლიო ომში ჩაება) შესახებ შევიტყვეთ და გევინს ოქსფორდიდან დეპეშა გავუგზავნე, ასე ვთქვათ, მოვლენების საპასუხოდ: „აი, როგორც იქნა. მოვდივარ". ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ, სხვაგვარად, დედასთან ტელეფონით ლაპარაკი მომიწევდა, ეს კი საერთაშორისო ტელეფონით ბევრ ფულს დახარჯავდა და ჯობდა, გევინის დეპეშაში გადამეხადა ორმოცდაორი ცენტი, დედის ნალაპარაკევი კი მამის ანგარიშზე ჩაეწერათ ჯეფერსონში.

ასე რომ, შინ დროულად ჩავედი და შევესწარი, როგორ გაჩნდა პირველი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ბზარები მის, როგორც თვითონ მიაჩნდა, მიუდგომელ ბასტიონებში: თან ვახლდი, მისი კატასტროფის ხელისმომკიდე ვიყავი. აი, ეს როგორ მოხდა. უნივერსიტეტთან არსებულ მოსამზადებელ საავიაციო კურსებზე ვერ მოვხვდი, მაგრამ მითხრეს, თუ უმაღლესი განათლება და საკმაო რაოდენობის საფრენი საათები გაქვს, განსაკუთრებით დამოუკიდებელი ფრენის გამოცდილება, სრულიად შესაძლებელია, პირდაპირ მფრინავთა ოფიცერთა სკოლაში მოხვდეო. სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ერთ პროფესიონალ მფრინავს მივაგენი, რომელიც იმავე აეროდრომიდან დაფრინავდა, და მან ითავა, ნამდვილი საარმიო სასწავლო თვითმფრინავის მართვა ესწავლებინა, რომელიც, მისი თქმით, იმ ორმოცდაათი ცხენის ძალის მქონე ტკაცუნებზე დიდი იყო, არმიაში მფრინავების სწავლებისთვის რომ იყენებდნენ.

ასე რომ, ბიძია გევინისთვის დეპეშის გაგზავნისას ჩემს ანგარიშზე უკვე თხუთმეტი საფრენი საათი იყო, მათგან სამი - დამოუკიდებელი, და როდესაც დედამ ტელეფონით დამირეკა, ჯეფერსონში გასამგზავრებლად უკვე ნივთებიც ჩამეწყო და მანქანაც გამომეყვანა. ამგვარად, იქ დროულად ჩავედი და დავინახე, ყველაფერი როგორ დაიწყო, თუმცა გევინს ეს, შესაძლოა, არც მიაჩნდა ეკლესიის მიერ გამოცხადებად. იმ ამბავს ვგულისხმობ ცხენსაშენ ფერმაში, სადაც მელისანდრა ჰარისს, ყოფილ ბეკუსს, ზოგჯერ თავისი ორი შვილი ჩამოჰყავდა (იმ დროისთვის ისინი უკვე გაიზარდნენ და გევინს ქორწინებამ პატარა გერები კი არ აჩუქა, არამედ დაქორწინებული ბავშვები) ევროპიდან, სანამ გერმანელებმა ამერიკელების გემების აფეთქება არ დაიწყეს ირლანდიის ნაპირებთან. შემდეგ ისინი სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობდნენ და იქიდან არგენტინელი კავალერისტი, მხედნელი ჩამოიყვანეს, რომელზეც ამ მანიაკმა ბიჭმა, ჰარისსის ერთ-ერთმა ნაშიერმა (ჰარისსის ორივე შვილის მანიაკად შერაცხვა კი არ მსურს, გამოვყოფ, ერთი მათგანი ბიჭი იყო-მეთქი)

იფიქრა, რომ ფულის გამო სურდა მისი დის ცოლად მოყვანა – ორივეს დედა მეურვეობდა და ქალიშვილიცა და მისი ძმაც მხოლოდ ჯიბის ფულს იღებდნენ. მაშინ მან (ამ მანიაკმა) გადაწყვიტა, ეს არგენტინელი კავალერისტი რეიფ მაკკალემის ველური კვიცის საშუალებით მოეკლა. არ ვიცი, იყიდა თუ მიიტყუა ეს კვიცი, ოღონდ თავლაში ჩაკეტა, სადაც სრულიად უდანაშაულო არგენტინელი ღამით, სიბნელეში უნდა შესულიყო და კარები გაეღო – იმის მოლოდინში, რომ იქ არა მხოლოდ მორჩილი, არამედ ნახევრად უსინათლო ცხენი დახვდებოდა. საბედნიეროდ, გევინმა ან ყავაზე იმკითხავა, ან თავისი წინასწარჭვრეტის უნარი გამოიყენა, ან ჯადოსნური ჯოხი – ვერ გეტყვით, ასეთ შემთხვევებში რით სარგებლობდა – და საჯინიბოსთან პირველი მივიდა.

ერთი სიტყვით, არგენტინელი გადარჩა, მანიაკს კი იმავე საღამოს არჩევანის გაკეთება მოუხდა მემფისის დამქირავებელ კომისიასა და ბიძია გევინს შორის და მან, მეტი უსაფრთხოების მიზნით, არმიაში წასვლა არჩია, იმ არგენტინელმა კი იმავე დღეს იქორწინა მანიაკის დაზე. ისინი ჯეფერსონიდან გაემგზავრნენ და შედარებით წყნარ ადგილას აღმოჩნდნენ. ბიძია გევინი დარჩა, მე დაუყოვნებლივ სამხედრო სკოლაში დავბრუნდი წინასწარი სახმელეთო მომზადებისთვის. როდესაც მეორეჯერ ჩამოვედი სახლში, ამჯერად უკვე სამხედრო ფორმით, ბიძია გევინი არა მხოლოდ მელისანდრას ქმარი იყო, არამედ იმ გერის მამინაცვალიც, რომლისგანაც საუკეთესო მკვლელი დადგებოდა, – უკეთესს ვერც კი მოიგონებდით, – რომ არა გევინის თავხედური ჩარევა, რაც ძაღლსაც კი აღაშფოთებდა, და მისიდისაც – სწორედ იგი დაქორწინდა არგენტინელ კავალერისტზე და გევინი ჟოკეის სიმამრად აქცია. (ამ დროისთვის ავიაბომბზე ვიყავი დანიშნული –პილოტი ვერ გავხდი, სამაგიეროდ, ჰაერში მფრინავის გვერდით უნდა ვმჯდარიყავი, საცოლე ხელისუფლებამ გამირიგა, რომელიც აშკარად არ ენდობოდა მისდამი ჩემს მოპყრობას და ამიტომ მზირები მომიჩინა იმის სათვალთვალოდ, თუ როგორ მოვექცეოდი მას, თანაც, სანამ მანდობდნენ, ჩამაგონეს, რომ არც ჩემი მსტოვრების იმედი მქონოდა და არც არავისი ამქვეყნად, ამიტომ ჩემ გვერდით ჩაკეტილი შავი ყუთი იდგა, ჩემზე ჯაჭვით მიბმული, მაშინაც კი, როცა მეძინა, რაც, ცხადია, არა მხოლოდ მუდმივ დისკომფორტს მიქმნიდა, არამედ ურთიერთდაეჭვებისა და ურთიერთუნდობლობის მუდმივი წყაროც იყო, დროთა განმავლობაში ურთიერთსიძულვილში რომ გადაიზარდა – ამ ყველაფრის მოთმენას ვსწავლობდი და ამ გზით საუკეთესოდ ვემზადებოდი მომავალი ბედნიერი ქორწინებისთვის.)

მოკლედ, როდესაც მომდევნო ჯერზე ჯეფერსონში დავბრუნდი, – უკვე სამხედრო ფორმით, – მხოლოდ ის მოვასწარი, რომ სკვაირი და მისი მეუღლე მენახა ახალ საგვარეულო თეთრ მესრებსა და ელექტროგანათების მქონე საჯინიბოებს შორის, მეთქვა: „ღმერთმა დაგლოცოთ, შვილნო ჩემნო–თქო", და რეტლიფი კვლავ კუთხეში მიმემწყვდია.

– ახლა კი ვეღარ იქორწინებს მასზე, – ვეუბნები, – მას უკვე ცოლი ჰყავს.

რატომღაც არასდროს მიფიქრია რეტლიფზე იმის თქმა, რომ ის საღად აზროვნებდა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე, ამ საუბრამდე.

– მართალია, – თქვა მან, – ის მას ცოლად ვერ გაჰყვება. გაცილებით უარესი მოხდება.

თავი მეთორმეტე

ფლემი

როდესაც სატვირთო მანქანამ იგი კლარკსდეილამდე მიიყვანა და ქალაქ ლეიკ-კორმორანტთან გადაუხვია, ჩამოვიდა და გზა ფეხით განაგრძო. მემფისიდან კვლავაც საკმაოდ შორს იყო. თანდათანობით ხვდებოდა – აი, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე საშინელი, რაც მას ამ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში თავს გადახდა: დაავიწყდა, რა იყო მანძილი. დაავიწყდა, რაოდენ შორს შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი ქალაქი მეორისგან, არადა, ჭამაც ხომ სჭირდებოდა. მას მხოლოდ ერთი ათდოლარიანი კუპიურა ჰქონდა, რომელიც პარჩმენიდან გამოსვლისას ახალ კომბინეზონთან, ფეხსაცმელთან და შლაპასთან ერთად მისცეს, და კიდევ სამი დოლარი და ოთხმოცდახუთი ცენტი იმ ორმოცი დოლარიდან, მისმა სახლიკაცმა ფლემმა რომ გამოუგზავნა – დიახ, ეს ფლემი იქნებოდა: მას შემდეგ, რაც, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ფლემი მის დასახმარებლად არ მოვიდოდა და არც არავის გამოგზავნიდა ფრენჩმენსბენდიდან, და ციხის ფანჯრიდანაც აღარ უყვიროდა ყველა გამვლელს, ფლემს ჩემ შესახებ შეატყობინეთო, ფლემისა და, შესაძლოა, მოსამართლის გარდა, დედამიწის ზურგზე არავინ იცოდა და არც დაინტერესებულა, რა დაემართა და სად იმყოფებოდა ახლა, – თვრამეტი წლის წინათ გამოუგზავნა, სანამ ციხეში მონტგომერი უორდს ჩასვამდა, რათა მას ფლემი ქალის კაბითა და შლაპით გაქცევაზე დაეყოლიებინა, ის კი, ცხადია, დაიჭირეს და ოცი წელიც დაუმატეს.

პატარა, ვიწრო მაღაზია, აკურატულად დაწყობილი საქონლითა და ნაირგვარი რეკლამით აჭრელებული, გზის პირას, ბენზინგასამართი სადგურის მიღმა მდებარეობდა. დამტვრეული, მტვრიანი და ჭუჭყიანი მანქანა აქვე იდგა. მაღაზიაში არავინ იყო, პატრონისა და გაცვეთილ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ზანგის გარდა. მან პური ითხოვა და უეცრად – თითქმის ორმოცი წლის შემდეგ – სარდინი, სარდინის გემო გაახსენდა. ერთხელ კი შეეძლო ზედმეტი ნიკელის დახარჯვა, მაგრამ შეშინებულმა და გაოგნებულმა – წამით დაეჭვდა კიდეც, ხომ არ მომესმაო – შეიტყო, რომ კოლოფი, პატარა, ბრტყელი და მძიმე კოლოფი, პარჩმენში მოხვედრამდე ნებისმიერ ადგილას ხუთ ცენტად რომ იყიდებოდა, ახლა ოცდასამი ცენტი ღირდა. სანამ ასე შეშინებულ-გაოგნებულ-დაეჭვებული იდგა, მაღაზიის მეპატრონემ სხვა თუნუქის ქილა დაუდგა და უთხრა:

– ეს შეგიძლიათ, თერთმეტ ცენტად შეიძინოთ.

– ეს რა არის? – იკითხა მან.

– მოთუშული ხორცის კონსერვი, – მიუგო მეპატრონემ.

– როგორი მოთუშული ხორცის კონსერვი? – დაინტერესდა ის.

– ნუ მეკითხებით, – თქვა მეპატრონემ, – აიღეთ და ჭამეთ. რას იყიდით თერთმეტ ცენტად?

უეცრად მოპირდაპირე კედელთან ერთმანეთზე შემოდგმული ყუთები დაინახა, რომლებშიც გაზიანი წყლის ბოთლები ეწყო. პირსა და ყელში რაღაც საშინელება დაემართა: მოულოდნელად თხელი ნერწყვი გაუჩნდა და ჩამოეღვარა, თითქოს ათასობით ჭიანჭველა ხორხიდან კუჭამდე კბენდა, თვითონ კი შიშითა და ეჭვით საკუთარ თავს უმტკიცებდა: „არა! არა! ალბათ, მეოთხედი დოლარი ღირს!" – მას საკუთარი ხმა მოესმა:

– აი, იმას ავიღებ.

– მთელ ყუთს? – ჰკითხა მეპატრონემ.

– ერთი ბოთლი არ შეიძლება? – იკითხა მან, თან გუნებაში გამალებით ანგარიშობდა: „იქ ოცი ბოთლი იქნება. ათივე დოლარი დასჭირდება. იქნებ ეს არის ჩემი ხსნა". მაგრამ როდესაც მეპატრონემ ცივი და დაორთქლილი ბოთლი დაუდგა, ვერც კი მოასწრო, საკუთარი თავისთვის ეთქვა: „სასწრაფოდ უნდა გადავუძახო პირში, სანამ არ ვიცი, რა ღირს, თორემ ვეღარ დავლევო", მისმა ხელმა ბოთლი აიღო, გადახარა და პირში ლამის ძალით ჩაიდო. პირველმა ყლუპმა სიცივისგან ყელი აუწვა, თანაც ისე სწრაფად, რომ გემო ვერც კი იგრძნო, სანამ ეს სურვილი, ეს ვნება არ მოთოკა, რათა გემო გაესინჯა და დარწმუნებულიყო, რომ ამ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში სულაც არ დაჰვიწყებოდა: მხოლოდ ის აღარ ახსოვდა, რა სიამოვნება იყო ბოთლის ნელ-ნელა, თავშეკავებით დაცლა, შემდეგ კი ტუჩების მოცილება და შიში საკუთარი ხმის გაგონებისას: „კიდევ ერთი მომეცით", თუმცა გუნებაში მტკიცედ იმეორებდა: „არ შეიძლება! არ შეიძლება!" – მაგრამ თვითონ სრულიად მშვიდად, გაუნძრევლად იდგა, სანამ მეპატრონე მეორე დაორთქლილ ბოთლს ხსნიდა. ბოლოს ისიც გამოართვა, თვალები დახუჭა და ნელა დალია ბოლომდე, ჯიბიდან, რომელშიც ორი ერთდოლარიანი ედო (ათდოლარიანი გაზეთის ქაღალდში აკურატულად შეეხვია და კომბინეზონის მკერდის ჯიბეზე ინგლისური ქინძისთავით მიემაგრებინა), ერთდოლარიანი გამოაძვრინა და დახლზე დადო, არსად იყურებოდა და ელოდებოდა, რომ მეპატრონე კიდევ ერთ ან იქნებ ორ დოლარსაც მოსთხოვდა, მან კი სამოცდარვა ცენტი დაუყარა და დოლარი აიღო.

ორი ბოთლი კვლავაც დახლზე იდგა ყველას დასანახად და მან საჩქაროდ გაიფიქრა: „ხურდის აღება და გასვლა რომ შეიძლებოდეს, სანამ არაფერი შეუმჩნევია", მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ძალზე სახიფათო თამაში, და ვერ გაბედავდა, არ ეცალა რისკზე წასასვლელად. ან ორი დოლარი უნდამიეცა, ან ყვირილი, დახლზე გადახტომა, ჩაკეტილი კარი ელოდა,სანამ კვლავ შერიფი არ მოვიდოდა მის წასაყვანად. ხურდისთვის ხელი არ უხლია, ისე თქვა:

– გაზიანი წყალი არ გიანგარიშიათ.

– რაო? – იკითხა მეპატრონემ და ხურდა მაგიდაზე დაყარა, – კონსერვი – თერთმეტი, პური... – იგი შეჩერდა და მოულოდნელად ყველა მონეტა ერთად მოაქუჩა, – რა თქვით, საიდან მოვდივარო?

– არაფერი მითქვამს, – მიუგო მინკმა, – შორიდან მოვდივარ.

– დიდი ხანია, აქ არ ყოფილხართ, არა?

– მართალია, – კვერი დაუკრა მან.

– გმადლობთ, – თქვა მეპატრონემ, – მართლა გამომრჩენია „კოკა-კოლა". სულ იმ წყეული პროფკავშირის ბრალია, მის გამო გაძვირდა „კოკა-კოლა" ისე, რომ ვეღარც მიუდგები. თქვენ ორი დალიეთ, არა? – მან ხურდიდან ნახევარი დოლარი აიღო და დანარჩენი მას მიუჩოჩა, – არ ვიცი, ხალხი რას იზამს, თუ მათ არ შეაჩერებენ. ეს წყეული დემოკრატები კინწისკვრით თუ არ გავყარეთ, გავმათხოვრდებით, დავრდომილთა თავშესაფარში მოვხვდებით. რა თქვით, საით გამიწევიაო? მემფისისკენ?

– არაფერი მითქვამს, – დაიწყო მან, მაგრამ მეპატრონე უკვე ზანგს ელაპარაკებოდა და მას წყლის თავმოხსნილ ბოთლს უწვდიდა.

– ეს ჩემს ანგარიშზე იყოს. აბა, შენი მანქანა დაქოქე და ეს კაცი გზაჯვარედინამდე მიიყვანე, იქ კი ვინმე გამოივლის და წაიყვანს.

– ჯერ არ ვაპირებდი წასვლას.

– ცრუობ, აპირებდი, – თქვა მეპატრონემ, – დიდი ამბავი, ზედმეტი ნახევარი მილი თუ გაიარე. დრო კი გეყოფა. სანამ არ ჩახვალ, აქ არ გამოჩნდე. აი, ასე, – უთხრა მან მინკს, – იქამდე სწრაფად მიგიყვანენ.

და იგი გზას დანჯღრეული, ტალახიანი მანქანით გაუდგა. წამით ზანგმა მას ცერად გადახედა და მაშინვე თვალი აარიდა.

– საიდან ჩამოხვედით? – ჰკითხა ზანგმა, მას არ უპასუხია, – პარჩმენიდან ხომ არა, ჰა? – მანქანა გაჩერდა, – აი, გზაჯვარედინიც, – თქვა ზანგმა, – იქნებ ვინმემ წაგიყვანოთ.

მანქანიდან გადმოვიდა.

– დიდი მადლობა, – თქვა მან.

– მას უკვე გადაუხადეთ, – მიუგო ზანგმა.

კვლავ ფეხით გაუყვა გზას. მთავარია, მაღაზიებიდან თავი შორს დაეჭირა. მეტჯერ აღარსად უნდა გაჩერებულიყო. თუ ბოთლი დოლარი ეღირებოდა, ეს მისთვის აკრძალვა იქნებოდა. ამ ზღვრის მიღმა მას ვერანაირი ცდუნება და სისუსტე ვერ გაიტაცებდა, აქ კი არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ ბოთლი მხოლოდ ოცდახუთი ცენტი ღირდა, მას კი ჯიბეში მთელი თორმეტი დოლარი ედო. მაშასადამე, ჯერ მემფისამდე უნდა მისულიყო და რევოლვერი ეყიდა, სხვაგვარად ვერაფრით გამოიცნობდა, მოულოდნელად ცდუნებას აჰყვებოდა თუ არა: უკვე ახლა, მაღაზიიდან გამოსვლისას, საკუთარ თავს

ეუბნებოდა: „ადამიანი იყავი. ადამიანი იყავი. ადამიანი უნდა იყო, საქმე გაქვს, სახიფათო საქმე". იმავდროულად, იგრძნო, რომ ოფლმა დაასხა. არა, სუნთქვა კი არ ეკვროდა, სულის მოთქმას ცდილობდა – იმ მოგზაურივით, რომელიც შემთხვევით საიდუმლო ბუნაგში მოხვდა, მესალინას ან სემირამიდას მკლავებში, და იქიდან გამოქცეულს კვლავაც ანცვიფრებდა საკუთარი გაბედულება, ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, ვერ გაეგო, იქაურობას თავი როგორ დააღწია.

მან კიდევ ერთი რამ აღმოაჩინა: ციხეში მოხვედრამდე ოცზე მეტი და ბოლო ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ყოველთვის რბილ მიწაზე დადიოდა. ახლა ასფალტს მიუყვებოდა და არა მხოლოდ ფეხები სტეხდა, ყველაფერი სტკიოდა თავის ქალამდე, ყველა ძვალი და ყველა კუნთი. ბოლოს, არხის ახლოს, სარეველებს შორის, ჭუჭყიან გუბეს მიაგნო, კომბინეზონთან ერთად გაცემული უდრეკი ფეხსაცმელები გაიხადა, დაჯდა, ფეხები წყალში ჩაუშვა და კონსერვისა და პურის ჭამას შეუდგა, თან ფიქრობდა: „არ უნდა გავთამამდე. იქნებ არც შეიძლება იქ შესვლა, სადაც ამით ვაჭრობენ". გულდაუწყვეტლად, თუმცა მტკიცედ და ურყევად ფიქრობდა: „ალბათ, მომიწევს მასში ათი დოლარის ან მეტის გადახდაც. მაშასადამე, მხოლოდ სამი დოლარი და ოთხმოცდახუთი ცენტი მრჩება, მე კი მათგან ოთხმოცდაორი ცენტი უკვე დავხარჯე". იგი შეჩერდა, ჯიბიდან ფული მუჭით ამოიღო და აკურატულად დააწყო მიწაზე. სამი ქაღალდის ერთდოლარიანი და ოთხმოცდახუთი ცენტი ჰქონდა. მან ნელა გადათვალა ეს ოთხმოცდახუთი ცენტი: ნახევარი დოლარი, ოცდახუთი ცენტი და ორი ნიკელი, და გვერდზე გადადო. მაღაზიაში მყოფ კაცს ერთი ერთდოლარიანი კუპიურა მისცა, მან კი ხურდა დაუბრუნა – პური თერთმეტი ცენტი ღირდა, კონსერვიც – თერთმეტი. სულ – ოცდაორი ცენტი. შემდეგ კაცმა წყლის საფასურად კიდევ ნახევარი დოლარი აიღო. ესეც სამოცდათორმეტი ცენტი. მაშასადამე, ოცდარვა ცენტი უნდა დარჩენოდა. მან კვლავ გადათვალა ხურდა, ყოველი მონეტა, შემდეგ გვერდზე გადადებული ფული, რათა ერთხელაც გადაემოწმებინა. ოცდარვის ნაცვლად, მხოლოდ თვრამეტი გამოდიოდა. ათი ცენტი გაქრა. არადა, კონსერვი მხოლოდ თერთმეტი ცენტი ღირდა, ეს კარგად ახსოვდა, ვინაიდან ამის შესახებ ილაპარაკეს კიდეც. „გამოდის, პური გაძვირებულა. ჰო, ალბათ, პური გაძვირდა. მთელი ათი ცენტით გაძვირდა, იქვე, თვალწინ, – გაიფიქრა მან, – და თუ პურის ფასი ჩემ თვალწინ უეცრად ათი ცენტით გაიზარდა, შესაძლოა, ვერც რევოლვერი ვიყიდო ცამეტ დოლარად. მაშასადამე, სადმე უნდა მოვეწყო და სამუშაო ვიშოვო".

გზაზე ბევრი მანქანა მოძრაობდა, სწრაფად გადაადგილდებოდნენ დიდი მსუბუქი ავტომობილები, სრულიად ახლები, უშველებელი, ვაგონებივით სატვირთოები. არსად ჩანდა დამტვერილი „პიკაპები", რომლებიც ჩაისვამდნენ და წაიყვანდნენ, მხოლოდ მდიდრების მანქანები მიქროდნენ ისე, რომ კომბინეზონში გამოწყობილ კინკილა კაცს ვერც შეამჩნევდნენ. შესაძლოა, უარესიც მომხდარიყო და ამ უზარმაზარ, სწრაფ, მოლაპლაპე ავტომობილებს ის მანქანა გაესრისათ, რომელიც მას გაუჩერებდა. რაში სჭირდებოდათ, რომ მათ ბორბლებში გაბლანდულიყო მემფისში. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჯერჯერობით, მემფისი არც ჩანდა. ახლა იმასაც კი ვერ იტყოდა, მალე დაინახავდა თუ არა მას, და ფიქრობდა: „იქნებ ათი დოლარი ან მეტიც დამჭირდეს, სანამ იმ ადგილამდე მივალ, სადაც მათ

ყიდიან". ყოველ შემთხვევაში, მემფისში ჩასვლა არ უნდა გაეჯანჯლებინა, ჯერ ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა, ჯერ ხელს არაფერი უშლიდა. როცა მემფისს მიაღწევდა, ოცდაცამეტი დოლარი და სამი ცენტი თან უნდა ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, თუ რა დაუჯდებოდა ქალაქში მოხვედრა. მაშასადამე, კიდევ უნდა ეშოვა ფული, რახან იმის იმედიც არ ჰქონდა, რომ მაღაზიას მიაგნებდა, სადაც გაზიან წყალს ყიდდნენ. „ესე იგი, სადმე უნდა გავჩერდე და სამუშაო ვითხოვო, მე კი სამუშაო ცხოვრებაში არავისთვის მითხოვია, იქნებ ვერც შევძლო, – ფიქრობდა ის, – ერთი, შესაძლოა, მეტი დღეც კი დავკარგო, – მშვიდად იყო, სასოწარკვეთილებას არ გრძნობდა, – ამისთვის ძალზე მოხუცებული ვარ. სამოცდასამი წლის ასაკში ასეთ საქმეში თავის გაყოფა არ ღირდა". – ესეც სასოწარკვეთის გარეშე გაიფიქრა, კვლავაც მტკიცედ შემართულმა: „არა, რახან ოცდათვრამეტი წელი ველოდებოდი, ერთ ან ორ, თუნდაც სამ დღესაც მოვიცდი, არაფერი მომივა".

მკვრივი ქალი იყო, ოღონდ არც მსუქანი და არც ასაკიანი, გარეგნულად საკმაოდ მკაცრი, გახუნებულ, ოღონდ ძალზე სუფთა კაბაში, ვიწრო, დანაგვიანებულ პატარა ეზოში იდგა და ღობიდან კატაბარდას გამხმარ წნელებს წყვეტდა.

– სასულიერო პირი ხართ? – ჰკითხა მან.

– მემ? – ვერ გაერკვა.

– მქადაგებელს მიგამსგავსეთ.

– არა, მემ, – თქვა მან. – აქაური არა ვარ.

– რისი გაკეთება შეგიძლიათ?

– რასაც თქვენ აკეთებთ. ეზოს დაგისუფთავებთ.

– კიდევ?

– ფერმერი ვიყავი, ყველაფერი შემიძლია.

– ალბათ, ჯერ დანაყრება გჭირდებათ, – უთხრა ქალმა, – კარგი. ყველანი ღვთის ქმნილებები ვართ. ჯერ ეს წნელები დაგლიჯეთ. ფოცხი სამზარეულოს კარის უკანაა. და გახსოვდეთ, თვალყურს გადევნებთ.

შესაძლოა, აკვირდებოდა კიდეც ფანჯარაზე ჩამოკიდებული ფარდის მეორე მხრიდან. ძნელი სათქმელია. მინკს კი ეს სულ არ ადარდებდა. მაგრამ ქალი, როგორც ჩანს, განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს, რადგან ციცქნა ვერანდაზე მაშინვე გამოვიდა, როგორც კი მან ბოლო იღლია ფოთოლიც გროვას დააყარა, და აჩვენა, სად იდგა ურიკა, სამი ღერი ასანთი მისცა და უყურებდა, როგორ წაიღო გამხმარი ნაგავი უშენ ადგილას, სახლის გვერდით, და ცეცხლი წაუკიდა.

– ურიკა და ფოცხი დააბინავეთ და სამზარეულოში წადით, – თქვა მან.

სამზარეულოში შევიდა – ქურა, ნიჟარა, მაცივარი, გაშლილ მაგიდასთან სკამი, მაგიდაზე თეფში ცუდად მოხარშული ბოსტნეულითა და მონაცრისფრო ღორის ქონით, ლამბაქზე კი ქარხნის პურის ორი ნატეხი და ჭიქა წყალი. იგი გაუნძრევლად იდგა, ხელები ჩამოეშვა და მაგიდას მისჩერებოდა.

– არ კადრულობთ ასეთ საჭმელს? – ჰკითხა ქალმა.

– მთავარი ეს არაა, – მიუგო მინკმა, – არ მშია. გზის ფული მჭირდება. მემფისში უნდა ჩავიდე, იქიდან კი მისისიპიში დავბრუნდე.

– ისადილებთ თუ არა? – ჰკითხა დიასახლისმა.

– დიახ, მემ, – თქვა მინკმა, – უღრმესი მადლობა, – და ქალის მზერის ქვეშ მაგიდასთან დაჯდა, დიასახლისმა კი მაცივრის კარი გამოაღო, იქიდან გახსნილი ქილა გამოიღო და წინ დაუდგა. მასში დაკონსერვებული ატმის ნაჭერი იდო.

– ჭამეთ, – თქვა ქალმა და წავიდა.

– დიახ, მემ, – მიუგო მინკმა, – უღრმესი მადლობა. – ქალი, ალბათ, კვლავაც უთვალთვალებდა მას საიდანღაც. მინკმა იმდენი შეჭამა, რამდენიც შეძლო (ყველაფერი ცივი იყო), შემდეგ თეფში, დანა და ჩანგალი ნიჟარასთან გასარეცხად მიიტანა, მაგრამ ამ დროს ქალი სამზარეულოში დაბრუნდა.

– მე თვითონ, – თქვა მან, – თქვენ კი გზას გაუყევით, ოთხი მილი გაიარეთ. საფოსტო ყუთს მიადგებით, ზედ „ძმა გუდიჰეი" აწერია. კითხვა თუ იცით?

– მივაგნებ, – ჩაილაპარაკა მინკმა.

– უთხარით, რომ ბეს ჰოლკომმა გამოგგზავნათ.

მინკმა ყუთს მიაგნო. ეს აუცილებელი იყო. მან გაიფიქრა: „უნდა მივაგნო". ფიქრობდა, რომ, შესაძლოა, ყუთზე დაწერილი სახელის წაკითხვას შეძლებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ წაკითხვა სჭირდებოდა, აუცილებლად უნდა შეეღწია ამ გაუგებარ იეროგლიფებში. ფიქრობდა, სანამ მეტალის ყუთის წინ იდგა, რომელსაც „ძმ. ჯ.კ. გუდიჰეი" ეწერა – არა ტრაფარეტულად, არამედ საღებავით გამოყვანილი ასოებით, არა უდიერად, აგდებულად, არამედ ერთგვარი ველური, შმაგი მოუთმენლობით: ფიქრობდა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მიხვდებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, როცა უკვე მიხვდა, რომ ვიღაცეძახდა: „იქნებ ყოველთვის ვიცოდი კითხვა, მაგრამ ეს არ ვიცოდი, სანამ შემთხვევა არ მომეცა". მაგრამ ამ დროს ხმა მოესმა და პატარა, გავერანებულ ეზოში ხის სახლი დაინახა ნამცეცა ტერასით, იქ კი ადამიანი, რომელიც ხელს უქნევდა და ყვიროდა: „აქეთ, აქეთ, შემოდით!" – გამხდარი, ცქვიტი, ოცდათხუთმეტიოდე წლის, ცივი, აქეთ-იქით მორბენალი თვალებით, ადვოკატივით ან ორატორივით გრძელი ზედა ტუჩით და წაგრძელებული ნიკაპით – ასე ძველებურ კარიკატურებში პურიტანელებს გამოსახავდნენ. შემდეგ კი ჰკითხა:

– დალახვროს ეშმაკმა, მქადაგებელი ხართ?

– არა, – მიუგო მინკმა, – აქაური არა ვარ. მინდა, როგორმე ჩავიდე...

– კარგი, კარგი, – უთხრა დამხვდურმა, – შემოუარეთ, შეგხვდებით, – იგი მაშინვე შიგნით შევიდა. მან, მინკმა, სახლს შემოუარა და უკანა ეზოში გავიდა, უფრო მეტად გავერანებულსა და ათასგვარი ხარახურით გატენილში. იქ კიდევ ერთი სახლი იდგა – დანგრეული კი არა, უბრალოდ, დაზვავებული – კოჭების, ნივნივების, ფანჯრებისა და კარების ჩარჩოების, შენობის გარედან მოსაპირკეთებელი დაუზიანებელი მასალის გროვა, რომელთა შორისაც მოძრაობდა თუ იდგა ახოვანი, დაახლოებით მინკის ასაკის კაცი, ბრიტანული ყაიდის სამხედრო ქურთუკითა და ომამდე არარსებული დივიზიის სამხრეებით. ეზოში მინკის გამოჩენისას აჩქარებით დასცხო ნაჯახი იქვე დაყრილ ფიცრებს. ის იყო, ამას შეუდგა, რომ პატარა სახლის კარი ხმაურით გაიღო და ის, პირველი, ხერხით ხელში გამოვიდა. მინკმა ახლაღა შეამჩნია ჯოჯგინა და დახვავებული დახერხილი ფიცრები.

– აჰა, – თქვა პირველმა კაცმა და მინკს ხერხი გაუწოდა, – მაგარი ნაჭრები გადაარჩიე. ლურსმნები არ გაღუნო, აკურატულად ამოაძვრე. ყველა ნატეხი თანაბარი ზომის ნაჭრებად დახერხე. მამილო გიჩვენებს, როგორ, მე შიგნით ვიქნები. – იგი მაშინვე სახლში შებრუნდა. კარს ხელი გაუშვა თუ არა, ის ისე გაჯახუნდა, თითქოს ეს განზრახ გააკეთაო.

– მაშასადამე, შენც გამოგიჭირეს, მაკ? – თქვა სამხედროქურთუკიანმა კაცმა (როგორც ჩანს, მამილო ის იყო).

მინკმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ იკითხა:

– ეს არის ღირსი მამა?

– ეს გუდიჰეია, – მიუგო მოხუცმა, – არ მომისმენია, როგორ ქადაგებს, მაგრამ პირი რომც არ გააღოს, ალბათ, უკეთესად ლაპარაკობს, ვიდრე საჭმელს ამზადებს. რას იზამ, ვიღაცამ ხომ უნდა მიწვას კვერი. ამბობენ, მისი ცოლი კარტოფილის ჩიფსის დამტარებელ ბოზიშვილთან ერთად გაიქცა, როდესაც ის ჯერ კიდევ წყნარ ოკეანეში იბრძოდაო. ვფიქრობ, ამ საქმეს ყველა აქ მყოფი მისდევდა, ეს ახლაც არ მიუტოვებიათ, თუმცა ომს ვეღარ დააბრალებენ. ჰოდა, ჯანდაბას მაგათი თავი. ყოველთვის ვამბობ – ოღონდ ჭაობი იყოს და ბაყაყი ყოველთვის მოიძებნება, თუ ერთი წავა, სხვა მოვა და დაჯდება. მაშასადამე, შენც გამოგიჭირეს, არა?

ამჯერად მინკმა უპასუხა:

– მემფისში უნდა მოვხვდე, შემდეგ კი მისისიპიში დავბრუნდე. ძალიან შევყოვნდი. კარგი იქნება, თუ დღეს საღამოსთვის გზას განვაგრძობ. რამდენს იხდის?

– სურვილი კარგია, – თქვა კაცმა, – სამი დღის წინათ მეც ვფიქრობდი, ერთ-ორ დოლარს გამოვიმუშავებ და ჩემს გზას ვეწევი-მეთქი. მაგრამ შენ აქ ეკლესიას აშენებ, ჭირვეულო კაცო. იმედი ვიქონიოთ, რომ რამეს იქადაგებს, ფულს კი თვალითაც ვერ ვნახავთ, სანამ კვირას არ შეაგროვებს.

– კვირას? – იკითხა მინკმა.

– ჰო, – მიუგო კაცმა, – დღეს ხუთშაბათია, ჰოდა, თვითონ იანგარიშე.

– კვირას, – გაიმეორა მინკმა, – ეს ხომ მთელი სამი დღეა.

– სწორია, – დაეთანხმა კაცი, – ამ მხარეში კვირა ყოველთვის ხუთშაბათის მესამე დღეს დგება. ასეთი ჩვეულება აქვთ.

– კვირას რამდენს მივიღებთ?

– შესაძლოა, დოლარი გვერგოს, შენ ხომ ღმერთისთვის მუშაობ, და არა მამონასთვის ან ფულისთვის. მაგრამ აქ გაჭმევენ და ღამის გასათევსაც მოგცემენ.

– ამდენ ხანს ერთი დოლარისთვის ვერ ვიმუშავებ, – თქვა მინკმა, – დრო არა მაქვს.

– იქნებ მეტიც მოგვცენ. ყური მოვკარი, რომ გადადებულიც აქვს. ყოველ შემთხვევაში, შეგროვება ეხერხება. როგორც ამბობენ, საზღვაო ქვეითად მსახურობდა, სერჟანტი ყოფილა მედესანტეთა ბარჟაზე, წყნარ ოკეანეში. ეგ არის, რომ იაპონელთა მოპიკირე ბომბდამშენს შეუტევია მათთვის და ყველა წყალში გადამხტარა ბომბის მოხვედრამდე, ერთი ლაწირაკი კი ან შეშინებულა, არ რაღაცას გამოსდებია და ვეღარ ხტებოდა, ჩვენი ღირსი მამა კი (მაშინ მორწმუნე არ იყო, რამდენიმე წუთის შემდეგ გახდა) ბარჟაზე დაბრუნებულა მის დასახსნელად, მაგრამ ამ დროს ბარჟა აფეთქებულა და ორივენი, ღირსი მამაც და ის ცინგლიანიც, ფსკერისკენ წასულან. ღირს მამას მისი თოკებიდან გამოხსნა მოუხერხებია და მასთან ერთად ამოუყვინთავს. თითქოს მედალიც ამაში მიუღია. ოფიციალურად ასეა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ და მის მრევლს ასე მიაჩნია – როგორც გავიგე, მასთან, უმეტესწილად, ყოფილი ჯარისკაცები მოდიან, ან მათი ცოლები, ან ქალიშვილები, რომლებიც მათ ჯვარდაუწერლად გაჟიმეს. უფრო მეტად, ახალგაზრდები, თუმცა ხანდაზმულებიც არიან: ისინი, შესაძლოა, შემთხვევით შემოხეტიალდნენ აქ, შესაძლოა, ომში დაღუპული ბიჭების მშობლები არიან, ან იქნებ იმ ქალს, და ჰოლკომს ჰგვანან, შენ რომ გზაზე გამოგიჭირა. ის,როგორც ჩანს, კარგად ვერ შელღვა შვილის გასაჩენად. ღმერთი შეეწიოს მის ქმარს, თუ ასეთი ჰყავს. ეს ქალი არავის ჩაუთრევია, თვითონ აეტორღიალა ავტობუსს, რახან უფასო მგზავრობაა... – კაცი ცოტა ხნით გაჩუმდა. – არ ვიცი, აქ რატომ დადის: ალბათ, ქადაგებისას, თუ რასაც უწოდებენ, მისი უწმაწურობის მოსასმენად. რას გიყვებოდი? ჰო, იმ ბარჟის შესახებ. როგორც თვითონ ღირსი მამა ჰყვება, უკვე მკვდარი იყო, მშვიდად და წყნარად იწვა წყნარი ოკეანის ფსკერზე, – ჩემი წილი ვიომეო, – როდესაც მის წინ უეცრად იესო გაჩენილა და უთქვამს, „ადექიო". ამდგარა. მაშინ იესო ეუბნება: „სმენა, ზურგისაკენ მარცხნიდანო", – ჰოდა, მაშინვე მუდმივ სამუშაოზე მოავლინეს აქ, მემფისთან ახლოს, ტენესის შტატში. ჰო, არის მასში რაღაც, რამაც მას ახალი ეკლესიისთვის ამხელა მრევლი შეაგროვებინა. ახლა უკვე ახალი შენობა სჭირდებათ. ეშმაკმა წამიღოს, თუ დურგალიც არ მოიხელთონ მათი ჯიხურის შესაკოწიწებლად. რა გკითხა, როცა დაგინახა?

– რა? – ჰკითხა მინკმა.

– რა გითხრა შეხვედრისას?

– მითხრა: „დალახვროს ეშმაკმა, მქადაგებელი ხართო?"

– ხომ ხედავ? ღმერთმა იცის, რამდენი ხალხი შემოიტყუა, მთელ შტატში დაგზავნა, ისეთი სახლების მოძებნა უბრძანა, სადაც პარმაღზე აღარავინ ზის – დაშალეთ, აქ მოიტანეთ და ფიცრებად დაშალეთო, როგორც მე და შენ ვაკეთებთ. ოღონდ, ჯერჯერობით, ნამდვილი დურგალი არა ჰყავს ეკლესიის შესაკოწიწებლად, იმიტომ, რომ კარგი დურგლები პროფკავშირის წევრები არიან და გასამრჯელოს ყოველდღიურად ითხოვენ, ის კი აქ თვით იესო ქრისტემ დანიშნა, არც ფული აინტერესებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა უნდა გასცეს. ჰოდა, თავის დამქაშებთან ერთად გზაში ყველას იჭერს, ვისაც კი მოახერხებს, როგორც ის ქალი, და ჰოლკომი, შენ რომ შეგაბა. იჭერს, ცრის და ეძებს.

– ცრის?

– ჰო, ფქვილივით. ადამიანები ამ უკანა ეზოდან შემოჰყავთ, სანამ ისეთს არ მოიხელთებენ, რომელიც მათთვის ეკლესიას შეკრავს, ჩვენი საქმე კი მეტი ფიცრის, მორისა და ფანჯრის ჩარჩოს დამზადებაა. აბა, მუშაობას შევუდგეთ. მართალია, არ შემიმჩნევია, რომ ფარდის მეორე მხრიდან გვითვალთვალებდეს, მაგრამ საზღვაო ქვეითთა გადამდგარ სერჟანტთან ხუმრობა, თუნდაც ის ასგზის მქადაგებელი იყოს, არ ღირს.

– გამოდის, რომ წასვლაც არ შემიძლია?

– რატომ არ შეგიძლია? შეგიძლია. მიბრძანდი, გზა ხსნილია. ოღონდ ფულს ვერ მიიღებ, სანამ კვირას არ შეიკრიბებიან. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ღამის გასათევსაც მოგცემენ და ეგრეთ წოდებული ვახშმითაც დაგანაყრებენ, თუ, ცხადია, ცხვირს არ აიბზეკ.

კაცმა რომ თქვას, სახლს არც დარაბები ჰქონდა და არც ფარდები, ასე რომ, თითქოს თვალთვალს ვერსაიდან შეძლებდნენ. როდესაც მინკმა სახლი მთლიანად შეათვალიერა, მოეჩვენა, რომ ისიც დროულა იყო, იმ ტიხრების, კარებისა და ფანჯრების ენით აუწერელი გროვის მსგავსი, სადაც ის და მისი ამხანაგი მუშაობდნენ. ისე ჩანდა, რომ სახლი ნაჩქარევად აეშენებინათ და ფეხზე ძლივს იდგა. სანამ ნელ-ნელა იზრდებოდა გადარჩეული ფიცრების წყება და დაწუნებული ნაჭრებიდან დახერხილი სახმელებლის გროვა, მინკს ზოგჯერ ესმოდა, როგორ დადიოდა მქადაგებელი სახლში და ფიქრობდა: „თუკი ის იქ, სახლში ახალ ქადაგებაზე მუშაობს, როგორც ჩანს, ჯორის შეკაზმვაზე არანაკლებ ძალისხმევას ხარჯავს". მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც გაიფიქრა: „ნახევარ დოლარს გამოვიმუშავებდი. უნდა მივიღო. უნდა მივიღო. გზა უნდა განვაგრძო. კვირას ვერ დაველოდები". ამ დროს სახლის კარი შეირხა, გაიღო და მქადაგებელმა თქვა:

– აბა, მორჩით. ვახშამი მზადაა. შემოდით.

იგი მამილოს მიჰყვა. დაბანის შესახებ კრინტი არავის დაუძრავს.

– აჯობებს, რომ... – დაიწყო მინკმა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ისინი სამზარეულოში აღმოჩნდნენ, არათუ სპარტანულში, არამედ, უბრალოდ, მიტოვებულში, – ძველ საზაფხულო ბარაკს ჰგავდა ქალაქის განაპირა პარკში, – სადაც ქურა იდგა – გუნებაში მას ავტომატური უწოდა, ვინაიდან არასდროს ენახა არც გაზქურა და არც ელექტროქურა, სანამ მისის ჰოლკომთან არ მოხვდა. გუდიჰეი ქურის წინ მდუმარედ, მრისხანე სახით გაშეშებულიყო. ირგვლივ საჭმლის მომზადების ბრაზიანი შიშინი ისმოდა. მინკმა კვლავ დაიწყო: – აჯობებს, რომ... – მაგრამ ამ დროს გუდიჰეი ქურას მოსცილდა, რომელზეც რაღაც მიმწვარი საჭმლით სავსე სამი მათლაფა იდო. ემალის ზედაპირზე ეს ძროხის ფუნასავით უცნაურად, უადგილოდ და საჭმელად უვარგისად გამოიყურებოდა, – მე უკვე შევჭამე, – თქვა მინკმა, – აჯობებს, წავიდე.

– რა? – იკითხა გუდიჰეიმ.

– მემფისში საქმე მელოდება, – მიუგო მინკმა, – საღამოს აუცილებლად უნდა წავიდე.

– მაშასადამე, ფულიც ახლა უნდა გადაგიხადოთ? – თქვა გუდიჰეიმ და მათლაფები მაგიდაზე დააწყო, სადაც უკვე მოჩანდა ტომატის სოუსის უშველებელი ბოთლი, თეფში დაჭრილი პურით, საშაქრე და შესქელებული რძის ქილა გახვრეტილი სახურავით. – დასხედით, – განაცხადა გუდიჰეიმ და ქურისკენ გადადგა ნაბიჯი, საიდანაც მინკს ყავის სუნი ეცა, რომელიც ისეთივე შმაგი მოუთმენლობით დუღდა, როგორითაც ხორცი შიშინებდა ტაფაზე, ეზოში ფიცრები დაეხვავებინათ, საფოსტო ყუთზე კი ასოები მიმოეფანტათ. გუდიჰეიმ სამი ფინჯანი ყავა მაგიდაზე დადგა და კვლავ თქვა: – დასხედით, – მამილოუკვე იჯდა, – მე ვთქვი, დასხედით–მეთქი, – გაიმეორა გუდიჰეიმ, – ფულს კვირას მიიღებთ, შეგროვების შემდეგ.

– ვერ დაველოდები, დიდი დრო გავა.

– კარგი, – თქვა გუდიჰეიმ და საჭმელს სოუსი მოასხა, – ჯერ ივახშმეთ, ვახშამი უკვე გამოიმუშავეთ. – იგი დაჯდა. ის ორნი უკვე დამსხდარიყვნენ. გუდიჰეიმ თვალის დახამხამებაში გადასანსლა ყველაფერი, წამოდგა, ჩანგალი დადო, ღეჭვა–ღეჭვით მიაჯახუნა კარი (მინკმა ვერ გაარჩია, რომ მასზე შესანიღბბადიანი ჩაფხუტი ეკიდა, როგორიც საზღვაო ქვეითებს ეხურათ წყნარი ოკეანის ფრონტზე, ვინაიდან ამ დროს ჩაფხუტის ქვემოთ მოთავსებული განიერი ქამრიდან ამოჩრილ ავტომატურ პისტოლეტს მისჩერებოდა), იქვე მდგარი მაცივრიდან დაკონსერვებული კომპოტის – ნახევარ–ნახევარი ატმის – ქილა გამოიღო, მაგიდაზე მოათავსა და ზუსტად და მიუკერძოებლად გაანაწილა წვენი და ხილი ცხიმიან ჯამებში. კომპოტიც შეიჭამა, ამასთან გუდიჰეიმ ესეც ყველაზე ადრე გააკეთა. მთელი ამ დროის განმავლობაში, რაც მას ხედავდა, ის პირველად იჯდა აბსოლუტურად გაუნძრევლად, თითქოს ემინა, და ელოდებოდა, როდის დაასრულებდნენ ჭამას ის ორნი. შემდეგ თქვა: აბა, ავალაგოთ! – და ნიჟარასთან პირველი მივიდა თავისი ჯამით, ფინჯნითა და კოვზით, ისინი ონკანის ქვეშ გარეცხა

და დააკვირდა, იმ ორმა როგორ გარეცხა, გაამშრალა და თაროზე შემოაწყო ჭურჭელი. ბოლოს მინკს მიმართა: – აბა, წახვალთ თუ დარჩებით?

– დარჩენა მომიწევს, – მიუგო მინკმა, – ფული მჭირდება.

– კარგი, – თქვა გუდიჰეიმ, – მუხლებზე დადექი, – და თვითონაც დაიჩოქა სამზარეულოს იატაკზე, სადენზე ჩამოკიდებული ერთადერთი გაშიშვლებული და სუსხიანად მბჟუტავი ნათურის შუქის ქვეშ, ის ორნიც მას მიჰყვნენ. გუდიჰეი მუხლებზე იდგა და ისე, რომ არც თავი დაუხრია და არც ცივად მოელვარე თვალები დაუხუჭავს, ჩაილაპარაკა: – გვიხსენ, იესო, უბედური ნაბიჭვრები, – შემდეგ წამოდგა და თქვა: – მორჩა. შუქი ჩააქრეთ. სატვირთო მანქანა შვიდ საათზე მოვა.

ეს ოთახი კი არა, კარადაზე ოდნავ დიდი საკუჭნაო უფრო იყო: ერთი ფანჯარა, კარი, საიდანაც სახლში შეიძლებოდა მოხვედრა, ჭერზე ჩამოკიდებული ერთი ნათურა, იატაკზე ბრეზენტგადაფარებული თხელი ტუფი, არც ბალიშები, არც საბნები, არაფერი. გუდიჰეიმ კარი დაიჭირა, სანამ შიგნით შევიდოდნენ, და დაკეტა. ისინი მარტო დარჩნენ.

– აბა, მიდი, – თქვა მამილომ, – სცადე!

– რა ვცადო? – ჰკითხა მინკმა.

– კარი. მან ჩაგვკეტა. არა, შეგიძლია, მაშინ გახვიდე, როცა მოისურვებ, ფანჯარა ხომ ჩაკეტილი არაა. მაგრამ კარიდან სახლში შეიძლება მოხვედრა, მას კი ძალიან არ უნდა, რომ ჩვენ, მომავალმა დურგლებმა, დამშვიდობების წინ სახლი გადავაქოთოთ და გავიპაროთ. თუმცა ახლა ღმერთისთვის მუშაობ, ტუტუცო, აღლუმს აქ საზღვაო ქვეითების სერჟანტი უძღვება, – მან დაამთქნარა, – მაგრამ კვირას შენ მიიღებ შენს ორ დოლარს, შესაძლოა, სამიც მიიღო, თუ დღევანდელ დღესაც ჩაგითვლის. თანაც ქადაგებასაც მოისმენ. ეს კი სამი დოლარი ნამდვილად ღირს. რომ იცოდე, ისეთი იშვიათი გამოცემებიც არსებობს, რომლებიც ათჯერ უფრო ძვირიც ღირს, ვინაიდან მხოლოდ ორ-სამ ცალად უშვებენ, – მან თვალი ჩაუკრა, – აი, ამიტომ! ეს დიდხანს არ გაგრძელდება, – მან კვლავ ჩაუკრა თვალი მინკს, – ამას არავინ დაუშვებს.

– მაშასადამე, ჩემს ორ დოლარს არ მომცემენ? – ჰკითხა მინკმა.

– არა, არა, – მიუგო კაცმა, – მე აქაურებს ვგულისხმობ, რომლებიც მან ჯერ ვერ მოაქცია. ისინი ამას აღარ მოითმენენ. ისინი, რომლებმაც ეს წყეული ომი ოთხი-ხუთი წელი ითმინეს, რომლებსაც მისი დავიწყება სურთ. ისინი ხუთი წლის განმავლობაში უძლებდნენ გასაჭირს, ამდენი ხარჯი გასწიეს, ოღონდაც ეს ომი თავიდან მოეცილებინათ, და როგორც კი ძველებურად, მშვიდობიანად ცხოვრება დააპირეს, მოდიან, ეშმაკმა დალახვროს, ეს ღრიალა ყოფილი ჯარისკაცები, სახელმწიფო პენსიით გასუქებულები, ნაბიჭვრები, და ისეთ ამბავში არიან, თითქოს ყველაფერი, რისთვისაც ომი დაიწყო, არა მხოლოდ ადრე იყო, არამედ ახლაც გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება, სანამ ვინმე რამეს არ გააკეთებს. მთელი მათი ბანდა – არგადამხდელები, მათ ხმა, ალბათ, ნორმან თომასს მისცეს და არა რუზველტს, ტრუმენზე აღარაფერს ვამბობ, ახლა კი, 1946 წელს, საკუთარი

ძალებით ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა განუზრახავთ. ასე რომ, თვითონაც ხვდები, იქნებ ღირდეს კიდეც სამი დოლარის დაკარგვა, რათა უკანასკნელად მოვუსმინოთ ამ გუდიჰეის სუფთა ჰაერზე, თორემ, ვინ იცის, იქნებ ციხის გისოსებიდან მოუწიოს ქადაგებამ, ჩვენ კი გაგონებამ, – მან კვლავ დიდზე დაამთქნარა და სამხედრო ქურთუკი გაიხადა, – წიგნები აქ არა გვაქვს, ძილის წინ ვერაფერს წავიკითხავთ, მაშასადამე, მხოლოდ დასაძინებლად დაწოლაღა გვრჩება.

ისინი დაწვნენ. შუქი ჩაქრა. გულაღმა იწვა, წყნარად სუნთქავდა, გულხელი დაეკრიფა. ფიქრობდა: „ალბათ, სამ დოლარზე ნაკლებს არ მომცემენ. ალბათ, დღევანდელ დღესაც მიათვლიან", – ფიქრობდა: „მაგრამ კვირადღესთან ერთად სამ დღეს ვკარგავ, და თუნდაც მემფისში კვირას, ანგარიშსწორების შემდეგ ჩავიდე, ყველა მაღაზია, სადაც მისი ყიდვა შეიძლება, ორშაბათამდე დაკეტილი იქნება", – ფიქრობდა: „როგორც ჩანს, სამი დღე უნდა დაველოდო", – და დანანებით: „ვერაფერს მოიფიქრებ". ამის შემდეგ მან მშვიდი და ღრმა ძილით დაიძინა და უკვე თითქმის ნათდებოდა, როდესაც გამოერკვია. ერთხანს მშვიდად იწვა, სანამ არ მიხვდა, რომ მარტო იყო. მოგვიანებით მოეჩვენა, რომ როდესაც მომხდარი გააცნობიერა, კიდევერთი წუთი წყნარად და მშვიდად იწვა და დუნედ ატრიალებდა ხელში ინგლისურ ქინძისთავს, რომელიც გახსნილი ედო მკერდზე: უეცრად წამოხტა, დაჯდა და ისე, რომ გაღებული ფანჯარა და მოქანავე დარაბა არც დაუნახავს, გაშმაგებით შეუდგა მკერდის ჯიბიდან გაზეთის ქაღალდის შეკვრის გლეჯას, რომელზეც ათდოლარიანი კუპიურა მიემაგრებინა ქინძისთავით, წყევლა-კრულვისა და ლანძღვა-გინების ნაცვლად კი საცოდავად წკმუტუნებდა და ჩაკეტილ კარზე მუშტს აბრახუნებდა, სანამ გუდიჰეიმ არ გაუღო, რომელმაც მაშინვე შეამჩნია გაღებული ფანჯარა.

– მაშასადამე, გაგქურდათ იმ ნაბიჭვარმა, – თქვა გუდიჰეიმ.

– ათი დოლარი წაიღო, – უთხრა მინკმა, – უნდა დავიჭირო, გამიშვით!

– მოიცადეთ, – თქვა გუდიჰეიმ, რომელიც კვლავაც კარში იდგა, – ახლა ვეღარ დაიჭერთ.

– უნდა დავიჭირო! – შესძახა მინკმა, – ის ათდოლარიანი მჭირდება.

– სახლამდე მისასვლელად გჭირდებათ? ასეა?

– დიახ, – მიუგო მინკმა და კვლავ შეიკურთხა, – უმისოდ ვერაფერს ვიზამ. გამიშვით!

– დიდი ხანია, სახლში არ ყოფილხართ? – ჰკითხა გუდიჰეიმ.

– ოცდათვრამეტი წელი. მითხარით, სად წავიდოდა, თქვენი აზრით?

– მოიცადეთ! – თქვა გუდიჰეიმ გაუნძრევლად, – კარგი, შევეცდები, რომ კვირას ის ათი დოლარი მიიღოთ. საჭმლის მომზადება თუ იცით?

– ხორცისა და ერბოკვერცხის შეწვა შემიძლია.

– კარგი. საუზმე მოამზადეთ, მე კი მანქანას დავტვირთავ. წავედით, – გუდიჰეიმ მას უჩვენა, როგორ ინთებოდა ქურა, და წავიდა. მინკმა კი წუხანდელი ყავა წყლით შეავსო, ჩვეულებისამებრ, როგორც ყოველთვის ავსებდა, სანამ ნალექი სუნსა და ფერს საბოლოოდ არ კარგავდა, შემდეგ ქონი დაჭრა, იმავე ჩვეულების მიხედვით, ტაფაზე მას ფქვილი მოაყარა, ერბოკვერცხისთვის კვერცხი გამოიღო, ერთხანს გაღებულ კართან იდგა, შემდეგ მოსცილდა და ყურადღებით მიაჩერდა ჩაფხუტის ქვემოთ ჩამოკიდებულ, მძიმე ბუდეში მოთავსებულ ავტომატს. მშვიდად გაიფიქრა: „მხოლოდ ორი დღით რომ ავიღო, მაშინ ათი დოლარიც აღარ დამჭირდებოდა", – ფიქრობდა: „უბრალოდ გამქურდა, სიტყვაც არ უთქვამს. რატომ მეც არ შემიძლია ახლა ქურდობა? იმას აღარ ვამბობ, როგორ მჭირდებოდა ის ათი დოლარი, ნებისმიერ ადამიანზე ასჯერ, ათასჯერ მეტად მჭირდებოდა", ბოლოს კი სრულიად მშვიდად, წყნარად გაიფიქრა: „არა, არასდროს მომიპარავს. აქამდე არასდროს დავცემულვარ, არც არასდროს ვიქურდებ".

როდესაც კართან მივიდა, რათა გუდიჰეისთვის დაეძახა, მას და ვიღაც კაცს უკვე დაეწყოთ სატვირთო მანქანაზე მთელი მასალა და ცალკეული ფიცრებიც, შემდეგ კი, როცა ამ გროვაზე მჯდარი მემფისისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდა, გაიფიქრა კიდეც: „იქნებ მემფისამდეც ჩავიდნენ. აი, ათი დოლარი რომ მქონდეს...", მაგრამ მალე ფიქრი შეწყვიტა და მხოლოდ ჯაყჯაყებდა ძარაში, სანამ სატვირთომ გზიდან არ გადაუხვია. თავდაპირველად უახლოვდებოდნენ, შემდეგ კი ვიღაცების სამფლობელოებში, სავარგულებსა და პლანტაციებში მიდიოდნენ – ბამბის თვალუწვდენელ ნათესებში, სადაც ჯერაც თეთრად მოჩანდა ბამბა შემგროვებელთა მოლოდინში. ბოლოს, მინდვრის გავლით, თემშარაზე შეუხვიეს და მდინარის დაჭაობებულ ტოტთან ამოზრდილ ტირიფნართან მივიდნენ, სადაც კიდევ ერთი „პიკაპი" იდგა, ისიც მსგავსი მასალით დატვირთული, იქვე კი სამი თუ ოთხი კაცი მოჩანდა, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ გუდიჰეისა და მისი, უფრო სწორად, მათი მანქანის მძღოლს. ის, მინკი, ვერ იტყოდა, კონკრეტულად რით ჰგავდნენ, ამაზე არც დაფიქრებულა: უბრალოდ, უნებურად, კიდევ ერთ სამხედრო ქურთუკს მოჰკრა თვალი, შემდეგ, ასევე უნებურად – ჩარჭობილ პალოებს შორის გაბმულ ბაწარს, რომლითაც მშენებლობისთვის განკუთვნილი მართკუთხედის ფორმის ადგილი მოენიშნათ. ფიცრები იქ გადმოტვირთეს, გუდიჰეიმ კი თქვა:

– კარგი, თქვენ და ალბერტი მორიგი ტვირთის წამოსაღებად წადით.

ახლა კაბინაში იჯდა და ისე ბრუნდებოდა უკან, მრევლისკენ, თუ რაც ერქვა, სადაც მან და ალბერტმა ერთხელაც დატვირთეს „პიკაპი" და კვლავ ტირიფნარისკენ აიღეს გეზი: ამ დროისთვის, ამდენი სამუშაო ხელის არსებობის პირობებში, – თუკი ოთხივენი გუდიჰეისავით სწრაფად მუშაობდნენ, – იქ უკვე მთლიანი კედელი უნდა აღემართათ. მაგრამ პალოებითა და ბაწრით მონიშნულ ნაკვეთზე არც მეორე სატვირთო მანქანა აღმოჩნდა და არც გუდიჰეი, მხოლოდ სამი მამაკაცი იჯდა მშვიდად ფიცრებისა და მორების გროვასთან.

– რა მოხდა? – იკითხა ალბერტმა.

– ჰო, – მიუგო სამთაგან ერთ-ერთმა, – გადაიფიქრა.

– როგორ? – თქვა მინკმა, – ვინ გადაიფიქრა? წასასვლელი ვარ, ისედაც ვაგვიანებ.

– ნაკვეთის მფლობელმა, – უთხრა ალბერტმა, – თავდაპირველად სამლოცველოს აშენების უფლება მისცა, მაგრამ ვიღაცამ გადააფიქრებინა. შესაძლოა, ბანკმა, რომელსაც იმ მიწაზე გირავნობის ფურცელი უჭირავს. შესაძლოა, ლეგიონმა.

– რომელმა ლეგიონმა? – იკითხა მინკმა.

– ამერიკულმა ლეგიონმა. ისევე იქცევიან, როგორც 1918 წელს. ნუთუ მის შესახებ არასდროს გსმენია?

– ღირსი გუდიჰეი სად არის? – დაინტერესდა, – წასასვლელი ვარ.

– აბა, ჰე, – თქვა ალბერტმა, – ნახვამდის!

დარჩა და დაელოდა. მეორე სატვირთო მანქანა მხოლოდ სადილობის შემდეგ მოგრიალდა. გუდიჰეი მის გაჩერებამდე ჩამოხტა.

– აბა, – თქვა მან, – დატვირთეთ, – და ისინი კვლავ გაუყვნენ მემფისისკენ მიმავალ გზას. „პიკაპი" სატვირთო მანქანას მისდევდა, რათა გუდიჰეი მხედველობის არიდან არ დაჰკარგვოდა, სხვა მანქანებივით მიქროდა, ის კი ფიქრობდა: „აი, ათი დოლარი რომ მქონდეს... თუმცა მემფისამდე, ალბათ, ამჯერადაც ვერ ჩავაღწევთ". ვერც ჩააღწიეს. გუდიჰეიმ გადაუხვია და ისინიც უკან მიჰყვნენ, რითაც გვარიანი რისკი გასწიეს, სხვაგვარად, წინ მიმავალი გუდიჰეი მათ უკაცრიელ მხარეში დაკარგავდა. ნაყოფიერი დელტა დასრულდა და გამოფიტული შიშველი თიხიანი ბორცვები დაიწყო, იმათ იქით კი – უზარმაზარი უდაბნოები. გუდიჰეი შეჩერდა – მის წინ ნაგავსაყრელი მოჩანდა, სადაც ავტომობილების, ბოილერებისა და ბამბის საწმენდი მანქანების დაჟანგული ჩონჩხი, დამტვრეული აგურის ნატეხები და ბეტონის ნაჭრები ეყარა. მაგრამ შტიფტები უკვე ხელმეორედ ჩაერჭოთ, მათ შორის ბაწარი სამკუთხედად დაეჭიმათ, გუდიჰეი კი უკვე თავის სატვირთოსთან იდგა, ხელებს იქნევდა და მათ ეძახდა:

– აქეთ! მოვედით, დაიწყეთ.

როგორც იქნა, ნამდვილი მუშაობაც დაიწყო. მაგრამ უკვე გვიან იყო, დღის უმეტესი ნაწილი უკვე დაიკარგა, მეორე დღეს კი შაბათი დგებოდა, ანუ კიდევ ერთი სრული დღე.

მაგრამ როდესაც მან კვლავ სცადა დალაპარაკება, გუდიჰეიმ მაშინვე გააწყვეტინა:

– ხომ გითხარით, თქვენს ათ დოლარს კვირას მიიღებთ-მეთქი. სხვა რაღა გინდათ?

გუდიჰეის არც ვახშმის შესახებ გაუცია განკარგულება. მან უბრალოდ მაცივრის კარი გამოაღო, იქიდან სისხლიან ქაღალდში გახვეული ხორცი გამოიღო და სამზარეულოდან გავიდა. უეცრად მინკს გაახსენდა, რომ ოდესღაც შვრიის ფაფის მომზადება იცოდა და ბურღულსა და ქვაბს მიაგნო. იმ საღამოს გუდიჰეის იგი აღარ ჩაუკეტავს. მან, მინკმა, კარი მოსინჯა, შემდეგ შიგნიდან ჩაკეტა, ზურგზე მშვიდად დაწვა და ხელები მიცვალებულივით მკერდზე დაიკრიფა, სანამ გუდიჰეიმ არ გააღვიძა ბეკონისა და ერბოკვერცხის შესაწვავად. სატვირთო მანქანა წასასვლელად გამზადებული იდგა, ამჯერად თორმეტიოდე კაცი შეგროვილიყო და უკვე შეიძლებოდა დანახვა, როგორი იქნებოდა სამლოცველო (ისინი მას ასე უწოდებდნენ). დაბნელებამდე მუშაობდნენ. მან თქვა:

– დღეს არ მცივა, შემიძლია, აქ მოვეწყო, აი, იმ ტოლის ნაჭრებქვეშ, ხვალ კი გათენებიდანვე დავიწყებ, სანამ სხვებს ჯერ კიდევ...

– კვირაობით არ ვმუშაობთ, – გააწყვეტინა გუდიჰეიმ, – წავედით.

კვირადღე დადგა. წვიმდა. ადრეული შემოდგომის შესაფერისად, განუწყვეტლივ ჟინჟღლავდა. მათ ვიღაც ცოლ-ქმარმა შემოუარა მანქანით, ოღონდ არა „პიკაპით", არამედ ძველი და გვარიანად შელახული მსუბუქი ავტომობილით. კვლავ გადაუხვიეს გზაჯვარედინზე, იქით კი უკვე არა ველური უშენი ადგილები, არამედ, უბრალოდ, ვაკე იყო, ბოლოს შეუღებავი შენობა გამოჩნდა და ციხეში გატარებული ოცდათვრამეტი წლის წინათ ნანახმა სურათმა თავი შეახსენა. „ეს ხომ ზანგების სკოლაა", – გაიფიქრა ავტოსადგომზე გასულმა. იქვე ხუთი-ექვსი ასეთივე შელახული და ჭუჭყიანი მსუბუქი ავტომობილი და „პიკაპი" და ხალხის პატარა ჯგუფი იდგა, უმრავლესობა გუდიჰეის ტოლი ან მასზე ახალგაზრდა, რამდენიმე კი უფრო ასაკიანი იყო. მან კვლავ იგრძნო მათში რაღაც ერთნაირი, საერთო, გარდა ტანსაცმლისა: სამხედრო ქურთუკებისა, საარმიო მწვანე ლაბადებისა და ერთი ოფიცრის კოკარდის კვალის მქონე სამხედრო ქუდისა. მის ზურგს უკან ვიღაცამ „გამარჯობა" თქვა – ეს ალბერტი იყო. მინკმა ის მის თუ მისის ჰოლკომიც იცნო, რომლის ეზოც მოასუფთავა, შემდეგ მაღალ, ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებულ, წონაში საგრძნობლად დაკლებულ, მაგრამ მსუქან ზანგ ქალს მოჰკრა თვალი და შეჩერდა – არა იმდენად გაოცებული, რამდენადაც გაფაციცებული.

– აქ ნიგერებსაც უშვებთ? – იკითხა გაკვირვებულმა.

– ამას ვუშვებთ, – უთხრა ალბერტმა. გუდიჰეი უკვე სახლში შესულიყო. სხვები კართან შეჯგუფდნენ და მას მიჰყვნენ, – მისმა ვაჟმაც იმდენივე გამოიმუშავა, რამდენიც თეთრკანიანი ქალების შვილებმა, თუმცა ძეგლზე მისი სახელი მათი სახელების გვერდით არ წერია. ხედავ იმ ყვითელქუდიან ქალს? – შლაპა ჭუჭყიანი, მაგრამ თვალში საცემი იყო, ოდესღაც თეთრი პალტო ახლა ოდნავ თუ გამოირჩეოდა. ამ შლაპისა და პალტოს პატრონი გარეგნულად ოცდახუთი წლის იქნებოდა, გამხდარი, თუმცა არცთუ შეფერთხილი, ცუდად გამოიყურებოდა, – დიახ, სწორედაც რომ, – თქვა ალბერტმა, – ახლაც ქუჩის ქალს წააგავს, მაგრამ შენ შარშან გაზაფხულზე უნდა გენახა, როდესაც კატოლპა-სტრიტზე მდებარე იმ სახლიდან მოვიდა. მისი ქმარი, ლეიტენანტი, ქვეითთა ოცეულს მეთაურობდა იქ, სადაც

იაპონელები მალაიიდან მოგვერეკებოდნენ, ჩვენ კი ჯგროდ ვიხევდით უკან – ავსტრალიელები, ბრიტანელები, ფრანგები ინდოჩინეთიდან – და არაფრის შენარჩუნებას არ ვცდილობდით. დაბნელებისთანავე სანგრებს ვთხრიდით და როგორც კი ჩამორჩენილებსა და აქა-იქ მიმალულებს შევაგროვებდით, დილით კვლავ გავრბოდით, თუ დილისთვის ვინმე რჩებოდა ცოცხალი. იმ ღამეს მისი ოცეული საგუშაგოზე იდგა, თვითონ სანგარში იმყოფებოდა, მისი რაზმი კი მთელ სიგრძეზე გაჭიმულიყო. მასთან ნიგერი მიფოფხდატყვია-წამლით. ახალბედა იყო – ნიგერს ვგულისხმობ. იაპონელი ახლოდან თვალით არასდროს ენახა.

ხომ წარმოგიდგენია, ეს როგორ ხდებოდა: ზიხარ იქ მოკუნტულ-მოკაკული. ირგვლივ ყველაფერი ყარს, უკუნეთია. ზიხარ აყროლებულ სველ ორმოში, თვალები და ყურები ისე დაგიძაბავს, ლამის კენჭებივით მოგძვრეს, შორიახლო ბალახში ჭრიჭინები ჭრიჭინებენ, მაგრამ უეცრად ხვდები, რომ ეს სულაც არ არიან ჭრიჭინები – ადამიანთა ხმებია და შენ შესახებ ინგლისურად ჭრიჭინებენ: „ამაღამ მოკვდები, ამაღამ მოკვდები". აქ კი ეს ნიგერი მოცოცავს ხელყუმბარებით, ავტომატის დისკებით. ლეიტენანტი სანგარში ჩაწოლას უბრძანებს, მის ხელს ავტომატის სასხლეტს ადებს და ეუბნება: „აქ დამელოდე, სანამ არ დავბრუნდები", თვითონ კი მეთაურთან მიფოფხავს შესატყობინებლად, ერთი სიტყვით, სადღაც მიდის.

– ხომ იცი, როგორ ხდება. ადამიანი უსასრულოდ ვერ იდგება. მას ზღვარი აქვს. მან თვითონაც არ იცის, როდის მიაღწევს ამ ზღვარს, მაგრამ უეცრად გადის წუთი და ხვდება, რომ მორჩა, აღარ შეუძლია.

ცხადია, მას სძულს ეს, საშინლად სძულს, მაგრამ აქ არავინაა დამნაშავე, აქ ვერაფერს გააწყობ. სწორედ ესაა უბედურება: წინასწარ თვითონაც არ იცი, როდის გატყდები, წინასწარ არავინ შემოგძახებს, „გამაგრდიო". განსაკუთრებით ომში. უნებურად გაიფიქრებ, რომ ადამიანთა მოდგმას ომში არაფერი ესაქმება, რადგან ასეთი სუსტები ვართ, ასე არ არის? და თუ ომები გაგრძელდება, ადამიანებზე ძლიერი რამე უნდა გამოვიგონოთ და ბრძოლაში ისინი გავუშვათ. მოკლედ, ირიჟრაჟა, გათენდა და ჩვენს სანგარში პირველი მოგლეჯილი თავი გაფრინდა, თითქოს ვიღაცამ კალათბურთის ბურთი ისროლაო. ვხედავთ, რომ შავი თავია, იმ ზანგისაა. სხვაგვარად როგორ იქნება? ის ზანგი არკანზასის პლანტაციაში გაიზარდა, აქ კი თეთრკანიანი ადამიანი, თანაც ლეიტენანტი, თანაც არკანზასული კილოთი, უბრძანებს: „აიღე ეს თოხი, ანუ ავტომატი, და დამელოდე, სანამ დავბრუნდები". როდესაც იაპონელები იმდენზე უკუვაგდეთ, რომ მთელი დღის განმავლობაში მშვიდად შეგვეძლო მათი თავდასხმებისგან დამალვა, ჩვენი ლეიტენანტი ჩვენ მიერ კოცონის დასანთებად შეგროვებული ფიჩხის უკან გავიდა... ჰო, უცნაური რამაა ეს ჯუნგლი. მთელი დღე, ღამეც კი ოფლი გდის, ყელი გიშრება, წყალი კი ჯუნგლში არ არის და მისი პოვნის იმედიც არ უნდა გქონდეს, ამ დროს მზეზე გადიხარ, პერანგის შეკვრას ვერ ასწრებ და მთლიანად ბუშტუკებით იფარები. გეჩვენება, რომ საკმარისია, კარდალა ან ხიშტი დაგივარდეს, ან თუნდაც ნალდარტყმული ქუსლი ფესვს დაჰკრა, მაშინვე ნაპერწკლები გაჩნდება და ირგვლივ ყველაფერი აალდება. ახლა ცეცხლის დანთება სცადე. მხოლოდ სცადე, რომ რამეს ცეცხლი მოუკიდო და ნახავ, ეს რა ტანჯვაა. ერთი სიტყვით, ჩვენი ლეიტენანტი

ფიჩხის გროვის უკან გავიდა, სადაც მას ვერავინ დაინახავდა, და პირში რევოლვერის ლულა ჩაიდო. ცხადია, რომ ახლა იმ ქალს აქ უშვებენ.

ამასობაში ყველა შენობაში შევიდა და მას გაახსენდა, მართალია, ოცდათვრამეტი წლის შემდეგ, რა დიდხანს რჩება სუნი ოთახში, სადაც ზანგები უკვე დიდი ხანია, აღარ არიან, – ეს სიღარიბის, ფარული შიშის, მოთმინებისა და სიმტკიცის სუნია, ამ სუნის გაქრობის იმედი კი ძალზე სუსტი, – ყველა დამსწრე (მან გაიფიქრა, ამას, ალბათ, სალოცავად შეკრებას ეძახიანო) უზურგო ძელსკამებზე დაჯდა: ყვითელშლაპიანი ქალი – პირველზე, მაღალი ზანგი კი – ბოლოზე, მარტო. გუდიჰეი მათ წინ დადგა ოთახის ბოლოში და ჯოჯგინაზე გადებულ ფიცარს დაეყრდნო. ხელები მშვიდად ეწყო, მხოლოდ სუსტად მოემუშტა და იქ მყოფთა დაწყნარებას ელოდებოდა.

– იცოდეთ, – თქვა გუდიჰეიმ, – თუ ვინმეს ჰგონია, რომ საკმარისია, თავისთვის კიჩოზე იჯდეს და დაელოდოს, სანამ მადლი თავისით არ გადმოვა მასზე წვიმის ან სხვა სახით, მას აქ არაფერი ესაქმება. მტკიცედ უნდა დადგეთ ფეხებზე, ეძებოთ ის, სანამ არ დაიჭერთ, შემდეგ კი მაგრად გეჭიროთ და თუ საჭირო გახდა, სულის გადარჩენისთვის იბრძოლოთ. და თუ მადლს ვერ ეღირსებით, თვითონ შექმენით ის, დალახვროს ეშმაკმა! თვითონ შეიქმენით მადლი, თვითონ გადაირჩინეთ სული. ისე შექმენით, რომ აღიაროს, მასზე უფლება მოიპოვეთ, მაგრად ჩაეჭიდეთ, იჩხუბეთ კიდეც, თუ საჭირო გახდება, ოღონდ ხელიდან არ გაუშვათ, თუნდაც ყველაფერი დაიქცეს და აირ-დაირიოს...

ამ დროს მამაკაცის ხმამ გააწყვეტინა:

– თავიდან დაიწყე, ჯო. მიდი. კიდევ ერთხელ მოგვიყევი.

– რა? – ჰკითხა გუდიჰეიმ.

– კიდევ მოგვიყევი, – უთხრა მამაკაცის ხმამ, – მიდი!

– მე ხომ უკვე მოგიყევით, – მიუგო გუდიჰეიმ, – თქვენ კი მოისმინეთ. არ შემიძლია ყველაფრის თავიდან ახსნა.

– არა, შეგიძლია, – თქვა მამაკაცის ხმამ. მას ქალების ხმებიც მოჰყვა:

– შეგიძლია, ჯო. მოყევი! – ის კი, მინკი, ერთთავად ანაჰორეტის (ანაჰორეტი – ასკეტი, მეუდაბნოე) მსუბუქად მომუშტულ ხელებსა და ცივად მოელვარე თვალებს შეჰყურებდა, – მეხუთე საუკუნის განდეგილის თვალებს, თავისი მესოპოტამიური გამოქვაბულიდან სიცარიელეს რომ გაჰყურებდა, – აგრეთვე სხეულს, უძრავს, მაგრამ დაძაბულს, საშინლად დაძაბულს, თითქოსდა მხრებზე დადებული მძიმე ტვირთისგან.

– კარგი, მოგიყვებით, – თქვა გუდიჰეიმ, – ჰოდა, ვწევარ. ყველაფერი რიგზეა. დედა გვიტირეს, ყველაფერი ნორმალურადაა – ფსკერისკენ წავედით. ხომ იცით, წყალში საკუთარ წონას ვერ გრძნობ, წევხარ, შუქი კი ზევიდან მოდის, როგორც ცხაურიანი დარაბებიდან, როცა ისინი ქარში ოდნავ თრთიანდა ცახცახებენ. ვწევარ და ვხედავ, როგორ მიცურავს ჩემი ხელები

წყალში, მათი განძრევაც არ მჭირდება, მათზე კი თითქოსდა ცხაურა დარაბებიდან გაჩენილი ჩრდილები დახტიან და თვალს მიკრავენ. ჩემი ფეხებიც მიცურავს, წონა მთლიანად დაუკარგავს, არც სადმე წასვლაა საჭირო, არც მარშით სიარული, აღარც სუნთქვა და აღარც ძილი, საერთოდ არაფერი – მოკლედ, ყველაფერი კარგადაა, ფსკერისკენ წავედი. უეცრად ვხედავ: ის თავზე დამდგომია, გარეგნულად ჩვეულებრივ უმცროს ლეიტენანტს ჰგავს, სანგრიდან ამოსულს, შესაძლოა, ოდნავ უფროსს, მას არც პილოტურა ახურავს, არც – ჩაფხუტი. დგას თავმოშიშვლებული, ჩრდილები ეცემა, თვითონ კი სიგარეტს აბოლებს.

– ადექი, ჯარისკაცო! – მეუბნება.

– არ შემიძლია, – ვპასუხობ. ვინაიდან ვგრძნობ – სანამ არ ვმოძრაობ, ყველაფერი კარგადაა. როგორც კი განძრევას მოვინდომებ, გავიფიქრებ ან ვცდი, მაშინვე ვხვდები, რომ არ შემიძლია. ან რა ჯანდაბად უნდა ვიმოძრაო? ისედაც კარგად ვარ. ჩემი საომარი ვიომე. ფეხები გავჭიმე და მორჩა. დაე, მათ, ბო...მა, რაც უნდათ, ის გააკეთონ თავიანთი ბო...რი ომით, ოღონდ უჩემოდ.

– ერთი! – თქვა მან, – მხოლოდ სამჯერ გაქვს უარის თქმის უფლება. როგორ ამბობ შენ, ერთ-ერთი საუკეთესო ჯარისკაცი, რომ არ შეგიძლია? დამრტყმელ ძალას, ალბათ, შატო-ტიერთან და სენ-მიგელთან დაგიძახებდნენ. ახლა თუ გყავთ ტოპჯარისკაცები გვადალკანალის ნაწილებში?

– გვყავს, – ვეუბნები.

– კარგი, ტოპჯარისკაცო, – მეუბნება ის, – მწყობრში ჩადექი, – წამოვდექი, – თავისუფლად, – მეუბნება ის, – ხედავ? – მეკითხება.

– მეგონა, ვერ შევძლებდი, – ვეუბნები, – არ მჯეროდა, რომ ავდგებოდი.

– მართალია, – მეუბნება ის, – რა გვინდა ჩვენ თქვენგან? უამრავი ადამიანი გვყავს, რომლებმაც იციან, რომ შეუძლიათ, მაგრამ არაფერს აკეთებენ, ვინაიდან, რადგან იციან, რომ შეუძლიათ, არაფრის გაკეთება არ სჭირდებათ. ჩვენ კი ისეთი ადამიანები გვჭირდება, რომლებიც ფიქრობენ, რომ არაფერი შეუძლიათ, და აკეთებენ. მათ, სხვებს, ჩვენ არ ვჭირდებით, არც ჩვენ გვჭირდებიან ისინი. მეტსაც გეტყვი: ისინი საერთოდ არ გვჭირდებიან. მათ სამოთხეში არ მივიღებთ და დაე, ფეხებში ნუ გვებლანდებიან. და თუ ისინი ჩვენთვის არ ვარგიან, სადმე გამოდგებიან? მართალია?

– მართალია, სერ! – ვეუბნები.

– შეგიძლია, „სერ" იქ თქვა, სადაც მოგესურვება – აქაც და ზევითაც. ეს თავისუფალი ქვეყანაა. ყველას ფეხებზე ჰკიდია ყველა. აბა, მოხვედი გონს?

– დიახ, სერ, – ვპასუხობ.

– სმენა! – ამბობს ის. დაძაბულობისგან თვალები ლამის შუბლზე ამივიდა, თუმცა ტალახში ვიდექი, – მარცხნიდან ზურგისაკენ! – მეუბნება. მას, ალბათ, არც უნახავს, რომ ვინმე ბრძანებას უკეთ ასრულებდეს, – ნაბიჯით,

იარ! – ამბობს. ის იყო, ნაბიჯის წინ გადადგმა დავაპირე, რომ მან კვლავ მიბრძანა: – სდექ! – მეც გავჩერდი, – როგორ, ნუთუ მას აქ ასე დატოვებ? – მითხრა მან. რომ არ დაგიმალოთ, ის აღარც კი მახსოვდა: იწვა თავისთვის წყნარად და მორჩილად – ის გველის წიწილი, რომელიც ყველაზე შეუფერებელ მომენტში გატყდა, ისინი ყოველთვის ასე იქცევიან, საჭეს ხელი გაუშვა, ტრიუმში ჩასვლა დააპირა, მთელი ეს დავიდარაბა ხომ მის გამო ატყდა. კიდევ გაგვიმართლა, რომ მას, ამ ბო...ს, ის წყეული ბო...ური სამხრეები არ ჰქონდა, თორემ დიდი ხნის წინათ მოტ...და ჩვენს რაზმს, ყველას დაგვღუპავდა.

– ვერ შევძლებ მის წაყვანას, – ვეუბნები.

– ორი! – თქვა მან, – ერთხელ უკვე გქონდა ნათქვამი „არ შემიძლია", კიდევ ერთხელ შეგიძლია უარის თქმა და მორჩა. მიდი, უარი თქვი და გათავისუფლდი.

– არ შემიძლია მისი წაყვანა, – ვამბობ.

– შესანიშნავია! – მეუბნება, – სამჯერ თქვი უარი და მორჩა. „არ შემიძლიას" ვეღარ იტყვი. შენ განსაკუთრებული შემთხვევა ხარ, სამჯერ მოგეცა უარის თქმის უფლება. ახლა კი ახალი ბრძანება გამოვიდა, რათა ერთზე მეტად უარის თქმა ვერავინ გაბედოს. აბა, წაიყვანე! – მეც წავიყვანე, – თავისუფლად, – მეუბნება. სულ ეს იყო. ხომ გითხარით, ამის მოყოლა შეუძლებელია–მეთქი. იყო და მორჩა. ამას ვერ მოყვები.

და ის, მინკი, მათ უცხო კაცის თვალით უყურებდა, არათუ შემოურიგებელი, არამედ შეურიგებელი: სიძულვილის გარეშე, ვინაიდან მხოლოდ ელოდა, მოთმინებით, რადგან მემფისში რომც აღმოჩენილიყო ახლა, ამწუთას, კვირა დილის ათ ან თერთმეტ საათზე, – რომელი საათიც იყო, – თითქმის ოცდაოთხსაათიანი ლოდინი მოუწევდა მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელად. იგი, უბრალოდ, ამ ხალხს უყურებდა: აი, ორი ხანში შესული წყვილი, აშკარად ცოლ–ქმარი, როგორც ჩანს, ფერმერები, მოიჯარეები არიან და ბანკებსა თუ სინდიკატებში მრავალგზის ჩადებული ბამბის პლანტაციებიდან ჩამოსულან. ამ პლანტაციებიდან მათი შვილი სამი თუ ოთხი წლის წინათ ჯარში გაიწვიეს და მან სახლიდან შორს სიცოცხლე გაწირა მათი გულისთვის, ახლა კი სხედან აქ ისინი, მოხუცები, ძალზე უცხოები, ამქვეყნად ყველაფრისთვის ძალზე ხანდაზმულები, და არ ჩანს შერიგება მათ მწირ და ძუნწ ცრემლებში, ცრემლებზე მეტად დამწვრობის კვალს რომ უფრო ჰგავს. თეთრკანიანი ადამიანებიდან არავის მიუქცევია ყურადღება, როდესაც უკანა ძელსკამიდან მარტო მჯდარი ზანგი ქალი წამოდგა და გასასვლელის გავლით იქით გაემართა, სადაც ჭუჭყიანშლაპიან ახალგაზრდა ქალს მოხრილ მკლავში თავიდამწუხრებული და სასოწარკვეთილი ბავშვივით ჩაერგო. ძელსკამზე მსხდომმა თეთრკანიანებმა ჩაიჩოჩეს, რათა ზანგი ახალგაზრდა თეთრ ქალს გვერდით მისჯდომოდა და მოჰხვეოდა. ფიცარზე კვლავაც მუშტებით დაყრდნობილმა გუდიჰეიმ კი, რომელიც ცივად მოელვარე თვალების დახუჭვას არც აპირებდა, ზუსტად ის გაიმეორა, რაც სამი დღის წინათ სამზარეულოში თქვა, როდესაც სამნი მუხლებზე დაჩოქილნი იდგნენ:

– გვიხსენ, იესო, საცოდავი ნაბიჭვრები, – ამ დროს მან მინკს შეხედა: – მომისმინეთ, თქვენ! – მიმართა გუდიჰეიმ, – აბა, ადექით! – წამოდგა, – აი, მას შინ წასვლა უნდა. მხოლოდ ერთი სრული დღე იმუშავა, მაგრამ ათი დოლარი სჭირდება სახლამდე მისაღწევად. ოცდათვრამეტი წელია, შინ არ ყოფილა. კიდევ ცხრა მონეტა სჭირდება. როგორ მოვიქცეთ?

– მე მივცემ, – თქვა ოფიცრისქუდიანმა მამაკაცმა, – გუშინ ბანქოში ოცდათოთხმეტი დოლარი მოვიგე, ჰოდა, იქიდან აიღოს ათი დოლარი.

– მე ცხრა ვთქვი, ერთი დოლარი ისედაც ეკუთვნის, – განაცხადა გუდიჰეიმ, – მიეცით ათი, მე კი ხურდაში ერთს დაგიბრუნებთ. მაგრამ თავდაპირველად ის მემფისში უნდა მოხვდეს. ვინმე თუ მიდის იქ საღამოს?

– მე მივდივარ, – თქვა მეორე კაცმა.

– კარგი, – თქვა გუდიჰეიმ, – ვინ იმღერებს?

აი, რატომ დაინახა მან მემფისი კვლავ ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ხელსაყრელ პირობებში, განსაკუთრებით იმ ადამიანისთვის, რომელიც იქ არ ყოფილა – რამდენი წლის განმავლობაში? მან მაშინვე დაიანგარიშა. ოცი წლისა დაქორწინდა. მანამდე სამჯერ გამოართვა თუ გამოგლიჯა ცოტაოდენი ფული ნათესავს, დაობლებული რომ შეიფარა და მუქთად ამუშავებდა ფერმაში, და იმ ფულით მემფისის ბორდელში გაემგზავრა. ბოლოს იქ საკუთარი ქორწინების წელს იყო. პარჩმენში ოცდაექვსი წლისა ჩასვეს. ოცდაექვსს რომ ოცი დოლარი გამოვაკლოთ – ექვსი დოლარი რჩება. პარჩმენში ოცდათვრამეტი წელი გაატარა. ექვს დოლარს დამატებული ოცდათვრამეტი დოლარი, ორმოცდაოთხი დოლარი გამოვა. მაშასადამე, მემფისი ორმოცდაოთხი წლის შემდეგ ნახა და თანაც გასაოცარი სახით: საღამოს, როდესაც ჩაბნელებული მიწა მის გვერდით ორივე მხრიდან მირბოდა, წინ მიმობნეული ნეონის ცელქიციმციმი, ადრე რომ არასდროს უნახავს, შემდეგ – სინათლე დაბლობში, ქალაქის მაცნე. იჯდა თავისი სავარძლის კიდეში, როგორც ბავშვები, მოზარდები სხედან, და გზას მისჩერებოდა, რომელზეც მანქანები მიქროდნენ და უწყვეტ, მოელვარე ნაკადს ერწყმოდნენ, და ეს ნაკადი სისწრაფეს უმატებდა, თითქოს ქალაქი შორიდანვე იზიდავდა და ისრუტავდა მას. უეცრად ხელმარჯვნივ მატარებელმა ჩაიქროლა, განათებული ფანჯრების გრძელმა მწკრივმა სიზმარივით წამიერად და ეფემერულად გაიელვა. შორს გზაჯვარედინი გამოჩნდა, სადაც ბევრი გზა იყრიდა თავს მორგვზე დადებული გიგანტური მუქი ბორბლის მანებივით, მასზე კი ჭიანჭველებივით მრავლად და უწყვეტად მიდიოდნენ მანქანები და ის, რასაც ავტობუსი ერქვა, როგორც მოგვიანებით აუხსნეს; თითქოს თვით დედამიწაც აჩქარდა, დაიძრა და მწვანე და ლალისფერი სინათლით მორთულმა ცაზე არსებულ ანარეკლს მიაღწია, საოცარ, წარმოუდგენელ სიამოვნებასა თუ ბედნიერებას.

უკვე შერწყმული გზები დიდმა და მრგვალმა ფარნებმა დაამშვენა, რომლებიც მაღლა, ხეებში, ქანდარაზე შეფრენილი ინდაურებივით მოჩანდა.

– მითხარით, როცა მივუახლოვდებით, – სთხოვა მან.

– რას მივუახლოვდებით? – ჰკითხა მძღოლმა.

– მემფისს.

– ჩვენ უკვე მემფისში ვართ, – მიუგო მძღოლმა, – მთელი ერთი მილი გავიარეთ ქალაქში.

ახლაღა მიხვდა: ჯერაც ფეხით რომ ევლო, მარტოკას, და არავინ შეხვედროდა, ვისაც გზას ჰკითხავდა, ყველა სირთულე სწორედ აქ, მემფისის შიგნით დაიწყებოდა. ის მემფისი, მან რომ ორმოცი წლის წინათ ნახა, აღარ არსებობდა, ის კი ფიქრობდა: „ძალზე დიდხანს არ ვყოფილვარ აქ, და როდესაც ადამიანს ისეთი საქმე აქვს, როგორიც მე, როდესაც ყველაფერი თვითონ უნდა მოაგვაროს და ჩემსავით არაფერი აბადია, თანაც კიდევ ოთხმოცი მილი უნდა გაიაროს, არ შეიძლება, რომ ასეთი ადამიანი იმდენ ხანს არ გამოჩნდეს, როგორც ეს მე დამემართა". უწინ მას აუცილებლად ჩამოიყვანდა ვინმე ფრენჩმენსბენდიდან, ან ორნი ან სამნი სახნავი ჯორებისთვის უნაგირს ინათხოვრებდნენ, მასზე სიმინდით სავსე ტომარას დაამაგრებდნენ, შემოასხდებოდნენ და ჯეფერსონამდე ჩააღწევდნენ, იქ კი კომერციული სასტუმროს უკანა ეზოში ჯორებს დააბამდნენ, იქაურ ზანგს თითო ნიკელს მისცემდნენ, რათა მას დაბრუნებამდე ჯორებისთვის ეჭმია, შემდეგ სატვირთო სადგურში მატარებელში ავიდოდნენ და სამგზავრო სადგურში სამგზავრო მატარებელზე გადასხდებოდნენ, რომელიც პირდაპირ მემფისში მიდიოდა – იქ სადგური თითქმის ქალაქის ცენტრში მდებარეობდა.

ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. ოთხი დღის წინათ აუხსნეს, რომ მატარებლები თითქმის აღარ დადიოდნენ და ზედმეტი ფული რომც ჰქონოდა ბილეთის შესაძენად, ვერსად მოხვდებოდა. მას უთხრეს, რომ ახლა ყველგან ავტობუსები გაეშვათ, მაგრამ ოთხი დღის განმავლობაში სადგურის მსგავსი არაფერი ენახა, სადაც ავტობუსის ბილეთს იყიდდა. ორმოცდაოთხი წლის წინათ მემფისის გარეუბნიდან ცენტრამდე ფეხით ერთ საათში მივიდოდა კაცი, ახლა კი, მძღოლის თქმით, მათ თითქმის ერთი მილი გაევლოთ მანქანით და მხოლოდ თვალისმომჭრელ ანარეკლებს ხედავდნენ ცაზე. და თუმცა უკვე მემფისში იყვნენ, ის ადგილი, რომელიც ახსოვდა და რომელსაც ეძებდა,როგორც ჩანს, ჯერ ისევე შორს იყო, როგორც ჯეფერსონი – უორნერის მაღაზიიდან. კიდევ კარგი, რომ მანქანას გამოაყოლეს და მძღოლმა, ასე თუ ისე, იცოდა, რა სჭირდებოდა, თორემ ეს ათი დოლარი ჭამაში დაეხარჯებოდა, სანამ მემფისში იხეტიალებდა და იმ ადგილს მიაღწევდა, სადაც რევოლვერის ყიდვა შეიძლებოდა.

ახლა მანქანა საიმედოდ მოთავსდა მოციმციმე, მოელვარე, ნაირფერი შუქის მქონე სხვა მანქანების სწრაფ ნაკადში. ირგვლივ ყველაფერი ურიცხვ ნათურას გაენათებინა, ყველაფერი კაშკაშებდა და ელვარებდა, უამრავი ხმა ისმოდა. უეცრად მწვანედ, წითლად და თეთრად მოციმციმე შუქის კედელი წამოიმართა და ღამე გაჭრა. იცოდა, გრძნობდა, ეს რა იყო, მაგრამ სიფრთხილე გამოიჩინა და არაფერი უკითხავს, საკუთარ თავს სისინით ახსენებდა: „გახსოვდეს, გახსოვდეს. შენ არაფერი დაგიშავდება, ოღონდ არ შეიტყონ, რომ არაფერი იცი".

მაშასადამე, სწორედ ეს იყო ქალაქი. თავდაპირველად იგი მას ვარსკვლავების ზემოდან ერთიანად აელვარებული შეეგება. შემდეგ კი გადაყლაპა: მივარდა,

დაიხარა, ცხელ სუნთქვასავით, უზარმაზარი ბეტონის საშინელი სიმძიმით ისე დააწვა, კინაღამ სული შეეხუთა და ჰაერის ჩაყლაპვაც კი გაუჭირდა. ახლა კი მიხვდა, რატომ. „აქ არ სძინავთ, – გაიფიქრა მან, – დიდი ხანია, უძილოდ ცხოვრობენ და ძილს საერთოდ გადაეჩვივნენ, ვეღარ ჩერდებიან, ვეღარ ახერხებენ, რომ კვლავ მიეჩვიონ ძილს". უშველებელ სატრანსპორტო საშუალებებს შორის მოქცეული მანქანა მიღოღავდა, ჩერდებოდა, კვლავ მიღოღავდა, თან სხვადასხვა ფერის შუქის ციმციმსა და თანაბარ მონაცვლეობას ემორჩილებოდა, რკინიგზის შუქნიშნებს რომ წააგავდა. ბოლოს მანქანა ნაკადს გამოეყო და გაჩერდა.

– აი, ავტობუსების სადგური, – თქვა მძღოლმა, – თქვენ აქეთ გჭირდებათ, არა?

– გმადლობთ, – მიუგო მინკმა.

– აქედან ავტობუსები ყველა მიმართულებით გადის. თუ გინდათ, შემოგყვებით და გავიკითხავ.

– უღრმესი მადლობა, – თქვა მინკმა, – ყველაფერი კარგად იქნება.

– თუასეა, მშვიდობით! – უთხრა მძღოლმა.

– უღრმესი მადლობა, – უთხრა მინკმა, – მშვიდობით.

როგორც იქნა, ავტობუსების სადგურში მოხვდა. მაგრამ ვაითუ შენობაში შესვლისთანავე, მათი ახლანდელი ახალი კანონების მიხედვით, – მან ჯერ კიდევ პარჩმენში მოჰკრა ყური, რომ ახლა, ახალი კანონების შესაბამისად, ადამიანს ფიცრების დახერხვა და ლურსმნებით მათი ერთმანეთზე დაჭედებაც კი არ შეეძლო, თუ ფულს არ გადაიხდიდა და ნებართვას არ აიღებდა, ვერც ბამბას მოიყვანდა საკუთარ მიწაზე, თუ სახელმწიფო უფლებას არ მისცემდა, – ეიძულებინათ, პირველივე ჩამომდგარ ავტობუსში ასულიყო, მიუხედავად იმისა, თუ სად მიდიოდა იგი. უნდა მოეცადა, თითქმის მთელი ღამე უნდა მოეცადა, ჯერ ხომ ძალზე ადრე იყო. ამ თორმეტი საათის განმავლობაში კიდევ ერთ უსახელო გამვლელად გადაიქცეოდა იმ ბუნდოვან, უსახელო სახეებს შორის, რომლებსაც მის გარშემო მოეყარათ თავი და დაუსრულებლად, უწყვეტად მიიჩქაროდნენ ნაირფერი შუქის ქვეშ – აღელვებულები, მხიარულები, უძილოები. უეცრად რაღაც მოხდა. მოულოდნელად ქალაქი სწრაფად, შეუმჩნევლად, თავბრუდამხვევად ამოძრავდა, დატრიალდა, და ასევე მოულოდნელად დამუხრუჭდა, შეჩერდა, და ის მაშინვე მიხვდა, სად და როგორ გაატარებდა დარჩენილ თორმეტ საათს. მხოლოდ ქუჩა უნდა გადაეჭრა შუქნიშანზე, ბრბოს დამორჩილებოდა, შერეოდა, მასში ათქვეფილიყო, გადასვლის შემდეგ კი კვლავ გამოჰყოფოდა ბრბოს და მარტო განეგრძო გზა. აი, ის ადგილიც, სახელწოდებით „კონფედერაციის პარკი", ბილიკებითა და გაზონით დაფარული ადგილი, ზუსტად ისეთი, როგორიც ახსოვდა, ძელსკამების რიგი ქვის პარაპეტის გასწვრივ, სადაც შიგადაშიგ სამოქალაქო ომის დროინდელი თუჯის ზარბაზნები იდგა, პარაპეტის მიღმა კი მდინარის შეგრძნება და სუნი ელოდა. სწორედ აქ მოდიოდა გემების სანახავად ორმოცდაოთხი, ორმოცდახუთი და ორმოცდაექვსი წლის წინათ, როდესაც ფულის ნახევარს ბორდელში ხარჯავდა, მეორე ნახევარს კი ბოლო ღამისთვის ინახავდა,

რომლის შემდეგაც ჯეფერსონში დასაბრუნებელი ბილეთის გარდა, ჯიბეში არაფერი რჩებოდა.

მაშინ დამბასთან ქაიროდან და ნიუ-ორლეანიდან ჩამოსული გემები იდგა, სახელწოდებით „სტეკერ ლი", „ოზარკ ბელი", „ქრესნთ ქუინი". ისინი მის თვალწინ მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ნაპირზე კი ჯორ და ცხენშებმული ოთხთვალები კაკუნებდნენ, მტვირთავები ყვიროდნენ, ტრაპზე ზემოთ-ქვემოთ მოძრაობდა ბამბის შეკვრები, შეფუთული მანქანის დეტალები, ტომრები და ყუთები. პარაპეტთან მდგარ ძელსკამებზე მისნაირი უსაქმურები და ცნობისმოყვარეები შეჯგუფულიყვნენ. ახლა კი იქ არავინ ჩანდა. მაშინაც კი, როდესაც ქვის პარაპეტთან მივიდა ახლოს, სადაც ძველი ზარბაზნები იდგა, მდინარეზე ვერაფერი დაინახა, წყლის ფართო ზედაპირის გარდა, მხოლოდ იქიდან წამოსული სველი და ბნელი სიცივე უბერავდა, ასე რომ, სასწრაფოდ შეიკრა ქაღალდის პერანგზე გადაცმული ქაღალდის ქურთუკი. გარშემო ჩქამი არ ისმოდა, მხოლოდ ზურგს უკან მდებარე ქალაქის განუწყვეტელი უძილო ჩურჩული, არც არაფერი მოძრაობდა, ხიდიდან შორს, მდინარის ქვედა ნაწილში, წინ და უკან მიმავალი პატარა მანქანების გამოკლებით. ისინი ჩქარობდნენ, მათ ვნებებისა და მხიარულების დაუცხრომელი გუგუნი, მოქცევის ქაფი იზიდავდა, რომელმაც ის, მინკიც ჩაითრია, დაატრიალა დაუკან გამოაგდო, რადგან მას უღალატეს, აიძულეს, დიდხანს მოშორებოდა ამ ყველაფერს. ახლა აქაც კი იყინებოდა, ბებერ ზარბაზანთან, რომელსაც ძველი რკინის სუნი ასდიოდა, თავის ახალ და ამიტომ ტანზე უხერხულად მომდგარ, მაგარი ქაღალდის ტანსაცმელში იბუზებოდა, რომელიც ვერ ათბობდა. მალე უფრო აცივდებოდა, თუმცა აქ წყნარად და მშვიდად იჯდებოდა დარჩენილი თორმეტი საათის განმავლობაში. მაგრამ მას სხვა ადგილი გაახსენდა, სახელწოდებით „კორტ-სქვეარი" - იქ მდინარის ნესტისგან მაღალი შენობები დაიცავდა, მხოლოდ ცოტა უნდა მოეცადა, რათა მათ, რომლებიც, ალბათ, ძელსკამებზე ისხდნენ, ძილი მორეოდათ და თავ-თავიანთ სახლებში წასულიყვნენ.

როდესაც სინათლესა და ხმაურს დაუბრუნდა, ჯერაც დაუცხრომელი ბეტონის გუგუნი ნელ-ნელა შემცირდა, გაიფანტა, როგორც ზემოთ ასული კვამლი და ორთქლი იფანტება, და მხოლოდ სადღაც მაღლა, ლავგარდნებსა და შვერილებს შორის რჩებოდა კვალი. ზოგჯერ შემთხვევითი მანქანა ჩაიქროლებდა და ნაირფერ შუქს აფრქვევდა, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს შეშინებული მარტოობას გაურბოდა და კვლავ მარტოობისკენ მიიწევდა. აქ უფრო თბილოდა. მალე მოკალათდა კიდეც: მის გარდა სულიერი არ ჭაჭანებდა. მოსახერხებელი ძელსკამი აირჩია, დაწვა, მუხლები მოხარა, შეკრული ქურთუკის შიგნით დამალა და მიტოვებულ და ობოლ ბავშვს დაემსგავსა, მაგრამ უეცრად ფეხსაცმლის ლანჩაზე რაღაც მაგარმა მიუკაკუნა. საკმაო დრო გასულიყო და ცივი და გულგრილი ღამე იდგა. გვერდით პოლიციელი ედგა. მან ის ორმოცდაოთხი წლის შემდეგაც იცნო მრავალი ცვლილებისა და გარდაქმნის მიუხედავად.

- დალახვროს ეშმაკმა, ალბათ მისისიპელი ხარ, - თქვა პოლიციელმა, - მომისმინე, სად გაჩერდი ქალაქში? რა? ღამის გასათევი არა გაქვს? იცი, სადგური სად არის? იქ წადი და ორმოცდაათ ცენტად საწოლს მოგცემენ. აბა, წადი! - მაგრამ მიტოვებული და ობოლი არ განძრეულა, თუმცა მორიელზე მეტ სიბრალულს არ იწვევდა. - ჯანდაბა, მგონი, უფულოდხარ.

გამომართვი! – პოლიციელმა ნახევარი დოლარი ამოიღო, – ახლა კი მოუსვი, წადი აქედან. იცოდე, აქ ვიდგები, სანამ აქაურობას არ მოსცილდები.

– უღრმესი მადლობა, – მიუგო მინკმა. ნახევარი დოლარი. როგორც ჩანს, ახლა ასეთი კანონიც შემოეღოთ. გაახსენდა, რომ ამის შესახებ პარჩმენში სმენოდა. შემწეობა თუ რაღაც ამგვარი ერქვა: იგივე მთავრობა, რომელიც საკუთარ მიწაზე ბამბის დათესვას გიკრძალავს, უეცრად შენს დახმარებას გადაწყვეტს და ხან ლეიბს გაძლევს, ხან – პროდუქტსა და ხანაც ნაღდ ფულს, ოღონდ თავდაპირველად უნდა დაიფიცო, რომ საკუთრება არ გაგაჩნია, ამის დასამტკიცებლად კი შენი სახლი, მიწა ან ოთხთვალა თავის აკაზმულობიანად ცოლის, შვილების ან ისეთი ნათესავების სახელზე უნდა გადააფორმო, რომლებსაც ენდობი. და ვინ იცის: თუკი ნახმარი რევოლვერებიც ისე გაძვირდა, როგორც ყველაფერი, ეს ზედმეტი ორმოცდაათი ცენტი შესაძლოა, ჰყოფნოდა კიდეც და კიდევ ერთი პოლიციელის მოძებნა არ დასჭირვებოდა.

მაგრამ მეორე პოლიციელი თვითონ გამოჩნდა. სადგური ახლოს იყო. მას არ ეტყობოდა რამე ცვლილება: ბაქნის იგივე ხმაურიანი სიცარიელე, რომელსაც მაშინ გაივლიდა ხოლმე, როდესაც ჯეფერსონიდან ჩამოდიოდა – იმ პირველი, დაუვიწყარი ჩამოსვლისას (უკვე გამოთვალა: უკანასკნელად აქ ორმოცდაოთხი წლის წინათ იყო, პირველად კი სამი დოლარით მეტის, ანუ ორმოცდაშვიდი წლის წინათ), როდესაც ხელს ხვეწნით გამორთმეულ უბადრუკ ხურდას უჭერდა, მას თან მისი დამრიგებელი და გამცილებელი ახლდა – სწორედ მისგან გაიგო მემფისის იმ სპეციალური სახლების შესახებ, სადაც უამრავი თეთრი ქალი იმყოფებოდა და ყოველი მათგანის მიღება შეიძლებოდა, თუ ფული გქონდა. მანამდე მხოლოდ ბობოქარი და შემთხვევითი შეხვედრები იცოდა, ღებინებასავით დაუოკებელი, როცა ძლივს ასწრებდა ღილების ტკაცატკუცით შეხსნას, სანამ გზისპირა დამტვერილ ბალახზე ან ბამბის ნაწვერალზე დაეშვებოდა, სადაც დამალული და დაუბანელი ზანგის გოგონა ელოდებოდა. მაგრამ მემფისში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ის და მისი გამცილებელი ქუჩაში გამოვიდნენ და მთელი ქალაქი მათ წინ განერთხა, რათა მიეღო და გულში ჩაეკრა ისინი, ჯიბეს უბადრუკი მონეტების გროვა უწვავდა, რომლებიც წვალებით გამოემუშავებინა მოძრავ სამხერხაოებში შიგადაშიგ მუშაობით, სხვის შეუბრალებელ მიწაზე გუთნის ტარებით, ნაწილსაც ძალით ართმევდა მამას, ყოველი ნიკელისთვის ებრძოდა.

სადგურზეც ისევე თბილოდა და თითქმის არავინ ჩანდა, მაგრამ ამჯერად პოლიციელმა მანამ შეაჯანჯღარა, სანამ ჩაძინებას მოასწრებდა. მას ფორმა არ ეცვა, მაგრამ ასეთებსაც იცნობდა.

– გეკითხები, რომელ მატარებელს ელოდები-მეთქი? – ჰკითხა პოლიციელმა.

– მატარებელს არ ველოდები, – მიუგო მან.

– თუ ასეა, – უთხრა პოლიციელმა, – აქაურობას მოსცილდი, შინ წადი, – და მაშინვე, პირველივით: – ღამის გასათევი არა გაქვს? კარგი, მაშინ წადი, საიდანაც მოსულხარ, თუმცა იქ დასაძინებელი არ გქონია. წადი, გესმის?

მოშორდი! – და როცა არ განძრეულა: – გითხარი, წადი-მეთქი! რას ელოდები?

– ველოდები, როდის მომცემთ ნახევარ დოლარს.

– რა? რა თქვი? – ჰკითხა პოლიციელმა, – ნახევარი დოლარი მოგცე... ოჰ, შე... – მოიკუნტა და განზე გახტა, რათა მისთვის არ დაერტყათ. პატარა ბიჭის ტოლი იყო და ზორბა პოლიციელს უშველებელ დარბაზში მისი დაჭერა გაუძნელდებოდა... არც გაქცეულა, მხოლოდ ისე სწრაფად წავიდა, რომპოლიციელს ხელი ვერ ეტაცა, მას არც საფუძველი ჰქონდა ეყვირა „შეჩერდიო". იგი ქუჩაში უკან მოუხედავად გავიდა, პოლიციელმა კი კარებში გაჩერება ამჯობინა და მიაძახა: – შენი ფეხი აღარ ვნახო აქ!

ახლა უკეთ ერკვეოდა ადგილმდებარეობაში. გზაჯვარედინზე კიდევ ერთი სადგური იყო, მაგრამ, სავარაუდოდ, იქაც იგივე მოხდებოდა. როგორც ჩანს, ჩვეულებრივი ადამიანებივით სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ პოლიციელებს საერთო არაფერი ჰქონდათ იმ შემწეობასთან, რომელსაც ახალი კანონის მიხედვით არიგებდნენ. თანაც ღამეც იწურებოდა. ამას გრძნობდა. ახლომახლო სიარულს შეუდგა, რადგან ადგილები ეცნო. ზოგჯერ უკაცრიელ ჩიხებში ჩერდებოდა, დასასვენებლად სადარბაზო ან კედელთან მიდგმული ნაგვის ურნებისა და სანარცხე ვედროების უკან ჯდებოდა და ყოველთვის იღვიძებდა, როდესაც ძილი მოეკიდებოდა ხოლმე. და კვლავ მიდიოდა, და წყნარი და ცარიელი ქალაქი – ყოველ შემთხვევაში, ეს რაიონი – მას ეკუთვნოდა, და უწინდელივით, ამდენი წლის გასვლის მიუხედავად, ისეთივე მძაფრი და აშკარა გაოცებით ფიქრობდა: „ადამიანი ყველაფერს გაუძლებს, ოღონდ არ უნდა შეჩერდეს".

გათენდა, მაგრამ ქალაქს ჯერ არ გაეღვიძა, ქალაქი არც არასდროს იძინებდა; უბრალოდ, ხელახლა კი არა, კვლავ ჩანდა ფერმკრთალი, უხალისო და გამოუძინებელი სახეები, მხიარული და აღგზნებული ადამიანები წარმოუდგენელი, არნახული სიამოვნებისკენ მიიჩქაროდნენ, ახლა ზუსტად იცოდა, სად იმყოფებოდა: ამ ქვაფენილს, შესაძლოა, მისი ფეხის კვალიც შემოენახა – მან აქ ორმოცდაოთხი წლის წინათ გაიარა. ხუთი დღის განმავლობაში, რაც პარჩმენის ჭიშკრიდან გამოვიდა, პირველად იგრძნო თავდაჯერება, მოუწყვლადობა და ხელშეუხებლობა. „ახლა თუნდაც მთელ დოლარსდავხარჯავ იმაზე და არაფერი მომივა", – გაიფიქრა მან პატარა მაღაზიაში შესვლისას, სადაც რამდენიმე ზანგი რაღაცას ყიდულობდა.

მაღაზიის მფლობელიც ზანგი იყო, თუმცა, შესაძლოა, ის მხოლოდ კლიენტებს ემსახურებოდა. ისიც შესაძლებელია, რომ მაღაზია მას ეკუთვნოდა და ახალი კანონების მიხედვით, ზანგებსაც შეეძლოთ სავაჭრო ფარდულების გახსნა, და ოცდათვრამეტი წლის შემდეგ მას კიდევ რაღაც გაახსენდა.

– „კრეკეტი ცხოველები" მომეცით, – თქვა მინკმა. ახლა თავს უსაფრთხოდ, მოუწყვლადად, შეუვალად გრძნობდა, – ალბათ, ისიც მოიმატებდა ათი-თხუთმეტი ცენტით, არა? – დაამატა მან, თან ცირკის ბალაგანივით აჭრელებულ და ცხოველებით გერბივით მოხატულ მუყაოს ყუთს მიაჩერდა.

– ათი ცენტი, – უთხრა ზანგმა.

– ათი ცენტით გაძვირდა? – ჰკითხა მინკმა.

– უბრალოდ, ათი ცენტი, – თქვა ზანგმა, – იღებთ თუ არა?

– ორი ცალი მომეცით, – ჩაილაპარაკა მინკმა.

ის კვლავ გაუყვა ქუჩებს. მზე უკვე კარგად ანათებდა. აუჩქარებლად მიმავალ ბრბოს შეერია, თან ვანილით შეზავებულ პატარა ცხოველებს ახრამუნებდა. საკმაო დრო ჰქონდა, რადგან არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, სად იმყოფებოდა. საკმარისი იყო, შეტრიალებულიყო (ის არ შეტრიალებულა) და სწორედ იმ ქუჩას დაინახავდა, სწორედ იმ სახლს (მან, ცხადია, არ იცოდა და ვერც იცნობდა, თავისი უმცროსი ქალიშვილი რომ დაენახა, რომელსაც ახლა ეს სახლი ეკუთვნოდა), სადაც თავის დამრიგებელთან ერთად იმ ღამეს შევიდა ორმოცდაშვიდი წლის წინათ, და სადაც ქალების გაბრწყინებული მხრები ელოდებოდა, და ეს ქალები არა მხოლოდ ჰგავდნენ ელენას, ევასა და ლილიტს, არა მხოლოდ იმასვე აკეთებდნენ, რასაც ელენა, ევა და ლილიტი, არამედ მათსავით თეთრკანიანები იყვნენ, – იმ სახლს, სადაც მეძავის ლოგინში „არა" უთხრა როგორც თავისი მძიმე და უაზრო ცხოვრების ყველა მძიმე, ველურ წელს, ისე თვით სიკვდილსაც.

ფანჯარა ისეთივე იყო: გაურეცხავი მინა მავთულის ცხაურს მიღმა, სადაც კვლავაც შელახული ბანჯო, ღვლარჭნილი საათი და შუშის სამკაულები ეწყო.

– რევოლვერის ყიდვა მინდა, – უთხრა მან დახლთან მდგარ მამაკაცებს, რომლებსაც მეკობრეებივით მოლურჯო ნიკაპები ჰქონდათ.

– ნებართვა თუ გაქვთ? – ჰკითხა ერთ-ერთმა.

– ნებართვა? – გაიმეორა მინკმა, – მე მხოლოდ რევოლვერის ყიდვა მინდა. ადრეც მითხრეს, რომ აქ რევოლვერები იყიდება. ფული მაქვს.

– ვინ გითხრათ, რომ აქ რევოლვერები იყიდება? – ჰკითხა პირველმა.

– იქნებ ყიდვა კი არა, დაგირავებულის გამოსყიდვა უნდა, – თქვა მეორემ.

– ა-ა, ეს სხვა საქმეა, – ჩაილაპარაკა პირველმა, – რომელი რევოლვერის გამოსყიდვა გინდა, მამილო?

– როგორ? – ვერ მიუხვდა მინკი.

– ფული რამდენი გაქვთ? – ჰკითხა პირველმა. მინკმა მკერდის ჯიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოაძვრინა, ათდოლარიანი კუპიურა ამოიღო და გაშალა, – მხოლოდ ეს გაქვთ?

– თქვენ ჯერ რევოლვერი მანახვეთ, – განაცხადა მინკმა.

– მას ათ დოლარად ვერ იყიდით, ბაბუა, – თქვა პირველმა, – აჯობებს, სხვა ჯიბეებიც მოიქექოთ.

– მოიცა, – თქვა მეორემ, – იქნებ ის, რომლის გამოსყიდვაც უნდა, ჩემს პირად მარაგში აღმოჩნდეს... – იგი დაიხარა და დახლქვეშ ხელი მოაფათურა.

– კარგი აზრია, – დაეთანხმა პირველი, – თუკი შენს პირად მარაგში მისთვის რამე მოიძებნება, ნებართვა არც დასჭირდება, – მეორემ დახლქვემოდან რაღაც ამოიღო და წინ დაიდო.

მინკმა მშვიდად შეათვალიერა ნივთი.

– კუტერს (კუტერი – მდინარის კუ, გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში) ჰგავს, – თქვა მან. და მართლაც: პაჭუაცხვირიანი, გადაჭრილი ლულით, გაბერილი მბრუნავი ცილინდრით, ერთიანად დაჟანგული, მოღრეცილი ტარითა და დინგივით ბრტყელი ჩახმახით ადამისდროინდელი რომელიღაც პატარა კუს გაქვავებულ ნეშტს ჰგავდა.

– რა სისულელეა! – თქვა პირველმა, – ეს ხომ ნამდვილი სპეციალური ბულდოგია მაძებრებისთვის, ორმოცდაერთკალიბრიანი, თავდაცვისთვის უკეთესს ვერც მიაგნებთ. ის თავდასაცავად გჭირდებათ, არა? ვინაიდან, თუ სხვა საქმეში უნდა გამოიყენოთ, თუ არკანზასში უნდა წაიღოთ და იქ ადამიანებს ესროლოთ და ძარცვოთ, კანონი ამას არ მოითმენს. ამისთვის არკანზასშიც კი ციხეში სვამენ. ეს თქვენთან, მისისიპიშიც კი არ არის ნებადართული.

– მართალს ამბობთ, – თქვა მინკმა. – თავდაცვისთვის მინდა, – მან ათდოლარიანი დახლზე დადო, რევოლვერი აიღო, ჩახმახი ფეხზე შეაყენა და ლულას სინათლეზე გახედა, – რამდენი ჭუჭყი ყოფილა! – შესძახა მან.

– თუ ასეა, მეორე მხარეს როგორ ხედავთ? – ჰკითხა პირველმა, – თქვენი აზრით, ორმოცდაერთი კალიბრის ტყვია ამ გამჭოლ ხვრელში ვერ გაეტევა? – მინკმა რევოლვერი დაუშვა და ჩახმახის დაშვება დააპირა, როდესაც დაინახა, რომ ათდოლარიანი გამქრალიყო.

– მოიცადეთ! – თქვა მან.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! – ჩაილაპარაკა პირველმადა კუპიურა კვლავ დახლზე დადო, – მომეცით რევოლვერი. ათ დოლარად ასეთსაც კი ვერ მოგცემთ.

– აბა, რამდენს ითხოვთ?

– თქვენ რამდენი გაქვთ?

– სამი დოლარი დამრჩა. მე კი სახლამდე უნდა ჩავაღწიო, ჯეფერსონამდე.

– ცხადია, რომ სახლში უნდა წავიდეს, – თქვა მეორემ, – თერთმეტად მიეცი, მძარცველები ხომ არა ვართ?

– დატენილი არაა, – თქვა მინკმა.

– მთავარი ქუჩის კუთხეში მაღაზიაა, სადაც ორმოცდაერთი კალიბრის იმდენ ვაზნას მოგცემენ, რამდენსაც მოისურვებთ, კოლოფს ოთხ დოლარად, – თქვა პირველმა.

– ოთხი დოლარი არა მაქვს, – მიუგო მინკმა, – მხოლოდ ორი დამრჩება. არადა, სახლში უნდა წავიდე...

– თავდაცვისთვის მთელი კოლოფი რისთვის სჭირდება? – იკითხა მეორემ, – კარგი, რა გაეწყობა. ორ ვაზნას დაგითმობთ პირადი მარაგიდან. სულ რაღაც ერთ დოლარად.

– მაგრამ კიდევ ერთი ვაზნა მინდა შესამოწმებლად, – უთხრა მინკმა, – ცხადია, თუ გარანტიას არ მომცემთ.

– განა ჩვენ გთხოვთ გარანტიას, რომ არავის გაძარცვავთ და ტყვიას არ დაახლით? – განაცხადა პირველმა.

– კარგი, კარგი, ხომ უნდა შეამოწმოს, – მიუგო მეორემ, – მიეცი კიდევ ერთი ვაზნა... მოგვცემთ კიდევ მეოთხედ დოლარს? თვითონაც იცით, რომ ორმოცდაერთი კალიბრის ვაზნებს ვერსად იშოვით.

– იქნებ ათ ცენტად დამითმოთ? – ჰკითხა მინკმა, – როგორმე სახლამდე უნდა მივიდე.

– კარგი, კარგი, – თქვა მეორემ, – მიეცი რევოლვერი და სამი ვაზნა თორმეტ დოლარად და ათ ცენტად, სახლში ხომ უნდა მივიდეს. ნაძირალაა, ვინც იმ ადამიანის გაძარცვას ცდილობს, სახლში რომ სურს მოხვედრა.

ახლა ყველაფერი მოგვარდა. ადრეული შემოდგომის კაშკაშა მზით განათებულ ქუჩაში გამოვიდა, უძინარ, ვნებებით აღვსილ ქალაქში. ახლა ყველაფერი კარგად იყო. მხოლოდ ჯეფერსონში ჩასვლაღა დარჩენოდა, სულ რაღაც ოთხმოცი მილის გავლა.

თავი მეცამეტე

როდესაც 1945 წლის სექტემბერში ჩარლზ მალისონი შინ დაბრუნდა, ჯეფერსონში უკვე ახალი სნოუპსი იჯდა. მათი თვითმფრინავი ჩამოაგდეს („რაც მოსალოდნელი იყო", – ყოველთვის ამატებდა ჩარლზი მომხდარის მოყოლისას), მაგრამ კატასტროფა არ მოხდა. პილოტის მოვალეობას პლექსიგლასი, პლექსი ასრულებდა. სინამდვილეში მას ჰაროლდ ბადრინგტონი ერქვა, მაგრამ ჭკუას კარგავდა ცელოფნისთვის, რომელსაც პლექსიგლასს ეძახდა. ეს მას ლამის მანიად გადაქცეოდა: ყოველი ახალი სიგარეტის კოლოფის, ახალი პერანგის დანახვაზე, ახლა უხილავი, თვალშეუვალი შეფუთვით რომ უშვებდნენ, და გაფიქრებაზეც კი, ისეთი დაუოკებელი, ისტერიული გაშმაგება ეუფლებოდა, როგორიც გერმანელებისა და იაპონელების ხსენებაზე – ბევრ სამოქალაქო პირს, განსაკუთრებით

ორმოცდაათ წელს გადაცილებულებს. მან, პლექსიმ, საკუთარი სისტემა მოიფიქრა – როგორ გაემარჯვათ ამ ომში ცელოფანის დახმარებით: 17 და 24 თვითმფრინავებს, აგრეთვე ბრიტანულ „ბლენჰეიმებსა“ და „ლანკასტერებს“ ბომბების ნაცვლად, ცელოფანში შეფუთული თამბაქო და ახალი თეთრეულისა და ტანსაცმლის პაკეტები უნდა ჩამოეყარათ, და სანამ გერმანელები რიგში დადგებოდნენ, მათ დაუსჯელად დაბომბავდნენ ან უკეთესი – საპარაშუტო დესანტის მეშვეობით ჯგუფ-ჯგუფად აიყვანდნენ ტყვედ.

ეკიპაჟს პარაშუტებით გადმოხტომა არ დასჭირდა: პლექსმა ერთი ძრავითაც დიდებულად დასვა თვითმფრინავი. უბედურება ის იყო, რომ დასაფრენად სწორედ ის სოფელი შეარჩია, რომელიც გერმანელთა პატრულს იმ დილას ოკუპაციის ახალი მეთოდის ასათვისებლად შეერჩია და ამ ოპერაციის ჩასატარებლად შესაბამისი დირექტივებიც მიეღო, ასე რომ, ეკიპაჟმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ყველანი ლიმბურგის ტყვეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. ამასთან, მაშინვე გაირკვა, რომ ეს ყველაზე სახიფათო ადგილი იყო მათ შორის, სადაც კი ეომათ: ბანაკი იმ სარკინიგზო კვანძის გვერდით მდებარეობდა, რომელსაც ბრიტანეთის ავიაცია სისტემატურად ბომბავდა ყოველ საღამოს არაუმეტეს ოცდაათი-ორმოცი ფუტის სიმაღლიდან. ექვსი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ, როგორ განუხრელად მიცოცავდა დღეები კალენდარზე ოთხშაბათისკენ, როცა ქრონომეტრული სიზუსტით დაიწყებოდა ძრავების ღრიალი და აფეთქებების გრუხუნი, ჰაერს პროჟექტორების სხივები, ტყვიამფრქვევების ტყვიები და საზენიტო დანადგარების ჭურვების მოწუილე ნამსხვრევები სერავდა. მთელი ბანაკი ნარების თუ ნებისმიერი საგნის ქვეშ იმალებოდა, ოღონდაც ერთი-ორი დუიმის სისქის ნივთის ქვეშ შეეფარებინათ თავი, გაშმაგებისა და სასოწარკვეთისგან ყველას ერთი სურვილი უჩნდებოდა – გარეთ გავარდნილიყვნენ, ხელები ექნიათ და მათ თავზემოთ მოტრიალე ურჩხულებისთვის შეეძახათ: „ჰეი, ბიჭებო! ღმერთის გეშინოდეთ! ეს ჩვენ ვართ! ჩვენ!“ ეს რომ კინოფილმი ან რომანი ყოფილიყო, ამბობდა ჩარლზი, ისინი აუცილებლად გაიქცეოდნენ ბანაკიდან. მაგრამ თვითონ არასდროს შეხვედროდა ნამდვილი ბანაკიდან გაქცეულ თუნდაც ერთ ადამიანს, ასე რომ, ჩვეულებრივ სტანდარტულ გათავისუფლებას დაელოდა, რის შემდეგაც შინ დაბრუნდა და იქ, ჯეფერსონში, კიდევ ერთი, ახალი სნოუპსი აღმოაჩინა.

მაგრამ ჯეფერსონელები არ ნებდებოდნენ. სწორედ 1945 წლის იმ ზაფხულში, როდესაც ჯეფერსონმა ახალი სნოუპსი მიიღო, რეტლიფმა კლარენსი გაანადგურა. არა, რეტლიფს მისთვის ტყვია არ დაუხლია, მსგავსი არაფერი მომხდარა: მან მხოლოდ გაანადგურა კლარენსი: ხაზი გადაუსვა მას, როგორც იმის ფაქტორს, რასაც ჩარლზის ბიძა, გევინი, „ჩვენს მუდმივ სნოუპსფსიქოზსა და სნოუპსოფობიას“ უწოდებდა. ეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოხდა, კანდიდატების აგვისტოში წარდგენის წინ. ჩარლზი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა სახლში, არც ბიძამისი გევინი დასწრებია პიკნიკს, სადაც, ფაქტობრივად, მოვლენები განვითარდა და კლარენს სნოუპსი კონგრესის არჩევნებში ჩაფლავდა, თუმცა ეს არჩევნები, რომელშიც მთელი ქვეყანა მონაწილეობდა, მხოლოდ მომავალ წელს უნდა გამართულიყო. ჩარლზი სწორედ ამ შემთხვევას გულისხმობდა, როდესაც ამბობდა, რეტლიფმა კლარენსი გაანადგურაო. იგი ბიძამისის კაბინეტში იჯდა და ამჯერად გევინმა მიიმწყვდია რეტლიფი კუთხეში და კითხვები დააყარა:

– კარგი, კარგი. ახლა კი დაწვრილებით მომიყევი, რა მოხდა იმ დღეს.

სენატორ კლარენს ეგლსტოუნ სნოუპსს „კლანსს" ეძახდა ყველა თავისუფალი და თეთრკანიანი იოკნაპატოფელი ამერიკელი, რომელთა უფლება და მოვალეობა არჩევნებზე წასვლა და ჯვრის იქ დასმა იყო, სადაც ბებერი უილ უორნერი უბრძანებდა. სენატორი კლარენს სნოუპსი მას იმ პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ერქვა, როდესაც ბებერმა უორნერმა იგი დანიშნა თუ მიავლინა, ერთი სიტყვით, როგორღაც შტატის კონგრესის ზედა პალატაში, ქალაქ ჯექსონში გადაიყვანა. იქ სენატორმა ცხიმის დაგროვება დაიწყო (იგი ჯერ მაღალი, მოუქნელი ბიჭი იყო, შემდეგ ზომიერად გამბედავი და, მოუქნელობის მიუხედავად, მოძრავი ყმაწვილი, შემდეგ კი, მუდმივი ჯდომისა და გონებრივი შრომისგან, რაც მას, როგორც ხალხის მიერ არჩეულ მამას, დამრიგებელსა და იოკნაპატოფის ოლქის ინტერესების დამცველს ხვდა წილად, ცხვირი გაუწითლდა, ლოყები ჩამოეკიდა და მუცელი გაებერა), როდესაც მოულოდნელად, ივლისის დღეს, ოციანი წლების შუაში, როდესაც ჯეფერსონისა და იოკნაპატოფის ოლქის სამოც წელზე ახალგაზრდა ერთ მცხოვრებსაც არ ჰქონდა საკუთარი პიჯაკი, კლარენსი მოედანზე ქათქათა ტილოს კოსტიუმითა და შავიპეპელა-ჰალსტუხით გამოჩნდა, და იმავე დღეებში ან, შესაძლოა, ამ გამოჩენიდან ერთი-ორი დღის შემდეგ, გაოცებით აღმოაჩინეს, რომიგი ხელმოწერისას „სენატორ კ.-ე. სნოუპსს" აფიქსირებდა, და ჩარლზის ბიძამ, გევინმა, იკითხა:

– ეს „ე" საიდან გაუჩნდა? – და რეტლიფმა აუხსნა:

– იქნებ იმ თეთრ საქორწილო კოსტიუმთან ერთად იშოვა, როდესაც მემფისი გაიარა ჯექსონში სამუშაოდ მიმავალმა. რატომაც არა? განა კანონიერად არჩეულ სენატორს არა აქვს იგივე პირადი უფლებები, რაც ნებისმიერ თავისუფალ ამომრჩეველს?

მაგრამ ჩარლზს მიაჩნდა, რომ კლარენსმა მათ უკვე მაშინ აუბნია თავგზა, როგორც მოკრივე მოჰქანცავს ხოლმე მეტოქეს ისე, რომ ხეირიანად ერთხელაც არ მოარტყამს მუშტს. ასე რომ, ყველა ამომრჩეველი მშვიდად და მორჩილად შეხვდა იმ სიახლეს, რომ მათი საკუთარი პირადი ცინცინატი (ლუციუს კვინტიუს ცინცინატი – ცნობილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე) ამიერიდან სენატორ ეგლსტოუნ სნოუპსად იწოდებოდა. ბიძია გევინმა მხოლოდ იკითხა:

– ეგლსტოუნი? რატომ მაინცდამაინც ეგლსტოუნი? – რაზეც რეტლიფმა მიუგო:

– რატომაც არა? – მაშინ ბიძია გევინმაც გაიმეორა:

– მართალია, რატომაც არა?

ასე რომ, არსებითად, ვერავინ შეამჩნია, როდესაც მან „კ" ინიციალი დაიბრუნა და სენატორი კ. ეგლსტოუნ სნოუპსი გახდა, და მას აშკარად გაეზარდა მუცელი, თვალები შეუშუპდა და ქვედა ტუჩი ჩამოეფლაშა მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნებისგან. ვინაიდან კლარენსი ახლა სიტყვით მაშინ და იქ გამოდიოდა, როცა და სადაც უნდოდა: აქციონერთა შეკრებაზე, ქალთა კლუბებში, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი საბაბით, ოღონდ კი შეკრებილი საზოგადოება არ დაშლილიყო. ჩარლზი

ჯერაც გერმანელების ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა, როდესაც ბიძია გევინი და რეტლიფი უკვე მიხვდნენ, რომ კლარენსი ვაშინგტონის კონგრესში აპირებდა საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას, და რომ ბებერ უილ უორნერს შესაძლოა, მიეღწია კიდეც იმისთვის, რომ ის აერჩიათ – სწორედ ის კლარენს სნოუპსი, რომელიც ნელა, მაგრამ შეუქცევადად იკეთებდა კარიერას: ჯერ პოლიციელი იყო და პირადად და საიდუმლოდ იცავდა უორნერს თავის მეორე უბანში, შემდეგ რაიონის უფროსი კონსტებლი გახდა, შემდეგ ჯექსონში აირჩიეს ოლქის წარმომადგენლად ბებერი ბილის ფართომასშტაბიანი სამევახშეო შანტაჟის წყალობით, ბოლოს კი, ახლა, 1945 წელს, საარჩევნო ოლქის ყველა უორნერის მხარდაჭერითა და ურთიერთმოლაპარაკებით, ხმების გაყალბებით, ვაშინგტონში, წარმომადგენელთა პალატაში ასარჩევად დაასახელეს, სადაც, თუკი ადგილობრივი ან საოლქო მნიშვნელობის ვიღაც უილ უორნერის კი არა, ეროვნული და, შესაძლოა, საერთაშორისო მასშტაბის უილ უორნერის თათებში მოხვდებოდა, ღმერთმა იცის, რას მოიმოქმედებდა, თუ ვინმე როგორმე წინასწარ რამე ზომებს არ მიიღებდა. ასე იყო ივლისის იმ ღირსსახსოვარ დღემდე, უორნერის წისქვილზე ყოველწლიურად გასამართ პიკნიკამდე, როდესაც, ტრადიციისამებრ, წინასაარჩევნო კამპანიაში არა მხოლოდ საქალაქო და საოლქო, არამედ შტატისა და მთელი ქვეყნის ადმინისტრაციულ დაწესებულებებში არსებულ თანამდებობებზე პრეტენზიის მქონე კანდიდატები ჩაერთნენ, მაგალითად, ისეთები, როგორიც კლარენსი იყო, თუმცა თვითონ არჩევნები მხოლოდ მომდევნო წელს გაიმართებოდა. აქ კი კლარენსი არც მისულა ორატორთა ტრიბუნასთან საკუთარი კანდიდატურის გამოსაცხადებლად, მოკლედ, სადილის გამოტანამდე გაუჩინარდა. მეორე დღეს მთელ ოლქში გავრცელდა ხმა, რომ კლარენსმა არა მხოლოდ კონგრესში საკუთარი კანდიდატურის წარდგენაზე განაცხადა უარი, არამედ პოლიტიკური არენიდან საბოლოოდ წასვლასაც აპირებდა საკანონმდებლო ორგანოში მისი ვადის გასვლის შემდეგ.

მაგრამ ბიძია გევინს ის კი არ აინტერესებდა, კლარენსს რა შეემთხვა, არამედ ის, თუ რა დაემართა ბებერ უილ უორნერს. ვინაიდან კონგრესში ადგილის მოსაპოვებლად გამართული შეჯიბრებიდან კლარენსის მოსაცილებლად კლარენსისთვის კი არა, ბებერი უილისთვის უნდა მოერტყათ. კაცმა რომ თქვას, კლარენსისთვის ხელი არც უნდა ეხლოთ, რადგან მას სერიოზულად ისედაც არავინ აქცევდა ყურადღებას. როგორც დინამიტს არ აქცევ ყურადღებას, თუ მასზე ამნთები არაა მიერთებული. უამნთებოდ კლარენსი მხოლოდ ნახერხისა და ჭუჭყიანი ქაღალდის გროვა იყო, რომელიც წესიერად არც კი დაიწვებოდა, თუ ცეცხლს არ შეუნთებდით. ცხადია, თვითონაც საკმაოდ უნამუსო ბრძანდებოდა და დიდად არც ზნეობრივ საფუძვლებს დაგიდევდათ, მაგრამ იმ ხელისა და ტვინის გარეშე, მას რომ მიმართულებას აძლევდა, მიჰყავდა და ცოდვებსაც მიუტევებდა, კლარენსს შეეძლო, ნებისმიერის ხელში ქცეულიყო სათამაშოდ, ვინაიდან მხოლოდ სადიზმისა და თაღლითობის ბრმა ინსტინქტი გააჩნდა და მხოლოდ იმისთვის წარმოადგენდა საფრთხეს, ვისზეც მორალურ და გონებრივ უპირატესობას მოიპოვებდა, ასეთი კი მთელ დედამიწაზე მხოლოდ სხვა სნოუპსი თუ იქნებოდა, და სნოუპსების მრავალრიცხოვან ჯილაგშიც კი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, მოცემულ შემთხვევაში – კლარენსის უმცროსი ძმა დორისი, ჩვიდმეტი წლის ბრიყვი, რომელიც კლარენსს არა მხოლოდ სიმაღლითა და გარეგნობით ჰგავდა, არამედ გონებრივი ჩამორჩენილობითაც. ამას სამურავის (სამურავი – მტაცებელი ძუძუმწოვარი კვერნისებრთა ოჯახისა;ლათინურად მისი სახელი

სიტყვასიტყვით, ღორმუცელას ნიშნავს) ზნეობრივი პრინციპიც დაუმატეთ, იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ დორისი ჯერ შტატის საკანონმდებლო ორგანოში არ აერჩიათ. დიდი ხნის წინათ, ოციანი წლების ბოლოს, ბაირონ სნოუპსმა, რომელმაც პოლკოვნიკ სარტორისის ბანკი გაძარცვა, ტეხასში გაიქცა დაფასდადებით ოთხი ნახევრად სნოუპსი, ნახევრად ინდიელი აპაჩი გამოგზავნა, და კლარენსმა, ზაფხულს შინ რომ ატარებდა სესიებს შორის, სწორედ ისინი აირჩია საკუთარი ხუმრობებისა და დაცინვის სამიზნედ. მაგრამ შტატის სენატორის თანამდებობაზე მყოფ კლარენსს პრესტიჟი თავისი ამომრჩევლებისთვის კი არ უნდა დაეცვა, არამედ, ცხადია, იმიტომ, რომ მშვენივრად იცოდა – ბებერ უორნერთან ხუმრობა კარგს არაფერს მოუტანდა და ვაი მას, ვინც მის amour-propre-ს (Amour-propre – თავმოყვარეობა (ფრ.)) შეეხებოდა. ასე რომ, კლარენსი მხოლოდ ხუმრობას იგონებდა, მას კი მისი ძმა დორისი ასრულებდა, სანამ ოთხი პატარა ინდიელი დორისს ნეიტრალურ ტერიტორიაზე არ ჩაუსაფრდა. მათ ის დაიჭირეს, შეკრეს, ტყეში შეგროვებულ ფიჩხზე დააწვინეს და ცეცხლის წაკიდებაც კი მოასწრეს, მაგრამ ვიღაცამ დორისის ყვირილი გაიგონა და იგი უკანასკნელ წამს გადაარჩინა.

თვითონ კლარენსი ახლა ოცდაათ წელს გადასცილებოდა და უკვე შტატის სენატორი იყო. მისი კარიერა დიდი ხნის წინათ დაიწყო – თვრამეტი-ცხრამეტი წლის იქნებოდა – უორნერის მაღაზიაში, სადაც ნათესავებისა და მლიქვნელების ბანდას მეთაურობდა (მაღალსა და ღონიერს, რეტლიფის თქმით, ჩხუბი უყვარდა, ოღონდ თუ მეტოქე სიმაღლით ჩამორჩებოდა), და ყველანი ჩხუბობდნენ, ბანქოს თამაშობდნენ, ლოთობდნენ, ზანგებს სცემდნენ, ფრენჩმენსბენდელ ქალებსა და ახალგაზრდა ქალიშვილებს შიშს ჰგვრიდნენ. ამან ბებერი უორნერი ისე გააღიზიანა და გააბრაზა, რომ კლარენსს საზოგადოებრივი საქმიანობა შეაწყვეტინა, რისთვისაც მომრიგებელ მოსამართლეს უბრძანა, იგი მის პირად კონსტებლად დაენიშნა. აი, სწორედ მაშინ გადაწყდა საბოლოოდ კლარენსის მთელი ცხოვრება, არსებობა და ბედი, როგორც ფეიერვერკის ბედი გადაწყდება, როცა მასთან ასანთს მიიტანენ.

მაგრამ მისი წინსვლა სწრაფად, ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად არ მომხდარა. შესაძლოა, თავდაპირველად თვითონაც ვერ მიხვდა, ვერ გაერკვია, როგორი კარიერა ელოდა. პირველ ხანს ყველაფერს აკვირდებოდა, ორიენტაციის აღებას, გაგნებას ცდილობდა – ეს სად აღმოვჩნდიო, და მხოლოდ შემდეგ გახედა მის წინ გახსნილ გზას ერთგვარი გაოცებანარევი უნდობლობით. ჯერ გაუკვირდა, თუმცა მალევე აღაფრთოვანა უსაზღვრო პერსპექტივამ, რომლის შესახებაც მისთვის მანამდე არავის ეთქვა. თავიდან წესიერადაც კი იქცეოდა. ყველას ეგონა, რახან ადრე თავხედურად ეჭირა თავი უკანონო ბანდის იმედით, ახლა, ყოვლისშემძლე კანონის, იგივე უილ უორნერის მხარდაჭერით, საერთოდ აიწყვეტსო. მაგრამ მან ყველა მოატყუა. ამის ნაცვლად, ფრენჩმენსბენდში სამოქალაქო უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ბურჯად გადაიქცა. მაგრამ, ცხადია, პირველივე ზანგებს, რომლებსაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას შეეჩეხა, ეს ძვირად დაუჯდათ. თუმცა ახლა ზანგებთან სასტიკ მოპყრობაშიც ერთგვარი გულგრილობა შეიმჩნეოდა. ადრე, მის ამაღლებამდე, მის კანონიზაციამდე, ის და მისი ბანდა ზანგებს პრინციპის გულისთვის სცემდნენ. არა რამე ცუდი საქციელისთვის სასჯელის სახით, და არც იმისთვის, ბიძია გევინის თქმით, რომ უცხო რასას მიეკუთვნებოდნენ, მათგან განსხვავდებოდნენ და ამიტომ, თავისთავად, მტრები იყვნენ, არამედ

ამ რასის მიმართ შიშის გამო (ამასთან, ბიძია გევინი იმასაც ამბობდა, რომ ეს არც კლარენსს ესმოდა და არც მის ბანდას, რადგან ამას საკუთარ თავსაც ვერ უმხელდნენ). იმიტომ კი არ ეშინოდათ, რომ შავი ფერის იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ თეთრკანიანებმა გადააქციეს ისინი საკუთარი უთავბოლო და უგუნური მართვის საფრთხედ. თვითონ თეთრებმა აიძულეს შავები, ესწავლათ, როგორ გამოეყენებინათ უკეთ და უფრო გონივრულად ყოველი წვრილმანი, ყველაფერი ცუდი, თუკი შავკანიანს თეთრკანიანთა გარემოცვაში თავის გადარჩენა უნდოდა – ესწავლა, უკეთ დაემუშავებინა მიწა ყველაზე არასრულყოფილი იარაღით, რომლებიც არც ჰყოფნიდა, ყველაზე პრიმიტიული საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილებულიყო, მოფრთხილებოდა და არ გაეფლანგა არაფერი, რაც სიცოცხლის შესანარჩუნებლად გამოადგებოდა. მაგრამ ახლა კლარენსი ზანგებს სხვაგვარად ეპყრობოდა. ახლა, როცა ზანგს ხელკეტს ან პისტოლეტის ტარს ჩაარტყამდა, რომელსაც ოფიციალურად ატარებდა, ამას ერთგვარი გულგრილობით აკეთებდა, თითქოს მის წინ შავკანიანი ან თუნდაც, უბრალოდ, ადამიანი არც იდგა – კლარენსი ამ ადამიანის მიმართ კანონის ძალას შესამოწმებლად, დასადასტურებლად იყენებდა, იმისთვის, რომ კვლავ და კვლავ დაემტკიცებინა საკუთარი თავისთვის ან, შესაძლოა, საკუთარ თავში იმის რწმენა განემტკიცებინა, რამდენად დიდი იყო მისი ოფიციალური ძალაუფლება და კანონიერი ხელშეუხებლობა, და რამდენად ძლიერი იყო ფიზიკურად წლების გასვლის მიუხედავად.

თანაც ისინი ყოველთვის ზანგები როდი იყვნენ. სინამდვილეში კლარენსის ახალი ძალაუფლების პირველი მსხვერპლი მისი მოადგილე გახდა, რომელიც მასთან ერთად ხელმძღვანელობდა იმ ძველ ბანდას. კლარენსმა ამჯერად უფრო მეტი სისასტიკეც კი გამოიჩინა, ვინაიდან იმ კაცმა მათ უწინდელ ურთიერთობაზე, მათ წარსულზე თამაში სცადა. როგორც ჩანდა, კლარენსმა იმიტომ არ დაიშურა ძალისხმევა, რომ საკუთარიადრინდელი ბუნებრივი, ინსტინქტური სისასტიკისა და ძალადობისკენ მიდრეკილებისთვის მოუსყიდველობისა და პატიოსნების სახის მიცემა სურდა, და ეს მოუსყიდველობისა და პატიოსნების ნიღაბი ისე ძვირი დაუჯდა, რომ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შეენარჩუნებინა. ერთი სიტყვით, იგი ძალიან შეიცვალა დაჩარლზის ბიძიამ თქვა, როგორც უწინ, სანამ კლარენსზე მადლი გადმოვიდოდა, ყველა მიიჩნევდა, რომ მის გამოსწორებას საშველი არ დაადგებოდა, ახლაც ყველამ უცბად დაიჯერა, რომ მისი ახალი სახე სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი დარჩებოდაო. მაშინაც სჯეროდათ, როცა შეიტყვეს (ეს უბრალო ჭორი არ იყო – კლარენსი თვითონ ტრაბახობდა, თავს იწონებდა ამით), რომ კლარენსი კუ-კლუქს-კლანის წევრი გახდა, როდესაც ეს ორგანიზაცია ჩვენს არემარეში გამოჩნდა (ჩვენთან ფეხი ვერ მოიკიდა და ცოტა ხანს იარსება, და ისედაც, საყოველთაო აზრით, რომ არა კლარენსი, არც არასდროს იარსებებდა). მაგრამ კლანმა იგი მიიღო, იმიტომ, რომ სჭირდებოდა ის, ყოველ შემთხვევაში, შეეძლო, გამოეყენებინა, ან, როგორც ბიძია გევინი ამბობდა, იმიტომ, რომ არ არსებობდა ამქვეყნად ძალა, რომელიც მას კლანში გაწევრიანებაზე უარს ათქმევინებდა, იმიტომ, რომ იგი კლანისთვის იყო გაჩენილი, ისევე, როგორც კლანი იყო მისთვის შექმნილი. კლარენსი მანამ გაწევრდა მასში, სანამ ფრენჩმენსბენდის კონსტებლი გახდებოდა. ეს, ასე ვთქვათ, მისი პირველი უბიწო დებიუტი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაინდად პირველი კურთხევა და საყოველთაო აღიარება, ჯერ კიდევ შედარებით უწყინარი, ვინაიდან კუ-

კლუქს-კლანის მსგავსი ორგანიზაციაც კი ხვდებოდა, რომ კლარენსის დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა. ის მათთვის დამჯერე იარაღად რჩებოდა, უხეშ ძალად, იმად, რასაც შემდეგ გამპანღურებელი უწოდეს, – მანამ, სანამ გაღიზიანებულმა და გაბრაზებულმა ბებერმა უორნერმა იგი უფროს კონსტებლად არ აქცია, რასაც დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჭორი მოჰყვა, თითქოს იგი მათი საბჭოს, კლავერნის თუ რასაც უწოდებდნენ, იმის წევრი გახდა, კიდევ ორი წლის შემდეგ კი – კლანის მთავარი ადგილობრივი „დრაკონი" თუ „კლარწივი": ბებერმა უორნერმა იგი საზოგადოებრივი სიმშვიდის დარაჯად დანიშნა, თვითონ მან კი საკუთარი თავი საზოგადოებრივი ზნეობის არბიტრად გამოაცხადა.

როგორც ჩანს, სწორედ მაშინ დაინახა რეალურად ის დიდი და ბრწყინვალე პერსპექტივა, რომლისკენაც ბედმა გზა გაუხსნა და გაოცებითა და უნდობლად უყურებდა ამ თითქოსდა უსასრულო შესაძლებლობებს და ვინ იცის, იქნებ აფრთხობდა კიდეც იმის გაფიქრება, რომ ღირსად სცნეს, იმისთვის აირჩიეს, რათა შეუზღუდავად გამოევლინა ამ ასპარეზზე თავისი შესაძლებლობები, ნიჭი და უნარი – არა მხოლოდ საშინლად, სრულ დამორჩილებამდე ეცემა ხალხი, არამედ ეიძულებინა კიდეც, მის სასარგებლოდ ემუშავათ; არა მხოლოდ ვაზნებივით დაეხარჯა ან ღორებივით და ცხვრებივით შეეჭამა ისინი, არამედ მუშაობისთვის გამოეყენებინა, ხარებისა და ჯორების მსგავსად, განუწყვეტლივ, წლიდან წლამდე, და მათი საშუალებით სულ ახალი და ახალი კვალი გაევლო; არა მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენში მათი ხელმოწერით, ანუ ჯვრის დასმით, ესარგებლა, – იქ, სადაც ბებერი უილ უორნერი უბრძანებდა, – არამედ მათი სიძუნწით, სიხარბითა და მუდმივი შიშითაც, და ეს ყველაფერი ისე მარჯვედ დაეწყო, თითქოს ის, კლარენსი, მთელი ცხოვრება პოლიტიკოსი იყო და არა სოფლის უბრალო კონსტებლი, ისიც მხოლოდ ბოლო წლების განმავლობაში. და როგორც ჩარლზის ბიძა ამბობდა, მას ამაში უბრალო და უშეცდომო ინსტინქტი ეხმარებოდა და არა რომელიმე დამრიგებელი ან ვინმეს მაგალითი. ეს ყველაფერი ხომ იქამდე დიდი ხნით ადრე მოხდა, სანამ ჰიუ ლონგი იმ სიმაღლეზე ავიდა, საიდანაც თავის თანამემამულე ბილბოს, მისისიპის შტატის სენატორს, აჩვენა, თუ რა შეუძლია ადამიანს ცოტა ფულით, შემართებითა და ყოველგვარი შემაკავებელი ცენტრების გარეშე.

ასე რომ, როდესაც კლარენსმა შტატის საკანონმდებლო ორგანოში ასარჩევად თავისი კანდიდატურა წამოაყენა, მათ, ანუ მთელმა ოლქმა, იცოდა, რომ მისი პოლიტიკური პლატფორმა ბიძია ბილ უორნერის სახელი იქნებოდა. ფაქტობრივად, ყველამ მაშინვე დაასკვნა, რომ იდეა კანდიდატურის შესახებ კლარენსს კი არა, ბიძია ბილს მოუვიდა თავში, რომ ბიძია ბილის გაღიზიანებამ იმ წერტილს მიაღწია, კლარენსი იქაურობისთვის საერთოდ უნდა მოეცილებინა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა შეცდა. კლარენსს საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა ჰქონდა. და აქ დადგა მომენტი, როდესაც ზოგიერთი ადამიანი, მაგალითად, რეტლიფი, ჩარლზის ბიძა და ჩარლზის მსგავსი რამდენიმე ბიჭი (თვითონ ჩარლზი მაშინ რვა-ცხრა წლის იქნებოდა), რომელიც მათ უჯერებდა, მიხვდა, რომ ჯობდა, თუ კლარენსის შეეშინდებოდათ, აცახცახდებოდნენ და მისგან თავს შორს დაიჭერდნენ. მას კი საკუთარი პლატფორმა ჰქონდა. ასეთ პლატფორმაზე მხოლოდ ამორალური და უკიდურესად კადნიერი ადამიანი თუ შედგებოდა, ვინაიდან ამით იგი თავის ამომრჩევლებს ღალატობდა. ის უმნიშვნელო რაოდენობის ხმა,

არჩევნების ბედი მის სასარგებლოდ რომ გადაწყვიტა, მან მათ შორის დააგროვა, ვინც არათუ არ ემორჩილებოდა უილ უორნერის თვითმპყრობელურ ხელისუფლებას, არამედ სხვა ვითარებაში დედამიწის ნებისმიერ მცხოვრებს უფრო მისცემდა ხმას, ვიდრე მას, მაგრამ მან კუ-კლუქს-კლანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ის თვითონ იყო მათი მთავარი ადგილობრივი „კლარწივი", „დრაკონი" – ერთი სიტყვით, რასაც მათში უფროსობას უწოდებდნენ – იმ წუთამდე, სანამ საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებდა, ყოველ შემთხვევაში, ყველას ასე მიაჩნდა. და უეცრად იგიკუ-კლუქს-კლანის დაუძინებელი მტერი გახდა, წინასაარჩევნო კამპანიას კი თითქოს სასხვათაშორისოდ ატარებდა, ვინაიდან მისი მთავარი მისია დრაკონის განადგურება იყო. და მან საარჩევნო რბოლაში იმ ჯეფერსონელი მცირერიცხოვანი ამომრჩევლის წყალობით გაიმარჯვა, რომლებმაც მოულოდნელად ხმა მას მისცეს – სკოლის მასწავლებლებმა, ახალგაზრდა პროფესიონალებმა, ქალებმა, ანუ იმ ნაკითხმა და გულუბრყვილო ლიბერალებმა, რომლებსაც სჯეროდათ, რომ წესიერება, პატიოსნება და პირადი თავისუფლება გაიმარჯვებდა, ვინაიდან თვითონ იყვნენ წესიერები და პატიოსნები. მაგრამ მათ პოლიტიკურ შეხედულებებში ერთსულოვნება არ არსებობდა, სანამ კლარენსმა არ გააერთიანა. ისინი არჩევნებშიც კი არ მონაწილეობდნენ ყოველთვის. და უეცრად დამცველი გამოუჩნდათ იქიდან, რისიც ეშინოდათ, რაც სძულდათ. და კლარენსი ჯექსონში არა პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩეული იღბლიანი კანდიდატის სახით ჩავიდა, არამედ როგორც აღიარებული პალადინი, და საკანონმდებლო ორგანოში სიწმინდისა და უმწიკვლობის შარავანდით შემოსილი თეთრი რაინდივით შეაბიჯა, თან იმ ყოფილი თანამებრძოლების დაბნეული და შეშინებული მზერა მიაცილებდა, რომელთაც აშკარად გამოეყო და ჩამოსცილდა. და მან მართლა მოსპო კუ-კლუქს-კლანი იოკნაპატოფის ოლქში, კლანის ერთ-ერთმა ვეტერანმა კი განაცხადა: „დალახვროს ეშმაკმა, თუკი არჩევნებზე მასწავლებლების, რედაქტორებისა და საკვირაო სკოლების მცირერიცხოვანი უბადრუკი ჯგუფი ვერ დავამარცხეთ, რატომ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ზანგების, კათოლიკეებისა და ებრაელების წყეულ მოდგმას მოვერევით?"

მოკლედ, კლარენსი აირჩიეს. როგორც ჩარლზის თაობა იტყოდა, მან ეს მოახერხა. მომდევნო არჩევნებამდე, ორი წლის განმავლობაში, შეეძლო მშვიდად მიეხედ-მოეხედა, შეერჩია, სად დაებიჯებინა – კლდის შვერილზე ჩამოკიდებული ალპინისტივით. ეს ჩარლზის ბიძამ მოიგონა: ალპინისტი. მაგრამ ალპინისტი მთაზე მხოლოდ იმიტომ არ ადის, რომ მწვერვალს მიაღწიოს. ის მაშინაც ჯიუტად ივლის წინ, როდესაც იცის, რომ იქ ვერასდროს ავა. მისთვის მთავარი სიხარული და კმაყოფილების შეგრძნება იმის გაცნობიერებაა, რომ მასა და მის სასიკვდილოდ დაშავებას შორის მხოლოდ მისი სიმტკიცე, ნებისყოფა და სიმამაცეა. კლარენსმა კი არც იცოდა, რომ მთაზე ადიოდა, რადგან ვერსად ჩამოვარდებოდა, მას მხოლოდ ხელს თუ ჰკრავდნენ გზის დასათმობად, თუმცა საკითხავი იყო, ეყოფოდა თუ არა ვინმეს ძალა და ოსტატობა, რომ კლარენს სნოუპსისთვის ხელი ეკრა და გზიდან ჩამოეცილებინა.

ასე რომ, თავდაპირველად ოლქში ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს კლარენსი მხოლოდ მიყუჩდა და ახალი თამაშის წესებს სწავლობდა და იმახსოვრებდა. არავინ იცოდა, რომ ის, ძირითადად, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებას სწავლობდა, როგორც კი ასეთი

შესაძლებლობა გაუჩნდებოდა. ის მოთმინებით ელოდა ასეთ შემთხვევას, მაშინაც კი, როდესაც სხდომებზე სიტყვით გამოსვლა დაიწყო – კვლავაც თეთრი რაინდის სახით, რომელმაც იოკნაპატოფის ოლქში ფანატიზმი და შეუწყნარებლობა ამოძირკვა, როგორც მიამიტ იდეალისტებს მიაჩნდათ, რომელთა ხმებმაც მცირედით, მაგრამ გადაწონა არჩევნების ბედი კლარენსის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დანარჩენი ოლქი მშვენივრად მიხვდა, რომ კლარენსი ყოველთვის ქადაგებდა სიძულვილს ზანგების, კათოლიკეებისა და ებრაელთა მიმართ – ანუ სწორედ იმ ორგანიზაციის დოქტრინას, რომლის განადგურების წყალობითაც კარიერა გაიკეთა: როდესაც „ვერცხლისფერი პერანგები" გამოჩნდა, მისისიპის შტატიდან კლარენსი ერთ-ერთი პირველი შევიდა მასში, ოღონდ არა იმიტომ, რომ, როგორც ჩარლზის ბიძა ამბობდა, „ვერცხლისფერი პერანგების" პრინციპებს იზიარებდა, არამედ, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ, მისი აზრით, ეს ორგანიზაცია უფრო მტკიცე იქნებოდა, ვიდრე მის მიერ განადგურებული ადგილობრივი კლანი. ამ დროისთვის კლარენსის კურსი აშკარად გამოიკვეთა: ნებისმიერ საზოგადოებასა თუ ორგანიზაციაში შესულიყო, რომლის დაბრიყვებასა და მართვას შეძლებდა – რელიგიური თუ პატრიოტული გრძნობების გაღვივებით ან ჩვეულებრივი სიხარბისა და გაუმაძღობის წაქეზებით პოლიტიკური ტორტის ნაჭრის მისათვისებლად. თვითონ დაბადებიდანვე ფრენჩმენსბენდში არსებულ ბაპტისტურ ეკლესიას მიეკუთვნებოდა, ახლა იმავე ეკლესიაში ჯექსონში დადიოდა, სადაც ორჯერ გადაირჩიეს, და ეკლესიის სკოლაში ასწავლიდა. იმავე ზაფხულში ოლქში ხმა გავრცელდა, რომ მან შტატის საკანონმდებლო ორგანოში საკუთარ თანამდებობაზე დროებით უარის თქმა გადაწყვიტა, რათა არმიაში ან ფლოტში იმდენ ხანს ემსახურა, რამდენიც ამერიკულ ლეგიონში მისაღებად იქნებოდა საკმარისი.

კლარენსმა ზუსტად მოარტყა. მან მოახერხა და კარიერა გაიკეთა. ჩარლზს კინაღამ წამოსცდა მასზე „მთელი ოლქი გაყოო", მაგრამ სიტყვა „გაყოფა" ერთგვარ წონასწორობას გულისხმობს, თუნდაც არამდგრადს, როდესაც სასწორის ერთი თეფში აშკარად მსუბუქია და განუხრელად მიიწევს ზევით. მაგრამ თუ კლარენსსა და იოკნაპატოფის ოლქზე ვილაპარაკებთ, უფრო მსუბუქი თეფში მაღლა კი არ მიიწევდა, იგი, უბრალოდ, უჰაერო სივრცეში აიჭრა და იქიდან ცდილობდა ხმის მოწვდენას. კლარენსმა მთელი ჩვენი ოლქი გადაყლაპა, როგორც ამას ვეშაპები და ბუკიოტები აკეთებენ, შემდეგ კი, ბუს მსგავსად, ყველაფერი უკან გადმოყარა იმ ზედა თეფშზე, რისი გადამუშავებაც ვერ მოახერხა – კანი და ძვლები, ანუ ის ერთი მუჭა წარუმატებელი, ნაკითხი, ლიბერალი, მცირეშემოსავლიანი გონებრივიშრომის მუშაკები, რომლებმაც მას მისცესხმა, ვინაიდან დაასკვნეს, რომ ეს მან მოსპო კუ-კლუქს-კლანი. მათ ის იდეალისტებიც უნდა მივუმატოთ, მაგალითად, ბიძია გევინი და რეტლიფი, რომლებმაც ამჯერად კლარენსს მისცეს ხმა, როგორც ნაკლებ უბედურებას, ვინაიდან მან კუ-კლუქს-კლანის წინააღმდეგ გაილაშქრა. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ განწირულნი კიდევ უფრო მეტი წარუმატებლობისთვის: თუ სკოლისა და მუსიკის მასწავლებლებს და თეთრსაყელოიან სხვა უწყინარ ინტელიგენტებს, ზეპირად რომ იცოდნენ პრეზიდენტ რუზველტის სიტყვით გამოსვლის ტექსტი, კვლავ და კვლავ სჯეროდათ, რომ პატიოსნება, სამართლიანობა და წესიერება გაიმარჯვებდა, რადგან თვითონ პატიოსნები, სამართლიანები და წესიერები იყვნენ, ბიძია გევინსა და რეტლიფს ეს არასდროს სჯეროდათ და ვერც დაიჯერებდნენ.

მაგრამ კლარენსს მათთვის ხელი არ უხლია. ისინი ძალზე ცოტანი იყვნენ, ისე ცოტა, რომ შეეძლო მათთვის ყოველწლიურად გაეგზავნა მასობრივი წარმოების მისალოცი ღია ბარათები – როგორც ამბობდნენ, ამ ბარათებით ის ფირმა ამარაგებდა, რომელსაც წლიდან წლამდე ეხმარებოდა ავტომობილების ნომრებისთვის საწარმოებელ თუნუქის ფირფიტებზე კონტრაქტის მიღებაში. რაც შეეხება დანარჩენ ამომრჩევლებს, ისინი მხოლოდ კლარენსის მითითებას ელოდებოდნენ, თუ სად დაესვათ ჯვარი და ამით ნებისმიერ თანამდებობაზე აერჩიათ, რომელსაც მოისურვებდა, შტატის უმაღლესი თანამდებობის ჩათვლით, რომლისკენაც, მთელი ოლქის აზრით (მათ შორის ბიძია გევინის მსგავსი ერთი მუჭა იდეალისტებიც შედიოდნენ), ის მიისწრაფოდა: შტატის გუბერნატორის სავარძლისკენ. ჰორიზონტზე უკვე მოჩანდა ჰიუ ლონგი, როგორც ნიმუში მისისიპის შტატის ყოველი პოლიტიკოსისთვის, და მთელ ოლქს ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ მათ კანდიდატსაც შეეძლო, მისი მაგალითისთვის მიებაძა. როდესაც კლარენსმა ისე აიტაცა ჰიუ ლონგის საბრძოლო მოწოდება, – „გამოვწუროთ მდიდრებს ფული", – თითქოს ის მას, კლარენსს მოეფიქრებინოს, გევინსა და რეტლიფს მაშინაც კი სჯეროდათ, რომ კლარენსი გუბერნატორის სასახლეზე მაღლა არ უმიზნებდა და თუმცა იმ 1930-1935 წლებში, მისისიპიში, ფაქტობრივად, ვერავის გამოსწურავდით ფულს ნამდვილი მდიდრების არარსებობის გამო, – ვინაიდან არც მრეწველობის რამე დარგი იყო განვითარებული და არც ნავთობს ან ბუნებრივ აირს მოიპოვებდნენ, – მაგრამ თვითონ აზრი, რომ შეგეძლოთ ვიღაცისთვის ის წაგერთმიათ, რაც თქვენ არ გქონდათ, მას კი ჰქონდა, თანაც სრულიად დაუმსახურებლად, რადგან არც თქვენზე ჭკვიანი იყო და არც შრომისმოყვარე, უბრალოდ, გაუმართლა, – ეს მოწოდება არა მხოლოდ იოკნაპატოფის ოლქის, არამედ მთელი მისისიპის შტატის ყოველი მეპაიის თუ მოიჯარის საარჩევნო ცნობიერების სიღრმემდე აღწევდა. შესაძლებელია, კლარენსი მისისიპის გუბერნატორად მაშინაც კი აერჩიათ, თუ მოუწოდებდა, რომ ფული მდიდრებისთვის სადმე ლუიზიანაში, ალაბამაში, მენსა თუ ორეგონში გამოეწურათ.

ასე რომ, ისინი (ბიძია გევინისა და რეტლიფისგან შემდგარი პურისტების (პურისტი – ადამიანი, რომელიც ტრადიციული წესებისა და სტრუქტურების, განსაკუთრებით ენისა და სტილის თავგამოდებული მომხრეა) ციცქნა ჯგუფი) ისე არ გაუოცებია იმ ჭორს, რომ ერთ დროს კლარენსი მისისიპიში ამერიკული ლეგიონის სათავეში აპირებდა მოსვლას, როგორც იმან გააკვირვა, რაც სამი წლის წინათ შეიტყვეს (მაშინ ჩარლზი ჩვენი ოლქიდან უკვე გამგზავრებულიყო და წინასწარ სწავლებას გადიოდა, რათა მომდევნო ათი თვე გერმანელების ტყვეთა ბანაკში გაეტარებინა): თითქოს შტატის ყველაზე ძლიერმა პოლიტიკურმა ფრაქციამ, რომელსაც თავისუფლად შეეძლო საკუთარი კანდიდატი გუბერნატორის სავარძელში დაესვა, კლარენსს ვიცე-გუბერნატორის თანამდებობა შესთავაზა, და რომ კლარენსმა უარი განაცხადა. მას ამისთვის ახსნა-განმარტება არ მოუყოლებია, მაგრამ ეს არც იყო საჭირო, რადგან ახლა უკვე მთელი ოლქი – როგორც ბიძია გევინის ციცქნა ჯგუფი, ისე ყველა ამომრჩეველი – მიხვდა, რა მიზანი დაესახა კლარენსს: ვაშინგტონი, კონგრესი. ამან მხოლოდ თვით ბესტიარამდე განლაგებულ კატაკომბებში მცხოვრებნი ააღელვა, დანარჩენებს კი ტრიუმფი და აღფრთოვანება აგრძნობინა: ის, ვინც კლარენსის კალთის ჩაბღაუჭებით ჯექსონის სახელმწიფო გობს (შედარებით პატარას) მიუახლოვდა, ახლა მკაფიო გზას ხედავდა ვაშინგტონის უზარმაზარი, ამოუწურავი ვარცლისკენ.

მაგრამ ამან ბიძია გევინი და რეტლიფი მხოლოდ კი არ გააოცა და განაცვიფრა, არამედ შეაშინა კიდეც, შეაძრწუნა იმ ადამიანმა, რომელმაც კუ-კლუქს-კლანი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა, შემდეგ კი მისი გულუბრყვილობით ისარგებლა და გაანადგურა ის, როდესაც აღარ სჭირდებოდა; ადამიანმა, რომელიც ბაპტისტურ ეკლესიას იყენებდა, სანამ ის მას ემსახურებოდა, რომელმაც WPA, NRA, AAA, CCC (აშშ-ის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაწესებულებები) და სხვა ორგანიზაციებიც გამოიყენა, არადა, ისინი მათ შეექმნათ, ვინც ოცნებობდა და იმედოვნებდა, ადამიანები ტანჯვისგან ეხსნა, და თუ რყევებისა და კატასტროფების დროს ტანჯვა გარდაუვალი იყო, დაე, ყველას ერთნაირად ეტანჯა; ადამიანმა, რომელიც ხან ორგანიზაციას უჭერდა მხარს, ხან მის წინააღმდეგ გამოდიოდა, იმისდა მიხედვით, თუ საიდან უბერავდა პოლიტიკური ქარი, – ოცდაათიან წლებში მან იმ პარტიის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელმაც იგი შვა, ახლა კი იმ თაღებქვეშ, სადაც ჯერაც შემორჩენილიყო ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეებისა და ჰუმანისტების გამოსვლის ექო, რასობრივი, ეკონომიკური და რელიგიური შეუწყნარებლობით აღსავსე მისი ხმა გრგვინავდა (ადრე მის პოლიტიკურ კრედოში ყველაზე მძლავრი პუნქტიმდიდრეებზე თავდასხმა იყო, ახლა კი ყველაზე ხმამაღლა მშრომელთა ორგანიზებული მასების მიმართ შიში ჟღერდა), და ვერაფერი გადაეღობებოდა კონგრესისკენ მიმავალ გზაზე, გარდა ამ ერთი მუჭა გულუბრყვილო ხალხისა, რომლებსაც ჯერაც სჯეროდათ, რომ ბოროტება მხოლოდ იმიტომ მოისპობოდა, რომ ის ბოროტება იყო, ხალხისა, რომლებისაც კლარენსს იმდენად არ ეშინოდა, რომ საშობაოდ კვლავაც უგზავნიდა მისალოც ბარათებს.

– მაგრამ ასეთი ადამიანები ძალზე ცოტანი არიან, – თქვა ჩარლზის ბიძამ, – ისინი ყოველთვის უმნიშვნელო როლს ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში. ათი ათასჯერ მეტნიც რომ იყვნენ, ის მათ გააბრიყვებდა.

– შესაძლოა, – მიუგო რეტლიფმა (ჩარლზს მისმა ბიძია გევინმა უამბო ყველაფერი, რაც სექტემბერში მის დაბრუნებამდე მოხდა, როცა უკვე ყველაფერი დასრულდა და კლარენსი, ასე თუ ისე, დამარცხდა და იძულებული გახდა, რბოლა მიეტოვებინა ბებერ უილ უორნერთან გამართულ პიკნიკზე მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ივლისში; ბიძია გევინსა და რეტლიფს შორის საუბარი კი მანამდე, ჯერ კიდევ აპრილში გაიმართა), – კარგი იქნებოდა, აქ ჩვენი ახალგაზრდობა დაგვებრუნებინა, თუნდაც ორი-სამი დღით, ოღონდ მომავალი წლის ჩვიდმეტ აგვისტომდე (აშშ-ის კონგრესის არჩევნების დღე) . უმსგავსობაა, რომ ადამიანებმა ეს ომი გააჩაღეს, ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველი ჯარში გაიწვიეს და არც დაფიქრებულან, რომ ისინი იმისთვის გვჭირდება, რომ კლარენს სნოუპსი კონგრესში ვერ მოხვდეს.

– თქვენ გჭირდებათ? – ჩაეკითხა ბიძია გევინი, – თქვენში ვის გულისხმობთ?

– მგონი, ახლახან თქვით, რომ ჩვენნაირი ბებრები კლარენსს ვერაფერს დააკლებენ, რომ გულხელდაკრეფილი ჯდომისა და წუხილის გარდა სხვა არაფერი დაგვრჩენია.

– დიახ, ვერაფერს დავაკლებთ, – თქვა ბიძია გევინმა, – თუმცა, ცხადია, არც ისე ცოტანი ვართ. ჩვენი ასაკისა და თაობის ხალხმა გვარიანი სამუშაო გასწია – ის კარგი შექმნა, რაც ახლა გვაქვს. მაგრამ ჩვენი დრო წავიდა, აღარაფერი შეგვიძლია, ის კი არა, გვეშინია კიდეც ყველაფერში ჩარევისა. უფრო სწორად, კი არ გვეშინია, გვეუხერხულება. არა, არაფრის გვეშინია: უბრალოდ, ძალზე მოვხუცდით. როგორც ჩანს, დავიღალეთ, იმდენად დავიღალეთ, რომ არაფრის გვეშინია, დამარცხებისაც კი. მაგრამ ახლა ბოროტებისადმი სიძულვილი ცოტაა. თქვენ – ან, შესაძლოა, სხვა – ამ ბოროტებას უნდა შეებრძოლოთ. ამის გაკეთება, ალბათ, სხვას მოუწევს, მაგრამ თუ იაპონელები აგვისტოს არჩევნებამდე დაგვნებდებიან, შინ ძალზე ცოტა ეს „სხვა" დაბრუნდება. ჩვენ კი უკვე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

– ასე ჩანს, – დაეთანხმა რეტლიფი.

ბიძია გევინი სიმართლეს ამბობდა. შესაძლოა, არც რეტლიფი ცდებოდა. პირველი, ვინც კლარენსს არ შეეპუა და მას არჩევნებში შეებრძოლა, იმ სხვათაგან იყო, რომელთა შესახებაც ბიძია გევინი ამბობდა – შტატის შორეული, განაპირა მხრიდან, ჩარლზზე ოდნავ უფროსი, ოღონდ, როგორც თვითონ ჩარლზმა აღნიშნა, გაცილებით მამაცი. კონგრესში მისი კანდიდატურა კლარენსისაზე ადრე წამოაყენეს. არჩევნები მომავალ, 1946 წელს ჩატარდებოდა და მანამდე საკმაო დრო რჩებოდა. მაგრამ კლარენსი ყოველთვის ასე იქცეოდა: ელოდებოდა, სხვა კანდიდატი ან კანდიდატები როდის განაცხადებდნენ, იტყოდნენ ან მიანიშნებდნენ, თუ როგორი პოლიტიკური პლატფორმა ჰქონდათ. კლარენსმა დაანახვა იოკნაპატოფის ოლქს, ასე რატომ იქცეოდა: რადგან ყველაზე ბოლოს გამოდიოდა, პოლიტიკური პლატფორმის მოფიქრება არც სჭირდებოდა, ვინაიდან იმ დროისთვის მის მთავარ და ყველაზე საშიშ კონკურენტს მისთვის ასეთი პლატფორმა უკვე მიეწოდებინა. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ კლარენსმა იმ ადამიანის მდგომარეობით ისარგებლა და მისი მამაცობა მისსავე წინააღმდეგ იარაღად გამოიყენა.

ამ კაცს დევრისი ერქვა და 1941 წლამდე მის შესახებ ჩვენს ოლქში არაფერი ვიცოდით. მაგრამ, იქიდან მოყოლებული კი ბევრი შევიტყვეთ. 1940 წელს ის პირველი იყო თავისი საუნივერსიტეტო გამოშვების ოფიცერთა სარეზერვო კორპუსში, უნივერსიტეტი დაამთავრა, ოფიცრის ჩინი მიიღო და ახალ, 1942 წელს უკვე ოკეანის გადაღმა იმყოფებოდა. 1943-ში, როდესაც იგი შეერთებულ შტატებში დააბრუნეს, რათა სესხის მისაღებად ხელმოწერის კამპანიაში „ატმოსფერო შეექმნა", უკვე მაიორი იყო (ჩარლზის თქმით), ორდენების აღმნიშვნელი ლენტი კი იმდენი ჰქონდა, რომ მათგან გრძელი ჰალსტუხი გამოვიდოდა. ეს ჯილდოები მაშინ მიეღო, როცა ზანგების რაზმს მეთაურობდა: იგი ზანგებისგან შექმნილ ნაწილში დანიშნეს პირადი შემადგენლობის რომელიღაც ტვინნაღრძობი თეორეტიკოსის გადაწყვეტილებით, რომელმაც მიიჩნია, რომ რადგან სამხრეთელი იყო, მაშასადამე, უკეთ გაუგებდა ზანგებს. და ის (როგორც ჩარლზი ვარაუდობდა), რასაკვირველია, ბრწყინვალედ მეთაურობდა თავის პოლკს – რამდენიმე მიზეზის გამო: როგორც სამხრეთელმა, შესანიშნავად იცოდა, რომ თეთრკანიან მამაკაცს ზანგების არასდროს ესმოდა და მათ ვერც გაუგებდა, თუკი ის ზანგში ჯერ ზანგს დაინახავდა და უკვე შემდეგ – ადამიანს, ვინაიდან მათი გამყოფი

გაუმტარი კედელი ერთადერთი თავდასაცავი იყო შავკანიანი ადამიანისთვის, რომლის მიღმაც თავის გადასარჩენად იმალებოდა. შესაძლოა, სესხის გავრცელება დევრისს არ ეხერხებოდა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამისთვის თავს არ იწუხებდა. თვითმხილველთათქმით, ოჯახს მისი ჩამოსვლით გამოწვეული სიხარული ჯერაც არ განელებოდა, რომ იგი კვლავ ფრონტზე წავიდა და მესამედ უკვე დამსახურებული პოლკოვნიკის წოდებით დაბრუნდა, ლამის ყველა ორდენის კავალრად და პროთეზით – ფეხის ნაცვლად; და სანამ ვაშინგტონისკენ მიემგზავრებოდა, სადაც ბოლო და უმაღლესი ორდენით უნდა დაეჯილდოებინათ, სახლში შეიტყვეს, რომ იმ დღეს, როდესაც მეორეჯერ დაასრულა ომი და უკვე სახლში უნდა დაებრუნებინათ, გენერალს მისთვის მკერდზე ბოლოსწინა ორდენი მიემაგრებინა. მაგრამ შინ წასვლის ნაცვლად, ორდენი საველე ჩანთაში ჩადო, კვლავ საფრონტო ფორმა ჩაიცვა და მანამ არ მოასვენა შტაბი, სანამ მესამეჯერ არ გაგზავნეს ფრონტზე, სადაც ერთხელ, ღამით, პოლკის დარჩენილი ნაწილის მეთაურობა თავის მოადგილეს გადააბარა და ზანგ სერჟანტთან და მეკავშირესთან ერთად გადამღობი ცეცხლით მახეში მოქცეული მეზობელი ბატალიონისკენ გაფოფხდა, ჯარისკაცებს გამყოლად მეკავშირე მიუჩინა და უკან დააბრუნა, მან და სერჟანტმა კი მოწინააღმდეგის შეტევა მოიგერიეს და მახესაც თავი დააღწიეს, ამასთან, დაჭრილ სერჟანტს ზურგზე მოკიდებულს მიათრევდა, სანამ თვითონაც ტყვია არ მოხვდა. მაშინ მათთან მოუხეშავი გოლიათი ზანგი, არკანზასელი მებამბე მიხოხდა, ორივე აიტაცა და თავისიანებამდე მიიყვანა. როდესაც ცალფეხმოჭრილმა დევრისმა ნარკოზის შემდეგ თვალი გაახილა, მანამ არ მოეშვა ირგვლივ მყოფთ, სანამ ის ზანგი მებამბე არ მიუყვანეს. როგორც კი დაინახა, მედდას საწოლის ფეხებთან დაგდებული თავისი საველე ჩანთიდან ორდენი ამოაღებინა, ზანგს უთხრა, „წამომაყენე, შე გოლიათო ნაბიჭვაროო“, და მედალი მკერდზე მიუმაგრა.

სწორედ ის იყო კლარენსის მეტოქე კონგრესის არჩევნებში. არმიაში მის გარდა სხვა რომ არავინ ყოფილიყო, ვისაც, სპეციალისტების აზრით, ზანგების „გაგება“ შეეძლო, დევრისი (ჩარლზის თქმით) მაშინაც კი ვერაფრით დაიყოლიებდა უფროსობას, რომ იგი, ცალფეხა, ფრონტზე გაეგზავნათ. ახლა მას მხოლოდ სამოქალაქო ხელმძღვანელობის დარწმუნებაღა დარჩენოდა, რომ სადმე მიევლინებინათ, მან კი კონგრესის გარდა, ვერაფერი მოიფიქრა. და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, გაებედა და კლარენს სნოუპსის მსგავსი დიდი ხნის კაპიტალდაბანდება გამოეწვია, რომელიც, სიტუტუცის გამო, ფრონტზე ნებაყოფლობით ორჯერ წავიდა. ყველაფერი უფრო სწორი გზით რომ წასულიყო, ვთქვათ, 1944 წლის მოვლენებს 1943-ში გადმოენაცვლა, ან არჩევნები გადაეტანათ ერთი წლით გვიან, იაპონელები 1945 წლამდე დანებებულიყვნენ, ყველა დასახიჩრებულ ახალგაზრდას კი შინ დროულად ჩაეღწია, ისინი ცოტანი იქნებოდნენ და დევრისი, საბოლოოდ, იმავე არაორგანიზებული პოლიტიკური იდეალისტების მემკვიდრეებს უნდა დაყრდნობოდა, საკმარისად გულუბრყვილოებს, რათა დაეჯერებინათ, თითქოს დემაგოგიას, პირმოთნეობასა და შეუწყნარებლობას ვერ და არ უნდა ეარსება და არც იარსებებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს დემაგოგია, პირმოთნეობა და შეუწყნარებლობა უკვე გამოიყენა კლარენსმა და კიდეც მოისროლა ოც წელზე მეტი ხნის წინათ. ჩარლზის ბიძამ რეტლიფს უთხრა:

– ისინი არასდროს იქნებიან მართლები. მათ ჰგონიათ, რომ კლარენს სნოუპსს ებრძვიან. სულაც არა. მათ წინაშე არც კონკრეტული პიროვნებაა და არც განსაზღვრული პოლიტიკური ვითარება. შუბლით უმტკიცეს კლდეს ასკდებიან – ჩვენი ეროვნული ხასიათის საფუძველს. მას კი ის განაპირობებს, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური ინსტიტუტები არ არის და არც არასდროს ყოფილა ის ხერხი და საშუალება, რომლითაც შეგვიძლია, ქვეყანა მშვიდობიანად, ღირსეულად, პატიოსნად და უსაფრთხოდ ვმართოთ. პირიქით, ისინი იმ უნიჭოების ნაციონალური თავშესაფარია, რომლებმაც სხვა ასპარეზზე ვერაფერს მიაღწიეს და პოლიტიკაში ის საქმიანობა აღმოაჩინეს, რომელიც მათ და მათ ოჯახებს უზრუნველყოფს, შედეგად კი, ვალდებულნი ვართ, საკუთარი ჯიბიდან ვაჭამოთ და ჩავაცვათ ამ პოლიტიკოსებს, შევინახოთ ისინი. ყველაზე უტყუარი გზა ამერიკაში არჩევით თანამდებობაზე მოსახვედრად შვიდი-რვა შვილის გაჩენა, შემდეგ კი სამხერხაოში გაუფრთხილებლობით ხელის ან ფეხის დაკარგვაა. არადა, ისეთი მოურიდებელი ოპტიმისტი, შვიდი-რვა შვილი რომ გააჩინა და მათ ვერაფერს აჭმევს, სამხერხაოში მუშაობის მეტს, ისეთი უტვინო დოყლაპია, ხელი ან ფეხი მოძრავ ხერხს რომ შეუშვირა, ღირსია, რომ ვერასდროს მოიპოვოს საზოგადოების მცირე ნდობაც კი. არა, კლარენსს ვერ მოერევიან. მას კონგრესში იმ უბრალო მიზეზის გამო აირჩევენ, რომ თუ ჩავარდება, ისეთს ვერაფერს გააკეთებს, რაშიც ამქვეყნად ერთი ადამიანი გადაუხდის ხელფასს შაბათ საღამოსთვის, ბებერი უილ უორნერი, სნოუპსების მთელი ოჯახი და მათი მეგობრები კი სულაც არ აპირებენ კლარენსის გამოკვებასა და შენახვას მთელი ცხოვრების განმავლობაში. აი, ნახავთ, რაც მოხდება.

ისეთი პირი უჩანდა, რომ ბიძია გევინი მართალი აღმოჩნდებოდა. დადგა მაისი, დრო პოლიტიკური კამპანიის დაწყებისა, რომელიც წარმატებული უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. კლარენსი კი საკუთარ კანდიდატურას ოფიციალურად არ აყენებდა. ცხადია, ყველა ხვდებოდა, რატომაც. მაგრამ მკაფიოდ ვერავის წარმოედგინა, როგორ აპირებდა კლარენსი დევრისის დამსახურების საკუთარი პლატფორმისთვის გამოყენებას, რა გზით სურდა დევრისის სამხედრო დიდებით სარგებლობა კონგრესის არჩევნებში მის დასამარცხებლად. და როდესაც, როგორც იქნა, მის გეგმას თანდათანობით ნათელი მოეფინა, მთელმა იოკნაპატოფის ოლქმა თუ არა, იქ მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა კიდევ რაღაც შეიტყო იმ კლარენსის შესახებ, რომლისგვერდითაც არხეინად გაეტარებინათ ოც წელზე მეტი. კერძოდ, რაოდენ საშიში იყო კლარენსის უნარი – ხმების მისაღებად ნორმალური, შეიძლება ითქვას, უწყინარი ადამიანური უნამუსობის გამოყენებისა. მან ამჯერადაც აიძულა ისინი, ვის დამცველადაც აპირებდა ყოფნას, თვითონ მისულიყვნენ მასთან და ეთხოვათ, მათი დაცვა ეკისრა, და არა მხოლოდ შევედრებოდნენ, რომ მათი რაინდი ყოფილიყო, არამედ მოეფიქრებინათ კიდეც ან მიეთითებინათ ის საქმე, რის დასაცავადაც ის მათ დასჭირდებოდათ.

ჩარლზს ბიძამისმა გევინმა უამბო, თუ როგორ შეიტყო მთელმა ოლქმა ერთხელ, მაისში თუ ივნისის დასაწყისში, რომ კლარენსი არათუ არ აპირებდა კონგრესში საკუთარი კანდიდატურის წაყენებას, არამედ მას საზოგადოებრივი საქმიანობის შეწყვეტაც სურდა. ამის შესახებ ოფიციალურად, ხმამაღლა არ განუცხადებია, მხოლოდ მშვიდად ეუბნებოდა ბებერი უილ უორნერის ამომრჩეველთა იმ ფარის ხან ერთ, ხან მეორე

ცხვარს, რომელიც მორჩილად დაჰყვებოდა კლარენსს საარჩევნო უბანზე. და ამის შესახებ, ბიძია გევინის სიტყვებით, ხმადაბლა, ოდნავ სევდიანადაც კი ამბობდა, თითქოს უკვირდა, ამას თვითონ როგორ ვერ ხვდებიანო.

– ეჰ, მე უკვე მოვხუცდი, – წუწუნებდა კლარენსი (ორმოცს ახლახან გადაცილებულიყო), – დროა, ადგილი სხვას დავუთმო. მით უმეტეს, რომ ისეთი მამაცი ახალგაზრდა კაცი გვყავს, როგორიც კაპიტანი დევრისია...

– პოლკოვნიკი დევრისი, – უსწორებდნენ მას.

– პოლკოვნიკ დევრისს შესანიშნავად შეუძლია თქვენი ინტერესების დაცვა, ჩემი სამუშაოს გაგრძელება, მე ხომ ყოველთვის ვცდილობდი, ჩვენი ხალხისა და ჩვენი ოლქისთვის მეტი სიკეთე მომეტანა.

– მაშასადამე, მისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებთ? მას მხარს დაუჭერთ?

– რა თქმა უნდა, – აცხადებდა კლარენსი, – ჩვენ, მოხუცებმა, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ თქვენთვის, დროა, დავისვენოთ. კონგრესში ახალგაზრდები გვჭირდება, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ. ცხადია, გენერალი დევრისი...

– პოლკოვნიკი დევრისი, – უსწორებდნენ მას.

– ...პოლკოვნიკი დევრისი სასურველზე ოდნავ ახალგაზრდაა. პირადად მე, შედარებით უფროსს ავირჩევდი. მაგრამ დრო ამასაც გამოასწორებს. რასაკვირველია, მის ზოგიერთ შეხედულებას ვერასდროს დავეთანხმები. ვფიქრობ, არც მისისიპსა და სამხრეთში გაიზიარებენ მათ ჩემნაირი მოხუცები. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენ ყველანი დავბერდით, დროს ჩამოვრჩით და ის, რისიც გვჯეროდა, რისთვისაც ვიბრძოდით და თუ საჭირო იყო, ვიტანჯებოდით კიდეც, ეს ყველაფერი მოძველდა და აღარავის სჭირდება, შესაძლოა, სწორედ მისი ახალი იდეების განხორციელებაა საჭირო ჩვენს ოლქში, მისისიპის შტატში და, საერთოდ, სამხრეთში...

აქ, ცხადია, ყველა ეკითხებოდა:

– ნეტა რა ახალი იდეები აქვს?

და მორჩა. საქმე გაკეთებული იყო. კლარენსი ყველას უყვებოდა: ამ ადამიანს, პოლკოვნიკ დევრისს (ახლა მას მისი წოდება აღარ ეშლებოდა) ისე შეუყვარდა თავისი ზანგები, როდესაც მათ ბრძოლებში მეთაურობდა, რომ ორჯერ ნებაყოფლობით დაბრუნდა მათთან ფრონტზე, შესაძლოა, პროტექციითაც კი (ყველამ იცოდა, რომ მან საკმარისად იომა სამშობლოსა და დემოკრატიისთვის და შეეძლო, მეტიც, სრული უფლება ჰქონდა, აღარ ეომა), და ფრონტზე მხოლოდ იმიტომ ბრუნდებოდა, რომ მათთან ურთიერთობა გაეგრძელებინა. საკუთარი სიცოცხლეც კი სასწორზე შეაგდო ვიღაც ნიგერის გადასარჩენად, თვითონაც ზანგმა იხსნა. მამაცი ადამიანი იყო (ეს მისი ქვეყნის მთავრობამაც გაამყარა და დაადასტურა, როდესაც ორდენებით, მათ შორის, უმაღლესითაც, დააჯილდოვა), პატიოსანიც (ამას ორდენებიც ადასტურებდა, მათ მხოლოდ პატიოსანი სამსახურისთვის

იძლეოდნენ), მაგრამ უცნობია, რომელ კურსს აირჩევდა, რის არჩევას შეძლებდა, რის არჩევას გაბედავდა, თუ კონგრესში მოხვდებოდა, რომელიც უკვე ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებსაც შეეძლოთ საბოლოოდ დაემსხვრიათ, გაენადგურებინათ ბუნებრივი, კანონიერი (კანონიერი? დიახ, თვით ღმერთმა დააწესა და დააკანონა ისინი) საზღვრები თეთრკანიან და შავკანიან ადამიანებს შორის. და ასე შემდეგ. საქმე გაკეთებული იყო. როგორც ბიძია გევინი ამბობდა, კლარენსი, ფაქტობრივად, უკვე აერჩიათ და არც შტატსა და არც ოლქს ფულის დახარჯვაც კი აღარ დასჭირდებოდა საარჩევნო უბნების მოსაწყობად და ხმების დასათვლელად. საპატიო ორდენმა, რომელიც დევრისმა სახელმწიფოსგან ჯილდოს სახით მიიღო იმისთვის, რომ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იმ პრინციპებს იცავდა, რომელზეც თვით ეს სახელმწიფო იყო აგებული, რომლის წყალობითაც არსებობდა, ამ საპატიო ორდენმა სამუდამოდ დაასამარა დევრისის ყველა შანსი – ემუშავა იმ კონგრესში, რომელმაც იგი გმირად გამოაცხადა.

– გასაგებია? – უთხრა ჩარლზის ბიძამ რეტლიფს, – კლარენსს ვერაფრით დაამარცხებთ.

– თქვენი აზრით, არაფერი შეგვიძლია? – ჰკითხა რეტლიფმა.

– ცხადია, შეგვიძლია, – მიუგო ბიძია გევინმა, – მხარი უნდა დავუჭიროთ მას.

– მხარი დავუჭიროთ მას? – ჩაეკითხა რეტლიფი.

– ეს ყველაზე ეფექტიანი, ყველაზე ძველი, – ოჰ, დიახ, ეჭვგარეშეა, პირველი, ყველაზე პირველი პოლიტიკური პრინციპია იმ ძველი დროიდან მოყოლებული, როდესაც გამოქვაბულის ორი ადამიანი მესამის წინააღმდეგგაერთიანდა.

– მხარი დავუჭიროთ – მას? – იკითხა რეტლიფმა.

– კარგი, – თქვა ბიძია გევინმა, – მაშინ თქვენ მითხარით, როგორ მოვიქცეთ, მე კი მხარს დაგიჭერთ.

ჩარლზს ბიძამისმა უთხრა, როგორ შეხედა რეტლიფმა მას და თვალები აახამხამა.

– უფრო მარტივი გამოსავალია საჭირო. მარტივი და მკაფიო პრობლემაა, მაშასადამე, პასუხიც მარტივი და მკაფიო უნდა იყოს. კლარენსსაც მარტივი და მკაფიო განზრახვა აქვს – კონგრესში მოხვედრა, სულერთია როგორ. მაშასადამე, მათ, ვისაც მარტივად და მკაფიოდ არ სურს მისი იქ შეშვება, მარტივი და მკაფიო, სულერთია როგორი, ხერხი უნდა მოიფიქრონ „არას" სათქმელად.

ჩარლზის ბიძამ კვლავ თქვა:

– კარგი. იპოვეთ ის, მე კი შემოგიერთდებით.

მაგრამ, ცხადია, რეტლიფისთვის ყველაფერი ისე მარტივი და მკაფიო არ იყო, როგორც კლარენსისთვის. ჩარლზს ბიძამისმა აუხსნა, რომ კლარენსს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება და აგიტაცია არც სჭირდებოდა. მისთვის ბებერი უილ უორნერის მიერ საკუთარ წისქვილში მოწყობილ პიკნიკზე ორატორებისთვის განკუთვნილ ტრიბუნასთან დადგომა და იმაში დარწმუნებაც საკმარისი იყო, რომ ყველა შეძლებდა ბიულეტენზე სიტყვა „სნოუპსის" წაკითხვას, ვისაც ოცდაერთი წელი შესრულებოდა და ვისთვისაც უილ უორნერს დიდი ხნის წინათ ჩაეგონებინა, ვის სასარგებლოდ მიეცა ხმა. კაცმა რომ თქვას, დევრისს უკვე დანებებაც შეეძლო და, ბიძია გევინის თქმით, ისეთი ხალხიც მოიძებნა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ის ასეც უნდა მოქცეულიყო. მაგრამ შეეძლო კი ამის გაკეთება ამდენი ორდენის მფლობელს, – ხუთი თუ ექვსი სხვენზე ეწყო ჩემოდანში თუ სადღაც სხვაგან, – რომლებიც მამაცობისა და ამტანობისთვის მიეღო? დევრისი ჯეფერსონშიც კი ჩავიდა, კლარენსის მამულში, და იქ სიტყვითაც გამოვიდა, ვითომც არაფერიო. მაგრამ სწორედ აქ იყო ძაღლის თავი დამარხული. ჯერაც ცოტა ჯარისკაცს ჩამოეღწია სახლში, რომლებიც მიხვდებოდნენ, რისთვის მიიღო მან მთავარი ორდენი. და თუმცა არჩევნები მხოლოდ მომდევნო წელს გაიმართებოდა, ვერავინ განჭვრეტდა, რომ იაპონელები წელსვე დანებდებოდნენ. ყველა სხვა მშობლისა და გარე ბიძაშვილ-დეიდაშვილისთვის, ვისაც ჯარისკაცებმა ხმის მისაცემად მინდობილობები გამოუგზავნეს, დევრისი მხოლოდ ზანგების კუდი იყო, რომელიც ხელისუფლებაში მოკალათებულმა იანკებმა სწორედ ამისთვის დააჯილდოვეს. მეტიც, უკვე ახლა გავრცელდა ხმა, თითქოს დევრისმა უმაღლესი ორდენი იმისთვის მიიღო, რომ როდესაც არჩევანის წინაშე დადგა, ვინ გადაერჩინა, ზანგი თუ თეთრკანიანი, მან ზანგი აირჩია, თეთრი კი სასიკვდილოდ გაწირა. სხვათა შორის, ჩარლზს ბიძამისმა უთხრა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ხმა თვითონ კლარენსს არ გაუვრცელებიაო. არა იმიტომ, რომ მას ამის გაკეთების უფლებას სინდისი არ მისცემდა: მას ზედმეტი ტყვია-წამლის დახარჯვა, უბრალოდ, არ სჭირდებოდა; არა იმიტომ, რომ დიდი ხანია, პოლიტიკას მისდევდა – იგი დიდი ხანია, სნოუპსი იყო და მშვენივრად იცოდა, რომ მხოლოდ სულელი გადაიხდის საარჩევნო ხმაში ორ დოლარს, როცა მისი ყიდვა ორმოცდაათ ცენტადაც შეიძლება.

ცხადია, ამ ყველაფერს ერთგვარი სევდა მოჰქონდა: ადამიანი წინასწარ იყო დამარცხებული სიმამაცისთვის მიღებული იმ ორდენის გამო, რომელიც არც ახლა აძლევდა უკან დახევის უფლებას. არა, ეს სევდაზე მეტსაც იწვევდა. ბიძია გევინმა ჩარლზს უამბო, რომ მალე მათაც კი, ვისაც ხელოვნური ფეხი არასდროს ჰქონია და თუ ბედი გაუღიმებდა, არც არასდროს ექნებოდა, დაიწყეს იმის გაცნობიერება, თუ რას ნიშნავს, გქონდეს პროთეზი და მასთან ერთად იცხოვრო, იდგე და იმოძრაო. დევრისი მოედანზე ან გზასთან გაჩერებულ მანქანაში არ იჯდა, რათა ოლქის მკვიდრნი, მისი ამომრჩევლები, მანქანას გარს შემოხვეოდნენ, მისთვის ხელი ჩამოერთვათ და მოესმინათ – უხსოვარი დროიდან სწორედ ეს იყო კლარენსის წინასაარჩევნო აგიტაციის წარმატებული მეთოდი. დევრისი კი მანქანიდან გადმოდიოდა და ოდნავ მიათრევდა ამ მკვდარ მექანიკურ დანამატს, ან მასზე დაყრდნობილი მთელი საათის განმავლობაში იდგა ტრიბუნასთან, ლაპარაკობდა და ხმების მოპოვებას ცდილობდა, თუმცა წინასწარ იცოდა, რომ ისინი უკვე დაეკარგა. ამასთან, ძალისხმევას არ იშურებდა, რათა არავის შეემჩნია, თუ როგორ ახსენებდა თავს გადახეხილი და მტკივანი ტაკვი. ბოლოს, მათაც კი, ვინც მისთვის

აპირებდა ხმის მიცემას, ჩარლზის ბიძის თქმით, სულ უფრო უძნელდებოდათ ისეთი სახის მიღება, თითქოს მისი ტაკვი არ ახსოვდათ. ამიტომ ყველა მოუთმენლად ელოდებოდა, ეს როდის დასრულდებოდა, დამარცხება როდის გაფორმდებოდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ (ბიძამისის თქმით), როგორ დახმარებოდნენ მას, როგორ გაეშვათ, როგორ დაებრუნებინათ სასწრაფოდ სახლში, რათა ეს პროთეზი გადაეგდო, დაემტვრია და მშვიდად შეჰგუებოდა თავის ინვალიდობას.

და აი, მოახლოვდა ყოველწლიური პიკნიკის დღე, რომელსაც ბიძია ბილ უორნერი წინასაარჩევნო კამპანიის დროს აწყობდა, სადაც, ტრადიციისამებრ, ოლქის, შტატის ან სახელმწიფო მართვის ორგანოებში არჩევით თანამდებობებზე წამოყენებული ყველა კანდიდატი ამომრჩეველთა წინაშე გამოდიოდა. ოფიციალურად, კლარენსსაც უნდა გამოეცხადებინა საკუთარი კანდიდატურა და ბიძია გევინი ჰყვებოდა, რომ ამ ხავსსაც კიჩაეჭიდნენ. როგორც კი კლარენსი ოფიციალურად წამოაყენებდა თავის კანდიდატურას კონგრესში, დევრისს შესაძლოა, გაეცნობიერებინა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ უკან დაიხევდა და სამარცხვინო ფიასკოს გადაურჩებოდა.

მაგრამ მას უკან დახევა არ დასჭირდა. სადილის შემდეგ, როდესაც ორატორები ტრიბუნაზე შეიკრიბნენ, კლარენსი მათ შორის არ აღმოჩნდა. მალე ხმა გავრცელდა, რომ ის პიკნიკიდანაც გაემგზავრა. მეორე დილით კი მთელმა ოლქმა იცოდა, რომ მან არა მხოლოდ კონგრესიდან მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობიდან საბოლოოდ წასვლაზეც გააკეთა განცხადება. ამჯერად სწორედ ასე მოხდა, ვინაიდან კლარენსმა კი არა, თვითონ ბებერმა უორნერმა გამოაცხადა საჯაროდ, რომ კლარენსთან დაკავშირებით ყველაფერი დასრულდა. ეს 1945 წლის ივლისში მოხდა, არჩევნების დროისთვის კი იაპონელებს დამარცხება დიდი ხნის აღიარებული ჰქონდათ, ჩარლზი და მრავალი სხვა, ვისაც ესმოდა, რას ნიშნავდა დევრისის ორდენები, უკვე შინ დაბრუნებულიყვნენ, რათა პირადად მიეცათ ხმა. მაგრამ მათ მხოლოდ დაამატეს საკუთარი ხმები მათსას, ვინც დევრისს უჭერდა მხარს. ამჯერად ორდენები მას არც დასჭირვებია, ვინაიდან რეტლიფს უკვე გაენადგურებინა კლარენს სნოუპსი. დადგა სექტემბერი, ჩარლზი კარგა ხანია, შინ იმყოფებოდა, არჩევნების მეორე დღეს კი ბიძია გევინმა რეტლიფს მოედანზე მიაგნო, ხელი ჩასჭიდა, თავის კაბინეტში მიიყვანა და უთხრა:

– ახლა კი დაწვრილებით მომიყევით, რა მოხდა იქ იმ დღეს.

– რომელ დღეს და სად – იქ? – ჰკითხა რეტლიფმა.

– მშვენივრად ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. ბიძია ბილ უორნერის პიკნიკზე, როდესაც კლარენსმა კონგრესში საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

– აჰ, მაშინ? – მიუგო რეტლიფმა, – შეიძლება ითქვას, რომ ეს ღვთის ხელი იყო, თუმცა მას ცოტათი ტყუპებიც დაეხმარნენ, პოლკოვნიკ დევრისის დისშვილები.

– საინტერესოა, – თქვა ბიძია გევინმა, – რამ მოაფიქრებინა დევრისს დისა და მთელი ოჯახის ჩამოყვანა შორეული კამბერლენდიდან, ნუთუ მხოლოდ

იმისთვის, რომ საკუთარი ყურით მოესმინათ, როგორ წამოაყენებდა საკუთარ კანდიდატურას, თუმცა წინასწარ იცოდნენ, რომ დამარცხდებოდა?

– როგორც გითხარით, ეს ღვთის ხელი იყო, – განაცხადა რეტლიფმა, – სხვაგვარად, როგორ შეიტყობდა პოლკოვნიკი დევრისი თავის კამბერლენდში, რომ ბიძია ბილის წყლის წისქვილის უკან მიტოვებული პატარა ნაკვეთია, ერთგვარი ბარდები თუ კორომი?

– კარგი, კარგი, – თქვა ბიძია გევინმა, – კორომი, ტყუპები. აჯობებს, მომიყვეთ, რა მოხდა.

– ტყუპები ტყუპებად, კორომი კი ძაღლებისა იყო, – თქვა რეტლიფმა, – თქვენ და ჩიკმა, ბუნებრივია, იცით, რაც არიან ტყუპი ბიჭები, კინაღამ ვთქვი, იცით, რა არის ძაღლების კორომი–მეთქი. შემდეგ კი გავიფიქრე, რომ, ალბათ, არ იცით, ვინაიდან თვითონაც არ ვიცოდი, ეს რა იყო, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახე გუმფისიანი ხეები, იფანი, გიქორი, მუხა – მდინარის ნაპირზე, სწორედ უორნერის ტბორის მიღმა, კლიენტებისთვის მოსახერხებელ ადგილას – როგორც ქალაქის სასტუმროებში დგას მელნით სავსე ბოთლი წერილების დასაწერი მაგიდის გვერდით, რათა ყველამ ისარგებლოს, როცა მოესურვება...

– მოითმინეთ, – გააწყვეტინა ბიძია გევინმა, – ძაღლების კორომი. გასაგებად მითხრით. თუ საქმე არა გაქვთ, მე თავზე გადამდის.

– სწორედ ამას ვცდილობ, – მიუგო რეტლიფმა, – კორომში ძაღლების სადგური იყო, ერთგვარი ძაღლების ფოსტა, თუ გნებავთ. მეორე უბნის თითოეულ ძაღლს დღეში ერთხელ მაინც ექნება იმ ბარდებში კვალი დატოვებული, მთელი საარჩევნო ოლქის, და არა მხოლოდ იოკნაპატოფის, ყოველი ძაღლი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ასწევდა იქ თათს თავისი სავიზიტო ბარათის დასატოვებლად. გეცოდინებათ: მირბის ორი ძაღლი, ყველაფერს ყნოსავენ. პირველი ეუბნება: „მეძებარი მე ვიქნები, თუ უაილსკროსინგელი ბებერი უკუდო მწევარი აქ არ ყოფილა. როგორ ფიქრობ, რა ენდომებოდა?" – „აქ ის კი არა, სხვა იყო, – ეუბნება მეორე, – ეზოს პატარა ძაღლი, რომელიც რეს გრირმა სოლონ ქვიქს გაუცვალა ნახევარი დღის მუშაობაში, როდესაც ისინი ეკლესიის სახურავს აკეთებდნენ, ნუთუ არ გახსოვს?" პირველი კი ეუბნება: „არა, ის პატარა შემდეგ მოვიდა, ჯერ კი უაილსკროსინგელმა ბებერმა უკუდო მწევარმა გაირბინა. მე კი მეგონა, რომ აქ სირბილს ვეღარ გაბედავდა მას შემდეგ, რაც მას მისის ლითლჯონის ერდელტერიერთან ნაჯვარმა დამართა". მოკლედ, ხვდებით, ეს როგორ ხდება.

– ვხვდებით, – თქვა ბიძია გევინმა, – შემდეგ?

– არაფერი, – ჩაილაპარაკა რეტლიფმა, – შემდეგ დაიწყო ბიძია ბილი უორნერის, ასე ვთქვათ, გამოსაშვები პიკნიკი ყველა კანდიდატისთვის, ყველა ამომრჩეველი და კანდიდატი შეიკრიბა, ვინც კი ოლქში ორმოცი მილის რადიუსში იმყოფებოდა. ზოგს „პიკაპი" ჰყავდა, ზოგმა სხვას სთხოვა, რომ იქამდე მანქანით მიეყვანა, ზოგმაც ჯორებით ისარგებლა, თუკი სხვა არაფერი ჰყავდა, და ეს დამოუკიდებელი კანდიდატები კორომში სეირნობდნენ, სენატორი კლარენს ეგლსტოუნ სნოუპსიც მათ შორის მოძრაობდა. მალე მისი

სიტყვით გამოსვლისა და იმის ახსნის დროც დადგა, ჯვარი ვისთვის დაესვათ. ხომ წარმოგიდგენიათ: ყველაფერი დინჯად, მშვიდობიანად, წესიერად, კანონიერად ხდებოდა, როგორც ყოველთვის, სანამ ვიღაც უცნობმა ეშმაკმა,ნაძირალას არ ვუწოდებ, შესაძლოა, ეს თვითონ პოლკოვნიკი დევრისი იყო – სხვას ვის უნდა სცოდნოდა იმ ორი ბიჭის, ტყუპებისა და იმის შესახებ, თუ რატომ ჩამოვიდნენ აქ შორეული კამბერლენდიდან, იმას აღარ ვამბობ, თუ ვის უნდა სცოდნოდა ამ ტყუპებისა და იმ ბუჩქების შესახებ. ჰოდა, ამ უცნობმა ეშმაკმა, ვინც გნებავთ, ის იგულისხმეთ, დაიყოლია ბიჭები, რომ ეცადათ – რა მოხდებოდა, თუ ორი ასეთი ყმაწვილი ძაღლებს მათი ბუჩქებიდან გამოდევნიდა და წნელებს იმ ადგილზე დაბლა მოჭრიდა, რომელსაც ძაღლები უმიზნებდნენ, რათა ამ წნელებით სენატორ კ. ეგლსტოუნის ზურგს უკან მიპარულიყვნენ, როცა ის სიტყვით გამოსვლას დააპირებდა, და მსუბუქად, რათა ხელი არ შეეშალათ, ეს ნედლი წნელები მის შარვალზე გაესვათ. მსუბუქად, უჩუმრად, ვინმე რომ არ შეშფოთებულიყო. ამიტომაც მოხდა ისე, რომ ვერც კლარენსმა და ვერც დანარჩენებმა ვერ შეამჩნიეს პირველი ექვსი თუ რვა ძაღლი, შემდეგ კი კლარენსმა უეცრად იგრძნო, რომ უკნიდან შარვალი უსველდებოდა, ცალი თვალი მხარზემოდან გააპარა და დაინახა, რომ იქვე, მასთან, ძაღლების რიგი იდგა, რომლებიც მის პოლიტიკურ ბედს წყვეტდნენ. აღარ დაუხანებია და თავის შესაფარებლად პირველივე უახლოესი ავტომობილისკენ გაიქცა, თან უკან იყურებოდა და ხედავდა, რომ ძაღლების ის რიგი გველის კუდივით მისდევდა. სასწრაფოდ მანქანაში შეხტა და ფანჯრები ასწია, მის გარშემო კი ძაღლები კარუსელის გედებივითა და ცხენებივით ტრიალებენ – მათ ხომ ხელი შეუშალეს, ჰოდა, სამ ფეხზე დარბიან, მეოთხე კი აუწევიათ და უმიზნებენ, ჩახმახივით შეუყენებიათ. ბოლოს ვიღაცამ მანქანის პატრონს მიაგნო, გასაღები გამოართვა და კლარენსი მის სახლში წაიყვანა. ბოლო ძაღლი მხოლოდ ორი მილის გარბენის შემდეგ ჩამორჩა. ყოფილი სენატორის ეზოს მიაღწიეს და მისთვის ხელი არავის უხლია: როგორც ჩანს, მისი, კლარენსის ძაღლიც პიკნიკზე იყო. ვიღაც სახლში შევიდა და ყოფილ სენატორს გამოსაცვლელად მშრალი შარვალი გამოუტანა. სწორედ რომ ყოფილს. ვინაიდან ის არც მშრალ შარვალში გამოწყობილი დაბრუნებულა პიკნიკზე, ალბათ, მოისაზრა, რომ ეს ცოტა სარისკო იყო მოჭარბებული დაძაბულობის ფონზე. იმას ვგულისხმობ, რომ ძალ-ღონის დაძაბვა მოუწევდა – კანდიდატურა უნდა მოეხსნა და თან განუწყვეტლივ მხარზემოდან ეცქირა, ვაითუ რომელიმე ძაღლს მისი სახე გახსენებოდა, თუმცა ახალი შარვალი ეცვა და ოთხფეხა მეგობრებისთვის საინტერესო სუნი არ ასდიოდა.

– დალახვროს ეშმაკმა! – თქვა ჩარლზის ბიძამ, – არა, ეს ძალზე მარტივია, დაჯერებაც კი მიჭირს.

– როგორც ჩანს, გაიფიქრა, რომ თუ ხალხს მოუწოდებდა, ხმა მისთვის მიეცათ, თან ფეხის ქნევას შეუდგებოდა ძაღლების თავიდან მოსაშორებლად, ამას მისისიპის ამომრჩევლებიც კი არ მოითმენდნენ, – თქვა რეტლიფმა.

– თქვენი არ მჯერა, – თქვა ბიძია გევინმა, – თუნდაც ეს ყველას დაენახა და შეეტყო, ვინც პიკნიკზე იმყოფებოდა, ის ისეთი კაცი არაა, რომ ამის გამო საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა. თვითონ არ მითხარით, ვიღაცამ მაშინვე მანქანაში ჩასვა და სახლისკენ გააქანაო, – უეცრად ბიძია გევინი

გაჩუმდა. მან რეტლიფს შეხედა. ის კი იდგა და ისე იყურებოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. გევინმა განაგრძო:

– იქნებ ეს...

– სწორია, – თქვა რეტლიფმა, – ასეთი პირობა იყო დათქმული.

– რა პირობა? – იკითხა ბიძია გევინმა.

– როგორც ჩანს, აქაც ის უცნობი ეშმაკი და თაღლითი იყო ჩარეული, – მიუგო რეტლიფმა, – ერთი სიტყვით, ვიღაცამ პირობა წამოაყენა: თუ სენატორი სნოუპსი კონგრესის ამ არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას მოხსნიდა, მაშინ ყველა, ვინც დაინახა, თუ როგორ აგიტაციას უწევდნენ ძაღლები დევრისს, ამას დაივიწყებდა, ისინი კი, ვინც ეს ვერ დაინახა, ამას ვერასდროს შეიტყობდნენ.

– ვერც ეს შეაჩერებდა, – თქვა ბიძია გევინმა, – ნუთუ კლარენს სნოუპსს გადააფიქრებინებდა ან წამით შეაყოვნებდა ის, რომ ძაღლებმა მასზე თათი აღმართეს. დალახვროს ეშმაკმა, ეს იმით დამთავრდებოდა, რომ ის ძაღლების ნომრებს დაუსწრებლად მოტანილ ბიულეტენებად ჩათვლიდა.

– აჰ, კლარენსს გულისხმობთ? – თქვა რეტლიფმა, – მე კი მეგონა, ბიძია ბილი უორნერზე მეკითხებოდით.

– ბიძია ბილი უორნერზე? – ჰკითხა ბიძია გევინმა.

– დიახ, – მიუგო რეტლიფმა, – ის საზიზღარი არამზადა, როგორც ჩანს, ბიძია ბილის მოელაპარაკა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ბიძია ბილიმ გამოუცხადა ყველას იმავე დღეს, რომ სენატორმა კლარენს ეგლსტოუნ სნოუპსმა კონგრესში თავისი კანდიდატურა მოხსნა. და რატომღაც თავიც არ შეუწუხებია, რომ ეს თავად ყოფილი სენატორისთვის ეცნობებინა.. დიახ, მახსოვს, ხალხი ბიძია ბილის იმავეს ეუბნებოდა, რაც ახლახან თქვენ თქვით: რომ კლარენსს ვერავინ ვერაფერს დააკლებს, რომ ის ყველაფერს გაუმკლავდება. ძაღლების შესახებაც თქვენი სიტყვებით საუბრობდნენ, ოღონდ უფრო მაგარ-მაგარ გამოთქმებს იყენებდნენ. მაგრამ ბიძია ბილიმ თქვა:

– არა, მეორე უბანზე კლარენს სნოუპსი კენჭს არ იყრის.

– განა ის მხოლოდ მეორე უბანზე იყრის კენჭს? – იკითხეს მათ, – მას ახლა ჩვენს იოკნაპატოფის ოლქთან არაფერი ესაქმება. იგი საკუთარ კანდიდატურას მისისიპის შტატის ერთ მერვედზე აყენებს, – ბიძია ბილიმ კი თქვა:

– ეშმაკსაც წაუღია მისისიპის შტატის ყველა ასი მერვედი დაიოკნაპატოფის ოლქიც. არ დავუშვებ, რომ მეორე უბანსა და ფრენჩმენსბენდს ის კაცი წარმოადგენდეს, რომელიც ყოველ ეზოს ძაღლს ღობეში ჩარჭობილი ბოძი ჰგონია.

ბიძია გევინმა რეტლიფს შეხედა. საკმაოდ დიდხანს უყურებდა.

– მაშასადამე, თქვენ მიერ ნახსენებმა უცნობმა აბეზარმა კაცმა არა მხოლოდ დევრისის ტყუპი დისშვილებისა და ძაღლების ბუჩქების, არამედ ბებერი უორნერის შესახებაც ყველაფერი იცოდა.

– როგორც ჩანს, ასეა, – თქვა რეტლიფმა.

– მაშასადამე, იმუშავა, – განაგრძო ბიძია გევინმა.

– როგორც ჩანს, ასეა, – გაიმეორა რეტლიფმა.

ჩარლზმა და ბიძამისმა რეტლიფს შეხედეს, რომელიც მშვიდად და აკურატულად იჯდა, თვალებს ოდნავ ახამხამებდა, ალერსიანი და იდუმალი გამომეტყველება ჰქონდა, გაკრიალებული ცისფერი პერანგი ეცვა – მათ თვითონ კერავდა და ყოველთვის უჰალსტუხოდ ატარებდა, თუმცა ჩარლზმა იცოდა, რომ ის სახლში ორ ცალს ინახავდა, რომლებშიც ალანოვნას სამოცდათხუთმეტ-სამოცდათხუთმეტი დოლარი გადაუხადა, როდესაც ის და ბიძია გევინი ათი წლის წინათ ნიუ-იორკში ჩავიდნენ ლინდას ქორწილში, მაგრამ რეტლიფი მათ არასდროს იკეთებდა.

– ო, ცინცინატი, – თქვა ბიძია გევინმა.

– რა? – ჰკითხა რეტლიფმა.

– არაფერი, – მიუგო ჩარლზის ბიძამ, – საინტერესოა, ვის შეეძლო ეთქვა ტყუპებისთვის ძაღლების ბუჩქების შესახებ?

– ჰო, ალბათ, თვითონ პოლკოვნიკ დერვისს, – თქვა რეტლიფმა, – ომშიც იბრძოდა, ამდენი მედალი მიიღო, სამი წელი გერმანელებზე, იტალიელებსა და იაპონელებზე ვარჯიშობდა და პოლიტიკაში უბრალო სტრატეგიულ სვლას ვერ მოიფიქრებდა?

– ისინი უსირცხვილო და უსინდისო ჩვეულებრივი მკვლელები და დაბადებით სადისტები იყვნენ, – თქვა ბიძია გევინმა, – კლარენსი კი ადგილობრივი დონის ნამდვილი, დაგეშილი და ნავარჯიშები ამერიკელი პოლიტიკოსია.

– შესაძლოა, ეს პოლიტიკოსები არც ისე მავნე ხალხია, ოღონდ თვალი არ უნდა მოაცილო და ყველაფერი გააკეთო, რაც შეგიძლია, თანაც საუკეთესოდ, – თქვა რეტლიფმა და განაგრძო: – მაშასადამე, ასე, – იგი წამოდგა – ხმელ-ხმელი, მშვიდი, ძალზე თავაზიანი, იდუმალებით მოცული – და ჩარლზს მიმართა: – გახსოვს, მაიორო, ის დიდი მინდორი მდინარის კლაკნილთან, ბიძია ბილის საძოვრების უკან, სადაც შვრიის ყანაა? ამბობენ, რომ იქაურობა მთელი ზამთრის განმავლობაში ველური ბატებით იყო სავსე. იქნებ სანადიროდ წავსულიყავით? ვფიქრობ, ბიძია ბილი ხალისით დაგვთანხმდება.

– დიდი მადლობა, – თქვა ჩარლზმა.

– მაშასადამე, შევთანხმდით, – თქვა რეტლიფმა, – კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო, – და რეტლიფი წავიდა. ჩარლზმა ბიძამისს შეხედა, მან კი

ქაღალდის ფურცელი მიიჩოჩა და აუჩქარებლად, მაგრამ უაღრესად საქმიანი სახით შეუდგა წერას.

– მაშასადამე, გავხსენით ბრჭყალები, – თქვა ჩარლზმა, – მუშაობა მოგიწევთ, ახალგაზრდებო. დავხურეთ ბრჭყალები. ალბათ, ასე ამბობდნენ მაშინაც, 1937 წლის ზაფხულში, როდესაც ჩვენ, მორალისტები, თვით რუზველტის დამარცხებას ვცდილობდით, ოღონდ კი კლარენს სნოუპსამდე მიგეღწიათ?

– ნახვამდის, ჩარლი, – უთხრა ბიძამისმა.

– ვინაიდან, გავხსენით ბრჭყალები: ეს ჩვენი საქმე არაა, – თქვა ჩარლზმა, – ჩვენ ძალზე მოვხუცდით, დავიღალეთ, საკუთარი თავის რწმენა დავკარგეთ...

– ჯანდაბა! – ჩაილაპარაკა ბიძამისმა, – გითხარი, ნახვამდის-მეთქი!

– ახლავე, სერ, – მიუგო ჩარლზმა, – შეიძლება კიდევ ერთი წუთი? იმიტომ, რომ გავხსენით ბრჭყალები: შეერთებული შტატები, ამერიკა – ყველაზე დიადი ქვეყანაა მსოფლიოში, თუკი ამის შენარჩუნებას შევძლებთ, დავხურეთ ბრჭყალები. ოღონდ, მოდი, სიტყვა „შევძლებთ" „თუ ღმერთი ინებებს"-ით შევცვალოთ, ვინაიდან ამჯერად სწორედ ღმერთმა გადაგვარჩინა ყველა, თუმცა თავის იარაღად მან, ცხადია, ვ.კ. რეტლიფი აირჩია. მაგრამ შემდეგ ჯერზე რეტლიფი შესაძლოა, აქ არ აღმოჩნდეს. შესაძლოა, იმოგზაუროს, საკერავი მანქანები ან რადიომიმღებები გაყიდოს (დიახ, რეტლიფი ახლა რადიომიმღებების გამსაღებელ ფირმას წარმოადგენდა და ერთი ასეთი იმ სათამაშო სახლში, მის „პიკაპში" იდგა, სადაც ადრე საკერავი მანქანის ნიმუში იწონებდა თავს. ორი წლის შემდეგ კი მინიატიურულ სახლში ტელევიზორის მინიატიურული მილაკი გაჩნდება), და თვით ღმერთმაც კი ვერ მიაგნოს დროულად. ასე რომ, თქვენ იმის სწავლა გჭირდებათ, თუ როგორ ირწმუნოთ ღმერთი ისე, რომ მასზე დამოკიდებული არ იყოთ. ფაქტობრივად, ჩვენ ყველაფერი უნდა ავაწყოთ, რათა ღმერთს ცოტათი ჰქონდეს ჩვენი იმედი. მაშინ მას აღარც დროის დაკარგვა მოუწევს და აღარც ჩვენ ნაცვლად მოქმედება, – ამ დროს ბიძამისმა მას შეხედა და ჩარლზმა უეცრად გაიფიქრა: „ცხადია, მე მამაც ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მამა მხოლოდ მელაპარაკებოდა, ბიძია გევინს კი მოსმენაც შეეძლო, თუნდაც იმდენი სისულელე მეთქვა, რომ ბოლოს თვითონაც მივმხვდარიყავი, რომ სისულელეს ვამბობდი. ის კი ბოლომდე მისმენდა, შემდეგ კი მეუბნებოდა: სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ეს გამოვა თუ არა, მაგრამ შესანიშნავი ხერხი ვიცი მის შესამოწმებლად. მოდი, მე და შენ ვცადოთ". დიახ, შენ კი არ სცადო,ვცადოთო.

– დიახ, – თქვა ბიძამისმა, – მეც ასე ვფიქრობ.

თავი მეთოთხმეტე

მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც რეტლიფმა კლარენსი გაანადგურა და იგი ფრენჩმენსბენდში კერძო ცხოვრებას დაუბრუნა, ჯეფერსონში უკვე ორმოცდაორი წელია, რაც ახალი სნოუპსი სახლობდა, ასე რომ, ჯეფერსონი საკუთარ თავს არ ღალატობდა იმაში, რასაც ჩარლზის ბიძამ სნოუპსების რაოდენობრივი თანაფარდობა ანუ პრობლემა უწოდა.

ამ სრულიად ახალ და უცოლშვილო სნოუპსს ორესტი ერქვა, შინაურულად – რესი. დიახ, დიახ – ორესტი. ჩარლზის ბიძას, გევინსაც ვერ გაეგო, საიდან გაჩნდა. მან ჩარლზს უამბო, რომ 1943 წელს ქალაქში უეცრად შეიტყვეს, თითქოს ახლა ფლემ სნოუპსს ეკუთვნოდა ის, რაც კომპსონების მამულიდან დარჩა. ეს კი საკმაოდ ცოტა იყო. როგორც ამბობდნენ, კომპსონებს მოზრდილი ნაკვეთი მუნიციპალური საბჭოსთვის ჯერ კიდევ 1909 წელს მიეყიდათ გოლფის მოედნის გასაკეთებლად, რათა უფროსი ვაჟი, კვენტინი, ჰარვარდის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაეშვათ, სადაც მან პირველი კურსის ბოლოს თავი მოიკლა. ათი წლის წინათ კი უმცროსმა ვაჟიშვილმა, ბენჯიმ, დაბადებიდანვე იდიოტმა, სახლს ცეცხლი წაუკიდა და მასთან ერთად დაიწვა. ეს უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც კვენტინმა ჰარვარდში თავი დაიხრჩო, მის დას, კენდეისს კი ქორწილი ჩაეშალა და იგი ისე გაუჩინარდა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. კენდეისის ქალიშვილი, ასევე კვენტინი, – მამამისის ვინაობა არავინ იცოდა, – ღამით ფანჯრიდან გადაძვრა, წყალსადინარის მილს ჩაჰყვა და მოხეტიალე ცირკთან ერთად გაიქცა. ჯეისონმა, შუათანა ვაჟმა, ბენჯის თავიდან მოცილება სცადა და დედა დაიყოლია, რომ ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიეყვანათ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან, როგორც თვითონ ჯეისონმა თქვა, დედა მანამ ოხრავდა და ტიროდა, სანამ მან, ჯეისონმა, ხელი არ ჩაიქნია და ბენჯი შინ არ დააბრუნა. ჰოდა, ორი წლის შემდეგ ბენჯიმ თავიც გამოიბუგა და სახლიც ნაცარტუტად აქცია. ჯეისონს დაზღვევის თანხა ერგო, მან სესხიც აიღო ცარიელი ნაკვეთის გარანტიით და მოედანთან, მთავარ ქუჩაზე, თავისთვის და დედისთვის ახალი აგურის სახლი აიშენა. მაგრამ მისი ნაკვეთი ძვირად ფასობდა: ქალაქი ჯეფერსონი უკვე უახლოვდებოდა და ალყაში აქცევდა მას. ისიც სათქმელია, რომ გოლფის სათამაშო მოედანი დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ 1929 წელს გადაიტანეს ქალაქგარეთ მდებარე კლუბთან, ძველი მოედანი კი კვლავ გამოისყიდა ჯეისონ კომპსონმა. ამაში გასაოცარი არაფერი იყო. ჯეისონი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მუშაობდა უიკენდებზე ბიძია აიკ მაკკასლინის კავეულის მაღაზიაში გამყიდვლად. იქ უკვე მაშინ მბრძანებლობდა ვინმე ერლ ტრიპლეტი, რომელიც სადღაც გამოექექა ბიძია აიკს, ალბათ, სანადირო ადგილებში ან დელტაში ტბაზე თევზაობისას – ბიძია აიკი ხომ თითქმის მთელ დროს იქ ატარებდა. ამიტომ ქალაქში სულაც არ გაჰკვირვებიათ, როცა გაიგეს, რომ ტრიპლეტს, კარგა ხანია, ბიძია აიკი მაღაზიიდან თანდათანობით გამოეძევებინა, თუმცა ბიძია აიკი კვლავაც დადიოდა იქ ნადირობიდან და თევზაობიდან თავისუფალ დროს, და, ცხადია, ტრიპლეტი ჯერაც აძლევდა მას თოფს, ვაზნებსა და სათევზაო მოწყობილობას ფასნამატის გარეშე. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ჯეისონიც ასე მოიქცა, როდესაც, თავის მხრივ, ტრიპლეტი გამოაძევა და იგი თავის სანადირო პლატფორმებს, სათევზაო ხაზებსა და ანკესღობურებს დაუბრუნდა.

ყოველ შემთხვევაში, ჯეისონ კომპსონი ახლა პრაქტიკულად მაკკასლინის კავეულით ვაჭრობის მფლობელი გახდა. არც მაშინ გაოცებულა ვინმე, როცა

შეიტყვეს, რომ ჯეისონმა მათი უწინდელი ის მიწის ნაკვეთიც იყიდა და ძველ საგვარეულო მამულს მიამატა, რომელიც მამამისმა გაყიდა, რათა უფროსი ვაჟიშვილი ჰარვარდში გაეგზავნა – უნივერსიტეტში, ასე რომ სძულდა ჯეისონს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საერთოდ ეზიზღებოდა ყველა სასწავლო დაწესებულება, რომლებიც საშუალო სკოლას მოსდევდა, და ისინი გონებაჩლუნგებისა და მხდალების თავშესაფრად მიაჩნდა. ჩარლზის ბიძა ამბობდა, რომ ის ძალიან გააოცა ერთმა რამემ: სასამართლოს კანცელარიაში ნასყიდობისა და სხვა ქაღალდების დათვალიერებისას აღმოაჩინა, რომ, მართალია, ჯეისონმა ნაღდი ფული გადაიხადა ყოფილ გოლფის სათამაშო მინდორში, იმ დანარჩენი ქონების საგირავნო ფურცელი არ გამოუსყიდია, რომლის საწინდრითაც ახალი სახლის მშენებლობისთვის ფული მიიღო, და მას შემდეგ აკურატულად იხდიდა პროცენტებს ფლემ სნოუპსის ბანკში და, ბუნებრივია, მომავალშიც აპირებდა გადახდას. ასე გრძელდებოდა პერლ-ჰარბორზე თავდასხმამდე. კაცი იფიქრებდა, რომ ჯეისონს საკუთარი საიმედო და ერთგული აგენტი ჰყავდა იაპონიის პარლამენტში. 1942 წლის გაზაფხულზე კი იმის დაშვებაც შეიძლებოდა, რომ ასეთივე საიმედო და ერთგული აგენტი ამერიკის მთავრობაშიც გამოენახა – ჩარლზს ბიძამისი ეუბნებოდა: ჯეისონისთვის რომ მოგესმინა, მაშინვე დაიჯერებდი, თითქოს წინასწარ მიიღო სარწმუნო ინფორმაცია, რომ ჯეფერსონში სასწავლო აეროდრომი აიგებოდა, აგრეთვე უტყუარი დაპირება, რომ ამ აეროდრომს სწორედ გოლფის სათამაშო ძველ მინდორზე ააგებდნენ და სხვაგან არსად. ჩარლზის ბიძა ამბობდა, რომ იმ დროს აეროდრომების შესახებ წარმოდგენა არავის ჰქონდა, ამაზე არც არავინ ფიქრობდა, ამიტომ ყველამ დაუჯერა ჯეისონს, რომ ნებისმიერი ღია ადგილი, რომელიც ბურთის სათამაშოდ გამოდგებოდა, თვითმფრინავების დასაშვებადაც ივარგებდა.

ყოველ შემთხვევაში, საჭირო კაცმა ეს დაიჯერა. ეს საჭირო კაცი კი ფლემ სნოუპსი იყო, ბანკის პრეზიდენტი, რომელსაც ხელში ყველა დანარჩენი ქონების საგირავნო ფურცელი ეჭირა. ბიძია გევინის თქმით, ეს ბანქოს თამაშსჰგავდა, როდესაც ყველა, ვისაც ტუზი შეხვდებოდა, ნებაყოფლობით დასთანხმდებოდა, რომ სხვა ორი ტუზი გაჭრილად გამოეცხადებინათ. გევინი ამბობდა, რომ სინამდვილეში ვერავინ ხვდებოდა, რა მოხდა. მხოლოდ ის იცოდნენ, რაც დიდი ხანია ცნობილი იყო ჯეისონ კომპსონისა და ფლემ სნოუპსის შესახებ: გევინის აზრით, ალბათ, ისეთი მომენტი დადგა, როდესაც ფლემმა, მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ აეროდრომების საკითხში ჯეისონი მასზე უკეთ ერკვეოდა, უეცრად შეშინებულმა გაიფიქრა, რომ ჯეისონს, შესაძლოა, ფულშიც მასზე მეტი ესმოდა. ასე რომ, ფლემი რისკზე ვერ წავიდოდა და ჯეისონს ახალი კარტის აღების შესაძლებლობას ვერ მისცემდა. ფლემს ვაბანკზე წასვლაღა დარჩენოდა.

შესაძლებელია (ეს გევინის აზრია), ასე ჯეისონი ფიქრობდა. და ჯეისონი მხოლოდ წარმოსახვით პროექტს აფრიალებდა მისტერ სნოუპსის ცხვირწინ, რათა დაეშინებინა იგი და პირველი სვლის გაკეთება ეიძულებინა. ცხადია, სნოუპსი ასეც მოიქცა: მან გაასაჩივრა საგირავნო ფურცელი, რომელსაც ბანკი ჯეისონის მამულზე ფლობდა. ეს, რა თქმა უნდა, მეგობრულად, მშვიდად და წყნარად გაკეთდა, ისე, როგორც ჯეისონი ელოდებოდა: იგი (ჯეისონი) სწორედ ბანკის იმ ოთახში მიიწვიეს და ფლემმა დაახლოებით ასეთი რამ თქვა: „თქვენზე არანაკლებ მწყინს, მისტერ კომპსონ, მაგრამ თვითონაც ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე. ჩვენი ქვეყანა ამჟამად ორ ნახევარსფეროში

იბრძვის არსებობის, სიცოცხლის გულისთვის, ამიტომაც ყოველი მოქალაქის ღირსება და მოვალეობა მოითხოვს, რომ მან ამ ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანოს. ჰოდა, ჩემი ბანკის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ჩვენი რესურსების თითოეული ცენტი იმაში უნდა ჩაიდოს, რაც უშუალოდ უკავშირდება ჩვენს სამხედრო ძალისხმევას".

ჯეისონსაც სწორედ ეს უნდოდა: „რა თქმა უნდა, მისტერ სნოუპს. ყოველი პატრიოტი და მოქალაქე გულწრფელად დაგეთანხმებათ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქ, ჯეფერსონში, სამხედრო ობიექტის – აეროდრომის აშენებას აპირებენ და, როგორც ვიცი, კონტრაქტი მიწასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაფორმებისთანავე დაიდება". მან მაშინვე დაასახელა ყოფილი გოლფის სათამაშო მინდვრის ფასი, რომლიდანაც, თავისთავად ცხადია, საგირავნო ფურცლის ღირებულებასაც გადაიხდიდა. მაგრამ თუ მისტერ სნოუპსსა და ბანკის დირექტორთა საბჭოს სურდა, ის, ჯეისონი, იმ თანხასაც დაასახელებდა, რომლის სანაცვლოდაც მზად იყო, კომპსონების ყველა მამული მიეცა, საგირავნო ფურცლის ჩათვლით, ასე რომ, ბანკის დირექტორთა საბჭო ან ქალაქის სხვა პატრიოტული დაწესებულება შეძლებდა, თვითონ დალაპარაკებოდა მთავრობას აეროდრომის ასაშენებლად მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით, ამასთან, ჯეისონი მხოლოდ იმის უფლებას იტოვებდა, თანაც იმედის სახით, რომ დასრულებულ აეროდრომს კომპსონების სახელს მიანიჭებდნენ – არა ჯეისონის, არამედ იმის პატივსაცემად, რომ ჯეფერსონის ისტორიაში მათმა ოჯახმა თავისი როლი ითამაშა, რომლისთვისაც გაწითლება არ მოუწევდათ, და რომ მათ წინაპრებს შორის ერთი გუბერნატორი და ერთი ბრიგადის გენერალი იყო, მაგრამ ამის უკვდავყოფა, შესაძლოა, არც ღირდა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ღირდა კიდეც, ვინაიდან, როგორც ჩარლზის ბიძამ თქვა, ჯეისონი თვითონაც საკმაოდ ეშმაკი იყო, ყოველ შემთხვევაში, მაშინვე მოისაზრა: თუ სნოუპსის მსგავსი ადამიანი ფულს იმაში ხარჯავდა, რომ მისი სახელი საკუთარი მოღალატე ცოლის ძეგლზე აღმოჩენილიყო, მასაც შეეძლო იმაზე მეტი დაეხარჯა, რათა აეროდრომისთვის მისი სახელი ეწოდებინათ.

ასე ფიქრობდა ჯეისონი. 1943 წლის იანვარში კი მთელმა ჯეფერსონმა შეიტყო, რომ მისტერ სნოუპსი – არა ბანკი: კერძო პირი სნოუპსი – კომპსონების ყველა მამულის მფლობელი გახდა. და მაშინ, როგორც ჩარლზს ბიძამისი გევინი უყვებოდა, ჯეისონმა ნიშნის მოგების მიზნით საკუთარი კარტის გახსნა დაიწყო. და ვინ გაკიცხავდა მას ამისთვის, თუ აქამდე ვერავინ, მარმარილოს ძეგლების დამამზადებელი იტალიური სინდიკატის გარდა, ვერ შეძლო სნოუპსისთვის ისეთი ამორფული რამ მიეყიდა, როგორიც პრესტიჟია. იტალიელებმა, არსებითად, მას რესპექტაბელობა მიჰყიდეს, რაც მისთვის ფუფუნება კი არა, საარსებო აუცილებლობა იყო. ახლა კი ის (ჯეისონი) თავის ძველ მამულს სნოუპსის აეროდრომს უწოდებდა და (როგორც ბიძია გევინი ჰყვებოდა) ქუჩაშიც კი აჩერებდა მისტერ სნოუპსს სხვების თვალწინ და ეკითხებოდა, მშენებლობის საქმე როგორ მიდისო, არადა, უკვე ყველას, მათაც კი, ვინც არ იცოდა, აეროდრომი რა იყო, უკვე შეეტყო, რომ აქ აეროდრომი არ აშენდებოდა, ვინაიდან მთავრობას დიდი ხანია, ვაკე ადგილი შეერჩია კოლუმბუსის აღმოსავლეთით და სრულიად ბრტყელი ველი დელტაში, დასავლეთით, გრინვილის სიახლოვეს – როგორც ერთადერთი მისაღები ნაკვეთები სასწავლო აეროდრომების ასაშენებლად. ახლა ჯეისონი მისტერ სნოუპსს ირიბად თანაუგრძნობდა და მსმენელთა წინაშე

გრძელ ტირადებს ამბობდა ხელისუფლების უთავბოლობასა და სიჩლუნგესთან დაკავშირებით. მისი თქმით, მისტერ სნოუპსი ყოველთვის უსწრებდა თავის საუკუნეს, და რომ აუცილებლად დადგებოდა დრო, სანამ ომი გრძელდებოდა და ყველას ქამრების კიდევ უფრო ძლიერად შემოჭერა მოგვიწევდა, როცა სნოუპსის აზრი, რომ აეროდრომი აუცილებლად ბორცვებიან მინდორში უნდა აშენდეს, ერთადერთ მიზანშეწონილ აზრად გამოცხადდებოდა და მთელ მსოფლიოში „აეროდრომების სნოუპსისეულ პროექტად" გავრცელდებოდა, ვინაიდან, ამ გეგმის მიხედვით, ასაფრენი ბილიკების სიგრძე, რომლებიც ადრე მთელ მილზე იყო გაჭიმული, ორჯერ შემცირდებოდა, რადგან თუ ბორცვის ორივე მხარეს ბულდოზერით მოასწორებდნენ, მათ ასაფრენადაც გამოიყენებდნენ და დასაფრენადაც, და თვითმფრინავი ისე გაღოღდებოდა, როგორც ბუზი ხვრელში შეჩრილ სათამაშო კარტზე.

მაგრამ შესაძლოა, ჯეისონი მხოლოდ თავს იმხნევებდა, ამბობდა გევინი, და საშინელი აღმოჩენის შიშით, მან „პასი" მაშინ თქვა, როცა უკვე გვიან იყო. ცხადია, ჯეისონი თავისებურად ეშმაკი იყო და თავის ეშმაკობას, სადაც შეეძლო, ყველგან იყენებდა, თორემ ის ვერ გახდებოდა, რაც ახლა იყო, ამას კი სხვების დაუხმარებლად მიაღწია, თუმცა თავიდან მხოლოდ მიზერული თანხა ჰქონდა. შესაძლოა, როცა ნასყიდობის ქაღალდს ხელი მოაწერა და ჯერ ფულიც არ აეღო, გაიფიქრა, რომ ფლემიც საკმაოდ ეშმაკი იყო, თორემ ბანკის პრეზიდენტი ვერ გახდებოდა, მით უმეტეს, რომ მასზე, ჯეისონზე ნაკლები თანხით დაიწყო – მას სახლი და ცოტა ფული ჰქონდა, ფლემს კი მხოლოდ ცოლი ჰყავდა. შესაძლოა, ჯეისონი მოულოდნელად მიხვდა იმ ალღოთი, რომელიც მათი საერთო ბატონისგან, თვით ეშმაკისგან ერგო მემკვიდრეობით, რომ ფლემ სნოუპსი სულაც არ აპირებდა, რომ მას სულაც არ სურდა, მის მიწაზე აეროდრომი აეშენებინათ. პირიქით, თვითონ ჯეისონ კომპსონი ვარაუდობდა, რომ ომს თავისით მოჰყვებოდა მიწის ნაკვეთების მფლობელთა იძულებით დათანხმება აეროპლანების, ტანკებისა და ქვემეხების ასაწყობად, ფლემ სნოუპსი კი გაცილებით უკეთ აზროვნებდა, ფლემ სნოუპსს შესანიშნავად ესმოდა, რომ აეროპლანები, ტანკები და ქვემეხები საკუთარ თავს თვითონვე ანადგურებდნენ იმით, რომ ძველდებოდნენ, და რომ ომის ჭეშმარიტი თანამდევი პროდუქტი, რომელიც მუდმივად მატულობდა და მრავლდებოდა, იყო ბავშვების გამრავლება, შობადობის ზრდა, ამას კი მიწის ნაკვეთები სჭირდებოდა, სადაც კედლებს ამოიყვანდნენ, რათა ადამიანები ავდრისა და უამინდობისგან დაეცვათ, რათა მათ დაგროვილი ხარახურის შენახვა შეძლებოდათ.

მაგრამ უკვე გვიან იყო. მიწას ახლა ფლემი ფლობდა, რომელიც იჯდა და ომის დამთავრებას ელოდებოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამერიკა და მასთან ერთად ჯეფერსონი ამ ომს მოიგებდა თუ წააგებდა – ნებისმიერ შემთხვევაში, მოსახლეობის მატება ხალხს საცხოვრებელს მისცემდა, სახლები კი რაღაცაზე და სადღაც უნდა მდგარიყო, მათ შორის, მეოთხედი კვადრატული მილის ფართობის ნაკვეთზეც, სადაც მხოლოდ ერთი კუთხე ეკუთვნოდა ბუზღუნა მოხუცს, გვარად მედოუფილს, მაგრამ მას ფლემ სნოუპსი ათ-თხუთმეტ წუთში გაუსწორდებოდა, როგორც კი მიწის ეს ნაგლეჯი დასჭირდებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ პერლ-ჰარბორამდე მიუჩოჩდა და შემოერტყა კეთილმოწყობილი ქალაქი. ჯეისონის მიერ გადადგმულ ნაბიჯს არავინ გაუოცებია. როგორც ჩარლზს ბიძამისმა გევინმა უთხრა, საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ჯეისონმა მას მიმართა და მოსყიდვა სცადა, რათა მას

სნოუპსისთვის მიცემულ ნასყიდობის ქაღალდში რამე შეცდომა ეპოვა, და თუ ასეთი შეცდომა არ არსებობდა, ის თვითონ მოეფიქრებინა. ბიძია გევინი ამბობდა, რომ ჯეისონმა მას თვითონ აუხსნა ყველაფერი.

– ამბობენ, თითქოს ყველაზე განათლებული იურისტი ხართ ჩვენს მხარეში. თქვენ ხომ არა მხოლოდ ჰარვარდში, არამედ გერმანიის რომელიღაც ქალაქშიც სწავლობდით. ასეა?

– ანუ, თუ ჰარვარდი ვერ დაგეხმარებათ, თაღლითურად წაართვათ ფლემ სნოუპსს თქვენი მამული, დაე, ჰაიდელბერგი შეგეწიოთ, არა? – მიუგო ბიძია გევინმა, – თავიდან მომწყდით, ჯეისონ.

– მართალია, – თქვა ჯეისონმა, – ახლა შეგიძლიათ კეთილშობილების გამოჩენა, ტყუილუბრალოდ ხომ არ დაქორწინდით ფულზე!

– გითხარით, დაიკარგეთ-მეთქი, ჯეისონ! – გაიმეორა ბიძია გევინმა.

– კარგი, კარგი, – ჩაილაპარაკა ჯეისონმა, – მოიძებნება ადვოკატი, რომელსაც სნოუპსის ბანკში ამდენი ფული არ უდევს, ისეთი, ვისაც ფლემის არ შეეშინდება.

სხვათა შორის, ჯეისონ კომპსონი თვითონაც, სხვების უკარნახებლადაც ხვდებოდა, რომ ფლემ სნოუპსი არასდროს და არავისთან მოაწერდა ხელს ისეთ ნასყიდობის ქაღალდს, რომელიც შედავების უმცირეს შანსს დატოვებდა. მაგრამ ჯეისონი ცდას არ აკლებდა, რამე გამოექექა, და ბიძია გევინმა ჩარლზს ამის შესახებაც უამბო: ჯეისონი გამუდმებით ცდილობდა, რამე ხერხი, ნებისმიერი ხერხი მოეფიქრებინა მიწაზე სნოუპსის უფლების გასასაჩივრებლად ან მასში დასაეჭვებლად. ცივი, დაუცხრომელი ბრაზი დაუფლებოდა – სექტანტის ბრაზი, რომელმაც უეცრად აღმოაჩინა, რომ სხვა მქადაგებელმა მის ზურგს უკან მისი ის კლიენტი ან პაციენტი მოიხელთა და დაამუშავა, რომელსაც თვითონ მთელი ზაფხული შეალია. უფრო სწორად, ეს თაღლითისა და ქურდის ბრაზი იყო, რომელიც სხვა თაღლითმა და ქურდმა გაასულელა და გაძარცვა. მაგრამ ყოველ ჯერზე ხათაბალაში ებმებოდა: კომპსონების ყველა მამულზე სნოუპსის უფლება ისეთი მტკიცე აღმოჩნდა, რომ ჯეისონი, როგორც იქნა, დამარცხდა. და იმავე კვირას იგივე უოთ სნოუპსი, რომელმაც ოცი წლის წინათ დე სპეინების ძველი სახლი ფლემის ნეოკლასიკურ სასახლედ აქცია, კვლავ ჩამოვიდა და კომპსონების ძველი ეტლების ფარდული (ის მოშორებით იდგა და ბენჯიმ მას ცეცხლი ვერ წაუკიდა), პატარა ორსართულიან ფლიგელად გადააქცია, ერთი თვის შემდეგ კი ამ ფლიგელში ახალი ჯეფერსონელი სნოუპსი, ორესტი შესახლდა. და არა მხოლოდ როგორც ფლემ სნოუპსის აგენტი, რომელიც ადგილზევე უნდა შეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ მაქინაციას, რის მოფიქრებასა თუ გამოგონებასაც ჯეისონი შეძლებდა. არა, უკვე ზაფხულისთვის რესმა ყველა მიმდებარე ნაკვეთი შემოღობა, საძოვრებად დაყო და უჯიშო საქონლითა და ღორებით ვაჭრობას შეუდგა. გარდა ამისა, იმ დროისთვის გაცხოველებული პარტიზანული შეტაკებები დაიწყო მასა და მოხუც მედოუფილს შორის, ვისი ბაღიც რესის მიერ ღორებისთვის შემოღობილ საბალახოს ესაზღვრებოდა.

მოხუც მედოუფილს მთელი ჯეფერსონი ჯერ კიდევ ომამდე იცნობდა: იგი ისეთი ძუნწი იყო, რომ შეეძლო, მუშაობისთვის თავი დაენებებინა და პატარა

სამხერხაოსგან მიღებული დანაზოგით ეცხოვრა. მას შემდეგ, რაც კომპსონებისგან მიწის ნაკვეთი შეიძინა და ქოხი აიშენა ელექტრობისა და კანალიზაციის გარეშე, დაახლოებით ერთი წელი კიდევ მუშაობდა თავის სამხერხაოში და ფიცრებით ვაჭრობდა, ბოლოს კი ისიც გაყიდა და პატარა სახლში განაგრძო ცხოვრება დაბეჩავებულ ცოლსა და ერთადერთ ქალიშვილთან ერთად, და ვინაიდან ყველას ესმოდა, რომ ცოცხალ და ჯანმრთელ ადამიანს (სამხერხაოსთვის თავის მინებების შემდეგ) ზედმეტი ერთი დოლარიც არ ექნებოდა და მას ვერც ფულს დაესესხებოდი და ვერც ვერაფერს მიჰყიდდი, მოხუც მედოუფილს შეეძლო, მშვიდად მჯდარიყო და არა მხოლოდ ჯეფერსონში, არამედ მთელ იოკნაპატოფის ოლქში ყველაზე ბრაზიანი და ბუზღუნა კაცის რეპუტაცია დაემკვიდრებინა.

ჩარლზს კარგად ახსოვდა მისი ქალიშვილი – თაგვივით წყნარი და მორიდებული გოგო, რომელსაც ზედაც არავინ უყურებდა, სანამ 1942 წელს, ყველასთვის მოულოდნელად, საშუალო სკოლა წარმატებით არ დაასრულა. მან ისეთი უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა, როგორიც მანამდე არავის მიეღო. გარდა ამისა, მას ხუთასი დოლარის ოდენობის სტიპენდიაც შესთავაზეს, რომელიც ჯეფერსონის ბანკის (არა სნოუპსის, არამედ სხვა ბანკის) პრეზიდენტს დაეწესებინა საკუთარი ერთადერთი ვაჟის, საზღვაო მფრინავის, წყნარი ოკეანის თავზე პირველივე ბრძოლებში დაღუპულის ხსოვნის პატივსაცემად. ქალიშვილმა სტიპენდიაზე უარი განაცხადა. იგი მისტერ ჰოლენდთან მივიდა და უთხრა, რომ სატელეფონო კომპანიაში მოეწყო სამუშაოდ და სტიპენდია არ დასჭირდებოდა, მაგრამ უნდოდა, ბანკიდან ხუთასი დოლარის სესხი აეღო მომავალი ხელფასის გარანტიით, და დაჟინებით დასმული შეკითხვების შემდეგ განმარტა, რომ თავის სახლში აბაზანის დადგმა სურდა: მანამდე კვირაში ერთხელ, შაბათობით, ზამთარ-ზაფხულ, დედა ქურაზე წყალს აცხელებდა, სარეცხის მრგვალ ბაკს ავსებდა, სამზარეულოს შუაგულში დგამდა და ამ წყლით სამივე რიგრიგობით იბანდა: ჯერ – მამა, შემდეგ – ქალიშვილი, ბოლოს კი – დედა. მისტერ ჰოლენდმა თვითონ მოჰკიდა საქმეს ხელი, მედოუფილების სახლში საკუთარი ხარჯით დააყენა აბაზანა და კანალიზაციაც გაიყვანა, თუმცა ბერიკაცი ბრაზობდა და აღშფოთებას ვერ მალავდა (არ სურდა, მის სახლში უცხო პირებს ეფუსფუსათ, და თუკი ფულის ფლანგვა გადაეწყვიტათ, ჯობდა ხელზე მიეცათ), ესის კი ბანკში შესთავაზა მუდმივი ადგილი.

მას შემდეგ, რაც მისი ერთადერთი ქალიშვილი მოეწყო კიდეც და ოჯახის ბიუჯეტის შემავსებელიც გახდა, მოხუცი მედოუფილი ძალზე გაშმაგდა, რასაც მისგან არავინ მოელოდა. აქამდე ის თვითონ ყიდულობდა ყველაფერს: ყოველ დილას ქალაქში ჯვალოს თოფრით მიდიოდა და გარეუბანში მდებარე ბინძურ ფარდულებში, რომლებშიც პროდუქტს, ჩვეულებისამებრ, ზანგები ყიდულობდნენ, გამყიდველს რეტის დასხმამდე ევაჭრებოდა ისეთი ნაყარნუყარის გამო, რომელსაც ზანგებიც კი არ ეკარებოდნენ. დარჩენილ დღეს კი ხან თავისი ეზოს რომელიღაც კუთხეში იმალებოდა, მის შემოუღობავ ნაკვეთზე შემოხეტიალებულ უპატრონო ძაღლებს უყვიროდა, ბიჭებს უჯავრდებოდა, რომლებიც ცელქობდნენ და თითო-ოროლა ნაყოფს წყვეტდნენ ხეებიდან, თვითონ „ბაღს“ რომ უწოდებდა. ახლა ყველაფერი დასრულდა. იგი ზუსტად ერთი წელი დაელოდა, თითქოს საბოლოოდ უნდოდა დარწმუნება, რომ ესიმ სამუდამოდ მიიღო სამუშაო ადგილი. ბებერი და დამბლადაცემული მეზობელი ქალის გარდაცვალებისთანავე, დილას, მისი

ნათესავებისგან ბორბლებიანი ეტლი იყიდა, რომელშიც ავადმყოფი წლების განმავლობაში იჯდა, სამგლოვიარო პროცესიის სახლიდან გამოსვლას აღარ დაელოდა, ეტლი ქუჩაში გააგორა, საკუთარ ნაკვეთში შეიტანა, შიგ ჩაჯდა და გარეთ აღარ გამოდიოდა. მართალია, თავდაპირველად კიდევ დადიოდა თავის სამფლობელოში, და თუმცა, გევინის თქმით, ახლა ყველაფერს ესი ყიდულობდა, მოხუცი მედოუფილი კვლავაც გამოდიოდა ეზოში, ბიჭებსაც უყვიროდა და ქვებსაც ესროდა (ქვები გროვად ეწყო იქვე, როგორც ყუმბარები – სამუზეუმო ზარბაზნის გვერდით) მაწანწალა ძაღლებს, ოღონდ თავის ნაკვეთს აღარ შორდებოდა, მალე კი მყარად დაჯდა ბორბლებიან ეტლში: ფანჯარასთან სარწეველასავით დააყენა, საიდანაც ბოსტანი, სადაც აღარ მუშაობდა, და გასაცოდავებული ხეხილი მოჩანდა, რომლებსაც სიძუნწის თუ საზიზღარი ხასიათის გამო არასდროს სხლავდა და არც წამლავდა, არადა, მათგან გასაყიდ მოსავალს თუ არ მიიღებდა, საკუთარ თავს მაინც დააკმაყოფილებდა.

შემდეგ ჯეისონ კომპსონმა ისე მოაწყო, რომ ფლემ სნოუპსი მის საგვარეულო მამულს დაეუფლა, რეს სნოუპსმა კი მოხუცი მედოუფილის ბოსტნის გვერდით საღორე მოაწყო და ამით ბერიკაცი ახალ ადამიანად აქცია. ადრე ბიჭებს, დიდი-დიდი ტოტი მოეტეხათ, მაწანწალა ძაღლებს კი ყვავილნარი გადაეთხარათ, თუ ყვავილებს დარგავდა. ახლა კი ერთ ტახს მთელი ნაკვეთის წახდენა და დაბინძურება შეეძლო. მედოუფილის ცხოვრებასაც აზრი მიეცა. დროებით თავისი სავარძლიდანაც კი ადგა, რომელიც მას ხელს უშლიდა, ვინაიდან მთელი დღე იმას უყურებდა, თუ როგორ აკეთებდნენ რესი და დაქირავებული ზანგი მავთულის ღობეს მისი ნაკვეთის გასწვრივ, თვალს ადევნებდა, როგორ არჭობდნენ მიწაში თითოეულ ბოძს და როგორ ტკეპნიდნენ მიწას, შემდეგ კი მიდიოდა, ბოძსორივე ხელს შემოხვევდა, სახეზე სისხლმოწოლილი აჯანჯღარებდა და შეშლილივით უყვიროდა სნოუპსსა და მის დამხმარეს, რომლებიც მავთულს ჭიმავდნენ:

– მაგრად, უფრო მაგრად დაჭიმეთ! დალახვროს ეშმაკმა, რას აკეთებთ? ჰამაკს ხომ არ კიდებთ?

მაშინ მაღალი, აწოწილი რეს სნოუპსი ცერად გახედავდა ცალი სარდონიკული თვალით და პასუხობდა:

– ნუ წუხხართ, მისტერ მედოუფილ, არ ღირს, დამიჯერეთ! განა დავუშვებ, რომ ასეთი პატივცემული მოხუცი, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ჯენტლმენი, ღობეზე დაძვრებოდეს? მე ვიწრო ძელებს გავდებ, რომლებიც შეგიძლიათ, ჩამოხსნათ, ან თუ ეს გაგიჭირდებათ, მუხლებზე დადგეთ და ქვეშ გაძვრეთ, როცა მოისურვებთ, – გაშმაგებული მედოუფილი კი დაუნაწევრებლად ბურტყუნებდა:

– ოღონდ ეს ტახები... ოღონდ ეს წყეული ტახები... – რაზეც სნოუპსი ეუბნებოდა:

– თქვენც ადექით, დაიჭირეთ და სამზარეულოში ან საძინებელ ოთახში გამოკეტეთ, სადაც მოგიხერხდებათ. მე კი, კანონის ძალით, დამაჯარიმებენ, ერთ დოლარს გადამახდევინებენ. იქნებ სწორედ ეს არის შესაფერისი საქციელი ასეთი ბერიკაცისთვის, ინვალიდისთვის, – მაგრამ ამ დროს

მედოუფილი უკვე ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ სნოუპსი ფანჯარასთან ან სამზარეულოს კარში მდგარ მის მორჩილ ცოლს უყვიროდა: – აჯობებს, თუ აქედან წაიყვანთ!

და ქალსაც მიჰყავდა იგი, მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ღობე დაასრულეს. ყოველ შემთხვევაში, სნოუპსი იმ ადგილას აღარ მიდიოდა, საიდანაც მედოუფილი მის გამოლანძღვას შეძლებდა. მხოლოდ ღორები იჩიჩქნებოდნენ მიწაში ახალ ღობესთან, რომელიც მათ განსაზღვრული დროით აკავებდა.

სწორედ რომ განსაზღვრული დროით – იმ წუთამდე, სანამ დაბნელდებოდა და აღარ ჩანდა, ბაღში რა ხდებოდა. სამაგიეროდ, ახლა ის არსებობდა, რისთვისაც შეეძლო ეცხოვრა, დილაობით გათენებისთანავე ამდგარიყო, ლოგინიდან გამომძვრალიყო, ფანჯარასთან მიერბინა და ენახა, ხომ არ უღალატა სიბნელემ, როცა ღორს ბაღში თვალს ვეღარ მოჰკრავდა, თუნდაც დღე-ღამეში ოცდაოთხი საათი ეფხიზლა და ბაღისთვის ედარაჯა. ახლა არსებობდა ის, რისთვისაც უღირდა სავარძელში ჩაჯდომა, ფანჯარასთან მისვლა და დანახვა, რომ თუნდაც ამ ღამეს ბაღი ხელუხლებელი დარჩა, რომ კიდევ ერთ ღამეს დაინდეს. ნანობდა ყოველ წუთს, რომელიც მაგიდასთან ჭამის დროს უნდა გაეტარებინა – ბაღი ხომ უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ბიძია გევინი ჩარლზს ეუბნებოდა, რომ მოხუცი მედოუფილი იმაზე არც ფიქრობდა, როგორ მოიქცეოდა, თუ ფანჯრიდან თავის ნაკვეთში ღორს შეამჩნევდა – ჩარლზმა მშვენივრად იცოდა, რომ ამ სამაგელ ბერიკაცს, სანამ უძლურებას მოიმიზეზებდა და სავარძელში ჩაჯდებოდა, თავის წინააღმდეგ ისე ძლიერ განეწყო ყველა მეზობელი, რომ თითსაც არავინ გაანძრევდა მისი ბოსტნიდან ღორის გამოსადევნად, არც სხვა რამეს გაუკეთებდა – ალბათ, მხოლოდ გვამის დამალვაში დაეხმარებოდა მის მორჩილ და უსახურ ქალს, თუკი იგი იმას გააკეთებდა, რაც დიდი ხნის წინათ უნდა გაეკეთებინა: როგორმე ღამით მისთვის სიცოცხლე მოესწრაფა. მედოუფილი ერთხელაც არ დაფიქრებულა, რას მოუხერხებდა ღორს. ეს არც სჭირდებოდა. როგორც ბიძია გევინი ამბობდა, იგი, ცხოვრებაში, ალბათ, პირველად იყო ბედნიერი: ადამიანი მაშინაა ბედნიერი, როცა სავსე ცხოვრებით ცხოვრობს, ცხოვრება კი მაშინაა სავსე, როცა ყოველ წუთს ისეა დაკავებული, რომ არც გუშინდელი დღე ახსოვს და არც ხვალინდელი დღის ეშინია. მაგრამ, ცხადია, როგორც ჩარლზის ბიძა ამბობდა, ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. დროთა განმავლობაში მოხუცი მედოუფილი იმ წერტილს მიაღწევდა, რომ თუკი დილას ფანჯრიდან გაიხედავდა და ბაღში ღორს თვალს კვლავ ვერ მოჰკრავდა, იმედგაცრუებით გამოწვეული აუტანელი ტანჯვისგან მოკვდებოდა, და თუ უეცრად ღორს დაინახავდა, მაინც მოკვდებოდა, რადგან ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

იგი ატომურმა ბომბმა იხსნა. ჩარლზს მიაჩნდა, რომ როდესაც იაპონელებიც დანებდნენ, ჯარისკაცებმა ფრონტიდან შინ დაბრუნება დაიწყეს – ქალებთან, რომლებზეც დაქორწინება კიდევ უფრო ადრე დაიწყეს, მანამ, სანამ პერლ-ჰარბორის თავზე პირველი აფეთქების ექო მიწყდებოდა, და განაგრძობდნენ კიდეც ცოლის მოყვანას, როგორც კი ორდღიან შვებულებას აძლევდნენ, – ახლა კი ყველანი შინ ბრუნდებოდნენ, ან თავ-თავიანთ ოჯახებთან შესაერთებლად, ან იმ ქალებზე დასაქორწინებლად, რომელთა ცოლად მოყვანაც ვერ მოასწრეს, მათი სისხლით ნაშოვნი ფული კი უკვე მოეხვეტა

ომის ვეტერანთა სახელმწიფო საბინაო ფონდს (როგორც ბიძია გევინი ამბობდა: „გმირს, რომელიც ხელყუმბარებითა და ტყვიამფრქვევის ლენტებით ამარაგებდა მოწინავე პოზიციებს, ახლა ჩიხებსა და ქუჩაბანდებში მცხოვრები ომის ვეტერანების ჭუჭყიანი სახვევებით სავსე კალათები სამრეცხაოებში მიჰქონდა"); და ახლა ჯეისონ კომპსონი ძალიან იტანჯებოდა, რასაც, ალბათ, მისი აზრით, არავინ იმსახურებდა და ვერავინ გაუძლებდა. ვინაიდან, როდესაც 1945 წლის სექტემბერში ჩარლზი შინ დაბრუნდა, ჯეისონის ძველი, დაკარგული საგვარეულო მამული უკვე ნაკვეთებად დაეყოთ და იქ სტანდარტულ ასანთის კოლოფებს აშენებდნენ – სახლებს ომის ვეტერანებისთვის. ერთი კვირის შემდეგ რეტლიფი ბიძია გევინის კაბინეტში გამოცხადდა და მასა და ჩარლზს უთხრა, რომ ნაკვეთებისთვის ოფიციალურად „იულას დასახლება" ეწოდებინათ. არა ჯეისონის მიერ მოგონილი ტრიუმფალური და დამცინავი სახელწოდება „სნოუპსის სახელობის აეროდრომი" მისსავე სახელობის დამანგრეველ პუნქტთან, არამედ „იულას დასახლება", „იულას – საყვარელი ცოლის – სახელობის ოჯახური ბუდეები". ჩარლზმა არ იცოდა, ეს თვითონ სნოუპსმა მოიფიქრა თუ არა, თუმცა კარგად ახსოვდა, როგორი სახე ჰქონდა ბიძია გევინს, როდესაც რეტლიფმა ამის შესახებ უთხრა. მაგრამ ჩარლზი უამისოდაც კვლავაც ამჯობინებდა ერწმუნა, რომ ეს სახელი ფლემმა კი არა, მისმა ამშენებელმა და (როგორც ქალაქში მიაჩნდათ) ფლემის პარტნიორმა უოთ სნოუპსმა მოიფიქრა, ვინაიდან ჩარლზს ჯერაც უნდოდა დაეჯერებინა, რომ არსებობდა რამდენიმე ან თუნდაც ერთი რამ, რაზეც ფლემიც კი არ წავიდოდა, თუნდაც იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ფლემს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა ნაკვეთებისთვის სახელი დაერქმია, რადგან სრულიად არ აინტერესებდა, ერქვათ მათ რამე თუ არა. საშობაოდ ყველა ნაკვეთი პატარა, ხასხასა ფერებად შეღებილი, ხელუხლებელი, ახალი, თაფლაკვერებისა და საჩაიე ნამცხვრებივით ერთმანეთის მსგავსი (და მტკიცე) სახლებით მოიფინა, და აი, შელახულ ფორმაში გამოწყობილი სამხედრო მეზღვაური თუ ჯარისკაცი, ცალი ხელით საბავშვო ეტლს რომ არწევდა, მეორეთი კი მეორე (თუ მესამე) ბავშვი რომ ეჭირა, უკვე კართან იდგა და მოუთმენლად ელოდებოდა, როდის აიკრავდა გუდა-ნაბადს უკანასკნელი მღებავი. საახალწლოდ დამტკიცდა და განისაზღვრა ახალი საგზაო მაგისტრალი მისტერ სნოუპსის საცხოვრებელი ნაკვეთის მთელ გაყოლებაზე, იმ კუთხის ჩათვლით, რომელსაც მედოუფილი ფლობდა. ახლა მედოუფილის წინაშე ისეთი ამაღელვებელი და თავშესაქცევი შესაძლებლობები გაჩნდა, რომლებთან შედარებითაც ღორების შემოჭრა სრულიად უმნიშვნელო წვრილმანად მოჩანდა, როგორც, მაგალითად, ჩიტის გადაფრენა ან ბაყაყის მიერ კვალის დატოვება. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მსხვილ ნავთობკომპანიას იმ კუთხის ყიდვა უნდოდა, სადაც ერთმანეთს მედოუფილის ნაკვეთი და კომპსონების (ახლა სნოუპსის) მამული ხვდებოდა, ანუ მედოუფილის ბაღის ნაწილი და მისი მომიჯნავე რეს სნოუპსის საღორე, რათა იქ ბენზინგასამართი სადგური აეშენებინა.

მაგრამ მოხუც მედოუფილს ის ცამეტფუტიანი მიწის ზოლიც არ ეკუთვნოდა, რომელიც ნავთობკომპანიას მიზანში ამოეღო. და საერთოდ, როგორც მთელმა ქალაქმა იცოდა, ნასყიდობის ქაღალდი მედოუფილის სახელზე არც იყო შედგენილი. დიდი ხნის წინათ, როდესაც რუზველტი მეორეჯერ აირჩიეს პრეზიდენტად, მედოუფილი, ცხადია, მათ შორის აღმოჩნდა, ვინც პირველმა მიმართა შემწეობის მისაღებად, და მაშინვე აღშფოთებითა და გაოცებით აღმოაჩინა, რომ ფედერალური ხელისუფლების ხრიკიანი ბიუროკრატები

კატეგორიულად არ აღიარებდნენ მას ღარიბად და, იმავდროულად, მიწათმფლობელად. მან გევინს მიმართა – ჯეფერსონელ ადვოკატებს შორის სწორედ ის ამოარჩია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან, მედოუფილმა, შესანიშნავად იცოდა: ხუთი წუთის შემდეგ სტივენსი მასზე ისე გაბრაზდებოდა, რომ, სავარაუდოდ, იმ ქაღალდის შედგენისთვის გამომუშავებულ ჰონორარზეც კი უარს იტყოდა, რომლის თანახმადაც, მედოუფილი მთელ თავის ქონებას საკუთარი ცხრა წლის (ეს 1934 წელს ხდებოდა) ქალიშვილის სახელზე აფორმებდა. მას მხოლოდ დრო შეეშალა, ვინაიდან უკვე ორი წუთის შემდეგ სტივენსი ისე აენთო, რომ თვითონ გაქანდა ქალაქის არქივარიუსთან და მის არქივში აღმოაჩინა, რომ ჯეისონ კომპსონის მამის მიერ მედოუფილისთვის მიცემულ ნასყიდობის ქაღალდში ეწერა: „ფრიდომსპრინგს-როუდად ცნობილი გზის სამხრეთით და შემდგომ აღნიშნული გზის აღმოსავლეთით". იმ დროისთვის, როდესაც მედოუფილმა თავისი ნაკვეთი იყიდა, ფრიდომსპრინგს-როუდი უკვე გადარეცხილ, ბუჩქებმოდებულ, ათი ფუტის სიღრმის თხრილად გადაქცეულიყო, რომლის გასწვრივაც საფეხმავლო ბილიკი გადიოდა, ამასთან, მაშინ ეს თხრილი გეოგრაფიული ნიშანი იყო, ისეთივე მნიშვნელოვანი და აუცილებელი, როგორიც დიდი კანიონი, ვინაიდან ეს იმ ერამდე ხდებოდა, როცა ბულდოზერები და გრეიდერები არა მხოლოდ ლანდშაფტს ცვლიდნენ, არამედ გეოგრაფიულ ნიშნებსაც უკვალოდ აქრობდნენ. გამოდიოდა, რომ საზღვარი ცამეტი ფუტით ახლოს მდებარეობდა საწყის აზომვით ხაზთან შედარებით, რომლის მიხედვითაც მაჰატაჰამ, ჩიკასოს ტომის მატრიარქმა, 1821 წელს მიწა პირველ კვენტინ კომპსონს გადასცა. ჩარლზის ბიძამ თქვა, რომ თავიდან, ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით, დააპირა, მოხუცი მედოუფილისთვის დაუყოვნებლივ ეცნობებინა, რომ ის, ფაქტობრივად, დედამიწის ზედაპირზე ცამეტი ფუტით მეტს ფლობდა, ვიდრე ეგონა, თუკი მათ შესახებ მანამ განაცხადებდა, სანამ ამას სხვა გააკეთებდა. მაგრამ თუ ის, სტივენსი, ამას ეტყოდა, მორალი დაავალდებულებდა, არქივში ჩატარებული საძიებო სამუშაოს სანაცვლოდ მედოუფილისგან ათი დოლარი მიეღო, ამიტომ გადაწყვიტა, ერთი ეთიკური სურვილი მეორით ჩაეხშო და ყველაფერი უბრალო სამართლიანობისთვის მიენდო – დაე, მას გაეკვალა გზა.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც გამოკვლევა ჩაატარეს ახალი გზატკეცილისთვის, რომელსაც ჩიკასოს ტომის ძველ საზღვარზე უნდა გაევლო, და აქ მედოუფილმა აღმოაჩინა, რომ მისი სამფლობელო მხოლოდ თხრილამდე აღწევდა, ანუ გზატკეცილამდე ცამეტი ფუტი აკლდებოდა. გაშმაგება ძალზე უფერული სიტყვაა იმ მდგომარეობის გამოსახატავად, რომელიც მოხუცს დაეუფლა, როდესაც ნავთობკომპანიამ ნაკვეთისგამოსყიდვა შესთავაზა, მან კი შეიტყო, რომ მისი დაუძინებელი მტერი, სნოუპსი-მეღორე სწორედ იმ ცამეტ ფუტს ფლობდა, ოღონდ რამე დოკუმენტის გარეშე, ურომლისოდაც ნავთობკომპანია მისგან, მედოუფილისგან, ერთ გოჯ მიწასაც არ შეიძენდა. იგი, ცხადია, ძალიან განრისხდა, ვინაიდან ბოლო წლის განმავლობაში განრისხება ჩვეულებად გადაქცეოდა. მაგრამ ამას ახლა კმაყოფილებაც ერწყმოდა. მეტიც: მასში შურისძიების, სამაგიეროს გადახდის სურვილმა გაიღვიძა – შური ეძია კომპსონებზე, რომლებმაც ყალბი ნასყიდობის ქაღალდი შეაჩეჩეს და აიძულეს, მათ სიტყვას ნდობოდა. შური უნდა ეძია მთელ ქალაქზე, სადაც წლების განმავლობაში არ ასვენებდნენ ბიჭები და მაწანწალა ძაღლები, და კომპანიისთვის ნება არ მიეცა, რომ ქალაქისთვის სასარგებლო საქმე გაეკეთებინა (და თუ მოახერხებდა, ახალი

გზატკეცილის გაყვანისთვისაც შეეშალა ხელი). შური უნდა ეძია იმ ადამიანზე, რომელიც მთელი წელი არა მხოლოდ ძილს უფრთხობდა, არამედ მადასაც უკარგავდა ღორების შესევის მუქარით. და მან მშვიდად განაცხადა, რომ არავის, არანაირი პირობით, თავისი მიწის ერთ ნაგლეჯსაც არ მიჰყიდდა, და ვინაიდან მისი ნაკვეთი სნოუპსის ნაკვეთზე წინ მდებარეობდა (ცამეტფუტიანი ზოლის გამოკლებით), მან ამით ნავთობკომპანიას ბენზინგასამართი სადგურისთვის შერჩეული კუთხე მოუჭრა, თითქოს საბაჟო ბარიერი დაუდგა. ამას ის მოჰყვა, რომ ნავთობკომპანიამ სნოუპსის ნაკვეთის ყიდვაზეც უარი განაცხადა.

ცხადია, – ამის შესახებ მთელმა ქალაქმა იცოდა, – სნოუპსი (ჩარლზი რეს სნოუპსს გულისხმობდა) უკვე ელაპარაკა ესი მედოუფილს, ვის სახელზეც იყო გაფორმებული მიწა და, როგორც ქალაქში შეიტყვეს, მან უპასუხა: „მამაჩემს უნდა დაელაპარაკოთ". ასე რომ, სნოუპსი ჭეშმარიტად გადაულახავი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა: თავისი ღორების გამო, სამუდამოდ დაკარგა მოხუც მედოუფილთან პირადად გასაუბრების შესაძლებლობა. სნოუპსს, ფაქტობრივად, ორი გადაულახავი დაბრკოლება უნდა დაეძლია: მეორე დაბრკოლება მისი მრწამსი, ილუზია, წარმოსახვა გახლდათ, თითქოს შესაძლებელი იყო, ფულით ემოქმედა ადამიანზე, რომელიც წლების განმავლობაში ისე მიეჩვია, არ ჰქონოდა და არც მოესურვებინა ზედმეტი დოლარი, რომ ახლა ათასიც კი ვერ აცდუნებდა. ასე რომ, სნოუპსი ადამიანში შეცდა. მაგრამ არ ნებდებოდა (დიახ, გარეშე პირს შესაძლოა, ეკითხა, თუ რას აკეთებდა ამ დროს ფლემ სნოუპსი, მთელი მიწის ნამდვილი პატრონი სნოუპსი, მაგრამ ქალაქის მცხოვრებნი სულაც არ იყვნენ გარეშე პირები). რესი ნავთობკომპანიის აგენტთან წავიდა, რომელიც ნაკვეთების შესყიდვას ხელმძღვანელობდა, და უთხრა: „გადაეცით მას, რომ თუ ნასყიდობის ქაღალდს ხელს მოაწერს, ათ პროცენტს მივცემ თქვენ მიერ ჩემთვის იმ ცამეტი ფუტის სანაცვლოდ გადახდილი თანხიდან". შემდეგ დაამატა: „კარგი. ორმოცდაათ პროცენტს. ნახევარს". დაფიქრდა და განაგრძო: „კარგი. რამდენი უნდა?" ბოლოს კი განაცხადა და, ნავთობკომპანიის აგენტის თქმით, ეს ძალზე თავაზიანად, ზრდილობიანად და შემპარავად წარმოთქვა: „რა გაეწყობა. კარგი მოქალაქე პროგრესს ხელს არ შეუშლის, თუნდაც ამით იზარალოს კიდეც. გადაეცით, რომ თუ ნასყიდობის ქაღალდს ხელს მოაწერს, ის ცამეტი ფუტი მისი იყოს".

ამჯერად მედოუფილს თავიც კი არ შეუწუხებია „არას" სათქმელად. იგი გაუნძრევლად იჯდა ინვალიდის სავარძელში, საიდანაც იმ მიწასაც ხედავდა, რომლის გაყიდვაც არ სურდა, და მომიჯნავე ნაკვეთსაც, რომელსაც მისი მეზობელი მის გამო ვერ ყიდდა. ასე რომ, ქალაქში თანამგრძნობებიც გამოჩნდნენ, როდესაც სნოუპსმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა – ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ესი მედოუფილთან დაკავშირებით რაღაც მოხდებოდა, რომელმაც უჩვენა, რომ, გარეგნობის მიუხედავად, იგი არც ისეთი უწყინარი იყო, და თუმცა მასზე კვლავაც შეიძლებოდა თქმა „მორიდებულიაო", მეორე სიტყვად მის დასახასიათებლად „წყნარი" კი არ უნდა აგერჩიათ, არამედ – „გაბედული".

ერთ დილას, როდესაც მედოუფილმა თავისი ეტლით მაგიდიდან ფანჯარასთან გადაინაცვლა და ბაღში გაიხედა, ის დაინახა, რასაც წელიწადზე მეტი ელოდებოდა: ღობიდან შემომძვრალი ღორი მისი მოუვლელი ხეებიდან

ჩამოყრილ დამპალ ატმებს თქვლეფდა და მიწას დინგით ჩიჩქნიდა. სანამ მედოუფილი მთელი სახლის გასაგონად ღრიალებდა და ცოლს ეძახდა, სიმინდის ტაროთი და ქამანდით შეიარაღებულმა სნოუპსმა ბაღი გადმოჭრა, ღორი მიიტყუა, თოკი მოაბა და ნახევრად თრევითა და ნახევრად მიწოლით გარეთ გაიყვანა, სავარძლიდან წამომდგარი და ფანჯარაში თავგაყოფილი მოხუცი მედოუფილი კი უშვერი სიტყვებით მანამ ილანძღებოდა, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ.

მეორე დილას უკვე ფანჯარასთან მჯდომმა დაინახა, როგორ მშვიდად შემობრძანდა ღორი მის ბაღში. მედოუფილი კვლავ ღრიალსა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა, მისი გულგახეთქილი ცოლი კი უკვე ბაღში მირბოდა, გზადაგზა თავსაფარს იკრავდა და სნოუპსის ჩაკეტილ კარზე აკაკუნებდა, სანამ ქმრის დაუსრულებელმა ყვირილმა უკან არ დააბრუნა. თითქმის ყველა მეზობელი მოვარდა მომხდარის სანახავად: ბერიკაცი ფანჯრიდან ილანძღებოდა, მისი ცოლი კი ბაღიდან ღორის გაგდებას ცდილობდა, როდესაც სნოუპსი გამოჩნდა (ყველა მიხვდა, რომ იმალებოდა და ფარულად იჭვრიტებოდა) სიმინდის ტაროთი და თოკით, გულუბრყვილო, ბოდიშის გამომხატველი და გაოცებული სახით ღორი მიიტყუა და გარეთ გაათრია.

მომდევნო დღეს მედოუფილმა თოფი მოიმარჯვა – ძველი მცირეკალიბრიანი ცალლულა. ალბათ, ვიღაცისგან ინათხოვრა, თუმცავერავის გაეგო, როდის მიატოვა ეტლი და ფანჯარა (ღორზე რომ არაფერი ვთქვათ), როდის ნახა ის ბიჭი, მცირეკალიბრიანი შაშხანის პატრონი, და დაიყოლია თუ დააშინა, რომ თავისი სათამაშო დაეთმო. ვერავის წარმოედგინა, რომ ბერიკაცი ოდესღაც თვითონ იყო ის ბიჭი და საკუთარი პირველი მცირეკალიბრიანი შაშხანის ამაყი და აღელვებული მფლობელი, და რომ მას მთელი ამ წლების განმავლობაში ინახავდა სუფთა და უმანკო ბავშვობის ხსოვნის პატივსაცემად. ჰოდა, შაშხანა მის ხელში აღმოჩნდა, თანაც ვაზნებით – არა ნამდვილი ტყვიებით, არამედ წვრილი საფანტით, რომელსაც ნატურალისტები იყენებენ: ასეთით რაღაც მანძილზე ღორის არათუ მოკვლას, დაჭრასაც ვერ მოახერხებდა. სინამდვილეში, როგორც ჩარლზს ბიძამისმა უთხრა, მედოუფილს სულაც არ სურდა ღორის გაგდება: მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ ყოველდღე ესროლა მისთვის, როგორც სხვა მოხუცები კროკეტს ან ბინგოს თამაშობენ.

ისაუზმა თუ არა, იგი ფანჯარასთან თავის ბორბლებიან სავარძელში ჩასაფრდა და მოკუნტული დაელოდა ღორის გამოჩენას. დაინახავდა თუ არა, წელში იმართებოდა, ეტლიდან დგებოდა, ფრთხილად სწევდა ფრამუგასა (ფრამუგა – სარკმლის (ან მინიანი კარის) ზედა საგდული.) და მავთულის ბადეს (კილოები შეზეთა, რათა ფანჯარა სწრაფად და უხმაუროდ აეწია, სახელური ისე მიამაგრა, რომ ეს ერთბაშად, ერთი მოძრაობით გაეკეთებინა) და შაშხანიდან ისროდა. ღორი გაშმაგებით შეკრთებოდა და შეხტებოდა ხოლმე, მაგრამ ტკივილს მაშინვე ივიწყებდა და მიწის ჩიჩქნას განაგრძობდა, ბერიკაცი კი კვლავ ესროდა. ბოლოს ღორი ბუნდოვანი რეფლექსით ტკივილს გასროლის ხმას უკავშირებდა, მომდევნო ბათქის გაგონებისას ბაღიდან გარბოდა და მხოლოდ დილისთვის ბრუნდებოდა. განსაზღვრული დროის შემდეგ ღორმა მიწაზე დაყრილი ატმები მისთვის რაღაც მტრულს დაუკავშირა და მთელი კვირა აღარ გამოჩენილა. მაშინ მეზობლებში ხმა გავრცელდა, რომ მედოუფილმა მემფისსა და ჯექსონში გამოცემული გაზეთების დამტარებელი

ბიჭი დაიქირავა (თვითონ გაზეთებს არ ყიდულობდა, არ აინტერესებდა ისეთი ახალი ამბები, რომლებშიც თვეში მთელი ერთი დოლარი უნდა გადაეხადა), რათა მას ახლომახლო მდგარი ნაგვის ურნები მოექექა და ღამით მის ბაღში სატყუარა დაეყარა.

ახლა ქალაქელებში გაკვირვება მატულობდა: ვერ გაეგოთ, სნოუპსს რა ჩაეფიქრებინა. არა, ცხადია, ყველა ელოდა, რომ პირველი გასროლის შემდეგ იგი ღორს აღარ გამოუშვებდა. შესაძლოა, გაეყიდა კიდეც, რადგან სწორედ ამ საქმიანობას მისდევდა, თუმცა, ალბათ, არავინ გადაიხდიდა ცოცხალი წონის ერთ გირვანქაში სრულ საბაზრო ფასს, თუკი ღორს სხეულში თოთხმეტი-თხუთმეტი თვის განმავლობაში ნასროლი ათი ნომერი საფანტი დაჰგროვებოდა.

მაგრამ ბოლოს, როგორც ჩარლზს ბიძამისმა უთხრა, ყველა მიხვდა სნოუპსის განზრახვას: მას იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე, შეცდომით, დაუდევრობით, გაშმაგების გამო, რომელიც ზნეობრივ აკრძალვასაც დაავიწყებდა და მოსალოდნელ შედეგზე შიშსაც, როგორც აზარტი შეიპყრობს ხოლმე მოთამაშეებსა და ლოთებს, მედოუფილი იარაღს ნამდვილი ტყვიით დატენიდა. და მაშინ სნოუპსი არა მხოლოდ ჩივილს შეძლებდა მასზე სასამართლოში ღორის მოკვლის გამო, არამედ ქალაქის ხელისუფალთა განკარგულებასაც მოძებნიდა, რომელიც ქალაქში სროლას კრძალავდა, და ამ ორი საშუალების გამოყენებით როგორღაც აიძულებდა მედოუფილს, რომ მისთვის, სნოუპსისთვის, ხელი არ შეეშალა ნავთობკომპანიისთვის მიწის ნაკვეთის მიყიდვაში.

მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა ესი მედოუფილთან დაკავშირებული ამბავი.

კაცი საზღვაო ქვეითთა კაპრალი იყო. ქალაქში არავინ იცოდა, სად და როგორ მოახერხა ესიმ მასთან შეხვედრა. ქალიშვილი ქალაქს თითქმის არასდროს ტოვებდა, მხოლოდ იშვიათად, ნახევარი დღით თუ გაემგზავრებოდა მემფისში – ამას წელიწადში ერთხელ ჩრდილოეთ მისისიპის ყველა მკვიდრი აკეთებდა. მას ერთი დღეც არ გაუცდენია ბანკში, ზაფხულის შვებულებას კი, როგორც ყველამ იცოდა, სახლში ატარებდა და ეტლში მიჯაჭვული ადამიანისგან იმას იტანდა, რისი ატანაც ევალებოდა. მაგრამ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს: შესაძლოა, მიმოწერა გააჩაღეს მარტოხელა გულების რომელიღაც სააგენტოს დახმარებით. მოკლედ, ერთხელ, როდესაც, ჩვეულებისამებრ, ყველაფერი იყიდა, რაც სახლში ყოველდღიურად სჭირდებოდა, და ჩანთით ხელში სადგურზე იდგა, მემფისიდან მომავალი ავტობუსიდან ჯეფერსონელებისთვის უცნობი მამაკაცი ჩამოვიდა, რომელმაც მას პროდუქტებით დატვირთული ჩანთა გამოართვა, და ესიმ ერთი საათის დაგვიანებით ჩაიარა ქუჩაზე (ამ ქუჩის მცხოვრებნი დროს მისი საშუალებით იგებდნენ). და მთელი ქალაქი მიხვდა, რომ მორიდებული ქალიშვილი, როგორც მასზე წლების განმავლობაში ამბობდნენ, სულაც არ იყო შესაფერისი სიტყვები, ვინაიდან ვერც ერთი მორიდებული ქალიშვილი ვერ გაიფურჩქნებოდა ასე ერთბაშად, ვერ გახდებოდა ასეთი ნაზი, ალერსიანი და ქალური ავტობუსის ჩამოდგომიდან ძალზე მცირე ხნის განმავლობაში. მას ვერც ჩუმსა და წყნარს უწოდებდა კაცი: ესიმ უდიდესი გაბედულება გამოიჩინა, – მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ამის შესახებ მისმა მეზღვაურმა, – რათა მასთან ერთად სახლში შესული პირდაპირ სავარძელთან

მისულიყო ისეთი მრისხანების ცეცხლქვეშ, რომელთან შედარებითაც, ბიჭების მისამართით გამოთქმული წყევლა-კრულვა, ძაღლებისთვის ქვების დაშენა და სნოუპსის ღორისთვის საბრძოლო ტყვიის სროლაც კი არაფერი იყო, თუ არა ჩვეულებრივი ისტერიკის რეფლექსი. ახლა მედოუფილის წინაშე მდგომიწესრიგის დამრღვევები ხომ თვით მონობის სისტემას უთხრიდნენ ძირს, რითაც იგი არსებობდა, – და არა მხოლოდ სავარძელთან მისულიყო, არამედ ეთქვა კიდეც: „მამა, ეს მისტერ მაკკინლი სმიტია. ჩვენ დაქორწინება გადავწყვიტეთ", ხუთი წუთის შემდეგ კი ქუჩაში გასულს ყველას თვალწინ, ვისაც დანახვა უნდოდა, იმ მეზღვაურისთვის ეკოცნა – შესაძლოა, მას პირველად არ კოცნიდა, მაგრამ, სავარაუდოდ, პირველად კოცნიდა მას ისე, რომ არ წუხდა (მეტიც, არც ფიქრობდა), სცოდავდა თუ არა. ჩანდა, რომ სიმტკიცე არც მაკკინლის აკლდა: ტეხასელი ფერმერის შვილს, შესაძლოა, არაფერი გაეგონა მისისიპის შესახებ, სანამ ესის არ შეხვდა, – მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად მოხდა ეს, – და, ალბათ, მიხვდა კიდეც, რომ ინვალიდის ეტლისა და დაბეჩავებული, უსახური დედის გამო, ესი, ყველაფრის მიუხედავად, ოჯახს არ მიატოვებდა და ცოლად არ გაჰყვებოდა, ამიტომ ხელი უნდა ჩაექნია და მომდევნო ავტობუსით შინ, ტეხასში დაბრუნებულიყო.

მაგრამ, როგორც ჩანს, საერთო სიმტკიცე გამოემუშავებინათ, ვინაიდან ახლა ყველაფერი საერთო ჰქონდათ. ერთი ვარსკვლავის ქვეშ დაბადებულებივით ისინი მართლა ერთმანეთის ბედად თუ ბედისწერად იქცნენ. ყველაფერს შეთანხმებულად აკეთებდნენ. დანამდვილებით შეიძლებოდა თქმა, რომ მან თავისი ბედი სამუდამოდ ჯეფერსონს დაუკავშირა, ვინაიდან უკვე დიდი ხანია (1946 წლის იანვარი იდგა და შინ დაბრუნებული ჩარლზი ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავდა), მრავალი დემობილიზებული მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა კურსებზე სწავლობდა, თუმცა ზოგს ამის არც ნიჭი ჰქონდა და არც სურვილი, მაკკინლისთვისაც ყველაზე ადვილი ჯეფერსონის აკადემიაში ცოტა ხნის წინათ გახსნილ სპეციალურ კურსებზე შესვლა იყო, სადაც, სახელმწიფოს ხარჯზე, დღეში ერთხელ შეეძლო, ესისთვის ხელი ჩაეკიდა და დალოდებოდა, როდის დაახრჩობდა მოხუც მედოუფილს საკუთარი უნამუსობა. მაგრამ ესის მეზღვაურმა უმაღლესი განათლების მიღებაზე ისევე მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა უარი, როგორც ესიმ, თანაც იმავე მიზეზით. კაცმა ეს ასე ახსნა: „ორი წელი ჯარისკაცი ვიყავი. ერთადერთი, რაც ვისწავლე, ისაა, რომ უსაფრთხო ადგილი მხოლოდ შენი პირადი თავშესაფარია, სასურველია რკინის თავსახურავით, რომელიც შეგიძლია, თავზე გადაიფარო. მაგრამ რადგან ჯარისკაცი აღარ ვარ, მაშასადამე, შემიძლია, თავშესაფარი იქ ავირჩიო, სადაც მომესურვება, და მასში კომფორტიც მოვიწყო. ჰოდა, მინდა, სახლი ავიშენო".

მან პატარა ნაკვეთი შეიძინა. ცხადია, „იულას დასახლებაში". და, ცხადია, ნაკვეთი ესიმ შეარჩია. ის იქვე იყო იმ სახლიდან, სადაც მან მთელი ცხოვრება გაატარა. აქედან გამომდინარე, როდესაც სახლი ნელ-ნელა წამოიმართებოდა, მედოუფილი აუცილებლად დაინახავდა (იმ საათების გარდა, ღორს თავს რომ ანებებდა და დასაძინებლად მიდიოდა) თავისი ფანჯრიდან, როგორ ემატებოდა ძელი ძელს, რაც მუდმივად შეახსენებდა და გააფრთხილებდა, რომ ახლა შეცდომის დაშვებისა და დროზე ადრე სიკვდილის უფლება არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, სახლის მშენებლობა მისთვის საბაბად იქცა, რომ კვლავინდებურად აღარ ამდგარიყო სავარძლიდან,

მიუხედავად იმისა, რომ ღორს ვეღარ ხედავდა, რომელიც, როგორც ჩანს, დანებდა – დროებით. ან თვითონ სნოუპსი დანებდა, შესაძლოა, ისიც დროებით. ღორის ბოლო ვიზიტი მაშინ შედგა, როდესაც ესიმ პირველად მიიყვანა თავისი მეზღვაური შინ მოსალაპარაკებლად, და მას შემდეგ აღარ განმეორებულა. სნოუპსს კვლავაც ჰყავდა როგორც ეს, ისე სხვა ღორები (იქიდან წამოსული სუნის მიხედვით), და ვინაიდან ეს მისი პროფესია იყო, ნებისმიერ დროს შეეძლო მისი შემცვლელის პოვნა, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევდა. მაგრამ, ჯერჯერობით თავს იკავებდა, ღობე შეაკეთა ან (როგორც მეზობლები ფიქრობდნენ) სტრატეგიულ დღეებში ჭიშკარს ღიას აღარ ტოვებდა. ასე რომ, მოხუც მედოუფილს სახლის მშენებლობისთვის თვალყურის მიდევნების მეტი სხვა არაფერი დარჩენოდა.

მაკკინლი სახლს თვითონ აშენებდა, თვითონ ასრულებდა უხეშ და მძიმე სამუშაოს. მას ერთი პროფესიონალი ხურო ეხმარებოდა, რომელიც დახერხილ ფიცრებს ნიშანს ადებდა, სავარძელში მჯდომ მოხუცს კი ბრაზი ახრჩობდა, რაც ვერავისზე გადმოენთხია ღორის არყოფნის გამო. ჩვეულებისამებრ, ან იქნებ განზრახაც, იქვე დატენილი თოფი ედო. წინასწარ ხომ არ იცოდა, გამოჩნდებოდა თუ არა ღორი, და ახლა ქალაქელები მარჩიელობდნენ, რა დრო გავიდოდა, რამდენ ხანს ეყოფოდა მოთმინება, რომ რომელიმე მათგანისთვის არ ესროლა – მაკკინლისთვის ან მისი ხუროსთვის. შემდეგ დაასკვნეს, რომ თუ ესროდა, მხოლოდ ხუროს, თუკი პროჟექტორს არ შეიძენდა, ვინაიდან ერთ მშვენიერ დღეს (უკვე გაზაფხული იდგა) მაკკინლიმ ჯორი იყიდა და ყველამ შეიტყო, რომ მან ქალაქიდან ორი მილის დაშორებით მიწის პატარა ნაკვეთი იჯარით აიღო და იქ ახლა ბამბას თესავდა. სახლი თითქმის დაემთავრებინა, მხოლოდ მოპირკეთება და ფანჯრების ჩასმა დარჩენოდა, რასაც მხოლოდ სპეციალისტი, დურგალი თუ გააკეთებდა, ასე რომ, მაკკინლი გამთენიისას გადიოდა სახლიდან ჯორით და დაღამებისთვის ბრუნდებოდა. ამ დროისთვის მოხუცი მედოუფილი უკვე უსაზღვროდ იყო განრისხებული. შეიძლებოდა, დაეშინებინა ან ეიძულებინა მაკკინლი, რომ დაუმთავრებელი სახლი გაეყიდა, თუნდაც მოგებით, მაგრამ რომელი სულელი იყიდდა მისგან ბამბის მოსავალს იმ ნაკვეთიდან, სადაც ბამბა ჯერ არ ამოსულიყო. ახლა მოხუცს ვერაფერი დაეხმარებოდა, ვინმეს სიკვდილის გარდა – იქნებ თვითონ მაკკინლიც მომკვდარიყო.

სწორედ ამ დროს ღორი დაბრუნდა. უბრალოდ, კვლავ გამოჩნდა დამორჩა. ეს, როგორც ჩანს, დილას მოხდა, როცა მედოუფილმა ეტლი მაგიდიდან ფანჯარასთან მიაგორა და იმაზე ფიქრობდა, რომ მთელი დღე, როგორც ყოველთვის, გაბრაზებულს უნდა გაეტარებინა, უეცრად კი ღორს მოჰკრა თვალი, რომელიც დინგით მიწას ჩიჩქნიდა და შარშანდელი ატმის ნარჩენებს ისე ეძებდა, თითქოს ბაღი არც მიეტოვებინოს. შესაძლოა, მედოუფილს უნდოდა, რომ ასე ეფიქრა: რომ ღორი არსად გამქრალა, და რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა და რამაც იგი ასე გააცოფა, ძილი და წარმოსახვა იყო და ამ ძილს მხოლოდ მაშინ განდევნიდა, თუ დაუყოვნებლივ გაისროდა. ასეც მოიქცა: როგორც ჩანს, გატენილი თოფი იქვე ჰქონდა. მეზობლების თქმით, ისინი ჯერ კიდევ საწოლში იწვნენ, როდესაც მცირეკალიბრიანი შაშხანის გაბრაზებული, ბიჭური ტკაცანი მოესმათ.

შუადღისთვის ამ გასროლის ექომ მთელი ქალაქი მოიარა, თუმცა ყველაზე მკაფიოდ ეს ჩარლზის ბიძამ, გევინმა იგრძნო. ის უკვე შინ წასვლასა და

სადილობას აპირებდა, როდესაც კიბიდან ნაბიჯების ხმა მოესმა. მისაღებში რეს სნოუპსი შემოვიდა, რომელსაც ხელში ხუთდოლარიანი ეჭირა. მან ფული მაგიდაზე დადო და თქვა:

– დილა მშვიდობისა, იურისტო, არ შეგაყოვნებთ. მცირედი რჩევა მჭირდება, დაახლოებით ხუთი დოლარის ღირებულების. – სტივენსი კუპიურას არ შეხებია, ისე შეხედა მის მფლობელს: იცოდა, რომ ის არასდროს გადაიხდიდა ფულს იმაში, რასაც შემდეგ, სულ ცოტა, ოცდახუთი ცენტით ძვირად ვერ გაყიდდა. – ჩემს ღორთან დაკავშირებით მოვედი, აი, იმის, მოხუცი ჯენტლმენი, მისტერ მედოუფილი, სიყვარულით რომ ესვრის საფანტს.

– მსმენია, – მიუგო ჩარლზის ბიძამ, – მაშ, რისი გაგება გსურთ ხუთ დოლარად? – მოგვიანებით ბიძია გევინმა ჩარლზს უამბო, რომ სნოუპსი მაგიდასთან იმდენად გულჩათხრობილი არ იდგა, რამდენადაც, უბრალოდ, თავშეკავებული. – რა საჭიროა იმის ახსნა, რაც თვითონაც მშვენივრად იცით: თუ იმის გამო უჩივლებთ, რომ თქვენი ღორი დაჭრა, ის კანონს აგაფარებთ, რომელიც ქალაქში პირუტყვის გაშვებას კრძალავს. იქნებ გსურთ გითხრათ, რომ უკვე ერთი წლის წინათ იცოდით, როდესაც მან პირველად გაისროლა? ან ღობე შეაკეთეთ, ან ღორი მოიშორეთ თავიდან.

– ღორის გამოკვება ძვირი ჯდება, – თქვა სნოუპსმა, – რაც შეეხება გაყიდვას, იმ მოხუცმა ჯენტლმენმა მას იმდენი საფანტი ჩააჭედა, რომ ახლა, ალბათ, არავინ იყიდის.

– თუ ასეა, თვითონ შეჭამეთ, – ურჩია სტივენსმა.

– მთელი ღორი – ერთმა ადამიანმა? იმაზე აღარაფერს ვამბობ, რამდენი საფანტი დაგროვდა მასში ამ ორი წლის განმავლობაში.

– მაშინ ვინმეს აჩუქეთ, – უთხრა სტივენსმა და ამ სიტყვების წარმოთქმა მაშინვე ინანა, თუმცა დააგვიანა.

– მაშასადამე, ასეთ იურიდიულ რჩევას მაძლევთ, არა? – თქვა სნოუპსმა, – ღორი გავაჩუქო. უღრმესი მადლობა. – იგი კარისკენ გაემართა.

– მოიცადეთ! – შესძახა სტივენსმა, – მოითმინეთ! – და ფული გაუწოდა.

– მე იურიდიული რჩევა გთხოვეთ, – უთხრა სნოუპსმა, – თქვენ კი ღორის გაჩუქება მირჩიეთ. ამისთვის ფული უნდა გადაგიხადოთ. თუ ჰონორარი გეცოტავებათ, ასე მითხარით, – ეს თქვა და წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტივენსი სწრაფად აზროვნებდა, მან არ გაიფიქრა: „რაღა მაინცდამაინც მე ამირჩია?" – ვინაიდან, ეს ისედაც აშკარა იყო: სტივენსმა ოდესღაც ესი მედოუფილის სახელზე იმ ნაკვეთის ნაჩუქრობის ბარათი შეადგინა, რომელზეც დავობდნენ. გარდა ამისა, ის ერთადერთი ადამიანი იყო მთელ ჯეფერსონში, მედოუფილის ნათესავების გარდა, ვისთანაც ბერიკაცს ბოლო ოცი წლის განმავლობაში ასე თუ ისე ადამიანური ურთიერთობა ჰქონდა. მას არც ის გაუფიქრებია, რატომ არ შეატყობინა სნოუპსმა ვინმეს, იურისტს ან არაიურისტს, რომ ღორის გაჩუქებას აპირებდა;

არც ის, თუ რატომ გამოიწვია ამ სიტყვების სათქმელად, რითაც ისე გამოვიდა, თითქოს იურიდიულ რჩევაში ფული გამოართვა. სტივენსმა შემდეგი გაიფიქრა: „როგორ აიძულებს სნოუპსი ღორის ჩუქებით მოხუც მედოუფილს ნაკვეთის გაყიდვას?"

ბიძია გევინი ყოველთვის ეუბნებოდა ჩარლზს, რომ ჭეშმარიტების ან სამართლიანობის დადგენა კი არ აინტერესებდა, არამედ იმის გაგება, უნდა გაეგრძელებინა ამ საქმეში ჩარევა თუ არა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებული იყო, თუ მტრულად განწყობილ მოწმეებს და ნივთმტკიცებულებებს არ დატოვებდა. ჩარლზს მისი არ სჯეროდა: ზოგჯერ ის თავის შეკითხვაზე პასუხის მისაღებად ძალზე რთულ გზას ირჩევდა, რაც დიდ დროს ითხოვდა. არის რაღაც, რასაც მხოლოდ პასუხის გასაგებად არ აკეთებ. მაგრამ ბიძია გევინი ამბობდა, რომ ჩარლზი ცდებოდა: ცნობისმოყვარეობა ისეთი შეყვარებულია, რომლის გულისთვისაც მისი მონები ყველანაირ მსხვერპლზე მიდიან.

მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემა ის იყო, რომ ბიძია გევინმა თვითონაც არ იცოდა, რას ეძებდა. მას ორი მეთოდი – დაკვირვება და გამოკითხვა – და სამი ორიენტირი ჰქონდა: სნოუპსი, ღორი და მოხუცი მედოუფილი, იმის აღმოსაჩენად, რაშიც შესაძლოა, რომც მიეგნო, დროულად თვითონაც ვერ გარკვეულიყო. ვერავის გამოკითხავდა, რადგან ერთადერთმა ადამიანმა, რომელმაც, ალბათ, პასუხი იცოდა, – სნოუპსმა, – მას ყველაფერი უთხრა, რაც საჭიროდ მიაჩნდა. ღორს მუდმივად თვალყურს ვერ მიადევნებდა, ვინაიდან მას, სნოუპსის მსგავსად, გადაადგილებაც შეეძლო. ასე რომ, ერთადერთი უძრავი ორიენტირი მოხუცი მედოუფილი იყო. მოკლედ, მეორე დღეს ჩარლზი ბიძამისმა უთენია გააღვიძა და ისინი მაშინვე ჩასაფრდნენ გევინის მანქანაში,საიდანაც მედოუფილის სახლი, ბაღი და სნოუპსის სახლისკენ მიმავალი ბილიკი მოჩანდა, სამკუთხედის შორეულ კუთხეში კი – მაკკინლის მიერ თითქმის დასრულებული სახლი. ასე გაატარეს ორი საათი. დაინახეს, როგორ გაეშურა ჯორზე ამხედრებული მაკკინლი საკუთარი ბამბის მინდვრისკენ. შემდეგ სნოუპსი გამოვიდა თავისი სახლიდან და ქალაქის ცენტრისკენ გაემართა. ბოლოს ესი მედოუფილის სამსახურში წასვლის დროც მოვიდა და მხოლოდ ფანჯარასთან მჯდომი მოხუცი მედოუფილიღა დარჩა. ღორი არსად ჩანდა.

– აი, თურმე რას ველოდებით, – ჩაილაპარაკა ჩარლზმა.

– მართალი ხარ, – უთხრა ბიძამისმა.

– იმას ვგულისხმობ, რომ ველოდებით, რათა სხვა რამეზე გადაერთოს და ასე დაჟინებით აღარ მოგვაშტერდეს, – ალბათ, უკვე ორი საათია, რაც გვითვალთვალებს, – მაშინ წასვლას მოვასწრებდით.

– გგონია, რომ მე მინდა აქ ჯდომა? – თქვა ბიძია გევინმა, – მაგრამ სხვა გზა არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ხუთი დოლარის დაბრუნება მომიწევს.

მომდევნო დილასაც იგივე განმეორდა. მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო ამ საქმის მიტოვება. სნოუპსმა ხომ ხუთი დოლარი მისცა, მათაც ძალზე ბევრი დრო დაკარგეს: ორი დღის განმავლობაში უთენია დგებოდნენ, ყავასაც კი არ

სვამდნენ, მთელი ორი საათი მანქანაში ისხდნენ და რაღაცას ელოდებოდნენ, თუმცა შესაძლოა, დაენახათ კიდეც, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ეს ის იყო. მესამე დილაც დადგა. მაკკინლი ჯორზე ამხედრებული წავიდა, თანაც, ჩვეულებრივ, ისე ზუსტად და აკურატულად, კაცი იფიქრებდა, განრიგით ასე უწევსო. ჩარლზმა და ბიძამისმა ვერც კი შეამჩნიეს, რომ სნოუპსი ჯერ არ გამოჩენილიყო. ესი მედოუფილიც გამოვიდა სახლიდან და სამსახურისკენ გაემართა. ჩარლზისთვის ეს მოულოდნელობა აღმოჩნდა, შეკრთა კიდეც, როგორც გაღვიძებისას შეკრთებით, როცა შეუმჩნევლად ჩაგეძინებათ ხოლმე: უეცრად ორივემ ღორი დაინახა. ბიძია გევინი მაშინვე გადმოხტა მანქანიდან და გაიქცა. დიახ, ეს ღორი იყო და სწორედ იმას აკეთებდა, რასაც მისგან ელოდებოდნენ: ჯიუტად და მიზანმიმართულად მედოუფილის ბაღისკენ მიჩაქჩაქებდა. ოღონდ იქიდან არ გამოჩენილა, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო. სნოუპსის კი არა, მაკკინლი სმიტის სახლიდან მორბოდა. ბიძია გევინი კი უკვე მიქროდა, შესაძლოა, როგორც რეტლიფი ამბობდა, თანდაყოლილი ინსტინქტით თუ ალღოთი – სწორედ იქით, სადაც რაღაც უნდა მომხდარიყო, მერე რა, რომ ყოველთვის დროულად ვერ მიირბენდა ხოლმე დანიშნულების ადგილას, გადაიქროლა – ცხადია, ჩარლზი უკან მისდევდა – ქუჩა, ეზო და პირდაპირ სახლში შეიჭრა, რათა მოესწრო, სანამ მოხუცი მედოუფილი ფანჯრიდან ღორს დაინახავდა და ესროდა.

ბიძია გევინი დაუკაკუნებლად შევარდა სწორედ იმ კარში, რომლის მიღმაც, როგორც სწორად მოისაზრა, სწორედ იმ ფანჯარასთან, მოხუცი მედოუფილი უნდა მჯდარიყო და გარეთ ეცქირა. იგი მართლა იქ აღმოჩნდა: სავარძლიდან წინ გადაწეულს შუშის ფრამუგა უკვე აეწია, ბადე – ჯერ არა, მხოლოდ ხელი ჩაევლო სახელურისთვის, მეორე ხელით კი შაშხანა შეემართა და დაემიზნებინა. მაგრამ მედოუფილი გაშეშებულივით იჯდა და გაუნძრევლად მისჩერებოდა ღორს. დიდი ხანია, ყველა მიჩვეოდა მის სახეზე მისთვის ჩვეულ ხარბ, შურისმგებლურ და სასტიკ გამომეტყველებას. მაგრამ ამჯერად მხოლოდ ნიშნის მოგებით, ღვარძლიანად იყურებოდა. არც კი შეტრიალებულა, როდესაც ოთახში ჩარლზი და ბიძამისი შეცვივდნენ, მხოლოდ ჩაილაპარაკა:

– შემოდით, თქვენთვის პირველ რიგში მაქვს ადგილი.

და მათ გაიგონეს, როგორ ილანძღებოდა იგი – არა პატიოსანი, უხეში ქუჩური გინებით, არამედ ოთახის წყნარი, მაგრამ ისეთი ძალის უხამსი სიტყვებით, რომ ჩარლზმა გაიფიქრა: თუ მოხუცმა ოდესმე ასეთი გინება იცოდა, სიბერეში უკვე უნდა დავიწყებოდაო.

ამ დროს ის სავარძლიდან წამოიმართა და ჩარლზმა დაინახა, რას უყურებდა იგი – ჯვალოში შეხვეული პატარა, აგურისოდენა ნივთი სახლიდან ოციოდე ფუტის დაშორებით მდგარ ატმის ხის ორკაპა ტოტზე მიემაგრებინათ და ის პირდაპირ ფანჯრისკენ მოემართათ. გევინმა შესძახა: „შეჩერდით! შეჩერდით! არ ასწიოთ!“, ეცა კიდეც ბადეს, მაგრამ დააგვიანა: მოხუცი მედოუფილი უკვე წამოდგა, თოფი კედელს მიაყრდნო, ორივე ხელი სახელურს ჩაავლო და მკვეთრი მოძრაობით ასწია. ატმის ხემ თითქოს საფანტი გადმოაფურთხა ფანჯრისკენ. მოგვიანებით ბიძია გევინი ამბობდა, რომ ზევით მიმავალი ბადის მავთულები მის თვალწინ გაიხლიჩა და გაქრა და იმავე წამს მინიატიურული აფეთქების ხმაც გაისმა. ჩარლზმა თითქოს გაიგონა, როგორ

გაეხახუნა წვრილი საფანტი მედოუფილის მუცელსა და მკერდს, მოხუცი კი უცნაურად შეხტა და სავარძელში ჩავარდა, მაგრამ ის გაგორდა და მედოუფილი იატაკზე აღმოჩნდა, სადაც დარჩა კიდეც გაოცებული და აღშფოთებული სახით – არც ტკივილი ეტყობოდა, არც შიში, არც აღელვება, მხოლოდ აღშფოთება. იგი მაშინვე წამოდგა და ხელი თოფს სტაცა.

– ვიღაცამ მესროლა, – თქვა მან.

– ცხადია, ვინც, – უთხრა ბიძია გევინმა და შაშხანა გამოართვა, – ღორმა ისროლა. მაგრამ განა ის დამნაშავეა? არ გაინძრეთ, ახლავე ვნახავ, რა გჭირთ.

– თქვენც იტყვით, რა! – თქვა მოხუცმა, – ეს ის იყო, წყეული, წყეული მაკკინლი სმიტი!

იგი არ დაჭრილა, მხოლოდ კანი აეწვა და ბუშტუკები გაუჩნდა, ვინაიდან წვრილ საფანტს არა მხოლოდ შარვალი და პერანგი, არამედ ზამთრის სქელი საცვლებიც უნდა გაეხვრიტა, ამიტომ კანს იქით ვეღარ გააღწია. მოხუცი კი გაცეცხლდა, ბობოქრობდა, ყვიროდა და ილანძღებოდა, ბიძია გევინისთვის იარაღის წართმევას ცდილობდა (ოთახში თავსაფარწაკრულმა მისის მედოუფილმაც მოირბინა, თითქოს იმ წამს, როდესაც ღორი მათი ნაკვეთის შემოუღობავ საზღვარზე გადმოდიოდა, მას ერთგვარი ფატალური სასოწარკვეთილებით ტელეპათიურად გადმოეცა მინიშნება – როგორც ელექტროთვალის სიგნალი, კარს რომ აღებს), შემდეგ ბერიკაცი დაიღალა და შედარებით დამშვიდდა. სწორედ მაშინ მოჰყვა ყველაფერს: ორი დღის წინათ სნოუპსმა ესის აცნობა, რომ მაკკინლის ღორი აჩუქა ახალმოსახლეობისა და, როგორც იმედოვნებდა, მოახლოებული ქორწილის აღსანიშნავად.

– მოიცადეთ! – გააწყვეტინა მოხუცს ბიძია გევინმა, – ესიმ თქვა, მისტერ სნოუპსმა მაკკინლის ღორი აჩუქაო თუ სნოუპსმა თქვა, თითქოს მან აჩუქა?

– რაო? – იკითხა მედოუფილმა, – რა ხდება? – და იგი კვლავ ლანძღვას შეუდგა.

– წყნარად იწექით, – უთხრა ბიძია გევინმა, – თქვენ მთელი წელი ესროდით იმ ღორს და მას არაფერი დაემართა, ასე რომ, ციცქნა საფანტი ვერაფერს დაგაკლებთ. მაგრამ თქვენი ცოლის ხათრით ექიმს გამოვუძახებთ, – ბიძია გევინმა ხიდან დამოკლებული შაშხანა ჩამოხსნა – ეს ძალზე მარჯვედ დაგებული ხაფანგი იყო: იაფფასიანი, მცირეკალიბრიანი შაშხანა გადაჭრილი ლულითა და კონდახით ფიცარზე დაემაგრებინათ, ჯვალოში გაეხვიათ და ხის ორკაპა ტოტზე მიებათ, მტკიცე და წვრილი შავი ზონარი ჩახმახიდან რამდენიმე ქანჩში გაეძვრინათ და ფანჯრის ბადემდე გაეჭიმათ, ამასთან გადაჭრილი შაშხანა ფანჯრის რაფიდან დაახლოებით ერთი ფუტის სიმაღლეზე დაემიზნებინათ.

– ბადის აწევის წინ რომ არ წამომდგარიყო, საფანტი პირდაპირ სახეში მოხვდებოდა, – თქვა ჩარლზმა.

– მერე რა? – თქვა ბიძამისმა, – ხომ არ ფიქრობ, რომ ამის მომწყობს ეს ძალიან ადარდებდა? მისთვის სულერთი იყო: ეს მოხუცს ან დააშინებდა,

გააცოფებდა და ის თოფით ხელში სმიტს დააცხრებოდა, – არადა, ამჯერად მასში ნამდვილი ტყვია იდო: როგორც ჩანს, მოხუცს სერიოზული მიზანი დაესახა, – სმიტი კი მას თავდაცვის დროს მოკლავდა, ან გადაჭრილი შაშხანიდან ნასროლი საფანტი მოხუცს დააბრმავებდა, შესაძლოა, მოკლავდა კიდეც, სავარძელშივე, და ყველაფერი მოგვარდებოდა. ასე თუ სხვაგვარად, ესის მამა მოკვდებოდა, მისი შეყვარებული ციხეში მოხვდებოდა, თუ მას მოკლავდა, და მხოლოდ ესიღა რჩებოდა.

– ეშმაკურადაა მოფიქრებული, – თქვა ჩარლზმა.

– არა, უარესად. ეშმაკურად კი არა, უნამუსოდ. ყველა აუცილებლად იფიქრებდა, რომ ასეთ იარაღს მხოლოდ ომის ვეტერანი, წყნარი ოკეანის ფლოტის მეზღვაური თუ გააკეთებდა, თუნდაც მას ყველაფერი უარეყო.

– და ეშმაკურადაა მოფიქრებული, – გაიმეორა ჩარლზმა, – ამაში სმიტიც კი დამეთანხმება.

– მართალია, – თქვა ბიძია გევინმა, – სწორედ ამიტომ მოგიყვანე აქ, შენ ყოფილი სამხედრო ხარ. შესაძლოა, მოენე დამჭირდეს, როცა მასთან მოლაპარაკება მომიწევს.

– მე ხომ უბრალო მაიორი ვარ, – თქვა ჩარლზმა, – ეს კი ისეთი წოდება არაა, სერჟანტი რომ დამემორჩილოს, მით უმეტეს, საზღვაო ქვეითთა სერჟანტი.

– ის მხოლოდ კაპრალია, – მიუგო ბიძამისმა.

– დიახ, მაგრამ საზღვაო ქვეითიცაა, – თქვა ჩარლზმა.

სმიტთან მაშინვე არ წასულან – ის საკუთარ ბამბის მინდორში იმყოფებოდა. „დიახ, – გაიფიქრა ჩარლზმა, – სნოუპსის ადგილას არც მე ვიქნებოდი სახლში". მაგრამ სნოუპსი სახლში იყო. მან თვითონ გააღო კარი. სამზარეულოს წინსაფარი ეკეთა, ხელში ტაფა ეჭირა, ტაფაზე კვერცხი დაეხალა. მაგრამ სახეზე არაფერი ეტყობოდა.

– ჯენტლმენებო, – თქვა მან მკაფიოდ, – შემობრძანდით.

– არა, გმადლობ, – მიუგო ბიძია გევინმა, – ცოტა ხნით შემოგიარეთ. თუ არ ვცდები, ეს თქვენია, არა? – იქვე მაგიდა იდგა. ჩარლზის ბიძამ ზედ ფუთა დადო და ჯვალოს კიდე ისე გადასწია, რომ გადაჭრილი შაშხანა მაგიდაზე დავარდა. მაგრამ სნოუპსს არც სახეზე დასტყობია რამე და არც ხმაზე.

– მაგრამ ეს, როგორც თქვენ, იურისტები ამბობთ, ირიბი სამხილია, არა?

– დიახ, რასაკვირველია, – მიუგო ბიძია გევინმა, – მაგრამ ახლა ყველა ერკვევა თითის ანაბეჭდებშიც და გადაჭრილ შაშხანებშიც.

– გასაგებია, – თქვა სნოუპსმა, – როგორც ვხედავ, ჩემთვის მის ჩუქებას არ აპირებთ.

– ცხადია, არა, – განაცხადა ჩარლზის ბიძამ, – სამაგიეროდ, მოგყიდით. იმ თქვენი ნაკვეთის ესი მედოუფილის სახელზე ნაჩუქრობის ბარათის სანაცვლოდ, რომლის ყიდვაც ნავთობკომპანიას სურს, პლუს ის ცამეტი ფუტი მიწა, რომელიც მისტერ მედოუფილს თავისი ეგონა. – ახლა კი სნოუპსი მართლა გაშეშდა ტაფაზე შემწვარი გაცივებული კვერცხივით, – დიახ, არ გეხუმრებით, – თქვა ბიძია გევინმა, – თუ არადა, დავინტერესდები, მაკკინლი სმიტს ხომ არ სურს ჩემგან ამის ყიდვა.

სნოუპსი დაჟინებით მიაცქერდა ბიძია გევინს. „გაიძვერაა, ამას ყველა დაინახავს", – გაიფიქრა ჩარლზმა.

– დიახ, ჩემი აზრით, ასეც მოიქცევით, – თქვა სნოუპსმა, – თქვენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი.

– მაგაში ეჭვი არ მეპარება, – მიუგო ჩარლზის ბიძამ.

– ვფიქრობ, უნდა წავიდე და ჩემს ბიძაშვილ ფლემს დაველაპარაკო, – განაცხადა სნოუპსმა.

– გარწმუნებთ, საჭირო არ არის, – უთხრა ჩარლზის ბიძამ, – სწორედ რომ ბანკიდან მოვდივარ.

– ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ასე მოვიქცეოდი, – ჩაილაპარაკა სნოუპსმა, – რომელ საათზე იქნებით თქვენს ოფისში?

სმიტის ნახვა მათ მის სახლშიც შეეძლოთ საღამოს. მაგრამ ჯერ თორმეტიც არ იყო, ისინი კი უკვე ღობესთან იდგნენ და უყურებდნენ, როგორ მოუყვებოდა ჯორზე ამხედრებული მაკკინლი სმიტი გუთნის სახნისით ამოტრიალებული მიწის გრძელ შავ ზოლს. წელზემოთ შიშველი, სამუშაო ტანსაცმელსა და სამხედრო ჩექმებში გამოწყობილი ღობესთან შეჩერდა მათ წინ. ჩარლზის ბიძამ ნაჩუქრობის ბარათი გაუწოდა.

– გამომართვით, – თქვა მან.

სმიტმა ქაღალდი წაიკითხა.

– ეს ხომ ესისაა.

– თქვენც ადექით და ცოლად მოიყვანეთ, – მიუგო ბიძია გევინმა, – მაშინ ნაკვეთსაც გაყიდით და ფერმასაც შეიძენთ. ეს ხომ ორივეს გინდათ. პერანგი და სვიტერი ხომ არ გაქვთ თან? ჩაიცვით, ქალაქში მიგიყვანთ, მაიორი კი, აი ეს, თქვენს ჯორს წაიყვანს.

– არა, – თქვა სმიტმა. ის უკვე იდებდა, უფრო სწორად, იჩურთავდა ქაღალდს ჯიბეში, – ჯორს თვითონ წავიყვან. ჯერ სახლში უნდა შევიდე. გაუპარსავი, თანაც უჰალსტუხოდ, დასაქორწინებლად არ წამოვალ.

შემდეგ ელოდებოდნენ, სანამ ბაპტისტი მღვდელი ხელებს იბანდა, თავის სამოსს იცვამდა და ჰალსტუხს იკეთებდა. მისის მედოუფილს ის შლაპა

ამშვენებდა, რომელიც მის თავზე პირველად დაინახეს - გარეგნულად მსოფლიოში ყველაზე პირველ შლაპას ჰგავდა.

- მამა? - იკითხა ესიმ.

- აჰ, ბორბლებიან სავარძელს გულისხმობთ? - ჩაილაპარაკა ბიძია გევინმა, - ის ახლა ჩემია. ეს ჰონორარია იურიდიული დახმარებისთვის. მას თქვენ და მაკკინლის ნათლობისას გაჩუქებთ, თქვენ ოღონდ გამოიმუშავეთ.

ორი დღის შემდეგ ყველანი ოფისში ისხდნენ.

- ხომ ხედავთ, - თქვა ჩარლზის ბიძამ, - უიმედო საქმეა. საკმარისია, ერთი სნოუპსი მოიცილო თავიდან, რომ მიხედვასაც ვერ მოასწრებ და მის ზურგს უკან მაშინვე მეორე ჩნდება.

- მართალია, - უშფოთველი ხმით დაეთანხმა რეტლიფი, - შეხედავ და - არაფერია განსაკუთრებული, უბრალოდ, ახალი სნოუპსია, ეგ არის და ეგ.

თავი მეთხუთმეტე

როდესაც ჩარლზი დაბრუნდა, ლინდა კოლი უკვე ჩამოსული იყო. ისიც თავისებურად მონაწილეობდა ომში პასკაგულას გემთსაშენში, სადაც თავისას მიაღწია - მემოქლონედ მუშაობდა, თანაც შესანიშნავად, როგორც ჩარლზს ბიძამისმა გევინმა უთხრა. ამას მისი ხელის თითები და ფრჩხილებიც მოწმობდა: მოკვნეტილ-მოჭმული კი არა, გადაცრეცილ-გაცვეთილი. თმაში კი, შუბლიდან დაწყებული და კეფამდე, ლამაზი, ძალიან ლამაზი და დრამატული ჭაღარა ზოლი გასჩენოდა, როგორც ფრინველის ფრთა. როგორც ჩამოვარდნილი ფრთა. „შესაძლოა, ასეც არის, - გაიფიქრა ჩარლზმა, - რაინდის ჩაფხუტის დაშვებული ფრთა ირიბად დევს მის თმაზე, ნაცვლად იმისა, რომ ლაღად მიიწევდეს მაღლა და უკან იხრებოდეს". უკვე 1945 წლის შემოდგომა იდგა და რაინდისთვის აღარც ასპარეზობა დარჩენილიყო და აღარც დრაკონები - ომმა თვითონ დახოცა ისინი, გაანადგურა და თქმულებებად აქცია.

ჩარლზი ხშირად ფიქრობდა, რომ ახლა ყველა ადგილობრივი ამერიკელი მოხეტიალე რაინდი, ლიბერალი და რეფორმატორი, უმუშევარი გახდებოდა, ვინაიდან მისისიპის შტატის იოკნაპატოფის ოლქის მსგავს მივარდნილ და მიყრუებულ ადგილებშიც კი ფულის მასა დაგროვდა: ის არა მხოლოდ ყოფილ ჯარისკაცებს ჰქონდათ, - მათ ის საკუთარი სისხლით მოიპოვეს, - არამედ სამხედრო მრეწველობაში დასაქმებულ მუშებსაც - ლინდა კოლ-სნოუპსის, უფრო სწორად, ლინდა სნოუპს-კოლის მსგავს მემოქლონეებს, მშენებლებსა და მექანიკოსებს, საათში ორ, სამ და ოთხ დოლარსაც კი რომ უხდიდნენ და მათი გამომუშავება ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ფულის დახარჯვას ვერ ასწრებდნენ. ის კი არადა, ორივე ფინელი კომუნისტი, ისიც კი, რომელსაც ჯერაც ვერ ესწავლა ინგლისური, გამდიდრდა ომის დროს და ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, კაპიტალისტებად და ბაზრის მეპაიე

აქციონერებად გადაიქცნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კერძო საკუთრება ვერ შეიძინეს, რათა ასეთი რაოდენობის ფული მასში დაებანდებინათ. რაც შეეხება ზანგებს, მათი ახალი სკოლის შენობა ჯეფერსონში გაცილებით სჯობდა თეთრკანიანებისას. თანაც თითქმის ყოველი ქოხმახის მკვიდრს, სადაც არც დენი იყო გაყვანილი და არც კანალიზაცია, განვადებით ნაყიდი ავტომობილები, რადიომიმღებები და ლუდის ბოთლებით გატენილი მაცივრები გაუჩნდათ, გადასახადს კი პატიოსნად გამომუშავებული ფულით იხდიდნენ, რომელიც, როგორც ცნობილია, რასობრივ დისკრიმინაციას არ ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, ახალშემოღებულმა სოციალურმა წესებმა არა მხოლოდ შიმშილი და უთანასწორობა მოსპო, არამედ ბევრს სამუშაოც წაართვა და ის ახალი შინასამრეწველო საქმიანობით ანუ ახალი პროფესიით ჩაანაცვლა, რომელსაც სპეციალური მომზადება არ სჭირდებოდა – ბავშვების კეთებით. ასე რომ, ლინდას ჯეფერსონში არაფერი დარჩა, რასაც შეებრძოლებოდა. თუ დავფიქრდებით, მას საერთოდაც აღარ ჰქონდა საბრძოლი, რადგან რუსებმა თვითონ დაამარცხეს გერმანელები და მისი დახმარება აღარ სჭირდებოდათ. და თუ კარგად დავფიქრდებით, მას ჯეფერსონშიც არაფერი ესაქმებოდა, ვინაიდან ბიძია გევინს უკვე ცოლი ჰყავდა (თუკი ის მასზე გათხოვებას აპირებდა). თუმცა, შესაძლოა, რეტლიფი მართალი იყო და მას სულაც არ უნდოდა ქმრად გევინი. ასე რომ, საკმაოდ უცნაურად ჩანდა, რომ ის აქამდე ჯეფერსონში იჯდა, სადაც მხოლოდ დრო უნდა მოეკლა, სანამ დაძინების ჟამი არ მოაღწევდა, და სნოუპსის საგვარეულო მავზოლეუმში ეცხოვრა იმ ბებერ ნაბიჭვართან ერთად, რომელსაც ქალიშვილი და, საერთოდ, ხალხი ისევე სჭირდებოდა, როგორც მეორე პეპელა-ჰალსტუხი ან ახალი შლაპა. და, შესაძლოა, არ ცდებოდა ის, ვინც ამბობდა, რომ ქალი, საბოლოოდ, ჯეფერსონში არ დარჩებოდა.

მაგრამ ის, ჯერჯერობით, აქ ცხოვრობდა და, როგორც ბიძია გევინმა თქვა, ფრჩხილები სამჭედლო საამქროში კი არ გადაეცრიც-გაეცვითა, არამედ ხორცამდე მოეჭრა, რათა მათთვის უწინდელი სისუფთავე და – ჩარლზის ბიძას ეს არ უთქვამს – ქალურობა დაებრუნებინა. მას გემის ნაკერები აღარ უნდა დაემოქლონებინა და რაინდის თეთრი ფრთა დრამატულად და გალანტურად გაწვა მის თმაში, ვინაიდან ყველა დრაკონი მომკვდარიყო. და მაინც, სამჭედლო საამქროში მუშაობას იგი ოდნავაც არ შეეცვალა. ჩარლზი ფიქრობდა, ასაკი სულ არ ეტყობაო. არა, იმას გულისხმობდა, ასაკი ჯერ არ მომატებიაო. თვითონ კი შეიცვალა ამ სამზე მეტი წლის განმავლობაში, ორმოცდაერთი წლის დეკემბრიდან ორმოცდახუთი წლის აპრილამდე, ან იმედოვნებდა, რომ რაღაცით შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი, რაც განიცადა და გადაიტანა, ისე დაემთხვა ტანჯვისა და განსაცდელის შესახებ საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ იგი სულიერად და ზნეობრივად უნდა გაემდიდრებინა, მიუხედავად იმისა, მოუტანა თუ არა ამან კაცობრიობას რამე სარგებელი, და თუ განცდებმა სულიერად განწმინდა, ეს გარეგნობაზეც უნდა დასტყობოდა. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი ჰქონდა. მაგრამ ქალი საერთოდ არ შეცვლილიყო, ის თეთრი ზოლი კი თითქოს განზრახ გაეკეთებინა – ახლა ბევრი ქალი იქცეოდა ასე. და როდესაც ჩარლზმა, ბოლოს და ბოლოს... დიახ, სწორედ რომ ბოლოს და ბოლოს. მერე რა, რომ შინ დაბრუნების შემდეგ, პირველი სამი დღის განმავლობაში, მხოლოდ იმას ცდილობდა, არავის შეემჩნია, რომ მოედანზე იმ იმედით ტრიალებდა, იქნებ მას თვალი მოვკრაო. ჩარლზს ჯეფერსონზე დიდი ქალაქებიც ენახა, მაგრამ იქ ის ქალიშვილი, ის ქალი არ იყო, რომლის

შესახებაც ჯერ კიდევ რვა წლისწინათ, იმ წამს, როდესაც თვითმფრინავიდან გამოდიოდა, გაიფიქრა: ნეტა უკაბოდ როგორ გამოიყურებაო. ოღონდ მაშინ შენთვის ძალიან დიდი და არც საშენო რომანის იყო, უფრო სწორად, პირიქით – შენ არ იყავი მისთვის საკმარისად დიდი და მისი რომანისა, ასე რომ, მას მხოლოდ ბიძაშენი დარჩენოდა, შენ კი გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული ათი თვის განმავლობაშიც კი ხშირად ფიქრობდი, ენახა თუ არა გევინს ის უკაბოდ, სანამ ბიცოლა მელისანდრაზე იქორწინებდა, ან შემდეგ, და თუ არა, რატომ, რამ შეუშალა ხელი. ცხადია, ბიძამისი ამას არაფრით გაუმხელდა, თუმცა, შესაძლოა, სამ წელზე მეტი ხნის შემდეგ თვითონ დაენახა ეს მასში, ვინაიდან ქალი, ალბათ, ვერ დამალავდა ამას იმ კაცისგან, რომელიც მისდამი, ასე ვთქვათ, სიმპათიით იყო განწყობილი. მაგრამ როცა მესამე დღეს, როგორც იქნა, მას ქუჩაში მოჰკრა თვალი, ვერაფერი შეამჩნია, იგი ძველებურად გამოიყურებოდა (ჭაღარა კულულის გამოკლებით), კვალავაც რვა წლის წინანდელს ჰგავდა, როდესაც ბიძია გევინთან ერთად მემფისის აეროპორტში გაემგზავრა მის დასახვედრად – ერთი შეხედვით, მისი გემოვნებისთვის ძალიან მაღალი და გამხდარი, და მაშინ დაუფიქრებლად გაივლო გულში: „აი, ვის არ მოუწევს ჩემი გულისთვის კაბის გახდა", და ამის გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, რომ შინაგანი ხმა შეეპასუხა: „მომისმინე, რეგვენო, განა ის მოინდომებს ამის გაკეთებას?" არც ცდებოდა: იმდენად ქალი არ იყო მისთვის შექმნილი, რამდენადაც თვითონ – მისთვის. ალბათ, ბევრი რამ მოხდებოდა მის ცხოვრებაში (ამის იმედი ჰქონდა), მაგრამ მას არასდროს მოუწევდა მისი გახდა, თუმცა როცა ასეთ ძალიან მაღალ და ძალიან გამხდარ ქალებს ხდი, ხშირად გაოცება გიპყრობს. ოღონდ სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას: შესაძლოა, მისი სული ან ის, რაც ადამიანშია, ამ სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უფრო გულისხმიერი გახდა, ვინაიდან ახლა მან იცოდა, რომ თუ ბედი ასეთ შემთხვევას გამოუგზავნიდა, იმ გრძნობისთვის, რომელიც ეწვეოდა, მრავალი სახელის დარქმევა შეიძლებოდა, და ის მათ, ალბათ, მიაგნებდა კიდეც, მაგრამ ეს სიტყვა „გაოცება" არ იქნებოდა.

ახლა ქალს გემების აგება აღარ სჭირდებოდა, მეტიც, გემების აგება საერთოდ აღარ იყო საჭირო. ასე რომ, არა მხოლოდ მას, ჩარლზს, არამედ მთელ ქალაქსაც, ადრე თუ გვიან, უნდა დაენახა, – ან სხვებისგან მოესმინა, – როგორ დადიოდა ქალი იმავე ნახევრად სამხედრო დამცავი კოსტიუმით, რომლითაც, ალბათ, გემთსაშენში მუშაობდა, ქალაქის განაპირა ქუჩებსა და შესახვევებს ან თემშარებსა და ბილიკებს ნაბიჯებით ზომავდა, ქალაქიდან ორი-სამი მილით დაშორებულ მინდვრებსა და ტყეებში დახეტიალებდა, მარტოკა, ოღონდ ძალიან სწრაფად კი არა, დიდხანს, როგორც უძილობის შემდეგ ან, შესაძლოა, ნაბახუსევზე.

– ალბათ, ასეცაა, – თქვა ჩარლზმა. და ბიძამისმა კვლავ დანანებით მოსწყვიტა თვალი საქმეებით სავსე საქაღალდეს.

– რა? – იკითხა მან.

– შენ ამბობ, შესაძლოა, უძილობა სჭირსო. მაგრამ იქნებ ნაბახუსევიდან გამოსასვლელად დადის.

– ჰო, – ჩაილაპარაკა ბიძამ, – შესაძლოა, – და კვლავ ქაღალდებში ჩარგო თავი. ჩარლზი დაჟინებით შესცქეროდა მას.

– რატომ არ სეირნობ მასთან ერთად? – იკითხა მან.

ამჯერად ბიძამისს თავი არ აუწევია:

– თვითონ რატომ არ აკეთებ ამას? ორივენი ყოფილი ჯარისკაცები ხართ, ომზე ილაპარაკებდით.

– ის ჩემს ნათქვამს ვერ გაიგონებს, გზადაგზა ბლოკნოტში წერა კი მოუხერხებელია.

– აი, მეც ასე ვფიქრობ, გამოცდილებით ვიცი, რომ ორმოცდაათ წელს მიუღწეველ ორ ყოფილ ჯარისკაცს ყველაზე ნაკლებად ომზე საუბარი სურს. თქვენ კი ლაპარაკსაც ვერ შეძლებთ.

– აი, თურმე რა ყოფილა, – თქვა ჩარლზმა. ბიძამისი ქაღალდებს კითხულობდა. – შესაძლოა, მართალი ხარ, – ბიძამისი კვლავ ქაღალდებს კითხულობდა. – წინააღმდეგი ხომ არ იქნები, თუ მასთან დაწოლას შევეცდები? – ბიძამისს პასუხი არ გაუცია. შემდეგ საქაღალდე დახურა და სკამის საზურგეზე გადაწვა.

– ცხადია, არა, – თქვა მან.

– მაშასადამე, ფიქრობ, რომ არაფერი გამომივა, – უთხრა ჩარლზმა.

– ვიცი, რომ არაფერი გამოვა, – თქვა ბიძამ და მაშინვე ნაჩქარევად დაამატა: – არ გეწყინოს, შენ არაფერ შუაში ხარ. ეს უიმედო საქმეა, გესმის? აქ ვერავინ ვერაფერს გააწყობს.

– მაშასადამე, ხვდები, რატომაც, – თქვა ჩარლზმა.

– დიახ, – მიუგო ბიძამ.

– მაგრამ მე არ მეტყვი, არა?

– მინდა, რომ თვითონ მიხვდე, ამას სხვა დროს, ალბათ, ვერასდროს შეხვდები. ამას წიგნებში კითხულობ, ნახატებზე ხედავ, მუსიკაში ისმენ, ჰარვარდსა თუ ჰაიდელბერგში სწავლობ. მაგრამ გეშინია დაიჯერო, სანამ პირისპირ არ შეეჩეხები, ვინაიდან შესაძლოა, შეგეშალოს, ასეთი შეცდომის გადატანა კი ძალზე მწარეა. უმწარესი კი დაეჭვებაა.

– ჰაიდელბერგში ვერ მოვხვდი, – თქვა ჩარლზმა, მხოლოდ ჰარვარდსა და რომელიღაც შტალაგში (შტალაგი – გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკების ზოგადი სახელწოდება) ვიყავი.

– კარგი, – თქვა ბიძამ, – მაშინ საშუალო სკოლაში ან ჯეფერსონისაკადემიაში.

მაგრამ ჩარლზმა გადაწყვიტა, რომ ყველაფერს მიხვდა. ამიტომაც თქვა:

– აჰა, აი, თურმე რა. მაგრამ ჩვენს დროში ამის შესახებ პატარა ბავშვებმაც კი იციან. ის, უბრალოდ, ფრიგიდულია.

– ფროიდის ეს ტერმინი არაფრით ჩამოუვარდება სხვებს, როდესაც უბიწოება ან თავშეკავებულობაა დასაფარავი, – თქვა ბიძამ, – ახლა კი წადი. საქმე მაქვს. დედაშენმა სადილად დამპატიჟა, ასე რომ, მალე შევხვდებით.

მაშასადამე, აქ იმაზე მეტი იმალებოდა, ვიდრე ჩარლზისთვის ბიძამისს სურდა ეთქვა. და სიტყვა „თავშეკავებულობაც", როგორც ჩანს, იმის დასაფარავად გამოიყენა, რისი თქმაც არ სურდა. თუმცა ჩარლზი ხვდებოდა, ის რაზე ფიქრობდა, საკმაოდ კარგად იცნობდა თავის ბიძას, რათა მიმხვდარიყო, რომ სიტყვა „თავშეკავებულობა" ლინდას კი არა, თვითონ მას ეხებოდა. ჩარლზი რომ არასდროს ყოფილიყო ჯარისკაცი, მას თავში აზრადაც არასდროს მოუვიდოდა, არასდროს აიღებდა ნებართვას საკუთარი ბიძისგან და კარგა ხნის წინათ ჩაუსაფრდებოდა ქალს მოფარებულ ადგილას, როდესაც ის ტყეში სეირნობდა, ომში არმყოფი ადამიანის გულუბრყვილო თავდაჯერებულობით, რომ ომგადატანილ ქალს მუდმივად უკვირდა, რა ჯანდაბა ხდებოდა ჯეფერსონში და რატომ იყო, რომ ჩარლზიცა და სხვა შესაფერისი ახალგაზრდა მამაკაცებიც ამდენ დროს ტყუილუბრალოდ კარგავდნენ. მაგრამ ახლა კი მიხვდა, რატომ მიიწევდა ახალგაზრდობა ომისკენ: ყველა ფიქრობდა, რომ ომი ძალადობისა და ძარცვის შეუზღუდავ, წინასწარ გამართლებულ შესაძლებლობას იძლეოდა, სინამდვილეში კი ომის ტრაგედია ის იყო, რომ იქიდან ვერავინ ვერაფერს მოიტანდა, მხოლოდ რაღაც ძვირფასს დატოვებდა იქ, და ომში ადამიანი საკუთარ თავში ისეთ რამეს აღმოაჩენდა, რის არსებობასაც, ომი რომ არა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ იეჭვებდა.

მაშასადამე, ის თვითონ არ იქნებოდა. ჯარისკაცი კი იყო, მაგრამ მტკიცებულების სახით ჭრილობებსა და სახიჩრობას ვერ წარმოადგენდა. ჰოდა, ძალაც რომ ეხმარა და დაუფლებოდა იმის გასაგებად, რაც, ბიძამისის სიტყვებით, მასში იმალებოდა, თუმცა მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ვერაფერს გაიგებდა. ის მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გახდებოდა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ქალი მხოლოდ ნაბახუსევზე გამოსვლას ცდილობდა, რათა კვლავ სმა დაეწყო – მსგავსი ვარაუდის გაკეთება ზოგიერთი სამხილის ან თუნდაც სიმპტომის მიხედვით შეიძლებოდა. ეს იმაში მდგომარეობდა, რომ კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით ან ხუთშაბათობით, ბანკის წინ, დაკეტვამდე ცოტა ხნით ადრე, მამამისის მანქანის საჭესთან იჯდა და ელოდებოდა, და როდესაც ფლემი გამოდიოდა, ისინი უაილისქროსინგში მიდიოდნენ – იმ ადგილას, რომელსაც ჯეიკლეგ უოტმანი გადაკრულად მეთევზეთა ბანაკს უწოდებდა, სადაც ერთი კვირის სამყოფი კონტრაბანდული ვისკი ჰქონდათ. მანქანა მამამისს ეკუთვნოდა. რომ მოესურვებინა, შესანახავად გევინისთვის მიბარებული თანხით ავტომობილებით სავსე გარაჟსაც კი იყიდდა, – ფული ბაბუისგან, ბებერი ბილი უორნერისგან, ფრენჩმენსბენდელი მდიდარი კაცისგან დარჩა, შესაძლოა, უორნერისგანაც და მამისგანაც, მას შემდეგ, რაც ოცი წლის წინათ დიდი სკანდალი და ხმაური ატყდა: დედამისმა თავი მოიკლა, დედის სავარაუდო საყვარელმა კი ბანკი და საკუთარი წინაპრების სახლი მამამისს მისცა. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ მოქანდაკე, რომელსაც ნიუ-იორკში ცოლად გაჰყვა, ებრაელი და,

შესაბამისად (მთელი ქალაქის აზრით), მდიდარი იყო. მანქანის საჭესთანაც თვითონ იჯდა, – ყველგან დაატარებდა, – თუმცა თავისუფლად შეეძლო, ვინმე დაექირავებინა, ვინც მის გვერდით იჯდებოდა და სიგნალებს მოუსმენდა. მაგრამ არ უნდოდა. ისედაც, ყველაფერს ფეხით ხანგრძლივად სიარულს ამჯობინებდა და დაღლილობით უძილობასა და ნაბახუსევს ებრძოდა, – ანუ იმას, რასაც თავისი დაუქორწინებლობისთვის სასოწარკვეთით იხდიდა, – თუკი იურისტი გევინ სტივენსი მთელი ამ რვა წლის განმავლობაში სავარაუდოზე მარჯვედ და მოხერხებულად არ მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიანი იყო.

ვისკის თავისთვის იმარაგებდა და არა საკუთარი მამისთვის. ვინაიდან როგორც ქალაქში, ისე მთელ ოლქში იცოდნენ, რომ სნოუპსი არასდროს სვამდა, ვისკის არც ეკარებოდა. და მაინც, ის არასდროს მისცემდა საკუთარ ქალიშვილს იქ მარტო წასვლის უფლებას. ზოგიერთი უბრალო ახსნით კმაყოფილდებოდა – რომ უოტმანი, ისევე, როგორც ყველა ჩვენს დროში, ბევრ ფულს შოულობდა, მათი ნაწილი სადმე უნდა შეენახა, სნოუპსი კი ბანკირი იყო და, ალბათ, ფიქრობდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს ფული მის ბანკში მოხვდებოდა, ასე რომ, ჯეიკლინგსაც ისევე სტუმრობდა კვირაში ერთხელ, როგორც თავისი ბანკის ხელსაყრელ კლიენტებსა და მეანაბრეებს – ვაჭარს, ფერმერსა თუ მებამბეს. მაგრამ სხვა ადამიანები – მათ შორის ბიძია გევინი და მისი საუკეთესო მეგობარი, საკერავი მანქანების გაყიდვის აგენტი და სოფლის ბუკოლიკური თვითნასწავლი ფილოსოფოსი და ადგილობრივი ცინცინატი ვ.კ. რეტლიფი, – ამაში უფრო ღრმა მიზეზს ეძებდნენ: სნოუპსი მასთან ერთად, როგორც ჩანს, რესპექტაბელურობისთვის, გარეგნული პირობითობისთვის მგზავრობდა, ის ხომ არა მხოლოდ ბანკირი, არამედ საზოგადოების ბურჯი და მამა იყო, და თუმცა მისი ერთადერთი, დაქვრივებული ქალიშვილი ოცდაათს გადასცილებოდა და ოთხი წლის განმავლობაში, სანამ ომი მიმდინარეობდა, მამაკაცივით მუშაობდა სამხედრო გემთსაშენში, სადაც ატმოსფეროს შინაბერებისთვის შესაფერისს ძნელად თუ უწოდებდა კაცი, და ათასგვარი თავგადასავალი არა მხოლოდქვრივებს, სხვებსაც გადახდენოდათ თავს, სნოუპსი ვერ მისცემდა მას ნებას, რომ მარტოკას თხუთმეტი მილი ემგზავრა ყველასთვის ცნობილი ბუტლეგერის ბუნაგში ერთი ბოთლი ვისკის საყიდლად.

ან, შესაძლოა, მთელი ყუთის შესაძენად. თუ გავითვალისწინებით, რომ ამდენს დადიოდა ნაბახუსევის დასაძლევად, მაშასადამე, ყოველდღე უნდა ესვა ან ერთი ბოთლი მუდამ ხელთ ჰქონოდა. ამიტომ ქალაქში მალე ყველა მიხვდა, რომ პრობლემა მხოლოდ ნაბახუსევს არ შეეხებოდა: ადამიანს, რომელიც თავს უფლებას აძლევს, ყოველდღე დალიოს, სულაც არ სურს, რომ სიმთვრალემ გაუაროს, არც კი ფიქრობს მის დაძლევასა და გაქრობაზე, თუნდაც ბევრი დრო ჰქონდეს. ასე რომ, მხოლოდ ერთადერთი ვარაუდი რჩებოდა: იგი ეჭვიანობასა და სინანულს შეეპყრო და იმიტომ დადიოდა ყოველდღიურად ხუთ-ექვს მილს, რათა დაემარცხებინა ან შეეკავებინა ეს უძილო, უმწეო განაწყენება ჩარლზის ბიძია გევინზე იმის გამო, რომ მან იგი მიატოვა, სანამ თვითონ გემებს აგებდა დემოკრატიის გადასარჩენად, და მელისანდრა ჰარისსზე დაქორწინდა, – ქალიშვილობაში ბეკუსზე, როგორც თეკერეი დაწერდა, – ის კი (ჩარლზი) ფიქრობდა: „მადლობა ღმერთს, რომ მას არ მოუხდა მისთვის კაბის გახდა, თუ მის ქვეშ ის აღმოჩნდა, რამაც ბიძია აიძულა, – ცხადია, თუ ეს კაბა მან გახადა, – სასწრაფოდ

დაქორწინებულიყო ქვრივზე, რომელსაც ორი მოზრდილი შვილი ჰყავდა, მათ შორის ერთი გათხოვილი; ასე რომ, ბიძია გევინი შესაძლოა, მანამ გამხდარიყო ბაბუა, სანამ თვითონ გახდებოდა ახლად დაქორწინებული".

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიზეზი არც ეჭვიანობა იყო და არც უპატიებელი წყენა. ჯერ შობამ ჩაიარა, შემდეგ – ზამთარმა და გაზაფხულიც დადგა. ჩარლზის ბიძა არა მარტო მამულის მფლობელი გახდა, არამედ მამულის მეპატრონესავით იქცეოდა კიდეც. ცხადია, მონადირის ჩექმებსა და ბრიჯს არ იცვამდა, და თუმცა ფი-ბეტა-კაპას (ფი-ბეტა-კაპა – ღირსების ორგანიზაცია აშშ-ში) ოქროს გასაღების მქონე ადამიანი მისისიპიშიც კი სკვაირი (სკვაირი – აშშ-სა და ინგლისში მოსამართლეთა და ადგილობრივ თანამდებობის პირთა ტიტული) უნდა ჰგონებოდათ, თავისი გაჭაღარავებული გრუზა თმით უფრო ვირტუოზ პიანისტს ან „ჰოლივუდ კადილაკის" აგენტს ჰგავდა. მაგრამ მაინც იქცეოდა სკვაირივით თვეში ერთხელ და უფრო ხშირადაც, როცა როუზ-ჰილში სადილად ჩარლზის ახალი ბიცოლის, მელისანდრას პირდაპირ იჯდა, ჩარლზი და ლინდაც ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, გევინი კი ბლოკნოტის საშუალებით ლინდას საუბრის შინაარსს აგებინებდა. უფრო სწორად, ჩარლზსა და მის ახალ ბიცოლა ემს მისთვის დაწერილს ხმამაღლა უკითხავდა. ვინაიდან ახლა ცოტას ლაპარაკობდა – ჩუმად იჯდა, გაჭაღარავებული თმა ფრინველის ფრთას მიუგავდა და მამაკაცივით ჭამდა. არა, ჩარლზს სულაც არ უნდოდა იმის თქმა, რომ ამას უხეშად აკეთებდა, არა, უბრალოდ, სიამოვნებით, მადიანად მიირთმევდა, სახეზე კი – ღმერთმანი, სხვა სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია – ბედნიერება ეხატა. ბედნიერი და კმაყოფილი იყო, როგორც მაშინ ხდება, როდესაც რამეს მიაღწევ, გააკეთებ, შექმნი: განსაზღვრულ, შესაძლოა, სერიოზულ პრობლემებს დაძლევ, მსხვერპლს გაიღებ, სხვის საქმეში საკუთარი ნების წინააღმდეგაც კი ჩაერევი, და უეცრად, დალახვროს ეშმაკმა, ყველაფერი გამოდის, ყველაფერი ზუსტად ისე ახდება, როგორც ფიქრობდი, შენ კი, შესაძლოა, ამაზე ოცნებასაც კი ვერ ბედავდი, არ გეიმედებოდა, რომ ყველაფერი ასე კარგად გამოვიდოდა. შენთვის რაღაც გინდოდა, არ გამოვიდა და დაფიქრდი: იქნებ ეს საერთოდ არ არსებობს ამქვეყნად, იქნებ ეს შეუძლებელია? – და მოულოდნელად თვითონ ქმნი ამას საკუთარი ხელებით, ოღონდ შენთვის არა – შენთვის ეს უკვე აღარ გჭირდება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ახლა დამტკიცებულია, რომ ასე ხდება, ასე შესაძლებელია.

შემდეგ სასტუმრო ოთახში ქალებისთვის ყავა და კონიაკი შემოჰქონდათ, ჩარლზისთვის – პორტვეინი და სიგარა – ბიძამისი უწინდებურად უბრალო ჩიბუხს აბოლებდა, რომელიც ცალი ნიკელი ღირდა, ლინდას კი კვლავაც ბედნიერი, კმაყოფილი და – ჩარლზმა ეს მაშინვე იგრძნო, მაშინვე მიხვდა – მესაკუთრული სახე ჰქონდა. თითქოს ლინდამ ყველა და ყველაფერი თვითონ მოიგონა: ბიძია გევინიც, ბიცოლა მელისანდრაც და როუზ-ჰილიც, – ძველებური, ოდესღაც პატარა და უპრეტენზიო სახლი – მოხუცი მისტერ ბეკუსი, თავისი მუდმივი ჰორაციუსით ან კატულუსით (გაიუს ვალერიუს კატულუსი (ძვ.წ. 87-ახ.წ. 54) – ცნობილი ძველრომაელი პოეტი) და წყალგაზავებული ვისკით, ახლა საკუთარ სახლს მხოლოდ ადგილმდებარეობით თუ იცნობდა, ისე გარდაექმნა იგი ნიუორლეანელი განგსტერის ფულს. სნოუპსიც ამას ცდილობდა თავისი იოკნაპატოფური განგსტერული ფულით დე სპეინის სახლთან დაკავშირებით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, აქ კი ფული არა მხოლოდ გულუხვად და დაუნანებლად, არამედ

ისეთი დახვეწილი გემოვნებით იხარჯებოდა, რომ ამას ვერც შეამჩნევდით, მხოლოდ იგრძნობდით, შეისუნთქავდით, როგორც ჰაერს ან სითბოს; და ყველაფერი, რაც ამ სახლს გარს ერტყმოდა და მიჯნავდა: დამუშავებულ და მოვლილ მრავალ აკრ მიწაზე შემოვლებული დაუსრულებელი გრძელი ღობეები, ელექტრობით განათებული თბილი საჯინიბოები, სათავსოები, მეჯინიბეთა საცხოვრებელი და მენეჯერის ფლიგელი, – მთელი ეს ანსამბლი ჩამოწოლილი სიბნელის ფონზე ერთიან ჰარმონიულ აკორდში ჩასმული. შემდეგ კი ლინდამ ისიც, ჩარლზიც მოიგონა, რათა აქ ყოფილიყო და მისი ნახელავი ენახა, მიუხედავად იმისა, იწონებდა თუ არა იმას, რასაც იგი აკეთებდა.

ბოლოს წასვლის, „მადლობისა" და „ღამე მშვიდობისას" თქმის, აპრილისან მაისის სიბნელეში ქალაქში ავტომობილით დაბრუნების, ლინდას სახლში, მამამისის სოფლური ფანტაზიით შექმნილ სასახლეში დაბრუნებისა და იმ სადარბაზოსთან მანქანის გაჩერების დრო დგებოდა, სადაც ის ყოველთვის თავისი ყიყინა ხმით ამბობდა (ის კი, ჩარლზი, ყოველ ჯერზე ფიქრობდა: „იქნებ სიბნელეში, ჩურჩულისას, როდესაც კაბა, ბოლოს და ბოლოს, აღარ ეცმება, მისი ხმა ასე მკვეთრად არ ჟღერდეს", ფიქრობდა: „რა თქმა უნდა, თუ მასთან შენ იქნები"):

– შევიდეთ, დავლიოთ.

მანქანაში კი ისე ბნელოდა, რომ ვერც კი გაარჩევდა სპილოს ძვლის ბლოკნოტზე დაწერილს, კიდეც რომ შეეთავაზებინა. ამიტომ ჩარლზი ყოველთვის ერთსა და იმავეს აკეთებდა: განზრახ ხმამაღლა იცინოდა და თავს აქნევდა, – ზოგჯერ მთვარეც ეხმარებოდა ნათებით, – ლინდა კი უკვე კარს აღებდა თავისი მხრიდან, ასე რომ, ჩარლზი სწრაფად უნდა გადმოსულიყო მანქანიდან, რათა დროულად მიერბინა და დახმარებოდა მას. მაგრამ, როგორც არ უნდა ეჩქარა, ქალი გადმოსვლას ასწრებდა და ხეივანს მიუყვებოდა პორტიკისკენ: ეტყობოდა, რომ ძალზე ახალგაზრდა გაემგზავრა სამხრეთიდან და მასში ფეხი ვერ მოეკიდა სამხრეთელი ქალისთვის დამახასიათებელ ჩვეულებას – ყოველთვის დალოდებოდა კავალრის მხრიდან გალანტურ საქციელს; შესაძლოა, გემთსაშენში მუშაობისგან მის სხეულს უწინდელი ჩვევები დავიწყებოდა და მამაკაცის მხრიდან მომსახურებას აღარ ელოდებოდა. მოკლედ, ჩარლზს სახლისკენ მიმავალ გზაზე მისი დაწევა, არა, გადასწრებაც კი უხდებოდა, და ლინდა ყოვნდებოდა, თითქმის ჩერდებოდა და მას გაკვირვებით შესცქეროდა – არა, დაბნეულად კი არა, უბრალოდ, წინა პლანით, როგორც ჰოლივუდში ამბობენ. როგორც ჩანს, არც იმდენად მოწყვეტოდა სამხრეთის მემკვიდრეობით ტრადიციებს, რომ არ გახსენებოდა: ის, ჩარლზი, ვერ ბედავდა ისე მოქცეულიყო, რომ მოგვიანებით რომელიმე შემთხვევით გამვლელს ბიძამისისთვის მოეხსენებინა, თქვენმა ძმისშვილმა თავს უფლება მისცა, რომ ქალს, რომელიც სახლში მანქანით მიიყვანა, შესასვლელ კარამდე თითქმის ორმოცი ფუტი მარტოკას გაევლოო.

ასე რომ, ისინი ერთად მიდიოდნენ პორტიკთან, მამამისის ფანტაზიიდან, მისი ღამის კოშმარებიდან, შემზარავი იმედებიდან, ვინ იცის, საიდან და როგორ გაჩენილი დაუცხრომელი შიშიდან წარმოქმნილ აწოწილ ბუნდოვან სვეტებთან, ცივ მავზოლეუმთან, – სადაც მოხუც სნოუპსს საკუთარი ფულის

ნაწილი დაემალა – სითბოც რომ აკლდა და სილამაზეც, და ლინდა კვლავ ჩერდებოდა და ამბობდა: „შევიდეთ, დავლიოთ", თითქოს ახლახან არ წარმოეთქვას ეს სიტყვები მანქანაში, ჩარლზი კი კვლავ იცინოდა და თავს აქნევდა, თითქოს მხოლოდ ახლა მოესაზრებინა, რომ ასე შეეძლო ეპასუხა. ქალს მამაკაცურად ძლიერი და მტკიცე ხელი ჰქონდა, ვინაიდან ეს, ბოლოს და ბოლოს, მუშის, ყოველ შემთხვევაში, ყოფილი მუშის ხელი იყო. შემდეგ ჩარლზი მის წინ კარს აღებდა, ქალი წამით მკრთალად განათებული გრძელი ჰოლის ღიობში ჩერდებოდა, და კარი კვლავ იკეტებოდა.

დიახ, ამ ყველაფრისთვის სხვადასხვა სახელის დარქმევა შეიძლებოდა, მაგრამ „გაოცება", რა თქმა უნდა, შესაფერისი სიტყვა არ იყო, და ჩარლზმა თავის ბიძაზე გაიფიქრა, – ჰოი, გულუბრყვილობავ, – ერთხელ თუ გახადა კაბაო. და კვლავ გაიფიქრა: ხომ შეიძლება, რომ ბიძაჩემი მართლა იყო მასთან, ვეღარ გაუძლო, ვეღარ აიტანა და თორმეტი თუ ოცი წლით უკან გაიქცა თავის ძველ სიყვარულთან, მელისანდრა ბეკუსთან (უფრო სწორად, ქალიშვილობაში ბეკუსთან), სადაც საფრთხე არ ემუქრებოდა. ასე რომ, თუ „გაოცება" შეუსაბამო სიტყვა იყო, „მწუხარებაზეც" იგივე ითქმოდა. ეს უფრო შვებას ჰგავდა. შესაძლოა, იგი შეშინდა კიდეც, როდესაც მიხვდა, რა ახლოს იყო საფრთხე, მაგრამ უმთავრესი გრძნობა, ალბათ, შვება იყო, რომ წავიდა და ნებისმიერი პირობის მქონე საფრთხეს თავი დააღწია. მაშინ, დიდი ხნის წინათ, ჩარლზი ძალზე პატარა იყო. მან თვითონაც არ იცოდა, მართლა კარგად ახსოვდა ლინდას დედა, როგორც ჯერაც ახსოვდათ ბიძამისსა და რეტლიფს, თუ არა. მაგრამ იმდენი რამ და ისე ხშირად გაეგონა მის შესახებ ორივე მათგანისგან, რომ ეჭვი არ ეპარებოდა: ყველაფერი იცოდა, რაც მათ ახსოვდათ, განსაკუთრებით რეტლიფს. მას ჯერაც ჩაესმოდა რეტლიფის ხმა: „დიახ, ჩვენ ბედნიერები ვართ. აქ, ჩვენთან, ჯეფერსონში, არა მხოლოდ თვით მშვენიერი ელენა ცხოვრობდა, რაც სხვა ქალაქებში არ ხდება, იმასაც კი ვხვდებოდით, ვინ იყო იგი. შემდეგ პარისიც გვყავდა, და სწორედ მან გადაარჩინა ჩვენი არგოსელები, თუმცა ამისთვის ტროას დანგრევა მოუხდა. სულაც არ არის საჭირო, ელენას დაეუფლოთ, საკმარისია, მისი ყურების უფლება და პატივი მოიპოვოთ. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, თუ ის უეცრად შეგამჩნევთ, შეჩერდება და მოგიბრუნდებათ".

ამგვარად, თუ ვივარაუდებთ, რომ ის, რამაც ელენა ელენად აქცია, შესაძლებელია, გადმოღებულ იქნეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს, მაშასადამე, ჩარლზის ბიძა კი არ დამწუხრდა, მან შვება იგრძნო, ჩვეულებრივი, იქნებ მისთვის მოულოდნელი შვება. და შესაძლოა, სწორედ ის იყო შვება ბიძია გევინისთვის, რომ ბედმა ისეთივე გატაცებითა და მგზნებარებით არ დასაჯა, როგორითაც პარისი და მანფრედ დე სპეინი. ასე რომ, მან მხოლოდ ჩვეულებრივი შიში იგრძნო იმ პირველ და ერთადერთ ჯერზე (თუკი ჩარლზის ბიძა მართლა იყო მასთან იმ პირველ და უკანასკნელ ჯერზე) და გაიქცა, სანამ ჯერ კიდევ შეეძლო სიცოცხლის გადარჩენა. გეცოდინებათ: შეყვარებული, მაგრამ წლებითა და გამოცდილებით დაბრძენებული ობობა, ან, უბრალოდ, იმდენად ჭკვიანი, რომ მაშინვე ცნობს ინსტინქტის მორიდებულ მინიშნებას, თავიდანვე ხვდება და განჭვრეტსნესტრის, საწოვრის თუ იმის, რითაც მისი ლამაზმანი მას სისხლს სწოვს, იმ პირველ და ალერსიან შეხებას, იმავე წამს, როცა ფიქრობს, რომ მას მხოლოდ საკუთარ თესლს აძლევს; და დაუყოვნებლივ განზე ხტება, მდედრს ხელიდან უსხლტება და იმ პროცესში, რომელიც თავდაპირველად მშვიდობიანი

ორგაზმი ეგონა, არა მხოლოდ თესლს კარგავს, არამედ შიგნეულობის ნაწილსაც, სამაგიეროდ, გარსს, ტყავს, სიცოცხლეს ინარჩუნებს. როგორც, ვთქვათ, ყურძნის მარცვალი, მწიფე მარცვალი, მზის სხივებით გარუჯული, მაგრამ მთელი, მიუხედავად იმისა, რომ ხარბი ნესტრის გამგმირავი კოცნისგან წვენი დაღვარა და მისგან მხოლოდ მომჩვარული გარსი, ცარიელი გარეგნობაღა დარჩა. თუმცა ახლა უკვე გაახსენდა, რა თქვა მაშინ რეტლიფმა: „არა, ის მას ცოლად არ გაჰყვება. გაცილებით უარესი მოხდება", და ჩარლზმა გაიფიქრა: „რად უნდა ელენას და მის მემკვიდრეს ცარიელი გარსი, ეს გამოწურული ყურძნის მარცვალი, და რა აეკვიატა რეტლიფს? ან რა მოეჩვენა? ან, უფრო სწორად, რისი ეშინოდა? იქნებ მას ეს მოეჩვენა ან მოეჩვენება?"

მაგრამ შემდეგ ჩარლზმა გაიფიქრა, რომ ყველაზე გონივრული და ლოგიკური იმის გაკეთება იქნებოდა, რასაც ყველა გააკეთებდა მის ადგილას: თვითონ რეტლიფისთვის ეკითხა, რას მიხვდა, რა მოეჩვენა თუ რისი ეშინოდა. ასეც მოიქცა. უკვე ზაფხული იდგა, ივნისი. მაკკინლის ბამბა მწიფდებოდა, ესი კი ბავშვს ელოდებოდა, რაც მთელმა ქალაქმა იცოდა – მან ეს ყველას გასაგონად გამოაცხადა ერთ დილას, როგორც კი ბანკის კარი გაიღო და პირველი მეანაბრეები რიგში ჩადგნენ. ასე რომ, ორი თვის შემდეგ მან და მაკკინლიმ პრიზი მიიღეს – ბორბლებიანი სავარძელი, რომელშიც მოხუცი მედოუფილი იჯდა ხოლმე.

– იმიტომ, რომ ლინდასთვის ეს ცოტაა, – თქვა რეტლიფმა.

– რა არის ცოტა? – ჰკითხა ჩარლზმა.

– ცოტაა, რომ დრო გაიყვანოს და კმაყოფილი იყოს. გემების აგება საჭირო აღარაა, ფერადკანიანებს მის გარეშეც გააქვთ თავი. ჩვენთან ახლა მშვიდობა და კარგი ცხოვრებაა, ამ მშვიდობისთვის კი ჩვენ, ჩემნაირი და ბიძაშენისნაირი მოხუცები, მთელი ოთხი წლის განმავლობაში უარს ვამბობდით შაქარზე, ბიფშტექსსა თუ სიგარეტზე, ოღონდ თქვენ, ახალგაზრდებს, ყველაფერი გქონოდათ, სანამ ჩვენ მაგივრად ომობდით. ახლა კარგი ცხოვრებაა და დაჩაგრული კომუნისტებიც კი, – ჩვენი მეწაღე და ზეინკალი, – ზანგების შვილებიც კი, ახერხებენ მის, ლინდას, დაუხმარებლად თავის გატანას. ვფიქრობ, მას რომ მათთვის ადრე ეკითხა, აღმოჩნდებოდა, რომ მისი დახმარება არც მაშინ სჭირდებოდათ, ოღონდ დოლარები და ცენტები არ ჰყოფნიდათ ამის სათქმელად. ახლა კი ჰყოფნით, – მან ჩარლზს თვალი ჩაუკრა, – ახლა მას საომარიც არაფერი დარჩა – უსამართლობა დასრულდა.

– არ ვიცოდი, ასე თუ ხდებოდა, – თქვა ჩარლზმა.

– ხდება ხოლმე, – მიუგო რეტლიფმა, – ასე რომ, ახლა ან რამე უნდა მოძებნოს, ან თვითონ გამოიგონოს.

– კარგი, – თქვა ჩარლზმა, – დავუშვათ, ასეა. მაგრამ თუ მან ჩვენს მოფიქრებულს გაუძლო, ნუთუ იმას ვეღარ გაუძლებს, რასაც თვითონ მოიფიქრებს?

– მე მასზე არც ვდარდობ, – განაცხადა რეტლიფმა, – ყოჩაღია. ოღონდ საშიშია. მე ბიძაშენზე ვფიქრობ.

– ის რა შუაშია? – იკითხა ჩარლზმა.

– თუ ლინდა რამეს მოიფიქრებს და მას სთხოვს, ის, ალბათ, მის ნებას დაჰყვება, – თქვა რეტლიფმა.

თავი მეთექვსმეტე

იმ დილას ისინი ერთმანეთს ფოსტის შენობაში შეხვდნენ, როგორც ადრეც ხვდებოდნენ, წინასწარ მოულაპარაკებლად, დილის ფოსტის მოსვლის დროისთვის. ქალს მისი ჩვეულებრივი ტანსაცმელი ეცვა, ის, რასაც ქალაქის შემოგარენში დაუსრულებელი სეირნობისას იცვამდა – ძვირფასი სქელძირიანი ინგლისური ყელიანი ფეხსაცმელი, გაცვეთილი და დაკაწრული, ოღონდ დილიდანვე საგულდაგულოდ გაწმენდილი, შალის წინდები, ფლანელის შარვალი თუ ქვედაწელი, ზოგჯერ კი ერთგვარი დამცავი კომბინეზონი მამაკაცის ძველი ულტობი ლაბადის ქვეშ – ასე შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე იცვამდა, ზაფხულში კი – ტილოს კაბა, ქვედაწელი ან შარვალი. ქუდს, ამინდის მიუხედავად, არასდროს იხურავდა და მუდამ მოუჩანდა ფრინველის ფრთის მსგავს ერთ ზოლზე გაჭაღარავებული თმა. შემდეგ ისინი, ჩვეულებისამებრ, ერთად შედიოდნენ სასტუმრო „ჰოლსტონ-ჰაუზის“ კაფეში ყავის დასალევად, მაგრამ ამჯერად სტივენსმა ბლოკნოტი გამოართვა, რომელიც რვა წლის წინათ თვითონვე აჩუქა, – ოქროსკუთხეებიანი სპილოს ძვლის ფირფიტები, – და დაწერა:

„ჩემთან საკონსულტაციოდ – რატომ?“

– განა კლიენტები იურისტებთან კონსულტაციისთვის არ დადიან? – კითხვა შეუბრუნა ქალმა.

ამაზე კაცს, ცხადია, უნდა ეპასუხა: „მაშასადამე, იურისტის სახით დაგჭირდი?“ ჩვეულებრივად რომ შესძლებოდათ საუბარი, ის, ალბათ, ასეც ეტყოდა, ვინაიდან ორმოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანისთვის ლაპარაკი რთული არაა. მაგრამ წერა ყოველთვის ძნელია, ნებისმიერ ასაკში, ასე რომ, იურისტიც კი არ ხმარობს ზედმეტ სიტყვებს, თუ ისინი კალმით ან ფანქრით უნდა დაწეროს. და მან დაწერა: „საღამოს ვახშმის შემდეგ შენთან სახლში“.

– არა, – უთხრა ქალმა.

კაცმა დაწერა: „რატომ?“

– თქვენი ცოლი იეჭვიანებს. მილის განაწყენება არ მინდა.

ამაზე კაცი, ცხადია, უპასუხებდა: „იეჭვიანებს? მელისანდრა? შენზე და ჩემზე? ამდენი წლის შემდეგ?" მაგრამ ორი-სამი დუიმის სიგრძის სპილოს ძვლის ფირფიტაზე ამის დაწერას დიდ დროს მოანდომებდა, ამიტომ მხოლოდ ერთი სიტყვა იკმარა: „სისულელეა", მაგრამ მაშინვე წაშალა ცერით, შემდეგ ქალს თვალებში შეხედა და ყველაფერს მიხვდა. დაწერა: „გინდა, რომ იეჭვიანოს?"

– ის თქვენი ცოლია, – მიუგო ლინდამ, – მას უყვარხართ. მან უნდა იეჭვიანოს კიდეც თქვენზე, – კაცს ჯერაც არ წაეშალა ფრაზა და მხოლოდ ბლოკნოტი უნდა აეწია და მოსაუბრისკენ შეეტრიალებინა, რათა მას ერთხელაც წაეკითხა, – დიახ, – თქვა ლინდამ, – ეჭვიანობაც სიყვარულის ნაწილია. მინდა, რომ ესეც გქონდეთ. მინდა, ყველაფერი გქონდეთ და ბედნიერები იყოთ.

– მე ბედნიერი ვარ, – თქვა კაცმა. მან სააბონენტო ყუთიდან ახლახან ამოღებული გაუხსნელი კონვერტი ამოიღო და უკანა მხარეს დააწერა: „ბედნიერი ვარ, შესაძლებლობა მომეცა, დაუსჯელად ჩამეყო ცხვირი სხვა ადამიანების საქმეებში მათთვის ზიანის მიუყენებლად. ჩემი პროფესიის ხალხს წინასწარ აქვს მიტევებული ცოდვები, რადგან მათთვის სამართლიანობა ჭეშმარიტებაზე მეტად ფასობს, და მე არ შემიძლია ჩემი შეხებით ის დავღუპო, რაც მიყვარდა. ახლა კი მითხარი, რა ხდება, თუ ვახშმობის შემდეგ შენს სახლში მოვიდე?"

– კარგი, – დაეთანხმა ქალი, – ვახშმობის შემდეგ მოდით.

თავდაპირველად ცოლის სიმდიდრე მისთვის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ომით გამოწვეული ნერვიული დაძაბულობა რომ არა, მოულოდნელად მოზვავებული ფულით გამოწვეული შედარებით სუსტი სტრესი, შესაძლოა, სერიოზულ დაბრკოლებად გადაქცეულიყო. ახლაც კი, ოთხი წლის შემდეგ, მელისანდრას ჯერაც უჭირდა გევინის დამოკიდებულებასთან შეჩვევა: ზაფხულის თბილ საღამოებში, როდესაც ზანგი მსახურთუფროსი ან რომელიმე მოახლე სუფრას გლიცინიებით მორთულ პატარა გვერდით ვერანდაზე შლიდა, ყოველთვის, როდესაც იქ სტუმრები მოდიოდნენ, თუნდაც ამ სტუმრებს ან სტუმარს იქ ერთხელ უკვე ევახშმა, მელისანდრა აუცილებლად ამბობდა: სასადილო ოთახში, ცხადია, უფრო გრილა (სახლის გადაკეთების შემდეგ სასადილო ოთახი ზომით ოდნავ თუ ჩამოუვარდებოდა კალათბურთის მოედანს), არც ხოჭოები დაფრინავენ, მაგრამ გევინს ჩვენი სასადილო ნერვებს უშლის". და გევინი ყოველთვის, როგორც უწინ, თუნდაც იმავე სტუმრების ან სტუმრის თანდასწრებით, იმეორებდა: „სისულელეა, მილი, ნერვებს არაფერი მიშლის. ეს ჩემში თანდაყოლილია". ახლაც პატარა ტერასაზე ვახშმობდნენ – სენდვიჩი და ჩაი ყინულით. ქალმა თქვა:

– რატომ არ დაუძახე მას აქ? – კაცი ჭამდა და ქალმა დაამატა: – ცხადია, ვხვდები, რომ დაუძახე, – კაცი ჭამას განაგრძობდა და ქალმა განაცხადა: – მაშასადამე, რაღაც სერიოზულია, – შემდეგ კი თქვა: – მაგრამ ეს ძალზე სერიოზული არ იქნება, თორემ იქვე გეტყოდა, ფოსტაში, – და კვლავ დაამატა: – რა ხდება, შენი აზრით? – კაცმა პირი მოიწმინდა, ხელსახოცი დააგდო, წამოდგა, მაგიდას შემოუარა, დაიხარა და ქალს აკოცა.

– მე შენ მიყვარხარ, – თქვა მან, – ჰო. არა. არ ვიცი. დაწექი და დაიძინე, მე ნუ დამელოდები.

მელისანდრამ ქორწილისთვის მას სპორტული „კადილაკი" აჩუქა. ომისპირველი წელი მიდიოდა და ღმერთმა იცის, სად იშოვაახალი ღია „კადილაკი" და რამდენი გადაიხადა. „იქნებ სულაც არ გჭირდება?" – იკითხა მან.

– მჭირდება, – მიუგო კაცმა, – მთელი ცხოვრება სპორტულ „კადილაკზე" ვოცნებობდი, ოღონდ ისე თუ მოვექცევი, როგორც მომესურვება.

– რასაკვირველია, – თქვა ქალმა, – ის ხომ შენია.

მაშინ კაცი ამ მანქანით ქალაქში გაემგზავრა და გარაჟის პატრონს მოელაპარაკა, რომ იქ თვეში ათ დოლარად დაეყენებინათ, შემდეგ აკუმულატორი, რადიომიმღები, სალტეები და სათადარიგო ბორბალი მოხსნა, გაყიდა, გასაღები და გაყიდვის ქვითარი სნოუპსის ბანკში მიიტანა, მანქანა დააგირავა და ყველაზე დიდი სესხი მიიღო, რისი მიცემაც ამ ავტომობილის სანაცვლოდ შეეძლოთ. ამ დროისთვის პროგრესს, სამრეწველო აღორძინებასა და განახლებას მისისიპის შტატის პროვინციულ ბანკებამდეც მიეღწია, ასე რომ, სნოუპსის ბანკში ახლა პროფესიონალი მოლარე თუ ბანკის ოპერატიული, მემფისიდან ნახევარი წლის წინათ იმპორტირებული ვიცე-პრეზიდენტი მუშაობდა, რათა ბანკისთვის თანამედროვე პეწი მიეცა, ანუ ეს პროვინციული ბანკი იმ დონემდე მიეყვანა, როცა ავტომობილი მხოლოდ კულტურის განსაზღვრულ და განუყოფელ ნაწილად კი არ აღიქმება, არამედ ეკონომიკურ ფაქტორადაც, უწინ კი სნოუპსი – და სტივენსმა ეს იცოდა – ავტომობილის გირაოს სანაცვლოდ ერთ ცენტსაც არ გაასესხებდა, თვით უფალ ღმერთსაც კი უარით გაისტუმრებდა. მართალია, იმპორტირებული ვიცე-პრეზიდენტისგან სესხის მიღება სტივენსს ჩვეულებრივი ხელწერილითაც შეეძლო, არა მხოლოდ ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ვიცე-პრეზიდენტი ჩამოსული იყო, სტივენსი კი შტატის სამიდან ერთ-ერთ უძველეს გვარს მიეკუთვნებოდა, ასე რომ, ვიცე-პრეზიდენტი მისთვის „არას" თქმას ვერ გაბედავდა. მაგრამ სტივენსი სხვაგვარად მოიქცა. მას სურდა, როგორც იტყვიან ხოლმე, რომ ბავშვის ძიძა თვითონ სნოუპსი ყოფილიყო. ის თვით სნოუპსს დაუდარაჯდა, ჩაუსაფრდა, კუთხეში მიიმწყვდია, თანაც ყველას თვალწინ, ბანკის დარბაზში, სადაც იმ დროს არა მხოლოდ მთელ შტატს მოეყარა თავი, არამედ – მუდმივ კლიენტებსაც, და დაწვრილებით აუხსნა, რატომ არ სურდა მას, სტივენსს, ცოლის საქორწილო საჩუქრის გაყიდვა, მაგრამ სანამ ქვეყანა ომობდა, უნდოდა, რომ ის, უბრალოდ, სამხედრო სესხად გადაექცია. სესხი გაიცა, მანქანის გასაღები ბანკს გადაეცა, საგირავნო ფურცელიც გაფორმდა, თუმცა სტივენსი, ცხადია, მის გამოსყიდვას არც აპირებდა, ამასთან, ბანკი გარაჟში მანქანის დაყენების იმ ათ დოლარსაც იხდიდა, და ეს თანხა მანამ უნდა დაგროვებულიყო, სანამ სნოუპსი უეცრად არ მიხვდებოდა, რომ მისი ბანკი ახალთახალი, მაგრამ ძალზე მოძველებული მოდელის, უაკუმულატორო და უსალტეებო „კადილაკის" მფლობელი გახდა.

თუმცა ექვსი წლის წინათ ნაყიდი ძველი მანქანის (სწორედ ამ მანქანით წავიდა იგი დასაქორწინებლად) კარს სირბილით მომავალი მსახურთუფროსი

უღებდა და ელოდებოდა, როდის გავიდოდა გრძელ ხეივანში, რომლის ორივე მხარეს, ფიცრული ღობეების გასწვრივ, სადაც ადრე საძოვარი იყო და არხეინად ბალახობდნენ ძვირად ღირებული წმინდასისხლიანი ცხენები, ვარდები ჩაემწკრივებინათ. ახლა ისინი აღარ ჰყავდათ, რადგან მამულში აღარავის სურდა ცხენით უფასოდ სიარული. თვითონ სტივენსს ცხენები არ უყვარდა, ძაღლებზე მეტადაც კი – მიაჩნდა, რომ ცხენი, უპირობოდ, ძაღლზე მეტ ზიზღს იმსახურებდა, ვინაიდან, მართალია, ორივე პარაზიტობდა, ძაღლს პირფერობა შეეძლო. იგი მოგეალერსებოდათ და ჯანმრთელი სირცხვილის გრძნობას აღგიძრავდათ ადამიანთა მოდგმის გამო. თუმცა ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ცხენსაც და ძაღლსაც არაფერი ავიწყდებოდათ, მაგრამ ძაღლი ყველაფერს გაპატიებდათ, ცხენი კი – არა: მას, სტივენსს, ყოველთვის მიაჩნდა, რომ სამყაროს პატიების უნარი აკლდა. თუ თქვენში ნამდვილი გულისხმიერება და გულწრფელად მიტევების მძაფრი, უშუალო უნარი არსებობს, მნიშვნელობა არა აქვს, გაქვთ თუ არა ცოდნა, გახსოვთ თუ არა რამე.

მაგრამ მან არ იცოდა, რა სჭირდებოდა ლინდას. ფიქრობდა: „რაც უნდა იყოს, ქალები საოცარი არსებები არიან: მიუხედავად იმისა, თუ რა უნდათ, და იციან თუ არა ხეირიანად, რა უნდათ". თანაც მას ვერ დაელაპარაკებოდა. ქალს თვითონ უწევდა ყველაფრის დალაგებულად და ზუსტად ჩამოყალიბება და გადმოცემა, რაც მისთვის უნდა შეეტყობინებინა, და არ დალოდებოდა, სანამ კაცი ამოქაჩავდა, რაც მას სჭირდებოდა, დახვეწილი იურიდიული დაზვერვის გზით, რასაც, ჩვეულებრივ, მოწმეების მიმართ იყენებენ. კაცს მხოლოდ უნდა დაეწერა ბლოკნოტზე: „იმ შეკითხვების დაწერას ნუ მაიძულებ, რომლებიც გინდა, რომ დაგისვა. უბრალოდ, როცა მიხვდები, რომ შეკითხვა მიჩნდება, ის საკუთარ თავს დაუსვი და უპასუხე კიდეც". ჯერ კიდევ მანქანის დამუხრუჭებამდე მოჰკრა სტივენსმა მას თვალი – თეთრკაბიანს, პორტიკის ორ სვეტს შორის მდგარს, რომლებიც სახლისთვისაც, ქუჩისთვისაც და თვით ჯეფერსონისთვისაც ძალიან მაღალი იყო. სვეტებქვეშ საკმაოდ ბნელოდა და გრილოდა და, ცხადია, დაჯდომაც იქ აჯობებდა. მაგრამ ქალისთვის ამის ახსნა გაუჭირდებოდა. გაიფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, ყველა დაევალდებულებინა, თან ელექტროფარანი ეტარებინათ; ან ფირფიტაზე დაეწერა და სახლიდან ფარნის მოტანა ეთხოვა, რათა პირველი ფრაზა წაეკითხა. თუმცა ქალი სახლში შეუსვლელად ამ თხოვნას ვერ წაიკითხავდა.

ლინდამ იგი გადაკოცნა, როგორც ყოველთვის აკეთებდა, როცა ერთმანეთს სხვების დაუსწრებლად ხვდებოდნენ. მაღალი იყო, თითქმის მასსწვდებოდა. გაიფიქრა: „ცხადია, ზევით ასვლა მოგვიწევს, მის სასტუმრო ოთახში, კარიც გასაღებია. ალბათ, სასწრაფო საქმეა, რადგან ჩემთან პირისპირ შეხვედრა მოინდომა". თან ჰოლს მიუყვებოდა, რომლის სიღრმეშიც იმ ოთახის კარი იყო, სადაც ლინდას მამა (გევინს სჯეროდა, რომ მთელ ჯეფერსონში მხოლოდ მან და რეტლიფმა იცოდნენ სიმართლე) მარტო იჯდა და, ადგილობრივი ლეგენდის თანახმად, არც კითხულობდა და არც თამბაქოს ღეჭავდა, მხოლოდ იჯდა, ფეხები შეუღებავი ხის თამასაზე მიეყრდნო, რომელიც მისი განკარგულებით ადამისდროინდელ ბუხარზე, საჭირო სიმაღლეზე, მის ნათესავს, ფრენჩმენსბენდელ დურგალს მიეკრა. ისინი კიბით პირდაპირ მის სასტუმრო ოთახში შევიდნენ, სადაც ბუხრის ფიცარი მისი ნახატის მიხედვით ზუსტად ისეთ სიმაღლეზე მიემაგრებინათ, რომ,

საჭიროების შემთხვევაში, მოსახერხებელი ყოფილიყო ფანქრით წერა მოსახევფურცლებიან დიდ ბლოკნოტზე, რომელიც მუდამ იქ იდო, ვინაიდან ლინდას სტივენსი აქ მაშინ მოჰყავდა, როდესაც იმაზე მეტი უნდა ეთქვა, ვიდრე სპილოს ძვლის ორდუიმიან ფირფიტაზე დაეტეოდა. ამჯერად კაცს ჯერ ფანქარიც არ აეღო, რომ ქალმა ის რვა თუ ათი სიტყვა წარმოთქვა, რომლებისგანაც ამდენივე ხნის განმავლობაში ტანში სიცივემ დაუარა. შემდეგ მან ამ სიტყვებიდან ერთ-ერთი გაიმეორა.

– მინკი? – თქვა მან, – მინკი? – თან გამალებით ფიქრობდა: „დალახვროს ეშმაკმა, ოღონდ ეს არა". გონება სწრაფად უმუშავებდა: „ათას ცხრაას... ჰო, რვა. მაშინ ოცი წელი, შემდეგ კიდევ ოცი. ორი წელიც და – გამოვა. ეს დაგვავიწყდა, თუმცა, შესაძლოა, არც დაგვვიწყებია". მას აღარ სჭირდებოდა, დაეწერა: „მითხარი" – ქალმა უკვე ყველაფერი უამბო და გაგონება რომ შეძლებოდა, კაცს შეეძლო ეკითხა, ის აუცილებლად ჰკითხავდა, როგორ, რომელი შემთხვევითობის წყალობით (იგი ჯერ არ ფიქრობდა დამთხვევაზე, ბედსა და ბედისწერაზე) გაიფიქრა უეცრად იმ ადამიანზე, რომელიც არასდროს ენახა, რომლის შესახებაც მხოლოდ ლაჩრულ და სასტიკ მკვლელობასთან დაკავშირებით სმენოდა. თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: ამ წუთიდან იგი უკვე ბედსა და ბედისწერაზე ფიქრობდა.

გუშინ მამის მანქანაში გვერდით მსახურთუფროსი მოესვა, რათა მას სიგნალებისთვის დაეგდო ყური, ფრენჩმენსბენდში გამგზავრებულიყო და ჯოდის, დედის უფროს ძმას, დალაპარაკებოდა. ახლა კი ბუხართან იდგა, რომელზეც ბლოკნოტი იდო, და სტივენსს უყვებოდა:

– მას თავდაპირველად ოცი წელი მიუსაჯეს, 1928 წლამდე. მაშასადამე, მაშინ უნდა გამოეშვათ. მაგრამ 1925-ში გაქცევა სცადა – ქალის ტანსაცმლით, როგორც ბიძია ჯოდიმ მითხრა, რაღაც კაბითა და ჭილის ქუდით. ნეტა როგორ იშოვა ქალის კაბა და ქუდი საკატორღო ციხეში?

რომ არა სიყრუე, კაცი მას რბილად და ალერსიანად დაელაპარაკებოდა. მაგრამ მას მხოლოდ ყვითელი ბლოკნოტი ჰქონდა. თანაც უკვე იცოდა პასუხი, როცა მას სწერდა: „რა გითხრა ჯოდიმ?"

– რომ აქ ისაა ჩარეული... ჩემი მეორე ნათესავი, მონტგომერი უორდი, ის, რომელსაც ჯადოსნური ფარნისთვის უხამსი სურათები უპოვეს. ისიც პარჩმენში გაგზავნეს, სწორედ იმ, 1925 წელს, გახსოვთ? – ოჰ, ცხადია, შესანიშნავად ახსოვდა, როგორ მიხვდნენ ის და მაშინდელი შერიფი, აწ განსვენებული ჰებ ჰემპტონი, რომ ფლემ სნოუპსმა საკუთარ ნათესავს მისსავე ფოტოსტუდიაში შინნახადი სპირტიანი სასმელი მიუგდო და ორი წლით პარჩმენში ჩაასმევინა, მაგრამ ფლემი არა მხოლოდ ორჯერ შეხვდა ერთი ერთზე მონტგომერი უორდს, როდესაც ის ციხეში იჯდა სასამართლოს მოლოდინში, არამედ გირაოც შეიტანა მის გამოსაშვებად, რის წყალობითაც მონტგომერი უორდმა ორი დღით დატოვა ციხეც და ჯეფერსონიც, სანამ განაჩენს გამოუტანდნენ და პარჩმენში გაგზავნიდნენ სასჯელის მოსახდელად, და მას შემდეგ მის შესახებ არავის არაფერი სმენოდა, რვა წლის წინათ კი გაიგეს, რომ მონტგომერი უორდი ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა და კინოფაბრიკის, უფრო სწორად, კინოვარსკვლავთა კოლონიის ძალზე სარფიან ფილიალთან თუ განყოფილებასთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი. „აი, თურმე

რატომ უნდა მოხვედრილიყო მონტგომერი უორდი მაინცდამაინც პარჩმენში, – გაიფიქრა მან, – და არა, უბრალოდ, ატლანტაში ან ლივენუორთში, სადაც, წესით, უხამსი ფოტოსურათებისთვის უნდა გაეგზავნათ". რა თქმა უნდა, მას ის სასამართლო პროცესიც ახსოვდა და ისიც, უფრო ადრინდელი, იმავე დარბაზში, სადაც მოზარდივით პატარა და მოუსვენარი, საცოდავი მკვლელის საქმეს განიხილავდნენ, ახსოვდა, როგორ მიმართა მას მოსამართლემ, რათა, კონსტიტუციის თანახმად, თავი დამნაშავედ ეცნო ან არ ეცნო, მან კი მიუგო: „ნუ მაწუხებთ. ვერ ხედავთ, რომ არ მცალია?" შემდეგ ხალხით გაჭედილი დარბაზისკენ შებრუნდა და ღრიალს მოჰყვა: „სნოუპსი! ფლემ სნოუპსი! ვინმე წავიდეს და აქ ფლემ სნოუპსი მოიყვანოს!" დიახ, ახლა კი ხვდებოდა, რატომ უნდა გაეგზავნათ მონტგომერი უორდი მაინცდამაინც პარჩმენში: ფლემ სნოუპსმა თავისთვის კიდევ ოცი წლის სიცოცხლე იყიდა სამხილის სახით შეგდებული ხუთი გალონი სპირტიანი სასმლის ფასად.

მან დაწერა: „გინდა, რომ ის ახლა გავათავისუფლო?"

– დიახ, – თქვა ქალმა, – ეს როგორ კეთდება?

სტივენსმა დაწერა: „ის ორი წლის შემდეგ ისედაც გამოდის, რატომ არ დაველოდოთ", და დაამატა: „მან ოცდათვრამეტი წელი გაატარა იმ გალიაში. გარეთ ერთ თვესაც ვერ გაძლებს ბებერი ლომივით ან ვეფხვივით. კიდევ ორი წელი იცხოვროს".

– ორი წლის სიცოცხლე არც ისე მნიშვნელოვანია, – ჩაილაპარაკა ქალმა, – ორი წელი ციხე კი სულ სხვა საქმეა.

კაცმა წერა დაიწყო, მაგრამ შეჩერდა და, ამის ნაცვლად, ხმამაღლა დაელაპარაკა ქალს. მოგვიანებით რეტლიფს უამბო, ასე რატომ მოიქცა. „ვიცი, რატომაც, – უთხრა რეტლიფმა, – ხელების გასვრა არ გინდოდათ. მას კი ტუჩების მოძრაობითაც შეეძლო წაკითხვა, თუ არადა, პასუხისმგებლობა გექნებოდათ მოხსნილი". „არა, – მიუგო სტივენსმა, – უბრალოდ, ბედის და ბედისწერის მჯერა, მათი დამცველი ვარ, ისინი აღმაფრთოვანებენ და მინდა, მათ იარაღად ვიქცე, თუნდაც სრულიად უბრალო იარაღად".

ამიტომ მან არაფერი დაწერა და თქვა:

– განა არ იცი, რას გააკეთებს ის, როგორც კი ჯეფერსონში დაბრუნდება, ანუ იქ, სადაც მამაშენია?

– გამიმეორეთ, ოღონდ ნელა, შევეცდები, გავიგო, – მიუგო ქალმა.

მაშინ კაცმა დაწერა: „მე შენ მიყვარხარ", თვითონ კი გამალებით ფიქრობდა: „თუ „არას" ვეტყვი, სხვას იპოვის, რომელიღაც აფერისტს, ის კი დააშანტაჟებს: ჯერ მინკის გათავისუფლებას დაჰპირდება, შემდეგ კი უსიამოვნებებით დაემუქრება იმის გამო, რასაც ის გველის წიწილი გათავისუფლებისთანავე გააკეთებს", და დაწერა: „მისი გათავისუფლება შესაძლებელია ერთი-ორი კვირა გავა პეტიციას შევიტანთ შენ ნაცვლად დავწერ ნათესავი ხარ ის მოსამართლე და შერიფი – მოსამართლე ლონგი და ბებერი ჰებ ჰემპტონი – გარდაიცვალნენ მაგრამ უმცროსი ჰები ყველაფერს

გააკეთებს თუმცა მომავალ არჩევნებამდე შერიფი ვერ იქნება პეტიციას გუბერნატორს თვითონ წავუღებ".

„რეტლიფს ვეტყვი" – გაიფიქრა მან. მეორე დღეს პეტიცია უკვე მის მაგიდაზე იდო. რეტლიფი კი კალმით ხელში ქაღალდს დასცქეროდა.

– რაღას უცდით, – უთხრა სტივენსმა, – მოაწერეთ. ყველაფერს მე გავაკეთებ. თუ ფიქრობთ, რომ მკვლელი ვარ?

– ჯერჯერობით, არა, – მიუგო რეტლიფმა, – კერძოდ, რას გააკეთებთ?

– ყველაფერს მისის კოლი გააკეთებს, – თქვა სტივენსმა.

– თქვენ მითხარით, რომ მისი თანდასწრებით არასდროს გიხსენებიათ, რას გააკეთებს, როგორც კი ფლემთან ერთად ერთ ქალაქში მოხვდება, – განაცხადა რეტლიფმა.

– ამის თქმა არც დამჭირდა, – უთხრა სტივენსმა, – მე და ლინდამ მოვილაპარაკეთ, რომ ის აქ არ უნდა დაბრუნდეს. ორმოცი წელი გავიდა, ცოლი მოუკვდა, ქალიშვილები ღმერთმა იცის, სად გაემგზავრნენ. ერთი სიტყვით, მისთვის აჯობებს, თუ აქ არ დაბრუნდება. ლინდა სწორედ ამისთვის იძლევა ფულს. ათასის მიცემა უნდოდა, მაგრამ ავუხსენი, თუ ამდენ ფულს ერთბაშად მისცემს, აუცილებლად დაღუპავს. ასე რომ, ციხის უფროსს ორას ორმოცდაათ დოლარს დავუტოვებ, რათა ეს თანხა ჭიშკრიდან გამოსვლამდე ზუსტად ერთი წუთით ადრე მისცეს, წინასწარ კი გააფრთხილოს, რომ როგორც კი ფულს აიღებს, ამით ფიცს დადებს, რომ იმავე დღეს, საღამომდე, მისისიპის შტატის საზღვარს გადაკვეთს, და მაშინ მას ყოველ სამ თვეში ერთხელ ორას ორმოცდაათ დოლარს გაუგზავნიან მითითებულ მისამართზე, იმ პირობით, რომ მისისიპის შტატის საზღვარს აღარ გადმოკვეთს.

– გასაგებია, – თქვა რეტლიფმა, – მაშასადამე, ფულს მხოლოდ იმ პირობით მიიღებს, თუ ფლემს ცხოვრებაში ახლოს არასდროს გაეკარება.

– სწორია, – დაუდასტურა სტივენსმა.

– იქნებ ფული არ სჭირდება? – დაეჭვდა რეტლიფი, – იქნებ არ დათმოს ფლემ სნოუპსი რაღაც ორას ორმოცდაათ დოლარად?

– ერთი რამ გაითვალისწინეთ, – უთხრა სტივენსმა, – მის უკან ციხეში გატარებული ოცდათვრამეტი წელია, წინ კი იმ გალიაში გასატარებელი კიდევ ორი წელი. ამიტომაც გაყიდის ფლემ სნოუპსს, რათა კიდევ ორი წელი არ იჯდეს, თანაც მუქთა პენსიასაც მიიღებს, წელიწადში ათას დოლარს, მთელი წლის განმავლობაში. მოაწერეთ ხელი.

– ნუ მაჩქარებთ, – თქვა რეტლიფმა, – ბედი და ბედისწერა. მათ შესახებ თქვით, სიამაყით ვემსახურებიო?

– მერე რა? – მიუგო სტივენსმა, – მოაწერეთ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ურიგო არც იღბლის გახსენება იქნებოდა? – ჰკითხა რეტლიფმა.

– ხელი მოაწერეთ, – გაიმეორა სტივენსმა.

– ფლემისთვის ჯერ არაფერი გითქვამთ?

– ჩემთვის არაფერი უკითხავს, – თქვა სტივენსმა.

– რომ გკითხოთ? – არ მოეშვა რეტლიფი.

– მოაწერეთ, – უთხრა სტივენსმა.

– უკვე მოვაწერე, – თქვა რეტლიფმა და კალამი თავის ადგილას დააბრუნა. – მართალი ხართ. არჩევანი არა გვაქვს. უკან დახევა არ შეიძლება. თუ „არას" ეტყვით, სხვა იურისტს იპოვის, ის კი არც „არას" ეტყვის და, ცხადია, ვერც იმ სვლას მოიფიქრებს ფულთან დაკავშირებით – იმ ორას ორმოცდაათ დოლარს ვგულისხმობ.

დანარჩენი დოკუმენტებიც დაუბრკოლებლად გაფორმდა. თუმცა ის მოსამართლე, რომელიც სასამართლოში მაშინ თავმჯდომარეობდა, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილიყო, ისევე, როგორც მაშინდელი შერიფი ჰებ ჰემპტონი. მაგრამ მის შვილს, მეტსახელად „უმცროს ჰებს", მამისგან მემკვიდრეობით მხოლოდ ის კი არ ერგო, რომ მას ოთხწლიანი შესვენებით შერიფად ირჩევდნენ, არამედ ისიც, რომ პოლიტიკაში ყოველთვის რჩებოდა თავისი შემცვლელის, ეფრაიმ ბიშოპის, უახლოეს მეგობრად. ასე რომ, სტივენსმა ორივეს ხელმოწერა მოიპოვა. მაშინდელი ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობის მამასახლისი ჯერაც სრულიად ჯანმრთელი და ძალზე მოძრავი ოთხმოცდახუთი წლის მოხუცი იყო, რომელიც მარცვლეულის ელექტროსაღერღ პატარა მანქანასთან ფუსფუსებდა, როდესაც სათევზაოდ ან სანადიროდ არ დადიოდა ბიძია მაკკასლინთან, ოთხმოცი წლის ჭარმაგ მოხუცთან ერთად. სტივენსმა ისევე მარტივად და უცერემონიოდ აიძულა პეტიციაზე ხელის მოწერა რამდენიმე გავლენიან პიროვნებას, როგორც რეტლიფს, მაგრამ მთავარ კოზირად ჰარვარდელი ძველი ამხანაგი მიაჩნდა, რომელიც პოლიტიკას ხელოვნებისადმი სიყვარულის გამო მისდევდა და მრავალი წლის განმავლობაში ყველა გუბერნატორის კარზე მეგობრის თუ მრჩევლის როლს ასრულებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა ფრაქციამ იცოდა, რომ იგი მისისიპის შტატის პატრიოტიც იყო და ისეთი მდიდარიც, რომ თავისთვის უკვე არაფერს ითხოვდა.

ასე რომ, სტივენსს შეეძლო, და აპირებდა კიდეც, თავისი კლიენტისთვის საქმის წარმატებით მსვლელობის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ ეცნობებინა, როცა დოკუმენტებს შტატის დედაქალაქში გადაგზავნიდნენ. ზაფხული იწურებოდა, შემოდგომა ახლოვდებოდა, სექტემბერი, როდესაც მთელი მისისიპის შტატი (გუბერნატორის, შტატის სენატისა და ამნისტიის კომისიის ჩათვლით) კვლავ მოირგებდა ჰალსტუხებსა და სერთუკებს და მუშაობას შეუდგებოდა. იგი ხვდებოდა, რომ ყველაფერი შეეძლო – ლამის დღე და საათიც კი დაენიშნა, როდის სურდა, პატიმარი ციხის გარეთ ეხილა. და მან სექტემბრის ბოლო აირჩია, თავის კლიენტს კი დიდ, ყვითელ, მოსახევფურცლიან ბლოკნოტში დაუწერა, ასე რატომ მოიქცა, დაწვრილებით,

მჭევრმეტყველურად და დამაჯერებლად აუხსნა ყველაფერი, ვინაიდან ამაში თვითონაც დარწმუნებული იყო: სექტემბერში ინტენსიურად იღებდნენ ბამბის მოსავალს, ასე რომ, ამ ადამიანისთვის მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივი სამუშაო კი არ მოიძებნებოდა, არამედ ისეთი სამუშაო, რომელიც გაიტაცებდა, რადგან ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ის ამას მხოლოდ იძულებით აკეთებდა, შემართული შაშხანის ლულის ქვეშ, ახლა კი მას ყოველი შეკვრიდან ნარდობლივ გადაუხდიდნენ. ეს გაცილებით აჯობებდა ახლავე, ივნისში გათავისუფლებას, როდესაც მთელი ზაფხული უსაქმოდ იქნებოდა და გული უნებურად მშობლიური ადგილებისკენ გაუწევდა. სტივენსს, ცხადია, არ აუხსნია ლინდასთვის, რატომ არ შეიძლებოდა ჯეფერსონში გამოჩენა ამ საცოდავი, უღონო კაცუნასთვის, რომელიც, ალბათ, ციხეში მოხვედრამდეც შეშლილი იყო, იქ გატარებული ოცდათვრამეტი წელი კი ნამდვილად ვერ გამოაჯანმრთელებდა. ამას ლინდას ფანქრით შესრულებულ სიტყვამრავალ და დამაჯერებელ ფრაზებში უმალავდა, ჩქარ-ჩქარა რომ ჩნდებოდა ბლოკნოტის ხაზიან ფურცლებზე, სანამ მოულოდნელი ფაჩუნი თავის აწევას არ აიძულებდა (რასაკვირველია, ლინდას არაფერი ესმოდა) – კაბინეტის კარში უკვე თავაზიანი, ზრდილობიანი და სახეშეუვალი რეტლიფი იდგა, ოღონდ ჩვეულებრივზე ოდნავ სერიოზული და ჩაფიქრებული. სწორედ რომ მხოლოდ ოდნავ, ყოველ შემთხვევაში, ლინდა ვერაფერს ამჩნევდა, სტივენსი კი დგებოდა, ქალის ხელს ან იდაყვს ეხებოდა (თუმცა ამის გაკეთება არც იყო საჭირო – იგი უეცრად ისედაც ხვდებოდა, რომ ოთახში ვიღაც შევიდა) და ამბობდა:

– გამარჯობა, ვ.კ., შემოდით. განა უკვე დროა?

– როგორც ჩანს, – პასუხობდა რეტლიფი, – დილა მშვიდობისა, ლინდა.

– გამარჯობა, ვ.კ., – წარმოთქვამდა ქალი ყრუ ხმით და ზუსტად იმეორებდა სტივენსის კილოს, არადა, ვერ გაიგებდა, როგორ მიესალმა ის რეტლიფს, თვითონ რეტლიფიც ვერ იხსენებდა, როდის შეეძლო მას ამის მოსმენა. ამ დროს სტივენსი გ.ლ.ს.-ინიციალებიან ოქროს სანთებელას ამოაძვრენდა, თუმცა „ლ" მისი ინიციალი არ იყო, და ლინდას სიგარეტის მოკიდებაში ეხმარებოდა, შემდეგ ის და რეტლიფი პირსაბანის თავზე დაკიდებული პატარა კარადიდან სამ გათლილ ჭიქას, ერთადერთ კოვზს და დაჭრილ ლიმონს იღებდნენ, რასაც რეტლიფი ჯიბის სიღრმიდან ამოღებულ, თვითნახადი ვისკით სავსე მათარას ამატებდა: ბებერი კელვინ ბუქრაიტი მცირე რაოდენობით კვლავაც ხდიდა და ინახავდა დავარგებულ ვისკის და ზოგჯერ თავის მარაგს მხოლოდ იმ ტაქტიან ადამიანებს უნაწილებდა, რომლებსაც მასთან, ჭირვეულ მოხუცთან, მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება მოეხერხებინათ. შემდეგ სამივენი – ლინდა სიგარეტით ხელში, სტივენსი უცვლელი ღიმილით და რეტლიფი – ისხდნენ და პუნშს წრუპავდნენ, სტივენსი კი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა ან სწრაფად წერდა ბლოკნოტში რამეს, რათა ლინდას ეპასუხა, ის კი რაღაც დროის შემდეგ წამოდგებოდა ხოლმე, მათ ემშვიდობებოდა და მიდიოდა. ერთხელ რეტლიფმა იკითხა:

– მაშასადამე, ფლემისთვის ჯერ არაფერი გითქვამთ? – სტივენსი სიგარეტს აბოლებდა, – თუმცა ეს არც არის საჭირო: ახლა უკვე მთელმა ოლქმა იცის, რომ ლინდა, მინკის ბიძაშვილი თუ ძმისშვილი, ერთი სიტყვით, ნათესავი,

მას ციხიდან ათავისუფლებს. – სტივენსი კვლავ აბოლებდა. რეტლიფმა ცარიელი ჭიქა აიღო, – კიდევ დალევთ?

– არა, გმადლობთ, – მიუგო სტივენსმა.

– აჰა, ლაპარაკიც შეგძლებიათ, – თქვა რეტლიფმა, – ცხადია, შესაძლოა, იქ, სარდაფში, ბანკში, სადაც ის, ალბათ, ზის და ფულს ითვლის, ამ ხმას არ მიუღწევია. თუმცა იქნებ მოუწიოს გამოსვლა რამე საქმეზე, – სტივენსი უსიტყვოდ აბოლებდა, – ვთქვათ, შერიფთან, მოპირდაპირე მხარეს. – სტივენსი კვლავ სიგარეტს ეწეოდა, – ნამდვილად აღარ დალევთ?

– კარგი, – ჩაილაპარაკა სტივენსმა, – რა ხდება?

– მეც ამას გეკითხებით. შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ფლემი, პირველყოვლისა, შერიფთან წავიდოდა და მინკის მაშინდელ სიტყვებს შეახსენებდა, რომელიც მოსამართლე ლონგს უთხრა, როდესაც პარჩმენში გზავნიდნენ. მაგრამ ფლემი, როგორც ჩანს, მასთან არ მისულა. შესაძლოა, ლინდამ თვითონ უთხრა მას იმ ორას ორმოცდაათი დოლარის შესახებ, არადა, ფლემ სნოუპსიც მზადაა, ხავსს ჩაეჭიდოს, თუ სხვა არაფერი დარჩენია. ბუნებრივია, ფლემი ვერ მივა ლინდასთან და ბლოკნოტში ვერ დაუწერს: „როგორც კი იმ საბრალო ვირთხას გამოუშვებენ, ის მაშინვე აქ გაჩნდება და დედაშენის საფლავისთვისაც მაზღვევინებს და სხვა ყველაფრისთვისაც, რაშიც, ვითომდა, დამნაშავე ვარ – ამის შესახებ ალბათ უკვე გამოგიჭედეს ყურები ჯეფერსონელმა ჭკუის კოლოფებმა“, მაგრამ ის, ცხადია, მისთვის ამ აზრის მიწოდებასაც ვერ გაბედავს, რადგან ლინდა მაშინვე ხელს ჩაგავლებთ, პარჩმენში გაგაქანებთ, დღესვე გამოგაყვანინებთ მას და დილისთვის უკვე ჯეფერსონში ჩაიყვანს. ასე კი ფლემს კიდევ სამი კვირა დარჩა, სამ კვირაში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ვთქვათ, უეცრად ლინდა, მინკი, გუბერნატორი ან ამნისტიის კომისიის ყველა წევრი მოკვდეს, ან პარჩმენი აფეთქდეს. რა თქვით, ეს როდის მოხდებაო?

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა სტივენსმა.

– როდის ათავისუფლებენ?

– აჰ, ალბათ, ოცის შემდეგ. დაახლოებით ოცდაექვსში.

– მაშასადამე, მომავალ კვირას, – თქვა რეტლიფმა.

– ფულს გადავცემ და უფროსს მოველაპარაკები. ოღონდ მანამ არ მისცემენ, სანამ პირობას არ დადებს, რომ იმავე დღეს გაემგზავრება მისისიპიდან და აქ აღარასოდეს დაბრუნდება.

– თუ ასეა, – თქვა რეტლიფმა, – ყველაფერი რიგზეა. განსაკუთრებით, თუ მე... – ის გაჩუმდა.

– თუ თქვენ რა? – ჰკითხა სტივენსმა.

– არაფერი, – მიუგო რეტლიფმა, – განგება, ბედი, იღბალი და იმედი – ყველანი ამით ვუკავშირდებით ერთმანეთს: მეც, თქვენც, ლინდაც, ფლემიცა

და ის უბედური, დალეული, ველური კატაც, პარჩმენში რომ ზის. ყველანი იმავე განგებით, ბედით, იღბლითა და იმედით ვართ გადაჯაჭვულნი. ისიც კი არ ვიცით, ეს სად იწყება და ჩვენ სად ვმთავრდებით. განსაკუთრებით იმედი. მახსოვს, ვფიქრობდი, რომ ადამიანებს არაფერი აქვთ, იმედის გარდა, ახლა კი ვფიქრობ, რომ მათ სხვა არც არაფერი სჭირდებათ – მხოლოდ იმედი. ის უბედური ნაბიჭვარი კი ბანკში ზის და ფულს ითვლის, ვინაიდან ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მინკი სნოუპსს ვერ მისწვდება. რახან იქ უნდა დაიმალოს, ბარემ ფულსაც დათვლის – რამე ხომ უნდა გააკეთოს, თავი ხომ უნდა შეიქციოს. ვინ იცის, იქნებ თვითონაც მიეცა ლინდასთვის ეს ორას ორმოცდაათი დოლარი, თანაც უპროცენტოდ, ოღონდ კი არ ეშუამდგომლა, რომ მინკისთვის ორი წელი ჩამოეკლოთ. ვინ იცის, რამდენ ფულს გაიღებდა თავისი სეიფიდან, ოღონდ კი ამ ორ წელს კიდევ ოცი დაემატოს. ან, თუნდაც ათი. თუნდაც, ერთი.

ათი დღის შემდეგ სტივენსი პარჩმენის ციხის უფროსის კაბინეტში იჯდა. ფული თან ჰქონდა – ოცდახუთი სრულიად ახალი ათდოლარიანი კუპიურა.

– არ შეხვდებით? – ჰკითხა ციხის უფროსმა.

– არა, – მიუგო სტივენსმა, – თვითონ უთხარით. ან სხვას დაავალეთ. უბრალოდ, არჩევანი შესთავაზეთ: ან გათავისუფლდება, ორას ორმოცდაათ დოლარს მიიღებს და მისისიპიდან, შეძლებისდაგვარად, სწრაფად გაემგზავრება, თანაც სიცოცხლის ბოლომდე ყოველ სამ თვეში ერთხელ ორას ორმოცდაათ დოლარს მიიღებს და პირობას დადებს, რომ შტატის საზღვარს არასდროს გადმოკვეთს, ან, დაე, იჯდეს პარჩმენში კიდევ ორი წელიწადი, შემდეგ კი თუნდაც ჩაძაღლდეს, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი.

– ალბათ, დათანხმდება, – თქვა ციხის უფროსმა, – მის ადგილას აუცილებლად დავთანხმდებოდი. იმას რატომ არ უნდა, რომ შინ დაბრუნდეს, ვინც ამ ორას ორმოცდაათ დოლარს უგზავნის?

სტივენსმა სასწრაფოდ აუხსნა:

– დასაბრუნებელი არსად აქვს. ოჯახი დაიშალა, არავინ ჰყავს, ცოლი ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ მოუკვდა, არავინ იცის, მისი ქალიშვილები სად არიან. ალბათ, ის იჯარით აღებული ქოხმახიც ჩაწვა, სადაც ცხოვრობდა, შესაძლოა, დაშალეს და ცეცხლის დასანთებად გაზიდეს.

– უცნაურია, – ჩაილაპარაკა ციხის უფროსმა, – მისისიპიში ყველას ჰყავს ნათესავი. უნათესავო ადამიანს სანთლითაც კი ძნელად თუ მიაგნებთ.

– არა, ალბათ, მასაც ეყოლება შორეული ნათესავები და სახლიკაცები, – თქვა სტივენსმა, – როგორც ვიცი, ეს დიდი, მთელ შტატში გაფანტული კლანი იყო.

– და, მაშასადამე, ამ დიდი და გაფანტული ოჯახიდან და ნათესავებიდან ვიღაცას ძალიან არ უნდა მისი დაბრუნება, რადგან ორას ორმოცდაათი დოლარიც არ დაენანა?

– ის ხომ შეშლილია, – მიუგო სტივენსმა, – ნუთუ ამ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ამას აქ ვერავინ მიხვდა, ნუთუ არავინ გითხრათ, თუკი ეს თვითონ ვერ შეამჩნიეთ?

– აქ ყველანი შეშლილები ვართ, – თქვა ციხის უფროსმა, – პატიმრებიც კი. შესაძლოა, ამას აქაური ჰავაც უწყობს ხელს. თქვენს ადგილას არ ვინერვიულებდი. თავდაპირველად ისინი ყველას საშინლად ემუქრებიან – მოსამართლეს, პროკურორს, რომელიმე მოწმეს, რომელიც სასამართლოში გამოვიდა და ისეთი რამე თქვა, რასაც წესიერი ადამიანი არ იტყოდა. დიახ, საშინლად იმუქრებიან. შევამჩნიე, რომ ამქვეყნად არავინ ისე ხმამაღლა დასაშინლად არ იმუქრება, როგორც პოლიციელზე ხელბორკილით მიბმული ადამიანი. მაგრამ მათ აქ გატარებული ერთი წელიც კი ცვლის. ის კი ოცდათვრამეტი წელი იჯდა. მაშასადამე, არ გავუშვა, სანამ ფულის აღებას არ დასთანხმდება? მაგრამ რა იცით, იქნებ ფული აიღოს და მოგატყუოთ?

– ცოტათი ვიცნობ ადამიანებს, – განაცხადა სტივენსმა, – მაგალითად, ვიცი, რომ რომელიღაც დამნაშავე ათჯერ უკეთესად იმუშავებს და ათჯერ მეტ მსხვერპლს გაიღებს, ოღონდ თუნდაც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო კარგი თვისება აღნიშნონ მასში, მაშინ, როცა პატიოსანი ადამიანი არასდროს ეცდება ასე თავისი რომელიმე ცუდი თვისებისგან გათავისუფლებას. ამ კაცმა კი კინაღამ თავისი ადვოკატი მოკლა აქვე, ციხეში, როდესაც ის ცდილობდა, რომ იგი შეშლილად ეღიარებინათ. ის მიხვდება, რომ ერთადერთი გონივრული ნაბიჯი, რომლის გადადგმაც შეუძლია, ფულსა და ამნისტიაზე დათანხმებაა, ვინაიდან ამნისტიაზე ფულის გამო უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ ამ ორი წლის განმავლობაში არათუ ორი ათას დოლარს ვერ მიიღებს, არამედ შესაძლოა, ფეხებიც კი გაჭიმოს. ან, რაც უარესია, გადარჩეს და გარეთ მათხოვრად გამოვიდეს, ფლე... – იგი გაჩუმდა.

– რა თქვით? – ჰკითხა ციხის უფროსმა, – ვინ არის ეს „ფლე", რომელიც შესაძლოა, ორი წლის შემდეგ ცოცხალი აღარ იყოს და მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდეს? ის ხომ არა, ვისაც ეს ორას ორმოცდაათი დოლარი ეკუთვნის? კარგი, – თქვა მან, – გეთანხმებით. თუ ის ფულს აიღებს, როგორც ამბობენ, ყველაფერი მოგვარდება.

– სწორედაც რომ, – დაეთანხმა სტივენსი, – მაგრამ თუ რამე დაბრკოლება შეიქმნა, ჯეფერსონში დამირეკეთ, მე გადავიხდი.

– ისედაც დაგირეკავთ, – უთხრა ციხის უფროსმა, – ძალიან კი ცდილობთ ყველაფრის ისე წარმოდგენას, თითქოს ეს არცთუ სერიოზული იყოს.

– არა, – თქვა სტივენსმა, – აი, მოულოდნელად ფულზე უარს თუ იტყვის...

– ამნისტიას გულისხმობთ?

– რა მნიშვნელობა აქვს? – განაცხადა სტივენსმა.

ოცდაექვსის დღის მეორე ნახევარში მან ტელეფონის ყურმილი აიღო და ცენტრალურმა ოპერატორმა უთხრა: „პარჩმენი, მისისიპის შტატი იძახებს

მისტერ გევინ სტივენსს. ილაპარაკეთ, პარჩმენ". გაურკვეველმა ხმამ წარმოთქვა:

– ალო, იურისტო, თქვენ ხართ? – მან მაშინვე გაიფიქრა: „მაშასადამე, ლაჩარი ვყოფილვარ. თუ ეს ორი წლის შემდეგ მოხდება, ლაქა არ მომეცხება. ახლა შემიძლია, ლინდას ვუთხრა, ვინაიდან მტკიცებულებები არსებობს", ყურმილში კი თქვა:

– მაშასადამე, ფულზე უარი განაცხადა?

– აჰა, უკვე გცოდნიათ, – თქვა რეტლიფის ხმამ.

– რა... – მაშინვე უთხრა სტივენსმა, – ალო!

– დიახ, ეს მე ვარ, ვ.კ., – ჩაილაპარაკა რეტლიფმა, – პარჩმენში ვარ, მაშასადამე, უკვე დაგირეკეს.

– რასთან დაკავშირებით დამირეკეს? – ჰკითხა სტივენსმა, – მაშასადამე, ის კვლავაც იქაა? გამოსვლაზე უარი განაცხადა?

– არა, გამოვიდა. დილით გამოვიდა, რვა საათისთვის. შემთხვევით ჩამოვლილ სატვირთო მანქანას ჩრდილოეთისკენ გაჰყვა.

– აკი თქვით, ფული არ აიღოო?

– სწორედ ამას გიმეორებთ. თხუთმეტი წუთის წინათ დავადგინეთ, სად არის ფული. აქ არის. ის...

– მოიცადეთ, თქვენ თქვით, დილის რვა საათზეო, – თქვა სტივენსმა, – რომელი მიმართულებით?

– მას ერთმა ზანგმა მოჰკრა თვალი – გზატკეცილზე იდგა, შემდეგ სატვირთო მანქანამ გაუჩერა, რომელსაც საქონელი ტეტვეილერში მიჰყავდა. ტეტვეილერიდან კლარკსდეილში შეეძლო მისვლა, იქიდან კი მემფისში. ან ტეტვეილერიდან ბეითვილამდე, შემდეგ კი მემფისში. მაგრამ თუ ვინმეს პარჩმენიდან ჯეფერსონში სურს მოხვედრა, შეუძლია, ბეითვილშიც გაიაროს, ჩიკაგოშიც და ნიუ-ორლეანშიც – მისი ნებაა. ასე კი, ალბათ, ჯეფერსონამდე უფრო ჩქარა ჩავა. ახლა მეც მივდივარ, მაგრამ გიჯობთ...

– გასაგებია, – მიუგო სტივენსმა.

– ფლემსაც უჯობს, – დაამატა რეტლიფმა.

– დალახვროს ეშმაკმა, ხომ ვთქვი, გასაგებია-მეთქი, – თქვა სტივენსმა.

– ოღონდ ლინდას ჯერ არაფერი უთხრათ, – სთხოვა რეტლიფმა, – რა საჭიროა იმის თქმა, რომ მან ახლახან, ერთგვარად, საკუთარი დედის ქმარი მოკლა...

მაგრამ სტივენსს ეს არ გაუგონია. მას უკვე დაეგდო ყურმილი, შლაპაც კი არ ეხურა, როდესაც მოედნამდე მიირბინა, იმ ქუჩამდე, რომლის ერთ ბოლოში

ბანკი და სნოუპსი იყო, – მეორეში – სასამართლოს შენობა და შერიფი: მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირველს ვის ნახავდა. ფიქრობდა: „მაშასადამე, მართლა ლაჩარი ვყოფილვარ, თანაც განგებასა და ბედზე ამდენი ლაპარაკის შემდეგ, თუმცა რეტლიფმაც კი არ ირწმუნა ისინი".

– ხომ არ ფიქრობთ, – თქვა შერიფმა, – რომ ადამიანი, რომელმაც ოცდათვრამეტი წელი პარჩმენში გაატარა, გათავისუფლებისთანავე შეეცდება იმის გაკეთებას, რისთვისაც უკანვე შეაბრუნებენ, თუ, რა თქმა უნდა, სახრჩობელაზე არ ჩამოაკონწიალეს? ნუ სულელობთ. თუნდაც ისეთი იყოს, როგორც ახასიათებენ, ოცდათვრამეტ წელიწადში ჭკუაზე მოიყვანდნენ.

– ჰა, – თქვა სტივენსმა მოწყენილად, – საკმაოდ ზუსტად კი განსაზღვრეთ, მაგრამ თქვენ, ალბათ, უშარვლოდ დარბოდით მაშინ, 1908 წელს. იმ დღესასამართლოში არ ყოფილხართ, არც მისი სახე გინახავთ და არც მისი წამოძახილი მოგისმენიათ. მე კი ვიყავი.

– კარგი, – ჩაილაპარაკა შერიფმა, – თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცე?

– უნდა დააპატიმროთ. რას უწოდებთ ხოლმე? ბლოკპოსტებს? ოღონდ ჩვენს ოლქამდე არ მოუშვათ.

– რის საფუძველზე?

– თქვენი საქმე მისი დაკავებაა. საფუძველს კი მე მოგცემთ, როდესაც დაგჭირდებათ. თუ საჭირო გახდა, ყალბი საბაბით ფულის მიღებისთვის დავაკავებთ.

– მაგრამ მას ხომ ფული, თითქოს, არ აუღია?

– არ ვიცი, რა ხდება ფულთან დაკავშირებით. მაგრამ რაღაცას მოვიფიქრებთ, ოღონდაც რაღაც დროით დავაკავოთ.

– დიახ, – თქვა შერიფმა, – თქვენ, ალბათ, ამასაც შეძლებთ. ბანკში შევიდეთ და მისტერ სნოუპსს დაველაპარაკოთ. შესაძლოა, ერთად რამე მოვიფიქროთ. თუ არადა, მისის კოლთან წავიდეთ. ვფიქრობ, მასაც უნდა ვუთხრათ.

ამჯერად სტივენსმა სიტყვასიტყვით გაიმეორა ის, რაც რეტლიფმა თქვა, როდესაც მან ყურმილი დადო:

– ქალს ვუთხრათ, რომ დღეს, დილის რვა საათზე, მან, ასე ვთქვათ, საკუთარი მამა მოკლა? ასე მოვიქცეთ?

– კარგი, არ არის საჭირო, – თქვა შერიფმა, – გნებავთ, რომ ბანკში გამოგყვეთ?

– არა, – მიუგო სტივენსმა, – ჯერჯერობით, საჭირო არ არის.

– ვფიქრობ, საფრთხობელას იქ ხედავთ, სადაც ის არ არის, – უთხრა შერიფმა, – და თუ დაბრუნდება კიდეც, უფრო იქ, ფრენჩმენსბენდში.

მაშასადამე, როგორც კი აქ თვალს მოვკრავთ, დავაკავებთ, გულახდილად ვისაუბრებთ და მორჩა.

– აბა, კი, თვალს მოჰკრავთ, დალახვროს ეშმაკმა! – თქვა სტივენსმა, – სულ იმას ჩაგჩიჩინებთ, მისი შემჩნევა შეუძლებელია-მეთქი. სწორედ ეს შეეშალა ზაკ ჰიუსტონს ოცდათვრამეტი წლის წინათ: ის მას ვერ ამჩნევდა და ვერ ამჩნევდა, სანამ ერთ მშვენიერ დილას ის კაცი თოფით ხელში ბუჩქებიდან არ გამოვიდა. თუმცა ეჭვი მეპარება, გასროლამდე ბუჩქებიდან გამოსულიყო.

მან სწრაფად გადაჭრა მოედანი, თან ფიქრობდა: „დიახ, ბოლოს და ბოლოს, ლაჩარი ვარ", მაგრამ მისი არსების იმ ნაწილმა, იმ ერთადერთმა, ვისთან ლაპარაკსაც, უფრო სწორად, ვის მოსმენასაც დასჩვეოდა, – შესაძლოა, ეს მისი ჩონჩხი იყო, რომელიც მის დანარჩენ ნაწილზე რამდენიმე წლით ან თვით მეტს იცოცხლებდა, და ცხადია, მთელი ამ ხნის განმავლობაში მორალს წაუკითხავდა, რაც უმწეოდ პირდაღებულს უნდა მოესმინა, – მაშინვე უპასუხა: „მერედა, ვინ ამბობს, რომ ლაჩარი ხარ?" რაზეც მან უპასუხა: „სულაც არა ვარ ლაჩარი. ჰუმანისტი ვარ", ის კი, შინაგანი ხმა: „ორიგინალურიც კი არა ხარ. ამ სიტყვას, ჩვეულებრივ, მის ევფემიზმად (ევფემიზმი – საუბოდ, საჩოთიროდ და სახიფათოდ მიჩნეულ სიტყვა-თქმათა ნაცვლად ხმარებული უფრო ნატიფად, ზრდილობიანად და უვნებლად მიჩნეული სიტყვა-თქმები) იყენებენ.

ბანკი, ალბათ, უკვე დაიკეტა. მაგრამ როდესაც მოედნის გავლით შერიფის ოფისისკენ მიემართებოდა, ბანკის წინ არც მანქანა იდგა და არც მის საჭესთან მჯდომი ლინდა – მაშასადამე, ეს ვისკის ერთკვირიანი მარაგის განახლების დღე არ იყო. დარაბები ჩამოეშვათ, მაგრამ გვერდითი კარი შეაჯანჯღარა და რომელიღაც თანამშრომლის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც გამოიხედა, იცნო და შეუშვა. არითმომეტრები დღიურ ბალანსს აჯამებდნენ და ისე გულგრილად ტკაცუნობდნენ, თითქოს არაფრად მიაჩნდათ ის ასტრონომიული რიცხვები, რომლებსაც ისინი სტაკატოებად ანაწევრებდნენ. მან იმ კარზე დააკაკუნა, სადაც ორმოცი წლის წინათ პოლკოვნიკმა სარტორისმა ხელით სიტყვა „კაბინეტის" დაწერა ბრძანა, და შიგნით შევიდა.

სნოუპსი საწერ მაგიდასთან კი არა, მისკენ ზურგით იჯდა, ცარიელ, ჩამქრალ ბუხართან, ფეხები აეწია და ქუსლები იმ ნიშნებზე მიედო, რომლებიც ოდესღაც პოლკოვნიკ სარტორისის ქუსლებს ამოეკაწრა. იგი არ კითხულობდა, არაფერს აკეთებდა, მხოლოდ იჯდა, პლანტატორის შავი შლაპა ჩამოეფხატა და შეუმჩნევლად, თანაბრად ამოძრავებდა ქვედა ყბას, თითქოს რაღაცას ღეჭავდა, რაც, როგორც ყველამ იცოდა, პირში არ ედო. მას ფეხებიც კი არ ჩამოუღია, როდესაც სტივენსი მაგიდას მიუახლოვდა (დიდს, გლუვზედაპირიანს, რომელზეც აკურატულად, მეთოდურადაც კი ეწყო ქაღალდები) და მაშინვე, ერთი ამოსუნთქვით განაცხადა:

– პარჩმენიდან დღეს დილის რვა საათზე წავიდა. არ ვიცი, შეიტყვეთ თუ არა, რომ ჩვენ... მე ფული გავამზადე, რომელიც მან გასასვლელში უნდა მიიღოს, იმ პირობით, რომ თუ თანხას აიღებს, ეს იმის ფიცი იქნება, რომ მისისიპის შტატიდან გაემგზავრება და ჯეფერსონში აღარასოდეს დაბრუნდება, შტატის საზღვარს არც კი გადმოკვეთს. მან ფული არ აიღო. არ ვიცი, ეს

როგორ მოხდა – ამის გარეშე ის არ უნდა გაეშვათ. იგი შემთხვევით ჩამოვლილ სატვირთო მანქანას გაჰყვა და გაუჩინარდა. მანქანა ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა.

– რამდენი იყო? – იკითხა სნოუპსმა.

– რა? – კითხვა შეუბრუნა სტივენსმა.

– ფული, – დააზუსტა სნოუპსმა.

– ორას ორმოცდაათი დოლარი, – მიუგო სტივენსმა.

– უღრმესი მადლობა, – ჩაილაპარაკა სნოუპსმა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა, – მე გეუბნებით, რომ პარჩმენიდან დღეს კაცი გამოვიდა და თქვენს მოსაკლავად გამოემართა, თქვენ კი მხოლოდ ის მოახერხეთ, რომ „უღრმესი მადლობა" გეთქვათ.

სნოუპსი გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ ყბებს ამოძრავებდა ნელა. სტივენსმა ბოღმა გულში ჩაიკლა და გაიფიქრა: „ზოგჯერ გადმოაფურთხოს მაინც".

– მაშასადამე, მას მხოლოდ ის ათი დოლარი აქვს, რომელსაც გათავისუფლებისას იძლევიან, – თქვა სნოუპსმა.

– დიახ, – უთხრა სტივენსმა, – ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენ... როგორც მე ვიცი. თითქოს ასეა, – „ან ისეთი სახე მიიღოს, თითქოს აფურთხებს", – გაიფიქრა მან.

– და თუ ვინმეს თქვენი ჯავრი სჭირდა, – ჩაილაპარაკა სნოუპსმა, – და ახლა სამოცდასამი წელი შეუსრულდა, მათგან ოცდათვრამეტი კი ციხეში გაატარა, და მანამდეც სუსტი და სიმაღლით თორმეტი წლის ბიჭისოდენა იყო...

„და უკვე მაშინ ისროდა ბუჩქებიდან, – გაიფიქრა სტივენსმა, – დიახ, მშვენივრად ვხვდები, რასაც ფიქრობ: რომ ის მაშინაც ძალზე სუსტი და უღონო იყო და დანით ან კეტით ჩხუბს ციხეში ოცდათვრამეტი წლით ჩაჯდომამდეც ვერ გაბედავდა. ის ფრენჩმენსბენდში ვერ წავა (ეს ერთადერთი ადგილია დედამიწის ზურგზე, სადაც იგი, შესაძლოა, ვინმეს ისე ახსოვდეს, რომ პისტოლეტი ათხოვოს), ვინაიდან ფრენჩმენსბენდში მას პისტოლეტის ლულას არავინ მოაცილებდა და არც პისტოლეტს მისცემდა თუნდაც შენს მოსაკლავად. მაშასადამე, პისტოლეტი ან ათ დოლარად უნდა იყიდოს, ან მოიპაროს. ასე რომ, სანერვიულო არაფერია: ათდოლარიანი პისტოლეტი არ გავარდება, მოპარვას კი რომელიმე პოლიციელი არ დაანებებს. იგი სწრაფად აზროვნებდა: გასაგებია. ჩრდილოეთისკენ. მემფისში გაემგზავრა. სხვაგან ვერსად წავიდოდა. სხვაგან ათ დოლარად პისტოლეტს ვერსად იყიდის".

მაშასადამე, მინკს მხოლოდ ათი დოლარი ჰქონდა და შემთხვევით ჩავლილ მანქანებს უნდა გაჰყოლოდა ჯერ მემფისამდე, იმ პირობით, რომ იქ ლომბარდების დაკეტვამდე ჩავიდოდა, იქიდან კი უკან, ჯეფერსონამდე. ეს კი ხვალ დილამდე ადრე ვერ მოესწრებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში,

განგება და ბედი დაუჯერებელი თანხვედრისა და იღბლის იმხელა ზემძლავრ გროვას დაახვავებდა, რომ მათ რეტლიფიც კი არ დაიჯერებდა, თავისი ოპტიმიზმის მიუხედავად.

– დიახ, – თქვა მან ხმამაღლა, – მეც ასე ვფიქრობ. ხვალ საღამომდე დრო კიდევ გაქვთ. – იგი სწრაფად აზროვნებდა: „როგორ დავარწმუნო, რომ ქალიშვილს არაფერი უთხრას და ვერც იმას მიხვდეს, რომ მპირდება, სიტყვას მაძლევს, და რომ ეს მე ვუკარნახე". უეცრად ხმამაღლა თქვა: – ლინდას თქვენ მოუყვებით?

– რატომ? – ჰკითხა სნოუპსმა.

– დიახ, რა თქმა უნდა, – თქვა სტივენსმა და მოულოდნელად საკუთარი ხმა მოესმა: – უღრმესი მადლობა, – შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად: – ამაზე მე ვაგებ პასუხს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ხელს ვერაფრით შეგიშლიდით. ახლახან ეფ ბიშოპს ველაპარაკე. კიდევ რისი გაკეთება შემიძლია თქვენთვის? – „გადააფურთხოს მაინც" – კვლავ გაიფიქრა მან.

– არაფრის, – მიუგო სნოუპსმა.

– როგორ? – გაიკვირვა სტივენსმა.

– ასე, – თქვა სნოუპსმა, – უღრმესი მადლობა.

მაგრამ ახლა მან იცოდა, რით დაეწყო. ოღონდ არ იცოდა, როგორ. დავუშვათ, მემფისის პოლიციაში დაერეკა. რას ეტყოდა, რისი თქმა შეეძლო? ისინი აქედან ასი მილით იყვნენ დაშორებულნი, მათ არასოდეს სმენოდათ არც მინკისა და არც ფლემ სნოუპსის შესახებ, ზაკ ჰიუსტონს კი ორმოცი წლის წინათ მიებარებინა სული უფლისთვის. მან, სტივენსმა, აქაური შერიფის გამოფხიზლებაც კი გაჭირვებით მოახერხა, არადა, მას ყურმოკვრით უნდა სცოდნოდა ეს ამბავი მოხუცებისგან. როგორ აეხსნა მემფისის პოლიციისთვის, რატომ იყო მინკი მათ ქალაქში, თუმცა თვითონ კარგად იცოდა, რატომაც, როგორ დაერწმუნებინა ისინი, რომ მინკი მემფისში იყო ან იქნებოდა? ეს რომც მოეხერხებინა, როგორ აღეწერა ის, ვინც უნდა დაეკავებინათ: ორმოცი წლის წინათ ჰიუსტონი სწორედ იმიტომ ემსხვერპლა ამ ადამიანს, რომ მკვლელი იმდენად შეუმჩნეველი არსება იყო, რომ მას დროულად ყურადღება არავინ მიაქცია, ვერავინ მოისაზრა, ვინ იყო იგი და რისი გაკეთება შეეძლო.

რეტლიფის გარდა. იოკნაპატოფის ოლქში მხოლოდ რეტლიფი იცნობდა მინკს ერთი შეხედვით. გაუნათლებელი, არცთუ ნაკითხი და იმ ადამიანის კვალობაზე, რომელიც თითქმის არ მოგზაურობდა, რეტლიფი, ფაქტების დამახსოვრების, მონაცემთა შეგროვებისა და ისეთი ნაცნობობის გაბმის საოცარი უნარით გამოირჩეოდა, ქალაქს კრიტიკულ წუთებში ყოველთვის რომ ეხმარებოდა. სტივენსი საკუთარ თავს გამოუტყდა, რატომ იცდიდა, რატომ წელავდა დროს და არაფერს აკეთებდა: ელოდებოდა, როდის ჩამოვიდოდა რეტლიფი თავისი „პიკაპით" პარჩმენიდან, რათა მაშინვე, გაუჩერებლად, ძრავის გამოურთველად გამგზავრებულიყო მემფისში, იქაურ პოლიციას მინკის ამოცნობაში დახმარებოდა და ამით ფლემი – მისი ბიძაშვილი, ნათესავი თუ ვინც იყო მისთვის – დამსახურებული სასჯელისგან გადაერჩინა. მაგრამ

გულის სიღრმეში სტივენსმა იცოდა, რომ ჯერრეტლიფისგან იმის გაგება სურდა, თუ როგორ მოახერხა მინკმა პარჩმენიდან გამოსვლა აუცილებელი პირობის შეუსრულებლად – ფულის აუღებლად, თანაც ეს ისე მარჯვედ გააკეთა, რომ ამას ვერც ვერავინ შეიტყობდა, რომ არა რეტლიფის სრულიად შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი ყოფნა ისეთ დროს და ისეთ ადგილას, სადაც, წესით, არ უნდა ყოფილიყო.

რეტლიფმა სამი საათისთვის დარეკა. მაშასადამე, ცხრაზე ადრე ჯეფერსონში ვერ ჩამოვიდოდა. არა იმიტომ, რომ მისი „პიკაპი" ამ მანძილს უფრო სწრაფად ვერ დაფარავდა: უბრალოდ, რეტლიფის კუთვნილი არც ერთი მანქანა (თუკი შიგნით იჯდა, საღ გონებაზე იყო და თვითონ მართავდა) ასე სწრაფად არასდროს ივლიდა. გარდა ამისა, განსაზღვრულ დროს, ექვსის შემდეგ, ის აუცილებლად გაჩერდებოდა სავახშმოდ ან უახლოეს, სხვების მსგავს, მოსაწყენ, მებამბეთა დასახლებაში, ან (ჩვენს დროში) გზისპირა რესტორანში, აკურატულად დაამუხრუჭებდა და აკურატულად, აუჩქარებლად შეჭამდა ხორცს, – ძარღვიანს, ძნელად დასაღეჭს, გადახარშულსა და გემოდაკარგულს, – აუცილებელ შემწვარ კარტოფილს, ასევე ხელსახოცივით ძნელად დასაღეჭ პურს, მანქანით დაჭრილ ახალგაყინულ სალათასა და პომიდორს, – პალეონტოლოგების მიერ ტუნდრაში აღმოჩენილ ნამარხს რომ მიამსგავსებდა კაცი, რომ არა მათი გულის გამაწვრილებლად მტკიცე ფერი, – ნახევრად ფაბრიკატულ ნამცხვარსა და იმას, რასაც ყავას უწოდებდნენ, – ერთი სიტყვით, აბსოლუტურად სუფთა და სრულიად უგემურ საჭმელს, თუკი მას ბლომად კონსერვირებულ ტომატის სოუსს არ მოასხამდით.

მას, სტივენსს, შეეძლო, – და ასეც უნდა მოქცეულიყო, რადგან დრო ჰქონდა, – შინ შეევლო, როუზ-ჰილში და კარგად და გემრიელად ევახშმა, მაგრამ, ამის ნაცვლად, ცოლს დაურეკა.

– თუ ასეა, ქალაქში ჩამოვალ და „ჰოლსტონ-ჰაუსში" ვივახშმოთ ერთად, – უთხრა მეუღლემ.

– არა, ძვირფასო. რეტლიფი უნდა ვნახო, როგორც კი პარჩმენიდან დაბრუნდება.

– კარგი, მაშინ მოვალ და მეგისთან ერთად ვივახშმებ, – მეგი სტივენსის და იყო, – ან შესაძლოა, კინოში წავიდეთ, ჩვენ კი ერთმანეთს ხვალ ვნახავთ. შეიძლება, ქალაქში ჩამოვიდე, თუ სიტყვას მოგცემ, რომ ქუჩაში არ შეგეჩეხები?

– შენ არ გინდა, რომ დამეხმარო. როგორ შევიკავო თავი და არ შეგხვდე, თუკი ასე ადვილად ნებდები?

– მაშასადამე, ხვალ შევხვდებით, – თქვა ქალმა, – ნახვამდის.

ასე რომ, მათ „ჰოლსტონ-ჰაუსში" ივახშმეს – მას რატომღაც არცთუ ძალიან უნდოდა იმ საღამოს დის, სიძისა და დისშვილის, ჩარლზის დანახვა. „ჰოლსტონ-ჰაუსი" ჯერაც ძველ ტრადიციებს მისდევდა; ამას სასოწარკვეთილებით ან გალანტურად კი არ აკეთებდა, არამედ ჯიუტად და უდრეკი დაჟინებით, რომელსაც სასტუმროს მეპატრონეები იჩენდნენ – ორი და (ამასთან ერთი მათგანი, უმცროსი, ოდესღაც გათხოვილი იყო, ოღონდ

იმდენი ხნის წინათ და ისე მცირე დროის განმავლობაში, რომ ეს სათვალავში არ მიიღებოდა), იოკნაპატოფის სამ პირველ მოსახლეთაგან ერთ-ერთის, ალექსანდერ ჰოლსტონის უკანასკნელი შთამომავლები. სწორედ ალექსანდერმა ააგო პირველი ძელური სახლი, რომელიც შემდგომმა მიშენება-გადაკეთებამ შთანთქა, თუმცა ასზე მეტი წლის წინათ მან თავისი როლი ითამაშა - პირველმა გააჩინა აზრი, რომ ქალაქისთვის ჯეფერსონი ეწოდებინათ. დღემდე ამ სასტუმროსთან არსებულ რესტორანს სასადილოს ეძახდნენ და მას ჯერაც (არავინ იცოდა, როგორ) მამაკაცები, ზანგები ემსახურებოდნენ, ზოგიერთი თანამდებობა კი მამიდან შვილს გადაეცემოდა. ახლაც კი კლიენტები ორ გრძელ საერთო მაგიდასთან სადილობდნენ და ყოველი მათგანის თავში ერთ-ერთი და იჯდა, ვერც ერთი მამაკაცი ვერ გაბედავდა იქ უპიჯაკოდ და უჰალსტუხოდ შესვლას, ქალი კი - შლაპით (მის მოსახდელად ქალთა ოთახი და მოახლე არსებობდა), თუნდაც ხელში მატარებლის ბილეთი სჭეროდა.

სტივენსის დამ დროულად შეუარა მის ცოლს, რათა ერთად წასულიყვნენ კინოში, თვითონ სტივენსი კი თავის სამსახურებრივ კაბინეტში დაბრუნდა, დაახლოებით ცხრის ნახევარზე კი, როდესაც კიბეზე რეტლიფის ნაბიჯების ხმა მოესმა, მან იკითხა:

- აბა, რა მოხდა იქ? - და მაშინვე გააწყვეტინა საკუთარ თავსლ - არა, მოიცადეთ. პარჩმენში რას აკეთებდით?

- უნდა გითხრათ, რომ მე... როგორ უწოდებთ? ოპტიმისტი გახლავართ, - მიუგო რეტლიფმა, - და როგორც ყველა ნამდვილი ოპტიმისტი, არ ველოდები, რომ ყველაზე ცუდი მოხდება. მაგრამ საკუთარი თავის პატივისმცემელი ყოველი ოპტიმისტის მსგავსად, ამის შემოწმება მიყვარს - იქნებ ეს მოხდა? განსაკუთრებით მაშინ, თუ, მიუხედავად იმისა, კარგია ეს თუ ცუდი, ჩვენზე, ჯეფერსონელებზე აისახება. მაგრამ ცოტა კი გავწვალდი. დილის ათი საათი იყო, ის კი ორი საათის წინათ გაეშვათ და ბუზღუნითაც კი შემხვდნენ. გაითვალისწინეთ, რომ მათ თავიანთი საქმე გააკეთეს - ოცდათვრამეტი წელი ჰყავდათ გამომწყვდეული, კანონის მიხედვით, მოუტყუებლად, როგორც უბრძანეს, და ახლა მისი თავიდან მოშორების უფლებაც ჰქონდათ: ახალი, ცინცხალი ამნისტია, ახალი, ცინცხალი ორას ორმოცდაათი დოლარი, აკურატულად ჩამალული ახალ, ცინცხალ ტანსაცმელში, კომბინეზონსა და ჯემპრში, მის უკან ალაყაფის კარები დაიკეტა, როგორც უკვე მოგახსენეს, საქაღალდიდან ოფიციალურად ამოიღეს სნოუპსის საქმე, ოფიციალურად დააწერეს „სრულიანგარიშსწორება" და არქივში ჩააბარეს - ორი საათის წინათ, ახლა კი, უეცრად, საიდანღაც, შორიდან, მათთან ვიღაც დაუპატიჟებელი სტუმარი მოდის და ეუბნება: „დიახ, დიახ, ყველაფერი სწორია, მაგრამ მოდი, დავრწმუნდეთ, აიღო თუ არა მან ეს ფული წასვლის წინ".

- ფული ციხის უფროსს ჰქონდა. მინკი მის წინ იდგა, მაგიდაზე ამნისტიის ბრძანება იდო, მის გვერდით - ის ორას ორმოცდაათი დოლარი. მინკს ამდენი ფული, ალბათ, ცხოვრებაში არასდროს ენახა. ციხის უფროსმა აუხსნა, რომ მას არჩევანი არ ჰქონდა: თუ გათავისუფლება უნდოდა, ფული უნდა აეღო, და თუ ფულს აიღებდა, მაშასადამე, სიტყვას იძლეოდა, პირობას დებდა, ბიბლიაზე იფიცებდა, რომ დაუყოვნებლივ წავიდოდა მისისიპიდან და ამ შტატში აღარასდროს დაბრუნდებოდა. „მაშასადამე, თუ

აქედან გასვლა მინდა, – ამბობს მინკი, – ფული უნდა ავიღო?" „დიახ", – ეუბნება ციხის უფროსი. მინკმა ხელი გაიწვდინა და ფული აიღო, ციხის უფროსი დაეხმარა, რომ ამნისტიის ფურცელი და თანხა შიგნითა ჯიბეში ჩაედო, ღილები კარგად შეეკრა, დაემშვიდობა, ხელი ჩამოართვა, და ამ დროს ციხის მამასახლისი შემოვიდა, რათა იქ წაეყვანა, სადაც მეკარე ელოდებოდა გასაღებით ხელში, ჭიშკარი გაუღო და აჰა, ესეც თავისუფლება...

– მოიცადეთ, – თქვა სტივენსმა. – ციხის მამასახლისი?

– მიხვდით, არა? – უთხრა რეტლიფმა მოწონებით, ძალიან კმაყოფილმა, თითქმის ამაყად, – ეს ხომ მარტივია. ამიტომაც არ მოუვიდა თავში არავის, რომ პარჩმენშიც კი, თუნდაც იქ ყველაზე სანიმუშო ციხე იყოს, მოიძებნებოდა ვინმე უცნაური და ანტისაზოგადოებრივი ტიპი, რომელსაც თავში მოუვიდოდა, რომ ეფიქრა და არჩევანი გაეკეთებინა, როდესაც, არაფრის გულისთვის, ორას ორმოცდაათ დოლარს ძალისძალად ჩრიდნენ – მადლობასაც კი ვერავის ეტყოდა, მე მათ ასეც ვუთხარი: „ეს მამასახლისია. ჭიშკრამდე მინკს ფული ჯიბეში ედო. შევამოწმოთ, ჰქონდა თუ არა მას ის კარებში გასვლის შემდეგ. სწორედ ასე ვუთხარი – „მამასახლისი ვინ არის–მეთქი".

„ისიც კატორღელია, სამუდამოპატიმრობამისჯილი, – მეუბნება ციხის უფროსი, – ცოლი ქანჩის გასაღებით მოკლა, შემდეგ მოინანია, ციხეში, ჯერ კიდევ სასამართლომდე, ასე ვთქვათ, მადლი მოეცხო, საუკეთესოდ იქცევა, მქადაგებლადაც კი გადაიქცა".

– დიახ, მინკს რომ თქვენი დაწესებულების მდგმურების სიიდან არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ჰქონოდა, თავისი მიზნისთვის უკეთესს ვერავის მიაგნებდა, – ვეუბნები, – ასე რომ, თითქოს მეცოდება კიდეც მისი რჩეული, თუმცა მას მოთმინება არ ეყო, რომ ქორწინების საიდუმლო სხვაგვარად, ქანჩის გასაღების გარეშე გაერკვია. იმის თქმა მსურს, რომ თქვენ, ალბათ, სპეციალური მეთოდებიც გაქვთ სიტყვაძუნწების ასალაპარაკებლად, ასეა? მოკლედ, ამიტომაც დამაგვიანდა თქვენთან დარეკვა: უნდა დავლოდებოდი, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ არ გატყდა. მეცინება, როდესაც ამ ადამიანებს ვუყურებ. თუმცა არა, არ მეცინება. ამას სევდას უფრო ვუწოდებდი, თუნდაც ამ კაცის მაგალითი ავიღოთ: სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი და შეცდომა რომც გაპარულიყო, შემთხვევით კარების დაკეტვა რომ დავიწყებოდათ, იგი გარეთ გასვლას ვერ გაბედავდა, რადგან სიმამრმა დაიფიცა, რომ როგორც კი პარჩმენის ზღურბლს გადმოაბიჯებდა, მაშინვე სიცოცხლეს გამოასალმებდა. რა უნდა ექნა იმ ფულით, თუნდაც წარმოედგინა, რომ მისი დაუსჯელად მითვისება შეეძლო?

– მაგრამ როგორ, დალახვროს ეშმაკმა? – თქვა სტივენსმა, – ეს როგორ მოხდა?

– მინკს მხოლოდ ასე შეეძლო ამ ფულის მიცემა, ამიტომაც ვერავინ მოისაზრა ეს. როდესაც ციხის უფროსის კაბინეტიდან ჭიშკრისკენ მიდიოდა, მამასახლისს უთხრა, რომ ტუალეტში უნდოდა, იქ კი მას ორას ორმოცდაათი დოლარი მისცა და სთხოვა, რომ ციხის უფროსისთვის დაებრუნებინა,

როგორც კი შესაფერისი შესაძლებლობა მიეცემოდა, ოღონდ ჯობდა მოეცადა, სანამ მინკი ჭიშკრიდან საკმაოდ შორს აღმოჩნდებოდა, და შემდეგ მოეხსენებინა უფროსისთვის, რომ ის, მინკი, დიდ მადლობას უთვლის, მაგრამ გადაიფიქრა და ფული არ სჭირდება. მამასახლისს მხოლოდ ერთი გზა დარჩენოდა: ორი-სამი საათის შემდეგ მინკი შორს იქნებოდა, ალბათ, სამუდამოდ გაქრებოდა და არავინ ჰკითხავდა, სად წავიდა. თუმცა ისედაც არა აქვს მნიშვნელობა, სად იქნება: იმ წუთიდან, როდესაც კაცმა გადაწყვიტა, რომ ორას ორმოცდაათი დოლარი არ სჭირდებოდა, იგი თითქოს მოკვდა და თვითონაც ახლახან შეიტყო თავისი სიკვდილის შესახებ. სულ ესაა. არ ვიცი...

- სამაგიეროდ, მე ვიცი, - თქვა სტივენსმა, - ფლემმა მიკარნახა. ის მემფისშია. ძალზე მოხუცებული, სუსტი და უღონოა, რათა დანით ან კეტით იმოქმედოს, მაშასადამე, ახლომახლო ისეთი ადგილის პოვნა მოუწევს, სადაც ათ დოლარად პისტოლეტის შოვნის იმედი ექნება.

- მაშასადამე, ფლემს ყველაფერი უამბეთ. მან რა გითხრათ?

- მითხრა, „უღრმესი მადლობაო", - მიუგო სტივენსმა და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა: - ხომ გესმით? როდესაც ფლემს ვუთხარი, პარჩმენიდან დღეს, დილის რვა საათზე გამოვიდა და თქვენს მოსაკლავად მოემართება- მეთქი, მიპასუხა „უღრმესი მადლობაო".

- გავიგონე, - თქვა რეტლიფმა, - თქვენ რას იტყოდით? ალბათ, თქვენც თავაზიანად უპასუხებდით, ფლემზე არანაკლებ თავაზიანად, არა? ალბათ, ასეცაა საჭირო. ვიმედოვნებ, მემფისს უკვე დაელაპარაკეთ.

- რა უნდა მეთქვა? - იკითხა სტივენსმა, - როგორ ამეწერა მემფისელი პოლიციელებისთვის ადამიანი, რომელსაც თვითონაც ვერ ვიცნობდი, მით უმეტეს, დამერწმუნებინა, რომ ეს ადამიანი მართლა მემფისშია და, ჩემივარაუდით, ამას და ამას აკეთებს-მეთქი, რადგან თვითონაც არ ვიცი, რა მოხდება შემდეგ?

- ამ მემფისს რაღა დაემართა? - იკითხა რეტლიფმა.

- გნებდებით! - თქვა სტივენსმა, - თვითონ აუხსენით.

- მე კი მეგონა, რომ მხოლოდ ყველაზე მივარდნილ ქალაქებში არ გყავდათ ჰარვარდელი მეგობრები, მემფისში ამას არ ველოდი.

- ჯანდაბა! - თქვა სტივენსმა, მაშინვე დარეკა და ერთი წუთის შემდეგ თავის უნივერსიტეტელ მეგობარს ელაპარაკებოდა, მოყვარულ ცინცინატს ჯექსონის სიახლოვეს მდებარე პლანტაციიდან - ის უკვე დაეხმარა სტივენსს მინკისთვის ამნისტიის მოპოვებაში, ასე რომ, მხოლოდ ის უნდა აეხსნა, რაც მოხდა, დაწვრილმანების გარეშე.

- მაგრამ შენ, ცხადია, არ იცი, ჩავიდა მემფისში თუ არა, - უთხრა მეგობარმა.

– ცხადია, არ ვიცი, – მიუგო სტივენსმა, – მაგრამ, ვინაიდან, შეძლებისდაგვარად, სწრაფად უნდა მივაგნოთ, სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ამ ვარაუდის მიხედვით მოქმედება.

– შესანიშნავია, – თქვა მისმა მეგობარმა, – ქალაქის მერსაც ვიცნობ და პოლიციის კომისარსაც. შენ ხომ, პირველ ყოვლისა, ის გინდა, – და ეს ერთადერთია, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, – რომ ის ადგილები გაჩხრიკონ, სადაც დღეს, საღამოსპირს, ვიღაც ათ დოლარად პისტოლეტის ყიდვას ცდილობდა. სწორია?

– სწორია, – მიუგო სტივენსმა, – და, თუ შეიძლება, სთხოვე, რომ ჩემი ხარჯით დარეკონ, როდესაც... როდესაც რამეს მიაგნებენ.

– მე თვითონ დაგირეკავ, – უთხრა მეგობარმა, – შეგიძლია ჩათვალო, რომ მეც ვმონაწილეობ შენი მეგობრის ბედის გადაწყვეტაში.

– როდესაც ფლემ სნოუპსს ეტყვი, რომ მისი მეგობარი ვარ, გაიღიმე, – თქვა სტივენსმა.

ეს ხუთშაბათს ხდებოდა. პარასკევს სატელეფონო სადგური მას ნებისმიერ დაწესებულებაში მიაგნებდა. მაგრამ ბევრი საქმე დაუგროვდა და თავის კაბინეტში ჯდომა გადაწყვიტა. ის იყო, მუშაობაში გაერთო, რომ რეტლიფი შემოვიდა აკურატულად გაფორმებული ქაღალდის პაკეტით და „დილა მშვიდობისა" თქვა, მაგრამ სტივენსს თავიც კი არ აუწევია და საქმიანად და სწრაფად განაგრძობდა წერას მოყვითალო ბლოკნოტში: იმანაც კი არ შეუშალა ხელი, რომ რეტლიფი თავზე ადგა და კინკრიხოზე დაჰყურებდა. შემდეგ რეტლიფი განზე გადგა, მაგიდასთან მდგარ ერთ-ერთ სკამზე დაჯდა, კედელთან უფრო ახლოს მდგარზე, მალევე წამოდგა, თავისი პაკეტი კარტოთეკაზე ფრთხილად შემოდო და კვლავ დაჯდა, სტივენსი კი კვლავ თავაუღებლივ წერდა, მხოლოდ ზოგჯერ ჩერდებოდა და ხელმარცხნივ მდებარე წიგნში იყურებოდა. ბოლოს რეტლიფმა ხელი მემფისის დილის გაზეთისკენ გაიწვდინა, მაგიდიდან აიღო, ფურცლები ფრთხილად ააშრიალა და გაშალა, ცოტა ხნის შემდეგ კი კვლავ ხმადაბლა ააშრიალა და ფურცვლას შეუდგა, სანამ სტივენსმა არ უთხრა:

– დალახვროს ეშმაკმა! ან გადით აქედან, ან სხვა რამით დაკავდით. ნერვები მეშლება.

– ამ დილას სხვა საქმე არაფერი მაქვს, – მიუგო რეტლიფმა, – თუ გასასვლელი ხართ, შემიძლია, ტელეფონს თქვენ მაგივრად ვუპასუხო.

– მუშაობას აქაც მოვახერხებ, ოღონდ ასე ნუ აშრიალებთ... – მოულოდნელად მან ფანქარი დააგდო თუ მოისროლა, – როგორც ჩანს, მას მემფისამდე ჯერ არ ჩაუღწევია ან, ყოველ შემთხვევაში, პისტოლეტის ყიდვა არ უცდია, თორემ შეგვატყობინებდნენ. მხოლოდ ერთი რამ გვჭირდება: წინასწარ შევატყობინოთ მთელ მემფისს. ხომ არ გგონიათ, რომ რომელიმე ლომბარდში ან მონადირის მაღაზიაში ლიცენზიის დაკარგვის არ შეეშინდებათ და პისტოლეტს მიჰყიდიან მას შემდეგ, რაც პოლიცია მათ...

– მე რომ სნოუპსი მერქვას, მივაგნებდი ასეთ ადგილს, სადაც შაშხანის ან პისტოლეტის გაყიდვის გამო ლიცენზიის დაკარგვის არ შეეშინდებოდათ.

– მაგალითად? – ჰკითხა სტივენსმა.

– ფრენჩმენსბენდში ყოველთვის ამბობდნენ, რომ ახალგაზრდობაში შმაგი კაცი იყო, ცხადია, როცა შესაძლებლობა ჰქონდა, ფული კი არ ჰყოფნიდა. მაგრამ სხვა სოფლელი ბიჭების მსგავსად, წელიწადში ორ-სამჯერ მიემგზავრებოდა მემფისში თავის თანატოლებთან, მაშინდელ თავზე ხელაღებულებთან – ქვიქებთან, ტულებთან, ტერპინებთან და სხვებთან ერთად. მაშასადამე, იმის გაგებაც შეეძლო, სად ვაჭრობდნენ ულიცენზიოდ, ისე, რომ პოლიციას არ გაეწეწა ყოველ ჯერზე, როდესაც შაშხანას ან პისტოლეტს უადგილო ადგილას მიაგნებდა ან, პირიქით, საჭირო ადგილას ვერ აღმოაჩენდა.

– ნუთუ ფიქრობთ, რომ მემფისის პოლიციამ საკუთარი ქალაქის შესახებ ნაკლები იცის, ვიდრე ვიღაც შეშლილმა ნაძირალამ, მკვლელმა, რომელმაც საკატორღო ციხეში თითქმის ორმოცი წელი გაატარა? მემფისის პოლიცია საუკეთესოა ათ კი არა, ას ქალაქს შორისაც კი, შემიძლია, ჩამოგითვალოთ კიდეც.

– კარგი, კარგი, – ჩაილაპარაკა რეტლიფმა.

– ღმერთმანი, თვითონ უფალიც არ არის ისე დაკავებული, რომ ნება დართოს მკვლელს, რომელსაც ჯიბეში ათი დოლარი უდევს, ავტოსტოპით ასი მილი გაიაროს, ამ ათი დოლარით პისტოლეტი იყიდოს, აქეთობას კვლავ ასი მილი კვლავაც ავტოსტოპით იაროს და ადამიანს შუბლში ტყვია დაახალოს!@

– იქნებ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, უნდა თუ არა ღმერთს, რომვინმე მოკვდეს, – თქვა რეტლიფმა, – შერიფთან ხომ არ შეგივლიათ დღეს დილას?

– არა, – მიუგო სტივენსმა.

– მე კი შევუარე. ფლემს მისთვის ჯერ არ მიუმართავს. არც ქალაქი დაუტოვებია. ესეც შევამოწმე. ასე რომ, ეს შესაძლოა, საუკეთესო მინიშნება იყოს: ფლემი არ ნერვიულობს. თქვენი აზრით, უთხრა მან ლინდას თუ არა?

– არა, – განაცხადა სტივენსმა.

– რა იცით?

– თვითონ მითხრა.

– ფლემმა გითხრათ? პირდაპირ მოგახალათ თუ თქვენ ჰკითხეთ?

– ვკითხე, – თქვა სტივენსმა, – შევეკითხე, ლინდას მოუყვებით-მეთქი?

– მერედა, რა გიპასუხათ?

– „რატომო?" – კითხვა შემომიბრუნა.

– გასაგებია, – თქვა რეტლიფმა.

თორმეტმა ჩამოჰკრა. რეტლიფის აკურატულ პაკეტში ასეთივე აკურატული სენდვიჩი აღმოჩნდა.

– სახლში წადით და ისადილეთ, – თქვა მან, – მე კი აქ ვიჯდები და ტელეფონს ვუპასუხებ.

– განა ახლახან არ თქვით, რახან ფლემი არ წუხს, ჩვენ რატომღა უნდა ვინერვიულოთო?

– მე არც ვინერვიულებ, – თქვა რეტლიფმა, – უბრალოდ, ვიჯდები და მოვუსმენ.

მაგრამ სტივენსი უკვე თავის კაბინეტში იყო დაბრუნებული, როდესაც დღის ბოლოს ტელეფონმა დარეკა.

– ჯერჯერობით არაფერია, – გაისმა მისი უნივერსიტეტელი ამხანაგის ხმა, არც ერთ ლომბარდში არ ყოფილა, სადაც პისტოლეტის ყიდვა შეიძლება, განსაკუთრებით ათ დოლარად. შესაძლოა, ჯერ მემფისში არ ჩაუღწევია, თუმცა უკვე ოცდაოთხ საათზე მეტი გავიდა.

– შესაძლებელია, – ჩაილაპარაკა სტივენსმა.

– იქნებ არც აპირებდა მემფისში გამგზავრებას.

– თუ ასეა, რა გაეწყობა, – თქვა სტივენსმა, – პოლიციის კომისარს მადლობის წერილს მივწერთ ან...

– აუცილებლად. ოღონდ ჯერ იმუშაოს. ის დამეთანხმა, რომ სულაც არ არის ძნელი და სასარგებლოც კია, უახლოესი ორი-სამი დღის განმავლობაში დილაობით სიაში ჩამოთვლილი ყველა მაღაზიის შემოწმება. მე მას შენ მაგივრადაც გადავუხადე მადლობა. გავბედე და ისიც ვუთხარი, რომ თუ ოდესმე ორივენი ერთ საარჩევნო ოლქში აღმოჩნდებით და ის საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას გადაწყვეტს და შენსავით დაწინაურებას არ დაელოდება... – მაგრამ ამ დროს სტივენსმა ყურმილი დადო და კორპუსი რეტლიფისკენ მიატრიალა, ოღონდ სახეში არ შეხედა და ისე უთხრა:

– ის შესაძლოა, არც გამოჩნდეს.

– რატომ? – ჰკითხა რეტლიფმა, – რა გითხრათ? – სტივენსმა უმთავრესი უამბო, – ვფიქრობ, მეტის გაკეთებას ვერ შევძლებთ, – დაამატა რეტლიფმა.

– დიახ, – უთხრა სტივენსმა, თან გაიფიქრა: „ხვალ ყველაფერი გაირკვევა. თუმცა ერთ დღეს კიდევ დაველოდები. ალბათ, ორშაბათამდე".

მაგრამ ამდენ ხანს ლოდინი არ დასჭირდა. შაბათს მისი სამუშაო კაბინეტი, როგორც ყოველთვის, ხალხით გაივსო, ოღონდ არა საქმესთან დაკავშირებით (რაშიც შტატისგან ხელფასს იღებდა) – განუწყვეტლივ სტუმრობდნენ მისი

თანამემამულეები, რომლებმაც ის ამ თანამდებობაზე აირჩიეს. მათ რეტლიფიც ძალიან კარგად იცნობდა, სტივენსზე უკეთესადაც კი – იჯდა გვერდზე, კედელთან, თავის ადგილას, საიდანაც წამოუდგომლად შეეძლო ტელეფონის ყურმილის აღება. და თუმცა კვლავაც მოეტანა აკურატული შინაურული სენდვიჩი, შუადღისას სტივენსმა უთხრა:

– შინ წასულიყავით და წესიერად გესადილათ, თუმცა აჯობებს, ჩემთან წავიდეთ. დღეს აღარ დარეკავენ.

– თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, – ჩაილაპარაკა რეტლიფმა.

– დიახ. ორშაბათს აგიხსნით. არა, ხვალ: კვირა დღე შესაფერისია. ხვალ ყველაფერს აგიხსნით.

– მაშასადამე, თქვენი აზრით, ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი მოგვარდა, ყველაფერი დასრულდა. მიუხედავად იმისა, იცის თუ არა ამის შესახებ ფლემმა, მას შეუძლია, მშვიდად იძინოს.

– ჯერ ნუ შემეკითხებით, – უთხრა სტივენსმა, – ეს ძაფივითაა: მანამ არ გაწყდება, სანამ მე... სანამ ვინმე არ გაწყვეტს.

– მაშასადამე, ყოველთვის მართალი იყავით. არ იყო საჭირო მისთვის თქმა.

– არც იყო საჭირო, – განაცხადა სტივენსმა, – და არც არასდროს იქნება საჭირო.

– მეც იმავეს ვამბობ, – თქვა რეტლიფმა, – ახლა მისთვის ამის თქმა საჭირო აღარაა.

– მე კი ვამბობ: არასდროს იყო საჭირო და არც არასდროს დაგვჭირდება, რაც უნდა მოხდეს.

– თუნდაც ეს მორალთან დაკავშირებული საკითხი აღმოჩნდეს? – ჰკითხა რეტლიფმა.

– ეშმაკსაც წაუღია მორალიცა და საკითხიც, – მიუგო სტივენსმა, – აქ მორალის საკითხი არც დგას: არსებობს ფაქტი, ის ფაქტი, რომ არც თქვენ და არც ვინმე სხვა, ვისაც ადამიანი ჰქვია, არ ეტყვის მას, რომ საკუთარისაქციელით, რომელიც სიბრალულმა, თანაგრძნობამ და დიდსულოვნებამ გამოიწვია, მან ის კაცი მოკლა, რომელიც მას მამად ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, ნაბიჭვარია თუ არა.

– კარგი, კარგი, – თქვა რეტლიფმა, – აი, თქვენ ახლა რაღაც ძაფზე ლაპარაკობდით. იქნებ კიდევ არსებობს რამე კარგი ხერხი, რათა ის დროზე ადრე არ გაწყდეს – მხოლოდ ვინმე უნდა დავსვათ აქ, რათა დღის სამ საათზე მოისმინოს, რომ ის არ დარეკავს.

სწორედ ამიტომ ისხდნენ ორივენი კაბინეტში, სანამ ჯერ სამი, შემდეგ კი ოთხი საათი არ გახდა.

– ახლა კი შეიძლება წასვლა, – თქვა რეტლიფმა.

– დიახ, – დაეთანხმა სტივენსი.

– მაგრამ ჩემთვის ჯერ არაფერი აგიხსნიათ, – დაამატა რეტლიფმა.

– ხვალ, – უთხრა სტივენსმა, – ხვალ ამ დროს აუცილებლად დარეკავენ.

– აჰა, მაშასადამე, ამ ძაფზე ტელეფონის სადენი გადის, – ჩაილაპარაკა რეტლიფმა.

– ნახვამდის, – თქვა სტივენსმა, – ხვალ შევხვდებით.

დიახ, სატელეფონო სადგური მას ნებისმიერ დროს მიაგნებდა, კვირასაც კი, და, ფაქტობრივად, თითქმის სამის ნახევრამდე ფიქრობდა, რომ ამ დღეს თავისთან, როუზ-ჰილში გაატარებდა. უწინაც ჰქონია წუხილის, შფოთვისა და გაურკვევლობის მსგავსი პერიოდები, მაგრამ თითქმის მთელი ცხოვრება ბერბიჭად გაეტარებინა. ორი-სამი შემთხვევა გაახსენდა, როდესაც დარდი და მოუსვენრობა სწორედ უცოლშვილობას გამოეწვია, ანუ მოვლენები, გარემოება აიძულებდა ბერბიჭად დარჩენას, მიუხედავად ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის ყველა მცდელობისა. მაგრამ მაშინ, დიდი ხნის წინათ, გასაქცევი ჰქონდა. ეს იყო თავდავიწყება, ერთგვარი ბურანი, სამუშაო, რომელიც ჯერ კიდევ ჰარვარდში მოიგონა თავისთვის: კვლავ გადაეთარგმნა ძველი აღთქმა პირველი თარგმანის კლასიკურ ბერძნულ ენაზე, შემდეგ კი ძველებრაულიც ესწავლა და მაშინ უკვე მართლა აღედგინა ნამდვილი ტექსტი. წუხელაც გაიფიქრა: „რა თქმა უნდა, ხვალ შევძლებ თარგმნის გაგრძელებას, თორემ სულ მივატოვე". მაგრამ დილას მიხვდა, ახლა ეს მისთვის ცოტა იყო და ყოველთვის ცოტა იქნებოდა. ცხადია, ფიქრობდა იმ გულმოდგინებაზე, რომელსაც ადამიანი სამუშაოში დებს: არა მხოლოდ კონცენტრირების, არამედ მასზე დანდობის უნარზე. ახლა მოხუცდა, მოხუცებულობის ნამდვილი ტრაგედია კი ისაა, რომ სევდა ისეთი მტანჯველი აღარაა, რომ მის გამო მსხვერპლზე წახვიდე და ის გაამართლო.

ასე რომ, ჯერ სამის ნახევარიც არ იყო, როცა ისე, რომ არც გაჰკვირვებია, თავის მანქანაში ჩაჯდა და კვირა დღისთვის დამახასიათებელ დაცარიელებულ მოედანზე გავიდა. იგი არც თავისი სამუშაო კაბინეტის წინ რეტლიფის დანახვაზე გაოცებულა. შემდეგ ორივენი დასხდნენ და ერთმანეთისგან დაუფარავად მისჩერებოდნენ, თუ როგორ მიიწევდა საათის ისრები სამისკენ.

– საინტერესოა, რატომ მიგვაჩნია, რომ სამი საათი თითქოს მოჯადოებული ზღვარია? – იკითხა რეტლიფმა.

– რა მნიშვნელობა აქვს? – მიუგო სტივენსმა.

– მართალი ხართ, – დაეთანხმა რეტლიფი, – მთავარია, ის ძაფი არ დავაზიანოთ და არ გავწყვიტოთ.

ამ დროს კვირადღის ძილის მომგვრელ სიჩუმეში სასამართლოს შენობის თავზე მოთავსებულმა საათმა ხმამაღლა, მაგრამ რბილად სამჯერ ჩამოჰკრა და სტივენსი პირველად მიხვდა, რომ კი არ მოელოდა, არამედ იცოდა, რომ ამ დრომდე ტელეფონი არ დარეკავდა. შემდეგ წამს კი ისიც გააცნობიერა, თუ

რატომ არ რეკავდა ტელეფონი. ის ფაქტი, რომ ტელეფონი არ რეკავდა, უფრო მეტად მიანიშნებდა, თუ რა შეტყობინება შეიძლებოდა გადმოეგზავნათ, ვიდრე ამას დარეკვისას გადმოგზავნილი ინფორმაცია შეძლებდა.

– მაშასადამე, ასე, – თქვა მან, – მკვდარია.

– რა? – ჰკითხა რეტლიფმა.

– არ ვიცი, სად არის იგი. ეს არცაა მნიშვნელოვანი. თავიდანვე უნდა გვცოდნოდა, რომ გათავისუფლების შემდეგ იგი სამ დღეს კი არა, სამ საათსაც ვერ გაძლებდა, – სტივენსი სწრაფად, მაგრამ მკაფიოდ ლაპარაკობდა, – ნუთუ ვერ ხვდებით? საცოდავი არსება, უნათესავო, უნაცნობო, ყველასთვის უცხო, უსარგებლო, არსებითად, ადამიანურ თვისებებსაც და ადამიანად წოდების უფლებასაც მოკლებული, უეცრად გალიაში ოცდათვრამეტი წლით დაამწყვდიეს, ახლა კი, სამოცდასამი წლის ასაკში, წყნარი და დაცული გალიიდან გამოუშვეს, გამოაგდეს, ქუჩაში მოისროლეს, როგორც კობრა ან სპილენძა, რომლებიც დიდხანს ცოცხლობენ და საშინლად სახიფათონი არიან, სანამ ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილ ტროპიკულ გარემოში, შუშისკედლებიან ყუთში ცხოვრობენ. მაგრამ განა ისინი ერთ საათს იცოცხლებდნენ, გარეთ რომ გაეშვათ ან ორთითათი ან მაშით რომ აეყვანათ და თავისუფლება ქუჩაში მოსროლით მიენიჭებინათ?

– მოითმინეთ, – ჩაილაპარაკა რეტლიფმა, – მოიცადეთ.

მაგრამ სტივენსი არც შეყოვნებულა.

– ცხადია, ჩვენთვის ჯერ არ უცნობებიათ, სად იპოვეს იგი, ვინ და როგორ ამოიცნო, ვინაიდან ის არავის ადარდებს. შესაძლოა, ჯერ არც მიუგნიათ. ის ხომ ახლა თავისუფალია. მას ისიც კი შეუძლია, სადაც სურს, იქ მოკვდეს. ზედიზედ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, გასულ ხუთშაბათამდე, ძირმაგარა რომ გამოსვლოდა ან ფრჩხილი მოსტეხოდა, ამას ხუთ წუთში შეიტყობდნენ. მაგრამ ახლა თავისუფალია. არავის ადარდებს, როდის, სადდა როგორ მოკვდება, ოღონდ კი მისი გვამი ფეხებში არ გაებლანდოთ. ასე რომ, შეგვიძლია, შინ წავიდეთ, შემდეგ კი თქვენ დაგირეკავენ და მაშინ ფლემთან ერთად მის ამოსაცნობად წახვალთ.

– დიახ, – თქვა რეტლიფმა, – და ...

– გეყოფათ, – უთხრა სტივენსმა, – ჩემთან წავიდეთ და დავლიოთ.

– იქნებ ფლემს შევუაროთ და საქმის ვითარება გავაცნოთ, – თქვა რეტლიფმა, – შესაძლოა, გადაკრას ერთი ჭიქა.

– ბოროტი კაცი არა ვარ, – განაცხადა სტივენსმა, – მაგრამ მინკს პისტოლეტს მივცემდი, რათა ფლემისთვის შუბლში დაეხალა. თუმცა შესაძლოა, მშვიდად ვერ მეცქირა, როგორ დაუმიზნებდა იარაღს. მაგრამ ახლა თითსაც არ გავანძრევ. დაე, ფლემი ერთი-ორი დღე კიდევ დაელოდოს მის მოსაკლავად მინკის მისვლას.

მას შერიფისთვის არც უცნობებია, რომ მინკის სიკვდილში დარწმუნებული იყო. პირიქით, შერიფმა თვითონ უთხრა ეს. სტივენსმა შერიფს სასამართლოს შენობაში შეუარა და უამბო, რის გაკეთებას აპირებდა მინკი, მისი და რეტლიფის აზრით, და რატომ განაგრძობდა ყოველდღიურად მემფისის პოლიცია იმ ადგილების შემოწმებას, სადაც მინკს იარაღის შეძენა შეეძლო.

– მაშასადამე, ის, როგორც ჩანს, მემფისში არ არის, – თქვა შერიფმა, – რამდენი დღე გავიდა უკვე?

– დათვალეთ, რამდენი გამოდის ხუთშაბათიდან.

– ის არც ფრენჩმენსბენდშია.

– რა იცით?

– გუშინ ვიყავი იქ, ვნახე რა და როგორაა.

– გამოდის, რომ დამიჯერეთ, – უთხრა სტივენსმა.

– ასეთ მგზავრობაში დღიურს მიხდიან, – თქვა შერიფმა, – გუშინ კარგი ამინდი იყო, ქალაქგარეთ მგზავრობის შესაფერისი. მაშასადამე, მას ოთხი დღე ჰქონდა, არადა, მხოლოდ ასი მილი უნდა გაევლო. დანამდვილებით ვიცი, რომ ფრენჩმენსბენდში არ ყოფილა. თანაც, როგორც ამბობთ, მისტერ სნოუპსმა იცის, რომ ის არც ჯეფერსონშია. იქნებ მოკვდა კიდეც, – და უეცრად, როდესაც ეს აზრი სხვამ წარმოთქვა ხმამაღლა, სტივენსი მიხვდა, რომ თვითონ ეს არასდროს სჯეროდა, და უკვე აღარ უსმენდა, რას ლაპარაკობდა შერიფი: – იმ წყეულ პატარა ჩხრიალა გველს ცხოვრებაში მეგობრებიც კი არასდროს ჰყოლია: იქ, დასახლებაში, არავინ იცის, რა დაემართა მის ცოლსა და ქალიშვილებს, სად გაქრნენ ისინი. როგორია, როცა ოცდათვრამეტი წელი ჩაკეტილში გამყოფებენ, შემდეგ კი ისე მოგისვრიან, როგორც კატას – ღამით, წასასვლელი არსად გაქვს, არავის სჭირდები. იქნებ თავისუფლებას ვერ გაუძლო. იქნებ სწორედ თავისუფლებამ მოუღო ბოლო. ასეც ხდება ხოლმე, საკუთარი თვალით მინახავს.

– დიახ, ალბათ, მართალი ხართ, – უთხრა სტივენსმა, თვითონ კი მშვიდად ფიქრობდა: „ჩვენ მას ვერ შევაჩერებთ. ჩვენ მისი შეჩერება არ შეგვიძლია, არც ყველას ერთად, არც მემფისის პოლიციის ან სხვისი დახმარებით. შესაძლოა, ჩხრიალა გველს, თუ განგება მის მხარესაა, არც იღბალი სჭირდება და, მით უმეტეს, არც მეგობრები". ხმამაღლა კი თქვა: – მაგრამ, ჯერჯერობით არაფერი ვიცით. ამის იმედად ვერ ვიქნებით.

– გასაგებია, – თქვა შერიფმა, – გუშინვე დავნიშნე ორი კაცი ჩემს წარმომადგენლად უორნერის მაღაზიაში. ისინი ამბობენ, რომ ახსოვთ იგი და მაშინვე იცნობენ. შემიძლია, დაცვა დავუყენო მისტერ სნოუპსს, რათა ბანკამდე და სახლამდე მიაცილონ. მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ჩვენ ხომ არ ვიცით, ვის, როდის და სად ვუთვალთვალოთ? როგორ მივუჩინო მცველები ადამიანს, სანამ თვითონ არ უთხოვია? მის ქალიშვილზე, მისის კოლზე რას იტყვით? მას ხომ არ შეუძლია რამის გაკეთება? თუ კვლავაც არ გინდათ, რომ იცოდეს?

– არ მინდა. სიტყვა მომეცით, – უთხრა სტივენსმა.

– კარგი, – თქვა შერიფმა, – ვიმედოვნებ, თქვენი ჯექსონელი მეგობარი შეგატყობინებთ, როგორც კი მემფისის პოლიცია რამეს გაარკვევს.

– დიახ, – მიუგო სტივენსმა.

მაგრამ ოთხშაბათამდე ზარი არ შემოსულა. რეტლიფმა მას სამშაბათ საღამოს, ათის შემდეგ დაურეკა და ამცნო, რაც მოხდა, დილით კი სამსახურისკენ მიმავალმა ბანკს ჩაუარა, სადაც ჩამოშვებული შტორები არ აეწიათ. იდგა თავის მაგიდასთან ყურმილით ხელში და ფანჯრიდან ჩაკეტილ შესასვლელ კარზე მიმაგრებული ტიულის, ლენტებისა და ცვილის ასფოდელოების (ასფოდელო – ბალახოვანი მცენარე შროშანისებრთა გვარისა) პირქუშ შავ, თეთრ და იასამნისფერ კლაკნილებს გასცქეროდა.

– მან იშოვა რევოლვერი ათ დოლარად, – წარმოთქვა მისი მეგობრის ხმამ, – ორშაბათ დილას. ლომბარდი, ფაქტობრივად, ულიცენზიოდ ვაჭრობდა, ამიტომ პოლიციას კინაღამ გამორჩა ის. მაგრამ ერთგვარი... ე-ე... ზეწოლის შემდეგ მეპატრონემ ეს სცენა გაიხსენა. მან თქვა, რომ ნერვიულობა არ ღირდა. რომ რევოლვერი მხოლოდ გარეგნულად თუ იწოდებოდა რევოლვერად და ის სამი ვაზნა, რომელიც მყიდველს მისცეს, მის ასამუშავებლად საკმარისი არ იქნებოდა.

– ჰა, – თქვა სტივენსმა უხალისოდ, – გადაეცით მაღაზიის მფლობელს, რომ სათანადოდ ვერ შეაფასა თავისი საქონელი. რევოლვერი გუშინ აქ იყო. და გავარდა კიდეც.

თავი მეჩვიდმეტე

ორშაბათს, დილის თერთმეტი საათისთვის, საქონლის გადამყვანი სატვირთო მანქანის კაბინაში იჯდა, როდესაც განტოტებას მიაღწია. მანქანა აღმოსავლეთისკენ, ალაბამისკენ მიემართებოდა, მაგრამ სამხრეთისკენაც რომ მოეხვია და ჯეფერსონის გავლით გადაეწყვიტა წასვლა, გადასასვლელთან ჩამოვიდოდა. მანქანა რომ იოკნაპატოფიდან ყოფილიყო და საჭესთან ოლქის ან ჯეფერსონის მკვიდრი მჯდარიყო, მას არასდროს ჩაუჯდებოდა.

სანამ მაღაზიიდან ჯიბეში ჩადებული რევოლვერით გამოვიდოდა, ყველაფერი მარტივად ეჩვენებოდა, მხოლოდ ერთი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა – რევოლვერი ეშოვა. ამის შემდეგ მხოლოდ მანძილი აშორებდა იმ წუთს, როდესაც იმ ადამიანს მიუახლოვდებოდა, რომელმაც იცოდა, რომ მას, მინკს, კატორღაში გზავნიდნენ, მაგრამ თითი არ გაუნძრევია, იმის სიმამაცეც არ ეყო, „არა" ეპასუხა მის გულშემზარავ ყვირილზე დახმარების შესახებ, სისხლით ნათესავის სისხლისმიერ მოწოდებაზე; მიუახლოვდებოდა, ეტყოდა: „შემომხედე, ფლემ", – და მოკლავდა.

მაგრამ ახლა, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, ტვინი უნდა გაენძრია. ეჩვენებოდა, რომ რაღაც გადაულახავ დაბრკოლებებს წააწყდა. ახლა

ჯეფერსონიდან ოცდაათი მილის დაშორებით იმყოფებოდა, თითქმის შინ, და აქ ისეთივე ადამიანები ცხოვრობდნენ, როგორც ჩრდილოეთ მისისიპის მთისწინეთში, თუმცა აქ სხვა ოლქის საზღვარი გადიოდა და ეგონა, რომ ამ წუთიდან ყოველი შემხვედრი, ყველა, ვინც მას დაინახავდა, თუნდაც იგი ვერ ეცნო, ვერც მისი სახე გაეხსენებინა და ვერც სახელი, მიხვდებოდა, ვინ იყო იგი და სად და რა მიზნით მიდიოდა. და მაშინვე, დაუყოვნებლივ გაუჩნდა ახალი აზრი, რომ ეს ფიზიკურად შეუძლებელი იყო, მაგრამ რისკზე წასვლას ვერ ბედავდა. იმ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, როდესაც პარჩმენში გამოკეტეს, მასში მოკვდა, გაქრა რაღაცის უნარი, რაც ასე გამძაფრებოდა თავისუფლად მცხოვრებ ხალხს, და ისინი შეიტყობდნენ, მიხვდებოდნენ, გაიგებდნენ, ვინ იყო იგი, და ვერც კი შეამჩნევდა, ეს როგორ მოხდებოდა. „ალბათ, იმიტომ, რომ დიდი ხანია, აქ არ ვყოფილვარ, – გაიფიქრა მან, – ახლა, ალბათ, ლაპარაკიც თავიდან უნდა ვისწავლო".

„ლაპარაკში" ფიქრს გულისხმობდა. გზატკეცილს მიუყვებოდა – ახლა ის ასფალტით დაეფარათ, მასზე სწორი ხაზები დაეტანათ, რომელთა გასწვრივაც მანქანები მიქროდნენ, მას კი გრძლად დაკლაკნილი ჭუჭყიანი თემშარა ახსოვდა, სადაც ჯორები და საზიდრები ან, იშვიათად, საჯდომი ცხენები მიჯაყჯაყებდნენ ნაურმალებსა და ღრანტეებში. იცოდა, რომ გარეგნობას, სახის ნაკვთებსა და გამომეტყველებას ვერ შეიცვლიდა, ვერც აქაურებისთვის დამახასიათებელ ტანსაცმელსა და სიარულის მანერას. წამით თავში სასოწარკვეთილმა და ველურმა აზრმა გაუელვა, რომელიც მაშინვე უკუაგდო: იქნებ მსუბუქი ან სატვირთო მანქანის დანახვისას პირი ექცია, რათა შთაბეჭდილება შეექმნა, რომ საპირისპირო მხარეს მიდიოდა. ახლა ფიქრების წყობაც უნდა შეეცვალა, როგორც ფერად ნათურას ცვლიან ფარანში, თუმცა თვითონ ფარანი არ იცვლება. სანამ მიდიოდა, მტკიცედ და განუხრელად უნდა ეფიქრა, რომ ის ვიღაც სხვა იყო, რომ არასდროს სმენოდა სნოუპსის გვარი და ქალაქი ჯეფერსონი, და არც კი იცოდა, რომ ამ გზით მაინცდამაინც იქ მოხვდებოდა. მას უნდა ეფიქრა, თითქოს სრულიად სხვა, ასზე მეტი მილით დაშორებული ადგილისკენ მიემართებოდა, სრულიად სხვა მიზნით, და გონებით უკვე იქ იყო, ოღონდ მისი სხეული და ფეხები შემთხვევით გზის სწორედ ამ ნაწილს გადიოდა.

და კიდევ – ვინმე უნდა ეპოვა, ვისაც ეჭვის აღუძვრელად დაელაპარაკებოდა არა ინფორმაციის შესაგროვებლად, არამედ მათ დასადასტურებლად. იმ წუთამდე, სანამ პარჩმენიდან გამოვიდოდა და იგრძნობდა, რომ თითქმის მიაღწია მიზანს, რომლისკენაც მოთმინებით მიიწევდა ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, მიაჩნდა, რომ ყველა საჭირო მონაცემი შეაგროვა იმ ჭორებიდან, ყოველდღე და ყოველწლიურად არა, მაგრამ მაინც რომ შედიოდა პარჩმენის ტერიტორიაზე: სად და როგორ ცხოვრობდა მისი ნათესავი, როგორ ატარებდა დროს, რა ხალხში ტრიალებდა. მაგრამ ახლა, როდესაც დიდი ხნის ნანატრი წამი თითქმის დადგა, ეს ცნობები შესაძლოა, არ ჰყოფნოდა ან, სულაც, მცდარი და არასწორი გამომდგარიყო. და მან კვლავ გაიფიქრა: „ეს იმიტომ, რომ აქ, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ, იმიტომ, რომ მრავალი წელი ვიყავი სხვაგან". თითქოს ოცდათვრამეტი წელი მხოლოდ ამ სამყაროს კი არა, ცხოვრებასაც მოსწყდომოდა და ის მოვლენები, რომლებიც ციხის კედლების გავლით მის ყურამდე აღწევდა, იმ დროისთვის სიმართლეს აღარ შეესაბამებოდა. ისინი თავისთავად მტრული, მოღალატური და მისთვის

საშიში ხდებოდა, თუკი მათ გამოყენებას შეეცდებოდა, მიენდობოდა და ირწმუნებდა.

დაბოლოს, რევოლვერი. გზა გაუკაცრიელდა, მას ორივე მხრიდან ხშირი ტყე შემოერტყა. არც ხმა ისმოდა, არც სახლი ან სულიერი მოჩანდა. მან რევოლვერი ამოიღო და თითქმის სასოწარკვეთილმა შეხედა. დილით მაღაზიაში რევოლვერს ძალიანაც არ ჰგავდა, აქ კი, მზით განათებულ სოფლურ სადილობისშემდგომ სიჩუმეში, მას საერთოდ ვერაფერს ამსგავსებდა – ყველაზე მეტად, ისევე, როგორც პირველად დანახვისას, გაქვავებულ მდინარის კუს ჰგავდა. მაგრამ ეს რევოლვერი უნდა შეემოწმებინა, ერთი ვაზნა დაეხარჯა, რათა, უბრალოდ, ენახა, საერთოდ ისროდა თუ არა. და წამით მეხსიერებაში რაღაც შეერხა. „უნდა გავისროლო, –გაიფიქრა მან, – სხვა გზა არაა. მოხუცი ბატონი მხოლოდ სჯის, ხუმრობა კი არ უყვარს".

თანაც, შიოდა კიდეც. გამთენიისას ცხოველებისსახიანი კრეკერების ჭამის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩასვლოდა. ცოტა ფული კიდევ ჰქონდა, უკვე ჩაუარა ორ ბენზინგასამართ სადგურს და იქ მდებარე მაღაზიებს. მაგრამ მშობლიურ ადგილებში იყო და ვერ ბედავდა შესვლასა და ყველიანი კრეკერების ყიდვას, თუმცა კი შესწვდებოდა. უეცრად გაახსენდა, რომ ღამეც უნდა გაეთია. მზის მიხედვით, სამ საათზე მეტი არ იქნებოდა. ხვალამდე ჯეფერსონში ვერაფრით მოხვდებოდა, ასე რომ, საქმეც მეორე დღის საღამომდე უნდა გადაედო, ამიტომ ინსტინქტურად გადაუხვია გზატკეცილიდან თემშარაზე: თვითონაც ვერ იტყოდა, როდის შეამჩნია გზისპირა შამბნარსა და ეკლებზე ჩავლილი ფურგონებიდან მოგლეჯილი ბამბის ნაგლეჯები, გზაც ეცნო წარსულის წლებიდან, როდესაც იჯარით აღებულ ფერმაში ცხოვრობდა: ზანგების გზა, რომელსაც ბორბლებისა და ბამბის კვალი ეტყობოდა, ოღონდ მოუკირწყლავი, დაუტკეპნავი, ვინაიდან მის გასწვრივ მცხოვრებ ხალხს არც ხმის უფლება ჰქონდა და არც ფული, რათა საგზაო უბნის ინსპექტორი ეიძულებინა ან წაექეზებინა, რამე მოეხერხებინა ამ გზისთვის, წელიწადში ორჯერ უბრალოდ მოსწორებისა და მონიშვნის გარდა.

მან არა მხოლოდ იმას მიაგნო, რასაც ეძებდა, არამედ იმასაც, რასაც ელოდა: უბადრუკ, შეუღებავ, გვერდზე გადახრილ ქოხს, ყოველი მხრიდან ნახევრად დანგრეული, შეუღებავი და უბადრუკი ბაკებითა და დამხმარე სათავსოებით – ფარდულებით, ბეღლებით, ჩარდახებით, უფრო იქით კი, ნაკადულთან მდებარე ბორცვზე – ბამბის ნათესს. ხედავდა, როგორ ფეხაწყობილად მიათრევდა გრძელ, დასვრილ ტომრებს რიგებს შორის ზანგების ოჯახი და ორი-სამი მეზობელი: მამა, დედა, ხუთიდან თორმეტ წლამდე ხუთი ბავშვი და ოთხი ჭაბუკი ქალიშვილებთან ერთად, ალბათ, მეზობლები, რომლებიც ბამბის შეგროვებაში ერთმანეთს რიგრიგობით ეხმარებოდნენ. რიგის ბოლოში გაჩერდა და დაელოდა, როდის მიუახლოვდებოდა ოჯახის უფროსი და, როგორც ჩანს, ნაკვეთის პატრონი.

– გამარჯობა, – თქვა მან, – ვფიქრობ, ზედმეტი ხელის დახმარება არ გაწყენდათ.

– შეგროვება გსურთ? – ჰკითხა ზანგმა.

– რამდენს იხდით?

– ექვს მონეტას.

– თუ ასეა, დაგეხმარებით.

ზანგმა მის გვერდით მდგომ თორმეტიოდე წლის გოგონას მიმართა:

– მიეცი ტომარა. თვითონ კი სახლში შედი და ვახშამი მოამზადე.

მინკმა ტომარა აიღო. სამუშაოს კარგად იცნობდა. წელიწადის ამ დროს მთელი ცხოვრება ბამბას აგროვებდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ გასული ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ჩამორჩენილებს რიგების ბოლოში შაშხანა ან მათრახი ელოდებოდათ, აქ კი, როგორც უწინ, მეტის შემგროვებელს სასწორითა და ფულით ხვდებოდნენ. როგორც ივარაუდა, მისი დამქირავებელი მეზობელ რიგში მიდიოდა.

– როგორც ჩანს, აქაური არ უნდა იყოთ, – უთხრა ზანგმა.

– მართალია, – მიუგო მან, – აქ გავლით ვარ. ქალიშვილთან მივემგზავრები დელტაში, იქ ცხოვრობს.

– კერძოდ, სად? – ჰკითხა ზანგმა, – ერთხანს იქ ვმუშაობდი.

მთავარი ის კი არ იყო, რომ შეკითხვას მომზადებული უნდა შეხვედროდა და მისთვის თავის არიდება ეცადა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას შეეკითხებოდნენ – არ უნდა დავიწყებოდა, რომ ახლა ის – ის კი არ იყო, არამედ ვიღაც სხვა. დაუფიქრებლად, ხალისითაც კი უპასუხა:

– დოდსვილში. პარჩმენის სიახლოვეს, – და რახან იცოდა, კიდევ რა კითხვა უნდა დაესვათ, თუმცა ზანგი არ შეჰკითხვია და არც შეეკითხებოდა, მასაც უპასუხა: – მთელი წელი მემფისის საავადმყოფოში ვიწექი. ექიმმა ფეხით სიარული მირჩია. ჰოდა, მეც დავუჯერე და მატარებელში აღარ ჩავჯექი.

– ომის ვეტერანთა საავადმყოფოში? – დაინტერესდა ზანგი.

– როგორ? – ჩაეკითხა მინკი.

– სახაზინო, ომის ვეტერანთა საავადმყოფოში?

– დიახ, – თქვა მინკმა, – ხაზინის ხარჯზე მმკურნალობდნენ. წელიწადზე მეტ ხანს.

მზე უკვე ჩადიოდა. დიასახლისი სახლში შევიდა.

– ხომ არ ავწონოთ? – ჰკითხა ზანგმა.

– არ მეჩქარება, – მიუგო მინკმა, – შემიძლია, ნახევარი დღე ხვალაც ვიმუშაო თქვენთან, ოღონდ სადილობისთვის უნდა დავასრულო. თუ თქვენი ცოლი დამაპურებს და საფენსაც დამიგებს ღამის გასათევად, შეგიძლიათ, გასამრჯელოდან გამომიქვითოთ.

– საკუთარ სახლში ხალხს ჭამის ფულს არ ვართმევ, – უთხრა ზანგმა.

საჭმელი მუშამბაგადაფარებულ მაგიდზე მიართვეს, ნავთის ლამპის შუქზე. მაგიდა მინაშენში იდგა, სადაც ღუმელში ნელა ინავლებოდა დამწვარი შეშა. მარტოკა ჭამდა, ზანგის მთელი ოჯახი სადღაც გამქრალიყო და სახლი დაცარიელებულს ჰგავდა. როდესაც ოჯახის უფროსმა სავახშმოდ დაუძახა, სიმინდსა და პომიდორთან ერთად მოშუშული ღორის ხორცით სავსე თეფში, ფერდაკარგული, რბილი, ცუდად გამომცხვარი გალეტები და ფინჯანი ყავა უკვე მაგიდაზე ეწყო. შემდეგ საცხოვრებელ ოთახში შევიდა, სადაც კერიაში ნაღვერდალი ბჟუტავდა – შემოდგომის გრილი ღამე იდგა. უფროსიქალიშვილი და დედა მაშინვე წამოდგნენ და სამზარეულოში გავიდნენ მთელი ოჯახისთვის ვახშმის გამოსატანად. მინკმა ცეცხლისკენ ჩაიჩოჩა და ფეხები გაჭიმა, რადგან ღამის სიგრილე იგრძნო. იგი არხეინად ალაპარაკდა, სასხვათაშორისოდ, თითქოსდა თავაზიანობის გულისთვის. თავდაპირველად კაცი იფიქრებდა, რომ პასუხებს არც უსმენდა.

– ბამბას გასაწმენდად, ალბათ, ჯეფერსონში აბარებთ. იქ რამდენიმე ადამიანს ვიცნობდი. ერთი მათგანი, თუ არ ვცდები, დე სპეინი იყო, ოღონდ დიდი ხნის წინათ.

– ასეთი არავინ მახსოვს, – თქვა ზანგმა, – მთავარი ბანკირი ჯეფერსონში ახლა მისტერ სნოუპსია.

– ოჰ, დიახ, მსმენია მის შესახებ. ცნობილი ბანკირია, მდიდარი კაცია. დიდ სახლში ცხოვრობს, ქალაქში ასეთი სხვას არავის აქვს. მზარეული ქალი და კიდევ ერთი კაცი ემსახურება, რომელიც ორი ადამიანისთვის აწყობს სუფრას – მისთვის და მისი ქალიშვილისთვის, თავს რომ იკატუნებს, თითქოს ყრუა.

– სწორედ რომ ყრუა, ომშია ნამყოფი. ქვემეხმა გაისროლა და ყურის აპკები გაუსკდა.

– დიახ, თვითონ ასე ამბობს.

ზანგმა არაფერი უპასუხა. იგი მშვიდად იჯდა ერთადერთ სარწეველაში, – ალბათ, სხვა არც ჰქონდათ, – ოღონდ არ ქანაობდა. მაგრამ მასში უბრალო სიმშვიდე კი არ იგრძნობოდა, არამედ, ერთგვარად, დაძაბული უძრაობა, თითქოს სული გაენაბა. ცეცხლისკენ, სინათლისკენ ზურგით იჯდა, ასე რომ, სახე არ უჩანდა, თუმცა ხმა არ შეცვლია.

– ქალი ომში. ყველა კარგად კი გაასულელა. ვიცნობ ასეთებს. მოიგონებენ რაღაცას, ირგვლივ კი თავაზიანი ხალხია, მატყუარას არავინ დაუძახებს. არადა, ჩვენზე ცუდად, ალბათ, არ ესმის.

ამ დროს ზანგი მკაცრი ხმით ალაპარაკდა:

– მატყუარა სწორედ ისაა, ვინც გითხრათ, რომ თავს იკატუნებს. მის შესახებ სიმართლე მხოლოდ ჯეფერსონში კი არა, სხვაგანაც იციან, თუმცა თქვენს სახაზინო საავადმყოფომდე თუ იქამდე, სადაც იწექით, ამ ამბავს, შესაძლოა,

არ მოუღწევია. თქვენს ადგილას ამ საკითხზე არ ვიკამათებდი. და საერთოდაც, უფრო ფრთხილად ვიკამათებდი – რა იცით, ვის გადააწყდებით.

– მართალია, მართალია, – თქვა მინკმა, – ჯეფერსონელებს უკეთ მოგეხსენებათ. მაშასადამე, თქვენი აზრით, არაფერი ესმის? ოთახში უკნიდან რომ მიუახლოვდე, ვერაფერს გაიგონებს?

– დიახ, ვერაფერს, – დაუდასტურა ზანგმა, მისი თორმეტი წლის გოგონა უკვე კარში იდგა, – იგი ყრუა. და არ შემეკამათოთ. ღმერთმა დასაჯა, როგორც ბევრს სჯის, ვინც ჩვენზე უკეთესია. ასე რომ, ნუ წუხხართ.

– თქვენი ვახშამი მზადაა, – თქვა მინკმა.

ზანგი წამოდგა.

– ღამეს სად გაათევთ? – ჰკითხა მან, – ჩვენ ადგილი არა გვაქვს.

– მე არაფერი მინდა, – თქვა მინკმა, – იმ ექიმმა მირჩია, სუფთა ჰაერზე მეტი დრო გამეტარებინა. იქნებ ზედმეტი საბანი გქონდეთ. სატვირთო მანქანაში მივწვებოდი, დილას კი ადრიანად დავიწყებდი მუშაობას.

ბამბაზე, რომლითაც ნახევრად გაევსოთ სატვირთო მანქანა, ღამით ბრეზენტი გადაეფარებინათ, ასე რომ, საბანი არც დასჭირვებია. მშვენივრად მოეწყო, რაც მთავარია, მიწიდან, შეძლებისდაგვარად, შორს. ადამიანისთვის მთავარი საფრთხე სწორედ ესაა: როგორც კი მიწაზე დაწვები, მაშინვე თავისკენ გიზიდავს. დაბადებიდანვე, დედის მუცლიდან გამოსვლისთანავე, მასზე დედამიწის ძალა, მისი მიზიდულობა მოქმედებს. და რომ არა მის გარშემო მყოფი ქალები, ნათესავები თუ მეზობლები, შესაძლოა, დაქირავებული ძიძებიც, მათ რომ არ ეკავოთ, მაღლა რომ არ ასწიონ, ერთ საათსაც ვერ გაატანდა. და ის ამას გრძნობდა. როგორც კი ამოძრავდა, თავმა ზევით გაიწია, თუმცა ადგომა არ შეეძლო, და იქიდან მოყოლებული, მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა ამ მიზიდულობას, ადგომას ცდილობდა, სკამებს, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ეჭიდებოდა, დგომა არ შეეძლო, მაგრამ მიწისგან თავს იცავდა და მას უკვე შორდებოდა. შემდეგ დამოუკიდებლად დგომა ისწავლა, ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ ცხოვრების პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში დროის ნახევარს მიწაზე ატარებდა, ძველი, მომთმენი, ამტანი მიწა კი ეუბნებოდა: „არაფერია, შენ მხოლოდ წაბორძიკდი, არაფერი გტკენია, ნუ გეშინია". შემდეგ დაკაცდა, მოღონიერდა, მოიწიფა, ზოგჯერ მიწაზე დაწოლასაც ბედავდა, ტყეში, ღამით ნადირობისას. სახლი შორს იყო და ვერ დაბრუნდებოდა, ამიტომ მიწაზე უნდა დაეძინა. ცხადია, ცდილობდა, რამე ეპოვა, – ფიცარი, მორი ან ფიჩხი, – ნებისმიერი საგანი, რაც მას, უმწეოს, გონწართმეულსა და მძინარეს, ამ ძველ და მომთმენ მიწას დააშორებდა. დიახ, მას შეეძლო, მოეთმინა, რადგან, ადრე თუ გვიან, ყველას წაიყვანდა, და თუ ახლა ვინმე გამამაცდა, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ის ყოველთვის მისცემდა ამის ნებას. ყველამ იცოდა: სანამ ახალგაზრდა და ძლიერი ხარ, კიდევ მიდიხარ რისკზე, რომ ერთი ღამე მიწაზე გაათიო, მაგრამ ორი – არაფრის დიდებით. ხდება ხოლმე, რომ მინდორში მუშაობ, დასვენება მოგინდება, დაჯდები ხის ან ბუჩქის ძირას, შეჭამ შენს სამხარს და მიწვები, ცოტა ხნით თვალს მოატყუებ, გაიღვიძებ და პირველ წუთს ვერც

გააცნობიერებ, სად ხარ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქ მთლიანად არა ხარ: იმ მოკლე დროის განმავლობაში, სანამ თვლემდი, ძველმა და მომთმენმა მიწამ, ლოდინ-ლოდინითა და აუჩქარებლად, თანდათანობით მოიპოვა ძალაუფლება შენზე, მაგრამ, საბედნიეროდ, დროულად გაგეღვიძა. ასე რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, რისკზე წავიდოდა და ერთადერთ,უკანასკნელ ღამეს მიწაზე დაიძინებდა. მაგრამ მიწაზე დაწოლამ არ მოუწია. თითქოს მოხუცმა ბატონმა უთხრა: „არ დაგეხმარები, მაგრამ არც ხელს შეგიშლიო".

შემდეგ გათენდა და განათდა. მან კვლავ მარტოკამ ისაუზმა და როდესაც მზე ამოვიდა, ყველამ ერთად მიაშურა ბამბის ნათესებს. მოსავლის აღების ბარაქიან დღეებში, ზაფხულის ცვარ-ნამსა და შემოდგომის პირველ სუსხს შორის, ბამბა მშრალია და მისი შეგროვება გარიჟრაჟზევე შეიძლება. შუადღემდე იმუშავეს.

- აჰა, - უთხრა მინკმა ზანგს, - ცოტათი ხომ შეგეშველეთ. კარგი ბარდანები გაქვთ ჯეფერსონში გასაწმენდად წასაღები. მე კი ბარემ გამოგყვებით, რახან შემთხვევამ მოიტანა.

როგორც იქნა, იგი ახლოს, სულ ახლოს აღმოჩნდა. ოცდათვრამეტი წელი გავიდა და მართალია, თითქმის წრე დაარტყა, სამხრეთისკენ, დელტისკენ წავიდა და უკან დაბრუნდა, მაგრამ ამჯერად ახლოს იყო. ოღონდ ახლა ჯეფერსონამდე გზა სხვაგვარად მიდიოდა, არა უორნერის მაღაზიის გავლით, რომელიც კარგად ახსოვდა. რკინის ახალი, ციფრებიანი ბოძებიც არ ჰგავდა ძველს, ხელით დაწერილი დაფებით, მეხსიერებაში ჩარჩენილს. ციფრების კითხვა შეეძლო და მიხვდა, რომ ყველა როდი აღნიშნავდა მილებს, ვინაიდან ისინი არ იკლებდა. თუნდაც მილები ყოფილიყო, უნდა შეემოწმებინა.

- ეს გზა თითქოს პირდაპირ მიდის, ჯეფერსონის გავლით.

- დიახ, - თქვა ზანგმა, - იქ კი დელტისკენ შეიძლება შეხვევა.

- მართალია. ქალაქამდე შორია?

- რვა მილი, - თქვა ზანგმა. მილს გაზომავდა ბოძების დაუხმარებლად. აი, შვიდი, ექვსი, ხუთი, მზის მიხედვით კი მხოლოდ ერთი საათი გავიდა შუადღის შემდეგ. ესეც ოთხი, გრძელი დაღმართი, დამშრალი ნაკადული. მან თქვა:

- დალახვროს ეშმაკმა, ხიდთან ჩამომსვით. დილას ბუჩქებში გადასვლა ვერ მოვასწარი, - ზანგმა სატვირთო მანქანა ხიდთან გააჩერა, - გმადლობთ, - უთხრა მინკმა, - აქედან ფეხით წავალ. რაღა დაგიმალოთ და, არ მინდა ჩემს ექიმს გადავაწყდე. რომ დაინახოს, როგორ ვმოგზაურობ მანქანით, ალბათ, ზედმეტ დოლარს წამგლეჯს.

- დაგელოდებით, - შესთავაზა ზანგმა.

- არა, არა, - უთხრა მინკმა, - თქვენ ბამბის გაწმენდაც უნდა მოასწროთ და დროზე დაბრუნებაც. სად გაქვთ ამდენი დრო? - იგი კაბინიდან გადმოვიდა და, მადლობის ნაცვლად, ძველებური სოფლური ჩვეულების

მიხედვით, იკითხა: – რამდენი უნდა გადაგიხადოთ? – ზანგმაც, იმავე ჩვეულების მიხედვით, მიუგო:

– არაფერი. ერთი გზა გვქონდა.

– უღრმესი მადლობა, – თქვა მინკმა, – ოღონდ ექიმს არაფერი უთხრათ, თუ შეგხვდებათ. შესაძლოა, დელტაში შევხვდეთ.

სატვირთო მანქანა წავიდა. გზა მაშინვე დაცარიელდა. თუკი ოდნავ განზე გავიდოდა, აღარც გამოჩნდებოდა. კარგი იქნებოდა, არავის გაეგონა საცდელი გასროლის ხმა. თვითონაც არ იცოდა, ეს რისთვის სჭირდებოდა. სიტყვებით ვერ გადმოსცემდა, რომ საპატიმროში ხალხის თვალწინ ოცდათვრამეტწლიანი ცხოვრების შემდეგ უნდოდა, მისთვის აუცილებელიც კი იყო, თავისუფლების მიერ მოცემული განმარტოების ყოველი ნამცეცი ეგრძნო. სიბნელემდე კიდევ ხუთი-ექვსი საათი და დაახლოებით ამდენივე მილი რჩებოდა. ტევრში მიდიოდა, ასკილის ბუჩქებს, კვიპაროსებსა და ტირიფებს შორის, დამშრალი ნაკადულის ფსკერს მიუყვებოდა მეოთხედი მილის მანძილზე, შემდეგ კი უეცრად შეჩერდა – გახარებული და გაოცებული, თითქმის აღფრთოვანებული. ღარტაფის თავზე რკინიგზის ხიდი დაინახა. ახლა არა მხოლოდ მიხვდა, როგორ მიეღწია ჯეფერსონამდე ისე, რომ ადამიანებს არ შეხვედროდა, რომლებიც მათთვის ჩვეული იოკნაპატოფური ალღოთი მაშინვე გამოიცნობდნენ, ვინ იყო და რის გაკეთებას აპირებდა, არამედ იცოდა კიდეც, როგორ მოეკლა დრო დაბნელებამდე, როდესაც გზის გაგრძელებას შეძლებდა.

ეჩვენებოდა, რომ ამ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში რკინიგზის ლიანდაგები არასდროს ენახა. თუმცა მავთულხლართის ერთ მხარეს, პარჩმენს გარს რომ ერტყმოდა, სარკინიგზო ხაზი გადიოდა, და როგორც ახსოვდა, მატარებლები იქ ყოველდღე ჩაივლიდნენ ხოლმე. ზოგჯერ პატიმრების გუნდი, ბადრაგის თანხლებით, რკინიგზის ხაზის სიახლოვეს მიჰყავდათ მარტივი სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. იქაც ხედავდა დელტაზე გამავალ მატარებლებს. უყურებდა მათ, მაგრამ ისინი თავისუფალნი იყვნენ და ამიტომ – უცხონი, მავთულხლართების მიღმა მოძრაობდნენ და ამის გამო არარეალურს, მირაჟს, ქიმერას ჰგავდნენ, უწარსულოსა და უმომავლოს. ისინი არსად მიდიოდნენ, რადგან მათი დანიშნულების პუნქტები მისთვის არ არსებობდა: მხოლოდ წამიერი გაელვება და მორჩა, თითქოს არც ყოფილან. მაგრამ ახლა სხვაგვარად იყო. თვითონაც თავისუფალს, შეეძლო ეცქირა, როგორ თავისუფლად მიქროდნენ ისინი. ახლა მათ შორის ერთგვარი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა: მატარებლები კვამლსა და ხმაურში მიქროდნენ, ის კი მათ შეჰყურებდა და ახსენდებოდა, რომ ოცდათვრამეტი-ორმოცი წლის წინათ, პარჩმენში მოხვედრამდე, რაღაც ფათერაკი შეემთხვა, ზუსტად აღარ ახსოვდა – რა, მაგრამ ყოველთვის ასე ხდებოდა: მუდამ რაღაც მარცხი, წყენა, უსამართლობა დასდევდა და ეწეოდა, მუდამ უხდებოდა ყველაფრის მიტოვება ამ გასაჭირთან საბრძოლველად და მის დასაძლევად, მაგრამ არაფერი ჰქონდა – არც რამე საშუალება, არც იარაღი, დროც კი არჰქონდა განუწყვეტელი და დაუღალავი მუშაობის გამო, რომლითაც საკუთარ თავსა და ოჯახს არჩენდა. აი, ასეთმა მძიმე წუთმა ან, შესაძლოა, მხოლოდ მატარებლის დანახვის სურვილმა მიიყვანა მაშინ იგი ფრენჩმენსბენდიდან ოცდაორი მილის დაშორებით. რაღაც

მიზეზით, – აღარც ეს ახსოვდა, – ღამე ქალაქში უნდა გაეტარებინა, და რკინიგზის სადგურში წავიდა, რათა ნიუ-ორლეანისკენ მიმავალი მატარებელი ენახა – შიშინა ორთქლმავალი, განათებული ვაგონები, და ყოველ მათგანში – კადნიერი და გაყოყოჩებული ზანგი გამცილებელი. ერთ ვაგონში ხალხი ვახშმობდა და მათ სხვა ზანგები ემსახურებოდნენ. შემდეგ მგზავრები თავ-თავიანთ კუპეებში მიმოიფანტებოდნენ, სადაც ნამდვილი საწოლი ელოდებოდათ. მატარებელი ცოტა ხანს იდგა, შემდეგ კი ქრებოდა; სხვა სამყაროს გრძელი, მტკიცედ დახშული ნაჭერი ბნელ მიწას მიუყვებოდა, მის მსგავსად კომბინეზონებში გამოწყობილ ღარიბებს კი თავისუფალი წუთი გამოენახათ, იდგნენ და მიშტერებოდნენ, მაგრამ არც მატარებელმა და არც მასში მყოფმა ადამიანებმა არ იცოდნენ, უყურებდა მათ ვინმე თუ არა.

მაგრამ მაშინ ის სხვებივით თავისუფლად იდგა და შესცქეროდა, თუმცა ძველი კომბინეზონი ეცვა და, ცხადია, ბრილიანტის ბეჭდები არ ეკეთა. ახლაც თავისუფალი იყო, სანამ უეცრად არ გაახსენდა, რომ პარჩმენში კიდევ ერთი რამ შეიტყო იმ ხანგრძლივი და სულის ამომხდელი წლების განმავლობაში, როდესაც ციხიდან გამოსვლისთვის მზადების პერიოდში ათასგვარი წვრილმანი ინფორმაცია უნდა შეეკრიბა, ვინაიდან, სხვაგვარად, როცა ის დღე, გათავისუფლების დღე დადგებოდა, შესაძლოა, დაგვიანებით, უეცრად აღმოეჩინა, რომ რაღაც არ იცოდა. იქ შეიტყო, რომ 1935 წლიდან ჯეფერსონის გავლით სამგზავრო მატარებლები აღარ დადიოდა და რომ რკინიგზის ხაზს (იმას, რომელიც მოხუცმა პოლკოვნიკმა სარტორისმა, პოლკოვნიკად წოდებულმა ბანკირმა კი არა, მამამისმა, ნამდვილმა პოლკოვნიკმა გაიყვანა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიდი ხნის წინანდელ ომში ადგილობრივ რაზმს რომ მეთაურობდა) ჯეფერსონი და მთელი ოლქი, ერთი მხრივ, მექსიკის ყურესთან და, მეორე მხრივ, დიდ ტბებთან უნდა დაეკავშირებინა, ახლა კი მიტოვებულ, სარეველებით მოფენილ განშტოებად გადაქცეულიყო, რომელზეც მხოლოდ ორი ადგილობრივი სატვირთო მატარებელი დადიოდა, ისიც, არა ყოველდღე.

მაგრამ ამჯერად სწორედ ამ მიტოვებულ გზას შეეძლო ქალაქში მისი დაუბრკოლებლად მიყვანა, აქ არავინ დაარღვევდა მის მყუდროებას, ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას. ის შეტრიალდა და უკან წავიდა, ასიოდე ნაბიჯი გაიარა და შეჩერდა. ირგვლივ არავინ ჩანდა – მხოლოდ სექტემბრის დღის სიჩუმით გაჯერებული უღრანი ტყე. მინკმა რევოლვერი ამოიღო. „ძალიან ჰგავს მდინარის კუს", – გაიფიქრა მან და ეს სასაცილოდ და თავშესაქცევად მოეჩვენა, მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ ამას სასოწარკვეთილება ალაპარაკებდა. ახლა იცოდა, რომ ეს ნივთი ვერ შეძლებდა, ვერ გაისროდა, და როდესაც მბრუნავი ცილინდრი დაატრიალა, რათა პირველი სამი ვაზნა საცემელთან მოქცეულიყო, ჩახმახი შეაყენა, ოთხი-ხუთი ფუტით დაშორებულ კვიპაროსის ხეს დაუმიზნა, სასხლეტს დააწვა და ხმადაბალი ცარიელი გატკაცუნება გაიგონა. ერთადერთი, რაც იგრძნო, მშვიდი, სიამაყემდე მისული ალალმართლობა იყო – რომ არ შეცდა, რომ უდავო უფლება ჰქონდა ეთქვა: „ასეც ვიცოდიო", და უეცრად, ისე, რომ ვერ შეამჩნია, როგორ შეაყენა ჩახმახი განმეორებით, ვერ გააცნობიერა, რას უმიზნებდა, რევოლვერი შეხტა, მოულოდნელად დაიქუხა და მოკლე ლულიდან ცეცხლის ალი გამოაფრქვია. და მხოლოდ ახლა, ისე, რომ კინაღამ დააგვიანა, სასოწარკვეთილებამდე მისული შეძრწუნებით შეაჩერა ხელი, რათა უნებურად კვლავ არ შეეყენებინა ჩახმახი და მესამე, ბოლო

ვაზნაც არ დაეხარჯა. მაგრამ დროულად გამოერკვა, ცერი და საჩვენებელი თითები გამოათავისუფლა და მარცხენა ხელით მარჯვენას რევოლვერი გამოსტაცა, თორემ ცარიელი და უსარგებლო იარაღი შერჩებოდა ამდენი მცდელობის, ძიებისა და დროის ხარჯვის შემდეგ. „იქნებ დარჩენილი მესამეც არ გავარდეს", – გაიფიქრა მან, მაგრამ მხოლოდ წამით, მყისიერად, შემდეგ კი მაშინვე დაამატა: „არა, სერ, უნდა გაისროლოს. უნდა გაისროლოს და მორჩა. სხვა გამოსავალი არ არის. მოხუცმა ბატონმა დასჯა კი იცის, მაგრამ ხუმრობა არ უყვარს".

ახლა (მზის მიხედვით, ორი საათი იქნებოდა, მეტი არა, მზის ჩასვლამდე, სულ ცოტა, ოთხი საათი რჩებოდა) შეეძლო, ერთხელაც გაეწია რისკი და მიწაზე გაწოლილიყო ამ ნაგვიანებ, უკანასკნელ ჟამს, თანაც წინა ღამე სატვირთო მანქანაში გაეტარებინა და ერთი ქულა მარაგში ჰქონდა. იგი ხიდისკენ შებრუნდა, მის ქვეშ გაიარა, იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე გასროლის ხმას გაიგონებდა და დაინტერესდებოდა, რამე ხომ არ მოხდაო. შემდეგ ხის ძირში მოსწორებულ ადგილს მიაგნო და წამოწვა. და მაშინვე იგრძნო ნელი, შეფარული, მაძიებელი შეხება, როცა მრავლისმომთმენმა, აუჩქარებელმა მიწამ თავისთვის ჩაილაპარაკა: „ასე, ასე, ძმობილო, ვიღაც, ასე ვთქვათ, ჩემს ზღურბლთან წამოწვა". მაგრამ მისთვის სულერთი იყო, მცირე ხნით რისკზე წასვლაც შეეძლო. კაცი იფიქრებდა, მაღვიძარა აქვსო. ზუსტად მაშინ გაეღვიძა, როდესაც ფოთლებს შორის გამოჩნდა, როგორ ქრებოდა ცაში მზის უკანასკნელი სხივები. ბინდ-ბუნდში ტყიდან ძლივს გამოაღწია და რკინიგზის ლიანდაგთან მივიდა. აქ მეტი შუქი იყო, ქალაქამდე დარჩენილ ერთ მილზე დაისი მიაცილებდა, სანამ სულ არ ჩაქრა და ადგილი ქალაქის გარეუბნების ძუნწი სინათლით შეფერილ სიბნელეს არ დაუთმო. აი, გამოჩნდა ქალაქის პირველი, წყნარი ქუჩა, შუქნიშნის უძრავი ხელიგადასასვლელზე და ერთადერთი ფარანი გზაჯვარედინზე, სადაც ველოსიპედზე შემოსკუპებულმა ზანგმა ბიჭმა იგი დროულად შეამჩნია, დაამუხრუჭა და შეჩერდა.

– გამარჯობა, ბიჭუნი, – უთხრა მინკმა და ძველებური, ნეგროიდული იდიომის გამოყენებით ჰკითხა, მისტერ ფლემ სნოუპსი სად არის გაჩერებულიო.

იმ დღეებში, უფრო სწორად, წინა ხუთშაბათს აქეთ, საღამოობით, დაახლოებით ათის ნახევრიდან თუ ათიდან, ფლემ სნოუპსს პირადი მცველი იცავდა, თუმცა ამ მცველის ცოლის გარდა, ამის შესახებ არავინ იცოდა – არც ჯეფერსონის რომელიმე მცხოვრებმა და არც თვითონ სნოუპსმა. ამ დარაჯს ლუთერ ბიგლინი ერქვა. შერიფის ბოლო არჩევნებამდე იგი სოფელში ცხოვრობდა, მწევრებს წვრთნიდა და სარეწაო ნადირობასა და ფერმერობას მისდევდა. მისი ცოლი შერიფ ეფრაიმ ბიშოპის ცოლისდის ქმრის ძმისშვილი იყო, დედა კი – ადგილობრივი პოლიტიკური ბოსის და, რომლის რკინის ხელიც ოლქის იმ უბანს მართავდა (როგორც ბებერი უილ უორნერისა – ფრენჩმენსბენდის საკუთარ უბანს), სადაც ბიშოპი აერჩიათ შერიფად. ამიტომ ბიშოპის შერიფობისას ბიგლინი ციხის ზედამხედველად დანიშნეს. უნდა ითქვას, რომ ეს დანიშვნა პროტექციით ჩვეულებრივი დანიშვნისგან განსხვავდებოდა. უფრო ხშირად, სამსახურებრივი იერარქიის ასეთ დაბალ თანამდებობაზე დანიშნული ადამიანი თავისი სამუშაოსადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენს, რადგან იქ მხოლოდ თავისი ნათესაობის ზეწოლით, სხვა

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის გამოსაძევებლად მოხვდა. მაგრამ ბიგლინი თავის სამუშაოს მგზნებარე, აღფრთოვანებამდე მისული ერთგულებით ასრულებდა და მტკიცედ სწამდა საკუთარი ნათესავის, შერიფის, შეუცდომლობის, პატიოსნებისა და ძლიერებისა. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, ვთქვათ, მიურატის არმიის უბრალო კაპრალს მარშლის სიმბოლური კვერთხისადმი თავისი მეთაურის ხელში. ის არა მხოლოდ პატიოსანი (შეეძლო, ირმებზე, იხვებსა და მწყრებზე ბრაკონიერული ნადირობისას კანონი დაერღვია, მაგრამ სიტყვას არასდროს გატეხდა), მამაცი ადამიანიც იყო. პერლ-ჰარბორის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბიძამისს შეეძლო მოეფიქრებინა, – და აუცილებლად მოიფიქრებდა, – როგორ დაეხსნა იგი სამხედრო სამსახურიდან, ბიგლინმა ნებაყოფლობით მიაშურა საზღვაო ქვეითთა რიგებს, სადაც გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ, სამხედრო სტანდარტის მიხედვით, მარჯვენა თვალით თითქმის ვერ ხედავდა. თვითონ ამას ვერ ამჩნევდა. ცოტას კითხულობდა, უმეტესწილად, რადიოს უსმენდა, მთელ ოლქში ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელად მიიჩნევდნენ, თუმცა ხელგაშლილად, არაეკონომიურად, მოუხერხებლად ისროდა. ცაცია იყო და მარცხენა მხრიდან უმიზნებდა. იმ დროის განმავლობაში, როდესაც წინა სამ პროფესიას მისდევდა, ყველაზე მეტი ტყვია ექნებოდა ნასროლი. ოცდაათი წლისთვის უკვე იარაღის ორი კომპლექტის გამოცვლა მოესწრო. ამასთან, მხედველობის დეფექტი გამოადგა კიდეც, ვინაიდან აღარ სჭირდებოდა თვალის გაშტერება სამიზნისა და მიზნის ერთდროულად დასანახავად ან მარჯვენა თვალის მოჭუტვა ზუსტად დამიზნებისთვის. ჰოდა, მან შეიტყო (არა ცნობისმოყვარეობის გამო, არამედ სისხლისმიერი ბიუროკრატიული ნაცნობობის წყალობით), თანაც შერიფზე ადრეც კი, ვინაიდან მან, ბიგლინმა, ეს მაშინვე დაიჯერა – რომ იმ წუთიდან, როდესაც სნოუპსი, როგორც იქნა, საკატორღო ციხიდან გამოუშვეს, არათუ საკუთარი ნათესავისადმი მისი მუქარის დავიწყება არ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გასულიყო, არამედ მისი უგულებელყოფაც, თუმცა ბიგლინის უფროსი აქეთ უფრო იხრებოდა.

ასე რომ, მისი მიზანი და განზრახვა, ძირითადად ის იყო, რომ თავისი სახლიკაცის, შერიფის, სამსახურებრივ ღირსებას ჩრდილი არ მისდგომოდა – შერიფს ხომ მოქალაქეთა სიმშვიდე, სიცოცხლე და კეთილდღეობა უნდა დაეცვა, რაშიც მას, ბიგლინს, თავისი წვლილი შეძლებისდაგვარად შეჰქონდა. ამასთან მას კიდევ ერთი მიზანი ამოძრავებდა, რომლის შესახებაც მხოლოდ მისმა ცოლმა იცოდა – ეს შერიფისთვისაც არ გაუმხელია, მხოლოდ ცოლს გაანდო: „შესაძლოა, აქ არაფერი ხდება, როგორც ჩვენი ნათესავი ეფი ამბობს, და ეს, უბრალოდ, იურისტ სტივენსის ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ წარმოიდგინე, რომ მართალი სტივენსია და არა ჩვენი ნათესავი ეფი. შენ მხოლოდ წარმოიდგინე...“ იგი მკაფიოდ ხედავდა ყველაფერს: უკანასკნელი წამები... მისტერ სნოუპსი უმწეოდ წევს ლოგინში, უკანასკნელად შეჰყვირებს, ამაოდ ითხოვს დახმარებას – თანაც იცის, რომ არავინ მივა საშველად, და აი, დანა (ნაჯახი, ჩაქუჩი, შეშის ნაპობი, რითაც შურისძიებას მოწყურებული მკვლელია შეიარაღებული) აღმართულია... მაგრამ ამ დროს ბიგლინი შემორბის, შემოვარდება, ერთ ხელში ფარანი უჭირავს, მეორეში – რევოლვერი. ერთი გასროლა და მკვლელი თავის მსხვერპლს ზემოდან ეცემა, მის სახეზე კი ნიშნის მოგებისა და ზეიმურობის

დემონურ გამომეტყველებას დაბნეულობა ცვლის... „მისტერ სნოუპსი ოქროში ჩაგვსვამს! აბა, როგორ! სხვა რა უნდა გააკეთოს!"

მაგრამ ვინაიდან მისტერ სნოუპსს ეს არ უნდა სცოდნოდა (შერიფმა ბიგლინს აუხსნა, რომ ამერიკაში არ შეიძლება თავისუფალი ადამიანის დაცვა, თუ ამას თვითონ არ მოითხოვს ან დახმარების მიღებას არ დასთანხმდება), ბიგლინი საძინებელ ოთახში ვერ ჩასაფრდებოდა, სადაც, წესით, უნდა ყოფილიყო. ამის ნაცვლად, იძულებული გახდა, მოსახერხებელი ადგილი მოეძებნა უახლოესი ფანჯრის ქვეშ, საიდანაც საძინებელშიგადაძრომას ან მკვლელისთვის იარაღის დამიზნებას მოახერხებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი ღამე იქ უნდა გაეტარებინა. იგი კარგი ზედამხედველი იყო ციხეში, კეთილსინდისიერი მუშაკი, სისუფთავეს იცავდა, პატიმრებს კარგად კვებავდა. გარდა ამისა, შერიფის წვრილმან დავალებებსაც ასრულებდა. და ახლა გამოძინება მთელი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ვახშამსა და იმ გარდაუვალ წუთს შორის შეეძლო, როდესაც სნოუპსის საძინებელი ოთახის ფანჯრებქვეშ თავისი პოსტი უნდა დაეკავებინა. ამიტომ ყოველ საღამოს, ივახშმებდა თუ არა, მაშინვე თვალის მოსატყუებლად წვებოდა, მისი ცოლი კი კინოში მიდიოდა, ათის ნახევრისთვის შინ ბრუნდებოდა და ქმარს აღვიძებდა. კაცს თან ფარანი, რევოლვერი, გასაშლელი სკამი და სენდვიჩი მიჰქონდა, გაციებისგან დასაცავად სქელ სვიტერს იცვამდა - სექტემბრის ბოლოს, ღამით, უკვე ძალიან ციოდა - და ჩუმად, გაუნძრევლად იდგა იმ ოთახის ფანჯრის პირდაპირ, სადაც, როგორც ყველა ჯეფერსონელმა იცოდა, სნოუპსი მთელ დროს ატარებდა, როდესაც ბანკში არ იმყოფებოდა, და შუქის ჩაქრობას ელოდებოდა. ამ დროისთვის მოსამსახურეები, ორი ზანგი, იქაურობას უკვე ტოვებდნენ. მაშინ ბიგლინი ფრთხილად გადადიოდა მდელოზე, სკამს გაშლიდა და ფანჯრის ქვეშ ჯდებოდა, თანაც ისე გაუნძრევლად იჯდა, რომ უპატრონო ძაღლები, რომლებიც ჯეფერსონში ღამით დაუსრულებლად დაწანწალებდნენ, ლამის ეჯახებოდნენ მას, მაგრამ ალღოთი, ყნოსვით, მოკლედ, რაღაცნაირად, ხვდებოდნენ, რომ არ ეძინა, და შეშინებულები უკანმოუხედავად გარბოდნენ. ასე იჯდა გათენებამდე, შემდეგ სკამს კეცავდა, ამოწმებდა, ჩაიდო თუ არა ჯიბეში სენდვიჩის ქაღალდი, და მიდიოდა. სხვათა შორის, სნოუპსს რომ არ სძინებოდა, მისი ქალიშვილი კი ასეთი ყრუ არ ყოფილიყო, ისინი უკვე კვირას გაიგებდნენ მის ხვრინვას, თუკი ღამით მოხეტიალე რომელიმე უპატრონო ძაღლი ალღოთი, ყნოსვით ან სხვაგვარად არ მიხვდებოდა, რომ მას ეძინა და მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, და ცივი დრუნჩით არ შეეჩეხებოდა.

ამის შესახებ მინკმა არაფერი იცოდა. მაგრამ რომც სცოდნოდა, არაფერი შეიცვლებოდა. ის ამ ყველაფერს - ბიგლინს, იმას, რომ ახლა სნოუპსს იცავდნენ - ისე შეხედავდა, როგორც მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი თანამდევი მტრული ძალების მხრიდან ათასგვარი წვრილმანი სისაძაგლის გამოგონების შეუზღუდავი უნარის კიდევ ერთ გამოვლინებას. ასე რომ, მინკს თუნდაც სცოდნოდა, რომ ბიგლინს უკვე დაეკავებინა პოსტი იმ ოთახის ფანჯრის ქვეშ, სადაც ფლემი იჯდა (არადა, სულაც არ ჩქარობდა, პირიქით, მას შემდეგ, რაც ველოსიპედზე შემოსკუპებულმა ზანგმა ბიჭუნამ გზა უჩვენა, გაიფიქრა: „ადრე მოვსულვარ, დაე, ჯერ ივახშმონ და ზანგი მსახურები სახლიდან წავიდნენ"), ზუსტად ასე მოიქცეოდა: ის არ იმალებოდა, არ მიიპარებოდა, უბრალოდ, სხვებისთვის უხილავად და უხმაუროდ გადაადგილდებოდა, გარდაუვალად უცხო, როგორც კოიოტი ან ტანმორჩილი

მგელი; არ იკუნტებოდა, ბიგლინივით ღობის ქვეშ არ იმალებოდა, არა, უბრალოდ, ჩაცუცქდებოდა ხოლმე, – სოფლელ კაცს ამ პოზაში საათობით შეეძლო ყოფნა, – ღობეს მიეყრდნობოდა და სახლს აკვირდებოდა. მას გონებაში ადრეც წარმოედგინა მისი სახე და ადგილმდებარეობა იმ ინფორმაციისა და ჭორების მიხედვით, რომლებიც შეუმჩნეველ წვრილ ნაკადად აღწევდა პარჩმენში, იგი ამ მონაცემებს გარეშე პირებისგან აგროვებდა და ისრუტავდა, ოღონდ არ ამჟღავნებდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის იმის ცოდნა, რის შესახებაც ეკითხებოდა. ახლა კი ამ შთამბეჭდავ, თეთრ, სვეტებიან შენობას შეჰყურებდა და მხოლოდ ერთგვარ სიამაყეს გრძნობდა – შურის ნასახის გარეშე – იმის გამო, რომ ასეთ სახლს ერთ-ერთი სნოუპსი ფლობდა. სხვა დროს, ხვალ, მიუხედავად იმისა, რომ არც ოცნებობდა და არც სურდა, რომ ამ სახლში მიეღოთ, უცხო ადამიანს, ალბათ, ამაყად განუცხადებდა: „აქ ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობს, ეს მისი საკუთარი სახლია".

გარეგნულად სახლი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც წარმოედგინა. აი, იმ კუთხის ოთახის განათებული ფანჯრები, სადაც, როგორც იცოდა, მისი ნათესავი იჯდა (ალბათ, უკვე ევახშმათ, მან მათ ამისთვის საკმარისი დრო გამოუყო), ფეხები სპეციალურ თამასაზე მიებჯინა, რომელიც, როგორც პარჩმენში მოეკრა ყური, მათმა სხვა ნათესავმა – მინკს ის არასდროს ენახა, ვინაიდან უოთ სნოუპსი ძალზე გვიან დაიბადა, – მიამაგრა ბუხრის ფიცარზე, გვერდით მდებარე ოთახის ფანჯრებიც განათებული იყო, თუმცა ამას არ მოელოდა – იცოდა, რომ დაყრუებულ ქალიშვილს ოთახი თავისთვის ზემოთ მოეწყო. მაგრამ იქ შუქი არ ენთო და ყრუ ქალიშვილი, ალბათ, ქვევით იჯდა. და თუმცა სამზარეულოდან გამომავალი შუქი იმას ნიშნავდა, რომ ზანგი მსახურები ჯერ არ წასულიყვნენ, სახლი ისე ძლიერ იზიდავდა, რომ წამოდგა კიდეც და ფანჯარასთან მისვლა გადაწყვიტა, რათა შეეხედა და თუ საჭირო იქნებოდა, დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს, არადა, ოცდათვრამეტი წელი სწავლობდა მოთმინებას და, წესით, სრულყოფილებისთვის უნდა მიეღწია. მაგრამ თუ ლოდინი გაუგრძელდებოდა, ფლემს შესაძლოა, დაწოლა გადაეწყვიტა და დაეძინა კიდეც, ამას კი ვერ აიტანდა, ამას ვერ დაუშვებდა – ისეთი დრო, თუნდაც წამი, უნდა დამდგარიყო, როცა იტყოდა: „შემომხედე, ფლემ", და ისიც შეხედავდა. მაგრამ მოახერხა და თავი შეიკავა, ტყუილუბრალოდ ხომ არ სწავლობდა მოთმინებას ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, და კვლავ ჩაიკუზა, ჩაიცუცქა და კომბინეზონის გულსაფარში ჩადებული მძიმე რევოლვერი გაისწორა. ქალიშვილის ოთახი, ალბათ, მეორე მხარეს იყო, მის ფანჯრებშისინათლე აქედან არ მოჩანდა. ის, რომ ქვემოთ მეორე ოთახშიც ენთო შუქი, არაფერს ნიშნავდა: ფლემივით მნიშვნელოვანი და მდიდარი კაცი რომ ყოფილიყო და ასეთ ლამაზ სახლში ეცხოვრა, თვითონაც ყველა სართულს გაანათებდა.

შემდეგ სამზარეულოში შუქი ჩაქრა, მალე ზანგების – მზარეული ქალისა და მეკარის – ხმებსაც მოჰკრა ყური. მათ ათიოდე ფუტში ლაპარაკ-ლაპარაკით ჩაუარეს მას (მინკს სუნთქვაც კი არ შეუკრავს), ღობეში ჩატანებული კუტიკარით გარეთ გავიდნენ და მალე მათი ხმა ქუჩის სიღრმეში თანდათანობით მიილია და მიწყდა. მაშინ ის მშვიდად, აუჩქარებლად წამოდგა, არა მალულად, არა დაფარულად: უბრალოდ, ისეთი პატარა და უსახური იყო, რომ კაციშვილი ვერ შეამჩნევდა; სახლის წინ მდებარე

გაზონის გავლით ფანჯარასთან მივიდა, ფეხის წვერებზე აიწია, შიგნით შეიხედა და თავისი ნათესავი დაინახა: ის მბრუნავ სავარძელში იჯდა, ზუსტად ისეთში, როგორიც ბანკში და ოფისში აქვთ, ფეხები ბუხრის დაფაზე მიებჯინა, შლაპა ეხურა, რასაც ელოდა კიდეც, ძველებურად გამოიყურებოდა, თუმცა მინკს ის ორმოცი წელი არ ენახა. არა, მცირე ცვლილება ეტყობოდა: პლანტატორის შავი შლაპა, რომლის შესახებაც მინკს პარჩმენში სმენოდა, ახლით შეეცვალა, მაგრამ პატარა პეპელა-ჰალსტუხი, შესაძლოა, ზუსტად ის იყო, რომელსაც ორმოცი წლის წინათ უორნერის მაღაზიაში ატარებდა. სამაგიეროდ, თეთრი, ქალაქური პერანგი და მუქი, ქალაქური შარვალი ეცვა, აგრეთვე გაკრიალებული ქალაქური ყელიანი ფეხსაცმელი და არა ფერმერის მძიმე ჩექმები. თითქმის არ შეცვლილიყო: იჯდა, არაფერს კითხულობდა, ფეხები აეპლაკა, შლაპა დაეხურა, ყბებს ნელა ამოძრავებდა, თითქოს რაღაცას ღეჭავდა.

დასარწმუნებლად, სახლისთვის უნდა შემოევლო და დაჰკვირვებოდა, ენთო თუ არა შუქი ზედა ფანჯრებში მეორე მხრიდან. დააპირა კიდეც ამის გაკეთება, მაგრამ უეცრად გაიფიქრა, ჯერ მეორე განათებულ ოთახში ხომ არ შევიხედო, რახან ასე ახლოაო, და კედელს ჩრდილივით უხმაუროდ და მსუბუქად გაუყვა, კვლავ ფეხის წვერებზე აიწია და მეზობელი ოთახის ფანჯარაში შეიჭყიტა. ქალიშვილი მყისვე დაინახა და იცნო. წიგნებს ოთახი თითქმის ჭერამდე გაევსო, – მინკს ვერც კი წარმოედგინა, თუ ისინი ამდენი იქნებოდნენ, – ქალი შუა ოთახში მდგარ მაგიდასთან, ლამპის ქვეშ, წიგნს კითხულობდა, რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, მუქ თმაში ერთადერთი ჭაღარა ზოლი მოუჩანდა: ამის შესახებ პარჩმენში სმენოდა. წამით მინკს კვლავ უწინდელი უმწეო გაშმაგება და წყენა დაეუფლა, რომელმაც კინაღამ ბოლო მოუღო მას, კინაღამ დაღუპა იგი ამ წამს – იმავე გაშმაგებამ და ბრაზმა შეიპყრო, როდესაც შეიტყო, რომ ქალი შინ დაბრუნდა, როგორც ჩანს, სამუდამოდ, და ახლა ფლემთან ერთად ცხოვრობდა, შემდეგ კი ორი-სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ფიქრობდა: „იქნებ არც არის ყრუ? იქნებ ყველას ასულელებს, ღმერთმა იცის, რა მოიფიქრა", ვინაიდან სიმართლის დასადგენად – ყრუ იყო ქალი თუ არა – მხოლოდ სხვებისთვის უნდა დაეჯერებინა, მეტიც, მესამე და მეოთხე პირების მიერ მოტანილი საეჭვო ინფორმაციისა და ჭორებისთვის. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, იეშმაკა, იცრუა და ციხის ექიმთან მოხვდა, მაგრამ კვლავაც დაბრკოლებას გადააწყდა: ვერ გაბედა ეკითხა ის, რაც უნდა შეეტყო, რისი გაგებაც აუცილებლად სჭირდებოდა. მხოლოდ ის დაადგინა, რომ აბსოლუტურად ყრუებსაც კი შეეძლოთ ჰაერის შერხევის შეგრძნება, თუკი ხმა საკმაოდ მძლავრად და საკმაოდ ახლოდან გაისმოდა.

„როგორც... როგორც..." – თავი ვერ შეიკავა მინკმა. მაგრამ რაღა დროს: ექიმმა სათქმელი მის ნაცვლად დაასრულა: „დიახ, დიახ, როგორც გასროლა. მაგრამ თუნდაც დაგვარწმუნოთ, რომ ყრუ ხართ, ეს აქედან გასვლაში როგორ დაგეხმარებათ?" – „დიახ, მართალი ხართ, – თქვა მინკმა, – რისთვის მჭირდება მათრახის ტლაშუნის მოსმენა, თუკი მას ისედაც ვგრძნობ".

მაგრამ ამ ყველაფერს მნიშვნელობა არ ჰქონდა: მან იცოდა, რომ ქალმა ოთახები თავისთვის მაღლა მოიწყო, იმ ჭორების მიხედვით კი, რომელსაც პარჩმენში იგებდა, – ამ შემთხვევაში, სხვა გზა არ ჰქონდა და ხალხისთვის უნდა დაეჯერებინა, არ შეეძლო, არ დაეჯერებინა, – დაადგინა, რომ მისი

ბიძაშვილი მუდმივად ქვევით მდებარე ოთახში იჯდა, თუმცა ლამის ციხეზე დიდი სახლი ჰქონდა. უეცრად კი ფანჯრიდან შეიხედა და ის იქ კი არ დაინახა, მაღლა, თავის ოთახში, სახლის მეორე ბოლოში, სადაც, წესით, უნდა ყოფილიყო, და როგორც საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ იქნებოდა, არამედ აქვე, გვერდით, მეზობელ ოთახში. მაშასადამე, ისიც კი, რისიც აქამდე სჯეროდა, რისი იმედიც ჰქონდა, შესაძლოა, როშვა და სისულელე აღმოჩენილიყო. ამისთვის არც ორი ოთახის დამაკავშირებელი კარის გაღება იქნებოდა საჭირო: ის ისედაც იგრძნობდა იმას, რასაც ციხის ექიმმა ჰაერის შერხევა უწოდა, ვინაიდან ქალს სიყრუე სულაც არ სჭირდა. ესე იგი, ყველაფერი მას ატყუებდა. ის კი მშვიდად ფიქრობდა: „მხოლოდ ერთი ტყვია დამრჩა, თუნდაც ორი გასროლის დრო მქონდეს, სანამ ქუჩიდან შემოვარდებიან. იქნებ შეშის ნაპობი ან რკინის ნაჭერი ვიპოვო". მინკმა იგრძნო, რომ ეს დაღუპვას, აღსასრულს ნიშნავდა. და უეცრად თავი შეიკავა, უფსკრულის პირას შეჩერდა, ბურტყუნებდა, საკუთარ თავს ეჩურჩულებოდა: „მოიცა, შეჩერდი, შეჩერდი. ხომ გითხარი, მოხუც ბატონს ხუმრობა არ უყვარს-მეთქი. ის მხოლოდ სჯის. ცხადია, ქალი ყრუა, განა ათი წელი არ გიმეორებდნენ, რომ ამის შესახებ მთელმა მისისიპის შტატმა იცის? მე ის წყეული პარჩმენელი ექიმი არ მიგულისხმია, არც გუშინდელი ზანგი, რომელიც ისე გათავხედდა, რომ თეთრ ადამიანს კინაღამ პირში მიახალა,მატყუარა ხარო, მე კი მხოლოდ ის ვთქვი, შესაძლოა, ხალხს ასულელებს-მეთქი. ამ ნიგერებმა ყველაფერი იციან თეთრი ადამიანების შესახებ, მათი ყველა საიდუმლო. ტყუილუბრალოდ ხომ არ ამბობენ, ზანგების მოყვარულია, თანაც ერთ-ერთი კომონისტიო. მის შესახებ არათუ იოკნაპატოფის ოლქში, მემფისსა და ჩიკაგოშიც ყველა ზანგმა იცოდა, ყრუ იყო თუ არა, თითქოს ყველაფერს ხვდებოდნენ, რაც მის გულში ხდებოდა. არა, ცხადია, ქალი ყრუა, კართან ზურგით ზის, ასე რომ, მას გვერდით უნდა ჩავუარო, იქ, ალბათ, მეორე კარიც იქნება, ჰოდა, სხვა გზით გავალ". და იგი წავიდა, აუჩქარებლად, არა ფეხაკრეფით, უბრალოდ, ძალიან პატარა, მსუბუქი და შეუმჩნეველი - სახლს შემოუარა, პორტიკის მაღალ სვეტებს შორის საფეხურები აიარა, უხმაუროდ გააღო წინკარის გისოსებიანი კარი, სტუმარივით, მნახველივით გაიარა ჰოლი და იმ ოთახის ღია კარი, სადაც ქალიშვილი იჯდა, მისკენ არც გაუხედავს, მეორე კარს მიუახლოვდა, კომბინეზონის გულსაფრიდან რევოლვერი ამოიღო, აჩქარებით და ოდნავ დაბნეულად გაიფიქრა, თითქოს სუნთქვა უჭირდა: „მხოლოდ ერთი ტყვია მაქვს, მაშასადამე, თავში, სახეში უნდა ვესროლო. ერთი ტყვიით ტანში ვერ გავრისკავ". მინკი ოთახში შევიდა, სადაც მისი ნათესავი იჯდა და მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა.

მას არ მოუწია, ეთქვა: „შემომხედე, ფლემ". მას უკვე მოეტრიალებინა თავი და მხარზემოდან უყურებდა. ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ ღეჭვა შეწყვიტა. შემდეგ ამოძრავდა, სავარძელში ოდნავ გადაიხარა და სწრაფად დააპირა ბუხრის ფიცრიდან ფეხების ჩამოღება. სავარძელიც ნელ-ნელა შემოტრიალდა, როდესაც მისგან ხუთ ფუტში გაჩერებულმა მინკმა ორი ხელით ასწია მოკლე, გომბეშოს ფორმის, ფოლადისფერი, დაჟანგული რევოლვერი, ჩახმახი შეაყენა, დაუმიზნა, გაიფიქრა: „სახეში უნდა მოარტყას" - „უნდა მოვარტყაო" კი არა, „უნდა მოარტყასო", - და სასხლეტს დააწვა. უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა უნდილი, სულელური, თითქმის არხეინი ტკაცუნი. მის სახლიკაცს ფეხები იატაკზე დაედგა, სავარძელში მინკისკენ სახით ნახევრად შემობრუნებულიყო და უმოძრაოდ,

გულგრილადაც კი აკვირდებოდა, როგორ სწევდა ჭუჭყიანი, აცახცახებული, გამხდარი, მოშინაურებული მაიმუნის თათების მსგავსი ხელებით ჩახმახს და მბრუნავ ცილინდრს ერთი ბუდით უკან ატრიალებდა, რათა ვაზნა კვლავ საცემელთან მოხვედრილიყო. მინკს შიგნიდან, წარსულიდან, რაღაც ბუნდოვანმა უბიძგა: არა გაფრთხილებამ ან რამის განმეორებამ, არამედ, უბრალოდ, რაღაც ბუნდოვანმა, ნაცნობმა, მაგრამ უკვე უმნიშვნელომ, ვინაიდან მას არც ადრე ჰქონდა მნიშვნელობა, ვერც ადრე შეცვლიდა რამეს და ვერც ვერაფერს შეახსენებდა. ესეც წამსვე უკუაგდო: „ყურადღებით, – გაიფიქრა მან, – ყველაფერი გამოვა. მოხუც ბატონს ხუმრობა არ უყვარს". მინკმა ჩახმახი შეაყენა და კვლავ დაუმიზნა რევოლვერი ორივე ხელით, მისი სახლიკაცი არც ახლა განძრეულა, მხოლოდ ნელა დაიწყო ღეჭვა, თითქოს ჩახმახის უკნიდან გაელვებულ, სინათლის მქრქალ წერტილს აკვირდებოდა.

საშინლად დაიქუხა, მაგრამ მინკს არაფერი გაუგონია. მისი ნათესავის სხეულმა ერთგვარი გაშმაგებით, უცნაურად, ნელ-ნელა დაიწყო წინ ვარდნა და სავარძელიც თან წამოიყოლა. მინკს გასროლით გამოწვეული ხმაური არაფრად ჩაუგდია, თუმცა მოეჩვენა, რომ როცა სავარძელი იატაკზე დაენარცხებოდა, მთელ ჯეფერსონს გაეღვიძებოდა. იგი განზე გახტა. ერთ წამს უნდოდა, საკუთარი თავისთვის ეთქვა, შეეძახა: „შეჩერდი! შეჩერდი! შეამოწმე, მოკვდა თუ არა, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრება!" ოღონდ შეჩერება აღარ შეეძლო. ვერც კი გააცნობიერა, როგორ დაინახა სხვა კარი სავარძლის უკან მდებარე კედელში, მაგრამ ეს კარი უეცრად მის წინ აღმოჩნდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად გადიოდა ის, მთავარია, აქაურობას მოსცილებოდა, წინ წასულიყო და არა უკან, ოთახში. მივარდა მას, სახელური გადაატრიალ-გადმოატრიალა, შეაჯანჯღარა კიდეც. მაშინაც განაგრძობდა მის ჯანჯღარს, როდესაც მიხვდა, რომ ჩაკეტილი იყო, მაშინაც, როდესაც უკნიდან რაღაც ხმა მოესმა. შემდეგ უკან გადახტა და შემოსასვლელ კარში მდგარ ქალს მოჰკრა თვალი. თავდაპირველად გაიფიქრა, „მაშასადამე, მან ყველაფერი გაიგონაო", მაგრამ უეცრად მიხვდა: მას არაფრის გაგონება არ სჭირდებოდა, იგი აქ მის დასაღუპავად იმავე ძალას მოეყვანა, რომელსაც წამში შეეძლო მისი აფეთქება, მტვრად გადაქცევა, ადგილზევე განადგურება. მეორე ვაზნა რომ ჰქონოდა, ჩახმახის განმეორებით შეყენებასა და იარაღის ქალისთვის დამიზნებას ვერ მოასწრებდა. ამიტომ რევოლვერი მოიქნია და ესროლა, თუმცა გონზე მოსვლა ვერ მოასწრო, რომ რევოლვერი უკვე ქალს დაუნახა ხელში, რომელმაც იარაღი მას გაუწოდა და იხვივით ყიყინა ხმით ყრუდ წარმოთქვა:

– აჰა, აიღეთ. ეგ კარადაა, გასასვლელი კი აქეთაა.

თავი მეთვრამეტე

– მანქანა გააჩერეთ, – თქვა სტივენსმა.

რეტლიფმა დაამუხრუჭა. საჭესთან თვითონ იჯდა, თუმცა მანქანა სტივენსის იყო. მათ გზატკეცილიდან გზაჯვარედინთან გადაუხვიეს, უორნერის მაღაზიის, წისქვილის, სამჭედლოსა და ეკლესიის მიღმა, რომლებიც ერთ

მუჭა საცხოვრებელ სახლებთან და სხვა შენობებთან ერთად დასახლებას ქმნიდნენ, სადაც უკვე თითქმის ბნელოდა, თუმცა საათი მხოლოდ ათის ნახევარს უჩვენებდა. უკან ფართო, სწორი, ნაყოფიერი ველი დარჩა, რომელზეც ბებერი უორნერი – მას ოთხმოცისთვის გადაებიჯებინა, თმა გასთეთრებოდა, ბოლო ათი წელი დაქვრივებულს გაეტარებინა (ცოლი მოკვდომოდა), ორი წლის წინათ კი მოულოდნელად ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა ქალზე დაქორწინებულიყო, თუმცა მანამდე იგი მის ერთ-ერთ შვილიშვილს დაენიშნა, ყოველ შემთხვევაში, უყვარდა – საგირავნო ფურცლებსა და თამასუქებს ფლობდა, იქ, სადაც ნაკვეთები მას ჯერ არ ეკუთვნოდა. ახლა ისინი ბორცვებს მიახლოებოდნენ, სადაც ფერმერთა ნახევრად დანგრეული, დაცერებული, უბადრუკი სახლები იდგა, რომლებიც ქაღალდის ნაგლეჯებს ჰგავდა ბორცვების ეროზირებულ ნაკეცებს შორის. გზა მოუკირწყლავი, მოუხეშავი იყო, წინ, ალბათ, გაუვალიც კი იქნებოდა. უკვე ახლა ფარების უძრავ შუქში (რეტლიფს მანქანა გაეჩერებინა) იგი გამოფიტულ ღრანტეებს ჰგავდა და ბორცვზე მიიკლაკნებოდა წვრილ, გაწეწილ ფიჭვებსა და უსარგებლო ჯაგნარს შორის. მზე ეკვატორს გასცდენოდა და სასწორის თანავარსკვლავედში იდგა. კვირის თქორისა და მთელი ორშაბათის განმავლობაში ცვალებადი სიგრილის შემდეგ, მოძრაობის შეჩერება და ძრავის უქმ სვლაზე მუშაობა ადამიანს შემოდგომას უფრო მძაფრად აგრძნობინებდა. ფიჭვებისა და ახალგაზრდა მუხების დაკბილული ტყეები ზამთარს, წვიმასა და ყინვას დიდად ვერ გაუმკლავდებოდა. თუთუბოს, სასაფრასისა (სასაფრასი – დაფნისებრთა ოჯახის ფოთოლმცვივანი ხეებისა და ბუჩქების გვარი) და ხურმის ხეების ქვეშ დაღლილი მიწა სიცივეს შეეწითლებინა, ხურმის ნაყოფით დამძიმებული ტოტები სუსხსა და ოპოსუმებზე მონადირე ძაღლების ყეფასღა ელოდებოდნენ.

– რატომ გგონიათ, რომ თუნდაც მივაღწიოთ, მას იქ მივაგნებთ? – იკითხა სტივენსმა.

– სხვაგან სად უნდა იყოს? – მიუგო რეტლიფმა, – სად უნდა წავიდეს? პარჩმენში დაბრუნდეს მის გამოსაყვანად გაწეული ამდენი შრომისა და ფულის დახარჯვის შემდეგ? აქვს კი სახლის გარდა სადმე წასასვლელი?

– მას არც სახლი აქვს, – თქვა სტივენსმა, – გახსოვთ, ორი თუ სამი წლის წინათ აქ რომ ჩამოვიარეთ იმ ახალგაზრდის მოსაძებნად... რა ერქვა?

– ტერპინი, – შეახსენა რეტლიფმა.

– იგი გასაწვევ პუნქტში არ გამოცხადდა და მის სანახავად გავეშურეთ. სახლი უკვე მაშინ აღარ არსებობდა – მხოლოდ სახურავის ნაწილი და რამდენიმე კედელი, რომლებიც ჯერ არ დაეშალათ შეშის მასალად. თუმცა სამი წლის წინანდელი გზა ჯობდა.

– დიახ, – თქვა რეტლიფმა, – ხალხი მასზე მორებს მიათრევდა, ამიტომაც ის უფრო სწორი და გლუვი იყო.

– ახლა, ალბათ, ის კედლებიც აღარ იქნება.

– იმ სახლს სარდაფი ჰქონდა, – შენიშნა რეტლიფმა.

– მიწაში ამოთხრილი ორმო? – იკითხა სტივენსმა, – მხეცის სოროსავით?

– ის დაიღლებოდა, – თქვა რეტლიფმა, – არადა, სამოცდასამი თუ სამოცდაოთხი წლისაა. ოცდათვრამეტი წელი დაძაბულობა არ მოჰკლებია, ამ ბოლო... დღეს რა დღეა? ხუთშაბათი? ამ ბოლო შვიდ დღეზე არაფერს ვამბობ. ახლა კი დაძაბულობა გაუქრა, შემაკავებელი არაფერი დარჩა. წარმოიდგინეთ, რომ ოცდათვრამეტი წელი ელოდით, რათა ის გაგეკეთებინათ, რაც გსურდათ, და, როგორც იქნა, გააკეთეთ. თქვენც არაფერი დაგრჩებოდათ. ასე რომ, ახლა, ცოტა ხანს, მინკი სიბნელეში და სიჩუმეში უნდა წამოწვეს.

– ამაზე გასულ ხუთშაბათს უნდა ეფიქრა, – თქვა სტივენსმა, – ახლა უკვე გვიანაა.

– მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ ამისთვის მოვედით აქ, ასე არაა? – იკითხა რეტლიფმა.

– კარგი, – თქვა სტივენსმა, – წავიდეთ.

მაგრამ, ამის ნაცვლად, რეტლიფმა ძრავა საერთოდ გამორთო. მათ ახლა უფრო მძაფრად შეიგრძნეს და გააცნობიერეს ამინდის შეცვლა, ზაფხულის დასასრული. აქა-იქ კიდევ შემორჩენილიყვნენ ჩიტები, მაგრამ საღამოს ჰაერში მწერების მრავალხმიანობა აღარ ისმოდა. მხოლოდ ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ ჯაგნარსა და მოთიბული მდელოების ნაწვერალში, სადაც დღისით ყოველი მხრიდან მოულოდნელად მოცვივდებოდნენ ხოლმე მტვრისფერი კალიები. უეცრად სტივენსმა იგრძნო, რაც ელოდა, რაზეც ახლა რეტლიფი ალაპარაკდებოდა.

– მაშასადამე, თქვენი აზრით, ლინდამ არაფერი იცოდა, რას მოიმოქმედებდა ეს გველის წიწილი გამოშვებისთანავე, – თქვა რეტლიფმა.

– ცხადია, არ იცოდა, – მიუგო სტივენსმა სწრაფად, ძალიან სწრაფად, ძალზე დაგვიანებით, – წავედით.

მაგრამ რეტლიფი არ განძრეულა. სტივენსმა შეამჩნია, რომ მას ხელი გასაღებზე ედო, ასე რომ, თვითონ მანქანას ვერ დაქოქავდა.

– დღეს საღამოს ის, ალბათ, მემფისში გაჩერდება, – ჩაილაპარაკარეტლიფმა, – ახლა მას მდიდრული, თანაც ახალთახალი მანქანა ჰყავს.

სტივენსს ყველაფერი ახსოვდა. მას კი დავიწყება სურდა. ქალმა თვითონ უამბო ყველაფერი – ანმას ასე ეგონა – დღეს დილით, მას შემდეგ, რაც აუხსნა, თუ ვის სახელზე გაემზადებინა ნაჩუქრობის ბარათი: მან თქვა, რომ არ სურდა მისი ეგრეთ წოდებული მამის ავტომობილი – უკვე შეეკვეთა მემფისში ახალი მანქანა, რომელსაც დაკრძალვის დამთავრებისთანავე ჩამოუყვანდნენ, რათა მაშინვე შეძლებოდა გამგზავრება, სტივენსს კი შეეძლო, ნაჩუქრობის ბარათი ხელმოსაწერად მისთვის სახლში მიეტანა, სადაც ისინი ერთმანეთს დაემშვიდობებოდნენ ან იმას იტყოდნენ, რაც მათ დამშვიდობების წინ სათქმელი დარჩებოდათ.

დიდებული დაკრძალვა იყო: სახელგანთქმული ბანკირი და ფინანსისტი, ძალ-ღონის გაფურჩქვნის ხანაში მყოფი თუ არა, სიმდიდრეში ჩაფლული მაინც, რევოლვერის ტყვიამ იმსხვერპლა, ოღონდ ისეთი რევოლვერის ტყვიამ კი არა, როგორიც ბანკირს ეკადრებოდა, ვინაიდან საკუთარ საძინებელში საღამოს ცხრა საათზე მოკლულ ბანკირს მანამდე ძილი ნებისა უნდა ესურვებინა შტატის ან ფედერალური (ან ორივე) ბანკის ინსპექტორისთვის. ის (განსვენებული) არც საზოგადოებრივ, არც სამხედრო და არც სამოქალაქო, მხოლოდ ფინანსურ ორგანიზაციებს წარმოადგენდა. მას არც ეკონომიკასთან ჰქონდა რამე კავშირი, მაგალითად, მესაქონლეობასთან ან მეგამბეობასთან, ანუ იმასთან, რაზეც გაიზარდა და რითაც ცხოვრობდა მისისიპის შტატი და იოკნაპატოფის ოლქი, არამედ მხოლოდ კაპიტალთან. მართალია, იგი ჯეფერსონის ეკლესიის მრევლს მიეკუთვნებოდა, რასაც ეკლესიის შენობის მორთულობა და მიშენებები მოწმობდა, მაგრამ ეკლესიასთან მის ურთიერთობას მსახურება, ჭეშმარიტი კავშირი ან თუნდაც ცოდვების მიტევების იმედი კი არ განაპირობებდა, არამედ, უბრალოდ, დროებითი ზავი ორ შეურიგებელ ბანაკს შორის.

მაგრამ დაკრძალვას არა მხოლოდ მთელი ოლქი, მთელი შტატი დაესწრო. გარდაცვლილის ქალიშვილის დაჟინებით, ისიც (სტივენსი) პირველ რიგში იდგა მის გვერდით, როგორც წარმოდგენის უშუალო მონაწილე. ის, ლინდა, ლინდას ბიძა ჯოდი, რომელსაც, მამამისივით, გრძელ ჩონჩხზე ღიპისა და ღაბაბების ასი გირვანქა ახორხლოდა, და იქვე – დიახ, სწორედაც რომ – უოლსტრიტ სნოუპსი, უოლსტრიტ პანიკა სნოუპსი, რომელიც სნოუპსივით არასდროს იქცეოდა და გარეგნობითაც არ ჰგავდა სნოუპსებს: ამჟამად მაღალ მუქთმიან მამაკაცს წარმოუდგენლად ნაზი, ბავშვური, გველის სუროსავით ცისფერი თვალებით, კარიერა ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე დაეწყო საბაყლოში დამტარებელ ბიჭად, რათა საკუთარი თავი და უმცროსი ძმა, ადმირალი დიუი ერჩინა, შემდეგ ჯეფერსონში საბითუმო საბაყლო ვაჭრობას მიჰყო ხელი და მთელ ოლქს ამარაგებდა, ბოლოს კი ოჯახთან ერთად მემფისში გადავიდა და საბითუმო საბაყლო საწყობების მთელი ქსელის მფლობელი გახდა და არა მხოლოდ მისისიპის შტატის ნახევარს, ტენესისა და არკანზასსაც ამარაგებდა. ყველანი მორცხვად შენიღბულ ორმოსთან იდგნენ, მეორე საფლავის გვერდით, რომელზეც ქმარმა კი არა (მან მხოლოდ შეუკვეთა და ფული გადაიხადა), თვითონ სტივენსმა აღმართა მარმარილოს აღმაშფოთებელი ტყუილი, რომლის ფასადაც ცხრამეტი წლის წინათ ლინდას თავისუფლება იქნა ნაყიდი. და მას, სწორედ მას უნდა აღემართა ახლა მეორე, იმ პირველით წინასწარ განსაზღვრული სიცრუე. მათ – ლინდამ და მან – უკვე იმსჯელეს ამის შესახებ დილით.

– არა, არაფერია საჭირო, – თქვა ქალმა.

„საჭიროა", – დაწერა სტივენსმა.

– არა, – გაიმეორა ქალმა. კაცმა მხოლოდ ფირფიტა ასწია და დაწერილი სიტყვა დაანახვა; ხომ ვერ დაწერდა „შენთვისაა საჭიროო". თუმცა ამის გაკეთება არც დასჭირვებია.

– მართალი ხართ, – უთხრა ქალმა, – თქვენ მეორის დადგმაც მოგიწევთ.

კაცმა დაწერა: „ჩვენ".

– არა, – თქვა ქალმა, – მხოლოდ თქვენ. ჩემ ნაცვლად ყველაფერს ყოველთვის თქვენ აკეთებდით. და ყოველთვის გააკეთებთ. ახლა ვიცი, რომ თქვენ გარდა არავინ მყავდა. სიმართლე გითხრათ, თქვენ გარდა, არც არავინ მჭირდებოდა.

სტივენსი კუბოსთან იდგა, უსმენდა, როგორ სწრაფად და შეუფერხებლად მიჰყავდა წირვა ბაპტისტ მღვდელს, და სახეებს შეჰყურებდა – ქალაქელებს, სოფლელებს, მოქალაქეებს, რომლებიც ქალაქის საზოგადოების (ქალაქსაც ხომ უნდა მიეღო მონაწილეობა ამ დაკრძალვაში) ან საკუთარი სახელით მოსულიყვნენ, ვინაიდან ოდესმე ისინიც აღმოჩნდებოდნენ იქ, სადაც ახლა ფლემ სნოუპსი იწვა, გარდაცვლილები, მარტოხელები, უმეგობროები. შეჰყურებდა მათ მორიდებულ, უსახელო, იმედიან სახეებს, რომლებსაც ფლემის ან მისი ბანკის ვალი ჰქონდათ, და როგორც ხშირად ემართებათ ადამიანებს, იმედოვნებდნენ, შესაძლოა, მტკიცედ სჯეროდათ კიდეც, რომ ახლა, ფლემის დაღუპვის შემდეგ, ვალს დაივიწყებდნენ ან, უბრალოდ, დოკუმენტებს დაკარგავდნენ, არ მოითხოვდნენ, არ მოსთხოვდნენ. და უეცრად მან სხვა რამ დაინახა. ისინი ბევრნი არ იყვნენ: მან მხოლოდ სამი მოძებნა. მათაც უბრალო, სოფლური, სხვა სოფლელებისგან არაფრით გამორჩეული სახეები ჰქონდათ; ეს სახეები კრძალვით იმალებოდნენ სადღაც უკან, ბრბოში, და მოულოდნელად ისინი გამოირჩნენ, წინ გამოვიდნენ, და ის მაშინვე მიხვდა: სნოუპსები! უწინ ისინი არასდროს ენახა, მაგრამ უდავოდ სნოუპსები იყვნენ – არა, უცნაურები არა, უბრალოდ, ერთნაირები,ერთმანეთის მსგავსნი, არა იმდენად გამომეტყველებით, რამდენადაც დაძაბული მიზანდასახულობით. ელვისებურად გაუარა თავში, როგორც ეს წამიერი შიშის დროს ხდება, როდესაცუეცრად გაგაღვიძებენ: „ისინი მგლებს ჰგვანან, რომლებიც ხაფანგის სანახავად მოვიდნენ, სადაც უფრო მოზრდილი მგელი დაიღუპა, უფროსი მგელი, წინამძღოლი მგელი, ბუღა მგელი, როგორც რეტლიფი იტყოდა. ახლა უყურებენ, სატყუარას ნაწილი თუ შეხვდებათ".

შემდეგ ამ შეგრძნებამ გაუარა. მუდმივად ვერ იწრიალებდა, ამასობაში მღვდელმაც დაასრულა წირვა და დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენელმა ხელით ანიშნა რჩეულებს, ოფიციალურად დაობლებულებს, რომ მას გაჰყოლოდნენ, და როდესაც სტივენსმა მიიხედა, როდესაც მიხედვა შეძლო, ის სახეები უკვე გამქრალიყვნენ. ლინდა სასაფლაოზე დატოვა. უფრო სწორად, იგი ბიძამისს უნდა წაეყვანა შინ, სადაც ახალი მანქანა ელოდებოდა, რომელიც ტელეფონით გამოეძახებინა მემფისიდან – ჯერ კიდევ გუშინ გადაეწყვიტა, რომ დაკრძალვის დასრულებისთანავე ნიუ-იორკში გამგზავრებულიყო. იმ დროისთვის, როდესაც იგი მასთან მივიდოდა და ნაჩუქრობის ბარათს მიუტანდა ხელმოსაწერად, ალბათ, უკვე გამზადებული დახვდებოდა, ბარგიც ჩაწყობილი ექნებოდა ახალ მანქანაში.

ამიტომ სამსახურში შეიარა და ის ქაღალდი, ნაჩუქრობის ბარათი, აიღო (ჩვეულებრივი, ერთი დოლარის ოდენობის საგერბო მოსაკრებლით), რომლის მიხედვითაც სახლი და კარ-მიდამო დე სპეინების ოჯახს უბრუნდებოდა. ის თვითონ ლინდას შეედგინა ისე, რომ მისთვის წინასწარ არაფერი უთქვამს და, ცხადია, არც რჩევა უკითხავს. მან ვერ მოახერხა მანფრედის მოძებნა,

რომელსაც სნოუპსმა სახლიც წაართვა, ბანკიც და ყველაფერი, რაც მას, მანფრედს დარჩენოდა ჯეფერსონში – პატიოსანი კაცის სახელი, სამაგიეროდ, მისი ნათესავებისთვის მიეგნო: მანფრედის მამის, მაიორ დე სპეინის ერთადერთი დისა და მისი ერთადერთი ქალიშვილისთვის – დედაბერი, ლოგინიდან რომ ვეღარ დგებოდა, ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა სამოცი წლის გაუთხოვარ შვილთან, ლოს-ანჯელესის გარეუბანში მდებარე სკოლის ყოფილ დირექტორთან ერთად, და მან, ლინდამ, ისინი იპოვა, გამოჩხრიკა, საკუთარ იურისტთან მოუთათბირებლად. აღმაშფოთებელია, როდესაც კეთილი სამარიტელი, ფილანთროპი და კეთილისმყოფელი არა მხოლოდ თვითონ პოულობს, არამედ თვითონვე ირჩევს, თუ რა მადლი გაიღოს, და ამას საქველმოქმედო ორგანიზაციების იურისტების, მდივნებისა და მრჩევლების დაუხმარებლად აკეთებს, პირიქით, მათ განზრახ არ მიმართავს. აღმაშფოთებელია, სიმართლე ითქვას, ანტისაზოგადოებრივიც კია, როდესაც ამდენ ადამიანს პირიდან ლუკმას გამოაცლით.

ბარათს მხოლოდ ლინდას ხელმოწერა აკლდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ სტივენსმა მანქანა ქალის სახლთან, ქუჩის კუთხეში გააჩერა, ყურადღება არ მიუქცევია შესასვლელთან შეგროვილი ადამიანების მცირე ჯგუფისთვის – მამაკაცებისთვის, ბიჭებისთვის, ორი-სამი ზანგისთვის – და მხოლოდ ხმამაღლა ჩაილაპარაკა: „ადგილობრივი მოყვარულები მის ახალ ავტომობილს ათვალიერებენ". შემდეგ თავისი მანქანა დააყენა, პორტფელი აიღო, კარისკენ გაემართა, თვალი შეავლო იქ მყოფთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მის გზაზე აღმოჩნდნენ, და უეცრად, სასხვათაშორისოდ, ჯერ კიდევ ბუნდოვანი გაოცებით თქვა: „ეს ხომ ბრიტანული „იაგუარია", თანაც სრულიად ახალი". და წავიდა, შეუჩერებლივ, მაგრამ მოულოდნელად მოეჩვენა, რომ კიბეზე ადიოდა, ის კი მის ფეხებქვეშ დატრიალდა. მიდიოდა, ადიოდა, ძალას ხარჯავდა, მაგრამ ერთ ადგილას იდგა. ეს ისე სწრაფად, ისე მყისიერად ხდებოდა, ეგონა, აქ მხოლოდ მისი სული იყო, სხეულს კი ინერციით მომდევნო საფეხურზე გადაენაცვლა. გაიფიქრა: „არ არსებობს დედამიწის ზურგზე ადგილი, საიდანაც ახალთახალი „იაგუარის" ჯეფერსონში, მისისიპიში ჩამოყვანას მოასწრებდნენ გუშინდელი დღის, მით უმეტეს, წუხანდელი სატელეფონო ზარის შემდეგ". შემდეგ კი სასოწარკვეთილმა მიამატა: „არა! არა! ეს შესაძლებელია! ასეთი მანქანა იყიდებოდა, მას მემფისში მიაგნეს წუხელ ან დღეს დილით – ჩვენი მერყევი, არამყარი სამყარო მხოლოდ დამთხვევებითა და შემთხვევითობით სულდგმულობს". იგი თამამად მივიდა მანქანასთან, თან ფიქრობდა: მაშასადამე, მას ჯერ კიდევ წინა ხუთშაბათს გადაეწყვიტა, რომ გაემგზავრებოდა, უბრალოდ, სამშაბათამდე, საღამომდე არ იცოდა, ეს რომელ დღეს მოხდებოდა". ახალთახალი მანქანა ბრწყინვალედ, უზადოდ გამოიყურებოდა, იქვე ახალგაზრდული, წესიერი შესახედაობის აგენტი თუ ტექნიკოსი იდგა, ზანგ მეკარეს სადარბაზო შესასვლელიდან რაღაც ნივთები გამოჰქონდა.

– გამარჯობა, – უთხრა სტივენსმა, – შესანიშნავი მანქანაა. სრულიად ახალია, არა?

– რასაკვირველია, – მიუგო აგენტმა თუ ტექნიკოსმა, – ის ჯერ მიწასაც არ შეხებოდა, სანამ გუშინ მისის კოლმა არ დაგვირეკა.

– ბედი ჰქონია, რომ ადგილზევე აღმოგაჩნდათ მისი შესაფერისი მანქანა, – ჩაილაპარაკა სტივენსმა.

– არა, ჩვენ ის ჯერ კიდევ ათ რიცხვში მივიღეთ. როდესაც მანქანა შეგვიკვეთა, ჯერ კიდევ ივლისში, გვითხრა, რომ ჩვენთან დაგვეყენებინა, სანამ არ დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, როდესაც მამა... გარდაეცვალა, გეგმები შეეცვალა.

– დიახ, ასეთი მოვლენები ბევრ რამეს ცვლის, – თქვა სტივენსმა, – მაშასადამე, შეკვეთა ჯერ კიდევ ივლისში მიიღეთ?

– დიახ. ამბობენ, ის კაცი ჯერ არ დაუჭერიათო, არა?

– ჯერჯერობით, არა, – მიუგო სტივენსმა, – საუცხოო მანქანაა. ასეთზე მეც არ ვიტყოდი უარს, – იგი შესასვლელი კარისკენ დაიძრა, მის ნაბიჯებს მიჩვეულ საფეხურებს აუყვა და ნაცნობ ოთახში შევიდა. ლინდა იდგა და უყურებდა, როგორ მოდიოდა სტივენსი, უკვე სამგზავროდ გამოწყობილიყო, ახლადგაუთოებული კომბინეზონი ეცვა, ტუჩები შეეღება, სახეზე უხვად წაესვა ქარისგან დამცავი კრემი. სკამზე გაცვეთილი საწვიმარი ლაბადა, საფულე, სქელი ხელთათმანი და შარფი ეწყო. მან თქვა:

– ყოველ შემთხვევაში, არ მომიტყუებიხართ. შემეძლო, თქვენს წასვლამდე მანქანა გარაჟში დამემალა, მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ.

მას ეს სიტყვებით არ წარმოუთქვამს, ხმამაღლა კი თქვა:

– მაკოცეთ, გევინ, – თვითონ კი მიუახლოვდა, ხელები მოხვია და მტკიცედ, აუჩქარებლად დაეწაფა მის ტუჩებს, ძლიერად და გაბედულად, ტუჩებგაშლილი, სტივენსიც მოეხვია მას, როგორც უწინ ხდებოდა, ხელი ზურგიდან ქვემოთ ჩააცურა, სადაც გაორებული ამობურცულობა მრგვლად და მკვრივად ამოსწეოდა მაგარი ნაცრისფერი ქსოვილის ქვეშ, მაგრამ პასუხი ვერ იგრძნო, – პასუხი არასდროს იყო და არც იქნებოდა, – ერთგულებისთვის არც მუქარა არსებობს, არც – საფრთხე, თუნდაც არაფერი ყოფილიყო ხელსა და ქალის გაორებულ მრგვალ ნაწილს შორის, და კაცი ყოველთვის მხოლოდ ეხებოდა მას, ყველაფერს ხვდებოდა და ყველაფერს იღებდა, ოღონდ არა უიმედოდ, არა სიმწრით, არამედ მხოლოდ სევდით. ის მხოლოდ უკნიდან იჭერდა მას, როგორც ხელისგულზე იჯენენ ხოლმე ბავშვის უმანკო, ჩამოუყალიბებელ სხეულს. მაგრამ არა ახლა, არა ამჯერად. მან შიში იგრძნო და შეშინებულმა გაიფიქრა: „როგორ არის ნათქვამი? „მამაკაცი, რომელიც საცრად იზიდავს ქალებს იმით, რომ მხოლოდ თავისი ყოფნითაც კი თავდაჯერებულობას მატებს მათ, თითქოს მათი გულისთვის ნებისმიერი მსხვერპლის გასაღებად მზადაა". ოღონდ ახლა პირიქით, ყველაფერი პირიქით იყო: სულელი, გულუბრყვილო, არ იცოდა, როგორ გაეტანა ბურთი ბეისბოლში, ისიც კი არ იცოდა, რომ თამაშში მონაწილეობდა. ასეთების ცდუნებაც კი არ იყო საჭირო, ვინაიდან მათ დიდი ხნის წინათ დაგადგეს თვალი, მათ მხოლოდ იმიტომ აგირჩიეს, რომ სჯეროდათ: რადგან აგირჩიეს, არა მხოლოდ მზად იყავი, არა მხოლოდ თანახმა იყავი, არამედ გაგიჟებით გინდოდა მათი გულისთვის ნებისმიერი მსხვერპლის გაღება, ოღონდ ამისთვის ორივეს ნამდვილი, ღირებული მსხვერპლი უნდა მოგეფიქრებინათ. მან გაიფიქრა: „ის ახლა მიხვდება, რომ არ შეუძლია, მენდოს, და მხოლოდ

იმედოვნებს, რომ შეუძლია, ამიტომაც მომეკრა მთელი ტანით, ამიტომაც მომეხვია მხრებზე ისე მაგრად, თითქოს სურს, თან გამიყოლოს, თუმცა აქ ლოგინი არ არის". მაგრამ კაცი ახლა მწარედ ცდებოდა. მან გაიფიქრა: „რატომ უნდა დახარჯოს დრო ტყუილუბრალოდ, რატომ უნდა შემამოწმოს, თუკი მთელი ცხოვრების განმავლობაში იცოდა, რომ მხოლოდ ჩემს იმედად ყოფნა სჭირდებოდა". ქალი კი იდგა, ეხვეოდა და კოცნიდა, სანამ კაცმა მისგან თავის დახსნა არ სცადა, მაშინ კი ხელი გაუშვა და სახეში შეხედა თავისი მუქი ლურჯი თვალებით, რომლებიც არც იდუმალებას გამოხატავდნენ, არც ალერსს და, შესაძლოა, არც სინაზეს.

– პირი პომადით მოგეთხვარა, – უთხრა ქალმა, – უნდა მოიბანო. დიახ, მართალი ხარ, – განაგრძო მან, – შენ ყოველთვის მართალი ხარ იმაში, რაც მე და შენ გვეხება, – თვალებში იდუმალება არ იკითხებოდა. სიჯიუტე – დიახ, მაგრამ იდუმალება – არა. ოდესმე კაცს შესაძლოა გაეხსენებინა, რომ მათში ნამდვილი სინაზეც კი არ იყო. – მიყვარხარ, – თქვა ქალმა, – შენ კი ძალიან ცოტა გერგო. არა, ასე არ არის. შენ არაფერი გერგო. არაფერი გქონია.

კაცმა ზუსტად იცოდა, რას გულისხმობდა ქალი: თავდაპირველად დედამისი, შემდეგ თვითონ. მას ორჯერ შესთავაზა ერთგულება და სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო, გარდა პრივილეგიისა, რომ შეპყრობილი, მოჯადოებული, გნებავთ, გასულელებული ყოფილიყო. რეტლიფი აუცილებლად „გასულელებულს" იტყოდა. და ქალმა იცოდა, რომ კაცმა ეს იცოდა. სწორედ ეს იყო (შესაძლოა) მათი უბედურება: ისინი მაშინვე მყისიერად იგებდნენ ყველაფერს ერთმანეთის შესახებ. ქალმა კაცს ახალი „იაგუარის" ნახვისა და იმის გაგების უფლება, თუ რა დატვირთვას ატარებდა ეს მისი ეგრეთ წოდებული მამის სიკვდილთან დაკავშირებით, პატიოსნების ან იმის გამო კი არ მისცა, რომ როგორც ქალს სჯეროდა, კაცი მთელი ცხოვრება უყვარდა; ასე იმიტომ მოიქცა, რომ ვერ დაუმალავდა, რომ მანქანა ნიუ-იორკში ან ლონდონში შეუკვეთა, მოკლედ – იქიდან, საიდანაც გამოუგზავნეს, როგორც კი შეიტყო, რომ სტივენსი მინკის შეწყალების საქმეს მოაგვარებდა.

ლინდას ყოველ კოსტიუმში ჰქონდა ჯიბე სპილოს ძვლისგან დამზადებული პატარა ბლოკნოტისა და ფანქრის ჩასადებად. სტივენსმა იცოდა, სად იყო ეს ჯიბე კომბინეზონში, ხელი გაიწვდინა და ბლოკნოტი ამოიღო. შეეძლო, დაეწერა: „მე ყველაფერი მაქვს. შენ ჩემი გჯეროდა. ამჯობინე, მეფიქრა, თითქოს შენი, ეგრეთ წოდებული მამის მკვლელი გახდი, ოღონდ კი არ გეცრუა". შეეძლო და, ალბათ, უნდა დაეწერა: „მე ყველაფერი მაქვს. განა ახლახან მკვლელობის მომზადებაში არ დაგეხმარე?" მაგრამ ამის ნაცვლად, დაწერა: „ჩვენ ყველაფერი გვქონდა".

– არა, – უთხრა ქალმა.

მან დაწერა: „კი".

– არა, – გაიმეორა ქალმა.

კაცმა „კი" იმხელა ასოებით დაწერა, რომ სიტყვამ ფირფიტა მთლიანად შეავსო, შემდეგ ხელისგულით წაშალა და დაამატა: „მანქანაში ვინმე ჩაისვი. ავარიას არ ემსხვერპლო".

ქალმა ამ სიტყვებს გაკვრით გადახედა – ყველა იფიქრებდა, წაკითხვას ვერ მოასწრებდაო – და კვლავ შეხედა კაცს მუქი ლურჯი თვალებით. რა მნიშვნელობა ჰქონდა, იყო თუ არა მათში ალერსი, იყო თუ არა სინაზე, იყო თუ არა ნამდვილი გულწრფელობა. ბუნდოვნად გაღიმებული პირი პომადით მოსვროდა და ეს ღიმილი მსუბუქ შტრიხს, გადღაბნილ ლაქას ჰგავდა.

– მიყვარხარ, – თქვა ქალმა, – შენ გარდა არავინ არასდროს მყვარებია.

კაცმა დაწერა: „არა".

– კი, – გაიმეორა ქალმა.

კაცმა „არა" დაწერა და როცა ქალმა „კი" უპასუხა, მან კვლავ „არა, არა, არა" დაწერა, სანამ გვერდი არ გაავსო, შემდეგ წაშალა და „ნაჩუქრობა" გამოიყვანა. და ქალის გვერდით ბუხართან მდგომმა, სადაც საქმიან საკითხებს წყვეტდნენ ხოლმე, რომლებიც მათ შორის განსაზღვრულ მოლაპარაკებას მოითხოვდა, დოკუმენტი გაშალა, კალამს თავსახურავი მოაძრო, რათა ლინდას ხელი მოეწერა, შემდეგ ქაღალდი დაკეცა და უკვე პორტფელში დებდა, როდესაც ქალმა თქვა:

– აი, ეს, – კაცს უკვე შეემჩნია ბუხრის დაფაზე დადებული უბრალო გრძელი კონვერტი. აიღო და მიხვდა, რომ მასში ბანკნოტების სქელი, ძალიან სქელი შეკვრა იდო, – ათასი დოლარი მას რამდენიმე კვირაში ან რამდენიმე დღეშიც კი მოკლავდა, ათას ტყვიაზე უკეთ. – ჯერ კიდევ წუხელ აპირებდა, მისთვის ეთქვა: „ათასი დოლარი მასაც მოკლავს. მაშინ კმაყოფილი იქნები?" თუმცა წუხელ ჯერ არ იცოდა, ეს სიმართლე იყო თუ არა. მაგრამ არაფერი უთქვამს. მოგვიანებით ამას თვითონ მიხედავდა. – იცი, სად უნდა მოძებნო? – ჰკითხა ქალმა.

„რეტლიფმა იცის", – დაწერა მან და დაამატა: „ორი წუთით სააბაზანოში გადი. შენი ტუჩებიც", – დაელოდა, სანამ ქალი წაიკითხავდა, რომელიც იდგა და თავი ისე დაეხარა, თითქოს კრიპტოგრამა დაეწერა.

– აჰა, – თქვა ლინდამ, შემდეგ კი განაგრძო: – დიახ, უკვე დროა. – იგი შეტრიალდა, კარისკენ გაემართა, შეჩერდა, ახლა ნახევრად მოტრიალდა და მხოლოდ მაშინ შეხედა კაცს: არც ღიმილი, არც არაფერი, მხოლოდ თვალები, რომლებიც ამ მანძილზეც კი არ ჩანდა შავად. და გავიდა.

კაცს პორტფელი ეჭირა, შლაპა მაგიდაზე იდო. კონვერტი ჯიბეში ჩაიდო და პირი ცხვირსახოცით მოიწმინდა, შლაპას ხელი სტაცა და კიბეზე დაეშვა, თან ცხვირსახოცს ნერწყვით ასველებდა ტუჩების მოსაწმენდად. ჰოლში სარკე იდგა, მაგრამ გადაწყვიტა, რომ არ დასჭირდებოდა, სანამ თავის კაბინეტში არ მოხვდებოდა. აქ, ცხადია, უკანა კარიც იქნებოდა, მაგრამ სახლში სადღაც მეკარე და, შესაძლოა, მზარეულიც იყვნენ. თუმცა არავინ უშლიდა ხელს, სახლის წინ მდებარე გაზონი გადაეჭრა და ქუჩაში გვერდითა კუტიკარიდან გასულიყო, ასე რომ, ახალი მანქანისთვის სახის არიდება არ მოუწევდა. ამ დროს რეტლიფმა, რომელიც შემთხვევით თუ იღბლიანი დამთხვევის წყალობით, კიბეზე, მისი სამუშაო კაბინეტის კართან იდგა, თქვა:

– სად არის თქვენი მანქანა? არა უშავს, მე მოვიყვან. თქვენ კი, აჯობებს, ზევით ახვიდეთ წყლისთვის.

მან დაიბანა, პომადით დასვრილი ცხვირსახოცი ყუთში შეინახა და თავის მაგიდას მიუჯდა. დრო გადიოდა. გაიგონა, როგორ ამოდიოდა კიბეზე რეტლიფი, თუმცა მან ოდნავ შეაჯანჯღარა დაკეტილი კარის სახელური. ახლა კი თავისუფალი იყო და ყმაწვილობის დროინდელი ოცნების – ძველი აღთქმისთვის საწყისი უმანკო სისუფთავის მინიჭების – ასრულებაც შეეძლო. არა, ის უკვე ძალზე ხანდაზმული იყო. ალბათ, ასე დასევდიანებისთვის მხოლოდ სევდა არ კმაროდა. დრო კვლავ მიდიოდა, შემდეგ ტელეფონმა დარეკა.

– იგი წავიდა, – თქვა რეტლიფმა, – თქვენი მანქანა ჩემთანაა. სავახშმოდ ხომ არ შემომივლით?

– არა, – მიუგო მან.

– თუ გინდათ, თქვენს ცოლს დავურეკავ და ვეტყვი, რომ ჩემთან ხართ.

– ოჰ, დალახვროს ეშმაკმა, გითხარით, არა-მეთქი, – თქვა სტივენსმა და მაშინვე დაამატა, – დიდი მადლობა.

– რვა საათისთვის შემოგივლით, – უთხრა რეტლიფმა.

გევინი გზაჯვარედინთან ელოდებოდა. მანქანა – მისი მანქანა – მაშინვე დაიძრა, როგორც კი ჩაჯდა.

– სახიფათო საქმეა, – თქვა მან.

– ეს კი მართალია. მაგრამ ყველაფერი დასრულდა, ახლა მხოლოდ შეჩვევაა საჭირო.

– არა, იმას ვგულისხმობ, რომ თქვენთვისაა სახიფათო. ჩემთან ერთად ყველასთვის საშიშია. საშიში კაცი ვარ. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ახლახან მკვლელობა ჩავიდინე?

– აი, თურმე რა, – თქვა რეტლიფმა, – ადრე ვფიქრობდი, რომ თქვენი გაუვნებელყოფა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა – თუ ვინმე ცოლად გამოგყვებოდათ. აქედან არაფერი გამოვიდა, მაგრამ თქვენ ხომ კარგად ხართ. თვითონ თქვით, რომ ახლახან მკვლელობა ჩაიდინეთ. კიდევ რისი მოფიქრება შეიძლება თქვენთვის? – მათ ქალაქი უკან მოიტოვეს და გზატკეცილზე გავიდნენ. უკვე შეიძლებოდა სიჩქარის მომატება, რათა სწრაფად გაევლოთ ოცდაორი მილი უორნერის მაღაზიამდე. – იცით, ვინ მეცოდება ყველაზე მეტად ამ ამბავში? – იკითხა რეტლიფმა, – ლუთერ ბიგლინი. შესაძლოა, ამის შესახებ არაფერი გსმენიათ, ვერც ვერავინ გაიგებდა, დღეს რომ ლუთერსა და ეფ ბიშოპს შორის შემდგარი კერძო საუბრის – გნებავთ, აღსარება უწოდეთ – დეტალები არ გახმაურებულიყო.გაირკვა, რომ ყოველ საღამოს, გასული ხუთშაბათიდან დაწყებული ამ სამშაბათამდე, ლუთერი სადარაჯოზე იდგა თუ იჯდა იმ ფანჯარასთან, შეძლებისდაგვარად, ახლოს. იქ იმ წუთიდან მიდიოდა, როცა კინოდან დაბრუნებული მისის ბიგლინი მას

აღვიძებდა, და გათენებამდე რჩებოდა. საქმე ისაა, რომ მთელი დღე თავის ციხეში დაფუსფუსებდა, იქაურობას ალაგებდა, პატიმრებს აჭმევდა, თანაც მუდამ ფხიზლობდა – შერიფს არ დავჭირდე რამე დავალების შესასრულებლადო. აბა, როგორ არ მოეტყუებინა თვალი ცოტა ხნით. ამის გაკეთება კი მხოლოდ ვახშმობის შემდეგ შეეძლო, იმ წუთამდე, როცა მისის ბიგლინი კინოდან ბრუნდებოდა და აღვიძებდა – იგი მას მაღვიძარას მაგივრობას უწევდა. მაშასადამე, დაახლოებით შვიდი საათიდან ათის ნახევრამდე ან ათამდე ეძინა, იმის მიხედვით, თუ რომელი ფილმი გადიოდა, მთელი ღამე კი ფლემის ფანჯრის ქვეშ იდგა ან დასაკეც სკამზე იჯდა, ოღონდ არა ჯილდოს ან სახელის გულისთვის, ვინაიდან ამის შესახებ მხოლოდ მისის ბიგლინმა იცოდა, არამედ მხოლოდ ეფ ბიშოპისადმი ერთგულების ნიშნად და მისდამი მიცემული ფიცის შესასრულებლად – მოფრთხილებოდა და დაეცვა ჯეფერსონის თითოეული მოქალაქის, მათ შორის, ფლემ სნოუპსის მსგავსთა სიცოცხლე. მაგრამ ისე მოხდა, რომ მინკმა დღე-ღამის ოცდაოთხი საათიდან ზუსტად ის დრო შეარჩია, დაახლოებით შვიდიდან ათის ნახევრამდე, და სწორედ ამ პერიოდში ეწვია ფლემს იმ ნივთთან ერთად, რომელიც რევოლვერად მიასაღეს. თითქოს მინკმა ეს განზრახ, ჯიბრით გააკეთა, ასეთ რამეს კი, როგორც იტყვიან, ძაღლსაც არ უსურვებს კაცი.

– წავედით, – უთხრა სტივენსმა, – დაძარით მანქანა.

– დიახ, – თქვა რეტლიფმა, – აი, რით დასრულდა ეს ყველაფერი. როგორ ძუნწობდა, როგორ ძარცვავდა და ართმევდა, ზოგჯერ ფარულად და ჩუმად, ზოგჯერ – ღიად, ფეხებით გვთელავდა. ზოგიერთი განზე გახტომას ასწრებდა, რათა ბოლომდე არ გაბმულიყო ხაფანგში. ახლა კი რა დარჩა ამ ყველაფრისგან – დედაბერი, რომელიც ლოგინიდან ვეღარ დგება, და მისი ქალიშვილი, შინაბერა, მასწავლებელი: ეცხოვრათ მშვიდად და წყნარად თავიანთ მზიურ კალიფორნიაში. მაგრამ არა – ახლა აქ, მისისიპიში უნდა გამოემგზავრონ და ამ თეთრ, სპილოს სახლში იცხოვრონ. როგორც ჩანს, მის ელისონს კვლავ მოუწევს სამუშაოზე მოწყობა, ცოტა წუწურაქობა და ეკონომია – ამხელა შენობას ხომ შენახვა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ნაცნობ-მეგობარი, უცხოებზე არაფერს ვამბობ, მასზე იჭორავებს – ნამდვილი ლედია, მისისიპიში დაიბადა და უეცრად ნაჩუქარ, უფასო სახლზე უარს ამბობსო, თუმცა ეს სახლი თავიდანვე მათი იყო, ასე რომ, ახლა მადლობასაც ვერავის ეტყვის, რომ დაუბრუნეს. ერთი სიტყვით, შესაძლოა, სწორედ ამაში აღმოჩნდეს რაღაც მორალი, თუკი მას მიაგნებთ.

– აქ მორალი არ არის, – თქვა სტივენსმა, – უბრალოდ, ადამიანები ისე იქცევიან, როგორც უკეთესია.

– საცოდავი ნაბიჭვრები, – ჩაილაპარაკა რეტლიფმა.

– დიახ, საცოდავი ნაბიჭვრები, – გაიმეორა სტივენსმა, – წავიდეთ, დაძარით მანქანა.

დაახლოებით ათი საათისთვის რეტლიფმა მანქანა კოლბოხებიან გზაზე გააჩერა, რომელიც უკვე გზაც კი აღარ იყო, მალე კი მასზე საერთოდ ვერავინ გაივლიდა. რეტლიფმა თქვა:

– მაშასადამე, თქვენი აზრით, მან მართლა არ იცოდა, რასაც გამოსვლისთანავე ჩაიდენდა?

– უკვე გითხარით, არ იცოდა-მეთქი, – მიუგო სტივენსმა, – წავედით.

– დრო ბევრი გვაქვს, – თქვა რეტლიფმა, – ვერსად წავა. რაც შეეხება იმ ნივთს, მას რომ რევოლვერის მაგივრობას უწევდა, ის ან დაუვარდა, ან გადააგდო უკანა ეზოდან გაქცევისას. ეფ ბიშოპმა მაჩვენა. სიმართლე უთქვამს იმ მემფისელ გამყიდველს. ის არც კი ჰგავს რევოლვერს, ბებერი და ჭუჭყიანი მდინარის კუ გეგონებათ. მასში ორი ვაზნა დარჩა – ერთი მასრა და ერთიც გაუსროლელი. მასრაზე, როგორც წესია, კაფსულაა გახვრეტილი. მაგრამ მხოლოდ მასზე და ვაზნაზეა კაფსულის გვერდით პატარა ნაჭდევი და ორივე შენატყლეჟი ზუსტად ერთნაირია, ორივე ერთსა და იმავე ადგილას. ასე რომ, როდესაც ეფმა ვაზნა გამოიღო, ცარიელი მასრა კი ოდნავ მოატრიალა და საცემელს გაუსწორა, შემდეგ კი ჩახმახი შეაყენა და დაუშვა, მასრაზე, კაფსულის გვერდით, ისეთივე ნაჭდევი გაჩნდა. ესე იგი, ეს დაჟანგული საცემელი ხან ხვდებოდა კაფსულას, ხან – არა. როგორც ჩანს, მინკმა წინასწარ ორივე ვაზნა გამოსცადა და ორივემ უმტყუნა, ის კი წავიდა ფლემის მოსაკლავად იმ იმედით, რომ მეორე ჯერზე ერთ-ერთი ვაზნა აუცილებლად გავარდებოდა, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. ალბათ, ის ფლემთან მივიდა, ორჯერ ამაოდ გაისროლა, შემდეგ ცილინდრი უკან დააბრუნა, რათა ხელმეორედ გამოეცადა – სხვა გზა არც ჰქონდა, მაგრამ ამჯერად ის გავარდა. და თუ ასეა, იქნებ ამიხსნათ, რატომ იჯდა ფლემი სავარძელში და ელოდებოდა, როდის გაისვრიდა ორჯერ უშედეგოდ, რევოლვერი ხომ მხოლოდ მესამე ჯერზე გავარდა, რასაც ფლემი ემსხვერპლა?

– აბა, რა ვიცი, – მკვახედ მიუგო სტივენსმა, – წადით.

– იქნებ მასაც მობეზრდა ყველაფერი, – თქვა რეტლიფმა, – როგორც იულას. იქნებ ორივეს მობეზრდა. საბრალო ნაბიჭვარი.

– ის იმპოტენტი იყო, – ჩაილაპარაკა სტივენსმა.

– რა? – ჩაეკითხა რეტლიფი.

– იმპოტენტი. ქალის გვერდით მხოლოდ დაწოლა შეეძლო, მეტი არაფერი. დიახ! – თქვა სტივენსმა, – საცოდავი ნაბიჭვრები, რომლებსაცამდენი ტანჯვა და უბედურება მოაქვთ ადამიანებისთვის! წავედით!

– იქნებ აქ კიდევ იყო რამე, – თქვა რეტლიფმა, – თქვენ პატარაობიდანვე ქალაქში იზრდებოდით და, ალბათ, არასდროს გსმენიათ „ჯერობანას" შესახებ. ამ თამაშს ჩვენ ვთამაშობდით. ირჩევ შენი სიმაღლის ბიჭს, მიდიხარ მასთან წკეპლით, ჯოხით, შესაძლოა, მაგარი მწვანე ვაშლით ან თუნდაც ქვით – გააჩნია, რამხელა რისკზე გაბედავ წასვლას, და ეუბნები: „ჩემი ჯერია!" თუ დაგთანხმდება, გაჭიმული იდგება, შენ კი წკეპლას ან ჯოხს დაარტყამ, ან უკან დაიხევ და ვაშლს ან ქვას ესვრი. შემდეგ უკვე შენ იდგები ერთ ადგილას, ის კი წკეპლას, ჯოხს, ვაშლს ან ქვას აიღებს და სამაგიეროს გადაგიხდის. ასეთი წესი იყო. ჰოდა, დავუშვათ, რომ...

– წადით! – უთხრა სტივენსმა.

– ...რომ ფლემმა თავისი ჯერი წესების მიხედვით გამოიყენა, ახლა კი უნდა მჯდარიყო და დალოდებოდა, ვინაიდან, ალბათ, დიდი ხნის წინათ მიხვდა, – როგორც კი ქალი გამოჩნდა, დაბრუნდა, თანაც კომუნისტური ომიდან, – რომ წააგო...

– გაჩუმდით! – უთხრა სტივენსმა, – აღარ გააგრძელოთ!

– ...და რომ ახლა ქალის ჯერი იყო, და თანაც თუ ქალმა...

– არა! – შესძახა სტივენსმა, – არა! – მაგრამ რეტლიფი არა მხოლოდ საჭესთან იჯდა, არამედ გასაღებისთვის ხელიც დაეფარებინა.

– ...ყოველთვის იცოდა, რაც მოხდებოდა, როცა მას გამოუშვებდნენ. და ეს არა მხოლოდ მან იცოდა, არამედ – ფლემმაც...

– არ მჯერა! – თქვა სტივენსმა, – არასდროს დავიჯერებ! არ შემიძლია, დავიჯერო, – დაამატა მან, – ნუთუ არ გესმით, რომ არ შემიძლია!

– და აქ კიდევ ერთი დეტალი ირკვევა, – თქვა რეტლიფმა, – ქალს უნდა გადაეწყვიტა, თანაც ერთხელ და სამუდამოდ, თორემ შემდეგ გვიან იქნებოდა. ცხადია, შეეძლო, ორი წელიც დალოდებოდა, როცა მამაზეციერიც კი ვეღარ გააჩერებდა მინკს პარჩმენში, მხოლოდ ფეხებს თუ გააჭიმვინებდა, და მაშინ სანერვიულო და საზრუნავიც არაფერი ექნებოდა, გარდა ამისა, ყოველგვარ მორალურ პასუხისმგებლობასაც მოიხსნიდა, თუმცა, თქვენი აზრით, აქ მორალი არც არის. ოღონდ აღარ დაელოდა. უნებურად უნდა დავფიქრდეთ – რატომ? იქნებ, აი, რა ხდება: სამოთხეში ხალხი რომ არ იყოს, თვით სამოთხეც აღარ იარსებებდა. იმ ადამიანების ნახვას რომ არ ელოდებოდნენ, რომლებსაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში იცნობდნენ, არავინ მოისურვებდა იქ მოხვედრას. არადა, იქნებ ოდესმე დედამისმა უთხრას: „რატომ არ იძიე შური ჩემ გამო, ჩემი სიყვარულის გამო, დაგვიანებით, მაგრამ ნაპოვნზე, რატომ იდექი განზე და თვალდახუჭული ფიქრობდი, მოხდეს, რაც მოსახდენიაო? განა თვითონ არასდროს გიყვარდა? არ იცოდი, რა იყო სიყვარული?“ გამომართვით, – თქვა მან, ჯიბიდან ქათქათა, უზადოდ გარეცხილ-გაუთოებული ცხვირსახოცი ამოიღო, – მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ კაცი არა მხოლოდ თვითონ რეცხავდა და აუთოებდა მათ, არამედ აგვირისტებდა კიდეც, – სტივენსს ხელში ჩაუდო, მანქანა დაქოქა და ფარები აანთო, – აჰა, ახლა ყველაფერი რიგზეა, – დაამატა მან.

გზაზე ორივე ნაურმალი გაქრა, მხოლოდ ასკილმოფენილი ღრანტე მიიწევდა მაღლა.

– წინ წავალ, – თქვა რეტლიფმა, – თქვენ ქალაქში იზრდებოდით, მე კი ელექტრული ნათურაც არ მენახა, სანამ სამართებლით პარსვა არ დავიწყე. – შემდეგ ჩაილაპარაკა: – აი, ისიც, – დაქანებული სახურავი, ერთი კუთხიდან გადავარდნილი (სტივენსი ვერასდროს იფიქრებდა, რომ ადრე აქ სახლი იდგა, ის, უბრალოდ, რეტლიფის სიტყვას ენდო), სახურავქვეშ – ერთადერთი ბებერი და მსხვილი კედარი. სტივენსი კინაღამ წაიქცა, როდესაც ეზოზე შემოვლებულ, მაგრამ ასევე ჩაწოლილ და გაველურებული ვარდებით

მოფენილ ღობეს წამოჰკრა ფეხი, – მომყევით, – უთხრა რეტლიფმა, – აქ ძველი ჭაა. მგონი, ვიცი, სადაც. ფარანი უნდა წამოგვეღო.

ღრეჩოებს შორის, ქვემოთ, სიღრმეში, იქ, სადაც ოდესღაც სახლის საძირკველი იყო, მათ ფეხებთან, შავ, ნახევრად დაფარულ ხვრელს ისე დაეღო პირი, თითქოს თვითონ დანგრეული სახლი იყურებოდა თუ იკრიჭებოდა. რეტლიფი შეჩერდა. მან ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– თქვენ ხომ ის რევოლვერი არ გინახავთ. მე კი ვნახე. როგორც ჩანს, სულაც არ იყო ათდოლარიანი რევოლვერი. ასეთებს წყვილს ცხრა-ნახევრად ჰყიდიან. იქნებ მეორე თან ჰქონდეს. – ამ დროს მას სტივენსმა გადაასწრო და ფეხით ფრთხილად მოსინჯა რაღაც საფეხურის მსგავსი, ჯიბიდან მონოგრამიანი ოქროს სანთებელა ამოიღო და მის სუსტ ალზე ქვევით ჩასვლას შეუდგა, რეტლიფი უკან მიჰყვებოდა და ამბობდა: – ცხადია, ახლა გარეთაა, თავისუფლება მიიღო, ხალხი რატომ უნდა დახოცოს?

ისინი ყოფილ სარდაფში ჩავიდნენ, გამოქვაბულში, სოროში, სადაც ნაჩქარევად შეგროვილი ფიცრების გროვაზე ის კაცი იჯდა, რომელსაც ეძებდნენ. კუთხეში მიწოლილი თუ მუხლებზე მდგარი, თვალებს აფახულებდა და მათ იმ ბავშვივით შეჰყურებდა, რომელსაც ძილის წინ ლოცვისას ხელი შეუშალეს: ლოცვისას კი არ დაადგნენ თავზე, არამედ ხელი შეუშალეს, გააწყვეტინეს. მუხლებზე იდგა, ახალი, თუმცა უკვე დასვრილი და აქოთებული კომბინეზონი ეცვა, ნახევრად მომუშტული ხელები ჩამოეშვა, ოდნავ წინ გაეწია და თვალების ხამხამით მიშტერებოდა სტივენსის ხელში მოქცეულ პატარა ალს.

– გამარჯობა, – თქვა მან.

– აქ თქვენი დარჩენა არ შეიძლება, – უთხრა სტივენსმა, – ნუთუ ფიქრობთ, რომ თუკი ჩვენ მოგაგენით, შერიფი ხვალვე ვერ მიხვდება, სად ხართ?

– აქ დარჩენას არ ვაპირებ, – თქვა მინკმა, – მხოლოდ დასასვენებლად შემოვიარე. მოვემზადები და გზას განვაგრძობ. თქვენ ვინ ხართ?

– მნიშვნელობა არა აქვს, – მიუგო სტივენსმა და ჯიბიდან ფულიანი კონვერტი ამოიღო, – აიღეთ, თქვა მან, – კონვერტში ორას ორმოცდაათი დოლარი იდო. მან ეს მასში მოთავსებული ათასი დოლარიდან დატოვა. სტივენსმა თვითონაც არ იცოდა, ამდენი რატომ გადათვალა. მუხლებზე დაჩოქილმა კაცმა ფულს შეხედა.

– მე ხომ ის პარჩმენში დავტოვე. ჭიშკარში გამოსვლისას თან არ მქონია. მაშასადამე, რომელიღაც ნაბიჭვარმა მოიპარა?

– ეს ის ფული არაა, – აუხსნა სტივენსმა, – ის ფული დააბრუნეს. ეს კი სხვაა, ქალის მიერ დილით თქვენთვის დატოვებული. სხვა ფული.

– მაშასადამე, თუ ავიღებ, ამით არავის არაფერს დავპირდები?

– არაფერს, – უთხრა სტივენსმა, – აიღეთ.

კაცმა აიღო.

– უღრმესი მადლობა, – თქვა მან, – მაშინ მითხრეს, რომ სამი თვის შემდეგ ორას ორმოცდაათს კიდევ გამომიგზავნიდნენ, თუ დავპირდებოდი, რომ მისისიპიდან წავიდოდი და არასდროს დავბრუნდებოდი. ეს, ალბათ, ძალაში აღარაა.

– არა, – მიუგო სტივენსმა, – ყველაფერი ძველებურადაა. სამი თვის შემდეგ შემატყობინეთ, სად იქნებით, და ფულს გამოგიგზავნით.

– უღრმესი მადლობა, – თქვა მინკმა, – მ. ც. სნოუპსის სახელზე გამომიგზავნეთ.

– როგორ? – ჩაეკითხა სტივენსი.

– მ. ც. სნოუპსი. ასე მქვია: მ. ც.

– წავიდეთ! – თითქმის უხეშად წარმოთქვა რეტლიფმა, – წავიდეთ აქედან! – და როდესაც სტივენსი შეტრიალდა, ხელი გამოსდო, ანთებული სანთებელა გამოართვა და თავზემოთ ეჭირა, სანამ სტივენსი ხელის ცეცებით ეძებდა გალეულ მიწის საფეხურებს. ისინი კვლავ ზევით ავიდნენ, სუფთა ჰაერზე, ღამეში, უმთვარო წყვდიადში, სადაც გამოფიტული და დაღლილი მინდვრები შფოთავდნენ ზამთრის მომლოდინე შემოდგომის პირველ სუსტ სუნთქვაში. ზევით, ციური იერარქიის მიხედვით, ზოდიაქოს თანავარსკვლავედები მიცურავდნენ: მორიელი, დიდი დათვი და სასწორი, უფრო მაღლა კი, ცივი ორიონისა და პლეადების მიღმა, მიუსაფარი ზნედაცემული ანგელოზების დასი დრტვინავდა. რეტლიფმა ფრთხილად, ნაზად, თითქოს ქალიაო, მანქანის კარი გააღო და სტივენსს დაჯდომაში მიეხმარა, – ახლა უკეთ ხართ? – ჰკითხა მან.

– დიახ, დიახ, დალახვროს ეშმაკმა – მიუგო სტივენსმა.

რეტლიფმა კარი მიკეტა, მანქანას შემოუარა, მეორე კარი გამოაღო, დაჯდა, ეს კარიც მიხურა, ძრავა დაქოქა, ფარები აანთო და მანქანა დაძრა. ორივენი მოხუცები იყვნენ, ორივეს სამოცი წლისთვის მიეკაკუნებინა.

– არ ვიცი, შესაძლოა, მან მოახერხა და სადმე გადამალა ქალიშვილი, შესაძლოა, მხოლოდ ახლა აპირებს მის ყოლას. მაგრამ თუ გააჩენს, ღმერთმა ქნას, რომ ჯეფერსონში არასდროს ჩამოიყვანოს. გზაზე ორ იულა უორნერს უკვე გადაეყარეთ. არა მგონია, რომ მესამესაც გაუძლოთ.

როდესაც ორივე უცნობი წავიდა და შუქიც თან გაიყოლა, აღარ დაწოლილა. მას უკვე დაესვენა. სულ უფრო ახლოვდებოდა ის წუთი, როდესაც კვლავ გზას უნდა დასდგომოდა. ჯერაც მუხლებზე იდგა მის მიერვე შეგროვებულ ძველ ფიცრებს შორის, რომლებსაც მიწისგან უნდა დაეცვათ იგი, თუ ჩაეძინებოდა. საბედნიეროდ, ქურდს, გასულ ხუთშაბათს ათი დოლარი რომ მოჰპარა, ინგლისური ქინძისთავი არ წაეღო, ამიტომ ფული მკერდის ჯიბის ზომაზე დაახვია და ქინძისთავით დაამაგრა. ამჯერად ყველაფერი კარგად იქნებოდა: სქელი შეკვრა იყო და ძილშიც კი იგრძნობდა, თუ მას ვინმე შეეხებოდა.

აი, წასვლის დროც დადგა. ნაწილობრივ, უხაროდა კიდეც: ადამიანი დასვენებისგანაც შეიძლება დაიღალოს და დაიქანცოს, ისევე, როგორც სხვა რამისგან. გარეთ უკვე ბნელოდა, გრილოდა. თავისუფლად მიდიოდა – ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ბებერი მიწა მიაცილებდა. მაგრამ სამოცდასამი წლის შემდეგ ადამიანმა მთელი დრო მიწაზე ფიქრს არ უნდა დაუთმოს. თუმცა მიწა თვითონ ახსენებდა, რომ აქ იყო და ელოდებოდა. წყნარად, აუჩქარებლად იზიდავდა თავისკენ ყოველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ და ეუბნებოდა: „ნუ გეშინია, დაწექი, არ გაწყენინებ, შენ მხოლოდ დაწექი". მან გაიფიქრა: „ახლა თავისუფალი ვარ. შემიძლია, იქ წავიდე, სადაც მომესურვება". ჰოდა, დასავლეთისკენ წავა. ადამიანები ყოველთვის იქით, დასავლეთისკენ მიდიან. როგორც კი დაიძვრებიან და ახალ მხარეში წასვლას დააპირებენ, აუცილებლად დასავლეთისკენ აიღებენ გეზს, თითქოს მოხუცმა ბატონმა ეს სისხლსა და ხორცში ჩადო, რაც მამაშენისგან გხვდა წილად იმ წუთს, როდესაც მან დედის მუცელში ჩაგსახა.

ახლა თავისუფალი იყო. მოგვიანებით, გამთენიისას, როცა მოუნდებოდა, წამოწოლასაც შეძლებდა. და როცა ეს სურვილი ეწვია, მოხერხებულად დაწვა, ზურგი და ხელ-ფეხი მოადუნა და იგრძნო, როგორ ჩუმად და მსუბუქად ექაჩებოდა თავისკენ ბებერი მიწა, თითქოს უნდოდა დაერწმუნებინა, რომ თვითონაც ვერ ამჩნევდა, რას აკეთებდა. მაგრამ ამ დროს ნაცნობი ვარსკვლავები დაინახა – როგორც ჩანს, ისე არ დაწვა, როგორც საჭირო იყო, რადგან დაწოლისას სახე აღმოსავლეთს უნდა მიაპყრო. დასავლეთისკენ მიდიხარ, მაგრამ როცა წვები, პირს აღმოსავლეთისკენ იბრუნებ. იგი შეტრიალდა, ოდნავ შეტრიალდა და წესისამებრ დაწვა. და ახლათავისუფალი იყო, ახლა რისკის გაწევის უფლებაც ჰქონდა. და იმის საჩვენებლად, რომ გათამამდა, გადაწყვიტა, თვალები დაეხუჭა და ნება მიეცა, ისე მოქცეულიყო, როგორც სურდა. უეცრად, თითქოს დაიჯერა, რომ მან მართლა დაიძინა, მიწამ კვლავ თავისი საქმე განაგრძო და უფრო მაგრად მიიზიდა – ფრთხილად, რომ არ შეეწუხებინა, მაგრამ უფრო მაგრად, უფრო ღონივრად. არადა, მხოლოდ ერთმა კაცმა ხომ არ უნდა დაიცვას მისგან თავი მთელი ცხოვრების განმავლობაში: ადამიანებს ყველა დროში უწევდათ ფხიზლად ყოფნა. როგორც ამბობენ, გამოქვაბულში ცხოვრების პერიოდშიც კი ადამიანი ქვიშაზე წვებოდა, რათა ძილის დროს მიწისგან, შეძლებისდაგვარად, შორს ყოფილიყო. შემდეგ, მიწისგან დასაცავად, ხის იატაკი მოიგონა, მოგვიანებით – საწოლი, იატაკი მაღლა ასწია, სართულს სართული მიამატა, სანამ ას, ათას ფუტამდე არ ავიდა, ზევით და ზევით, ჰაერში.

ახლა რისკის გაწევაც შეეძლო, მოუნდა კიდეც, მისთვის სრული თავისუფლება მიეცა – დაე, ეჩვენებინა, დაე, დაემტკიცებინა, რა შეეძლო, თუკი ძალიან მოინდომებდა. და როგორც კი ეს გაიფიქრა, მაშინვე იგრძნო, რომ სნოუპსი, რომელიც მთელი ცხოვრება წვალობდა და აქეთ-იქით დახეტიალებდა, ახლა ისე გაიწელა, გაიდღაბნა და გაიშალა, როგორც ძილში. იგი თითქოს ხედავდა, როგორ მიდიოდა იქით, წვრილ-წვრილი ბალახისკენ, წვრილ-წვრილი ფესვებისკენ, ჭიაყელების მიერ გაყვანილი გასასვლელებისკენ, ქვევით, ქვევით, მიწაში, სადაც უკვე უამრავი ხალხი იყო, რომლებიც მთელი ცხოვრება წვალობდნენ და დახეტიალებდნენ, ახლა კი თავისუფლები იყვნენ, და ამჯერად დაე, მიწასა და მტვერს ეწვალა,

ეტანჯა და ეწუხა ვნებისგან, იმედისგან, შიშისგან, სამართლიანობისა და უსამართლობისგან, დარდისგან, ადამიანები კი მშვიდად წოლილიყვნენ, ყველანი ერთად, წყნარად, მყუდროდ, ისე, რომ ვერც გაიგებდით, ვინ ვინ იყო, თუმცა ამის გაგება არც ღირდა. ისიც მათ შორის იქნებოდა, მათი ტოლ-სწორი, ყველაზე კეთილი, ყველაზე მამაცი, მათგან განუყოფელი, მათსავით უსახელო – როგორც ისინი: მშვენივრები, საუცხოონი, ამაყნი და მამაცნი, ისინი, რომლებიც იქ, მწვერვალზე, სიზმრებსა და ზმანებებს შორის, კაცობრიობის ხანგრძლივ მატიანეში, ეპოქად იქცნენ – ელენა და ეპისკოპოსები, მეფეები და განდევნილი ანგელოზები, პირფერი და ურჩი სერაფიმები.